პედაგოგიკა მათი აზრით სპეციფიურია სამეცნიერო ცოდნის გათვალისწინებით, რადგან იგი უშუალოდაა დაკავშირებული ყველა მეცნიერებასთან. იგება თითქმის ყველა მეცნიერების მიწვევების გამოყენებით (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, კიბერნეტიკის, სოციოლოგიის). მისი კვლევის ობიექტი დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვაგვარ ფაქტორზე (მასწავლებლის და მოსწავლის ხასიათი, მდგომარეობა, ადჰურვილობის არაერთგვაროვნება და ა.შ.) იგი მეცნიერებაა მომავალზე. (მოზარდი 12 წელია სკოლაში, მისი შემდგომი ნაბიჯები, პროფესიის დაუფლება საჭიროებს წლებს; ამ დროში იცვლება ყოველი ადამიანის ცხოვრების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები). სპეციფიურია პედაგოგიური მეცნიერების მიღწევების რეალიზაციის მომენტიც. მისი

შედეგები დამოკიდებულია ყოველი პედაგოგის პიროვნულ თვისებებზე, მის შეხედულებებზე, პროფესიონალიზმზე.

### ლიტერატურა

1. ნ. ვ. ბორდოვსკაია, ა. ა. რენანი, პედაგოგიკა, მოსკ., 2000 წ.
2. ბ. ა. პოპკოვი, ა. ვ. კორჟუევი, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა, მოსკ. 2004 წ.
3. რ. ბალანჩივაძე, ვ. ასათიანი, პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ. 1997 წ.

### რეზიუმე

სტატიაში განვითარებულია მოსაზრებები პედაგოგიკის როგორც მეცნიერების მიზნებისა და ამოცანების შესახებ, იგი წარმოდგენილია პრაქტიკულ მეცნიერებათა ჯგუფში და „საქმიან“ მეცნიერებად წოდებულ ამპლუაში, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავალ მეცნიერებას და ამავდროულად კრებს სხვა მეცნიერებათა მიღწევებს, განხილულია პედაგოგიკის წამყვანი დარგის „დიდაქტიკის“ კვლევის საგანი. ობიექტი და ურთიერთობების მთელი წყება, წარმოდგენილია აზრი საგანმანათლებლო სისტემაში ერთფეროვნების დაძლევის და დიფერენცირებული სწავლების შემოღების, შესახებ მითითებულია თაობათა ცვლასთან შეფარდებით ცხოვრების ტემპების ზრდით განპირობებული უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვის აუცილებლობათა შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს ასაკის ყველა ეტაპზე, ამით პედაგოგიკამ შეიძინა პიროვნების ჩამოყალიბების კანონზომიერების შესწავლის, მისი შინაარსის განსაზღვრის მეცნიერული დასაბუთების ფუნქცია.

**Maia Akhvlediani** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor  
**Pedagogy as a "Business-like" Science**  
**Summary**

The paper elaborates on goals and objectives of pedagogy as a science. It is represented in the group of practical sciences and in line called as a "business-like" science, which includes many sciences and simultaneously gathers together the advances of other sciences. The paper dwells on research subject, object whole structure of relationships of the leading field of pedagogy - "Didactics". There is also considered the issue of avoiding a dead level of monotony and introducing differential training in educational system.

There are also emphasized the necessities of introducing the continuing education conditioned by life growth rates relatively to alternation of generations, which should be implemented at all stages of age. By that, the pedagogy acquired the function of studying the regularities in personality formation and scientific justification of defining its content.

**Майя Ахвледзиани** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор  
**Педагогика – «деловая» наука.**  
**Резюме**

В статье развиваются мысли о целях и задачах педагогики как науки, она представлена в группе практических наук и в амплуа так называемых «деловых» наук, которые включают многие науки и, вместе с тем вбирают достижения других наук, обсуждается предмет исследования главной отрасли педагогики – дидактики, объект и целый ряд взаимоотношений. Представлены соображения о преодолении однообразия в образовательной системе и введения дифференцированного обучения. Указано о необходимости внедрения непрерывной системы образования, обусловленной ростом темпов жизни, сменой поколений, которые должны осуществляться на всех возрастных этапах. Этим педагогика приобрела функцию изучения закономерностей формирования личности, функцию определения научного обоснования его содержания.



იაგორ ბალანჩივაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### პირველკლასელთა პიროვნული მზაობის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება

ბავშვის პიროვნების ყველა პარამეტრის დახასიათებიდან და თავისებურებებიდან გამოვყოფთ 3 ძირითად პარამეტრს, რომელიც უფრო მეტად აუცილებელია სკოლაში სწავლებისათვის, ესენია: უფროსებთან ურთიერთობის უნარი; თანატოლებთან ურთიერთობის უნარი; თვითშეფასება, საკუთარ თავთან დამოკიდებულება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია უშუალოება, იმპულსურობა, გულწრფელობა. სასკოლო ასაკთან მიახლოებულ ბავშვებში მცირდება ეს თვისებები.

დაწყებით კლასებში სწავლების წარმატება დიდად არის დამოკიდებული მასზე, თუ რამდენად მუშაობს ბავშვთან მასწავლებელი, რამდენად სწორი იქნება მისი მიდგომა და დამოკიდებულება ბავშვებთან. ამის გარეშე შეუძლებელია გაკვეთილზე მიმდინარე პროცესების ჭეშმარიტი აზრის გაგება.

ის ბავშვები, რომლებიც ყველა ასპექტით ჰარმონიულად არიან განვითარებული სწავლისათვის, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან ახალ ობიექტურ ვითარებასთან შეგუების თვალსაზრისით. ბავშვმა სრულიად ახლებური სოციალური ურთიერთობები უნდა დაამყაროს მასწავლებელთან, რადგან სწორედ ის უნდა დაეხმაროს ამ სირთულეების დაძლევაში. კერძოდ, პირველი კლასის მასწავლებელმა პირველ დღესვე უნდა დაამყაროს ყველა მოსწავლესთან კონტაქტი და აგრძნობინოს თავისი ემოციური სითბო. როგორც **შ. ჩხარტიშვილი** აღნიშნავს, სკოლაში პირველ დღეს მიღებულ შთაბეჭდილებებს ისეთი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, რომ ეს მოგონებები თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში არ იკარგება.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლისათვის კარგად მომზადებული ბავშვი, მოწოდებული არის ჩვეულებრივად აღიქვას მასწავლებლის როლი. ამ მხრივ რაც უფრო წარმოაჩენს თავს, როგორც მასწავლებელი, მით უფრო მეტად აფასებენ ამას ბავშვები. გავიხსენოთ, როგორ თამაშობენ ბავშვები სკოლობანას. როგორ სიამოვნებით აფასებენ ერთმანეთს, ამყარებენ კლასში დისციპლინას, ამისათვის კი იყენებენ სიმკაცრეს დროთა განმავლობაში ბავშვები რწმუნდებიან იმაში, რომ მასწავლებელი სინამდვილეში მათ კარგად ეპყრობა და ზრუნავს მათზე. თუ ასე არ არის, მაშინ მასწავლებელი არის არა მკაცრი, არამედ ავი, სწავლა არის აუტანელი და საერთოდ `საბავშვო ბაღში უკეთესი იყო`.

ბავშვების უფროსებთან ნებისმიერი ურთიერთობის შესწავლა შეიძლება სხვადასხვა ხერხით, მაგალითად: "აკრძალული სიტყვების" მსგავსი თამაში, როდესაც ბავშვები პასუხობენ უფროსების კითხვებს ისე, რომ არ იყენებენ წინასწარ მომზადებულ სიტყვებს. მსგავსი თამაშების დროს უფროსების კითხვებზე ბავშვების პასუხები და მათი ქცევა გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამენ ასეთ სიტუაციებში უფროსების პოზიციას, როგორ უპასუხობ "უაზრო კითხვებს" ისე, რომ არ დაარღვიონ თამაშის წესები.

ბავშვები, რომლებიც ფსიქოლოგიურად არ არიან მზად სკოლისათვის, ჩვეულებისამებრ "კეთილსინდისიერად" პასუხობენ უფროსების ნებისმიერ კითხვას, მაგრამ არღვევენ თამაშის წესებს. მათ არ შეუძლიათ ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომ უფროსების დასმული კითხვები ატარებს პირობით ხასიათს, ანუ ეს არის თამაშის გარკვეული წესი და მათზე უნდა ვუპასუხოთ ამ წესის შესაბამისად. ასეთი ბავშვებისათვის მთავარია პასუხის "სისწორე" და არა თამაშის წესების დაცვა. მართალია სწავლა არ არის თამაში, მაგრამ თამაშის წესების დაცვა გვეხმარება სწავლებაში. თამაშის მეთოდით სწავლება ბავშვებისათვის უფრო მისაწვდომია და მისი გამოყენებით სწავლა თანდათან გახდება ქცევის ძირითადი ფორმა.

ბავშვის სკოლისათვის პიროვნული მზადყოფნის მეორე უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ითვლება თანატოლებთან ურთიერთობის დონის განსაზღვრა. უფროს სკოლამდელ ასაკში სხვა ბავშვებთან ურთიერთობის მოთხოვნილება აშკარად გამოხატულია. თანატოლთა ჯგუფი შესაძლებლობას უქმნის ბავშვებს გამოამყლავნონ დამოუკიდებლობა, აქტიურობა, ინიციატივა და



ინდივიდუალური თავისებურებები. ჯგუფური საქმიანობით ყალიბდება თანატოლებით დაინტერესება, უვითარდებათ კეთილი დამოკიდებულება. სხვა ბავშვებთან დამოკიდებულება მნიშვნელოვანია თანატოლებთან დეცენტრაციის უნარის განვითარებისათვის. ეს არის სხვისი თვალსაზრისის გათვალისწინების უნარი, აღიქვას ესა თუ ის ამოცანა, როგორც საერთო, რომელიც მოითხოვს ერთობლივ საქმიანობას, შეხედოს საკუთარ თავსა და ქცევას გვერდიდან, სხვისი თვალთ.

სკოლაში ახლად მისული ბავშვები ჯერ კიდევ არ განიცდიან თავს კლასის სოციალური ჯგუფის წევრად. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კოლექტიურად მიცემულ დავალებებს ისინი საკუთარ თავზე არ იღებენ, საჭიროა თითოეულს ცალ-ცალკე განმარტოს რისი გაკეთება მოეთხოვება.

სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა ურთიერთსაქმიანობასა და თანამშრომლობას საერთო სასწავლო ამოცანების სიტუაციაში. თუ ბავშვი ერკვევა, რომ საქმიანობის მიზეზი ყველა მოსწავლისათვის არის საერთო, მაშინ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმარისად არის განვითარებული ბავშვში სხვა ბავშვებთან, თანატოლებთან ურთიერთობა, რომელიც აუცილებელია სკოლაში სწავლებისათვის.

თუ ბავშვში თანატოლებთან ურთიერთობის უნარი არ არის ჩამოყალიბებული, მაშინ მას გაუჭირდება, მაგ.: თანაკლასელის პასუხის მოსმენა, სხვის მიერ დაწყებული მონაყოლის გაგრძელება, ადექვატურად მოქცევა სხვა ბავშვების წარმატებასა და წარუმატებლობაზე (შური, დაცინვა, ხმაღალი მსჯელობა).

ბავშვების თანატოლთან ურთიერთობის დონის დასადგენად შეიძლება დავაკვირდეთ მის ქმედებას ჯგუფებში, სხვა ბავშვებთან ერთობლივ თამაშსა და საქმიანობაში.

სკოლაში შეყვანისას ტესტირების დროს ეს ამოცანა ვერ განხორციელდება. ამდენად ამ საკითხებისათვის საჭირო კითხვები შეიძლება დავუსვათ მშობლებს გასაუბრებისას. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. საჭიროა თანამშრომლობა გვექონდეს საბავშვო ბაღის ფსიქოლოგთან და მეთოდისტთან. დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისათვის ძალიან სასარგებლოა თუ ბავშვის დახასიათებაში აღნიშნულია მისი ურთიერთობა თანატოლებთან სხვადასხვა საქმიანობის თუ თამაშის (სიუჟეტურ-როლული და რაიმე წესებით) დროს. ესეც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დადიოდა ბაღში და მისთვის ფსიქოლოგს (ან აღმზრდელს) მიცემული აქვს დახასიათება.

თუ ჩვენ არ გვაქვს დახასიათება ან ბავშვი საერთოდ არ დადიოდა ბაღში, მაშინ ამ თვალსაზრისით ძალიან სასარგებლო და პროდუქტიულია, თუ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ორგანიზებას გაუკეთებენ სკოლაში წინასწარ მოსამზადებელ ჯგუფებს "პროგნოზიზებს", კურსებს, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მოამზადებს სკოლაში სწავლებისათვის. როგორც წესი, მსგავსი სახით მომზადებისას მასწავლებელს აქვს საშუალება დააკვირდეს ბავშვის ქცევას სხვადასხვა სასწავლო და არასაწავლო სიტუაციებში, ყურადღება მიაქციოს უფროსებთან და თანატოლებთან ერთობლივი საქმიანობის, ურთიერთობის თავისებურებებს.

სკოლისათვის პიროვნული მზადყოფნის მესამე კომპონენტი წარმოაჩენს ბავშვთა თვითშეგნების განვითარებას, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია მისი თვითშეფასების ცვლილებასთან. სკოლამდელთათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია საკუთარი თავისა და მისი შესაძლებლობების არაობიექტურად მაღალი შეფასება. "მე – ყველაზე ძლიერი ვარ ჯგუფში"; "ჩემი ნახატი ყველაზე საუკეთესოა" – ასეთია სკოლამდელების ტიპური გამოთქმები. ეს ხდება არა ზედმეტი თვითდაჯერებულობითა და ქედმაღლობით, არამედ ბავშვური თვითშეგნების სპეციფიკის შედეგად. საჭირო არ არის ვიბრძოლოთ ბავშვის მაღალ თვითშეფასებასთან, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არის არა ადეკვატური თვითშეფასება, საჭიროა მივიღოთ პოზიტიური თვითშეფასება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს თავისთავად, როგორც ამ ასაკის ბავშვების კრიზისის შედეგი.

ზოგიერთ სკოლამდელში შეინიშნება არამდგრადი და ზოგჯერ დაბალი თვითშეფასება. ჩვენი აზრით ეს მიგვითითებს არა თვითშეგნების ინტენსიურ განვითარებაზე, არამედ იმაზე, რომ ამ ბავშვებს მათ გარშემო მყოფი უფროსებისაგან აკლიათ თანაგრძნობა, სიყვარული და ყურადღება. ბავშვები განიცდიან ყოველივე ამის დეფიციტს, ისინი თავს ვერ გრძნობენ დაცულად.

მთელი სკოლამდელი ასაკის პერიოდში ბავშვში ჩამოყალიბებული დაბალი თვითშეფასება, შეიძლება გახდეს სკოლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზი. ის შეპყრობილია წარუმატებლობის შიშით, მისი უკუდურესი გამოხატულებაა – საერთოდ უარის თქმა რაიმეს გაკეთებაზე. ასეთი ბავშვები, როდესაც მოხვდებიან სკოლაში, უარს ამბობენ უპასუხონ ადგილიდან, უარს ამბობენ საკონტროლო წერის შესრულებაზე. ასეთი ბავშვი მზად არის ჰქონდეს ხულიგნისა და ზარმაცის სახელი, ვიდრე სწავლაში წარუმატებლისა. შესაბამისად ხშირად ტოვებს სახლში წიგნებს, რვეულებს და სხვადასხვა სასწავლო ნივთს.

ბავშვთა თვითშეფასებაზე წარმოდგენის მიღება შეიძლება სხვადასხვა ხერხით. მაგ.: შევთავაზოთ კიბე, რომლის ყველაზე მაღალ საფეხურზე დგანან ჯგუფის ყველაზე ძლიერი ბავშვები, ხოლო სულ ქვედაზე - ყველაზე სუსტები. ვთხოვთ თავი დასვას იმ კიბეზე, რომელიც მას შეეფერება. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თუ ტიპური სკოლამდელი ბავშვები თავიანთ თავს დასვამენ ყველაზე მაღალ საფეხურზე, 6-7 წლიანები თავიანთ თავს დასვამენ შუა საფეხურის ცოტა ზემოთ. სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა თვითშეფასებაში განსხვავება შეიძლება გავიგოთ, თუ ჩავვიძიებთ, რაში ხედავენ ისინი თავიანთი წარუმატებლობის მიზეზს. ტიპური სკოლამდელი ბავშვები ამბობენ, რომ ღობეს ისინი ვერ გადაახტნენ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი იყო, ან ვედრო ვერ ასწიენ, იმიტომ რომ ძალიან მძიმე იყო. უმცროსკლასელები მზად არიან მიზეზი ეძებონ არა მარტო გარე ფაქტორებში, არამედ საკუთარ თავში, თავიანთ თვისებებსა და შესაძლებლობებში.

#### ლიტერატურა:

1. ჩხარტიშვილი შ. – “სასკოლო ცხოვრების დასაწყისის ფსიქოლოგია” წიგნში – პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I – თბ. 1975წ.
2. ჩხარტიშვილი შ. – ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები – თბ. 1980წ.
3. Давидов В. – Психологические развитие младших школьников. – М. 1990г.
4. Крайг Грейс – Психология развития. – Санк. пет. 2002г.

#### რეზიუმე

ბავშვის პიროვნების ყველა პარამეტრის დახასიათებიდან და თავისებურებებიდან გამოვყოფთ 3 ძირითად პარამეტრს, რომელიც უფრო მეტად აუცილებელია სკოლაში სწავლებისათვის, ესენია: უფროსებთან ურთიერთობის უნარი; თანატოლებთან ურთიერთობის უნარი; თვითშეფასება, საკუთარ თავთან დამოკიდებულება.

ის ბავშვები, რომლებიც ყველა ასპექტით ჰარმონიულად არიან განვითარებული სწავლისათვის, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან ახალ ობიექტურ ვითარებასთან შეგუების თვალსაზრისით. ბავშვმა სრულიად ახლებური სოციალური ურთიერთობები უნდა დაამყაროს მასწავლებელთან, რადგან სწორედ ის უნდა დაეხმაროს ამ სირთულეების დაძლევაში. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლისათვის კარგად მომზადებული ბავშვი, მოწოდებული არის ჩვეულებრივად აღიქვას მასწავლებლის როლი.

თანატოლთა ჯგუფი შესაძლებლობას უქმნის ბავშვებს გამოამჟღავნონ დამოუკიდებლობა, აქტიურობა, ინიციატივა და ინდივიდუალური თავისებურებები. ჯგუფური საქმიანობით ყალიბდება თანატოლებით დაინტერესება, უვითარდებათ კეთილი დამოკიდებულება. სხვა ბავშვებთან დამოკიდებულება მნიშვნელოვანია თანატოლებთან დეცენტრაციის უნარის განვითარებისათვის. ეს არის სხვისი თვალსაზრისის გათვალისწინების უნარი, აღიქვას ესა თუ ის ამოცანა, როგორც საერთო, რომელიც მოითხოვს ერთობლივ საქმიანობას, შეხედოს საკუთარ თავსა და ქცევას გვერდიდან, სხვისი თვალთ.

მთელი სკოლამდელი ასაკის პერიოდში ბავშვში ჩამოყალიბებული დაბალი თვითშეფასება, შეიძლება გახდეს სკოლაში ბავშვის ჩამორჩენის მიზეზი. ის შეპყრობილია წარუმატებლობის შიშით, მისი უკუდურესი გამოხატულებაა – საერთოდ უარის თქმა რაიმეს გაკეთებაზე. ასეთი ბავშვები, როდესაც მოხვდებიან სკოლაში, უარს ამბობენ უპასუხონ ადგილიდან, უარს ამბობენ საკონტროლო წერის შესრულებაზე.

**Iagor Balanchivadze** – Akaki Tsereteli State University Academic Doctor of Education, Associated Professor

### **Pedagogical-Psychological Characterization of the First Graders' Personal Readiness**

We distinguish the following three main parameters from all the characteristic features and peculiarities of the child's personality those which are much more necessary for teaching at school: the ability for communicating with adults, the ability for communicating with peers, self-evaluation and attitude towards oneself.

The children developed harmonically for studying in all the aspects come across significant difficulties in respect of an adaptation to a new objective environment. A child has to establish a completely novel social relationship with a teacher. Since the latter is the right one who helps him/her to overcome these difficulties. It is worthy to note that a well-prepared child for school tends to perceive the teachers' role in a common way.

The peer group provides the opportunity for children to reveal independence, activity, initiative and individual characteristics. Through group work the capacity of being interested in the peers is formulated, children develop a kind attitude. The attitude towards the other children is important for developing the ability of decentrality with the peers. This is the ability for taking into consideration the others' ideas, perceiving this or that task as a shared one that requires the joint activity; s/he conceives the self and his/her own behavior on the side, in another's eyes.

The low level of self-evaluation developed within a child throughout the period of the preschool age may become the reason for a child's backwardness at school. S/he is obsessed with a fear of failure, his/her extreme expression is to refuse to do anything at all. The suchlike children being at school refuse to answer from the desk, to do a progress test.

**Ягор Баланчивадзе** – академический доктор образования, ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

### **Психолого- педагогическая характеристика личностной подготовки первоклассников**

Из характеристики и особенностей всех параметров личности ребенка выделяются три основных параметра, которые необходимы для обучения в школе: умение налаживания взаимоотношений с родителями, умение налаживать взаимоотношения с ровесниками, умение самооценки, взаимоотношение с самим собой.

Те дети, которые гармонично развиты по всем аспектам для обучения, сталкиваются со многими трудностями с точки зрения привыкания к объективным обстоятельствам. Ребенок должен установить новые социальные взаимоотношения с преподавателем, так как именно он должен помочь ему одолеть эти трудности. Надо отметить, что ребенок, который хорошо подготовлен к школе, воспринимает преподавателя без особых проблем.

Группа ровесников дает возможность детям выявить свою самостоятельность, активность, инициативу и индивидуальные особенности. При групповой деятельности формируется заинтересованность ровесниками, развиваются добрые отношения. Взаимоотношения с другими детьми важны для развития умения децентрации. Это – умение учитывать чужую точку зрения, воспринять ту или иную задачу, как общую, которая требует совместной деятельности, посмотреть на себя и на свое поведение со стороны, чужими глазами.

Низкая самооценка, сформированная в ребенке за весь период дошкольного возраста, может стать причиной отставания ребенка в школе. Его одолевает страх собственной несостоятельности, крайним выявлением которого является отказ от любой деятельности. Такие дети, поступая в школу, отказываются отвечать с места, отказываются писать контрольную работу.

**იმერი ბასილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ვლადიმერ ადგიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### **განათლების რეფორმა საქართველოში და ქართული სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალის დაარსების აუცილებლობა**

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სასკოლო განათლების სისტემაში რამდენჯერმე განხორციელდა რეფორმა, რომლებიც უშედეგოდ დასრულდება. გამონაკლისი, ჩვენი აზრით, ამ ბოლო დროს განხორციელებული რეფორმაა, რომელსაც ძალზედ მძიმე შედეგები მოჰყვა, დაინგრა, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების სისტემა.

განათლების სისტემის დანგრევის, განათლების ხარისხის დაცემის მიზეზი ვფიქრობთ, რომ არის არა განათლების სისტემა, პედაგოგიკური კოლექტივები, არამედ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“.

ბუნებრივია თითოეულ ჩვენგანში ჩნდება კითხვა რა იყო ამ უშედეგობის მიზეზი? მიზეზი ჩვენი აზრით ძალზედ ბევრია, მაგრამ განვიხილავთ რამდენიმეს:

1. მეცნიერ-პედაგოგთა ნოვატორული იდეების მიზანშეუწონლობა მაშინდელ პოლიტიკურ სისტემასთან;
2. XXI საუკუნის განათლების პრობლემა ის არის, რომ მან საფუძველი გამოაცალა ტრადიციულ სკოლას;
3. ამჟამინდელი რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა არის ის, რომ ყველა სარეფორმო დოკუმენტმა უარყო პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება და როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლას წაართვა ამღვრდელი ფუნქცია;
4. გაწყდა კავშირი ოჯახს, სკოლასა და უნივერსიტეტს შორის, უგულვებლყვეს პროფესიონალ - მეცნიერ-პედაგოგების რჩევები;
5. გლობალიზაციის პირობებში სწორად ვერ განვსაზღვრეთ, როგორი ადამიანი უნდა აღვზარდოთ;
6. ქვეყანაში არ არის, ისეთი ქართული სამეცნიერო-პედაგოგიკური ჟურნალი, რომელიც საზოგადოებას სწორად განუმარტავდა საქართველოში განათლების სისტემაში არსებულ პრობლემატიკას და მომავალ პერსპექტივებს.

ჩვენ შევეცდებით მოკლედ ავხსნათ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები:

მეოცე საუკუნეში განხორციელებული რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ რეფორმატორული იდეები მიუღებელი აღმოჩნდა მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის;

განათლების სისტემაში, მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებასთან ერთად, პროცესი, ჩვენი აზრით, უნდა დაეფუძნოს ქართულ ეროვნულ ფასეულობებს, გავითვალისწინოთ მემკვიდრეობითობის პრინციპი, მაგრამ განათლების სისტემის გარდაქმნის პროცესი არ უნდა დარჩეს მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში. უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო პროცესები, გლობალიზაცია, დემოკრატიზაცია და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება.

შევქმნათ, ისეთი განათლების სისტემა, რომელიც მასწავლებლისა და მოსწავლის ინდივიდუალურ და ერთობლივ შემოქმედებითობას დაეფუძნება და მოსწავლეთა ინტერესებით იქნება ნაკარნახევი;

ამჟამად მოქმედმა საქართველოს კანონმა „ზოგადი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ უარყო პედაგოგიკა როგორც მეცნიერება, მისი მიღწევები სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე. ჩვენი აზრით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში გატარებული რეფორმები არის სხვათაგან თავსმოხვეული, რასაც ხელი შუწყო ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ, განათლების დარგის ახლად გამოჩვეულმა ხელმძღვანელებმა. ფაქტიურად გაუქმდა, პედაგოგიური აზროვნების, ეროვნული ცენტრი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.



თუ გვინდა სწორად გადავწყვიტოთ კონკრეტული პედაგოგიურ პრობლემები რა ვასწავლოთ?, როგორ ვასწავლოთ? და როგორ აღზარდოთ და ა.შ. ამის გასარკვევად ფუნდამენტური პედაგოგიური კვლევა საჭირო, ხოლო ამისათვის კი- სულ ცოტა: ა) პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიეცეს სრული ფუქციური დატვირთვა, ბ) აღდგეს პედაგოგიური უნივერსიტეტები, რაც ქვეყანას დაეხმარება იმაში, რომ პედაგოგიკის მეცნიერებამ, მასწავლებელმა საზოგადოებაში დაიბრუნოს კუთვნილი ადგილი.

სკოლას წაართვეს აღმზრდელობითი ფუნქცია. საკანონმდებლო აქტებიდან ამოიღეს ტერმინი „აღზრდა“ და იგი „განვითარებამ“ შეცვალა. არადა დასაბამიდან აღზრდა სკოლის უმთავრესი ფუნქციაა. აღზრდის გარეშე ადამიანის მოდგმა სოციალურ არსებად ვერ იქცევა. ჩვენ, აქ კვლევის ფორმატიდან გამომდინარე არ შევუდგებით აღზრდის მიზნების და ამოცანების დახასიათებას. მხოლოდ ავლნიშნავთ, რომ ის არის მიზანმიმართული პროცესი და ემსახურება პიროვნების გონებრივად, ზნეობრივად, ფიზიკურად და ესთეტიკურად ჩამოყალიბებას. ამავე პერიოდში სკოლამ უარი თქვა - აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტზე - შრომით აღზრდაზე. ამას დაემატა პატრიოტული აღზრდის უარყოფა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი სპეციალურად ტოვებს საგნებს (კრედიტებს) აუთვისებელს, იღებს დამატებით სემესტრებს და თავს აცილებს სამხედრო სავალდებულო-სამსახურში წასვლას. ე.ი. შეგნებულად უარს ამბობს სამშობლოს დაცვაზე.

შემოდებული იქნა თორმეტწლიანი სასკოლო განათლება. მისი შემოდების აუცილებლობა არავის დაუსაბუთებია, არადა მეთორმეტე კლასმა, როგორც კი ფუნქციონირება დაიწყო მაშინვე ნათელი გახდა, რომ მეთორმეტე კლასს არავითარი ფუნქცია არ ჰქონდა.

განათლების მაშინდელმა მესვეურებმა უბრალოდ, მარტივად დაადგინეს ექვსი წლის ნაცვლად სასკოლო სწავლება ხუთი წლის ასაკში დაეწყოთ. არადა კარგა ხანია დადგენილია, რომ სწავლის დაწყების ასაკი ჩვენს რეგიონში ექვსი წელია.

ბავშვის აღზრდა მრავალმხრივი პროცესია. იგი პიროვნების მიერ ქვეყნისა და მოქმედების გარკვეული სისტემის, ნორმებისა და ფასეულობების ათვისების პროცესია, რომელიც აძლევს მას საზოგადოების ღირსეული წევრობის უფლებას.

დღეს, სადაც მეცნიერულად დასაბუთებულად შეიძლება წარიმართოს მოზარდის სოციალიზაცია სკოლაა, ხოლო ის უჯრედი, სადაც ფეხს იდგამს ბავშვი და იწყებს სამყაროს შეგნობას - ოჯახი, რომლის გავლენა ხშირად ვერ არის მიმართული სახელმწიფოს ეროვნული განათლების პოლიტიკისაკენ. აქედან გამომდინარე სკოლისა და ოჯახის პედაგოგიური თანამშრომლობა ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს აქტუალურია. იგი ბავშვის აღზრდის მართებულად წარმართველი ძალაა. პედაგოგიკა კი ყოველთვის აღიარებდა და აღიარებს გარემოს როლს პიროვნების ფორმირებაში.

დღევანდელი ოჯახები განსახვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სულ უფრო და უფრო აღინიშნება სწრაფვა ნუკლეარული ოჯახისაკენ. ბებია-ბაბუას განცალკევებისაკენ, რაც ამორებს მოზარდს გამოცდილებასთან, დაგროვილ ცოდნა-სიბრძნესთან, ზნეობრივ ურთიერთობებთან და ჩვევებთან.

ბავშვის ჰარმონიული აღზრდა შესაძლებელია სკოლის პედაგოგთა მიერ მშობლებთან და ოჯახთან წარმართული მუშაობით. აღვადგინოთ აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში. სკოლის მუშაობის ცენტრში დავაყენოთ ბავშვის პიროვნება. სკოლის ფსიქოლოგებმა უნდა შეისწავლონ ბავშვის ინტერესები.

ჩვენს მიერ რეგიონში ჩატარებული გამოკითხვებით, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მომავალი თაობის აღზრდაზე, გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობს - ოჯახი და სკოლა. არადა დღევანდელი მონაცემებით სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობა მჭიდრო ხასიათს არ ატარებს. უფრო მეტიც ის ფორმალური ხასიათის მატარებელია. ზოგადად მშობელს სკოლის იმედზე ჰყავს ბავშვი მიტოვებული.

ასეთ კრიზისულ მდგომარეობას, ისიც დაემატა, რომ სკოლაში უნივერსიტეტიდან მიდის კურსდამთავრებული, რომელსაც არ აქვს პედაგოგიური განათლება მიღებული. რაც კიდევ უფრო აძლიერებს პრობლემას, კავშირს უნივერსიტეტსა და სკოლას შორის.

ჩვენი აზრით შეუძლებელია აღზრდის პრობლემების ოჯახში, სკოლაში და უნივერსიტეტში ცალ-ცალკე განხილვა და გადაწყვეტა, რადგან ყველა შემთხვევაში პიროვნების ფორმირების პროცესთან გვაქვს საქმე.

სკოლისა და ოჯახის ერთობლივ მუშაობაში უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტის მეცნიერ-პედაგოგები და მათი კვალიფიციური რჩევები. უნივერსიტეტმა უნდა აღზარდოს მასწავლებელი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშობელთა პედაგოგიზაციის საქმეს, მათში ელემენტარული პედაგოგიური კულტურის ამაღლებას.

მიგვაჩნია, რომ ოჯახმა, სკოლამ და უნივერსიტეტმა ერთობლივი მუშაობა უნდა აწარმოონ „სრულყოფილი მამულიშვილის“ აღზრდა-განათლებისათვის.

თანამედროვე სკოლამ თავის მიზნად დაისახა მსოფლიო მოქალაქის აღზრდა, რომელიც მხოლოდ ისეთ ღირებულებებზე უნდა აღიზარდოს, რომ არ იცნობდეს საკუთარ ისტორიულ ტრადიციებს, მოწყდეს ისტორიულ ფესვებს. ასეთი მოქალაქე კი ეროვნული ქართულ სახელმწიფოს მშენებლად ვერ გამოდგება.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განვსაზღვროთ მიზანი, თუ როგორი ადამიანის აღზრდა გვსურს. ამ მიზანში უნდა ჩავდოთ პატრიოტული მუხტი, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრივი შენებისა და განვითარებისათვის იქნება მისაღები. და განსაზღვრავს იმ არსს, რომელიც საჭიროა განათლების სისტემის განვითარებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შეიცვალოს ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლისა და მოსწავლისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დამოკიდებულება, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მასწავლებლის პროფესია უნდა გახდეს პრივილეგირებული პროფესია, მასწავლებლის ანაზღაურება უნდა გაიზარდოს ისე, რომ ის მიუახლოვდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მასწავლებლის ხელფასის დონეს. უნდა შეიცვალოს მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა. გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის როლი, შეიცვალოს პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურა, შინაარსი და პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების მეთოდიკა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აზრით, რომ გადაურჩეს ქართველი ერი გლობალიზაციის მძაფრ შეტევას, ქვეყანას სჭირდება, ისეთი განათლების სისტემის დანერგვა და განხორციელება, რომელიც დაეფუძნება პედაგოგიკისა და სწავლა-აღზრდის ფასდაუდებელ მემკვიდრეობას და იმ უცხოურ სისტემებს, რომელიც მისაღები იქნება საქართველოსათვის. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების აღმზრდელობითი გზების ძიებას.

დღეს განათლების სისტემის ჩინოვნიკები ჯიპებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ბავშვებზე. როცა მძღოლს ირჩევენ არკვევენ სულელი ან ავკოპოლის მოყვარული ხომ არ არის, ხოლო როცა მასწავლებლად აპყავთ სამსახურში ირჩევენ ნებისმიერს და არ ფიქრობენ, რომბავშვის აღზრდაზე უფრო დიდი ხელოვნება არ არსებობს.

ჩვენ დღეს, განათლების სისტემაში არსებულ უამრავ პრობლემათაგან, რამდენიმე პრობლემა წარმოვაჩინეთ. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემათა მოგვარებას, გარკვეულ წილად, ხელს შეუწყობს ქართული სამეცნიერო პედაგოგიკური ჟურნალის დაარსება, სადაც კრიტიკულად იქნება განხილული, გაანალიზებული და წარმოჩენილი ყველა პრობლემა.

უფრო სრულყოფილად, რომ წარმოვაჩინოთ პრობლემა მკითხველისათვის მცირეოდენ ექსკურსს გავაკეთებ ქართული პედაგოგიური პრესის ისტორიიდან.

საქართველოში პირველი პედაგოგიური ბეჭდვითი ორგანო ჟურნალი „განათლება“ გამოვიდა (1908-1921 წწ.). ბუნებრივია, მას არ შეეძლო მოზარდის თაობის სწავლებისა და აღზრდის ყველა მხარე სათანადო სისრულით გაემუქებინა. იმ პირობებში, როცა სასკოლო ასაკის ბავშვთა უმრავლესობა სკოლის გარეთ იყო დარჩენილი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო აღზრდის საკითხების შესწავლა-განხილვას. სწორედ ამ ამოცანის განხილვა დაისახა მიზნად ჟურნალმა „სკოლა და ოჯახი“, რომელიც 1916 წლის 10 აპრილს გამოვიდა ქუთაისში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წლების განმავლობაში გამოდიოდა სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, რომელიც ღირსეულად ასრულებდა თავის მისიას

მომავალი თაობების ფორმირების საქმეში. XX ს-ის 90-იანი წლებიდან ჟურნალი გაუქმდა. გამოვიდა ახალი ჟურნალები: „საზრისი“, „ინტელექტი“, „მეცნიერება და ცხოვრება“, „მასწავლებელი“.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ახლად დასახელებული ჟურნალები სრულად ვერ პასუხობენ, ზემოთ არსებულ პრობლემებს, ვინაიდან ისინი მხოლოდ პედაგოგიურ პრობლემებს არ განიხილავენ. ზოგი მათგანი დღევანდელი პოლიტიკური კურსით განიხილავს აღზრდისა და სწავლების პრობლემებს.

ჩვენ გამოვიკითხეთ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი. გამოვიკითხე დაადასტურა, რომ საჭიროა, ისეთი სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის დაარსება, რომელიც განიხილავს დღეს არსებულ პრობლემებს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ჩვენი შეხედულებით, ასეთი ჟურნალი უნდა დაარსდეს ქუთაისში, რომლის სახელწოდება იქნება „ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი“.

ჟურნალის დაარსების ორგანიზატორები იქნებიან ქუთაისში მოღვაწე პედაგოგები და მის საქმიანობაში ჩაერთვება მთელი საქართველოს ინტელიგენცია, ვისთვისაც ძვირფასია „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის საშვილიშვილო საქმე.

ჟურნალი ამოცანად არ ისახავს, მხოლოდ საოჯახო და სასკოლო აღზრდის საკითხების მეცნიერულ-პედაგოგიური ცოდნის ქვეყანაში გავრცელებას, არამედ მასწავლებელთა თეორიულ-პედაგოგიური მომზადების დონის ამაღლებას და ამით იმ წინააღმდეგობის შევსებას, რომელიც არსებობს სკოლას, ოჯახს, უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის. ჟურნალი საშუალებას მოგვცემს სკოლის მასწავლებლების დაახლოებისა და მათი პრობლემის, სატკივარის გადმოცემა-გაზიარებისა პედაგოგიურ ასპარეზზე.

ჟურნალი „ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი“ გამოვა შემდეგი პროგრამით: სწავლებისა და აღზრდის საკითხები, სკოლა და ოჯახი, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, წარსულის ფურცლები, უმაღლესი სკოლა, პრაქტიკა და გამოცდილება, ინოვაციებისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიები, სკოლის, ოჯახის, საზოგადოების და ეკლესიის როლი აღზრდაში, მშობელთა პედაგოგიზაცია, სასკოლო სახელმძღვანელოები, მინდა აზრი გამოვთქვა, საბავშვო ნაწარმოებები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

#### ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., სოხაძე ნ., ქრისტიანული აღზრდა ოჯახში. ოჯახი - მცირე ეკლესია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“-№ 2, 2010 წ.
2. ბასილაძე ი., „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის პრობლემა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე №1, ქუთაისი 2013.
3. მენთეშაშვილი ლ., კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მშობლებთან, თბილისი, 1987 წ.
4. ცუცქირიძე ზ., საქართველოში დაგეგმილი სასკოლო რეფორმის საბედისწერო ორიენტაციები, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი, სამი საუნჯე, №4, 2013 წ.

#### რეზიუმე

ჩვენ დღეს, განათლების სისტემაში არსებულ უამრავ პრობლემათაგან, რამდენიმე პრობლემა წარმოვაჩინეთ. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემათა მოგვარებას, გარკვეულ წილად, ხელს შეუწყობს ქართული სამეცნიერო პედაგოგიკური ჟურნალის დაარსება, სადაც კრიტიკულად იქნება განხილული, გაანალიზებული და წარმოჩენილი განათლების სისტემაში არსებული პრობლემები..

ჩვენი შეხედულებით, ასეთი ჟურნალი უნდა დაარსდეს ქუთაისში, რომლის სახელწოდება იქნება „ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი“.

ჟურნალის დაარსების ორგანიზატორები იქნებიან ქუთაისში მოღვაწე პედაგოგები და მის საქმიანობაში ჩაერთვება მთელი საქართველოს ინტელიგენცია, ვისთვისაც ძვირფასია „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის საშვილიშვილო საქმე.

ჟურნალი „ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი“ გამოვა შემდეგი პროგრამით: სწავლებისა და აღზრდის საკითხები, სკოლა და ოჯახი, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, წარსულის ფურცლები, უმაღლესი სკოლა, პრაქტიკა და გამოცდილება, სასკოლო სახელმძღვანელოები, მინდა აზრი გამოვთქვა, საბავშვო ნაწარმოებები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**Имер Басиладзе** - Государственный университет Акакия Церетели, профессор  
**Владимир Адеишвили** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **Реформа образования в Грузии и необходимость основания грузинского научно-педагогического журнала**

#### **Резюме**

Мы сегодня на рассмотрение вынесли несколько проблем из тех множественных, которые существуют в системе образования. Думаем, что содействие разрешению этих проблем в какой-то мере окажет основание грузинского научно-педагогического журнала, где критически будут рассмотрены, проанализированы и представлены существующие в системе образования проблемы.

Согласно нашего мнения, такой журнал резонно основать в Кутаиси, название которому будет «Семья, школа, университет».

Организаторами журнала будут работающие в Кутаиси педагоги, а привлечены в его деятельность будет грузинская интеллигенция, для которой дорогое дело «воспитания нового грузина».

Журнал «Семья, школа, университет» выйдет по следующей программе: вопросы обучения и воспитания, школа и семья, наша школа, школа зарубежья, летопись прошлого, хочу высказать мнение, детские произведения, критика и библиография.

**Prof. Imeri Basiladze** - Akaki Tsereteli State University

**Associate Prof. Vladimer Adeishvili** - Akaki Tsereteli State University

### **Educational Reform in Georgia and the Demand for a Georgian Pedagogical and Research Publication**

#### **Abstract**

We have identified several of the problems existing in the field of education in Georgia. We believe that publishing a Georgian pedagogical and research journal providing critical evaluation and analysis of challenges in the field of education would contribute to solving these problems.

It is our position that such a journal needs to be published in Kutaisi under the name of "Family, School, University".

The publication initiated by educators working in Kutaisi will attract and involve intellectuals from the whole of Georgia who are dedicated to the noble cause of bringing up and educating "a new Georgian".

Journal "Family, School, University" will cover the following areas: issues in teaching and education, school and family, our school, school abroad, notes from the past, higher education, practice and experience, school textbooks, my personal opinion, children's books, critique and bibliography.



**ნაზიკო ბერიკაშვილი** - გორის რაიონის სოფ. ტინისხიდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

### კვლევისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

განათლების ექსპერტები და სპეციალისტები ფიქრობენ იმ უნარებზე, რომელთა განვითარებაც მყარ საფუძველს ჩაუყრის მოსწავლის მიერ ღირებული ცოდნის მოპოვებას, წარმატებულ პროფესიულ საქმიანობასა და XXI საუკუნის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

აშშ-ში ჩამოყალიბდა XXI საუკუნის უნარების კონცეფცია, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლის მზაობა ახალი საუკუნის ამოცანების განსახორციელებლად, თუ გამოწვევების დასაძლევად. ამ მიდგომაში გამოყოფენ XXI საუკუნის უნარების სამ კატეგორიას:

- 1) სწავლისა და ინოვაციების უნარები;
- 2) ინფორმაციის, მედიისა და ტექნოლოგიური უნარები;
- 3) ცხოვრებისა და კარიერის უნარები.

განვიხილავთ პირველ კატეგორიას, რომელშიც გამოიყოფა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და კოლაბორაცია (თანამშრომლობითი სწავლება).

კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრისათვის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სწორად შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება, ეფექტურად უნდა გაანალიზონ და შეაფასონ არგუმენტები, მტკიცებები და წარმოდგენები, ალტერნატიული თვალთახედვები, მოახდინონ ინფორმაციისა და არგუმენტების დაკავშირება და სინთეზირება, სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრა როგორც აღიარებული, ასევე ინოვაციური მეთოდებით, უნდა გამოკვეთონ მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც ცხადყოფენ არგუმენტებს და ხელს უწყობენ პრობლემის გადაწყვეტას.

ეფექტური გუნდური მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და კოლაბორაციული სწავლების განვითარება და მართვა, დანიერ გოულმანის სიტყვებით, მაღალი ხარისხის ემოციურ ინტელექტს მოითხოვს, რომლის 5 ძირითადი კომპეტენციაა:

- 1) იცოდე და შეგეძლოს საკუთარი ემოციების გამოხატვა;
- 2) სხვისი ემოციების მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა;
- 3) ემოციების გაკონტროლება და რეგულირება;
- 4) საკუთარი თავისა და სხვების მოტივირების უნარი;
- 5) სოციალური უნარ-ჩვევების ფლობა, რომელთა მეშვეობითაც პირველი ოთხი კომპეტენციის ქმედებაში მოყვანა შეიძლება.

პრობლემის გადაჭრა გონებრივი აქტივობაა, რომელიც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობითაა გამოწვეული და სასურველი „სამიზნე მდგომარეობის“ მიღწევისკენაა მიმართული. ადამიანი აგებს და ხვეწს პრობლემური სიტუაციის „მოდელს“. პრობლემის გადაჭრის ამოცანის წინაშე დადგომისას, ადამიანი არსებულ მდგომარეობას ანალიზებს, გამოავლენს შემზღვეველ ფაქტორებს, აგროვებს ინფორმაციას, აყალიბებს ერთ ან მეტ ჰიპოთეზას და საბოლოო მიზნის მიღწევამდე ამოწმებს მას.

პრობლემის წარმოდგენა ისეთი არგუმენტის ან განაცხადის სახით შეიძლება, რომელიც სრულყოფილად მოიცავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას. არგუმენტის დადასტურება ან შემოწმება შეუძლებელია იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი არსი: იქნება ის ლიტერატურული ან ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაცია პოზიცია სადავო საკითხთან დაკავშირებით, თუ რთული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული წინადადება. ამდენად, აუცილებელია, არგუმენტი სათანადო მსჯელობითა და ფაქტებით იყოს გამყარებული.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა პირველად გამოიყენეს კანადელმა სპეციალისტებმა. კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიდგომით განათლებამიღებული მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ პროფესიულ ცხოვრებაშიც და აკადემიურ სფეროშიც. მას ახასიათებს სამი ძირითადი ასპექტი:

- 1) სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- 2) მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში;

3) მასწავლებელი არის „ფასილიტატორის“ როლში, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი (**ჯანაშია, 2008, 5**).

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სხვადასხვა საგნით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს გამიზნულად, იგი ავითარებს ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარს (**გიუნაშვილი, კოკილაშვილი, 2010:106**).

დასმული პრობლემა მოსწავლეებს უზიჰგებს მოიძიონ და შეიძინონ ახალი ცოდნა, ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნის სანაცვლოდ მოახდინონ დასმული პრობლემის ინტერპრეტირება, მოაგროვონ საჭირო ინფორმაცია, ააგონ მოდელი, გამოთქვან ვარაუდი, შეაფასონ და შეადარონ შესაძლო შედეგები და გააკეთონ დასკვნები. ამ პროცესში ცოდნის შექმნა ხდება ევრისტიკულად.

პრობლემა არსებობს მაშინ, როცა მოსწავლე გამოთქვამს დაინტერესებას, ავლენს ცნობისმოყვარეობას და არ იცის, როგორ გადაჭრას რაიმე საკითხი.

ფსიქოლოგიაში პრობლემის გადაჭრის პროცესებს აღწერენ ციკლის საშუალებით (**ჯანაშია, 2008:14**), რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა, რაც გულისხმობს შეკითხვების დასმას, პრობლემების დანაწევრებასა და პრიორიტეტის მიხედვით დალაგებას;

2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა - საწყისი და საბოლოო საფეხურის, აღწერა და ვიზუალურად, ან ვერბალურად წარმოდგენა;

3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება. მოსწავლემ უნდა მოახერხოს პრობლემის გადაქცევა ამოცანად, გამოჯნოს, რა არის ცნობილი და რა საძიებელი, ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება;

4. შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება.

მოსწავლეს შეუძლია ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოაჩინოს ყველა ორიგინალური იდეა, არასტერეოტიპული ანალოგია და ასოციაცია;

5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან, რისკის განსაზღვრა, მისაღები სტრატეგიის შერჩევა და მისი დამაჯერებლობის დასაბუთება;

6. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა, ამ გეგმის სხვისთვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა;

7. შედეგების შემოწმება და შეფასება.

მოსწავლემ უნდა განხორციელოს ინდიკატორების შემოწმება, რამდენად რეალური იყო გეგმა და შეაფასოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც მას უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რაც აქვს, ამ პროცესში იგი აქტიურია, ეძებს საჭირო ინფორმაციას - წიგნებს, გამოკვლევებს, ელექტრონულ ინფორმაციას და ახალი ცოდნაშემქმნილი უბრუნდება პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეს ვასწავლოთ აზროვნება აზროვნების შესახებ (მეტაკოგნიცია), რომელიც მოიცავს: პრობლემის არსებობის აღიარებას, გაცნობიერებას, სტრატეგიის არჩევას, გონებრივი რესურსების განაწილებას, პრობლემის გადაწყვეტის მსვლელობის კონტროლსა და ეფექტიანობის შეფასებას. როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, ხდება სწავლა - მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვა, რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს.

პროფესიონალ მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავისი პროფესიული შესაძლებლობების სწორად შეფასება. მან უნდა იცოდეს, რომელ სფეროებში არის კომპეტენტური და რომელ სფეროში სჭირდება

უფრო გამოცდილი კოლეგის რჩევა. კრიტიკა უნდა მიიღოს როგორც სასარგებლო რამ და არა, როგორც პიროვნული თავდასხმა. მკაფიოდ უნდა ხედავდეს განსხვავებას საკუთარ იდენტობასა და პროფესიულ როლს შორის (თერნბული, 2009:15).

მასწავლებლებისათვის მუდმივი პრობლემაა ტრადიციულ საგანმანათლებლო პრინციპებსა (დიდი რაოდენობით ფაქტების ცოდნა, დაზეპირებული მასალის ზუსტად გახსენება, სტანდარტული მეთოდების ზუსტი გამოყენება) და შემოქმედებითობაზე ორიენტირებულ პრინციპებს (მაგ. პრობლემის აღმოჩენა, მოულოდნელ კითხვებზე პასუხების გაცემა, ტრადიციულად იზოლირებული სფეროების დაკავშირება) შორის ჭიდილი (კროპლი, 2010:149).

პროექტებზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მართვის დამოუკიდებლობის მინიჭება ზრდის მათ პასუხისმგებლობას და უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს. ისინი არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესისი სადავეები მათ ხელშია. ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს. მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მათი დაკავება.

წარმატებული სასკოლო პროექტის ინდიკატორად, კვლევის პროცესის გვერდით, პროექტის პროდუქტი მოიაზრება, რომელიც პრობლემის რაობას წარმოაჩენს და კვლევის უნიკალური მეთოდებს შემოგვთავაზებს, ამავე დროს პროექტის პროდუქტი მორგებული უნდა იყოს მოზარდების გემოვნების, ინტერესების სფეროს და წარმოდგენილი იყოს მათთვის სასურველი ფორმატით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებასა და დისციპლინათაშორისი გამოცდილებების გამთლიანებას. პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა კვლევის ფოკუსში ექცევა, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით, არამედ სხვადასხვა საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პროაქტივაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სისტემაში, სადაც საგნობრივი ინტეგრაციის დიდი გამოცდილება არსებობს.

პროექტებზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ხელსაყრელია ტერიტორიულად ახლომდებარე სკოლებისათვის. დავალებები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი. დავალების ეფექტური ფორმები შეიძლება იყოს: ერთობლივი და შედარებითი კვლევები, ერთობლივი პრეზენტაციები, ერთობლივი ვიზიტები მუზეუმებში, არქეოლოგიური გათხრების ადგილებში, ლაბორატორიებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ა. შ.

იმისათვის, რომ სკოლებმა ეფექტურად ითანამშრომლონ, აუცილებელია:

ა) თანამშრომლობის დეტალურად გაწერილი გეგმის შედგენა, რომელიც წინასწარ შეთანხმებულ მიზნებსა და ღირებულებებს დაეფუძნება;

ბ) თანამშრომლობის ქსელში ჩართულ სკოლებს შორის კომუნიკაციის სტანდარტების შემუშავება;

გ) თითოეული ჩართული მხარის თანაბარი პასუხისმგებლობა და მონაწილეობა;

დ) თანამშრომლობის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება;

ე) წარმატების კრიტერიუმების დადგენა თანამშრომლობის დაგეგმვის ეტაპზე.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დადებითი მხარეებიდან შეიძლება გამოვყოთ:

ა) ეს მოდელი ავითარებს ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებს (ბლუმის მიხედვით - ანალიზი, სინთეზი და შეფასება), კრიტიკული და სამეცნიერო აზროვნების უნარ-ჩვევებს;

ბ) იძლევა თეორიისა და პრაქტიკის გამთლიანების შესაძლებლობას. მოსწავლეს აძლევს არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის შერწყმისა და კონკრეტულ საგანში მსჯელობის უნარ-ჩვევებს;

გ) მოსწავლეები სწავლობენ დროის მართვას, ამოცანაზე კონცენტრირებას, მონაცემების შეგროვებას, ანგარიშის მომზადებასა და შეფასებას;

დ) მოსწავლეებს უვითარებს სწავლის უნარ-ჩვევებს, რითაც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუძლია „უწყვეტი განათლების“ მიღება.

თანამშრომლობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ სკოლებსა და მონაწილე ჯგუფებს აქვთ საკმარისი მოტივაცია და დამატებითი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა. კვლევებმა აჩვენა, რომ თანამშრომლობის შედეგები გაცილებით მაღალია იმ სკოლებში, სადაც თანამშრომლობის ინიციატივა სკოლისაგან, ან შესაბამისი მონაწილე ჯგუფისაგან მოდის და არ არის განპირობებული გარე ზეწოლით.

სწორედ ასეთი პროექტი განახორციელეს ტინისხიდისა და ახალდაბის საჯარო სკოლების II და III საფეხურის მოსწავლეებმა, რომელთაც პირადი სურვილით შეისწავლეს საკუთარი სოფლების ისტორია, მისი წარსული და აწმყო. სკოლათაშორის პროექტზე „ნორჩი მემატანე“ მუშაობა გრძელდებოდა ორი თვის განმავლობაში, რომლის დასრულებისთანავე ჩატარდა კონფერენცია ტინისხიდის საჯარო სკოლაში. ორივე სკოლის მოსწავლეებმა წამოჭრილი პრობლემები გაითავისეს, წარმატებით გაართვეს თავი დასახულ მიზნებს და მეტ-ნაკლებად მიაღწიეს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რასაც პროექტის ხელმძღვანელები ვგეგმავდით.

### ლიტერატურა

1. გიუნაშვილი ზაქარია, კოკილაშვილი ლაშა. ცოდნის კონსტრუირება პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლებისას, კრებულში: „დიალოგი+ალმანახი“, სტატიების კრებული 2009-2010, ტ. II, თბ., 2010;
2. თერნბული ჯეკი. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, თბ., 2009;
3. კროპლი არტურ, კროპლი დევიდ, შემოქმედებითობის სტიმულირება შეფასების მეშვეობით, კრებულში: სტატიები განათლების საკითხებზე, თბ., 2010;
4. ჯანაშია ს., სამაგლიშვილი შ., წერეთელი მ. და სხვ., პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ნაწილი II, თბ., 2008.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია საგანმანათლებლო სისტემისა და სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი.

შესაბამის ლიტერატურასა და პირად პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაცია, მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. პრობლემის გადაჭრის ძირითადი სტრატეგიები, კრიტიკული აზროვნების ძირითადი მახასიათებლები: აქტივობის მიზანი, აქტივობის პირობა, პრობლემის გადაჭრის ეტაპები. კრიტიკული აზროვნება, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ფორმა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ამ პროცესში, მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები ჭარბი ინფორმაციის გადამუშავების თვალსაზრისით.

### Resume

The article reviews the students' critical thinking, as one of the problematic issues of the educational system and teaching-learning process.

Students' motivation of problem-based learning and its involvement in the learning process is analyzed, based on the relevant literature and personal teaching experience. The main strategies of problem-solving, the main features of critical thinking: the aim of the activity, activity condition, problem solving stages. Critical thinking, as one of the form problem-solving, the use of modern technologies in the process, its benefits and challenges in terms of surplus information processing.



**დარეჯან გელაძე** - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

### საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი

საზოგადოების დამოკიდებულების თემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი აქტიური პრობლემაა. E პრობლემები გუშინ და დღეს არ დაწყებულა მას გაცილებით დიდი და შეიძლება უხსოვარი ისტორია აქვს. ჩვენთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს მისი შესწავლა, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწოდეთ დღევანდებლობას და აღმოვაჩინოთ საიდან და როგორ გაჩნდნენ ან რამ გამოიწვია ამა თუ იმ სტერეოტიპისა და ნეგატიური დამოკიდებულების წარმოშობა. ისინი ხომ საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდნენ და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამას ხელს უწყობდა საზოგადოება.

ანტიკური სამყარო ქადაგებდა „მშვენიერი სხეულის“ კულტს. გამეფებული იყო მოსაზრება, რომ „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“, ამიტომ ერთგვარი სკულპტურული ხედევა იყო დამკვიდრებული და ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც რაიმე სახის ფიზიკური შეზღუდვა, განსხვავებულობა ცოდვით ითვლებოდა. ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები განიცდიდნენ დისკრიმინაციის უდიდეს ფორმებს და ყველასგან გარიყულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“ ამ დებულების ტრფობა კარგად ჩანს ანტიკურ სკულპტურებშიც. სადაც იდეალური სხეულის გამოქანდაკება ითვლებოდა, ყველაზე დიდ და უნიკალურ ხელოვნებად. ასეთი მიდგომა ნერგავდა მოსაზრებას, რის მიხედვითაც კარგი იყო ის, რაც საამო იყო საცქერლად, ხოლო რის დანახვასაც არ შეეძლო აღფრთოვანებაში მოეყვანა მნახველი, გახლდა ნაწილი ბოროტებისა. ანტიკურ ქალაქ სახელმწიფო, სპარტაში კიდევ უფრო სასტიკი გამოვლინება ჰქონდა ყოველივე ამას და ფიზიკური შეზღუდულობით დაბადებული ადამიანი იმთავითვე იწირებოდა სიკვდილისათვის. ასეთი ბავშვები უფსკრულ „აპოთექში“ პოულობდნენ „უკვდავებას“.

ფეოდალური და შუა საუკუნეების ევროპაში ინვალიდობის მქონე პირები, ოჯახებში ცხოვრობდნენ. ვისაც შეეძლო თავს მიწათმოქმედებითა მცირე სახელოსნოში მუშაობით ირჩენდა. მაგრამ სოციალური შფოთვის ან ქოლერასა და შავი ჭირის ეპიდემიის დროს ისინი, როგორც განტევების ვაცად და ბოროტებასთან წილნაყარ არსებად ცხადდებოდნენ. რის გამოც საშინელ დევნასა და ძალადობას განიცდიდნენ.

პროტესტანტიზმის მთავარმა პატრიარქმა და დამფუძნებელმა მარტინ ლუთერმა თქვა „წაიყვანეთ გონაბასუსტი ბავშვი მდინარესთან და ჩაძირეთ იგი“.

აღორძინების ეპოქა ძირითადად ანტიკური სამყაროს ძველი საბერძნეთისა და რომის ფილოსოფიაზე, ესთეტიკაზე და ხელოვნებაზეა დაფუძნებული. ამრიგად ისიც წინა „მშვენიერი სხეულის“ კულტს წევდა და აღმერთებდა. ათასობით ტილოზე ისახებოდა ადამიანის იდეალური სხეული და სრულყოფილი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი რეალობა ასეთი სულაც არ იყო. თუ ხატავდნენ ისეთი ადამიანის პორტრეტს, რომელსაც სხეულის ნაწილი ჰქონდა დასახიჩრებული, მაშინ მისი იარები იმალებოდა და ტილოზე მხოლოდ „ჯანსაღი სხეული“ რჩებოდა.

XIX-ე საუკუნის საზოგადოება ინვალიდობის მქონე პირების უმრავლესობას უყურებდა შემდეგი თვალით: „მათ დაიშახურეს საკუთარი სიდუხჭირე,“ სახელმწიფო კი მათ მხოლოდ მცირეოდენ კომპენსაციებს უყოფდა. ასეთ პირობებში ინვალიდობის მქონე პირები სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ მედიკოსებზე.

XIX-XX-ე საუკუნეებში არსებობდა არაერთი სპეცსკოლა და ინტერნატი, რაც არ აძლევდა ინვალიდობის მქონე პირს იმის საშუალებას, რომ ეცხოვრა და ესწავლა სხვა დანარჩენი საზოგადოების გვერდით. მათ არ ჰქონდათ უფლება ეტარებინათ საზოგადოების სრულფასოვანი წევრის სტატუსი.

გერმანიაში, ჰიტლერის მესამე რაიხის დროს შეიქმნა უამრავი პროპაგანდისტური ფილმი,



რომლებიც ინვალიდობის მქონე პირებს „უსაქმურ მუქთაღორებად“ წარმოაჩენდა. მმაგრამ მხოლოდ ფილმები არ იყო ინვალიდობის მქონე პირთა წინააღმდეგ მიმართული იარაღი. ამ დროს ინვალიდობა საერთოდ მოიაზრებოდა, როგორც სახელმწიფო დანაშაული და მათი უმეტესობა განიცდიდა სტერილიზაციას.

1839-40 წლებში შშმ 140 000 ადამიანი შეეწირა გერმანელი ექიმების ექსპერიმენტებს. იქნებოდა გაცილებით დიდი მსხვერპლი, რომ არა ის ამბოხება გერმანიაში, რომელიც მიუნხენის არქივისკოპოსის ჰალენის თაოსნობით 1940 წელს მოეწყო.

თუმცა შშმ ბავშვთა მკვლელობები გრძელდებოდა 1945 წლამდე და სამწუხაროდ 100 100-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა ნაცისტი ექიმების ხელით.

შემდგომ პერიოდში შშმ პირები განაგრძობდნენ ბრძოლას რათა მათ შეძლებოდათ საზოგადო ტრანსპორტით სარგებლობა და შესვლა ისეთ შენობებში, სადაც განთავსებული იყო სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკა, კონო, გალერეა. შეძლებოდათ დამოუკიდებელი გადაადგილება, აგრეთვე ფიზიკურ განსხვავებულობას არ შეეშალა ხელი დასაქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მოქალაქეთა უფლებების დამცველი კანონი, მაგალითად კანონი ამერიკელი შშმ ადამიანების შესახებ (1955). შშმ პირები მაინც აწყდებოდნენ ისეთ პრობლემებს სადაც ჯერ კიდევ ბევრი აკლდა საზოგადოებას განთავისუფლებულიყო სტერეოტიპებისაგან და ნეგატიური აზრებისაგან.

არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა დღევანდელ საქართველოში. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მზად ინვალიდობის მქონე პირთა მისაღებად. საზოგადოება შორიდან უყურებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და არ სურს საკუთარი ერისა და ქვეყნის შვილები, რომლებიც ღვთის განგებით ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან, საკუთარ წიაღში მიიღონ. განსაკუთრებულ წინააღმდეგობას, საზოგადოების მხრიდან ვაწყდებით საჯარო სკოლებში-ინკლუზიური განათლების პროგრამის განხორციელებაში. სახელმწიფოს მხრიდან აქტიურობასა და მოტივირებულობას საზოგადოება უპირისპირებს პასიურობასა და საკითხის მიმართ გულგრილობას, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს და ხელს უშლის პროექტის წარმატებით განხორციელებას. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება შშმ-ს ოჯახს აკომპლექსებს და ხშირად მშობლებს ურჩევნიათ დამალონ თავიანთი შშმ შვილი, ვიდრე დაცინვის, გაკიცხვის ან დამცირების ობიექტი გახადონ. რაც თავისთავად ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რადგან თუ მშობელი არ შეუწყობს ხელს თავისი შვილის საზოგადოებაში სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი ქმედება უშედეგოა.

გამოკითხულ მშობლებთა უმეტესობა ფიქრობს რომ: შშმ ბავშვის კლასში ყოფნა ხარვეზებს შექმნის საგაკვეთილო პროცესში, დანარჩენ ბავშვებს დრო შეეზღუდებათ და ისინი ვერ მიიღებენ სათანადო ინფორმაციას გაკვეთილიდან, შშმ ბავშვთან ურთიერთობა სტრესის მდგომარეობაში ამყოფებს დანარჩენ მოსწავლეებს, განათლების პროცესი არ იქნება სრულყოფილი და შშმ ბავშვი შეიძლება შეიზღუდოს სხვისი შესაძლებლობების შემყურე. სწორედ საზოგადოების ამგვარად არასწორი ინფორმირებულობა და საკითხი არასწორი ინტერპრეტაცია არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი.

მშობელთა ნაწილი ეჭვის თვალთ უყურებდა ამ წამოწყებას, ზოგი პროტესტს გამოთქვამდა, რომ მისი შვილის გვერდით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სწავლობდა, მაგრამ შიში არ გამართლდა, რადგან ბავშვებმა მათგან მხოლოდ სიკეთის კეთება და გულწრფელობა ისწავლეს. შშმ ბავშვმა არ იცის, რა არის ბოროტება, ისინი საოცრად მიმნდობნი არიან, თუ მიგიღებენ და შეგიყვარებენ, არასდროს გიღალატებენ.

შეგვიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ ყველაზე დიდი ბარიერი, რომლის გადალახვაც შშმ ბავშვებს უწევთ, არის მშობლების, პედაგოგების, სხვა ბავშვების დამოკიდებულება. ბავშვებისათვის აუცილებელია იმის შეგრძნება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საზღვრებში მას გააჩნია დამოუკიდებლობა.

არასწორია შეზღუდული შესაძლებლობის ავადმყოფობასთან გაიგივება. შეზღუდვათა უმეტესობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, თუმცა მისი უარყოფითი ეფექტის შემცირება შესაძლებელია, როდესაც პიროვნება სწავლობს, ადაპტირდება და შესაძლებლობებსაც

მაქსიმალურად განავითარებს. უნარშეზღუდულობა არ შეიძლება განიხილებოდეს იზოლირებულად. იგი ბავშვის ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება.

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტალური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებების ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მიდგომას, რომ საზოგადოების ყველა წევრი განსხვავებულია, მაგრამ მათ შეუძლიათ ერთად ცხოვრება, მიუხედავად განსხვავებულობისა. იმისათვის, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ხდებოდეს მისი

სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაც, აუცილებელია ბავშვი ადეკვატურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იღებდეს მონაწილეობას სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, იქნება ეს პარკში გასეირნება, კინოში წასვლა, თუ სხვა. ბავშვის სოციალური უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გზით. მაგრამ დგება მეორე საკითხი, არის თუ არა საზოგადოება მზად თავის სრულფასოვან წევრებად მიიღოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები?

ინკლუზიური საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, სადაც მის ყველა წევრს მიცემული აქვს თანაბარი თანაარსებობისა და თანაცხოვრების საშუალება; სადაც გარემო და საზოგადოება იმგვარად არის მოწყობილი, რომ თითოეული განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანს შეუძლია ინტერესების დაკმაყოფილება. ის კი არ უნდა მოერგოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ისეთი მექანიზმები და საშუალებები, რომ ყველას საჭიროება დაკმაყოფილდეს შესაბამისად. საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს მისი სტრუქტურების იმგვარი ადაპტაცია, რომ ყველა ბავშვს უფლება ჰქონდეს იცხოვროს ღირსეულად ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მისი წარაფვის შეიქმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის. შშმ პირის ინკლუზია საზოგადოებაში პირდაპირ კავშირშია მიდგომებთან, ანუ მოდელთან, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოება ირჩევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის არსი დაკავშირებულია ამა თუ იმ ეპოქის, ამა თუ იმ საზოგადოების სულიერ ფასეულობებთან და მის ავ-კარგს განსაზღვრავს ის, თუ რა ადგილი უჭირავს მათში ადამიანის ღირსებას

ინკლუზიური განათლებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება საზოგადოებაში, ჩემთვის გასაკვირი არ არის, იმიტომ რომ, მთელი საბჭოთა პერიოდი და შემდეგაც დემოკრატიულ, თავისუფალ საზოგადოებაში არ გვიცხოვრია, თუ უფრო დავაკონკრეტებთ, არ გვიცხოვრია ე.წ ინკლუზიურ საზოგადოებაში.

ამჟამინდელი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე საქართველოში-არის ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარების შედეგი, რომელიც ემყარება სოციალურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ფაქტორებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოება უნდა გახდეს ანგარიშგამწევი, ქველმოქმედი, მზრუნველი და მოსიყვარული.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა:

- ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი;

- მასწავლებელი მშობლებთან თანამშრომლობის გზით უნდა ცდილობდეს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანმა თავი იგრძნოს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად;

- საჭიროა შშმ პირთა საჭიროების გათვალისწინებით სწავლების დანერგვის მიმართულებით მოსწავლეებთან და მშობლებთან მუშაობის სტრატეგიის შემუშავება;

- სასურველია, „განათლება ყველასათვის“ პრინციპის როგორც სკოლაში, ისე საზოგადოებაში

გატარების მონიტორინგის მექანიზმის განსაზღვრა;

- აუცილებელია შშმ ბავშვების ოჯახებთან კონსულტაციური მუშაობისათვის შესაბამისი სამსახურის შექმნა, რომელიც იმუშავებს შემდეგი მიმართულებით:

- ა) ფსიქოლოგიური კონსულტაცია ბავშვის პრობლემებზე მშობლის რეაქციის კორეგირება და ოჯახის ფსიქო-ემოციური პრობლემების მოგვარების მიზნით.

- ბ) კონსულტაცია ადამიანის უფლებებსა და იურიდიულ საკითხებზე შშმ ბავშვის ოჯახის სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

#### ლიტერატურა:

1. ბავშვთა უფლებების კონვენცია, გაერო, 1989
2. გაგომიძეთ თ, ჭინჭარაული თ, ფილაური ქ, ბაგრატიონი მ,-ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბილისი, 2008
3. გზამკვლევი მასწავლებლებისა და სასკოლო ადმინისტრაციისათვის, თბილისი, 2009
4. ისაკაძე თ. – „გზამკვლეველი მშობელთათვის.“ თბილისი, 2010
5. კოტეტიშვილი ი, ჯალაღანია ი, კვეცაძე თ. – „რეკომენდაციები ინკლუზიური განათლებისთვის.“ თბილისი, 2004
6. პაჭკორია თ - „ვისწავლო ერთად“. თბილისი, 2008
7. ჟურნალი „იმედი+“ შშმ პირებისათვის, № 2(36) დეკემბერი. გვ.20-21, თბილისი, 2013
8. უნარშეზღუდული ბავშვის სოციალური ინტეგრაციის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო ასპექტები. თბილისი, 2002

#### რეზიუმე

ინკლუზიური განათლება აღიარებს მიდგომას, რომ საზოგადოების ყველა წევრი განსხვავებულია, მაგრამ მათ შეუძლიათ ერთად ცხოვრება, მიუხედავად განსხვავებულობისა. იმისათვის, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ხდებოდეს მისი

სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაც, აუცილებელია ბავშვი ადეკვატურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იღებდეს მონაწილეობას სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, იქნება ეს პარკში გასეირნება, კინოში წასვლა, თუ სხვა. ბავშვის სოციალური უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გზით. მაგრამ დგება მეორე საკითხი, არის თუ არა საზოგადოება მზად თავის სრულფასოვან წევრებად მიიღოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანები?

მიუხედავად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების, საზოგადოებრივი აზრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი დღემდე არაერთგვაროვანია. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ყველა ბავშვი მთელი დროის განმავლობაში ერთ სასწავლო გარემოში უნდა იყოს, ხოლო სხვათა აზრით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ის ბავშვები უნდა სწავლობდნენ, რომლებიც სავალდებულო სტანდარტებს აკმაყოფილებენ.

უპირველეს ამოცანად შეიძლება მივიჩნიოდ შშმ ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილებაზე ზრუნვის საკითხებზე და ინკლუზიაზე საზოგადოების, ქვეყნის ხელისუფლებისა და პროფესიული თემის ყველა დონეზე ინფორმირების მექანიზმების შემუშავება-დანერგვა. ეს ხელს შეუწყობს როგორც შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შექმნასა და მიღებას, ასევე საზოგადოებაში ინკლუზიისადმი მზაობის ჩამოყალიბებას, და ბოლოს პროფესიონალთა სათანადო დონეზე მომზადება-გადამზადების სისტემის შექმნას.

ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მიისწრაფვის შეიქმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის.

შევგიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ ყველაზე დიდი ბარიერი, რომლის გადალახვაც შშმ ბავშვებს უწევთ, არის მშობლების, პედაგოგების, სხვა ბავშვების დამოკიდებულება. ბავშვებისათვის

აუცილებელია იმის შეგრძნება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საზღვრებში მას გააჩნია დამოუკიდებლობა.

არასწორია შეზღუდული შესაძლებლობის ავადმყოფობასთან გაიგივება. შეზღუდვათა უმეტესობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, თუმცა მისი უარყოფითი ეფექტის შემცირება შესაძლებელია, როდესაც პიროვნება სწავლობს, ადაპტირდება და შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად განავითარებს.

აუცილებელია ინკლუზია, მისი ფასეულობები, მეთოდები და შედეგები/ ეფექტები გახდეს საზოგადოებრივი განხილვის საგანი; შშმ პირთა განათლების საგანი გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

**Дареджан Геладзе** - Батумский государственный университет, доктор образовательных наук, ассистент профессор департамента педагогических наук

### **Отношение общества к лицам с ограниченными возможностями**

Инклюзивное образование признает подход, по которому все члены общества различны, но, не смотря на это, они могут жить в гармонии. Для того чтобы в процессе роста ребенка происходило развитие его социальных навыков, необходимо адекватное подключение ребенка к общественной жизни, его участие в различных общественных активах, будь то прогулка в парке, поход в кино и т.д.

Развитие социальных навыков ребенка возможно только путем участия в социальных активностях. Тем не менее, встает другой вопрос, готово ли общество считать людей с ограниченными возможностями полноценными личностями?

Несмотря на накопленный теоретический и практический опыт многих стран, общественное мнение о людях с ограниченными возможностями по-прежнему неоднозначно.

Некоторые исследователи считают, что каждый ребенок на протяжении всего времени должен находиться в одной учебной среде, другие считают, что таких детей необходимо обучать в средних школах, которые отвечают требуемым стандартам.

Важной задачей общества является необходимость заботы о людях с ограниченными возможностями. Государственная власть и профессиональное сообщество должны разрабатывать и внедрять информационные механизмы на всех социальных уровнях. Это будет способствовать созданию и принятию государственной политики, а также формированию инклюзивного образования и, в конечном итоге, создание системы профессиональной подготовки специалистов соответствующего уровня.

Инклюзивное общество является открытым обществом, для него недопустима дискриминация личности по какому-либо признаку, оно стремится создать условия для ее самореализации и интеграции.

Необходимо отметить, что самым большим препятствием, которое необходимо преодолеть детям с ограниченными возможностями, отношение к ним родителей, учителей и других детей. Таким детям необходимо чувствовать, что в пределах ограниченных возможностей они обладают независимостью.

Неправильной позицией является сравнение людей с ограниченными возможностями и инвалидов. Большинство ограничений сопутствуют детям на протяжении всей жизни, однако их отрицательный эффект можно снизить, если человек учится, адаптируется и максимально развивает свои возможности.

Необходимо чтобы инклюзия, ее ценности, методы и итоги/эффекты стали предметом обсуждения и одной из важных и приоритетных тем для СМИ.



**Darejan Geladze** - Batumi State University, Department of Education, Ph.D., an assistant professor in the Department of Pedagogical Sciences

### **Public attitudes towards persons with disabilities**

Inclusive education recognizes the right method of approach that despite All members of society are different they still can live together. In order to develop childrens social skills, It's necessary that child should be adequately involved in public life, they must be participated in various social activities Whether it's a walk in the park, going to the movies, or something else. Child's social skills can be developed only through participation in social activities. Nevertheless, the next question is whether society is ready to make his full-fledged members of people with different abilities?

Despite the theoretical and practical experience are accumulated in many countries, individuals with disabilities, public opinion is still mixed. Some people consider that every child should be all the time at the same learning environments, While others believe that children should be taught in secondary schools who meet the required standards. First step is to take care of the needs of people with disabilities and inform community at all levels . This will contribute to the creation and adoption of public policies, as well as the establishment of community preparedness for Inclusion. Finally, it will be useful to develop the appropriate level of professional training - training system.

Inclusive society is an open society, it is unacceptable discrimination in any indication, it seeks to create the conditions for individual self-realization and integration.

We can `definitely say that the biggest barrier for disabled children to overcome is attitude the parents, the teachers, and the other children's attitude. Kids need to feel that he has a disability within the boundaries of independence.

Disabilities identification with Disease is mistake. Most of the restrictions are continuing whole life, but its negative effects can be reduced when a person learns how to develop adapted his ability better.

Inclusion is necessary, its values, methods, and results / effects must be become the subject of public discussion; People with disabilities must be become a matter of public education - one of the most important priorities;



ირინე გოგიბერიძე -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### განათლების რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოს განვითარების პრიორიტეტულ საკითხთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი განათლებას უკავია. ქვეყნის მუდმივი წინსვლის საფუძველი განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდაა, ამიტომაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ახორციელებს რეფორმებს განათლების დონის ასამაღლებლად როგორც საშუალო, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამის დასტურია ქვეყნის პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომელიც მან თავის ერთ-ერთ გამოსვლაში გააკეთა: „განათლებაა სწორედ ის, რაც ჩვენს სამშობლოს განვითარებული ევროპული ქვეყნების რიგებში ჩააყენებს. ამიტომ, ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მოსწავლეებს და სტუდენტებს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა ცოდნის მისაღებად. ჩვენი მიზანია მივალწიოთ იმას, რომ დროთა განმავლობაში საქართველოს ნებისმიერ კუთხეში სასწავლო დაწესებულებები შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს და მოგვცეს განათლებული ახალგაზრდობის მთელი თაობა, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი“.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ უარი თქვა საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობაზე და დაიწყო ტოტალიტარული საზოგადოებიდან ღია, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, გეგმიურ-ცენტრალიზებული და ადმინისტრაციულ-დირექტიული ეკონომიკის ნაცვლად კერძო საკუთრების დამკვიდრება და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა. ბუნებრივია, რომ ასეთი რადიკალური ცვლილებების განხორციელება განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და შესაბამისად დღის წესრიგში აქტუალურად დადგა განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება. 1995 წლიდან მოყოლებული რეფორმირების რამდენიმე ტალღა შეიძლება გამოვყოთ. რეფორმირების პირველ წლებში ქმედებები არასისტემურ ხასიათს ატარებდა. მხოლოდ 2001 წლიდან დაიწყო მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით 60 მილიონიანი კრედიტის ფარგლებში „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის“ განხორციელება, რომელიც 12 წლიან პერიოდზე იყო გათვლილი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო სამუშაოები ჩატარდა. 2004 წლიდან, მთავარ პრიორიტეტად ზოგადი განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია გამოცხადდა, რომელიც გულისხმობდა მართვის სიტემების გადანაწილებას რეგიონებზე.

ზოგადი განათლების სფეროში ცვლილებები შეეხო ყველაფერს, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ცვლილებები შეგვიძლია სამ დიდ ჯგუფად განვიხილოთ: ცვლილებები ზოგადი განათლების სისტემის მართვაში, შინაარსსა და სწავლების მეთოდებში და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში. ცვლილებები მოხდა პრინციპების, მოდელებისა და პრაქტიკის დონეზე. განათლების რეფორმის მთავარი მიდგომა შედეგზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შექმნა იყო. შეიცვალა მშობლისა და მოსწავლის, სკოლის პერსონალისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სქემა. სახელმწიფომ შეწყვიტა სკოლების დაფინანსება და გადავიდა მოსწავლის დაფინანსებაზე. მშობელს უბრუნდება მის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები, ის კი ამ ფულით მისთვის მისაღებ სერვისს ყიდულობს სკოლისგან. მას აქვს თავისუფალი არჩევანი, საგანმანათლებლო მომსახურება კერძო ან სახელმწიფო სკოლისგან შეიძინოს. იმისთვის, რომ მშობელი ამ ფინანსების განკარგვაში მონაწილეობდეს, ის სამეურვეო საბჭოს წევრი ხდება. სამეურვეო საბჭოს, მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლის მონაწილეობით, შესაძლებლობა აქვს, სასკოლო ბიუჯეტი დაგეგმოს და გააკონტროლოს. მიუხედავად ამისა მშობლებს არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ფუნქციები და ნაკლებად ერთვებიან სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში, ამიტომ ბრმად მიყვებიან საბჭოს გადაწყვეტილებებს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გახდა ისიც, რომ სკოლის დირექტორი, უპირველესად, სწორედ იმ მშობლების წინაშე ყოფილიყო ანგარიშვალდებული, რომლებიც საკუთარ შვილებსა და მათთვის გამოყოფილ სახელმწიფო სახსრებს კონკრეტულ სკოლას

ანდობდნენ. ამიტომაც სკოლის დირექტორის არჩევა და დათხოვნა სკოლის სამეურვეო საბჭოს პრეროგატივა გახდა. შემდეგ ეს სისტემა შეიცვალა. სკოლის დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობის განხორციელებისთვის სახელმწიფომ ყველა საჯარო სკოლა დააფუძნა როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ დაწესებულებას გაუჩნდა დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში. ასევე დამოუკიდებელი გახდა სკოლა საკუთარი ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვასა და ფინანსების ხარჯვაში. ყველა სკოლას გადაეცა ქონება, რომლის განკარგვის უფლებაც მიიღეს. სკოლას გაუჩნდა უფლება, მიიღოს შემოწირულობები, ან საკუთარი ქონება გააქირაოს. რეფორმამდე სკოლების ნაწილი აფუძნებდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ანგარიშზეც აკუმულირდებოდა სკოლის შემოსავლები. ამ ანგარიშების მართვა გაუმჭვირვალე იყო და ხშირად სკოლების პერსონალის, ადმინისტრაციისა და მშობლების უკმაყოფილებასა და უნდობლობას იწვევდა. მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით სკოლების დაფინანსების შემოღების შედეგად, სისტემა უფრო სამართლიანი გახდა. წინა სისტემაში სკოლის დაფინანსების ოდენობა ხშირად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად კეთილგანწყობილი იყო ხელისუფლება სკოლის დირექციის მიმართ. იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტი აერთიანებდა მრავალ სოციალურ სფეროს, ისე, რომ ზოგადი განათლებისთვის გამოყოფილი ხარჯები არც კი იყო განცალკევებული, 2005 წლამდე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რა თანხა იხარჯებოდა ქვეყნის მასშტაბით განათლების სფეროში. განათლების სფეროს დაგეგმვის პოტენციური ქვეყნის მასშტაბითაც გაუმჯობესდა. რეფორმის შედეგად, დღეს მოქალაქეებსაც უკეთ შეუძლია იმსჯელონ, თუ რამდენად იცვლება განათლების სფეროში არსებული სახელმწიფო დაფინანსების წილი და როგორ ნაწილდება ის სხვადასხვა პროგრამაზე. რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გამოცდების ეროვნული ცენტრი, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ამ ცენტრების თანამშრომლები არიან თავიანთი სფეროს ექსპერტები, რომლებსაც ნაკლებად აქვთ მართვის, მაგრამ მეტად-შინაარსობრივ პრობლემებში გარკვევისა და დაგეგმვის უნარი. ცენტრების დამოუკიდებლობა ერთგვარი გარანტია უნდა გამხდარიყო, რომ პოლიტიკური ცვლილებები ნაკლებად იმოქმედებდა განათლების შინაარსსა და გრძელვადიან პროექტებზე. მნიშვნელოვანი ცვლილების დანერგვას განათლების სფეროში დაახლოებით ექვსი წელი სჭირდება. პოლიტიკური საარჩევნო ციკლები კი, სამწუხაროდ, უფრო მოკლე პერიოდებს ითვალისწინებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ინსტიტუციები, რომლებიც თავისუფალი არიან პოლიტიკური კალენდრისგან და თავიანთ საქმიანობას კონცეპტუალური და ტექნიკური მიზნების გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ.

ზოგადი განათლების სისტემის მართვისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სკოლების ოპტიმიზაცია. განათლების სისტემა თავის დროზე გათვლილი იყო გაცილებით მეტ მოსწავლეზე და ამ მოსწავლეების უფრო თანაბარ განაწილებაზე სოფელსა და ქალაქში. შობადობის კლებამ ოთხმოცდაათიან წლებში და მოსახლეობის მიგრაციამ ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში გამოიწვია უამრავი მცირეკონტინგენტიანი სკოლის არსებობა. ამას ემატებოდა ისიც, რომ არსებობდა მრავალი მცირე სკოლა, რომელიც მხოლოდ ოთხკლასიან განათლებას გულისხმობდა და რომელსაც ისეთივე ადმინისტრაცია ჰყავდა, როგორც სრული ზოგადი განათლების მიმწოდებელ სკოლას. ოპტიმიზაციის შედეგად, სკოლები გაერთიანდა, რითაც ადმინისტრაციის და ინფრასტრუქტურული ხარჯები შემცირდა. სკოლებს ავტობუსები დაურიგდა მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის.

სისტემის მართვისთვის სიახლე გახდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა. მისი მეშვეობით, სახელმწიფო აგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას სკოლების საქმიანობაზე, რაც გამოიყენება მართვის ინდიკატორების გამოსათვლელად, რომელიც საჭიროა სისტემის ეფექტიანობის შესახებ საბაზისო ცოდნის შესაქმნელად.

სასწავლო გეგმა 2005 წლამდე, ძირითადად, ორ საკითხს არეგულირებდა: საათების განაწილებას კვირების მიხედვით და თემებს, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით „ისწავლებოდა“. სიტყვა „ისწავლებოდა“ იმიტომ წერია ბრჭყალებში, რომ არავითარი განმარტება არ არსებობდა იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა „სწავლაში“. რეფორმის შედეგად, შემუშავდა ახალი ეროვნული

სასწავლო გეგმა, რომელიც აღწერს იმ მიზნებს, შედეგებსა და საშუალებებს, რომლებიც სკოლებს უნდა ჰქონდეთ სწავლებისას.

ძველი სასწავლო სისტემისგან ახალი სასწავლო გეგმა, ძირითადად, იმით განსხვავდება, რომ შედეგზეა ორიენტირებული და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებათა გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. ძველი სისტემა უფრო კონცენტრირებული იყო იმის რეგლამენტირებაზე, რასაც მასწავლებელი აკეთებდა, ანუ სახელმწიფოს მთავარი ინტერესი ის იყო, რომ ყველა მასწავლებელს აბსოლუტურად იდენტურად ესწავლებინა ყველა მოსწავლისთვის ყველა სკოლაში. ძველი საგანმანათლებლო კონცეფცია შექმნილი იყო იმ დროისთვის, როდესაც მასწავლებლების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა სუსტი იყო და სახელმწიფო მასწავლებელს მიზნების შერჩევისა და დიფერენცირების უფლებას არ აძლევდა. დადგენილი იყო, როდის რამდენი გაკვეთილი ტარდებოდა. გაკვეთილები წინასწარ ცენტრალიზებულად დადგენილი თემატური გეგმების მიხედვით ტარდებოდა. განსაზღვრული იყო საკონტროლო წერების, მოსწავლეების საკლასო ოთახში განლაგების, საკლასო ჟურნალის წარმოების, საგაკვეთილო ცხრილის შედგენის, დასვენებების განრიგისა და სხვა წესები. ასეთი ცენტრალიზებული მიდგომა არ ითვალისწინებდა იმ საჭიროებებს, რომლებიც სხვადასხვა ზომისა და გეოგრაფიული მდებარეობის სკოლებს აქვთ. ასევე არ ითვალისწინებდა ეს სასწავლო გეგმა სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, კერძოდ შშმ მოსწავლეებისათვის. ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური სწავლების განვითარებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ დახვეწის პერიოდშია. სწორედ ამის გამო არა მხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაცია იყო შესაძლებელი, არამედ მასწავლებლების მიერ მოსწავლეების სოციალური პირობების, ინტერესების, ნიჭისა და მონდომების გათვალისწინებაც.

ეროვნულმა სასწავლო გეგმამ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა მოსწავლეების განტვირთვა საგნებით და მასწავლებლების დატვირთვა მოსწავლეებით. წლის განმავლობაში საგნების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მასწავლებლებს მოსწავლეების დატვირთვა მნიშვნელოვნად შეუმცირდათ. მაგალითად, თუ მასწავლებელი თითოეულ განაყოფს ასწავლიდა საგანს, რომელიც კვირაში ორი საათის განმავლობაში ისწავლება, სრული საშტატო განაკვეთის შევსების შემთხვევაში, მასწავლებელს 10 განაყოფისთვის უნდა ესწავლებინა. ეს კი 300 მოსწავლის სწავლებას ნიშნავს. ცნობილია, რომ თუ მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ, მოსწავლეების სწავლის შედეგებიც უფრო ნაკლებია. მასწავლებელიც ცდილობს, თავი აარიდოს საკონტროლოებს, რადგან ამდენი ნაშრომის გასწორება შეუძლებელი ხდება. შეუძლებელი ხდება ზოგადად საწერი დავალებების მიცემაც. სწორედ ეს პრობლემა გადაჭრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების სქემამ, როდესაც თითოეული საგანი თითო ტრიმესტრის განმავლობაში, კვირაში, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ისწავლებოდა. ამ მიდგომამ და, მაგალითად, ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებულმა სწავლებამ ასევე შეამცირა კვირის განმავლობაში მოსწავლისთვის დასაძლევ სავსების რაოდენობაც. მაგალითად, 2006 წლამდე X კლასში მოსწავლე 18 (!) სხვადასხვა საგანს სწავლობდა ერთი კვირის განმავლობაში, რაც თავისთავად აბსურდულია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ახალი ინიციატივა სერიოზულ გამოცდას გადიოდა. ახალი სასწავლო გეგმის გამოცდა საქართველოს ყველა რაიონის 100 სკოლაში მიმდინარეობდა. ჩატარდა მრავალი კვლევა, რომელმაც ახალი გეგმის დანერგვის მიმდინარეობა შეისწავლა. კვლევამ აჩვენა რომ „ტრიმესტრულმა სწავლებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ ეს პროგრამა ამოღებული იქნა სასწავლო გეგმიდან.

ახალი სასწავლო გეგმის დანერგვასთან ერთად, სასკოლო განათლებას ერთი წელი დაემატა. ეს, თავისთავად, დადებითად მოქმედებს სკოლადამთავრებულთა მზაობაზე, აირჩიონ მომავალი ცხოვრების გზა. ასევე დადასტურებულია განათლების წლების რაოდენობისა და ეკონომიკური წარმატების კავშირი.

სახელმძღვანელოების შემუშავებისა და გრიფირების სისტემაც მთლიანად შეიცვალა. სახელმძღვანელოების შემუშავება სასწავლო გეგმის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ასევე მოიხსნა შეზღუდვები სახელმძღვანელოთა რაოდენობასთან დაკავშირებით. 2005-09 წლებში სახელმწიფო და გამომცემლობები პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ზრუნავდნენ.



სახელმწიფო არა მარტო სტანდარტებს აწესებდა, არამედ ეხმარებოდა გამომცემლობებს საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანისა და ტრენინგების გზით, სკოლებთან ცივილიზებული ურთიერთობის დამყარების მცდელობით და სასწავლო გეგმების ექსპერტების მიერ ავტორთა დახმარების კუთხით. გამომცემლობები, თავის მხრივ, ცდილობდნენ, საკუთარი პროდუქციისა და სერვისის ხარისხის ამაღლებას, საუკეთესო ავტორების მოზიდვას, დიზაინისა და შინაარსის გაუმჯობესებას. ლიბერალური მიდგომის, პოლიტიკური ნებისა და სწორად დანერგილი სისტემის საფუძველზე, პრაქტიკულად, აღმოიფხვრა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან კორუფცია სახელმძღვანელოების დამტკიცებისა და გავრცელების კუთხით. 2009 წელს, პირველად ჩვენს ისტორიაში, სახელმწიფომ სახელმძღვანელოების შერჩევის საბოლოო უფლება მასწავლებლებს გადასცა და თვითონ მხოლოდ ექსპერტული შეფასების განხორციელების უფლება დაიტოვა.

2010 წელს დაიწყო მესამე ეტაპი, რომელიც გულისხმობს სექტორის ხელახალ ცენტრალიზაციას და ყურადღების უფრო მეტად გამახვილებას პროცესებისა და სასწავლო შედეგების კონტროლზე. რეფორმის ზოგიერთ მიმართულებას, მაგალითად, ეროვნულ გამოცდებს და სკოლების ვაუჩერულ დაფინანსებას, სახელმწიფო კვლავ უჭერს მხარს, დეცენტრალიზაციის პროცესი კი შეჩერდა და კვლავ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დაიბრუნა გაზრდილი კონტროლი სასწავლო დაწესებულებებსა და იქ მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული ცენტრალიზაციის ტენდენცია გამოიხატება შემდეგში: ა) სკოლების სამეურვეო საბჭოებმა დაკარგეს წამყვანი როლი სკოლებში გადაწყვეტილებების მიღებაში და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭა დირექტორის საბჭოსთან შეთანხმების გარეშე დანიშვნის და საბჭოსათვის შეტყობინების გარეშე დათხოვნის უფლებამოსილება; ბ) სახელმძღვანელოების მომზადების და მასწავლებლის განვითარების ინფრასტრუქტურის ცენტრალიზება; გ) ცხრა საგანში საატესტატო გამოცდების შემოღება;

ერთ-ერთ დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს მანდატურების შტატის შემოღება სკოლებში, თუმცა წინა მთავრობამ მას მასწავლებელზე მეტი უფლებები მიანიჭა, რამაც გარკვეული ხარვეზები გამოიწვია, დღეისათვის ეს პრობლემა მეტნაკლებდ მოგვარებულია.

ალბათ ზედმეტი პოლიტიკური ჩარევის გამო მივიღეთ იმ ტიპის სკოლის დირექტორები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საერთოდ ვერ ერკვევიან სიტუაციაში და ამას საზოგადოებაც კარგად ხედავს. ბევრი პროექტი არასწორად განხორციელდა, მაგალითად სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევის პრინციპი. თუკი სახელმძღვანელოების არჩევის საშუალება მასწავლებლებს რეალურად ექნებოდათ, ჩვენ ამ იდეაში ცუდს ვერაფერს ვხედავდით, მაგრამ დღეს შექმნილ სიტუაციას სჯობდა, ერთი სახელმძღვანელო ყოფილიყო ქვეყანაში და სპეციალისტებს დაედგინათ, აკმაყოფილებდა თუ არა იგი შესაბამის მოთხოვნებს.

დღეს საზოგადოება წუხს, რომ ბავშვებს არ აქვთ ზოგადი განათლება. ზოგადი განათლება მოსწავლემ უნდა მიიღოს IX-X კლასების ჩათვლით, მაგრამ შემდეგ სწავლა უნდა იყოს სპეციალიზებული. XI და XII კლასებში იმ საგნებს უნდა სწავლობდნენ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად სჭირდებათ. ამ შემთხვევაში კი რეპეტიტორებთან სიარული საჭირო აღარ იქნება. დღეს მშობლები უკვე ათ რეპეტიტორს ეძებენ იმისათვის, რომ მათმა შვილმა როგორმე ჩააბაროს საჯარო სკოლის დამამთავრებელი გამოცდები და აზრად არავის მოსდის, რომ სახელმწიფოს მოსთხოვოს ის, რომ რაც ასწავლეს მის შვილს, ის გამოჰკითხონ გამოცდაზე. გამოცდის არსიც ხომ ეს არის?!

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ ისე, რომ სასკოლო განათლების სისტემაში არ მოხდა შესაბამისი რეფორმები, შეუსაბამო გახადა საგამოცდო პროგრამა და ის, რაც სკოლაში ისწავლებოდა და თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების პირველი წლის შემდეგ აბიტურიენტთა 40% ემზადებოდა რეპეტიტორებთან, გასულ წელს ამ მაჩვენებელმა 88% შეადგინა. განათლების სისტემის რეფორმისას მოხდა მართვის დეცენტრალიზაცია, ფაქტობრივად, სამინისტრომ თავისი უფლებები გადასცა სამეურვეო საბჭოებს, სამეურვეო საბჭოები კი ვერ შედგა და სკოლაში მთლიანად მოიშალა სასწავლო პროცესი. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ბევრი შემთხვევითი ადამიანი მივიდა სკოლის დირექტორად. მშობელი დღეს არანაირად არ არის ჩართული სკოლის ცხოვრებაში. შეიძლება ხშირად მშობლებმაც არ იცოდნენ, რომ სახელმწიფოს

ხარისხიანი განათლების გაცემის ვალდებულება აქვს, არ იციან საკუთარი უფლებები. განათლება უნდა იყოს არა მომსახურება, არამედ მოხმარების საგანი, ანუ სახელმწიფო გაძლევს ვაუჩერს და გეუბნება, რომ შენ უნდა წახვიდე და განათლება მიიღო იქ, სადაც გინდა. ეს კი ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს ისეთი დაწესებულებების შექმნა, სადაც მოქალაქე ხარისხიან განათლებას მიიღებს. ამ დროს რას გვთავაზობს სახელმწიფო?-გვამძლევს 350 ლარს და აქ უნდა შედიოდეს ყველა დისციპლინის დაფინანსება, ტექნიკური პერსონალი, სკოლის კომუნალური ხარჯი და გადასახადის 20%, მაშინ, როდესაც თბილისში ერთ საგანში (დისციპლინაში) მომზადება წლიურად 1000-1500 დოლარი ღირს. რეგიონებში შედარებით დაბალი ფასებია, მაგრამ ეს რა თქმა უნდა სიტუაციას არ ცვლის. საერთოდ რეპეტიტორების თემა ცალკე განსახილველია და ყურადღებას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ განათლებაზე გარკვეული როლი ითამაშა ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამაც, სწორედ სისტემის არასტაბილურობამ და ზედმეტმა პოლიტიზირებამ გამოიწვია ბევრი კარგი პროექტის ჩავარდნა. რეფორმებზე ცუდი გავლენა იქონია აგრეთვე განათლების მინისტრების ხშირმა ცვლამ, რაც სისტემის არამდგრადობას იწვევდა.

მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, რომელიც რეფორმების განხორციელებას ახლავს თან, საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები შეიძლება მთლიანობაში შეფასდეს დადებითად. საჭიროა სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა, რათა დაწყებული პროექტები წარმატებით იქნას რეალიზებული.

### რეზიუმე

საქართველოს განვითარებისათვის პრიორიტეტულ საკითხთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი განათლებას უკავია. ქვეყნის მუდმივი წინსვლის საფუძველი კარგად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდაა, ამიტომაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ახორციელებს რეფორმებს განათლების დონის ასამაღლებლად როგორც საშუალო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სტატიაში განხილულია აღნიშნული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**Ирине Гогиберидзе** - Государственный Университет им. Акаки Церетели, Академический доктор

### Положительные и отрицательные стороны реформ образования

Среди приоритетных вопросов развития Грузии одним из важных является образование. Основой постоянного продвижения страны является воспитание хорошо образованного и прогрессивно мыслящего молодого поколения, поэтому Министерство образования и наук Грузии активно осуществляет реформы с целью повышения уровня образования как в общеобразовательных, так и высшеобразовательных учреждениях. В статье рассмотрены положительные и отрицательные стороны реформ образования

**Irine Gogiberdze** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor

### Positive and negative sides of educational reforms

Among the priority questions of development of Georgia one of important is education. Basis of permanent advancement of country is education of well-educated and progressively intellectual the young generation. Therefore Department of education and sciences of Georgia actively carries out reforms with the purpose of increase of level of education both in general and higher educational establishments. The positive and negative sides of reforms of education are considered in the article.



**მარინე გურგენიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

### სასკოლო გარემო და მოსწავლეთა ემოციური განვითარება

სასწავლო გარემო ერთ-ერთ განმსაზღვრელია მოსწავლის პიროვნული განვითარების მიმდინარეობისა. მისგან მომდინარე პოზიტიური და ნეგატიური ემოციები გარკვეულწილად აყალიბებს პიროვნების ნიშან-თვისებებს. შესაბამისად, ყურადსაღებია სწავლების პროცესში ბავშვთა ემოციების რეგულაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა. ფსიქოლოგ **ნენსი აიზენბერგის** მიხედვით ემოციური რეგულაციის წყარო თავდაპირველად გარე სამყაროდან მომდინარეობს, ასაკის მატებასთან ერთად კი ბავშვი თავად იძენს ემოციების თვითრეგულაციის უნარს. (ჯანაშია 2009:152). ემოციური თვითრეგულაციის უნარების განვითარების სისწრაფე განსხვავებულია ბავშვებში და დიდია მასწავლებლისა და სასკოლო გარემოს როლი მათ ჩამოყალიბებაში.

**ემოციური განვითარება** შეიძლება დაიყოს პერიოდებად: **2-დან 6 წლამდე**, **6-დან 11-12 წლამდე** და **12-დან 18-22 წლამდე**. ჩვენ განვიხილავთ სასკოლო პერიოდს. **6-დან 11-12 წლამდე** ასაკის ბავშვებს თანდათან უყალიბდებათ გაცნობიერებული ემოციები. ამ ასაკში ძლიერი სირცხვილის შეგრძნების აღძვრა იწვევს საკუთარ თავში ჩაკეტილობისადმი, დეპრესიისა ან აგრესიისადმი მიდრეკილების განვითარებას. ამიტომ აღზრდელის ყურადღება უნდა გამახვილდეს არა სირცხვილის გრძობის აღძვრაზე, არამედ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე. აღზრდელის მიერ სწორად აღზრდილ-განვითარებული 6-დან 11-12 წლამდე ასაკის ბავშვები სტრესთან შებრძოლების ორ გზას მიმართავენ: **პრობლემაზე ფიქსირებულს** და **ემოციაზე ფიქსირებულს**. არსებობს სტრესის დამღევის **არასახარბიელო მესამე** გზაც - **გაქცევის სტრატეგია**, როცა ადამიანი უარს ამბობს სტრესის დამღევაზე და გადაინაცვლებს სხვა საქმიანობაზე. სწორად მიიჩნევა, რომ ყველაზე შედეგიანია სტრესი დამღევის პრობლემაზე ფიქსირებული გზა, რადგან პრობლემის გაანალიზება და აღმოფხვრა ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა (ჯანაშია 2009:158-163).

**მოზარდობის ხანაში (12-დან 18-22 წლამდე)** ბავშვებს ახასიათებთ ჭარბი, მკვეთრად ცვალებადი ემოციები, შეუსაბამობა ემოციების ინტენსივობასა და ობიექტურ რეალობას შორის. ინტენსიურდება გამოკითხვის, შეფასების, ცუდი მოსწრების გამო მშობლების დასჯის შიში, თანატოლების წრეში დამკვიდრების, ემოციების უმართავობის შიში, სიბრაზე, დანაშაულის გრძობა და ექვიანობა, ემოციების გამოხატვა და სხვა. (ჯანაშია 2008:167-168). მოზარდები ისწრაფვიან დამოუკიდებლობისათვის, აქტიურდება პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება. ფსიქოლოგი **ჯეიმს მარსია** მიუთითებს, რომ პიროვნების მიღწევამდე მოზარდები **4 სტატუსს** გაივლიან: **წინასწარი გადაწყვეტა** - მოზარდები ალტერნატივის გარეშე ლეზულობენ მშობლების ან სხვა ავტორიტეტული პირების მიერ გადმოცემულ ღირებულებებს, მიზნებს, პროფესიულ მიმართულებებს; **პიროვნების დიფუზია (გაფანტვა)** - მოზარდებს არც პროფესია და არც იდეოლოგიური შეხედულებები არ აქვთ არჩეული; **მორატორიუმი (გადადება, დაყოვნება)** - მოზარდებს დაწყებული აქვთ პროფესიული და იდეოლოგიური არჩევანის გაკეთება, მაგრამ არა აქვთ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები; **პიროვნების მიღწევა** - მოზარდებს დამოუკიდებლად აქვთ არჩეული პროფესიული მიმართულებები და იდეოლოგიური შეხედულებები (James ... 2012; Oswalt...2010).

მოზარდის ემოციურ მდგომარეობის განმსაზღვრელია **ემოციური ინტელექტი**, რომელშიც ფსიქოლოგი **დანიელ გოულმანი** ოთხ სფეროს გამოყოფს: **1. ემოციურ თვითგამორკვევას** (საკუთარი ემოციების მიზეზების, გრძობებისა და ქმედებებს შორის განსხვავებების გაცნობიერება); **2. ემოციების მართვის უნარს** (გაბრაზებისას საკუთარი თავის მართვა; კლასში მეცადინეობებზე ფეთქებადი სიტუაციებისას დამამცირებელი და სიბრაზის გამომხატველი სიტყვების ნაკლებად გამოყენება; ჩხუბისაგან თავის შეკავება; აგრესიულ ან თვითდამანგრეველ ქმედებების შეშინება; თვითკონტროლის ზრდა; სოციალური შფოთიანობის, იმპულსურობის შეშინება); **3. ემპათიას** (სხვისი ემოციების ამოცნობისა და გათვალისწინების უნარი); **4. ურთიერთობის მართვის უნარს**

(იზრდება ურთიერთგაგების, აზრთა სხვადასხვაობისას კონფლიქტების მართვის, ურთიერთხემოქმედებისა და პრობლემების მოგვარების უნარები; მოზარდი ხდება თავდაჯერებული, წინდახედული, უფართოვდება ახლობლების წრე, მატულობს მისი ჩართულობა მეგობრების საქმეებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; შეუძლია თანამშრომლობა, დახმარება, ურთიერთობებში არის დემოკრატიული) (Гониман 2009: 433-434).

**ემოციურ ინტელექტს განსაზღვრავს კაროლინ საარნის მიერ მოწოდებული შემდეგი ემოციური კომპეტენციების განვითარება:** 1. ემოციური გათვითცნობიერება; 2. სხვა ადამიანთა გრძნობების ამოცნობა; 3. ემოციების აღმნიშვნელი სიტყვების სოციალურ და კულტურულ ფორმებში გამოყენება; 4. გაცნობიერება იმისა, რომ არ არის აუცილებელი შინაგანი ემოციური მდგომარეობა გარეგანს შეესაბამებოდეს; გაანალიზება იმისა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ემოციური გამოვლინება ირგვლივ მყოფებზე და მისი შესაბამისი მართვის უნარი; 5. თვითრეგულაციის სტრატეგიებით უარყოფითი ემოციების გამკლავების უნარი; 6. გაცნობიერება იმისა, რომ ემოციების გამოვლენა გავლენას ახდენს ადამიანთა ურთიერთობაზე; 7. ზოგადად ისეთ შინაგან მდგომარეობაში ყოფნა, როგორშიც გასურს გრძნობდე თავს. აღნიშნული კომპეტენციის უნარ-ჩვევებს ავითარებს ურთიერთპატივისცემაზე და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაზე აგებული ურთიერთობები (Saarni 1999).

პიროვნული ნიშნების განმაპირობებელი ემოციურ კონფლიქტებთან გამკლავების უნარების განვითარების ხელშეწყობა აღმზრდელების – მასწავლებლების, მშობლების, მეურვეების, საზოგადოების საზრუნავია. აღსანიშნავია ისიც რომ, მოსწავლეთა ნორმალურ პიროვნებებად ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესია ემოციის გამომწვევ სტრეს-ფაქტორთა და ემოციურ კონფლიქტთა შემცირება.

მოსწავლეთა ემოციური სტაბილურობის შესაქმნელად აუცილებელია სკოლის გარემოს შესაფერისად მოწყობა. იგი უნდა იყოს სასიამოვნო, ჰიგიენურად ორგანიზებული და უსაფრთხო. მოსწავლეზე, მის ემოციაზე ორიენტირებული. ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისი საკლასო ოთახებისა და დერეფნების წყობა, სივრცე, ფერი, განათება, მიკროკლიმატი, გაფორმება, მოწესრიგება ამცირებს არასასურველ ქცევას და მასთან მიზმულ უარყოფით ემოციას. ამავდროულად, აღსაზრდელებში დადებითი ქცევებისა და მათთან დაკავშირებული დადებითი ემოციების გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია სკოლის გარემო ხელს უწყობდეს ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც ბავშვთა პოზიტიური ქცევების მასტიმულირებელია და ემოციური სტაბილურობის პრევენციული საშუალებაა. მოსწავლეებს პოზიტიური ქცევისათვის განაწყობს სკოლის ტერიტორიაზე ღირებულებების შემცველი სიმბოლოების, მოსწავლეთა ნამუშევრების განთავსება და

მასწავლებელთა, მშობელთა ინტერესი აღსაზრდელთა ნამუშევრებისადმი.

მოსწავლეებში დადებით ემოციას ზრდის მათში სასკოლო პატრიოტიზმის განვითარება. მისი განვითარების საშუალებებია სკოლაში მიმდინარე პროცესების განსხვავებულობა და სახელის, დევიზის, მისიის, ლოგოს ორიგინალური ფორმის შემუშავება, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა; მათი თვალსაჩინო ადგილას გაკვრა; შეჯიბრებების, ოლიომპიადებისა და კონკურსებისათვის ღირსეულად მომზადება/მონაწილეობა, მიღწეული შედეგების გამოფენა დერეფნებში; სკოლის ცხოვრების აღმწერი სარეკლამო ბუკლეტების, სკოლის ემბლემიანი ნივთების (პასტების, რვეულების, მაისურების, ქუდების და ა. შ.) გავრცელება (ბავშვზე: ...).

მნიშვნელოვანია სკოლამ მოსწავლეებს საშუალება მისცეს დუსკუსიებში, დებატებში, სკოლის საინფორმაციო ბუკლეტებში გამოთქვან ან აღნიშნონ სკოლაში მიმდინარე პროცესებისადმი თავიანთი მოსაზრებები (კრიტიკული ან დადებითი). ყოველივე უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვის ან დადებითი ემოციის შექმნის საშუალებაცაა და ამავე დროს სკოლის დემოკრატიული პრინციპების განვითარებასა და პასუხისმგებლური მოქალაქეების აღზრდასაც ემსახურება.

აღსაზრდელთა ემოციურ განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა. მოსწავლეთა ემოციურ სფეროზე განსაკუთრებულად მწვავედ ზემოქმედებს იმ პედაგოგთა მიერ წარმართული საგაკვეთილო პროცესი. რომლებთანაც ბევრგზის არ იმყოფებიან თბილ ურთიერთობაში. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს შესვენებებსა ან გაკვეთილების

შემდგომ პერიოდში აღსაზრდელებსა და მასწავლებლებს შორის ინტერაქცია. მოსწავლეებში დადებითი ემოცია წარმოიშობა, როცა მასწავლებლები აღსაზრდელების მიღწევებით, პრობლემებით, სურვილებითა და მიზნებით ინტერესდებიან და გულწრფელად საუბრობენ აღნიშნულზე მათთან. ყოველივე საჭიროებს შესვენებების ხანგრძლივობის ოპტიმალურად შერჩევას და გარემოს შესაფერისად მოწყობას. მოსწავლეები, ამავე დროს, საგაკვეთლო პროცესების მიღმა ერთმანეთს შორის ჯანსაღ კომუნიკაციასაც საჭიროებენ. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს სკოლაში სოციალიზაციისათვის საჭირო სივრცეების შექმნა - კორიდორებში და ეზოებში სკამებისა და მაგიდების დადგმა.

მოსწავლეთა ემოციურ სფეროს მკვეთრად აზიანებს ძალადობის ფაქტები სკოლაში. სკოლა თავისი ინფრასტრუქტურით ხელს უნდა უწყობდეს ძალადობის შემცირებას. სკოლაში არ უნდა არსებობდეს ბნელი და უყურადღებო ადგილები.

სასწავლო პროცესში უარყოფითი ემოციის წარმომშობ მიზეზთა შემცირების ერთ-ერთი გზაა ბავშვებში **შეგნებული დისციპლინის** აღზრდა. იგი ბავშვებში თავშეკვების, სიმტკიცის, დათმობის უნარს აყალიბებს. დისციპლინის დარღვევის მიზეზთაგან პირველ რიგში უნდა დასახელდეს მოსწავლეთა ჭარბი რაოდენობა კლასში. გამოკითხულ მასწავლებელთა 80% მოსწავლეთა ქცევებისა და ემოციების უმართავობის ხელშემშლელ ფაქტორად კლასში მოსწავლეთა სიმრავლეს მიიჩნევს.

დისციპლინის დარღვევის პრევენციულ საშუალებებს მიეკუთვნება: ეფექტური სწავლება, რომლის პირობაა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი სასწავლო გარემო და ამ გარემოში თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა (ასეთ ვითარებაში მოსწავლეს მთელი ყურადღება სასწავლო პროცესისაკენ გადააქვს და ნაკლებად იცლის დისციპლინის დარღვევისათვის); ობიექტური შეფასებები და სამართლიანობა; მასწავლებლისადმი სიყვარული; მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა, მასწავლებელთა პირადი მაგალითი და სასურველი ქცევის მიღწევისას მოსწავლეთა სტიმულირება.

არანაკლებ საყურადღებოა ქცევის წესების დარღვევისას მასწავლებელთა რეაქცია.

კვლევებმა აჩვენეს, რომ პედაგოგები დისციპლინის დარღვევის აღმკვეთი ღონისძიებების შერჩევაში უშვებენ შეცდომებს. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის გამო მასწავლებელი ჟურნალში დაბალ ნიშანს წერს. (აღნიშნული იკრძალება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 9, პუნქტი 7)). მოსწავლეთა გამოკითხვით, მასწავლებლები დისციპლინის დარღვევას პასუხობენ ყვირილით, მაგიდაზე ხელის დარტყმით, მოსწავლეთა შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით, თმების დაწიწკვით, კუთხეში დაყენებით, გარეთ გაგდებით, მანდატურთან მიყვანით, უმცროსკლასელებისთვის სილის გაწნითაც კი. მასწავლებელთა არაპედაგოგიური ქცევა არღვევს ბავშვთა ემოციურ განვითარებას. პედაგოგიური განათლების უკმარისობას ავლენს მასწავლებელი, როცა ვერ ირჩევს ადეკვატურ ზომებს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევებისას. მასწავლებელი უნდა იყოს თანმიმდევრული და პრინციპული. ქცევის ნებისმიერი წესის დარღვევას აუცილებელია მოჰყვეს წინასწარ განსაზღვრული ზომების გატარება, მიუხედავად იმისა, ვინ ჩაიდინა დანაშაული და რა განწყობაზეა მასწავლებელი.

მოსწავლეში შეგნებული დისციპლინის ჩამოყალიბება დაკავშირებულია მის მორალურ განვითარებასთან, რომელსაც აჩქარებს მიუღებელი საქციელის ახსნა და, როგორც მკვლევარი **ლორენს კოლბერგი** აღნიშნავს, მოზარდის ისეთი მორალური დილემების წინაშე აღმოჩენა, რომლის გადაწყვეტაშიც მას პედაგოგი დაეხმარება. კარგი შედეგი მოაქვს მორალურ საკითხებზე მთელი ჯგუფის მსჯელობას. მნიშვნელოვანია: თვითშეგნების აღზრდა; მოსწავლეთა მიერ სხვა ადამიანთა თვალთ სიტუაციების დანახვა; აღსაზრდელთა წახალისება, როცა ისინი სხვების მიმართ თანაგრძნობას, თანადგომას გამოიჩენენ; უფროსი თაობის, პედაგოგების, მიერ მორალური საქციელის მაგალითების ჩვენება (**ჯანაშია 2009:190-192**).

შეგნებული დისციპლინის ჩამოყალიბება პრობლემაა ე. წ. „რთულ“ ბავშვებში. მათი ქცევის წესებისადმი დამორჩილების საშუალებებია ინდივიდუალური მიდგომები, პრობლემის დანახვა, მის სათავეებთან მისვლა და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება. პრობლემის გადასაწყვეტად მასწავლებელმა კონსულტაციები უნდა გაიაროს გამოცდილ პედაგოგებთან და აუცილებლად



ფსიქო-პედაგოგიური პროფილის სკოლის ექიმთან (ექიმთან, რომელსაც სამედიცინო ცოდნასთან ერთად ექნება კარგი ფსიქო-პედაგოგიური განათლებაც). მან უნდა მოახდინოს ბავშვის დიაგნოსტიკა და რაკი ძნელად აღსაზრდელობის მიზეზი ზოგჯერ ფსიქიატრიული დაავადებებისადმი მიდრეკილებებშია, ფსიქიატრიის კარგ ცოდნაზე დაყრდნობით საჭიროებისას ბავშვის მედიკამენტოზური მკურნალობაც ჩაატაროს. სხვა შემთხვევაში კი ფსიქო-პედაგოგიური პროფილის სკოლის ექიმი პედაგოგთან ერთად შეისწავლის ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების დონეს, მის ემოციურ მდგომარეობას, ამა თუ იმ მიუღებელი გამოვლინებისა თუ ქმედების მიზეზებს და ერთობლივი კოორდინირებული მოქმედებით დაიგეგმება პრევენციული ღონისძიებები.

ბავშვთა მორალურ-ემოციურ განვითარებაზე აუცილებელია ზრუნავდნენ მშობლებიც. ბავშვის წარუმატებლობის, არასახარბიელო ქცევის მიზეზებს ისინი პედაგოგებთან ერთად ერთობლივად უნდა იკვლევდნენ და პრევენციულ ღონისძიებებს ერთიანი ძალით მიმართავდნენ. ყურადსაღებია, რომ გამოკვლეულ მშობელთა (მეურვეთა) 70% არიან დაბალკომპეტენტურები აღნიშნულ საკითხებში. გამოკითხვებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებელ-მშობლის შეხვედრები და საუბრები ბავშვთა წარმატება/წარუმატებლობის, კარგი ან ცუდი ქცევის შეფასებით იწყება და მთავრდება. ბავშვთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებებში მშობელთა (მეურვეთა) ცოდნის დეფიციტს სჭირდება შევსება, რაც სკოლის საზრუნავია. აღნიშნულში კი პედაგოგებთან ერთად დიდ სამსახურს გასწევს ფსიქო-პედაგოგიური პროფილის სკოლის ექიმი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად მოვიაზრებთ პერიოდულ შეხვედრებს ბავშვების (განსაკუთრებით "რთული" ბავშვების) მშობლებთან და გარკვეული დოზით მათ განათლებასა და კომპეტენტური დახმარების გაწევას.

ამრიგად, ეფექტურად ორგანიზებული სასკოლო გარემო და მასში მონაწილე პირების მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში აყალიბებს სწორ ღირებულებებს, განამტკიცებს პოზიტიურ ქცევებს, ყოველივე ბავშვთა ემოციური სტაბილურობისა და განვითარების განმაპირობებელია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანაშია 2009: ჯანაშია ნათელა, იმედაძე ნათელა, გორგოძე სოფიო, „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“;
2. Гоулман 2009: Гоулман Дэниел, „Эмоциональный интеллект“, Издательство: „ АСТ Москва“
3. Saarni 1999: Saarni Carolyn „The development of emotional competence“, მის.:
4. <http://books.google.ge/books?id=nHRqbmVgQK4C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
5. James ... 2012: James Marcia From Wikipedia, the free encyclopedia მის.: [http://en.wikipedia.org/wiki/James\\_Marcia](http://en.wikipedia.org/wiki/James_Marcia)
6. Oswalt...2010: Oswalt Angela, „James Marcia and Self-Identity“, მის.: [http://www.mentalhelp.net/poc/view\\_doc.php?type=doc&id=41164&cn=1310](http://www.mentalhelp.net/poc/view_doc.php?type=doc&id=41164&cn=1310)
7. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი - <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-0l-11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.3&d=HASH61c1ea9c20af2bc474ee88.6>

### რეზიუმე

სასკოლო გარემო, რომელიც მოსწავლეთა სოციალური გარემოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული განვითარების მიმდინარეობასა და სისწრაფეს. პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ყურადსაღებია სწავლების პროცესში ბავშვთა ემოციური განვითარების ხელშეწყობა. ეფექტურად ორგანიზებული სასკოლო გარემო მოსწავლეებში აყალიბებს სწორ ღირებულებებს, ზრდის აკადემიური მიზნების მიღწევის ხარისხს და განამტკიცებს პოზიტიურ ქცევებს, ყოველივე კი ბავშვთა ემოციური სტაბილურობის განმაპირობებელია.

**Marine Gurgeniidze** - Batumi Shota Rustaveli state University, academic doctor of education, assistant-Professor of the Department of pedagogical Sciences

### School environment and emotional development of students

#### Abstract

School environment, which is an organic part of the social environment of children, determines process and rapidity of individual development of a child. Support of emotional development of a child in a learning process is important for individual development. Effectively organized school environment creates appropriate values for children, increases quality of achieving academic goals and reinforces positive behaviors. Thus, factors mentioned above, create emotional stability of children.

**Марине Гургенидзе** – Батумский гос. Университет им. Шота Руставели, академический доктор образования, асистент-професор департамента педагогических наук

### Школьная среда и эмоциональная развития учащихся

#### Аннотация

Школьная среда, которая является органической частью социального среды детей, определяет процесс и быстроту индивидуального развития ребенка. Поддержка эмоционального развития ребенка в процессе обучения важно для формирования личности. Эффективно организованная школьная среда создает определенные ценности в детях - повышает качество достижение учебных целей и усиливает позитивное поведение. Таким образом, факторы, упомянутые выше, создают эмоциональную стабильность в детях.



**ნატო დვალი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### საგანმანათლებლო პროცესი და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან ორგანულადაა დაკავშირებული სწავლების ტექნოლოგიები. ტექნოლოგიის საფუძველია საბოლოო მიზნის მკაფიო განსაზღვრა. ტრადიციულ პედაგოგიაში მიზნის პრობლემა არ არის წამყვანი. ტექნოლოგიაში მიზანი განიხილება, როგორც ცენტრალური კომპონენტი.

ტერმინი „პედაგოგიური ტექნოლოგია“ საზღვარგარეთულ სასწავლო პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან. პედაგოგიური ტექნოლოგია საზღვარგარეთ პედაგოგიაში იმთავითვე წარმოადგენდა იმ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავდა სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას და წინასწარ დაგეგმილი შედეგების მიღწევის გარანტიას.

ამასთან, იმავე დროიდან იწყებს განვითარებას სწავლების პროცესის აგებისადმი ტექნოლოგიური მიდგომა. ჩნდება ე.წ. პედაგოგიური მეთოდების ტექნოლოგია, ე.ი. სწავლების აგების ტექნოლოგია, ანუ სწავლების ტექნოლოგია.

პედაგოგისა და მეთოდისაში „ტექნოლოგიის“ მოსვლა, უპირველესად, დაკავშირებული იყო პედაგოგების სურვილთან - მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეთვისების პროცესი გაეხადათ მართვადი.

სადღეისოდ ტერმინი ტექნოლოგია მრავალმნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი მიდგომა მისდამი. ქართულად ნიშნავს ოსტატობას, ხელოვნებას, უნარს. ტექნოლოგია ჩვენში საწარმოო პროცესებთან ასოცირდებოდა და პროდუქტის შექმნას უკავშირდებოდა. მან ნივთიერი სახე მიიღო ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა, პირველ რიგში ინფორმატიზაციის მზარდმა ტემპებმა, გზა გაუხსნა სწავლების პროცესისადმი არატრადიციულ დამოკიდებულებას. თუ აქამდე ტექნოლოგიას ნივთიერი გამოხატულება ჰქონდა, თანამედროვე გაგებით შესაძლებელია, ტექნოლოგიური პროცესის შედეგი ინტელექტუალური ფასეულობა გახდეს. აქედან გამომდინარე თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში ტერმინი „ტექნოლოგიები“ ფართოდ გამოიყენება სწავლების პროცესის აღსანიშნავად. მას არავითარი კავშირი არ აქვს ტრადიციულ ტექნოლოგიურ პროცესებთან. იგი მხოლოდ სწავლების ტექნოლოგიებს გულისხმობს. ამდენად, სრულიად ლოგიკურია, სასწავლო საგანმანათლებლო პროცესებში მიმდინარე ინოვაციური ტენდენციები სწავლების ტექნოლოგიად მივიჩნიოდ.

უმაღლესი განათლების თეორიაში სწავლების ტექნოლოგიები უფრო მყარად იკიდებს ფეხს, ვიდრე ტრადიციული სწავლების მეთოდები. ახლა კი, ახალი რეალიების გათვალისწინებით, სწავლების ტექნოლოგიები ფართოდ შეიჭრა თვით ზოგადი განათლების სისტემაში და რა გასაკვირია თუ მისით ინტერესდება უმაღლესი სკოლაც, რომელიც ინფორმატიზაციის და გლობალიზაციის პირობებში, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

„სწავლების ტექნოლოგია“ არის განათლების თეორიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, შეისწავლის და წარმართავს სწავლების მეთოდებს, ახდენს სასწავლო პროცესის პროექტირებას, უზრუნველყოფს სტუდენტთა კრიტიკულ აზროვნების ფორმირებას და სწავლება, სწავლის პროცესის აქტიურ სწავლებად გარდაქმნას.

პედაგოგიური ტექნოლოგიაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის პოზიციას, ბავშვისადმი მასწავლებლის მიმართებას. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ტექნოლოგიის რამდენიმე ტიპი:

- ავტორიტარული ტექნოლოგიები, რომლებშიც მასწავლებელი არის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ერთპიროვნული სუბიექტი, ხოლო მოსწავლე - მხოლოდ ობიექტია. რაც გამოირჩევა სასკოლო ცხოვრების მკაცრი ორგანიზაციით, მოსწავლეთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ჩახშობით, მოთხოვნისა და ძალდატანების გამოყენებით.

- დიდაქტოცენტრული ტექნოლოგიები, რომლებშიც ასევე დომინირებს მასწავლებლის და მოსწავლის სუბიექტ-ობიექტური მიმართებები. იგი გამოირჩევა მოსწავლის პიროვნებისადმი უყურადღებობით და აღზრდასთან შედარებით პრიორიტეტი სწავლებას ენიჭება.

- პიროვნულ-ორიენტირებული ტექნოლოგიები, რომლებშიც მოსწავლის პიროვნება არათუ სუბიექტია, არამედ პრიორიტეტული სუბიექტია. მოსწავლის პიროვნება საგანმანათლებლო სისტემის მიზანია და არა ამა თუ იმ განყენებული მიზნის მისაღწევი საშუალება, რასაც ადგილი აქვს ავტორიტარულ და დიდაქტოცენტრულ ტექნოლოგიებში. პიროვნულ-ორიენტირებული ტექნოლოგია მოსწავლის პიროვნებას აყენებს მთელი საგანმანათლებლო სისტემის ცენტრში, მისი განვითარებისათვის ქმნის კომფორტულ, უკონფლიქტო და უსაფრთხო პირობებს. ასეთ ტექნოლოგიების ანთროპოცენტრულსაც უწოდებენ.

პიროვნულ-ორიენტირებული მიდგომის დამოუკიდებელი მიმართულებებია: ჰუმანურ-პიროვნული, თანამშრომლობის და თავისუფალი აღზრდის ტექნოლოგიები.

- ჰუმანურ-პიროვნული ტექნოლოგიები სხვა ტექნოლოგიებისაგან გამოირჩევა თავისი ჰუმანისტური არსით, ფსიქოთერაპიული მიმართულებით, ბავშვის მხარში ამოდგომით, მისთვის დახმარების გაწევის დაუოკებელი სურვილით. ეს ტექნოლოგიები უარყოფენ, ძალდატანებას, აღიარებენ ბავშვისადმი ყოველმხრივ პატივისცემასა და სიყვარულს, ოპტიმისტურად სჯერათ ბავშვის შემოქმედებითი ძალების.

- თანამშრომლობის ტექნოლოგიებისათვის დამახასიათებელია, მასწავლებლისა და ბავშვის სუბიექტურ მიმართულებებში განახორციელოს დემოკრატიზმი, თანასწორობა, პარტნიორობა. მასწავლებელი და მოსწავლეები იმყოფებიან თანამშრომლობისა და თანაშემოქმედებითობის მდგომარეობაში, ერთად იმუშავენ მიზნებს, ადგენენ მეცადინეობის შინაარსს, ყოველ მოქმედებას აძლევენ შეფასებას.

- თავისუფალი აღზრდის ტექნოლოგია მოსწავლეს აძლევს თავისუფალი არჩევანისა და დამოუკიდებლობის უფლებას. არათუ აძლევს არამედ უმუშავეს ასეთი არჩევანის გაკეთების უნარს. თავისუფალი არჩევანის განხორციელებით მოსწავლე იმტკიცებს სუბიექტის პოზიციას, შედეგისაკენ მიდის გულის წადილიდან გამომდინარე, და არა გარეგანი ზემოქმედების შედეგად.

- ეზოთერული ტექნოლოგიები (არაგაცნობიერებული ქვეცნობიერ) ცოდნა-ჭეშმარიტებას ემყარება. პედაგოგიური პროცესი ჭეშმარიტებასთან ზიარებაა. ეზოთერულ პარადიგმაში მოსწავლე თვითონ ხდება სამყაროსთან ინფორმაციული ურთიერთქმედების ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ მონოდიდაქტიკური ტექნოლოგიები ძალიან იშვიათად გამოიყენება. ჩვეულებრივ სასწავლო პროცესი იგება ისე, რომ კონსტრუირდება რომელიღაც პოლიდიდაქტიკური ტექნოლოგია, რომელიც რომელიმე პრიორიტეტული ორიგინალური საავტორო იდეის საფუძველზე აერთიანებს სხვადასხვა მონოდიდაქტიკური ტექნოლოგიების ელემენტებს. არსებითი ისაა, რომ კომბინირებული დადაქტიკური ტექნოლოგია შეიძლება ხასიათდებოდეს ისეთი თვისებებით, რომლებიც არ გააჩნია არც ერთ მის მდგენელ ტექნოლოგიას.

ტრადიციული პედაგოგიური სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებათა მიხედვით შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიათა შემდეგი ჯგუფები:

- პედაგოგიური მიმართებათა ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები (თანამშრომლობის, ჰუმანურ-პიროვნული და სხვ.)

- მოსწავლეთა საქმიანობის აქტივიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები (თამაშების ტექნოლოგიები, პრობლემური სწავლება და სხვ.)

- სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტურობის საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები (პროგრამირებული სწავლება, დიფერენცირებული სწავლება).

- მეთოდური სრულყოფისა და დიდაქტიკური რეკონსტრუირების საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები.

- სახალხო პედაგოგიკის საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები (მონტენსორის ტექნოლოგია, სწავლება იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, სწავლება ლევ ტოლსტოის მიხედვით სხვა).

- ალტერნატიული ტექნოლოგიები (ვალდორფის პედაგოგიკა - შტაინერი, თავისუფალი შრომის ტექნოლოგია - ფრენე, ალბათური განათლების ტექნოლოგია - ლობოვი).

- კომპლექსური ტექნოლოგიები (სავტორო სკოლები) არსებობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სხვა კლასიფიკაციებიც.

ტექნოლოგიების კლასიფიკაცირებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სწავლების ტექნოლოგიებისა და კონცეფციების ურთიერთშესაბამისობის საკითხიც.

ტექნოლოგიებისა და კონცეფციების ურთიერთშესაბამისობის საკითხიც.

სწავლების პროცესში შეიძლება გამოვყოთ მისი მახასიათებელი მხარეები:

- შინაარსობრივი (რა ვასწავლოთ)

- პროცესუალური (როგორ ვასწავლოთ)

- მოტივაციური (როგორ მოვახდინოთ მოწავლეთა საქმიანობის აქტივიზირება).

- ორგანიზაციული (როგორ მოვახდინოთ მასწავლებლისა და მოსწავლეთა საქმიანობის სტრუქტურირება)

როგორც ცნობილია, ყოველ ამ მხარეს შეესაბამება გარკვეული კონცეფციები:

1. შინაარსობრივ მხარეს შეესაბამება კონცეფციები: შინაარსობრივი განზოგადების, სასწავლო მასალის გენერაციის, სასწავლო საგანთა ინტეგრაციის, დიდაქტიკური ერთეულების გამსხვილების და სხვ.

2. პროცესუალურ მხარეს შეესაბამება კონცეფციები: პროგრამირებული სწავლების, პრობლემური სწავლების, ინტერაქტიული სწავლების და სხვ.

3. მოტივაციურ მხარეს შეესაბამება კონცეფციები: სასწავლო პროცესის მოტივაციური უზრუნველყოფის, შემეცნებითი ინტერესების ფორმირების და სხვა.

4. ორგანიზაციულ მხარეს შეესაბამება კონცეფციები: ჰუმანური პედაგოგიკის, თანამშრომლობის პედაგოგიკის, კონცეტრირებული სწავლების და სხვა.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიები არ არსებობს ერთმანეთისაგან იზოლირებულად. მათ უამრავი საერთო ნიშანი ახასიათებთ. სასწავლო პროცესის ამა თუ იმ მომენტში თუ ვიხილავთ, რომელიმე ტექნოლოგიას, უნდა გვახსოვდეს, რომ მას აუცილებლად ახლავს სხვა ტექნოლოგიების ელემენტებიც.

სწავლების ტექნოლოგიებმა ადგილი დაიმკვიდრა განათლების თეორიის ყველა კომპონენტში. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა განათლების მიზნისა და შინაარსის ახლებური გააზრება. სწავლების ტექნოლოგიამ ყველაზე უფრო გამოკვეთა თავისი შესაძლებლობები აქტიური სწავლება - სწავლის პროცესში. როცა აქტიურ სწავლებაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ვინმემ იფიქროს, განა შესაძლებელია სწავლება აქტივობის გარეშე? მაგრამ ასეთი რამეც შესაძლებელი ყოფილა. ამის დასტურია არა მარტო უახლესი წარსული, არამედ, მეტწილად, რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა. ყველას კარგად მოეხსენება პროცენტულად რამდენი სტუდენტია აქტიურ სწავლებაში და რამდენი პასური. ამიტომ სწავლების ახალი ტექნოლოგია, რომელიც აქტიურ სწავლების სტრატეგიას აყალიბებს მასობრივ ხასიათს იძენს, რაც ყველაზე კარგად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

ტრადიციული სწავლებისაგან განსხვავებით სწავლების ტექნოლოგიებმა მთავარი ყურადღება რეალურად მიმართა სწორედ ცხოვრებისეულ გამოწვევებზე. თუ აქამდე სწავლების თეორიაში ნომინალურად მოქმედებდა სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი, დღეს მან რეალური დანიშნულება შეიძინა. სწავლება სწავლის წინაშე მთელი სიმწვავეით დგას პრობლემა იმის შესახებ, რამდენად ადეკვატურია ჩვენი სასწავლო პროცესი, შეუძლია თუ არა კურსდამთავრებულს კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება?

აქტიური სწავლება უპირისპრიდება ინდიფერენტობას და განყენებულ სწავლებას. ყველა სტუდენტმა იცის, რომ რაც აუდიტორიაში ხდება, მისი საქმეა, მისი მონაწილეობა აუცილებელია ყველაფერში.

სწავლების ტექნოლოგიებში მეთოდები, მიზნების შესაბამისად, სამ კატეგორიად იყოფა: გამოწვევა, შინაარსის რეალიზება და რეფლექსია. ეს კატეგორიები სწავლება, სწავლის მოდელს ემსახურება და უნივერსიტეტში მეცადინეობის ორგანიზების ეფექტური საშუალებაა. მოდელის საწყის სტადიაზე, მასწავლებელი მეცადინეობის შინაარსს, სტუდენტების მიერ ადრე მიღებულ ცოდას, მათ შეკითხვებს სწავლება, სწავლის მიზნებს უკავშირებს. შემდეგ სტადიაზე სტუდენტები მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლობენ ან იკვლევენ პრობლემას. კულმინაცია მაშინ იწყება,

როცა სტუდენტები მსჯელობენ და ფიქრობენ, რაც გაიგეს, მასალის ინტერპრეტაციას ახდენენ, ან პრობლემის გადასაწყვეტად იყენებენ მას.

სწავლების ტექნოლოგია ეყრდნობა ტრადიციულ მეთოდებს და გამოწვევის სტადიაზე ანუ შესავალ ნაწილში ააქტიურებს შესწავლილ მასალას, რომელზედაც უნდა „დაშენდეს“ განსახილველი თემა. ამას ორგანულად მოჰყვება შეკითხვები ისეთ საკითხებზე, რაც განვლილ მასალას ახალ პრობლემასთან აკავშირებს. სასურველია, საუბარი იყოს უშალო და შიგადაშიგ პროვოკაციულიც.

ყოველივე ეს ახდენს გავლენას სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე და შემეცნებითი უნარების განვითარებაზე. თანამედროვე გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, სწორედ ასეთი უნარებით შეიარაღებულ მოქალაქეებს შეეძლებათ. ღია საზოგადოება მოქალაქეთა აქტივობაზე დაფუძნებული საზოგადოებაა, რომლის მამოძარვებელ ძალას ახალგაზრდული იდეალიზმი წარმოადგენს, ამიტომ მათი სამოქალაქო აქტივობისთვის სათანადო საფუძველი სწავლების პროცესში უნდა მომზადდეს.

#### ლიტერატურა:

1. ჯ. ჯინჯიხაძე, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ., 2012 წ.
2. ა. ასათიანი, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2008 წ.
3. ი. ბასილაძე, ნ. კოსტავა, ნ. ჭოხონელიძე, სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიული მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება. ქუთაისი, 2011 წ.

**Nato Dvali** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

#### **Educational process and modern technologies**

##### **Abstract**

The organization forms of education are connected with learning technologies.

The basic of technologies are the aim of learning for the classical Pedagogic is not important the final aim. In technologies the main are discuss.

The technologies are learned the proces of learning and how to improve the proces of learning how to learn the students critical thinking and how to become learning process more interesting and valuable.

We need such learning proces which will prepares student in real life.

**Нато Двали** - ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

#### **Образовательный процесс и современные технологии обучения.**

##### **Резюме**

С формами организации преподавания органично связаны технологии обучения. Основой технологии является четкое определение конечной цели. В традиционной педагогике проблема цели не является ведущей. В технологии цель определяется как центральный компонент.

«Технология обучения» является одним из направлений теории образования, которое, исходя из целей обучения, изучает и направляет методы преподавания, проектирует учебный процесс, обеспечивает формирование критического мышления студентов и преобразование процесса обучения в активное обучение.



ლელა თავდგირიძე-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი

### მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა - მოსწავლის წარმატების საფუძველი

“მომეცით სხვა დედები და მე თქვენ მოგცემთ სხვა სამყაროს”-წმინდა ავგუსტინეს ეს სიტყვები ხაზს უსვამს მშობლის როლს. მცირე ასაკში მოსწავლეები განათლებას ძირითადად ორი წყაროდან იღებენ: მშობლისგან და მასწავლებლისგან. შემდგომში ეს წყაროები უფრო მრავალფეროვანი ხდება: საზოგადოება, მეგობრები, უნივერსიტეტი და სხვა. შესაბამისად ადრეულ ასაკში ყველაზე დიდ გავლენას მოსწავლის განვითარებაზე ოჯახი და სკოლა ახდენს. მნიშვნელოვანია ორივე რგოლის ჩართვა მოსწავლის განვითარებაში, სწავლა-აღზრდის საქმეში, თანაც ისე, რომ ორივე აცნობიერებდეს ამ მნიშვნელობას და თავის როლს. სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. დაკვირვებამ, კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგს აღწევენ: იღებენ უკეთეს ნიშნებს, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით და ა. შ. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. უკეთესი შედეგების მისაღწევად მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობელთან აქტიური თანამშრომლობით. მშობელთან ხშირი და თანმიმდევრული კომუნიკაციის დამყარება და მათთან ერთად ზრუნვა ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე ამცირებს არასასურველი შემთხვევების რისკს.

მშობლებთან თანამშრომლობა ბევრი მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან მასწავლებლის მხრიდან ის კარგად განვითარებულ საკომუნიკაციო უნარებს მოითხოვს, მშობლის მხრიდან კი-გარკვეულ დროსა და ძალისხმევას. კარგი კომუნიკაციის უნარი წარმატებული ურთიერთობის წინაპირობაა. შესაბამისად მშობელთა ჩართულობის მასშტაბი და ფორმები იცვლება და დამოკიდებულია მათ განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე, ასაკზე და სხვა. ეს გულისხმობს როგორც სასკოლო დავალებების შესრულებისას შვილის დახმარებას, ასევე მოსწავლის ხელშეწყობას, რომ მან თავად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, დროის მენეჯმენტი. თუმცა მშობელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სკოლამ უნდა გადაწყვიტოს მოსწავლის, სწავლების და აღზრდის, მისი პიროვნების ფორმირების მთავარი ამოცანა. მაგრამ როგორც კი მშობელს საშუალება ეძლევა ჩაერთოს სასწავლო პროცესში, მათი უიმედო დამოკიდებულება ქრება და ისინი ხვდებიან, რომ აქტიურობა მართლაც მნიშვნელოვანია. მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობაში მასწავლებელს ენიჭება უპირატესობა. მას პედაგოგიური განათლება აქვს, მშობელთა უმრავლესობას - კი ამ მიმართულებით არასაკმარისი ცოდნა. ამიტომ მან პირველმა უნდა გადადგას ნაბიჯი. ის შუალედური რგოლია სკოლასა და ოჯახს შორის. მან უნდა მოძებნოს მშობელთან ურთიერთობის გზები და ხერხები, რომ მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში, გახადოს მისი მოკავშირე.

სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის საკითხი უხსოვარი დროიდან იპყრობდა გამოჩენილი მოაზროვნეების ყურადღებას. ცნობილი ფაქტია, რომ ბერძენმა ფილოსოფოსმა და მასწავლებელმა სოკრატემ სასამართლოზე შხამიანი ღვინით სავსე ფიალა დასცალა და თავი მოიკლა იმის გამო, რომ უარყოფდა მშობლის როლს აღზრდის საქმეში იმ მოტივით, რომ ისინი არაპროფესიონალები არიან და საქმეს გააფუჭებენო. ცხადია ეს მოსაზრება არასწორია, მაგრამ მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხი პრობლემად რჩება. მშობლებს ესაჭიროება პედაგოგიური განათლება და ამაში მას მასწავლებელი უნდა დაეხმაროს. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდი წერდა: საუკეთესო გზა ბავშვის დახმარებისა-მშობლის დახმარებაა. თუ მშობლებს არ მოსწონთ, როგორ იქცევიან მათი შვილები, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ბავშვები უნდა შეიცვალონ. მშობელთან კომუნიკაციაზე მასწავლებელმა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იზრუნოს. აცნობოს მშობლებს მომავალი საკლასო ღონისძიებების, საშინაო დავალებების ტიპების, სიხშირის, საშინაო დავალების შესრულების ხარისხის, მოსწავლის

მიმართ არსებული მოლოდინების, სკოლაში/კლასში არსებული წესების, მოსწავლის შეფასების სისტემის შესახებ. მასწავლებელი უნდა გაეცნოს მშობელთა მოლოდინებს, გაიგოს მოსწავლის ოჯახის წევრთა დამოკიდებულება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებისადმი. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მშობლის საკონტაქტო მონაცემები: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, რომელთა მეშვეობით უპირველესად შეატყობინებს შვილის წარმატებებს, საჭიროების შემთხვევაში თხოვს დახმარებას, არსებული პრობლემის ერთად გადაჭრის გზების დასახვას. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, რომ პერიოდულად მიიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის, იმ მოთხოვნების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ მშობელს მხოლოდ პრობლემების შესახებ კი არ ვესაუბროთ, არამედ მათი ყურადღება გავამახვილოთ ბავშვის ძლიერ მხარეებზე, მიღწევებსა და წარმატებებზეც. მშობელთან კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ხერხი: ზეპირი, წერილობითი, ელ-ფოსტა, ტელეფონი, ოჯახში სტუმრობა და სხვა. კომუნიკაციის ხერხს მასწავლებელი ირჩევს სიტუაციიდან გამომდინარე. მშობელი სისტემატურად უნდა იყოს ინფორმირებული მისი შვილის აკადემიური მოსწრების, საქციელის, მისი წარმატებების შესახებ. მშობელთან კომუნიკაციის რა ფორმას აირჩევს მასწავლებელი ეს მასზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია წერილის ან სიტყვიერი მიმართვის შინაარსი. სასურველია ის დადებითი ინფორმაციით იწყებოდეს. ვინაიდან ჩვენი ურთიერთობა აღსაზრდელთან უნდა ავაგოთ პრინციპით აღზრდა დადებითზე დაყრდნობით. ხელოვანი მასწავლებელი ყველაზე უკეთ ხედავს ნებისმიერი ბავშვის დადებით მხარეს. ის პირველი წარმოაჩენს მოსწავლის დადებით მხარეს და გამოავლენს მის ღირსებებს. მშობელს ახარებს შვილის შექება. დადებითი ტონით დაწყებული წერილი თუ საუბარი იმის გარანტიას იძლევა, რომ მშობელი ბოლომდე წაიკითხავს წერილს ან გულდასმით მოგვისმენს. სასურველია წერილში იყოს ბევრი შეკითხვა და მიღებულ ინფორმაციაზე კომენტარის მოთხოვნა. ეს მშობელსა და მასწავლებლის კომუნიკაციის დასაწყისი იქნება.

მაგალითად, თუ მასწავლებელს სურს, შეატყობინოს მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუარესების შესახებ, მას შეუძლია გაამახვილოს ყურადღება ამავე მოსწავლის დადებით ქცევაზე თანატოლებთან მიმართებით, თანატოლებთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შემთხვევაზე. გამოხატოს მშობელთან მისი შვილის მიმართ მზრუნველობა და დადებითი დამოკიდებულება (3, 15). შეხვედრების დროს სასაუბროდ მეტი დრო დავუთმოთ მშობლებს, მათთან ერთად გავანალიზოთ სიტუაცია, მოვისმინოთ მათი რჩევები და გავითვალისწინოთ პრაქტიკული საქმიანობის დროს. მაშინ მშობელს გაუჩნდება კითხვების დასმის, მოსაზრებების გამოთქმის სურვილი. საყვედურები და შენიშვნები მშობლისთვის მიუღებელია. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების აქცენტი გავაკეთოთ ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორცაა მშობლისა და შვილის ურთიერთობა. რომ ბავშვის ძირითად სოციალურ გარემოს ოჯახი წარმოადგენს და მის ზნეობრივ გრძნობებზე გავლენას ახდენს ოჯახის წევრთა დამოკიდებულება. გავაცნოთ კვლევის „რა მწყინს და რა მიხარია მშობლებისგან“ შედეგები (2. 7). მეოთხე კლასელები კითხვაზე, რა მწყინს და რა მიხარია მშობლებისაგან, პასუხობენ: „მიხარია, მამა რომ გადამეხვევა და მერე მეტყვის-სკოლაში რა ამბავია?“, „მიხარია, დასვენების დღეს მთელი ჩვენი ოჯახი კუს ტბაზე ან ბეთანიაში რომ მივდივართ“, „მამას ვესაუბრები ტომ სოიერის გამბედაობაზე. მგონია, რომ მისმენს. მწყინს, როცა ბოლოს მეუბნება-„რა მკითხე შვილო?“; „მიალაგე შენი მაგიდა“-ხშირად მახსენებს ხოლმე დედა. ეს მე მწყინს, ხომ იცის, რომ აუცილებლად ავალაგებ“, „მწყინს, როცა სულ იმას მეუბნებიან-„ეს გააკეთე!“, „ეს არ გააკეთო!“

მშობელთა პედაგოგიური განათლების მიზნით სასურველია შევთავაზოთ ტრენინგები მშობლებს მათთვის საინტერესო თემებზე (მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხოური ენის სწავლება, მოსწავლის სამინაო დავალებების მომზადება, დისკუსია თემაზე: „მე და ჩემი შვილი“); ჩავუტაროთ სემინარები ფსიქოლოგთან ერთად პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური პროგრამების არჩევის შესახებ; დავგეგმოთ მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენციები, გავაცნოთ მშობლებს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის სტრატეგიები.

დღეს, როდესაც მშობელთა უმეტესობა ძალზე დაკავებულია, კომუნიკაციის ეს საშუალებები მასწავლებელსა და მშობელს შორის, ინფორმაციის გაცვლის ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენს. ტრადიციად ვაქციოთ მშობლებთან ინფორმაციული შეხვედრები, გავცნოთ მათ ინიციატივებს, ჩავრთოთ სხვადასხვა კლასგარეშე ღონისძიებების მომზადება-ჩატარებაში. მშობელთა ჩართულობის გაზრდის შემდეგ სტრატეგიებს გვათავაზობს ი. აბულაძე სტატიაში „სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად“. „უმასპინძლეთ მოსწავლეთა ოჯახებს სკოლაში შემდეგ ღონისძიებებზე: წიგნების გამოფენა-გაყიდვა, საქველმოქმედო აქცია ნამცხვრების ცხოვა და გაყიდვა ქველმოქმედებისათვის; სემინარები მშობლებისათვის-როგორ ჩაერთონ შვილის განათლებაში; მშობლის/მოსწავლის საორიენტაციო დღე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში; მშობელთა სემინარი კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფში-როგორ დაეხმარონ მოსწავლეს; მოხალისეობის პროგრამა (მშობელი-მოხალისე 2-3 საათი წელიწადში); სპექტაკლები (მოსწავლეები თავად აკეთებენ მოსაწვევებს მშობლებისათვის); სკოლისგარეშე პროგრამები; კონფერენციები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, მიღწევებს მშობლების წინაშე“ (1, 11).

მშობლებთან ურთიერთობისას სასურველია გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი: შევიმუშაოთ კომუნიკაციის მეთოდები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ მშობელზე (დარეკვა, იმეილი, მესიჯი, შეხვედრა); მოსწავლეებს შევაქმნეინოთ ბლოგები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლებისათვისაც; მივწეროთ მშობლებს საერთო ინფორმაციის შემცველი წერილები, რომლებშიც თითოეული მოსწავლის შესახებ ინდივიდუალურადაც იქნება საუბარი; მოვუწყოთ მშობლებს შეხვედრები დირექტორთან; შევაფასებინოთ საკუთარი თავი მოსწავლეებს და წარვუდგინოთ მშობლებს; ვაწარმოოთ ანგარიშები მოსწავლეთა შესახებ. გავაცნოთ ისინი მშობლებს ინდივიდუალურად; განვიხილოთ მშობლებთან ერთად სხვადასხვა გადაწყვეტილება (რეგულაციები, წესები, შეფასების სისტემა, დავალების ტიპები); მივცეთ რეკომენდაციები მშობლებს მოსწავლის ამა თუ იმ ნიჭის გამოსავლენად; რვეულში გავაკეთოთ ჩანაწერები მოსწავლის წარმატებების შესახებ; გავმართოთ შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა დროს; გაკვეთილების დაწყებამდე, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ; ჩავატაროთ საჭიროებათა კვლევა მოსწავლეებსა და მშობლებთან; გავუზიაროთ მშობლებს მოსწავლის შესახებ სრული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოებისა და განმავითარებელი შეფასების შესახებ კომენტარით;

პედაგოგისა და მშობლის სწორ, შეთანხმებულ ურთიერთობაზედაა დამოკიდებული მოსწავლის მომავალი, მისი წარმატებები. ამიტომ მშობელი და პედაგოგი შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს. მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება აუმაჯობებს პედაგოგებსა და მშობლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლის პროცესს, აუმაჯობებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და თვითშეფასებას. განათლება არის პროცესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას სკოლას, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის.

### ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად. ჟურნალი „მასწავლებელი“ №5 2013წ.
2. ირემაშვილი რ., რა მწყინს და რა მიხარია მშობლებისგან. გაზეთი „ახალი განათლება“, 27.10-02.11 2011წ.
3. ჯანელიძეა., მშობლებთან თანამშრომლობა-გამოწვევა მასწავლებლისთვის. ჟურნალი „მასწავლებელი“ №3 2012წ.

### რეზიუმე

მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ოჯახი და სკოლა, მშობელი და მასწავლებელი ახდენს. მნიშვნელოვანია ორივე მხარის ჩართვა მოსწავლის განვითარებაში, თანაც ისე, რომ ორივე აცნობიერებდეს ამ მნიშვნელობას და თავის როლს. სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. მშობელთან ხშირი და თანმიმდევრული კომუნიკაციის დამყარება და მათთან ერთად ზრუნვა ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე ამცირებს არასასურველი შემთხვევების რისკს. მშობელთა ჩართულობის მასშტაბი და



ფორმები იცვლება და დამოკიდებულია მათ განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე, ასაკზე და სხვა. მშობელი შვილს ეხმარება როგორც სასკოლო დავალებების შესრულებისას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეს თავად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, დროის მენეჯმენტი. მასწავლებელი შუალედური რგოლია სკოლასა და ოჯახს შორის. მან უნდა მოძებნოს მშობელთან ურთიერთობის გზები და ხერხები, რომ მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში, გახადოს მისი მოკავშირე. მშობელთან კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოვიყენოთ: ელ-ფოსტა, ტელეფონი, ოჯახში სტუმრობა და სხვა. მშობელს შეატყობინოს ჯერ შვილის წარმატებების, მიღწევების შესახებ და შემდეგ პრობლემების შესახებ. მოხსენებაში განხილულია, რა დადებით გავლენას ახდენს მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა მოსწავლის წარმატებებზე.

**Лела Тавдгиридзе** – профессор факультета образования Батумского государственного университета

### **Сотрудничество учителя и родителей - основа успеха учащихся**

На развитие ученика огромное влияние имеет как школа и семья, так и родители и учителя. Очень важна роль обеих сторон, осознавая при этом важность своей роли. Участие родителей в школьной жизни имеет особое значение для успеха студентов. Частая и последовательная коммуникация между родителями в целях воспитания образования их детей, уменьшает риск побочных эффектов. Формы и масштабы степени участия родителей варьируются, от этого и зависит уровень их образование, социальный статус, возраст и многое другое. Родитель помогает не только в решении школьных задач, а также способствует в реализации собственных возможностей. Учитель связующее звено между школой и семьей. Он должен найти пути и средства для общения с родителями, чтобы включить их в процесс обучения, сделать его союзником. В начале учебного года, учителя должны информировать родителей о существующих правилах школы / класса, текущих ожиданиях в адрес обучаемого, системе оценки учащихся, видах домашней работы. Коммуникация с родителями осуществляется через: E - Mail, телефон, посещение на дом и многое другое. Сначала сообщается о достижениях и успехах детей, а впоследствии – речь должна идти о наболевших проблемах. В докладе рассматривается положительное влияние сотрудничества родителей и учителей на успехи учащихся.

**Lela Tavdgiridze**-Batumi State University, Faculty of Education, Professor

### **Teacher parent cooperation-bases for the child's success**

Teacher, parent and family affect student's development to a large extent. It is important to involve both sides in the development process and it is crucial for the parties to realize their role and importance. Frequent communication with parents and joint care about child's education minimizes risks of unwanted cases. Scale of teachers' involvement and form change and among others depend on their education, social status and age. Parents assists their children with the homework and also help them with the time management. Teachers should find the ways of engaging parents and making them allies. Teacher should inform the parents about the school regulation, evaluation system and expectations towards the children from the very beginning. E-mail, telephone, visiting at home and many other means could be used for communication. Parents should be updated about their children's success first and then about the problems. The article touches on how the cooperation between the teacher and parent affects child achieving the success.



**ნანა მაკარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ნანი მამულაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

**ნანა ფუტყარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი

### აზროვნების სწავლება საკლასო გარემოში

სკოლა ყოველთვის იყო ადგილი, სადაც მოსწავლეებს აზროვნება უნდა ესწავლათ. იყო დრო, როცა მოსწავლე წარმატებულად ითვლებოდა, თუ მას შეეძლო თვლა და არგუმენტირებული მსჯელობა. 21-ე საუკუნე გაცილებით მეტს ითხოვს. დღეს საბაზისო ოპერაციებს კომპიუტერები ასრულებენ და დღევანდელ მოსწავლეს უნდა შეეძლოს მეტი და მეტი ინფორმაციის გაგება და კომპლექსური გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციაში. ბოლო პერიოდში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების - კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების სწავლების საკითხებზე. მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალო დამახსოვრება-გაზეპირებას და ცოდნის მექანიკურ დაგროვებასთან ერთად გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება უნდა შეძლოს, რაც მისგან ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარსაც მოითხოვს. სწავლა სწორად აზროვნების შედეგია და შესაბამისად, აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი უფრო შეგნებულად სწავლობს და გონებაც უფრო აქტიურდება. სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და უჭირს რაიმეს დასწავლა.

ნებისმიერი სახით მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს აზროვნების საწყის ეტაპს და მოსწავლეს ეხმარება მის ამოქმედებაში, თუმცა არ წარმოადგენს შემეცნების პროცესის საბოლოო შედეგს. ამერიკელი განათლების მკვლევარის დევიდ პერკინსის (პერკინსი, 1992) ცნობილი „თეორია ერთი“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც აზროვნების ამოქმედებას უწყობს ხელს. მოსწავლის მრავალფეროვან სააზროვნო მოქმედებებში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მასალა იძლევა ამის საშუალებას. სასწავლო პროცესში ცნების ადეკვატურად გამოყენება მოიცავს დაკონკრეტება/განზოგადების ოპერაციების თავისუფლად შესრულებას. დაკონკრეტების დროს ხდება კლასისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გადატანა კლასში შემავალ კონკრეტულ ობიექტზე ან ობიექტთა ჯგუფზე, განზოგადების დროს კი - ობიექტთა ერთობლიობის არსებითი ნიშნების გადატანა უფრო დიდ კლასზე. ამ ოპერაციების ათვისებისას მოსწავლეები აწყდებიან გარკვეულ სირთულეებს. ისინი ადეკვატურად ვერ იყენებენ ცნებებს, უჭირთ კონკრეტული ობიექტის მიკუთვნება გვარეობითი კლასისთვის. მაგალითად, კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ქვემო ქართლი, პასუხი: „საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს“ ან „საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს“ - საკმაოდ იშვიათია, მაშინ როცა, შებრუნებული შეკითხვა - „ჩამოთვალეთ საქართველოს კუთხეები (რეგიონები)“ გაკვეთილზე საკმაოდ ხშირად ესმით და სწორადაც პასუხობენ. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რატომ ვერ აკეთებენ მოსწავლეები შებრუნებულ ოპერაციას? როგორც ჩანს, პრობლემას, ხშირ შემთხვევაში, ცნებების მიწოდების არასწორი ფორმა ქმნის. კერძოდ, მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის ზოგად განმარტებას, შემდეგ ჩამოთვლის ან აჩვენებს იმ ობიექტებს, რომლებიც ამ ცნებას მიეკუთვნებიან. მოსწავლის მოქმედება ამ დროს კვლავ დამახსოვრებაა. იმისათვის, რომ აზროვნება გავააქტიუროთ, მოსწავლეს უნდა მივაწოდოთ ან აღმოვაჩინოთ პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერთიანდება ობიექტები ამ ცნების ქვეშ, ხოლო შემდეგ თავად მივაკუთვნებინოთ კონკრეტული ობიექტი ცნებისთვის. თავად ობიექტების მიკუთვნებაც, ეტაპობრივად უნდა გართულდეს, უნდა დავიწყოთ ისეთი ობიექტებით, რომელთა არსებითი ნიშნების ამოცნობა და, შესაბამისად, აღმოჩენილი პრინციპის მიყენებაც იოლია, შემდეგ გადავიდეთ უფრო რთულად ამოსაცნობ ობიექტებზე და დავასრულოთ იმ ობიექტებით, რომელთა მკაფიო მიკუთვნება ამ კლასისათვის რთულია, რადგან მხოლოდ ნაწილობრივ მიეკუთვნებიან ამ კლასს.

სასწავლო მასალა სასურველია შეიცავდეს ცნებების მკაფიო განმარტებას, ობიექტების ცნებისთვის ან კლასისთვის მიკუთვნების პრინციპების ახსნას და მრავალფეროვან მაგალითებს

მოსწავლეთა გასავარჯიშებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვა, ასევე მრავალფეროვანი სასწავლო მასალის გარკვეული ფორმით მიწოდება. მოყვანილი მაგალითიც იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს რთავს აზროვნების აქტიურ პროცესში, სადაც მოსწავლეები აცნობიერებენ საკუთარი აზროვნების პროცესს, რაც ქმნის მოსწავლის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარების წინაპირობას.

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარების შედეგად მოსწავლე იწყებს აზროვნებას საკუთარი აზროვნების შესახებ. პერკინსის (პერკინსი, 1992) აზრით, კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესების მართვას, რომელიც მოიცავს შემდეგის გააზრებას: რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი, როგორ უნდა წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა. შ. ეს არის მეტაკოგნიციის პროცესი, რომელიც გულისხმობს „ადამიანის მიერ საკუთარი აზროვნების დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს“ და „აზროვნების შესახებ აზროვნებას თვითრეგულაციის განვითარების მიზნით“. მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სწავლის სწავლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მეტაკოგნიცია ხშირად აღიარებულია, როგორც „მაღალი დონის აზროვნება“, მეტაკოგნიციური უნარ-ჩვევების განვითარების მცდელობა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც უფროსკლასელებთან, ასევე უმცროს სასკოლო ასაკშიც. მაგალითად, 9 წლის მოსწავლეს შეუძლია არა მხოლოდ იმის აღწერა, რასაც ის კითხულობს, აგრეთვე იმისაც, თუ როგორ კითხულობს (ანუ ფიქრი იმაზე, თუ რა არის მიღწეული და რა უნდა გაკეთდეს მომავალში); მართლაც, არსებობს არაერთი საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგია, რომელიც ემსახურება ასეთ გაცნობიერებულ სწავლებას და ხელს უწყობს აზროვნებას საკუთარი აზროვნების შესახებ. ზოგიერთი ასეთი სტრატეგია მოიცავს მთელი რიგი შეკითხვების დასმას, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი მუშაობის გაცნობიერებაში, დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში. მაგალითად, ამოცანის შესრულებამდე, მოსწავლემ შესაძლოა საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვები: „რაც უკვე ვიცი, იქედან რა შემიძლია გამოვიყენო ამ პრობლემის გადასაჭრელად? რა უნდა გავაკეთო პირველ რიგში? რა ამოცანები დგას ჩემ წინაშე და როგორ ვაპირებ მათ გადაჭრას?“ (დაგეგმვა); ამოცანის გადაჭრის პროცესში, მოსწავლემ შესაძლოა თავის თავს დაუსვას შემდეგი კითხვები: „სწორ გზაზე ვდგავარ თუ არა? ვიყენებ თუ არა შესაბამის ინფორმაციას ან რესურსს? რა უნდა შევცვალო, თუ მიჭირს რაიმეს გაგება“ (მონიტორინგი); ამოცანის დასრულების შემდეგ კი იგი შეიძლება შეეკითხოს საკუთარ თავს, რამდენად სწორად გადაჭრა ამოცანა, მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს, სჭირდება თუ არა უკან დაბრუნება და რაიმეს გაუმჯობესება (შეფასება).

მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა იმაზე, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია. მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი აზროვნების პროცესების გაცნობიერებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა სწორედ თავიანთი სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში მოსწავლეების აქტიურ ჩართვას გულისხმობს. საჭიროა მასწავლებელმა აზროვნება გახადოს უფრო ხილვადი, რაც მოსწავლეს დაეხმარება აზროვნების სწავლაში. შეიძლება ცეკვასთან პარალელის გავლება: მაგალითად, ცეკვის გარკვეული ილეთების ჩვენება გააადვილებს ცეკვის სწავლას. არსებობს სხვადასხვა ხერხი, რომლებიც აზროვნებას უფრო ხილვადს ხდის. ერთ-ერთი მარტივი ხერხია მასწავლებლის მიერ სააზროვნო ცნებების გამოყენება. ქართულ ენის ლექსიკონი შეიცავს მთელ რიგ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება სააზროვნო ტერმინებად ჩაითვალოს. ეს სიტყვებია: ჰიპოთეზა, მიზეზი, მტკიცებულება, შესაძლებლობა, წარმოდგენა, პერსპექტივა და ა. შ. ამ სიტყვების ხშირი გამოყენება ყოველდღიურ მეტყველებაში ეხმარება მოსწავლეს, დაიჭიროს აზროვნების ის ნიუანსები, რომელსაც ამგვარი სიტყვები ატარებენ. გარდა ამისა, ამგვარი სიტყვების გამოყენება მასწავლებელს მოსწავლეების თვალში „მოაზროვნე ადამიანად“ წარმოაჩენს. ფაქტობრივად, მასწავლებელი, რომელიც არ მოელის მოსწავლეებისგან მზა პასუხებს, გამოხატავს უშუალო გაკვირვებას და გარკვეულ დროს უთმობს პრობლემაზე, გადასაჭრელ ამოცანაზე ფიქრს (რა მოხდებოდა მაშინ, ეს რომ არ ყოფილიყო? სხვანაირად როგორ შეიძლება ეს გაკეთებულიყო?), ხელს უწყობს მოსწავლეების აზროვნების ამოქმედებას. ასეთი

მასწავლებელი შინაგანად ახალისებს მოსწავლეებს, აღმოაჩინონ პრობლემები და იფიქრონ მათი გადაჭრის გზებზე.

კიდევ ერთი საშუალება, რომელიც ეხმარება მასწავლებელს, აზროვნება უფრო ხილვადი გახადოს, რაიმე ახალი მასალის შესწავლისას საკითხის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე ერთი და იმავე სქემის გამოყენებაა. ერთ-ერთი გავრცელებული სქემის თანახმად, პირველ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს მოვლენის ან საგნის აღწერას და განსაზღვრას, მეორე ეტაპზე კი ცდილობს მას დაასაბუთებინოს თავისი აზრი. ეს ორი ეტაპი მოსწავლეებისგან ინტერპრეტაციის გაკეთებას და მისი მხარდამჭერი არგუმენტების (მტკიცებულებების) მოძიებას მოითხოვს. ინტერპრეტაცია შეიძლება განვიხილოთ ჰიპოთეზად, ხოლო არგუმენტები კი - ამ ჰიპოთეზის მხარდამჭერ მტკიცებულებებად. ეს ეტაპები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ყველა ასაკის მოსწავლის მიმართ და სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს.

აზროვნების ამოქმედების კიდევ ერთი გზაა მოცემული საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულების განხილვა, რომლებიც გონებრივი იერიშის მეთოდით ხორციელდება. ეს არის სწავლების ხერხი, რომლის დროსაც მოსწავლეები წინასწარ, განსაზღვრული დროის განმავლობაში, ამა თუ იმ პრობლემის ან საკითხის გარშემო შეუზღუდავად გამოთქვამენ იქვე მოფიქრებულ საკუთარ აზრებს და იდეებს. დაცულია პრინციპი: „ყველა აზრი მისაღებია“. ამის შემდეგ მასწავლებლის დახმარებით ხდება გამოთქმული აზრებისა და იდეების დახარისხება, კატეგორიებად და პრიორიტეტებად დაყოფა.

აზროვნების ამოქმედებას ხელს უწყობს, აგრეთვე, როლური თამაში, როდესაც მოსწავლეს ევალება, გარკვეული პოზიციიდან განიხილოს რაიმე საკითხი. მაგალითად, მოსწავლეები აფხაზეთის კონფლიქტს სხვადასხვა მოსაზრებიდან განიხილავენ, კერძოდ, აფხაზების, რუსების, ამერიკელების (დასავლეთის) და ქართველების პერსპექტივიდან. მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომელიმე მოსაზრების არჩევა და მასზე საუბარი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. სწავლის პროცესი სწავლის სწავლით რომ გაგრძელდეს, სასურველია, მასწავლებელმა გამართოს შემაჯამებელი დისკუსია, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს იმაზე ფიქრს, თუ რა ისწავლეს მათ ამ სხვადასხვა თვალსაზრისის განხილვის შედეგად.

აზროვნების ამოქმედების მორიგი გზა გულისხმობს ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებიც მოსწავლეებს საკითხის ღრმა შესწავლისკენ უბიძგებს. კერძოდ, ამით მოსწავლეები მოცემული საკითხის საკუთარ გამოცდილებასთან და სხვა სფეროში არსებულ ცოდნასთან დაკავშირებას, შესატყვისი დასკვნების გაკეთებას, კითხვების სწორად ფორმულირებასა და აზროვნების პროცესის სწორად წარმართვას სწავლობენ.

დ. უზნაძის აზრით (უზნაძე, 1967), აზროვნებას ახასიათებს ტრანსპოზიციის ან გადატანის უნარი. მოსწავლე მაშინაა წარმატებული და მოქნილი აზროვნების მქონე, თუ მას შეუძლია ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება, რასაც ტრანსფერს უწოდებენ. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გადაჭრის ამოცანას, მას უკვე აღარ უჭირს ანალოგიური ამოცანის გადაჭრა: „აზროვნებას ერთხელ გადაჭრილი ამოცანის ხერხი ანალოგიურ ახალ ამოცანაზე გადააქვს“. მაგალითად, მათემატიკაში ნასწავლის გამოყენება სხვა გაკვეთილზე (ფიზიკაში) ან სკოლის გარეთ (მაღაზიაში). განათლების სპეციალისტებისთვის დილემას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევაში ხდება ან არ ხდება ტრანსფერი. მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებლები მუდმივად გამოხატავენ, რომ მათ თავიდან უხდებათ მოსწავლეებისთვის მათემატიკის სწავლება, მაშინაც კი, როდესაც ეს მოსწავლეები კარგად სწავლობენ მათემატიკას. ასევე, ქართულში ნასწავლი გრამატიკული წესების გამოყენების უნარები ხშირად არ ვლინდება ისტორიის რეფერატის დაწერისას. გარკვეული უნარის თავდაპირველი დაუფლება ხორციელდება კონკრეტული შინაარსის საფუძველზე. თუ უნარს ვავითარებთ მხოლოდ ერთი ტიპის შინაარსთან მიმართებით და არ ვითვალისწინებთ იმას, რომ ეს უნარი მოსწავლემ სხვა შინაარსთან მიმართებითაც უნდა გამოიყენოს, მაშინ მოსწავლეს ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდება. ამის კარგი მაგალითია ის ფაქტი, რომ მოსწავლეები კარგად ასრულებენ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ნასწავლ, ნაცნობ ტექსტზე სხვადასხვა სახის ამოცანებს, მაგრამ უჭირთ იმავე ამოცანების შესრულება იგივე სირთულისა და ტიპის, მაგრამ უცხო ტექსტზე. როგორც ჩანს,



მოსწავლეებს უჭირთ ერთ თემაზე გამომუშავებული უნარ-ჩვევების სხვა თემაზე გადატანა ანუ ტრანსფერი. ეს პროცესი არ ხდება თავისთავად. იმისათვის, რომ ტრანსფერი განხორციელდეს, საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა (პერკინსი, 1992). ტრანსფერს ხელს უწყობს შემდეგი პირობები:

- ცოდნა, რომლის ტრანსფერიც ხდება, უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი მიმართების შემცველი;
- სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შეძენილი გამოცდილება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სიტუაციაში;
- სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ამოცანის გადაჭრის ძირითადი პრინციპები.

გამოყოფენ ტრანსფერის ორ ძირითად ფორმას. ერთ შემთხვევაში იგი გაკვეთილზე განხილული თემის ანალოგიურ თემებთან ხორციელდება (პერკინსი, 1992). მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, ნასწავლი საკითხი დაუკავშიროს ანალოგიურ თემებს სხვა სფეროებიდან. ტრანსფერის განხორციელება არ არის რთული, უბრალოდ საჭიროა მასწავლებელმა გარკვეული დრო დაუთმოს საკითხის ფართო განხილვას და მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილოს სხვა სფეროებში არსებულ ანალოგიურ თემებზე, მოვლენებზე და ა. შ. მაგალითად, საქართველოში მომხდარი რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მასწავლებელმა შესაძლოა დაუკავშიროს სხვა ქვეყანაში მომხდარ ანალოგიურ მოვლენას.

ტრანსფერის მეორე ფორმის დროს ხდება შესასწავლი საკითხის ძირითადი პრინციპების ღრმად გაგება (პერკინსი, 1992). ამის განხორციელება შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით. პრობლემაზე მუშაობით მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს. მაგალითად, ლიტერატურის მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს ფაქტების და ავტორის დამოკიდებულების ამოცნობას ლიტერატურულ ნაწარმოებში. მასწავლებელმა იმავე ამოცანის შესრულება უნდა დაავალოს მოსწავლეს სხვა ტიპის ტექსტზე, მაგალითად, ისტორიულ წყაროზე მუშაობის დროს.

განხილული მიდგომები და სტრატეგიები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. ნებისმიერ შემთხვევაში მთავარი მიზანი აზროვნების კულტურის შექმნა როგორც საკლასო ოთახში, ისე კლასის ფარგლებს გარეთ. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიცაა. სწორედ ამიტომ როდესაც მოსწავლე აქტიურად აღარაა ჩართული საგაკვეთილო აქტივობებში, მასწავლებელმა ყველა ღონეს უნდა მიმართოს მოსწავლის აზროვნების პროცესის გასააქტიურებლად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზროვნების სწავლება შესაძლებელია, მაგრამ ეს უნდა იყოს მიზანმიმართული და სწორად დაგეგმილი პროცესი. მოსწავლეები ბევრს სწავლობენ იმ საკლასო კულტურიდან, სადაც აზროვნების პროცესი ხილვადია. ისინი ფიქრობენ თავიანთი აზროვნების შესახებ, ამყარებენ ლოგიკურ კავშირს სასკოლო და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის და ყოველივე ამის საფუძველზე, მოაზროვნე პიროვნებებად ყალიბდებიან.

## რეზიუმე

ბოლო პერიოდში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების - კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების სწავლების საკითხებზე. მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალო დამახსოვრება-გაზიარებას და ცოდნის მექანიკურ დაგროვებასთან ერთად გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება უნდა შეძლოს, რაც მისგან ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარსაც მოითხოვს. ნაშრომში განხილულია მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. ნებისმიერ შემთხვევაში მთავარი მიზანი აზროვნების კულტურის შექმნა როგორც საკლასო ოთახში, ისე კლასის ფარგლებს გარეთ. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიცაა. სწორედ ამიტომ როდესაც მოსწავლე აქტიურად აღარაა ჩართული საგაკვეთილო აქტივობებში, მასწავლებელმა ყველა ღონეს უნდა მიმართოს მოსწავლის აზროვნების პროცესის გასააქტიურებლად. აზროვნების სწავლება შესაძლებელია, მაგრამ ეს უნდა იყოს მიზანმიმართული და სწორად დაგეგმილი პროცესი. მოსწავლეები ბევრს სწავლობენ იმ საკლასო კულტურიდან, სადაც აზროვნების პროცესი ხილვადია. ისინი



ფიქრობენ თავიანთი აზროვნების შესახებ, ამყარებენ ლოგიკურ კავშირს სასკოლო და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის და ყოველივე ამის საფუძველზე, მოაზროვნე პიროვნებებად ყალიბდებიან.

**Nana Makaradze** - Batumi Shota Rustaveli State University Associate professor, Faculty of Education

**Nani Mamuladze** - Batumi Shota Rustaveli State University Assistant Professor, Faculty of Education

**Nana Putkaradze** - Batumi Shota Rustaveli State University PhD student, Faculty of Education

### Teaching critical thinking in a classroom

Recently, the western educational system is more and more focused on the teaching issues such as developing complex thinking skills -critical, creative and reflective. Pupils should go beyond a mere memorizing facts. Gained knowledge should be well balanced with understanding, usage, analysis, synthesis and evaluation as well as with practical skills. The paper discusses the approaches and strategies that are important for students active involvement in this process. In any case, the main goal is to create thinking cultural both - in the classroom and outside the classroom. Development of thinking skills is one of the top goals of the national curriculum. Students must be active learners in the learning process, not passive recipients of information. That is why, when the student is not actively involved in learning activities, teacher should make every effort to activate students thinking skills. It is possible to enhance thinking skills, but the process should be properly planned. Pupils learn a lot from the classroom cultural where the thinking process is visible. They think about their thinking skills, make logical connection between school and every day life and on this basis, they are grown and developed as intellectuals.

**Нана Макарадзе** – ассоциированный профессор факультета образования Батумского государственного университета

**Нани Мамуладзе** – ассистент профессор факультета образования Батумского государственного университета

**Нана Путкарадзе** – докторантка факультета образования Батумского государственного университета

### Обучение мышления в классной обстановке/среде

В последнее время в западной системе образования все чаще и чаще говорится о сложных мыслительных навыках - критических, творческих и рефлексивных мыслительных вопросах преподавания. Студент должен выходить за рамки простого запоминания-зазубривания материала, но наряду с механическим накоплением знаний он должен уметь понимать, применять, анализировать, синтезировать, оценивать и практически использовать накопленные навыки.

В статье рассмотрены подходы и стратегии, которые в значительной степени способствует активации мышления студента.

В любом случае, основная цель заключается в создании культуры мышления, как в классной комнате, так и за её пределами.

Развитие навыков мышления – один из важнейших целей национальной учебной программы. Поэтому, когда ученик активно не участвует в учебном процессе, учитель должен приложить все усилия, чтобы активировать его мыслительный процесс.

Обучение мышления возможно, но оно должно быть целеустремленным и четко спланированным процессом. Ученики получают знания из той классной культуры, где процесс мышления является видимым. Они думают о своем мышлении, устанавливают/налаживают логическую связь между школой и повседневной жизнью, и в конце концов, на основе всего этого формируются /становятся мыслящей личностью.

ირმა მალანია - ქ. თბილისის № 53 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი  
მაია ახვლედიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### ინტეგრირებული სწავლება - ცოდნის გამთლიანების ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი გზა

თანამედროვე მასწავლებლის ერთ-ერთი გზავნილია: „მე უნდა ვიყო შემოქმედებითი“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საგანთა ინტეგრირებული სწავლება, რომელიც ხელს უწყობს ცალკეულ საგნებში შეძენილი ცოდნის გამოყენებასა და პრაქტიკულ გააზრებას.

საგნების ცალ-ცალკე, ერთმანეთთან კავშირის გარეშე სწავლება მოსწავლეს აჩვენებს ანალიზურ აზროვნებას. სინთეზური აზროვნების ჩამოყალიბებას სასწავლო დისციპლინების ინტეგრირება სჭირდება, რაც ცოდნის გამთლიანების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი გზაა. მრავალმხრივი ცოდნა, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საწინდარია. სწორედ, ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმით ადრეულ ასაკში დანერგილი საგნების ინტეგრირებული სწავლება სასარგებლოა არა მხოლოდ ერთი სასწავლო დისციპლინის შიგნით, როგორცაა ალგებრისა და გეომეტრიის ერთმანეთისაგან მოწყვეტის გარეშე სწავლება, არამედ საბუნებისმეტყველო საგნები, პირველი ექვსი წლის განმავლობაში ინტეგრირებულად ისწავლება, რაც ქმნის მეცნიერული აზროვნების განვითარების წინაპირობას. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები და გამჭოლი კომპეტენციები მასწავლებელს საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების მიმართულებას აძლევს.

გაცილებით ადრე, სინთეზური აზროვნების განვითარებას ემსახურებოდა ი. გოგებაშვილის „საგანძური“. იგი აერთიანებდა საბუნებისმეტყველო, საღვთისმეტყველო, ჰუმანიტარულ ცოდნას და ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალდაუტანებლად ასწავლიდა მოზარდს ხილულზე დაკვირვებით უხილავი შემოქმედის შემეცნებას.

ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად საჭიროა მისი დაგეგმვისა და ჩატარების ეტაპების განსაზღვრა, თემის შერჩევა, გაკვეთილის დაგეგმვა, საჭირო რესურსების მობილიზება და კლასის მომზადება, გაკვეთილის ჩატარება და ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ შედეგების ანალიზი.

გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს – მათემატიკისა და მუსიკის ინტეგრირებული გაკვეთილს სახელწოდებით „მუსიკალური მათემატიკა“. როგორც ვიცით, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებამ უნდა შექმნას საფუძველი მათემატიკური ცოდნის შესათვისებლად და გასაღმავებლად, რაც შესაბამისი უნარების განვითარებას გულისხმობს. დაწყებითი საფეხურის პირველი წლის სწავლების თავისებურებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათემატიკის ინტეგრირება სხვა საგნებთან. მაგალითად - მუსიკასთან. ჟურნალში: „Frontiers in Human Neuroscience“ („ადამიანის შემეცნების საზღვრები“-ის გამოქვეყნებულ სტატიაში მოთხრობილია ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ მათემატიკის სწავლება ტვინის იმავე უბნების აქტივაციას ახდენს, რასაც მუსიკა. ამ ექსპერიმენტის მონაწილე მოსწავლეები ხსნიდნენ ამოცანებს, შემდეგ მათ ასმენინებდნენ მუსიკას, ამის შემდეგ უტარებდნენ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას, რომელმაც აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში გააქტიურდა შუბლის წილი, რომელიც პასუხისმგებელია – მოტორულ კონტროლსა და კოგნიტურ ქმედებებზე, (დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება და მიზნების დასახვა). ვფიქრობთ, მუსიკალურ ნაწარმოებთან შესაბამისი მათემატიკური ვიზუალური მასალის დაკავშირება და ხმით, მოძრაობით, მიმიკითა და ჟესტით ამა თუ იმ განწყობილების გამოხატვა, ხელს შეუწყობს შესასწავლი მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებას. ვთვლით, რომ ეს შემოქმედებითი მეთოდია, იგი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეთა შორის. მთელი კლასი აქტიურად ერთვება ამოცანის გადაჭრაში, მოსწონთ იგი მოსწავლეებს. რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველკლასელთა მოტივაციის განსაზღვრისათვის.

გაკვეთილის მიზანია საინტერესო და სახალისო მეთოდებით ისეთი უნარების ჩემოყალიბება როგორცაა: შეკრება-გამოკლების თვალსაჩინოდ დემონსტრირება, რიცხვების შესაბამისობა რაოდენობებთან და რიცხვით სახელებთან, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და

აღწერა, მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვების დასახელება, მუსიკალურ გამაში წინა და მომდევნო ნოტის დასახელება, მარტივი ერთხმიანი სიმღერების შესრულება აკომპანემენტის თანხლებით მარტო ან თანაკლასელებთან ერთად და სხვა, ვფიქრობთ, ასეთი გაკვეთილები მათემატიკისა და მუსიკის შემდგომ საფუძვლიან შესწავლას უზრუნველყოფს.

გაკვეთილის მიზნის მისაღწევად დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

**გამოწვევის ფაზაზე:** თამაში - „დაღამდა-გათენდა“ . მოსწავლეები სიტყვაზე - „დაღამდა“ - იძინებენ. მასწავლებელი ასახელებს მარტივ მათემატიკურ მოქმედებას. მოსწავლეებს აძლევს დროს პასუხის მოსაფიქრებლად და სიტყვით - „გათენდა“ მოსწავლეები თითებით უჩვენებენ მასწავლებელს სწორ პასუხს. ამ აქტივობის მიზანი ზეპირი შეკრება- გამოკვლების უნარის დემონსტრირებაა.

10-მდე თვლა და უკუთვლა;

სიმღერა - „ოთხამდე თვლა“ - მოსწავლეებს უვითარდებათ რაოდენობითი რიცხვითი სახელების დასახელებისა და თვლის უნარი, რომელსაც შესაბამისი მოძრაობით, ხმითა და შესტიკულაციით გადმოსცემენ.

რიცხვების ზრდადობის და კლებადობის მიხედვით დალაგება თანმიმდევრობაში, წინა და მომდევნო, კენტი და ლუწი რიცხვების და შვიდი მუსიკალური ნოტის, დასახელება. აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით სიმღერა.

**შინაარსის რეალიზების ფაზაზე:** გროვებიდან ცარცით 7-ის გამოყოფა. 6-ზე 1-ის მიმატებით 7-ის მიღება და შესაბამისი მაგალითის დაწერა. (რიცხვზე 1-ის მიმატებით მიიღება მომდევნო, ხოლო გამოკვლებით-წინა რიცხვი). მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ და განიმტკიცონ შეკრება-გამოკვლების დემონსტრირების უნარი. მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს: კიდევ, რა რიცხვების შეკრებით შეგვიძლია მივიღოთ რიცხვი 7? შეგვიძლია შეადაროთ 7 და 5? რამდენით მეტია 7-5-ზე? შეგვიძლია დაწეროთ შესაბამისი უტოლობა? და ა.შ.

მოსწავლეები დამოუკიდებლად ადგენენ ამოცანებს რიცხვებზე - 6 და 7. ერთი ამოცანა შესაბამისი ვიზუალური მასალის გამოყენებით სრულდება სიმღერით „ორი რეზო“.

შემდეგი აქტივობა ეთმობა გეომეტრიული ფიგურების ამოცნობის, დასახელების, აღწერისა და ობიექტთა ურთიერთმდებარეობის ამოცნობის უნარის დემონსტრირებას. დაფაზე ვაწყობთ 7 გეომეტრიულ ფიგურას. (მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს: რამდენ გეომეტრიულ ფიგურას ხედავთ? რამდენია მრავალკუთხედი? მერამდენე ფიგურაა წრე? რომელი ფიგურაა მარცხნიდან მეექვსე? მარჯვნიდან მეორე? ) მოსწავლეები იხსენებენ შესწავლილ გეომეტრიულ ფიგურებს, საუბრობენ მათ მსგავსება-განსხვავებებზე და რიგობით ასპექტებზე.

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს გეომეტრიული ფიგურებისა და სხეულის თვისობრივი მახასიათებლების შესახებ, იყენებენ ჯგუფური მუშაობისას შექმნილი აპლიკაციების ნიმუშებს.

მოსწავლეები ახდენენ ნოტების დემონსტრირებას. პასუხობენ კითხვებზე: მერამდენე ნოტია რე? რომელია მე-3 ნოტი? და ა.შ. მღერა სიმღერას ნოტებზე. ეს აქტივობაც ემსახურება სიმღერის ჩვევის გამომუშავებას. სიმღერისას მოზარდები იყენებენ მათივე მონაწილეობით შექმნილ რესურსს.

**რეფლექსიის ფაზაზე:** აქტივობა - თამაში: „2 წუთი“. ჯგუფურად დაყოფილი მოსწავლეები წერენ მაგალითებს, რომელთა პასუხია - 7. აკეთებენ პრეზენტაციებს, სადაც თითოეული ჯგუფის ნამუშევარი ფასდება მოსწავლეთა მონაწილეობით შედგენილი შეფასების რუბრიკით. სასწავლო პროცესის წასახალისებლად და შესწავლილი მასალის გასამტკიცებლად გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები იყენებენ ბუკის საგანმანათლებლო რესურსებს, რაც მათ განუმტკიცებთ ბუკზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ახდენენ ურთიერთშეფასებას, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა ცოდნას წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკით.

ვფიქრობთ, ეს გაკვეთილი მოსწავლეებს, არასოდეს დაავიწყდებათ, რადგან სიმღერებისა და თამაშის გამოყენებით მოცემული თემა ემოციურ დონეზე გაითავისეს. სასწავლო პროცესში, გაკვეთილის მსვლელობაში ყველა ბავშვი ჩაერთო მაქსიმალურად. შედეგად მივიღეთ მოსწავლეთა მხრიდან მოტივაციის ზრდა, შესასწავლი საკითხებისადმი ინტერესი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ინტეგრირებული სწავლება სინთეზური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. სასურველი შედეგის მისაღწევად კი უნდა

გავითვალისწინოთ მთავარი პრინციპი: „მე უნდა ვიყო შემოქმედებითი“ – ეს ყველა მასწავლებლის მოწოდება და მოვალეობა უნდა იყოს.

#### ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, <http://ganatleba.org/index.php?m=102>.
2. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, მანანა ბოჭორიშვილი, პრაქტიკული პედაგოგიკა - როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი. 18.12.2013 წ. [mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id).
3. „Frontiers in Human Neuroscience“, The experience of mathematical beauty and its neural correlates [Semir Zeki](http://www.frontiersin.org) John Paul Romaya, Dionigi M. T. Benincasa and [Michael F. Atiyah](http://www.frontiersin.org). <http://journal.frontiersin.org/Journal/10.3389/fnhum>.
4. ინტერნეტსახელმძღვანელო rustveli, ინტეგრირებული სწავლება, როგორც პიროვნების გამთლიანების ერთ-ერთი საფუძველი. 2010 წ <http://www.rustveli.ge/textbook.html>.

#### რ ე ზ ი უ მ ე

ინტეგრირებული სწავლება სინთეზური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. სასურველი შედეგის მისაღწევად პედაგოგებმა უნდა გავითვალისწინოთ მთავარი პრინციპი: „მე უნდა ვიყო შემოქმედებითი“ – ეს ყველა მასწავლებლის მოწოდება და მოვალეობა უნდა იყოს.

ნაშრომი მიუთითებს საგნების ინტეგრირებით სინთეზური აზროვნების განვითარების აუცილებლობის შესახებ დაწყებით კლასებში. საგნების ცალ-ცალკე, ერთმანეთთან კავშირის გარეშე სწავლება მოსწავლეს აჩვევს ანალიზურ აზროვნებას. სინთეზური აზროვნების ჩამოყალიბებას კი სასწავლო დისციპლინების ინტეგრირება სჭირდება.

ნაშრომში მოცემულია ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩასატარებლად საჭირო ეტაპები. განხილულია მათემატიკისა და მუსიკის ინტეგრირებული გაკვეთილის კონკრეტული მაგალითი. ნათლადაა წარმოდგენილი გაკვეთილის მიზის მისაღწევად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. წარმოდგენილია სინთეზური აზროვნების განვითარების მიზნით ინტეგრირებული სწავლების როლი. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ნაჩვენებია ინტეგრირებული გაკვეთილების შემდგომი გავრცელების აუცილებლობა



**Irma Malania** - Tbilisi Public School № 53 primary school teacher

**Maia Akhvlediani** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### **An Integrated Training – One of the Interesting and Significant Ways for Formation of Knowledge**

#### Summary

Integrated training is the best means for the development of synthetic powers of thought. In order to get desired results the teachers should take into account the main principle: "I have to be creative" – this should be the vocation and the duty of every teacher.

The paper dwells on the necessity of the development of synthetic power of thought through integrating of subjects at primary school levels. Teaching of subjects separately, with no logical connection between them makes pupil familiar to analytic powers of thought, but for formation of synthetic powers of thought, it is necessary to integrate the academic subjects.

There are considered in a given paper the stages required for planning and conducting the integrated lesson. There are also examined particular examples of mathematics and music lessons, and the planned and carried out activities on attaining the lesson aim are clearly shown. There is also shown the role of integrated training aimed at the development of synthetic powers of thought. For the purpose of increasing the quality of training, there is shown the necessity of wide use of integrated lessons.

**Ирма Малания** - Учительница начальных классов Тбилисской школы № 53

**Майя Ахвледяни** - Государственный университет Акакия Церетели, Академический доктор педагогических наук, ассоциированный профессор

### **Интегрированное обучение – один из интересных и важных путей объединения знаний.**

#### Резюме

Интегрированное обучение – лучшее средство развития синтетического мышления. Для достижения желаемого результата педагоги должны учесть главный принцип: «Я должен быть творческим!» - это должно быть призванием и обязанностью каждого учителя.

Труд указывает о необходимости развития синтетического мышления интегрированием предметов в начальных классах. Обучение предметам поотдельности, без связи друг с другом приучает учащегося к аналитическому мышлению. Формированию же синтетического мышления необходимо интегрирование учебных дисциплин.

В труде даются необходимые для планирования и проведения интегрированного урока этапы. Рассмотрены конкретные примеры интегрированных уроков математики и музыки. Ясно представлены запланированные и осуществленные активности для достижения цели урока. С целью развития синтетического мышления представлена роль итегрированного обучения. Для улучшения качества обучения показана необходимость дальнейшего распространения интегрированных уроков.

**ლია მენტეშაშვილი** – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**თამარ ჯანგულაშვილი** – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი

უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გამოყენებას. აღნიშნული პრინციპის გაუთვალისწინებლობა სტუდენტებთან ურთიერთობაში სასურველ შედეგს არ მოგვცემს. ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიება უმაღლეს სასწავლებელში აუცილებელია დაიგეგმოს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. “უმაღლესი სასწავლებლისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტური ასაკისათვის დამახასიათებელი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტების ცოდნას და მათ გათვალისწინებას. კონკრეტულად მაინც ვისთან გვაქვს საქმე, რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტისა და პროფესორის ინტელექტუალური თანამშრომლობის იმგვარად აგება, რომ დაძლეულ იქნეს მთავარი საგანმანათლებლო ამოცანა და ამავე დროს, გავითვალისწინოთ თვით სტუდენტის ინტერესები, მისწრაფებები” (1, 316).

ცნობილია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ერთი და იმავე კურსზე ყველა ჯგუფში სტუდენტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არსებითი განმასხვავებელი მათ შორის არის ინდივიდუალური თავისებურებები. ინდივიდუალური თავისებურებები დადებითი შედეგები იყოს (იშვიათი ნიჭიერება, შემოქმედებითი უნარები და სხვ.) და უარყოფითი (ნაკლები ნიჭიერება, უზრდელობა და სხვ.) ინდივიდუალური თავისებურებები შეიძლება ვლინდებოდეს ფიზიკური განვითარების, ნიჭიერების, ემოციური ცხოვრების, შემოქმედებითი უნარიანობის, აღზრდილობის სფეროში” (2, 52).

ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი გულისხმობს არა სტუდენტის ჯგუფიდან გამოყოფას და მის, როგორც იზოლირებულ პიროვნებაზე სააღმზრდელო ზემოქმედებას, არამედ ჯგუფში ყოფნის პირობებში ზემოქმედების ეფექტურ საშუალებათა შერჩევა-გამოყენებას.

უმაღლეს სასწავლებელში აღზრდის პროცესის სათანადო დონეზე წარმართვისათვის აუცილებელია სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა. ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავესაუბროთ სტუდენტებს, ჩავატაროთ გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი ანკეტის საშუალებით, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მათ ხასიათზე, ინდივიდუალურ თავისებურებებზე. კვლევის ჩასატარებლად შემდეგი შინაარსის ანკეტა შეიძლება გამოვიყენოთ (ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა სავარაუდოა, მისი შეცვლა შემოქმედებითად შეიძლება მკვლევარის მიერ).

### ანკეტა

სტუდენტის გვარი და სახელი -----

გთხოვთ გვიპასუხოთ:

1. რომელი საბაკალავრო პროგრამის და რომელი კურსის სტუდენტი ხარ -----
2. როგორი აკადემიური მოსწრება გაქვს -----
3. მეცნიერების რომელი დარგი გაინტერესებს -----
4. როგორი ურთიერთობა გაქვს შენს ჯგუფელებთან -----
5. რით ხარ გატაცებული -----
6. ვინ არის შენი საყვარელი მწერალი (თუ არის ასეთი) -----
7. სპორტის რომელი სახეობა გაინტერესებს -----
8. რომელია შენი საყვარელი კომპოზიტორი (თუ არის ასეთი) -----
9. დაასახელე შენი საყვარელი მსახიობი (თუ არის ასეთი) -----
10. ვინ არის შენი საყვარელი მომღერალი (თუ არის ასეთი) -----
11. როგორ იყენებ თავისუფალ დროს -----
12. შენს მიერ არჩეული პროფესიის გარდა კიდევ რომელ პროფესიას ანიჭებ უპირატესობას -----

13. ურთიერთობის პრობლემები თუ გაქვს ლექტორებთან -----

14. პროგრამით გათვალისწინებულ შესასწავლ მასალას ადვილად ითვისებ თუ არა -----

ვფიქრობთ, ასეთი შინაარსის ანკეტა საშუალებას მოგვცემს კარგად გავიცნოთ სტუდენტები, შევისწავლოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებები.

როდესაც ვლაპარაკობთ აღზრდილობის სფეროში სტუდენტთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნება საკმაოდ რთული სისტემაა. მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ ნებისმიერი სტუდენტი თავის და-მმებთან ერთად იზრდებოდა ოჯახში და მათ ერთნაირად ასწავლიდნენ ზნეობრივი ქცევის ნორმებს, პრინციპებს, მაგრამ ყველა მათგანი მაინც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ინდივიდუალურ თვისებებს ავლენს აღზრდილობის სფეროში. სწორედ ამის გამო, მათთან აღზრდილობით მუშაობაში, შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული ზოგჯერ დარწმუნების მეთოდი, ზოგჯერ წახალისება და საჭიროების შემთხვევაში დასჯაც კი.

როგორც ცნობილია, სასწავლო მუშაობაში მიღწეული შედეგების შემოწმება შეიძლება ყოველდღიურად. აღზრდილობით მუშაობაში მიღწეული შედეგების შემოწმება და გარკვევა კი უფრო რთულია. პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი აღზრდილობითი მუშაობის დარგში მიღწეული წარმატების შემოწმებისა და შეფასების მწყობრი სისტემა. ამიტომ, აღზრდილობის შედეგი დადებითი რომ იყოს, აუცილებელია აღზრდილობითი მუშაობა წარმართოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე და ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის – პედაგოგიკის მეცნიერების ძირითადი ქვაკუთხედის მკაცრი დაცვით, რადგან აღნიშნული პრინციპის უარყოფა, გაუთვალისწინებლობა უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანს.

ყოველი საგნის ლექტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის, რომ იმ ჯგუფში, სადაც ის ლექციის წასაკითხად შედის, შეიძლება რომელიმე სტუდენტს ფიზიკური ხასიათის ნაკლი ჰქონდეს. “ფიზიკური ნაკლი არა თუ დაცინვის, ზედმეტი ყურადღების საგანიც კი არ უნდა გახდეს გარშემო მყოფთათვის. ეს ადვილი არ არის, მაგრამ სტუდენტის ფსიქოლოგიის მცოდნე, ტაქტიან ლექტორს აქაც შეუძლია ნორმალური პედაგოგიური ატმოსფეროს შექმნა (2, 52).

ასევე განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ერთმანეთისგან ემოციურად განსხვავებულ სტუდენტებს. ნებისმიერ სტუდენტს ახასიათებს გარკვეული ემოციურობა. როგორც წარმატებას, ისე წარუმატებლობას სტუდენტი უნდა გამოხატავდეს სათანადო ემოციით, მაგრამ ზედმეტი მგრძობიარობა და ემოციური დატვირთვა თვით სტუდენტისათვის არის ზიანის მომტანი. ყველა საგნის ლექტორმა აუცილებელია გაითვალისწინოს სტუდენტთა განსხვავებული ემოციურობა და ისე წარმართოს მათთან ინდივიდუალური ურთიერთობა, მისცეს რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველგვარი მოჭარბებული ემოციებისაგან თავი შეიკავონ.

შესაძლებელია, ზოგიერთ ჯგუფში იყვნენ ზედმეტად მორიდებული სტუდენტები, რომლებიც ზოგჯერ სემინარულ მეცადინეობებზე თავიანთი მორიდებულობისა და ემოციურობის გამო ცოდნას სათანადოდ ვერ ავლენენ. სამწუხაროდ, ასეთი სტუდენტების საპირისპიროდ არსებობენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც ცოდნის შექმნის სურვილით არ გამოირჩევიან, მაგრამ ზედმეტი სითამამით გამოირჩევიან, ამის გამო მათ შეუძლიათ თავიანთ სასარგებლოდ სიტუაციის შეცვლა. აღნიშნულ ორივე შემთხვევაში ინდივიდუალური მუშაობაა ჩასატარებელი.

უმადლეს სასწავლებლებში ბევრია ისეთი სტუდენტი, რომლებიც პოეტური, კომპოზიტორის, მსახიობის, მომღერლის, მხატვრის და ა.შ. ნიჭი აქვს თანდაყოლილი. უნივერსიტეტებში დეკანატებმა, საგნის ლექტორებმა აუცილებელია გამოავლინონ ასეთი სტუდენტები და შემდეგ მათთან ჩატარდეს შემოქმედებითი მუშაობა. ასეთ სტუდენტებთან ლექტორების მუშაობის გარეშე შეიძლება ვერ გამოვლინდეს მათი ნიჭი; ამიტომ, აუცილებელია მივცეთ სასარგებლო რჩევა-დარიგება, სათანადო რეკომენდაციები შემოქმედებითი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის და გაუმჯობესებისათვის. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურული სალონის “ლირიკას” მუშაობა, სადაც პოეზიის ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტები ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს იკრიბებიან (სალონის მუშაობას ხელმძღვანელობს წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი ლია მენტემაშვილი),

იხილავენ და აანალიზებენ საკუთარ ლექსებს, საუბრობენ სხვა პოეტებისა და მწერლების შემოქმედების შესახებ, ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე და ა.შ.

უმაღლეს სასწავლებელში ხანგრძლივი მუშაობისა და მრავალმხრივი დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი მოითხოვს პედაგოგიური ზემოქმედების საშუალებებისა და ხერხების შეცვლას არსებული ვითარების შესაბამისად. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მემკვიდრეობა და ის მრავალფეროვანი გარემო, რომელშიც მათ უხდებათ მუდმივად ყოფნა.

#### ლიტერატურა:

1. ა. ასათიანი, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2008.
2. შ. მალაზონია, პედაგოგიკა, თბ., 2001.
3. ზ. ცუცკირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, ნაწ. I, თბ., 1977.

#### რეზიუმე

უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის ეფექტიან გამოყენებას. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი სტუდენტის ჯგუფიდან გამოყოფას და მის, როგორც იზოლირებულ პიროვნებაზე სააღმზრდელო ზემოქმედებას კი არ გულისხმობს, არამედ ჯგუფში ყოფნის პირობებში ზემოქმედების ეფექტურ საშუალებათა შერჩევა-გამოყენებას.

ინდივიდუალური თავისებურებები დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც. ინდივიდუალური თავისებურებები შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფიზიკური განვითარების, ისე ემოციური ცხოვრების, ნიჭიერების, შემოქმედებითი უნარიანობის და აღზრდილობის სფეროში.

**Лиа Ментешашвили** – Доктор педагогических наук, Профессор Тбилисского учебного университета

**Тамар Джангулашвили** – Ассоциированный профессор Тбилисского учебного университета

#### Принципы индивидуального подхода к студентам

В высших учебных заведениях, в учебно-воспитательной работе, особое значение придаётся эффективному применению принципов индивидуального подхода.

Принцип индивидуального подхода не подразумевает выделения студента из группы и влияния на него, как на изолированную личность, а напротив даёт возможность выбора и применения средств эффективного влияния на него в условиях работы в группе.

Индивидуальная своеобразность может быть как положительной, так и отрицательной.

Индивидуальная своеобразность может проявляться как в физическом развитии, так и в сфере эмоционального развития, проявлении таланта, творческих возможностей и воспитания.

**Lia Menteshashvili** – Tbilisi Teaching University, Doctor of Pedagogical Sciences, Professor

**Tamar Jangulashvili** – Tbilisi Teaching University, Associate Professor

#### Principle of Individual Approach to Students

In universities effective utilization of the principle of individual approach is especially highlighted in the teaching and educational work. Principle of individual approach means not to separate a student from the group and exert an educational influence over him/her as an isolated person, but we mean to select and utilize effective methods of impact under the conditions of not separating them from the group.

Individual peculiarities can be positive and negative. Individual peculiarities can be elicited in the field of physical development, as well as in the fields of emotional life, talent, creative capability and nurture.



**მადონა ნიკოლაიშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

### განვითარებისა და სწავლის თეორიების გამოყენება გაკვეთილის დაგეგმვის დროს

მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიული ღირებულებებისა და ვალდებულებების განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შემადგენელი სამი ნაწილიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი, რომელიც ასახავს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II, განვითარებისა და სწავლის თეორიები) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რაოდენ მნიშვნელოვანია წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკისთვის ამ თეორიების ცოდნა და გამოყენება.

მაინც როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს თეორიები საკლასო ოთახში? მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე გაკვეთილი ჩემი პრაქტიკიდან, რომლებიც დაგეგმილია დ.უზნაძის, ალბერტ ბანდურას, ლევ ვიგოტსკის, აბრაჰამ მასლოუს, ჰოვარდ გარდნერის, ჯონ დიუისა და სხვათა თეორიებზე დაყრდნობით.

გამოჩენილი ფსიქოლოგი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი დ.უზნაძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ზოგადი ფსიქოლოგია“- სწავლას ადამიანის დამოუკიდებელი ქცევის ფორმად მიიჩნევს, რომელსაც თავისი სპეციფიკური ფსიქოლოგიური შინაარსი აქვს. მასში ფუნქციათა რიგი ღებულობს მონაწილეობას, რომელთაგან ზოგი განსაკუთრებით მჭიდროდ არის ქცევის ამ ფორმასთან დაკავშირებული, ზოგი - შედარებით ნაკლებად. სწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იგი მეხსიერებას მიიჩნევს, რომელიც სწავლის პროცესში თავისი განსხვავებული ფორმის, დასწავლის, სახით ყალიბდება. დასწავლის სისწრაფის მთავარ ფაქტორებად დ.უზნაძე მოიაზრებს ნებელობას, ინტერესს, ფიზიოლოგიურ ფაქტორს, სენსორულ ფაქტორსა და ინტელექტს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ნებელობა, ფიზიოლოგიური ფაქტორი და ინტელექტი მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სუბიექტური ფაქტორებია, ამიტომ პედაგოგისთვის საკმაოდ რთულია ამ კუთხით პირდაპირი ზემოქმედებით რაიმეს შეცვლა, სამაგიეროდ, ინტერესი და სენსორული ფაქტორი, ეს ის სფეროებია, რომლებშიც გამოცდილ და კრეატიულ პედაგოგს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს დასწავლაზე, რაც, თავის მხრივ, უკუკავშირშია ნებელობასა და ინტელექტთან. კერძოდ, ნებელობა ერთადერთი წყაროა, რომელიც სუბიექტს თავისთავად სრულიად არასაინტერესო საქმის შესრულების ძალას აძლევს, შესაბამისად, იგი სუსტია იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე იძულებულია დაისწავლოს განყენებული მათემატიკური ცნება, მაგ. „კვადრატული ფუნქცია“, მაგრამ თუ მას „მეფფუთავთ“ ბავშვისთვის საინტერესო საბურველით, იგი მაშინვე იქცევა ნებელობის გამაძლიერებელ სტიმულად. უზნაძე ინტერესის ორ სახეს განარჩევს: ფორმალური ინტერესი და შინაარსეული ინტერესი. პირველს, ფორმალურ ინტერესს, სწავლის პროცესში მაინცდამაინც დიდი ღირებულება არ აღმოაჩნდა, რაც შეეხება შინაარსეულ ინტერესს, მისი პედაგოგიური მნიშვნელობა უდავოა, რადგან ამ შემთხვევაში მასალის ზეპირად დასწავლა კი არ ხდება, არამედ მისი შინაგანი გადამუშავება და გათავისება. სწორედ ინტერესია პირველწყარო რაიმე კონკრეტული საკითხის შესწავლის მოთხოვნილებისა, და თუ ამას დაემატება მისი დაკმაყოფილების პირობების შემცველი სიტუაცია, მაშინ აღმოცენდება განწყობა, ანუ ადამიანის მთლიანპიროვნული მზაობა ამ საკითხის შესწავლისადმი.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიის მიხედვით, ადამიანს შეუძლია შეიძინოს ახალი გამოცდილება არა მხოლოდ უშუალოდ ამ ქცევის განხორციელების გზით, არამედ სხვა ადამიანების (ე.წ. მოდელების) ქცევაზე დაკვირვების გზითაც. იგი თვლის, რომ ოთხი პირობა: ყურადღება, შენარჩუნება, გამეორება და მოტივაცია აუცილებელია იმისათვის, რომ სოციალური დასწავლა წარმატებით განხორციელდეს. მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობას ცდილობს მოტივაციის აღძვრით, რადგან

მოტივაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას. ამიტომ მასწავლებლის როლი მოსწავლეების მოტივირების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

დ. უზნაძისა და ალ.ბანდურას თეორიების გათვალისწინებით დავგეგმე გაკვეთილი მე-9 კლასში თემაზე: „კვადრატული ფუნქცია“. მოვამზადე პრეზენტაცია დამაინტრიგებელი სათაურით: „მაგიური პარაბოლა“. აღმოჩნდა, რომ სიტყვა „მაგიურმა“ მართლაც მაგიური როლი ითამაშა მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივებაში და ჰქონდა ძლიერი მასტიმულირებელი ეფექტი. სატიტულო გვერდს მოსდევდა მცირე ნაწყვეტი კ/ფილმიდან „შერეკილები“, სადაც პერსონაჟები ახსენებენ პარაბოლას. საკლასო ოთახში უკვე შეიქმნა განწყობა, ყველა დიდი ინტერესით ელოდება გაკვეთილის გაგრძელებას, დადგა სენსიტიური პერიოდი ისეთი რთული თემატური ერთეულების განხილვისთვის, როგორცაა: კვადრატული სამწევრი, კვადრატული განტოლება, დისკრიმინანტი, განტოლების ფესვები, კვადრატული ფუნქცია, ფუნქციის თვისებები, ფუნქციის გრაფიკი.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი დავგეგმე ლ.ვიგოტსკის „განვითარების სოციალურ-კულტურული თეორიის“ ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. ლ.ვიგოტსკის თეორიის თანახმად სწავლა სოციალური ხასიათის პროცესია. ცოდნის სოციალურად აგება მოიცავს მოსწავლეების და მასწავლებლის ერთობლივ, აქტიურ მუშაობას. მასალა საკმაოდ რთულია, ამიტომ ვანაწევრებ მას რამდენიმე პატარა, შედარებით მარტივ დავალებად და ვთავაზობ მოსწავლეებს ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ ფუნქციის გამოკვლევის დროს: ფუნქციის განსაზღვრის არე, ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე, ზრდადობა-კლებადობა, ნიშანმუდმივობის შუალედები, პარაბოლის სიმეტრიის ღერძი, ორდინატთა ღერძთან გადაკვეთის წერტილის კოორდინატები, ფუნქციის ნულები, ფუნქციის ექსტრემუმის წერტილები.

ამ შემთხვევაში ჩემს მიერ შეთავაზებული ფუნქციის გამოკვლევის სქემა ასრულებს ე.წ. ხარაჩოს როლს, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონა და ამის მიხედვით ეძლევათ კონკრეტული მითითებები, თუ როგორ უნდა შეასრულონ მასწავლებლის დავალება. აქვე დავამატებ, რომ ამ დროს კლასის ორგანიზების ფორმა იცვლება და მოსწავლეები გადადიან ჯგუფურ მუშაობაზე, ამასთან ჯგუფები ისეა დაკომპლექტებული, რომ შედარებით სუსტ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დახმარება მიიღონ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ უფრო კომპეტენტური თანატოლისგანაც, რომელიც კოგნიტური განვითარების ოდნავ მაღალ დონეზე იმყოფება და, შესაბამისად, დავალებას უფრო დახვეწილი კოგნიტური პროცესების გამოყენებით ასრულებს. (ბანდურა: სწავლა მოდელზე დაკვირვებით).

გაკვეთილი დასასრულს უახლოვდება, მოსწავლეების ინტერესი კი ჯერ არ განელეზულა. ყველაფერი, რის შესახებაც იყო საუბარი, თითქოს აბსოლუტურად რეალურია. მაშ, სადაა მაგია, რომელსაც სათაური გვპირდება? აქ უკვე მოვიშველიე ფანტაზია და იმპროვიზაციის უნარი, ვისაუბრე იმაზე, რომ პარაბოლას აქვს თვისება, თუ მის სიმეტრიის ღერძზე არსებულ ერთ-ერთ წერტილში, ფოკუსში, მოვათავსებთ სინათლის წყაროს, მაშინ პარაბოლიდან არეკლილი ყველა სხივი ერთი და იმავე მიმართულებით - სიმეტრიის ღერძის პარალელურად იქნება მიმართული. შემდეგ ბავშვებს შევახსენე მავედრებლის პოზა. როცა ადამიანი ღმერთს მთელი გულით შესთხოვს რაიმეს, ხელები ცისკენ აქვს აპყრობილი. ამ დროს ხელებს პარაბოლის ფორმა აქვთ, რომლის ფოკუსში გულის ადგილია, ხოლო გულიდან მომავალი მხურვალე ლოცვა აუცილებლად უფლისკენ მიემართება და შეისმინება მამაზეციერის მიერ.

გაკვეთილი დასრულდა. მიზანი მიღწეულია. მოსმენილმა და ნანახმა ბავშვების მოლოდინს გადააჭარბა, ამას არც ფარავენ და აქვე სახავენ გეგმებს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიონ პარაბოლის შესახებ. თემის შემაჯამებელ მეცადინეობაზე კი თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა არაჩვეულებრივი საპრეზენტაციო მასალა.

შემდეგი გაკვეთილი დაგეგმილია ამერიკელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და განათლების რეფორმატორის, ჯონ დიუსის კონცეფციაზე დაყრდნობით. იგი თვლის, რომ სწავლება პრაქტიკული ელემენტის გარეშე არაეფექტურია, ამიტომ „სწავლა კეთებით“ სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპი უნდა იყოს. გაკვეთილის თემაა „სამკუთხედების მსგავსების ნიშნები“, მიზანი - მიუდგომელ ობიექტამდე მანძილის გაზომვა. გაკვეთილი ტარდება ღია ცის ქვეშ, თითოეულ ჯგუფს დავალებად

ემლევა სხვადასხვა მიუდგომელი ობიექტის გაზომვა: შენობის სიმაღლე, ელექტრობოძი, ხე, ტბორის სიგანე. თემის დაწყების წინ მოტივაციის ამალგების მიზნით ბავშვებს დავავალე, წაეკითხათ ჟიულ ვერნის ცნობილი სათავგადასავლო რომანის „საიდუმლო კუნძულის“ I ნაწილის მე-13 თავი - „კუნძულის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა“, სადაც მოთხრობილია, როგორ გაზომა ინჟინერმა სმიტმა მიუდგომელ ადგილებამდე მანძილი უმარტივესი საშუალებების გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას არ ჰქონდა წაკითხული ეს გენიალური ნაწარმოები და მართალია, ძალიან გაიკვირვეს, რა კავშირში იყო ეს დავალება მათემატიკასთან, მაგრამ ხალხით შეასრულეს იგი. მეორე დღეს შთაბეჭდილებებით აღსავსენი მოვიდნენ გაკვეთილზე და ერთმანეთს არ აცლიდნენ სათქმელს, თვითონვე გამოთქვს სამკუთხედების მსგავსების ნიშნების შესწავლის სურვილი. რა თქმა უნდა, შევასრულე მათი სურვილი, ხოლო თემის შემაჯამებელ გაკვეთილზე გავემურეთ ღია ცის ქვეშ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაცდელად. ეს გაკვეთილი ბევრი რამით იყო საინტერესო და დასამახსოვრებელი. იგი ნამდვილად იყო „სწავლა კეთებით“, ბავშვებმა გამოთვალეს მიუდგომელი ობიექტების სიმაღლე, მართი კუთხის ასაგებად გამოიყენეს პითაგორას თეორემა, განივითარეს კომუნიკაციური უნარები, მათ მიიღეს გამოცდილება, ნათლად დაინახეს კავშირი მათემატიკასა და რეალურ ცხოვრებას შორის. კიდევ ერთი სიკეთე, რაც ამ გაკვეთილმა მოიტანა, ის იყო, რომ ბავშვები დაინტერესდნენ ჟიულ ვერნის შემოქმედებით და გადაწყვიტეს, წაეკითხათ მისი ცნობილი ტრილოგია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლო მასალის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის ჩვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად. მაგალითად, რომელიმე გეომეტრიული ფიგურის შესწავლა ნაკლებად საინტერესო გონებრივი მოქმედებებია მოსწავლისთვის, მაგრამ თუ ეს გეომეტრიული ფიგურა ფუნქციურ დატვირთვას იძენს, იგი ბავშვს მაშინვე აღუძრავს ინტერესს. ამის გათვალისწინებით მიხდა შემოგთავაზოთ მათემატიკის გაკვეთილის სცენარი VI კლასში თემაზე „სივრცული ფიგურები“, რომლის დაგეგმვისას გამოვიყენე ამერიკელი ფსიქოლოგის ჰოვარდ გარდნერის ცნობილი თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ, აგრეთვე ზემოთ ნახსენები დიუის კონცეფცია „სწავლა კეთებით“, აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორია.

ძალიან ვწუხდები იმის გამო, რომ რიცხვების დასახელებისას ბავშვები ზოგჯერ უშვებდნენ შეცდომას, მაგ: „თუთხმეტი“, „მეოცდაერთე“, „ოცდაჩვიდმეტედი“, რაც დანარჩენებში იწვევდა სიცილს, ხოლო შეცდომის დამშვებთა გულისწყრომას. გადავწყვიტე, სივრცული ფიგურების შესწავლის დროს შემაჯამებელი გაკვეთილის დავალება ყოფილიყო სასწავლო რესურსის - კუბის შექმნა, რომლის წახნაგებზეც განათავსებდნენ ინფორმაციას რიცხვითი სახელის შესახებ. გარკვეული დრო დაუთმე მინი-ლექციას რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიაზე. ავუხსენი მოსწავლეებს, რომ ქართულში გვაქვს თორმეტი ერთფუძიანი მარტივი რიცხვითი სახელი (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი და ასი), დანარჩენი რიცხვითი სახელები კი შედგენილია (შექმნილია) შეკრებითობის პრინციპით. ადიციურობის პრინციპის დემონსტრირებისათვის დაფაზე დავწერე რამდენიმე რიცხვითი სახელის ეტიმოლოგიური შედგენილობა. მაგ: თერთმეტი (ათ-ერთ-მეტი), ცამეტი (ათ-სამ-მეტი), თხუთმეტი (ათ-ხუთ-მეტი), ჩვიდმეტი (ათ-შვიდ-მეტი) და სხვა. აღვნიშნე, რომ ენის განვითარებას ახასიათებს ფონეტიკური გარდაქმნები, რომელთა შედეგად დროთა განმავლობაში დასაწყისში ა ჩამოშორდა, თს გარდაქმნა ც-დ (ცამეტში), ხოლო თშ ჩ-დ (ჩვიდმეტში). მართალია, რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიის ცოდნა არაა სავალდებულო VI კლასის მოსწავლისთვის, მაგრამ მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია, ამის შემდეგ განვმარტე რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერის წესი, რა შემთხვევაში იწერება ერთ სიტყვად და ცალ-ცალკე, მოვიყვანე შესაბამისი მაგალითები, გავაცანი მათ რიგობითი და წილობითი რიცხვით სახელების წარმოების წესი, შევახსენე, რომ წილობით რიცხვით სახელებს ვიყენებთ წილადებისა და ათწილადების დასახელების დროს. ყურადღება გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ წილობით რიცხვით სახელებში არ გვაქვს ფორმა **მეორედი** და ამ შინაარსს გამოხატავს სიტყვა ნახევარი, თუმცა, მათემატიკაში  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{3}{2}$  წილადების დასახელებისას ვიყენებთ ამ ფორმას. ამის შემდეგ ბავშვებმა მუშაობა განაგრძეს 6 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში შედიან: „მხაზველები“, „ლინგვისტები“, „ორთოგრაფები“, „კალიგრაფები“ და „დეკორატორები“. გავანაწილე დავალებები,



შევახსენე კუბის შლილის დამზადების ინსტრუქცია დაფაზე დახაზული ნიმუშის მიხედვით. ამის შემდეგ, „მხაზველებმა“ დაიწყეს შლილის დამზადება, „ლინგვისტები“ ახარისხებენ წახნაგებზე განსათავსებელ ინფორმაციას, „ორთოგრაფები“ კი ამოწმებენ მართლწერას. „კალიგრაფებმა“ წახნაგებზე განათავსეს შესაბამისი ინფორმაცია. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთნენ „დეკორატორები“, რომლებმაც მხატვრულად გააფორმეს თითოეული წახნაგი. ბოლოს დამზადებული შლილი გადაკეცეს წიბოებზე და შეაწებეს. გაკვეთილი ნამდვილად საინტერესო და სახალისო გამოვიდა, თითოეულ მოსწავლეს ეუფლება განცდა, რომ იგი ჯგუფის სრულფასოვანი წევრია, საერთო საქმეში მის წვლილს ყველა ხედავს და აფასებს, ისინი ხომ მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდაში ჯერ კიდევ იმ საფეხურზე დგანან. როცა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა მეტად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენებას, გაკვეთილი გათვლილი იყო სხვადასხვა ტიპის ინტელექტის მქონე მოსწავლეებზე. მაგალითად, იმ ბავშვებისთვის, რომელთაც ლინგვისტური და ლოგიკურ-მათემატიკური ტიპის ინტელექტი გააჩნიათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მინი-ლექცია რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიაზე, იმ კანონზომიერებებზე და მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებზე, რაც ახასიათებს რიცხვით სახელთა წარმოებას, სწორედ მათგან შევარჩიე თითოეული ჯგუფისთვის „ლინგვისტები“ და „ორთოგრაფები“, ვიზუალურ-სივრცითი და ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტის მქონეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო დაფაზე დახაზული სქემები და შლილი, ისინი კარგი „მხაზველები“ და „დეკორატორები“ გამოდგნენ, ხოლო მათ, ვისაც მაღალი ინტერპერსონალური ინტელექტი გააჩნიათ, ჯგუფების ლიდერობა იტვირთეს და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარმატებულად გაართვეს თავი ამ მოვალეობას, გამოავლინეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარები.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განვითარებისა და სწავლის თეორიების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყოველი კონკრეტული თემის შესწავლის დროს შეარჩიოს სწავლების ადეკვატური სტრატეგიები, რომლებიც მრავალფეროვანს, საინტერესოს და შედეგიანს გახდის სასწავლო პროცესს, შეამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ასეთი ტიპის გაკვეთილებზე იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა, ინიციატივა, ქმედითობა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი.

#### ლიტერატურა

1. დ.უზნაძე - ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ (2013)
2. დ.უზნაძე - განწყობის ფსიქოლოგია. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ (2013)
3. ირ.იმედაძე - ფსიქოლოგიის ისტორია. გამომცემლობა „მწიგნობარი“ (2008)
4. ნ.ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს.გორგოძე - განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებლის პროფესიონალის ცენტრი (2008)
5. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი



## რეზიუმე

სტატიაში განხილულია განვითარებისა და სწავლის თეორიების პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ასპექტები, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზებულია, თუ როგორ მუშაობს ეს თეორიები საკლასო ოთახში, შემოთავაზებული გაკვეთილები დაგეგმილია დ.უზნაძის, ალბერტ ბანდურას, ლევ ვიგოტსკის, აბრაჰამ მასლოუს, ჰოვარდ გარდნერის, ჯონ დიუსისა და სხვათა თეორიებზე დაყრდნობით. ავტორი ცდილობს, გვიჩვენოს, რა წვლილი შეიძლება შეიტანოს სასწავლო პროცესში ამ თეორიების გამოყენებამ მოსწავლეთა დაინტერესების და ჩართულობის ზრდის კუთხით, მასწავლებლისა და მოსწავლეთა აქტივობების მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამის შედეგად სასწავლო პროცესი ხდება მრავალფეროვანი, საინტერესო, მცირდება დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები, ბავშვს უყალიბდება სწავლისადმი დადებითი განწყობა, რაც საბოლოოდ აუცილებლად აისახება სწავლის შედეგზე.

**Madona Nikolaishvili** - doctorant of school education, I. Gogebashvili Telavi state university.

### Using theories of learning and development for planning the lesson

The article is about various aspects of practical use of the development and learning theory. Basing on a particular material, it is analysed how do these theories work in the classroom. The author offers some lessons , which are planned by using D. Uznadze`s, Albert Bandura`s, Lev Vigotski`s, Abraham Maslow`s, Howard Gardner`s, John Dewey`s and other`s theories. The author tries to show us, what may be the positive results of using these theories for increasing student`s interest and activity. Analysing student`s and teacher`s activities we can conclude, that the result is: much more interesting and attractive learning process, decreased problems with the discipline and positive attitude to learning. These factors will be ultimately represented in the outcome of the study.

**Мадона Николаишвили**-докторант школы просвещения Телавского государственного университета имени Якова Гогешашвили

### Исползование теории развития и учения во время планирования урока

В статье рассматриваются различные аспекты применения в практике теории развития и учения. Опираясь на конкретный материал, проанализировано, как работают эти теории в классе, предложенные уроки запланированы на основе теории Д.Узнадзе, Альберта Бандуры , Льва Виготского, Авраама Маслоу, Говарда Гарднера, Джона Дьюи и других. Автор пытается показать , какой вклад может внести в учебном процессе применение этих теорий, с точки зрения увеличения интереса и вовлечения учащихся. На основе тематических исследований примеров деятельности на уроках учителя и учеников, можно сделать вывод, что в результате применения в практике теории развития и учения учебный процесс становится разнообразным, интересным, снижается количество проблем с дисциплиной , у ребенка развивается положительное отношение к учебе, что в конечном счете обязательно будет отражено на итогах обучения.

ნინო ორჯონიკიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ნაციონალურ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციებით, მიზნებითა და ამოცანებით, თავიანთი ხარისხობრივი შემაღლებლობით. ამიტომ, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ერთიან ორგანიზმზე, სადაც თითოეულ საგანმანათლებლო სისტემას აქვს გლობალური ტენდენციები და ამავე დროს ინარჩუნებს მრავალფეროვნებას.

მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემას ახასიათებს განსაზღვრული გლობალური ტენდენციები:

1. განათლების დემოკრატიული სისტემისაკენ სწრაფვა, ე. ი. განათლების ხელმისაწვდომობა მთელი მოსახლეობისათვის, მისი საფეხურებისა და დონეების მემკვიდრეობითობა, სასწავლო დაწესებულებებისათვის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მინიჭება;
2. ყველა მსურველისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფა (ყველა ადამიანისათვის განათლების თანაბარი შესაძლებლობებისა და შანსების შექმნა, მიუხედავად მათი ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და სხვა მიკუთვნებულობისა);
3. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა განათლების მიღებაზე (ცალკეული ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო მონაპოვია, სწავლების ფასიანი ფორმები, შოვინიზმისა და რასიზმის გამოვლინებები);
4. მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართული სასწავლო-ორგანიზაციული ღონისძიებების სპექტრის გაფართოება;
5. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ზრდა;
6. უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოება და ცვლილებები სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობაში;
7. განათლების მართვის სფეროში მკაცრ ცენტრალიზაციასა და სრულ ავტონომიას შორის კომპრომისების ძიება;
8. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში განათლების დარგის თანდათან გადაქცევა დაფინანსების პრიორიტეტულ ობიექტად;
9. სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება და კორექტირება;
10. "საშუალო მოსწავლეზე" ორიენტაციიდან თანდათან განსვლა და ძირითადი ყურადღების მიმართვა ნიჭიერ ბავშვებზე, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობაზე;
11. განვითარების ნორმალური დონიდან გადახრის მქონე ბავშვების განათლებისათვის დამატებითი რესურსების ძიება; ინვალიდ ბავშვებისადმი საგანგებო ყურადღების დათმობა.

მსოფლიო განათლება პოლიკულტურულია; მისთვის დამახასიათებელია სივრცული (ტერიტორიული) და ორგანიზაციული სტრუქტურები. მსოფლიო განათლების პრობლემების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებს, რამდენადაც ისინი მოითხოვენ მათს განხორციელებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მონაწილეობას.

მსხვილ საერთაშორისო პროექტებს განეკუთვნება:

- **ერზამუსი**, რომლის მიზანია ევროსაბჭოს ქვეყნების სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა (მაგალითად, მისი პროგრამა ითვალისწინებს, რომ სტუდენტთა 10%-მა სწავლების კურსი უნდა გაიაროს ევროსაბჭოს სხვა წევრი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში);
- **ლინგვა** - ეს არის უცხოური ენების შესწავლის ეფექტიანობის ამაღლების პროგრამა. პროგრამის განხორციელება იწყება უმცროს კლასებში;
- **ევრიკა** არის პროექტი, რომელიც მოწოდებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციას შეუწყოს ხელი;
- **ესპრიტი** წარმოადგენს საერთო ევროპულ პროგრამას, რომელიც გულისხმობს ევროპული

უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კომპიუტერული ფირმების საერთო ძალისხმევით გაძლიერებას ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნის მიზნით;

➤ **ეიკდასი** არის არაბულ ქვეყნებში განათლების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამა;

➤ **ტიმპუსი** - ეს არის საუნივერსიტეტი განათლების მობილურობისაკენ მიმართული საერთო ევროპული პროგრამა;

➤ **ირისი** არის პროექტთა სისტემა, რომელიც მიმართულია ქალთა პროფესიული განათლების შესაძლებლობათა კვლევაზე.

უკანასკნელ ათწლეულში წარმოიშვა ინტერნაციონალური შინაარსის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურები: საერთაშორისო და ღია უნივერსიტეტები. მსოფლიოგანათლების პოლისტრუქტურა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მეტაბლოკების, მაკრორეგიონებისა და ცალკეულ ქვეყნებში განათლების მდგომარეობის ანალიზი.

მსოფლიოში გამოპყობენ რეგიონთა ტიპებს საგანმანათლებლო სისტემების ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთზეგავლენის ნიშნით.

პირველ ტიპს შეადგენენ ის რეგიონები, რომლებიც ინტეგრაციული პროცესების გენერატორებს წარმოადგენენ. ასეთი რეგიონის მაგალითია დასავლეთი ევროპა. ერთიანობის იდეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების ყველა საგანმანათლებლო რეფორმის ქვაკუთხედი გახდა. "ევროპული იდენტურობისა" და "მოქალაქეობრიობის" დამკვიდრებისაკენ სწრაფვა განმტკიცებულია მთელი რიგი ევროპული პროექტებით, რომლებიც განათლებისა და კულტურის სფეროებში ხორციელდება: ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაცია, უცხოური ენების სწავლება, ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება და სხვ.

ევროპული ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობის არეალი არ ამოიწურება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ტერიტორიით. ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და იმპულსები პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა ნაწილებზეც.

პირველი ტიპის რეგიონებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, აშშ და კანადა, თუმცა, მათი ინტერნაციონალური ძალისხმევა განათლების სფეროში, სხვაგვარ სიტუაციაში რეალიზდება.

მსოფლიოში ყალიბდება ახალი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი - ინტეგრაციული პროცესების ახალი გენერატორი. მასში შედიან შემდეგი ქვეყნები: კორეის რესპუბლიკა, ტაივანი, სინგაპური და ჰონკონგი, აგრეთვე, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები და ინდონეზია. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სწავლებისა და კადრების მომზადებისადმი მაღალი მომთხოვნელობის სტრატეგია.

"აზიურ ეკონომიკურ სასწაულებს" აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში საფუძვლად უდევს მთელი რიგი ფაქტორები. ერთ-ერთი მათგანია განათლების ფინანსური პრიორიტეტულობა. ამ ქვეყნების უმრავლესობაში ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა. მაგალითად, კორეის რესპუბლიკაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 1/3 შედის უნივერსიტეტებში. ტაივანის სკოლის კურსდამთავრებულთა 30% ასევე სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტებში. შედარებისათვის: გერმანიაში ანალოგიური მონაცემები 18%-ს არ აჭარბებს, იტალიაში - 26%, დიდ ბრიტანეთში - 7%). ამჟამად, მსოფლიოში ყოველი მესამე უცხოელი სტუდენტი აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან არის. XX საუკუნის დასასრულისათვის მოცემული რეგიონის საგანმანათლებლო პოტენციალი საკმაოდ გაიზარდა. იაპონიაში მსოფლიოში ყველაზე მაღალი პროცენტია სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობის მიხედვით - 68%. შედარებისათვის: აშშ-ი იგი 25%-ს ტოლია. კორეის რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში დოქტორის ხარისხის მქონეთა მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები წელიწადში 650 მილიარდი დოლარის ოდენობისაა, ერთ მოსწავლეზე კი საშუალოდ 1120 დოლარი იხარჯება.

მეორე ტიპს განეკუთვნებიან ის რეგიონები, რომლებიც პოზიტიურად რეაგირებენ ინტეგრაციულ პროცესებზე. პირველ ყოვლისა, ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნები.

ამჟამად ლათინური ამერიკის ქვეყნები იმყოფებიან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციული იმპულსების მოქმედების ზონაში.

ლათინური ამერიკის ქვეყნები ევროპასთან კავშირს განიხილავენ როგორც აშშ-ზე დამოკიდებულების შესუსტების საშუალებას. სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, ამ რეგიონისათვის და-

მახასიათებელია განათლების ინფრასტრუქტურის ელემენტთა მაღალი დონე. მაგალითად, 1 მილიონ მცხოვრებზე გაანგარიშებით წიგნების გამოცემის რაოდენობა 2-4-ჯერ აჭრებს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა რაოდენობა 1,5-ჯერ მეტია საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე და პრაქტიკულად განვითარებული ქვეყნების მონაცემებს უთანაბრდება. შეიმჩნევა წერა-კითხვის უცოდინარობის თანდათან შემცირება, დაწყებითი განათლების განვითარება. თუმცა, ამ რეგიონში განათლების განვითარებას, უპირატესად, ექსტენსიური, ერთგვარად მასიფიცირებული ხასიათი აქვს.

ლათინურ ამერიკაში ხორციელდება ეგრეთ წოდებული "იუნესკოს ძირითად პროექტ ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში განათლების შესახებ". ამ პროგრამის ჩარჩოებში 2000 წლისთვის გამიზნული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისთვის რვა ან ათწლიანი განათლების მიცემა, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

სუბრეგიონალურ დონეზე ინტეგრაციული პროცესები მოიცავს იმ ქვეყნების ჯგუფებს, რომლებსაც ერთმანეთთან აქვთ ტერიტორიული, ისტორიული და კულტურული ერთობა: "ანდების ჯგუფი", "კონტადორის ჯგუფი", "რიოს ჯგუფი", "სამთა ჯგუფი" - მექსიკა, კოლუმბია, ვენესუელა.

პროექტს - "ცოდნის საერთო ბაზარი" - ლათინოამერიკული ქვეყნები ახორციელებენ რეგიონალურ დონეზე. მისი კოორდინაციის მიზნით შექმნილია შესაბამისი ორგანო - განათლების მინისტრთა სათათბირო, რომლის სხდომები პერიოდულად სხვადასხვა ქვეყანაში იმართება.

განათლებაზე სახელმწიფოს დანახარჯები ლათინოამერიკულ ქვეყნებსა და კარიბის ზღვის აუზის სახელმწიფოებში დაახლოებით 50 მოლიარდი დოლარია.

მესამე ტიპის ჯგუფს ის რეგიონები მიეკუთვნებიან, სადაც ინერტულები არიან ინტეგრაციული საგანმანათლებლო პროცესის მიმართ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ძირითადად საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარეობენ (სამხრეთ აფრიკის კავშირის გარდა) და სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. სასკოლო სწავლების ხანგრძლივობა აფრიკის ბევრ ქვეყანაში მინიმალურია - 4 წელი. ამ რეგიონებში მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია. მაგალითად, 140 მილიონი აფრიკელი, რომლებიც საჰარის სამხრეთით ცხოვრობენ, წერა-კითხვის უცოდინარები არიან. სასკოლო სწავლება ყველაზე ხანმოკლეა ნიგერიაში - 2, 1 წელი, ამას მოსდევს ბურკინა-ფასო - 2, 4 წელი, გვინეაში - 2, 7, ჯიბუტიში - 3,4 წელი.

იუნესკოს მონაცემებით, ისეთი ქვეყნების დაწყებით სკოლებში, როგორც არის ნიგერია ან გვინეა, სასწავლო წიგნები აქვს მოსწავლეთა 30%-ს. განათლების მატერიალური ბაზა უაღრესად ღარიბია. შეფარდება "მოსწავლეები - მასწავლებელი (მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა 1 მასწავლებელზე გაანგარიშებით) ამ რეგიონის ქვეყნებში ყველაზე მაღალია. მაგალითად, ბურუნდში ეს მაჩვენებელი არის 49, კენიაში - 39, ნამიბიაში - 38, მაშინ როდესაც მსოფლიო საშუალო მაჩვენებელია 16.

ამ რეგიონებში არ არის უმაღლესი განათლების ნაციონალური სისტემის ჩამოყალიბების წანამდღვარები. მსოფლიოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამყაროსთან კავშირი ხორციელდება სტუდენტების გაგზავნით უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის ბურკინა-ფასო, მოზამბიკი, რუანდა, ყოველ 100 000 მოსახლეზე 16-დან 60 სტუდენტამდე მოდის. შედარებისათვის: კორეის რესპუბლიკაში - 100 000 ადამიანზე 4000, ლიბანში - 3000, არგენტინაში - 3300, ვენესუელაში - 3000, აშშ-ში 6000.

აფრიკის ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ერთი მოსწავლის განათლებაზე საშუალოდ 70 დოლარი იხარჯება.

XX საუკუნის ბოლოს გამოირჩა ის რეგიონები, სადაც რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო დაირღვა საგანმანათლებლო და ინტეგრაციული პროცესების თანმიმდევრობა. ასეთ რეგიონებს მიეკუთვნებიან არაბული ქვეყნები, აღმოსავლეთი ევროპა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები.

არაბულ ქვეყნებში შეიმჩნევა ოთხი სუბრეგიონის გამოყოფისაკენ მისწრაფება, რომლებიც შინაგანი ინტეგრაციისაკენ არიან მიდრეკილნი, მათ შორის განათლების სფეროშიც. ეს რეგიონებია მაღრიბი (ლიბიის ჩათვლით), ახლო აღმოსავლეთი (ევგვიპტე, ერაყი, სირია, ლიბანი, იორდანია), სპარსეთის ყურის რეგიონი (საუდის არაბეთი, კუვეითი, არაბთა გაერთიანებული ემირატი, ყატარი, ომანი, ბახ-



რეინი), წითელი ზღვის სანაპიროს ქვეყნები და მავრიტანია.

ამ ქვეყნებში შეიმჩნევა უკიდურესი უთანაბრობა საშუალო და უმაღლესი საფეხური განათლების განვითარებაში. ეგვიპტეში, სუდანში, მავრიტანიასა და ალჟირში თავმოყრილია არაბული სამყაროს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის 2/3.

არაბულ ქვეყნებში განათლებაზე გაწეული დანახარჯები 25 მილიარდ დოლარს უტოლდება, ერთ მოსწავლეზე კი 300 დოლარი იხარჯება წელიწადში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო სახეზეა განათლების განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხება.

აშშ-სა და სხვა სახელმწიფოთა გავლენით ამ ქვეყნების განათლება თანდათან გადადის მრავალსაფეხურიან და მრავალდონიან განათლების სისტემაზე. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში განხორციელდა განათლების "გარდაქმნის" პროცესი, რომლის მიზანი იყო სისტემის დემოკრატიზაცია. 1980-90-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა მასობრივი ინოვაციური მოძრაობა სასკოლო განათლების სფეროში. იგი გამოვლინდა სიახლის ძიებაში: სკოლის მოდელებში, სწავლების შინაარსში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში. მიუხედავად თანდათანობითი შიდა რეგიონალური ინტეგრაციისა, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები ინარჩუნებენ განათლების ინფრასტრუქტურის ზოგად ელემენტებს. ეს ქვეყნები პრიორიტეტს ანიჭებენ დასავლეთის ან თავიანთი "უცხოელი" ისტორიული მეზობლების სასწავლო დაწესებულებებთან კავშირს; ძლიერდება საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტაქტები აშშ-სა და სხვა განვითარებულ სახელმწიფოსთან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლის მიზნით.

უმაღლესი განათლების განვითარების დონის საერთაშორისო შეფასების პროცესში გამოიყო ქვეყნების ჯგუფები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ერთიანი ნაციონალური პროდუქტის წილი ქვეყნის თითოეულ სულ მოსახლეზე და სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა 100 000 სულ მოსახლეზე. პრაქტიკულად, უმაღლესი განათლება შეუზღუდავად ხელმისაწვდომია I ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობისათვის. ეს ქვეყნებია აშშ, კანადა, გერმანია, იაპონია, ფინეთი.

XX საუკუნის ბოლოსათვის მოსწავლეთა რაოდენობა მსოფლიოში 1060 მილიონია, წერა-კითხვის მცოდნენი კი 15 წლის ასაკის ზევით - 75%. 1960 წლის მონაცემებთან შედარებით 1990 წელს უცხოელ სტუდენტთა, ასპირანტთა და სტაჟიორთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში თითქმის რვაჯერ გაიზარდა და მილიონ ორასიათასს გადააჭარბა და მათი რაოდენობა დღემდე აქტიურად იზრდება.

განვითარებული ქვეყნების პედაგოგიური სისტემებისათვის თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია მეცნიერების, განათლებისა და წარმოების სინთეზი, რაც მსხვილი ტექნოპოლისების საშუალებით ხორციელდება.

### ლიტერატურა

1. ე. ი. ბრაჟნიკოვი, შედარებითი პედაგოგიკის კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებანი; მ., 2005 (რუსულ ენაზე).
2. ვ. ა. ტიტოვი, საზღვარგარეთის ქვეყნების პედაგოგიკა; მ., 2010 (რუსულ ენაზე).
3. ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები; თბ., 2005.
4. [www.interidfestudy.ru](http://www.interidfestudy.ru)
5. [www.ef.kz/upa/education-systems](http://www.ef.kz/upa/education-systems)
6. [www.intelstudy.ru/obr\\_sys.php](http://www.intelstudy.ru/obr_sys.php)
7. [www.ef\\_russia.ru](http://www.ef_russia.ru)

## რეზიუმე

განათლების გლობალიზაციის ინტენსიური განვითარების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას იძენს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილების შესწავლა-განზოგადება. პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგანმანათლებლო გამოცდილება: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები, აზიის ქვეყნები – ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ინდოეთი, აფრიკის ქვეყნები ავსტრალია შეადგენენ მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებს და განსაზღვრავენ მისი განვითარების ტენდენციებს.

განათლების გლობალურ სისტემას ყველა ქვეყანაში სჭირდება ცვალებად გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა რეალობთან ადაპტირება. ამჟამად ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების კურსი ისეთი განათლების მოდელების მხარდაჭერას გულისხმობს, რომელიც სხვაზე მეტად პასუხობს მათ მიერ შერჩეული გლობალიზაციის სცენარს.

**Nino Orjonikidze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

## The Modern World Educational Area

### Summary

In the process of education globalization development, the learning and generalization of experience of the world educational systems take on special significance. First of all, proper allowance must be made for educational practices in the world's leading countries: USA, Great Britain, European countries, Russia, Latin America states, Asian countries – China, South Korea, Japan, India, African countries, and Australia compose the world's educational systems and define their development trends.

The educational global systems of all countries need to adapt to changeable geopolitical, demographic, climatic and other realities. At present, the focus of our planet's states on the economic development implies the support of those educational models, which better meet the globalization scenario they selected.

**Нино Орджоникидзе** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

## Современное всемирное образовательное пространство

### Резюме

В процессе интенсивного развития глобализации образования большое значение приобретает изучение и обобщение опыта всемирных образовательных систем. В первую очередь необходимо учитывать образовательный опыт ведущих стран мира: США, Великобритании, европейских стран, России, стран Латинской Америки, Азии – Китая, Японии, Южной Кореи, Индии, стран Африки, Австралии. Они составляют всемирные образовательные системы и определяют тенденции их развития.

Глобальная система образования во всех странах нуждается в геополитической, демографической, климатической адаптации и адаптации с другими реалиями. В настоящее время курс экономического развития государств планеты подразумевает поддержку таких моделей образования, которые больше отвечают подобранному ими сценарию глобализации.

**ნინო სოხაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

### ადამიანის აღზრდის პრობლემა ალბერ კამიუს შემოქმედებაში

რა არის მთავარი ეგზისტენციალური აზროვნებისათვის? ის, რომ ადამიანის ყოფიერება კრიზისს განიცდის და მთავარი პრობლემა – ადამიანის პრობლემაა.

ადრინდელ იდეალისტურ ფილოსოფიაში ადამიანის გონებას ღვთაებრივი გონება განაგებს. მე-19 საუკუნეში კი გაჩნდა პოზიტივისტური შეხედულებები, რომ ადამიანის საქციელი გარემო პირობით არის განსაზღვრული. ორივე შემთხვევაში უგულებელყოფილია ადამიანის თავისუფლება, ის, რომ ადამიანი თავად განაგებს და წარმართავს თავის ცხოვრებას. ეგზისტენციალიზმი კი ადამიანის თავისუფლებაზე აკეთებს მახვილს, რომ მიუხედავად შეზღუდვებისა ადამიანი თავად არჩევს თავისი არსებობის სახეს, თავის ცხოვრების გზას. ადამიანის ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელმაც იცის თავისი ორგანული არსებობა და მას აქვს მოთხოვნილება ელემენტარულ არსებობაზე მაღლა დადგეს და ეს უკვე მიუხედავად იმისა, რომ ეგზისტენციალიზმის ერთ ნაწილს სწამს მარადიულობა, მეორეს კი – არა. კამიუ ამ მეორეს მიმდევარია.

იგი თავის შემოქმედებაში აბსურდის ნიადაგზე ანუ მარადისობისადმი ურწმუნოების და ამ აზრით „ნიჰილიზმის“ პირობებში ცხოვრებას ირჩევს.

აბსურდის ნიადაგზე აღმოცენებული ცხოვრების წესია არ შეიმჩნიონ აბსურდი, გარეგნულად აქვთ რწმენა და უყვართ მოყვასი. სინამდვილეში კი სრულიად არ უყვართ ერთმანეთი. კამიუ უარყოფს ტყუილისა და თვალთმაქცობის ამ გზას და გონივრულ აბსურდს იყენებს.

გულწრფელი აბსურდი ნიშნავს იმას, რომ კაცი არ ინიღბება და ამჟღავნებს თავის სრულ გულგრილობას.

აბსურდის გულწრფელი აღიარება იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი არ ინიღბება, ის არის ის, რაც რეალურად არის.

დედა თავშესაფარში წაიყვანა, იშვიათად ნახულობდა, ბოლოს სრულიად არა; 2) მან არ დააზუსტა დედის გარდაცვალების დღე; 3) გულგრილად ისმენდა თავშესაფრის დირექციის ნაამბობს, 4) არ ისურვა გარდაცვლილი დედის ნახვა; 5) დედის კუბოსთან ჩაიძინა, დალია რძიანი ყავა; 6) მოწია სიგარეტი; 7) დასაფლავების დროს სიცხე აწუხებდა; 8) არ იცოდა დედის ასაკი. დასაფლავების მეორე დღეს ზღვაზე წავიდა და იქ შეხვდა ნაცნობ ქალს, მასთან მსუბუქი სასიყვარულო ურთიერთობა დაიწყო, კინოში წავიდნენ.

მეზობელმა თავისი გაჭირვება მოუყვა. მოულოდნელად კაცი შემოაკვდა გულგრილობის გამო კაცი მოკვდა (არაბი).

ჩვენ ვთქვით, რომ კამიუ ეგზისტენციალიზმის მეორე მიმდინარეობის მიმდევარია, ესე იგი მას არ სწამს მარადისობა, ამიტომ მერსოსთვის ყველაფერი სულერთია, რადგან ყველაფერი სიკვდილით მთავრდება.

მწერალი სიმპათიით არის გამსჭვალული მერსოს მიმართ იმიტომ, რომ ეს არ არის პოზა. შევადაროთ მერსო და დანარჩენი საზოგადოება ერთმანეთს .

მასის ცხოვრების წესი იმაში მდგომარეობს, რომ არაფერი არ სწამთ, მაგრამ ინიღბებიან. კამიუ უარყოფს თვალთმაქცობის ამ გზას და მას უპირისპირებს გულწრფელ აღიარებას ანუ აბსურდს, მაგრამ ეს უბედურება აქ არ მთავრდება და ეს მოჩვენებითობა გადადის ტირანიაში ანუ სხვათა ბატონობაში. ეს მოცემულია „კალიგულა“ და „დაცემა“. „სიზიფეს მითი“-ს ცენტრალური საკითხი არის –ღირს თუ არა ცხოვრება?

კამიუ აცასტურებს, რომ ადამიანის ცხოვრება საზრისს მოკლებულია ანუ აბსურდულია, მაგრამ თვითმკვლელობა არა. ის დაუშვებელია.

რა არის ადამიანის არსებითი მისწრაფებები? ანუ აბსურდის იდეალი? ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს უკვდავების იმედი. ეს არის აბსურდის ძირითადი ფენომენი. მერსო შერისხეს თავისი გულწრფელობისთვის და „უცხოდ“ გამოაცხადეს.

რამი გამოიხატება კონკრეტულად ცხოვრების ბსურდულობა. ეს იჩენს თავს გრძნობასა და განწყობილებაში. ადამიანი ცხოვრობს ინერციით, მექანიკურად (იბანს...), მაგრამ ერთ დღეს დგება მის წინაშე კითხვა – რატომ? და ყველაფერი უცხოდ მოგეჩვენება.

აბსურდი ეს ადამიანის მისწრაფებებს და შესაძლებლობებს შორის არსებული წინააღმდეგობაა.

ადამიანების ერთი ნაწილი ცდილობს უფრო მეტად პრაქტიკული იყოს და ქმნის მატერიალურ დოვლათს, მაგრამ ეს ადამიანი უცხო რჩება თავის თავთან და სხვებთან. მივედით ღმერთის არსებობამდე: დოსტოევსკი თვლის, რომ ცხოვრება მაშინ ღირს, თუ მას არსებობა უწერია, ესე იგი თუ კი არსებობს ღმერთი. ივანე კარამაზოვმა ვერ ირწმუნა ღმერთი და ჭკუაზე შეიშალა. ალიოშა კარამაზოვმა შეძლო ცხოვრება იმიტომ, რომ სწამდა ღმერთი „(როგორ სწამდა ეს მერსოს? (ღმერთი)).

აბსურდის აღიარებამ კამიუ „მეტი ცხოვრების“ აღიარებამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა „მეტ ცხოვრებაში“ არ იგულისხმება ცხოვრების ხანგრძლივობა. არამედ ეს არის დაბრკოლება შენი ყოფიერების სხვაზე განვრცობის. ეს საკითხი კარგად არის მოცემული სიზიფეს მითში. სიზიფეს ბეჯითად ააქვს ხოლმე მაღალ მთაზე უზარმაზარი ლოდი. თუმცა იცის, ლოდი ბოლოს და ბოლოს ისევ დაბლა დაგორდება. იცის სიზიფემ, ლოდი რომ დაგორდება.

ადამიანი აკვირდება მეორე ადამიანს, ეს ჩანს „შავ ჭირში“. კამიუმ აღიარა, რომ მიუხედავად აბსურდისა ადამიანის ერთ-ერთი არსებითი შესაძლებლობა სხვა ადამიანთან შინაგანი ურთიერთობაა. ადამიანმა თავი უნდა დააღწიოს „ელემენტარულ ეგოიზმს“.

„ჩვენ მუდამ და განუწყვეტლივ ვსაჭიროებთ ადამიანურ აბსურდს ნაზიარებ კაცს. ასეთები ბევრნი არ არიან. მაგრამ სულ ცოტა ერთი მაინც მოიძებნება ხოლმე და ეს ერთი საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ ყველანი გვიხსნას“, – წერდა უილიამ ფოლკნერი კამიუს გამო.

## რეზიუმე

ალბერ კამიუ გახლდათ ეგზისტენციალური მიმდინარეობის წარმომადგენელი, რომლისთვისაც მთავარი არის ადამიანის საზრისის გარკვევა და იმ ადამიანის ყოფიერების კრიზისის დაძლევა.

ეგზისტენციალიზმი იცნობს ორ მიმდინარეობას. პირველი, რომელიც უარყოფს მარადისობას და მეორე, რომლისთვისაც არსებობს მარადიული.

ალბერ კამიუ პირველ მიმდინარეობას აღიარებს და ის ცდილობს „გულწრფელი აბსურდით“ შეუმსუბუქოს ადამიანის ცხოვრება.

კამიუს ნაწარმოებში „უცხო“ მთავარი გმირი მერსო ამ გულწრფელი აბსურდის წარმომადგენელია, რომელიც ნიჰილიზმით არის შეპყრობილი. მისთვის სულერთია ყველაფერი, გარდა იმ აუცილებელი მოთხოვნილების, რომელიც მისთვის საჭიროა ან გარკვეულწილად სიამოვნებას ანიჭებს.

მიუხედავად ყველაფრისა, დიდია კამიუს სიმჰათია მერსოს მიმართ, იმიტომ რომ ის არის ინდივიდი, ესე იგი განსხვავებული მასისგან, თავისუფალი პოზისგან.

მერსოს ეს გულწრფელობა არ აპატიეს და ის „უცხო“ გახდა მასიური საზოგადოებისათვის. აბსურდის აღიარების ნიადაგზეცხოვრების ერთ-ერთი არსებითი შესაძლებლობა არის სხვა ადამიანებთან შინაგან ურთიერთობაზე და ერთიანობაში, მათზე ზრუნვაში გამოიხატა – ასე გადაწყვიტა კამიუმ ამჯერად პრობლემა.



**ნიო სოხაძე** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **Проблема воспитания человека в творчестве Альбера Камю.**

#### **Резюме**

Альбер Камю являлся представителем течения экзистенциализма, для которого главным является определение воззрений человека и преодоление кризиса бытия этого человека.

Экзистенциализм имеет два направления: первое, отрицающее вечность и второе – для которого эта вечность существует.

Альбер Камю признает первое направление и он пытается с помощью «чистосердечного абсурда» облегчить жизнь человека.

В произведении Камю «Посторонний» главный герой Мерсо является представителем этого чистосердечного абсурда, который подвержен нигилизму. Для него все равно, кроме тех потребностей, которые ему необходимы, или, в определенной мере, доставляют удовольствие.

Несмотря на все это, велика симпатия Камю к Мерсо, потому что он является индивидом, то есть отличным от массы, свободным от позерства.

Мерсо не простили его чистосердечности и он становится «посторонним» для массового общества.

На почве признания абсурда одним из существенных возможностей жизни является возможность внутреннего общения и единения с другими людьми, это выразилось в заботе о них – так на сей раз решил эту проблему Альбер Камю.

**Nino Sokhadze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### **Human's breed problem in Albert Camus' Creativeness creations**

Albert Camus was a part of existentialism. In this theory important is human beings and mind.

In this course, there are two parts: 1) The first it's deny eternally ; 2) The second – "Frank nonsense".

In Camus' "Stranger" main personage Meursault is representative of "Frank nonsense". He's obsessed by nihilism. That's why Meursault became a stranger for society. Against all of it "stranger" – Meursault – is good character and person.

For Camus very important is relationship other persons but this must be frankly.

Camus is alive and a lot of people in the world are interested about his work and they read his book very attentively.

**სოფიო ფანჩულიძე** -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი

**დიმიტრი უზნაძის თეორია თამაშის, როგორც ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმის შესახებ და მისი მნიშვნელობა განათლების სისტემის განვითარების დღევანდელ ეტაპზე**

თამაშის თეორიული პრობლემა, რომლის გადაჭრაც ბავშვის ფსიქოლოგიის მრავალმა ცნობილმა მკვლევარმა (გ. სტენლი-ჰოლი, ჰ. სპენსერი, ზ. ფროიდი, ა. ადლერი, კ. გროსი, კ. ბიულერი, ვ. შტერნი, ჟ. პიაჟე, ფ. ბოიტენდაიკი და სხვ.) სცადა, მისი გამომწვევი მიზეზების (ან საფუძვლების) გარკვევაში მდგომარეობს. კონკრეტულად საკითხი ასე ფორმულირდება: “რატომ თამაშობს ადამიანი საერთოდ, განსაკუთრებით კი ბავშვი?” საქმე ისაა, რომ თამაში, როგორც ცნობილია, მიზნობრივი საქმიანობა არაა. თამაში, რომელიც მისი სუფთა სახით, ბავშვის (სკოლამდელ ასაკამდე) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს, არავითარი კონკრეტული მიზნის მიღწევას არ ემსახურება. ამიტომ, თუ ადამიანურ საქმიანობათა სხვა ფორმები, რომლებიც ყოველთვის გარკვეულ მიზანზე არიან მიმართული, ამ მიზნის მიხედვით შეგვიძლია დავახასიათოთ, თამაშთან მიმართებაში ასე ვერ მოვიქცევით.

თამაშის სრულყოფილმა თეორიამ, გარდა იმისა, რომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თუ რატომ თამაშობს ბავშვი, იმაზეც უნდა უპასუხოს, თუ რატომ თამაშობს ბავშვი სწორედ ისე, როგორც თამაშობს. ე.ი. რატომ გავს მისი თამაში ადამიანურ საქმიანობათა სხვა ფორმებს?

დიმიტრი უზნაძის თანახმად, თამაშის სრულყოფილმა თეორიამ ორივე ეს საკითხი (რატომ თამაშობს ბავშვი და რატომ აქვს ამ თამაშს აზრიანი და მოწესრიგებული სახე) ერთი პრინციპის ნიადაგზე უნდა გადაჭრას: პასუხი კითხვაზე, თუ რატომ თამაშობს ბავშვი, ისეთი უნდა იყოს, რომ აქედან გამომდინარეობდეს პასუხი მეორე კითხვაზეც, რატომ თამაშობს ბავშვი ისე, როგორც თამაშობს. (1.გვ.124)

თამაშის თეორიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რაც თავისი ზოგადი და ბავშვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში აქვს მოცემული, დ. უზნაძე ასკვნის, რომ ყველა თეორიაში თამაშის არსი და მისი საფუძველი ან ამ ქცევის ობიექტური შედეგების გათვალისწინებითაა განხილული და გადაჭრილი, ან იმ ფსიქოლოგიური ფენომენებითაა ახსნილი, რომლებსაც სუბიექტი თამაშთან დაკავშირებით განიცდის. ასეთი მიდგომა ავტორის თანახმად თამაშის არსში ვერ გაგვარკვევს, რადგან ასახსნელი სწორედ ამ შედეგების და განცდების გამომწვევი მიზეზებია.

თამაშის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტური შედეგია ბავშვის განვითარება და მისი იმ უნარების გავარჯიშება, რაც შემდგომში ცხოვრებაში (სერიოზულ საქმიანობებში) დაჭირდება და გამოადგება. თამაშის ამ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას კ. გროსი თავის ცნობილ თეორიაში, რომლის მიხედვითაც, თამაში «მომავლის სკოლაა». ასეთი ტელეოლოგიური მიდგომის პირობებში კი გაურკვეველი რჩება საიდან გაჩნდა ეს მიზანი და როგორ ხდება, რომ თამაში მის მიღწევას ემსახურება?

ასევე ვერ აიხსნება ფუნქციონალური სიამოვნების პრინციპიდან თამაშის ყველა თავისებურება. კ. ბიულერიცა და მრავალი სხვაც იზიარებენ გროსის მიერ შემოტანილ «მომავლის სკოლის» პრინციპს. მაგრამ ბევრნი და მათ შორის დიმიტრი უზნაძეც არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბავშვი მომავლისათვის მომზადების საჭიროების გამო თამაშობს. (2.გვ.125)

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ თამაშის ყველა თეორია, განსაკუთრებით კი სპენსერის, გროსის და ბიულერის თეორიები, უდავოდ სწორ დაკვირვებებს ემყარება, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თვითონ თამაშის არსს ვერ აგნებს და ადამიანური საქმიანობის ამ ფორმის მხოლოდ გარეგან აღწერას იძლევა. თამაშის სრულყოფილმა თეორიამ ამ მოვლენის არსებითი ნიშანი უნდა მონახოს და მისი ყველა თავისებურება (კერძოდ, რომ ბავშვი თამაშში დიდ ენერგიას ხარჯავს, რომ იგი ამ დროს უფროსებს ბაძავს, რომ ვითარდება და ვარჯიშდება, რაც მას მომავლისათვის ამზადებს, რომ იგი თამაშით ფუნქციონალურ სიამოვნებას იღებს და სხვ.), ამ ნიშნის მიხედვით, ახსნას და დაახასიათოს. თამაშის არსი, რომელიც მის ყველა მხარეს ხდის გასაგებს, ავტორის თანახმად, ისაა, რომ იგი, სხვა

ქცევებისაგან განსხვავებით, არ აღიმგრის რაიმე ობიექტური საჭიროებით. მას იწვევს თვითონ აქტივობის შინაგანი ტენდენცია, რადგან სიცოცხლე აქტივობაა და ცოცხალ არსებას აქტივობის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ყველა ფუნქცია, რაც კი ბავშვს მემკვიდრეობით ეძლევა, შეიცავს ამოქმედების-თავის დანიშნულების მიხედვით ფუნქციონირების ტენდენციას.

მაშასადამე, ცხადია, ბავშვის ამ ძალებს უმოქმედოდ არსებობა არ შეუძლია: **ფუნქციონალური ტენდენცია**, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძალების არსებობა ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია, გასაგებად ხდის ბავშვის აქტივობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას გასაკეთებელი არაფერი აქვს, როდესაც ეს აქტივობა რაიმე პროდუქტის მისაღებად კი არ არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ როგორც პროცესია მნიშვნელოვანი. **ფუნქციონალური ტენდენციის ცნება გასაგებად ხდის თამაშის ფაქტს (3.გვ. 615).**

დ. უზნაძის თანახმად, თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფუნქციონალური ტენდენციით აღმრული ქცევაა. "მაშასადამე, რატომ თამაშობს ბავშვი თუ დიდი, სულერთია, ამას ფუნქციონალური ტენდენცია უდევს საფუძვლად" (4.გვ.615). ამრიგად, თამაშის მიზეზის, მისი გამომწვევი ძალის საკითხი გარკვეულია: ესაა ფუნქციონალური ტენდენცია. ახლა თამაშის შინაარსული მხარეა გასარკვევი, რომელიც აუცილებლად, ამავე პრინციპის მიხედვით (ფუნქციონალური ტენდენციის ცნებაზე დაყრდნობით) უნდა გადაიჭრას. გასაგებია, რომ ბავშვი თამაშით, მაგალითად, კუნთების, ან სხვა რომელიმე ორგანოს, ფუნქციონირების ტენდენციას იკმაყოფილებს, მაგრამ მის მოძრაობებს ქაოტური ხასიათი როდი აქვს. იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც ბავშვი მხოლოდ ფიზიკურ თამაშშია ჩართული და უაზროდ დარბის, დახტის, გორავს და სხვ., ბავშვის თამაში სრულიად მოწესრიგებული, შინაარსიანი საქმიანობაა. იგი ძალიან ჰგავს საქმიანობის იმ ფორმებს, რომლებსაც ბავშვი თავის გარემომცველ სოციალურ წრეში ხედავს და აკვირდება. ბავშვი თამაშში ყოველივე იმის იმიტირებას ახდენს, რასაც უფროსები მის თვალწინ აკეთებენ. რატომ ხდება ასე?

მკვლევართა უმრავლესობა, როგორც ვნახეთ, ამ მოვლენის ასახსნელად მიბამულობის ცნებას იშველიებს. დ. უზნაძის თანახმად, მიბამულობის მიზეზიც ფუნქციონალური ტენდენციაა. საქმე ისაა, რომ ფუნქციები, რომელთა აქტივაციის ტენდენციაც თამაშს ბადებს, ადამიანური ფუნქციებია. ისინი ადამიანის გვარის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ადამიანური საქმიანობის შესასრულებლად. ამიტომ, მათი ფუნქციონირება მხოლოდ ისეთი (იმის მსგავსი) შეიძლება იყოს, როგორც მათ შეეფერება. მათთვის შესაფერისი კი ისეთივე საქმიანობათა განხორციელებაა, რომლებშიც მათი ფორმირება მოხდა ფილოგონეზში. სწორედ ამიტომაც, რომ ბავშვი თამაშში ბაძავს უფროსებს და მოქმედებს იმის მიმსგავსებულად, როგორც ისინი მოქმედებენ.

რამდენადაც ბავშვის ასაკობრივი განვითარების საფეხურები ერთიმეორისაგან, პირველ რიგში, ფუნქციონალური ტენდენციების მიმართულებით (როდის რომელი ფუნქციებია განსაკუთრებით აქტივირებული) განსხვავდებიან, ამდენად ყველა ასაკში, ბავშვი ყველაზე მეტად ისეთ ქცევებს ეტანება, რომლებიც მოცემული ასაკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს სხვებზე მეტად შეესაბამება. ასეთ ქცევას, თანამედროვე ფსიქოლოგიაში, წამყვანი ქცევა ეწოდება, რომელიც რუსი ფსიქოლოგის ლევ ვიგოტსკის განმარტებით არის ქცევა, რომელსაც განვითარების მოცემულ ეტაპზე მიჰყავს განვითარების პროცესი. შემდეგში ეს ცნება, უფრო კონკრეტული ნიშნებით დაახასიათა ა. ლეონტიევმა. ორივე ეს დაახასიათება მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა, რადგან ეს ავტორები არ იცნობენ (ან, უფრო სწორად, არ ცნობენ) ფუნქციონალური ტენდენციის უზნაძისეულ ცნებას. დ.უზნაძე სარგებლობს წამყვანი ქცევის ტერმინით, მაგრამ მის შინაარსში ისეთ ქცევას გულისხმობს, რომელიც ასაკისათვის დამახასიათებელ ფუნქციონალურ ტენდენციებს შეესაბამება. ის გარემოება, რომ ყველა ასაკში სწორედ ასეთ ქცევას მიჰყავს განვითარების პროცესი, მისი ობიექტური შედეგია და არა მიზეზი. ბავშვის სასკოლო ცხოვრების დაწყებამდე მისი განვითარების წამყვანი ქცევა თამაშია, (ფუნქციონალური ტენდენციების შესატყვისი), ხოლო სასკოლო პერიოდიდან განვითარების წამყვანი ქცევა ხდება სწავლა, რომლის ფორმა და შინაარსიც, ასევე, თანმიმდევრულად რთულდება ბავშვის განვითარების პროცესის თანახმად. საქმე ისაა, რომ სწავლაში დასაქმებულია ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ძალების მხოლოდ ერთი ნაწილი, ხოლო დანარჩენი ძალების ამოქმედების ტენდენცია აუცილებლად მოითხოვს თამაშს, რომელიც

სუბიექტის ზრდა-განვითარების კვალობაზე, თანდათან გართობის ფორმას იძენს. მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის თამაში ისევე აუცილებელია, როგორც სწავლა.

ეს გარემოება პედაგოგიური გარემოებისათვის გასათვალისწინებელია ბავშვის სწავლება-სწავლის ორგანიზაციის საქმეში. პირველ რიგში, ეს მოთხოვნა იმას ითვალისწინებს, რომ ბავშვს, სწავლასთან ერთად, თამაშისათვის საჭირო დროც რჩებოდეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თამაშის გამოყენება საკუთრივ სასწავლო მიზნების მიღწევაში. სწავლება-სწავლის მთავარი მიზანი, მეცადინეობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არის მოსწავლის მიერ საკაცობრიო გამოცდილების (ცოდნის) გარკვეული სტრუქტურის ათვისება და მისი, როგორც ამ საქმიანობის სუბიექტის, ფსიქო-ფიზიკური ძალების განვითარება.

ცოდნის ისეთ შემენას, რომელიც სათანადო მიზანდასახულობით არ ხდება და მხოლოდ სხვა ქცევის თანმხლები ეფექტია, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში ლატენტურ სწავლას უწოდებენ (5). ამ თამაშში ბავშვი ყოველთვის ხალისიანად ერთეება, რადგან აქ მისი ძალების თავისუფალ (არამალდატანებით) ფუნქციონირებასთან გვაქვს საქმე. თუ პედაგოგიური გარემო ამ ძალებს ისე მიმართავს, თამაშის ისეთ ორგანიზაციას მოახდენს, რომ ბავშვი სწორედ იმას დაეუფლოს, რისი სწავლებაც გვინდა, ჩვენი მიზანი ისე იქნება მიღწეული, რომ ბავშვს სწავლისათვის მობილიზებისათვის საგანგებო ძალისხმევა არ დასჭირდება. იგი, მისთვის უფრო ადვილად მისაღებ თამაშის ქცევაში იქნება ჩართული.

ასეთნაირად ორგანიზებულ თამაშს დიდაქტიკური თამაში ეწოდება, რომელიც ეფექტურად გამოიყენება არა მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გარკვეული ელემენტარული ცოდნის მისაცემად, არამედ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესშიც. უფრო მეტიც, ზოგჯერ ეს მეთოდი მოზრდილთა სწავლების დროსაც გამოიყენება. “პედაგოგიური დაკვირვებაც და სათანადო ექსპერიმენტებიც ადასტურებენ, რომ პროგრამული მასალის ათვისება შედარებით ადვილად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ხორციელდება მაშინ, როდესაც ხერხდება მისი თუნდაც ერთი ნაწილის თამაშის ფორმაში მიწოდება” [6. გვ. 140].

სასწავლო მიზნებისათვის თამაშის გამოყენების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ დღეს, როდესაც სწავლება-სწავლის მიზანდასახულობაში მთავარი ადგილი დაიჭირა თავისუფალ, ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მოზარდის მომზადებამ. განათლებულობა, დღევანდელ ინფორმაციულ ეპოქაში, გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ სუბიექტი ფართო ერუდიციითა და წიგნიერებით იყოს გამორჩეული (რაც, თავისთავად, მეტად ღირებული და აუცილებელი თვისებაა), არამედ შეეძლოს სრულიად ახალი და განუწყვეტლად ცვალებადი ზღვა ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, მისი გადამუშავება და შემოქმედებითად გამოყენება ცხოვრებისეულ ამოცანათა გადასაჭრელად. ამ მიზნის ეფექტურად გადაჭრისათვის, დასავლეთის ქვეყნებში, ფართოდ გამოიყენება სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც დღეს ჩვენშიც აქტიურად ინერგება.

აუცილებელია, რომ თამაშით სწავლების მეთოდი, რომელიც თამაშის სხვა ნაირსახეობებსაც მოიცავს და ბავშვის უფრო მეტ ძალებს მოიყვანს აქტივობაში, სკოლაში უფრო ფართოდ დაინერგოს და ყოველდღიურ საქმედ გადაიქცეს. ამისათვის კი საჭიროა დ. უზნაძის თამაშის თეორიაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდეს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში შემავალი საკითხების სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენების კონკრეტული მეთოდიკები, რომელშიც კარგად იქნება გათვლილი შესასრულებელ აქტივობათა რომელი სახე ბავშვის რომელ ფუნქციათა აქტივაციის ტენდენციას დააკმაყოფილებს. მიგვაჩნია, რომ უცხოეთიდან მიღებული მეთოდების ასეთი მოდიფიკაცია, აგრეთვე, უზნაძის ორიგინალური ფსიქოლოგიური კონცეფციის საფუძველზე სწავლების პრინციპულად ახალი ხერხების მონახვა, მეტად სასარგებლო იქნება სკოლაში სწავლების ახალი აქტიური მეთოდების დანერგვის საქმეში. მიგვაჩნია, უცხოეთშიც, საიდანაც სწავლების ინტერაქტიული მეთოდები შემოვიღეთ, მათ შემქმნელებს დ. უზნაძის თამაშის თეორია რომ ცოდნოდან, მას აუცილებლად გამოიყენებდნენ საკუთარი მეთოდიკების გასამდიდრებლად და დასახვეწად.



### ლიტერატურა

1. მალრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, 2008;
2. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 1947წ.;
3. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი 1998წ.;
4. ჩხარტიშვილი შ. სწავლის მოტივაციური ფორმები, ჟურნალი «სკოლა და ცხოვრება», №12, 1975წ.;
5. Mastsavlebeli.ge/index.php?action=pag@pid.

### რეზიუმე

წარმატებული პედაგოგიური მუშაობის აუცილებელ პირობად დ. უზნაძე ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დაფუძნება მიაჩნდა. რამდენადაც პედაგოგიური ზემოქმედების ძირითად ობიექტს ბავშვი წარმოადგენს, ამდენად, დ. უზნაძეც ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლიდა ბავშვის ფსიქიკური განვითარების საკითხებს. ამ დარგში მისი კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თამაშის ფსიქოლოგიური ბუნების და მისი გამომწვევი მიზეზების საკითხის გარკვევა, რის შესახებაც საგანგებო მეცნიერული კონცეფცია ჩამოაყალიბა.

თამაშის თეორიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რაც თავისი ზოგადი და ბავშვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში აქვს მოცემული, დ. უზნაძე ასკვნის, რომ ყველა თეორიაში თამაშის არსი და მისი საფუძველი ან ამ ქცევის ობიექტური შედეგების გათვალისწინებითაა განხილული და გადაჭრილი, ან იმ ფსიქოლოგიური ფენომენებითაა ახსნილი, რომლებსაც სუბიექტი თამაშთან დაკავშირებით განიცდის.

დ. უზნაძის თანახმად, თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფუნქციონალური ტენდენციით აღძრული ქცევაა. აუცილებელია, რომ თამაშით სწავლების მეთოდი, რომელიც თამაშის სხვა ნაირსახეობებსაც მოიცავს და ბავშვის უფრო მეტ ძალებს მოიყვანს აქტივობაში, სკოლაში უფრო ფართოდ დაინერგოს და ყოველდღიურ საქმედ გადაიქცეს.

**Софья Панчулидзе** - Государственный университет Акакия Церетели, академический доктор просвещения

**Теория Дмитрия Узнадзе об игре, как ведущей форме поведения ребенка и ее значении на современном этапе развития системы образования**

**Резюме**

Необходимым условием успешной педагогической деятельности Д. Узнадзе считал ее опору на психологическое знание. Поскольку основным объектом педагогического влияния является ребенок, постольку Д. Узнадзе глубоко и всесторонне изучал вопросы психологического развития ребенка. В этой области одним из значительных аспектов его исследовательской деятельности является разъяснение вопросов психологической природы игры и причин, обуславливающих ее эффективность. По данному вопросу он создал специальную научную концепцию. Игра, которая в чистом виде представляет собой основную сферу деятельности ребенка (дошкольного возраста), не ставит перед собой какую-нибудь конкретную цель.

На основе критического анализа теории игры, что передано в его учебниках по общей и детской психологии, Д. Узнадзе делает вывод, что в каждой теории суть и основа игры рассмотрены и разрешены либо с учетом объективных результатов этого поведения, либо разъяснены на основе тех феноменов, которые переживает субъект в связи с игрой.

Согласно Дмитрия Узнадзе, суть игры состоит в том, что она является поведением, воспроизведенным на функциональной тенденции. Необходимо, чтоб метод обучения с помощью игры, который содержит в себе и другие разновидности игры активизирующие ребенка, нашел широкое применение в школах и стал бы делом повседневной заботы.

**Sophio Panchulidze** - AkakiTsereteli State University, Academic Doctor of Education

**Theory of Game as a Leading Form in a Child's Behavior by Dimitri Uznadze and Its Importance on the Development of Educational System at the Present Stage**

**Resume**

Dimitri Uznadze believed that the necessary condition for successful pedagogical activity was supposed to be based on psychological knowledge. He conducted a thorough and comprehensive study of child's mental development as the main object of the pedagogical impact is a child. One of the most important psychological aspects of his research in the field was to study the psychological nature of a game and clarify the causing reasons of the game. Dimitri Uznadze established the special scientific concept on the issue.

Game is the main activity of a child at pre-school age and it does not have any specific aim. Critical analyses of game theories given in his handbooks on general and child's psychology allow Dimitri Uznadze to conclude that all theories study the essence and the reason of a game in accordance with either its objective outcomes or with psychological phenomenon a child feels while playing.

According to Dimitri Uznadze the essence of a game lies in the fact that it is provoked by functional tendencies. It is essential that the teaching method that includes different types of games, should be widely implemented at schools as it makes a child more active and better motivated.

ნატო ქობულაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის იდენტიფიცირების საკითხები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (სპეციალური საჭიროები მქონე პირი) ინკლუზიურ განათლებასა თუ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებზე საუბრისას, პირველ რიგში, გამოხატული მოტორული თუ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების დახმარების საკითხი დგება. ამ ბავშვების პრობლემები თვალსაჩინოა და დახმარების აუცილებლობა ყველასათვის ნათელია, თუ, რა თქმა უნდა, სკოლა (სახელმწიფო) უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას, ანუ იღებს პასუხისმგებლობას, ასწავლოს ყველა ბავშვს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, სკოლა იღებს ვალდებულებას ყოველ კონკრეტულ ბავშვს, შეუქმნას სწავლისათვის ადეკვატური გარემო (სასწავლო პროგრამა, სწავლების მეთოდიკა, შეფასების სისტემა და ა.შ.).

თუ განვითარების პრობლემების მრავალსახეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ყველა პრობლემა არ არის თვალსაჩინო. ამ საკითხს სპეციალური დახმარების საჭიროებების მხრიდან რომ შევხედოთ, დახმარება მხოლოდ თვალსაჩინო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ სჭირდებათ. სხვადასხვა გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სკოლაში თითქმის ყოველ მეორე ბავშვს სხვადასხვა ტიპის დახმარება ესაჭიროება, თვალსაჩინო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი კი, სკოლაში სულ რამდენიმეა.

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ბავშვის სასწავლო გარემოში სრულფასოვან ფუნქციონირებას, აკადემიური ჩვევების ათვისებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზებას, მრავალფეროვანია და ხშირად არათვალსაჩინო. სწავლისა და ქცევის პრობლემები იშვიათად არის მხოლოდ ბავშვის დაბალი მოტივაციით, სიზარმაცითა და სიჯიუტით განპირობებული. სიზარმაცე, სიჯიუტე და დაბალი მოტივაცია, როგორც წესი, სკოლაში ქრონიკული წარუმატებლობის შედეგია და არა მიზეზი. "ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ბავშვები" ხშირ შემთხვევაში არათვალსაჩინო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არიან. ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. თუკი პრობლემას განვითარების კუთხით შევხედავთ, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნორმალური განვითარებიდან გადახრა. რადგან ნორმასა და პათოლოგიას შორის ზღვარი არასოდეს არის ერთმნიშვნელოვნად მკაფიო, ამიტომ რთულია "მინიმალური" დეფიციტის იდენტიფიკაცია, განსაკუთრებით, თუ ის სპეციფიკური ხასიათისაა (ანუ ვლინდება ერთ ან ამდენიმე კონკრეტულ სფეროში, არ არის გლობალური და არ მოიცავს განვითარების ყველა სფეროს). "მინიმალური" დეფიციტის ამოსაცნობად მნიშვნელოვანია განვითარების ზოგადი კანონზომიერებისა და განვითარების ინდიკატორების ცოდნა. დღეს, როდესაც ბავშვის განვითარებაზე მრავალი მავნე ფაქტორი მოქმედებს (მაგ. გარემოს დაბინძურება, საკვებში ხელოვნური დანამატები, ტელევიზიასა და კომპიუტერში ძალადობა და აგრესია) "ნორმისა" და "გადახრის" ცნება და მათ შორის დიფერენციაცია კიდევ უფრო რთული და აქტუალური ხდება. დღევანდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმალური განვითარებიდან გადახრა ბავშვთა პოპულაციის საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავს (მაგ. აშშ-ში სკოლის მოსწავლეთა 25%-ს, ინგლისში სკოლის მოსწავლეთა 20%-ს, რუსეთში ბავშვთა პოპულაციის 40%-ს).

ბავშვის განვითარება გარკვეულ ასაკში შესაბამისი ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელი უნარებისა და ჩვევების განვითარებით ფასდება. განვითარების ინდიკატორებზე დაკვირვება და მათ საფუძველზე ბავშვის განვითარებაზე მსჯელობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფსიქოლოგებისთვის, პედატრებისა და ჯანდაცვის სხვა წარმომადგენლებისთვის. მასწავლებლისთვის კი ბევრად უფრო მოსახერხებელია განსხვავებულ ქცევაზე დაკვირვება; ქცევა, რომელიც არ არის დამახასიათებელი შესაბამისი ასაკის ბავშვებისთვის, თვალსაჩინოა და არ მოითხოვს განვითარების საკითხების საფუძვლიან ცოდნას. თუმცა აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ განსხვავებული ქცევა ყოველთვის განვითარების შეფერხებისა და პრობლემური ქცევის

ინდიკატორი არ არის. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ქცევაში ბავშვის პიროვნული, ინდივიდუური თავისებურება ვლინდება, თუ ის რაიმე პრობლემის ასახვაა.

მნიშვნელოვანია, დავადგინოთ რა სახის სწავლების სირთულესთან გვაქვს საქმე, სახეზეა თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო შეზღუდულობა.

ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობა იყოფა შემდეგ ტიპებად:

**მოდრაობის შეზღუდულობა** როცა ადამიანი ვერ იყენებს ერთ ან მეტ კიდურს, როცა ადამიანს აქვს სიარულის, ხელში დაჭერის ან საგნის აღების უნარების დეფიციტი. ეტლი, ყავარჯენი, ხელჯოხი შეიძლება გამოყენებული იყოს მოძრაობის დასახმარებლად.

**კოგნიტური შეზღუდულობა** კოგნიტური შეზღუდვა აისახება ადამიანის მსჯელობის, გაგების და სწავლის უნარებზე. კოგნიტური შეზღუდულობა იყოფა 2 კატეგორიად: სწავლის დარღვევები და გონებრივი შეფერხება.

**სმენის შეზღუდულობა** სმენის შეზღუდულობა მერყეობს სმენის საშუალო დაკარგვიდან, სრულ დაკარგვამდე. მათ ვისაც აქვთ მძიმედ გამოხატული სმენის შეზღუდულობა იყენებენ ნარჩენ სმენას და ტუჩების კითხვას ერთი-ერთზე კომინიკაციისას.

**მხედველობითი შეზღუდულობა** აისახება ადამიანის უნარზე დაინახოს და 1. უუნარობა დაინახოს გამოსახულები ნათლად და გარკვევით, 2. მხედველობის ველის დაკარგვა, 3. განათების მცირე ცვალობადობის შემჩნევის უუნარობა, 4. ფერების სიბრმავე, 5. სინათლისადმი მგრძნობელობა.

**მეტყველების შეზღუდულობა** შეიძლება გამოხატული იყოს არტიკულაციის პრობლემების სახით, ენაბორძიკობით და სხვა მრავალი სახით.

ბავშვებთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გარდა, ხშირად გამოიყენება ტერმინი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი. ფილოსოფიური და ჰუმანიტარული გაგებით, ყველა ბავშვი სპეციალური საჭიროებისაა. თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვში უმეტესად მოვიაზრებთ ბავშვებს, რომლების მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა ბავშვებისაგან ზოგიერთ ადამიანის ფუნქციონირების მნიშვნელოვან სფეროში.

ძირითადად, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს განვსაზღვრავთ იმის მიხედვით, თუ რის გაკეთება არ შეუძლია მისი განვითარების ეტაპის შესაბამისად.

განვიხილოთ ზოგადად ბავშვებში რა სახის ძირითადი საჭიროებები არსებობს:

განვითარების პროცესში ბავშვს გააჩნია ოთხი ძირითადი საჭიროება:

1. ფიზიკური საჭიროებები: საკვები, სასმელი, ადეკვატური ტანსაცმელი, თავშესაფარი (სახლი), ძილი (საკუთარი საწოლი), ჰიგიენის დაცვა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობა

2. ემოციურ-ფსიქოლოგიური საჭიროებები: მიჯაჭვულობა, პოზიტიური ურთიერთობა მეგობრებთან, თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან, ფიზიკური კონტაქტი გარშემომყოფებთან.

3. სოციალური/საგანმანათლებლო საჭიროებები : სათამაშოები, წიგნები (სასწავლო, გასართობი), სკოლა/საბავშვო ბაღი, რელიგია, მეგობრები, ნათესავები

4. შეზღუდვები/წესები საჭიროებები: რუტინა (დღის განრიგი), კულტურული ნორმები და ტრადიციები, კონტროლი

როცა ბავშვი სპეციალური საჭიროებისაა, იმის მიხედვით თუ რა ტიპის შეზღუდულობა აქვს, ეს საჭიროებები ამ კუთხით უნდა იყოს დაკმაყოფილებული; ხშირად სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს დახმარება ესაჭიროება, რათა დაიკმაყოფილოს ფიზიკური საჭიროებები: ჭამოს, დალიოს. გადაადგილდეს, ჩაიცვას, დაიცვას ჰიგიენა და სხვა.

ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს სხვადასხვა ხარისხით შეიძლება დაჭირდეს დახმარება, ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო დახმარების ხარისხის მიხედვით 4 დონე გამოიყოფა:

1. დროებითი: როცა არ ესაჭიროება მუდმივი დახმარება, მაგრამ შეიძლება დასჭირდეს დროებითი მხარდაჭერა გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, პროფესიის ათვისება

2. შეზღუდული: პერიოდულად ესაჭიროება გარკვეული სახის დახმარება, მაგალითად რაიმე ახალი უნარის გავარჯიშება



3. ექსტენსიური (ფართო): ესაჭიროება ყოველდღიური დახმარება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში

4. ყოვლისმომცველი: ესაჭიროება დახმარება მუდმივად, დიდი ინტენსიობით ცხოვრების ყველა ასპექტში.

#### **როგორ უნდა მოხდეს სპეციალური საჭიროების მქონე პირის იდენტიფიცირება**

თეორიების უმრავლესობა განვითარებას განიხილავს ეტაპობრივ პროცესად, რომელიც წინასწარ განსაზღვრული საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია მისი წინმსწრები საფეხურის შესაბამისი უნარების ათვისებაზე. მაგ: სანამ ბავშვი სირბილს ისწავლიდეს, იგი ჯერ ხოხვას, ხოლო შემდგომ სიარულს სწავლობს; მხოლოდ ამ ორი უნარის ათვისების შემდეგ ხდება შესაძლებელი სირბილის სწავლა. კონკრეტული ჩვევისა და უნარების ათვისების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბავშვის განვითარების შესახებ.

იმის მიხედვით, თუ როდის ჩნდება გარკვეული უნარები, მაგალითად, როდის იწყებს ბავშვი სიარულს, ლაპარაკს და ა.შ., ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას ბავშვის განვითარების შესახებ. ანუ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია განვითარების ინდიკატორებისა და შესაბამისი ასაკობრივი პერიოდის ცოდნა, როდესაც მოსალოდნელია მოცემული უნარის მომწიფება ან ჩვევის ათვისება. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამა თუ იმ ჩვევისა თუ უნარის ათვისება ერთი და იმავე ბავშვის მიერ ერთი და იმავე დროს არ ხდება. მაგ.: ზოგიერთი ბავშვი ერთი წლის ასაკში უკვე წინადადებებით ლაპარაკობს, ზოგიერთი კი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბავშვის განვითარება ნორმას არ შეესაბამება. ბავშვთა პოპულაცია განვითარების ინდივიდუალური ვარიაციებით ხასიათდება, თუმცა თითოეული ინდიკატორისათვის (ჩვევისათვის, უნარისთვის) არსებობს დროითი საზღვრები, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია მოცემული უნარის განვითარება. სირბილის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ ნებისმიერი უნარისა თუ ჩვევის ათვისება დამოკიდებულია მისთვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარებაზე, მზაობაზე. სხვადასხვა უნარების განვითარების შეფერხება შესაძლოა თვალსაჩინო მხოლოდ მაშინ გახდეს, როცა იგი საჭირო გახდება რაიმე რთული ჩვევის ასათვისებლად. მაგ., ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს წონასწორობის დაცვის პრობლემა, რომელიც შესამჩნევი ხდება მაშინ, როცა ბავშვი ვერ სწავლობს ველოსიპედის ტარებას. პრობლემურ ქცევათა უმრავლესობა, რომელსაც ბავშვი სკოლაში ავლენს, სხვადასხვა არათვალსაჩინო პრობლემების შედეგია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლისთვის აუცილებელია, ერთი მხრივ, იმ ფუნდამენტური უნარების ცოდნა, რომელიც საფუძველად უდევს აკადემიური ჩვევების ათვისებას და მეორე მხრივ, იმ ქცევითი ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომელშიც ამა თუ იმ უნარის მოუმწიფებლობა ვლინდება.

განვიხილოთ არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის ნიშნები, რაც განაპირობებს ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფასების აუცილებლობას:

- ყურადღების დეფიციტი:

უჭირს ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება, დავალების ბოლომდე შესრულება; ვერ ამჩნევს დეტალებს; ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ ისმენს; ხტება ერთი აქტივობიდან მეორეზე; რეაგირებს უმნიშვნელო სტიმულებზე (მაგ: ქუჩაში სიგნალზე); უჭირს ყურადღების მიზანმიმართული გადანაცვლება ერთი აქტივობიდან მეორეზე; უჭირს ინსტრუქციის შესრულება; უჭირს სამუშაოს ორგანიზება.

#### **ჰიპერაქტივობა**

ბევრს მოძრაობს; შფოთავს, წუხს; უმიზეზოდ ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს; დაუკითხავად ტოვებს მერხს.

- იმპულსურობა:

მოქმედებს დაუფიქრებლად; არ შეუძლია მოცდა, ჯერის დალოდება; ეჩრება სხვის საუბარში; პასუხს იძლევა კითხვის დამთავრებამდე.

- მოტორული პრობლემები:

არ უყვარს სპორტული თამაშები; მოუხერხებელია; ხშირად ეჯახება ბავშვებსა და საგნებს; იშვიათად დგას გამართული: ეყუდება კედელს ან რაიმე საყრდენს; არ ზის მერხთან გამართული,

ხშირად წვება მერხზე ან ცურდება სკამიდან; არ უყვარს ხატვა ;მოუხერხებლად უჭირავს ფანქარი; ხშირად ჩივის, რომ პასტა არ წერს;უჭირს ღილების, თასმის შეკვრა.

- ემოციური პრობლემები:

ადვილად ბრაზდება, ხშირად გაღიზიანებულია; აგრესიული და უხეშია თანატოლების მიმართ; ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა;ძირითადად მოწყენილია; ხშირად იბუტება.

- სწავლის პრობლემები:

ამორჩევით სწავლობს საგნებს; ამჟღავნებს არათანაბრად განვითარებულ უნარებს;

- კომუნიკაცია:

თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას; გარიყულია; უპირატესობას ანიჭებს მასზე პატარა ან უფროსი ასაკის ბავშვებთან თამაშს; კონფლიქტურია; მისი რეპლიკები ხშირად არაადეკვატურია, არ შეესაბამება სიტუაციას.

- მეტყველება:

თავს არიდებს საუბარს; კითხვებზე იძლევა მოკლე პასუხებს; მისი მეტყველება ძირითადად გაუგებარია; უშვებს გრამატიკულ შეცდომებს;ლაპარაკობს სტერეოტიპული ფრაზებით; აღენიშნება ექოლალიები: იმეორებს სხვის ნათქვამს; უჭირს ორაზროვანი ფრაზების, ხუმრობის, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვების გაგება; უჭირს მოყოლა, ამბის თანმიმდევრული გადმოცემა; ლაპარაკობს ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა; ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ;უჭირს ინსტრუქციის, განსაკუთრებით მრავალსაფეხურიანი; იუჭირს წესებს დაცვა, ინსტრუქციის შესრულება; აგრესიულია, ჩხუბობს ბავშვებთან; იწვევს ბავშვებს საჩხუბრად; ხშირად ჩივის, რომ ჩაგრავენ; იტყუება; მიზანმიმართულად აფუჭებს რაღაცეებს (ხევს წიგნს); უხეშობს უფროსებთან.

- ფიზიკური პრობლემები:

ხშირად იტკივებს მუცელს, თავს; მალე იღლება; ხშირად ავადმყოფობს.

ვის სჭირდება ი.ს.გ. და ვინ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული ბავშვისთვის ი.ს.გ.-ს შედგენის თაობაზე?

სპეციალური საჭიროებების მქონედ ითვლება მოსწავლე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დასწავლის უნარის დარღვევა, ქცევის პრობლემები, ან სხვა სახის შეზღუდვა, აღზრდის არახელსაყრელი პირობები. მას სჭირდება დამატებითი შეფასება, პროგრამის ან სასწავლო გარემოს ადაპტირება, სპეციალური აღჭურვილობა/რესურსები ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართვისათვის.

ფედერალური კანონის მიხედვით, რომელიც შემუშავდა ა.შ.შ-ში (IDEA – the individuals with Disabilities Education Act), სპეციალური საჭიროების მქონედ (რომელთაც აქვთ საჭიროება და შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლება, ისწავლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით) ითვლებიან ბავშვები სამიდან ოცდაორ წლამდე, რომელთაც აღენიშნებათ ორი ან მეტი ქვემოთჩამოთვლილი პრობლემიდან:

- ✓ შემეცნებითი სირთულეები,
- ✓ სმენის დაქვეითება ან სიყრუე,
- ✓ მეტყველების დარღვევა,
- ✓ მხედველობის დაქვეითება ან სიბრმავე,
- ✓ ემოციური დარღვევა,
- ✓ ორთოპედიული დარღვევები,
- ✓ აუტიზმი,
- ✓ თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანება,
- ✓ სწავლის სპეციფიკური დარღვევა,
- ✓ ყურადღების დარღვევა,
- ✓ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი,
- ✓ ჯანმრთელობის სხვა სერიოზული სირთულეები.

გარდა ამისა, საკითხი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება იმ შემთხვევაშიც, თუ: ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო სტრატეგიები არ არის ეფექტური კონკრეტული მოსწავლისათვის; ზოგადსაგანმანათლებლო საკლასო დაგეგმვის ციკლი არ

უზრუნველყოფს საკმარის მხარდაჭერას კონკრეტული მოსწავლისათვის; მოსწავლე იცვლის გარემოს, გადადის სხვა კლასში, იცვლის სკოლას; ხდება მნიშვნელოვანი გარდატეხა/ცვლილება მოსწავლის პირად ცხოვრებაში - ჯანმრთელობის პრობლემა, ემოციური ტრავმა, ოჯახური სტრესი ან სხვა.

როდესაც სახეზე გვაქვს თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (მაგ. ფიზიკური), ამ შემთხვევაში უფრო ადვილად და სწრაფად ხდება გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ ბავშვს სჭირდება გარემოს ან ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირება. როცა არათვალსაჩინო შეზღუდვაა (მაგ: კითხვის უნარის დარღვევა), რომელიც თავს იჩენს და მძიმდება თანდათანობით, როგორც წესი, სკოლაში გაზრდილი სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება შეიძლება უფრო დაგვიანდეს, ან გართულდეს.

როგორ ხორციელდება იდენტიფიცირების პროცესი:

საუკეთესო შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ი.ს.გ.-ს შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხდება: მშობელი, მასწავლებელი ან სხვა პირი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, აცნობებს სკოლის (თუ სხვა სასწავლო დაწესებულების) ადმინისტრაციას, რომ ბავშვი ვერ სწავლობს სკოლაში არსებული ზოგადი პროგრამის მიხედვით, ანუ მასთან დაკავშირებით ვერ სრულდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

არსებობს მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა საშუალებები და მიდგომები: სტრუქტურირებული დაკვირვება (სხვადასხვა გარემოში), წარსული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოკრება, დაკვირვების ცხრილი, რომლის მიზანია კონკრეტული აქტივობების ან უნარების შეფასების დაფიქსირება დაკვირვების საფუძველზე; ინტერვიუ მოსწავლესთან და მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებთან; ფორმალური, სტანდარტიზებული ტესტები; კურიკულუმზე დაფუძნებული მოკვლევა, რომელიც პირდაპირ მოდის კონკრეტული სასწავლო მასალიდან; მოსწავლის ნამუშევრების პორტფოლიოს ანალიზი. დაკვირვების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული ფაქტების აღწერა და არა ვარაუდების დაფიქსირება. ასევე აზრის კონკრეტული ფრაზებით ფორმულირება და არა აბსტრაქტური, ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირებების გამოყენება. დაკვირვების მიზანია ფაქტების დეტალური დაფიქსირება და არა ინტერპრეტირება, დასკვნების გაკეთება.

ინფორმაციის მოძიებისა და საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე, რომელსაც მასწავლებელი აკეთებს შესაძლოა სხვა კოლეგებთან ერთად, ადმინისტრაცია იღებს ზომებს, რომლებიც ადეკვატურია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის. ეს შეიძლება იყოს დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, სპეციალური საშინაო დავალებები, დასწავლის ინდივიდუალური სტილის განსაზღვრა. თუ ზომები წარუმატებელია, ადმინისტრაცია მშობლებთან და კომპეტენტურ სპეციალისტებთან შეთანხმებით წამოჭრის საკითხს, რომ მოსწავლე შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და ორგანიზებას უკეთებს ბავშვის შეფასებას. საკითხი ბავშვის სპეციალური საჭიროების შესახებ შეიძლება წამოაყენოს მშობელმაც. ორივე შემთხვევაში აუცილებელია გუნდის შეკრება, რომელზეც განიხილება საკითხი ბავშვის სპეციალური საჭიროების შესახებ. შეხვედრას ესწრებიან: მშობელი, კლასის მასწავლებელი/დამრიგებელი, სკოლის ადმინისტრაცია და ის გარეშე (არა სკოლის) სპეციალისტები - ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპეტი, პედიატრი თუ სხვა, რომლებიც თვლიან, რომ ბავშვს ესაჭიროება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. დაუშვებელია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ადმინისტრაციის, მხოლოდ მშობლის, ან მხოლოდ მასწავლებლის მიერ. გადაწყვეტილება, რომ ბავშვი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა, უნდა მოხდეს საკითხის დასმიდან ორი კალენდარული (და არა სამუშაო) თვის განმავლობაში. ბავშვის შეფასება შეიძლება ჩაატაროს სკოლამ საკუთარი რესურსებით. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი მოისურვებს, დასაშვებია შეფასების ჩატარება სკოლის გარეთაც. შეფასებას აკეთებს ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მასწავლებელი, კლასის/საგნის მასწავლებელი (კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასება, ანუ ნიშნების ფურცელი). გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივად დირექტორის, ფსიქოლოგის, კლასის დამრიგებლის, სპეციალური განათლების მასწავლებლის, მშობლის/მეურვისა და ბავშვის შეხვედრის საფუძველზე.

აშშ სპეციალური განათლების კანონის, IDEA-04-ის მიხედვით ზოგადი (ეროვნული) სასწავლო გეგმის მისაწვდომობა გულისხმობს:

✓ მოსწავლის არსებული მდგომარეობის აღწერასა და მითითებას, თუ რატომ უშლის ხელს ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობები მისი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმით სწავლებას;

✓ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ისეთი სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებას, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად;

✓ იმ მოდიფიკაციისა და მომსახურების აღწერას, რომლებიც აუცილებელია ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო გეგმით სწავლების პროცესში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. ამისათვის აუცილებელია სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების მოდელის გამოყენება (Wehmeyer, Latin, argan, 2001)

გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული მოდელი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის მორგებას მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ამ გეგმის მოდიფიკაციის გზით. მოდიფიკაციის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს, რომ გამოიყენოს არსებული უნარები, განავითაროს და გაიუმჯობესოს სხვა უნარები.

#### ლიტერატურა:

1. "ინკლუზიური განათლების პრინციპები" თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ.ფილაური. მ.ბაგრატიონი
2. „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“-თ. გაგოშიძე
3. Asante,S, What is Inclusion? www. Inclusion.com



**ნათო კობულაძე** - Государственный университет Акакия Церетели , ассоциированный профессор

### **Идентификация лиц с особыми образовательными потребностями**

#### **Резюме**

Ученик с особыми потребностями нуждается в подготовке по специальной программе и адаптированной учебной среде ( специальное оборудование, ресурсы), для максимального участия в процессе общего образования.

Федеральный закон США требует, чтобы дети от трех до двадцати лет, которые имеют два или более из следующих проблем , учились по индивидуальной программе: когнитивные трудности, потеря слуха или глухота, нарушение речи, ухудшение зрения или слепота, эмоциональное расстройство, ортопедические заболевания, аутизм, черепно-мозговая травма и повреждение спинного мозга, нарушение внимания, дефицит внимания и синдром гиперактивности, другие серьезные проблемы со здоровьем.

Процесс разработки индивидуального плана обучения должен основываться на национальных стандартах учебных программ . Процесс подразумевает модификации планов общеобразовательных программ с учетом индивидуальных потребностей ученика . Модификация направлена на поощрение учеников по развитию навыков практического действия .

**Nato Kobuladze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

### **Identification of persons with special educational needs**

#### **Summary**

Students with special needs need to prepare a special program and adapted uchebnschy environment (special equipment, resources), for maximum participation in the general education

U.S. federal law requires that children from three to twenty years, which have two or more of the following problems, studied on the individual program: cognitive difficulties hearing loss or deafness speech disorder blurred vision or blindness emotional insanity orthopedic diseases autism traumatic brain injury and spinal cord injury the violation attention deficit and hyperactivity disorder other serious health problems

The process of developing an individual education plan should be based on national curriculum standards. The process involves the modification of plans educational programs tailored to individual needs student. Modification aims to encourage students to develop the skills of practical action.

ირმა ქურდაძე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი

### სოციალური და ემოციური განვითარების ზოგიერთი ასპექტი

ქართული საზოგადოებისათვის ძალზედ აქტუალურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტეგრაციის პროცესი. ამ საკითხის წარმატება მნიშვნელოვნად უკავშირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოქალაქეების ოთხი ასპექტის: კომუნიკაცია და ინტერაქცია (რომელშიც შედის აუტიზმი), შემეცნება და სწავლა (სწავლასთან დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეებისა და დისლექსიის ანუ კითხვის უუნარობის ჩათვლით), სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძნობელობებთან დაკავშირებული პრობლემების უზრუნველყოფას, რაც დღის წესრიგში აყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასახმარებლად და საზოგადოებაში ინტეგრაციის მაქსიმალურად ხელშესაწყობად სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების ტრენინგ-კურსების შემუშავებას და დანერგვას უნივერსიტეტებში. რაც წარმატებით არის შესაძლებელი ტემპუსის საერთაშორისო პროექტის - **ASPIRE** ფარგლებში.

აღნიშნული კურსებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, რადგან მისი თვალსაჩინო დანახვა ბავშვის განვითარების საკმაოდ გვიან ასაკში არის შესაძლებელი.

თუ პარალელს გავავლებთ ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძნობელობებთან, რაც ბავშვის ფიზიკური ზრდას და განვითარებას გულისხმობს, დავინახავთ, რომ ძალზედ ადვილია იმის შემჩნევა, თუ როგორ იზრდება ბავშვი სიმაღლეში, როგორ სწავლობს სიარულს, ხოლო რაც შეეხება აღსაზრდელთა ემოციური მდგომარეობას, ის ხშირად მშობლისთვის საკმაოდ გვიან პერიოდამდე შეუმჩნეველი რჩება.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა მხოლოდ მაშინ ხდება მშობლისთვის შესამჩნევი, როცა მოზარდის უკვე ზრდასრულ ასაკში სოციალურ-ემოციური პრობლემები აქტიურად იჩენს თავს. რას ნიშნავს პრობლემები ემოციურ განვითარებაში?

ემოციური განვითარება გულისხმობს - ბავშვის უნარს, გაიგოს და აკონტროლოს შინაგანი ემოციები და ამავდროულად დააბალანსოს სოციალური ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და დანარჩენ ხალხთან.

ჯანსაღი სოციალური და ემოციური განვითარება ბავშვს საშუალებას აძლევს, რომ განავითაროს ურთიერთობები, ჰქონდეს ინიციატივის, აღმოჩენის, თამაშის და სწავლის უნარი. იყოს შეუპოვარი და ამავდროულად ყურადღებიანი, ჰქონდეს საკუთარი ქცევის რეგულირების და კონტროლის უნარი და განვიითაროს ემოციური დიაპაზონი. ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარება უმნიშვნელოვანესია მისი ადეკვატურობის განვითარებისთვის, ცხოვრების გაგებისთვის და ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლისთვის. სოციალურ-ემოციური განვითარება ემოციურ საკითხებზე სათანადო რეაგირებით ეხმარება ბავშვს იმის განსაზღვრაში, თუ ვინ გახდება ის მომავალში. სოციალური უნარები არის ბავშვის შესაძლებლობები, რომლითაც ის ურთიერთობას ამყარებს და თამაშობს სხვებთან, ყურადღებას აქცევს უფროსებს და მასწავლებლებს და გონივრულად გადადის ერთი საქმიანობიდან მეორეზე.

ერიკ ერიკსონმა ჩამოაყალიბა სოციალურ-ემოციური განვითარების 8 სტადია, საიდანაც უნიშვნელოვანესია ბავშვობაში პირველ 4 სტადია.

პირველი სტადია: იმედი (0-2წ.) ნდობა უნდობლობის წინააღმდეგ თუ ბავშვზე ზრუნავენ და უყვართ, მას გამოუმუშავდება ნდობისა და უსაფრთხოების განცდა სამყაროს მიმართ, ხოლო ცუდად მოპყრობის შემთხვევაში ეს განცდები იცვლება უნდობლობით და უიმედობით.

მეორე სტადია: სურვილი (18 თვე - 4წ) ავტონომია სირცხვილის წინააღმდეგ კარგად განვითარებული ბავშვი ამ ეტაპზე აღმოაჩენს კონტროლის ახალ მექანიზმებს და ამით ამყარებს, ნაცვლად იმისა რომ დარცხვენილი იყოს. ამ ფსიქოლოგიური კრიზისის ადრეული ნიშნებია

სიჯიუტე, ნეგატივიზმი და უარყოფა, თუმცა ეს სოციალურ-ემოციური განვითარების ნიშნებია. ბავშვი ცდილობს საკუთარი სხეულის და ქცევის კონტროლის მექანიზმების გამოყენებას და მშობლებმა ამაში ხელი უნდა შეუწყონ, რომ არ განვითარდეს სირცხვილის გრძობა.

მესამე ეტაპზე (3-6წ) მიზანი ინიციატივა დანაშაულის წინააღმდეგ. ეს ფსიქოლოგიური კრიზისი ხდება ბავშვის „თამაშის ასაკში“, როცა ის სწავლობს წარმოიდგინოს და გააფართოვოს თავისი უნარები და ფანტაზიები სხადასხვა სახის თამაშებში. როცა სწავლობს სხვებთან თანამშრომლობას, წაუძღვეს სხვებს და ამავდროულად შეეძლოს, რომ დაემორჩილოს კიდეც მათ. ბავშვის ინიციატივებს უფროსები უფრო მიმდებლობით უნდა შეხედნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუჩნდება დანაშაულის განცდა, რომელიც გამოიწვევს იმას, რომ ბავშვი იქნება მუდმივად უფროსებზე და სხვებზე დამოკიდებული. მისი ინიციატივები აღარ განხორციელდება, რაც ხელს შეუშლის თამაშის უნარებისა და ფანტაზიის განვითარებას.

მეოთხე ეტაპი: კომპეტენცია (6-12წ) შრომისმოყვარეობა არასრულფასოვნების გრძობის წინააღმდეგ. ეს არის ბავშვის განვითარებაში „სკოლის ასაკი“, როდესაც ის სწავლობს სხვებთან ურთიერთობას წესების მიხედვით. თავისუფალი თამაშის წესიდან ის გადადის სტრუქტურირებულ, წესებიან თამაშებზე, რომელიც მოითხოვს ფორმალურ, გუნდურ მუშაობას.

კარგად განვითარებული ბავშვი სამყაროს მიმართ ნდობითაა განწყობილი, დამოუკიდებელია და სავსეა ინიციატივით. ასეთი ბავშვი უფრო ადვილად გახდება შრომისმოყვარე. რაც განაპირობებს იმას, რომ იგი სხვებს აღარ ჩამორჩება წერაში, კითხვაში და შესაბამისად არ გაუჩნდება არასრულფასოვნების გრძობა. მაშინ, როცა სირცხვილით და დანაშაულის გრძობით სავსე ბავშვი განიცდის დამარცხებისა და არასრულფასოვნების გრძობას, რომელიც მის შემდგომ ცხოვრებაშიც უარყოფითად აისახება.

### ლიტერატურა

1. ტემპუსის საგრანტო პროექტი: „Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)“, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია, 2014
2. <http://kids.ge/articles/Kids.ge>
3. ჟურნალი მასწავლებელი, #2, სოციალური და ემოციური განვითარება-ბავშვობაში, 2013
4. Barber, M. and Mourshed, M. How the World's Best Performing Schools Come Out on Top. London: McKinsey & Company 2007

### რეზიუმე

ქართული საზოგადოებისათვის ძალზედ აქტუალურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტეგრაციის პროცესი. ამ საკითხის წარმატება მნიშვნელოვნად უკავშირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოქალაქეების ოთხი ასპექტის: კომუნიკაცია და ინტერაქცია (რომელშიც შედის აუტიზმი), შემეცნება და სწავლა (სწავლასთან დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეებისა და დისლექსიის ანუ კითხვის უუნარობის ჩათვლით), სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძობელობებთან დაკავშირებული პრობლემების უზრუნველყოფას, რაც დღის წესრიგში აყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასახმარებლად და საზოგადოებაში ინტეგრაციის მაქსიმალურად ხელშესაწყობად სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების ტრენინგ-კურსების შემუშავებას და დანერგვას უნივერსიტეტებში. რაც წარმატებით არის შესაძლებელი ტემპუსის საერთაშორისო პროექტის - **ASPIRE** ფარგლებში.

აღნიშნული კურსებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, რადგან მისი თვალსაჩინო დანახვა ბავშვის განვითარების საკმაოდ გვიან ასაკში არის შესაძლებელი.

**Irma Kurdadze**

### **Some Aspects of Social and Emotional Development**

#### **Resume**

The process of integration of the people with the special education needs is very actual in Georgian society. Success of this issue significantly depends on resolving the problems related to the following four aspects of the people with the special education needs: communication and interaction (which includes autism), cognition and learning (which includes learning related moderate and severe difficulties and reading disability), difficulties related to social skills, emotional expression and behavior, problems related to physical movement and sensitivities. Therefore, it is actual to develop and introduce different types of educational program training-courses at the universities in order to support the people with the special education needs, help them as much as possible to be integrated into society. The mentioned program can be successfully implemented within the frames of the Tempus international Project – ASPIRE.

Among the mentioned courses, special interest should be paid to the difficulties related to social skills, emotional expression and behavior as it is available to notice them clearly at the rather late age of a child's development.

**Ирма Курдадзе**

### **Некоторые аспекты социального и эмоционального развития**

#### **Резюме**

Для грузинского общества весьма актуален процесс интеграции лиц с особыми образовательными потребностями. Успешное решение этого вопроса связано с четырьмя аспектами жизни граждан, имеющих специальные образовательные нужды. Это: коммуникация и интеграция (куда также входит аутизм), познание и обучение (связанные с учебной умеренно и остро проявленные трудности, с учетом дислексии или неспособности к чтению), трудности, связанные с социальными навыками, выражением эмоций и поведением, с физическими движениями, и с проблемами чувствования. Все это выносит в порядок дня необходимость разработки тренинг-курсов образовательных программ различных типов для оказания помощи лицам с особыми образовательными потребностями и содействию социальной интеграции этих лиц в обществе, и внедрению этих программ в университеты. Это может быть успешно осуществлено в рамках международного проекта Темпус – ASPIRE.

Из этих курсов особого внимания заслуживают трудности, связанные с социальными навыками, выражением эмоций и поведением, поскольку увидеть их наглядно в процессе развития ребенка становится возможным в достаточно позднем возрасте.



**გულიზარ შენგელია** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის შესახებ

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებასა და გავრცელებას სათავე დაედო მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. საერთო, სახალხო ენის, ერთიანი სალიტერატურო ქართულის ფორმირებისა და დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეს ფასდაუდებელი ამაგი დასდო იაკობ გოგებაშვილმა.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „იაკობ გოგებაშვილის მტკიცება, რომ „დედა ენასა ერისა და კერძო პირების ცხოვრებაში, განვითარებასა და წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედა ენა წარსული და თანამედროვე ეროვნული ცხოვრების სარკეა, სრულიად ჭეშმარიტი გახლავთ“.

ჩაგრული, უუფლებო ადამიანების დაუღლეელი ქომაგი ეგნატე ნინოშვილი დიდი სიყვარულითა და კრძალვით მიმართავდა ხალხის იმედის გამღვიძებელს, ბრძენ მოძღვარსა და სიკეთის გზაზე დამკვალიანებელს იაკობ გოგებაშვილს: „ვინ იქნება, დღეს წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ ვერ გცნობდეს. განა ყველა თქვენგან შედგენილ ქართულ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენი შედგენილი სახელმძღვანელოებით ვისწავლეთ წერა-კითხვა, თქვენ შემაყვარეთ სამშობლო და მისი ენა“.

იაკობი ძირითად ეროვნულ ძალად, ეროვნების მთავარ ბურჯად მიიჩნევდა დედა ენას. იგი კარგად გრძნობდა ქართული ენის სიმდიდრეს, დიდბუნდოვნებას. „ჩვენი ენა ეკუთვნის მაღალი აგებულების ენათა დასს“ - დაბეჯითებით გვარწმუნებდა იგი. იაკობი ხაზს უსვამდა ქართული ენის ბუნების სომარტივეს, გრამატიკული სქესის უქონლობას, თანდებულების სიტყვის ბოლოში მოქცევას, მახვილის თავისუფლებას, ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებას, გასაოცარ მოქნილობას, სინონიმების სიმდიდრეს.

იაკობი გულის ტკივილით განიცდიდა მის დროს მშობლიური ენის დაკნინებასა და უუფლებობას, სკოლებიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან ქართული ენის განდევნასა და შევიწროებას. მისი ცნობით თბილისის პირველ გიმნაზიაში რუსულის სუფთა წერისათვის დაწესებული ყოფილა 299 გაკვეთილი, გალობისათვის - 242, სომხური ენისათვის - 101, ხოლო ქართული ენისათვის - 23.

სწორედ, მაშინდელი ქართული ენის უუფლებობამ ათქმევინა იაკობს შემდეგი სიტყვები: „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისს, რომელიც უგუნურ პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ მდიდარი და განვითარებული ქართული ენა ღატაკ და დღენაკლულ არსებას მოგვაგონებს“.

იაკობ გოგებაშვილი სისტემატიურ მონაწილეობას იღებდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის უფლებათა თეორიულ დასაბუთებაში, ლიტერატურული ნორმების დადგენასა და მოწესრიგებაში, თავგამოდებით იბრძოდა ენის სიწმინდის დაცვისათვის, ახალი ნორმების გამომუშავებასა და დრომოჭმული ფორმების უკუგდებისათვის, პრაქტიკულად ხელს უწყობდა ახალი სალიტერატურო ენის შექმნასა და დამკვიდრებას მისი მხატვრული ნაწარმოებებით.

იაკობ გოგებაშვილი თავის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში ეყრდნობოდა მეთოდოლოგიურ საენათმეცნიერო დებულებებს. იგი გრძნობდა, რომ „ენა მისდევს თავის ბუნებრივ ალღოს; დასრულებულ და ამაღლებულ ურთულესს საზოგადო კანონამდის“. იაკობი იზიარებს ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ დებულებას: „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს“.

ი.გოგებაშვილი განყენებულად არ განიხილავდა ქართულ ენას, იგი მას უკავშირებდა ხალხის ისტორიას, მის წარსულს, აწმყოსა და უკეთეს მომავალს.

ლიტერატურული ენის ხალხურობისათვის ბრძოლა იაკობ გოგებაშვილის საყოველთაო - სახალხო ქართული ენის სრულყოფისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა. ამასთანავე იგი მოითხოვდა ქართული ენის გაწმენდას დრომოჭმული არქაიზმებისაგან, არაქართული ფორმების დამცველებს იგი „ძველი წიგნების ბრმათაყვანისმცემლებს“ ეძახდა. იაკობი ებრძოდა ყველა იმათ, ვინც ცდილობდა ახალ სალიტერატურო ენაში ძველი, მკვდარი ფორმები, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები გაეცოცხლებინა.

იაკობ გოგებაშვილს გრამატიკის სახელმძღვანელო არ გამოუცია, თუმცა მის საჭიროებას გრძნობდა და დიდი სურვილიც ჰქონდა, ამიტომ შედგომია იგი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენას, მაგრამ მუშაობის პროცესში შეუტყვია, რომ ჟორდანიანმა ქუთათელაძე გამოსაცემად ამზადებდნენ თავიანთ მიერ შედგენილ გრამატიკას. იმისათვის, რომ მათთვის კონკურენცია არ გაეწია, იაკობს თავი მიუხედავად გრამატიკის სახელმძღვანელოზე მუშაობისათვის. ამის შემდეგ იგი წერდა: „მე ვწერდი ქართულ გრამატიკას და ნახევარი შრომა უკვე გათავებული მქონდა, როცა შევიტყვე, რომ ბატონმა ჟორდანიანმა და ქუთათელაძემ ქართული გრამატიკა შეადგინეს. მე მაშინვე შევაჩერე გრამატიკის გათავება, რომ ამ პირებისათვის კონკურენცია არ გამეწია“.

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილმა ხელი აიღო გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე. ხშირად გამოთქვამდა შენიშვნებს გრამატიკის საკითხებზე. იგი გრძნობდა, რომ „ჩვენი გრამატიკა ნაკლებად არის შემუშავებული და მოგვაგონებს დახურულ და გაუვალ ტყეს“. იაკობი დარწმუნებული იყო მაშინდელი გრამატიკოსები „ამ დახურულსა და გაუვალ ტყეში გზას ვერ გაიგებდნენ, რადგან ისინი უმეტესად სხვა ენის „ალიბითა“ და საზომით უდგებოდნენ ქართულ ენას, სხვა ენათა თარგი კი ქართული ენისათვის გამუსადეგარი იყო“.

იაკობ გოგებაშვილს გრამატიკა „ენის ფილოსოფიად მიაჩნდა და საჭიროდ თვლიდა ყველა გრამატიკოსს ჰქონოდა ღრმა ცოდნა, გონების განვითარება და საგანში ღრმა ჩაკვირება.“

თავის „საგრამატიკო ბაასში“ იაკობი აკრიტიკებს ნასიძის აზრს ქართულში ბრუნვათა რაოდენობის შესახებ და ზმნის ასპექტის რაოდენობის განსაზღვრაში.

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა ქართული სალიტერატურო ენა გაეწმინდა დიალექტიკური გამოთქმებისგან და დაეხვეწა იგი. ამ საკითხების გამოიგი ხშირად ეკამათებოდა გაზეთის რედაქტორებსა და ცალკეული სტატიების ავტორებს.

1894 წელს „კვალში“ გამოაქვეყნა წერილი „ორხაზოვანი კოლო ჩვენს პრესაში“, სადაც უსაყვედურებდა „კვალის“ რედაქციას არასწორი ფორმების ბეჭდვას, ფორმებისა, რომლიც აზრს ორხაზოვანსა და ბუნდოვანს ხდის. იაკობი „კვალის“ რედაქციას იმაში უსაყვედურებს, რომ მან ზმნებიდან განდევნა „ს“ და „ჰ“ პრეფიქსები.

„კვალში“ აქტიურად თანამშრომლობდა აკაკი წერეთელი. მან თავისებური წიგნურტი გაჰკრა იაკობ გოგებაშვილს, დაუწუნა ზოგიერთი ფორმა წარმოდგენილი მის სახელმძღვანელოებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში. იაკობიც აკრიტიკებდა აკაკი წერეთლის შეხედულებებს ზოგიერთი ზმნების შესახებ, უწუნებდა მას ზოგიერთ ფორმას და გამოთქმას.

აკაკისა და იაკობის პოლემიკაში ჩაება გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე და „კვალის“ რედაქცია. პოლემიკამ მძაფრი და მწვავე ხასიათი მიიღო. იაკობ გოგებაშვილს ენის დამახინჯებას უკიჟინებდნენ. რედაქციის ასეთ საქციელს გოგებაშვილი „უგუნური ტვინის მღერას“ უწოდებდა.

სილოვან ხუნდაძე რედაქტორობდა გაზეთ „კოლხიდას“. ამ გაზეთში იაკობმა დასაბეჭდად გაგზავნა სტატია. რედაქტორმა გოგებაშვილის სტატიაში წარმოდგენილი მრავალი ფორმა თავისი შეხედულებების მიხედვით გაასწორა. იაკობმა ანგარიშგასაწევი არგუმენტებით გაამართლა თავისი ფორმების სისწორე.

მართლწერის საკითხებს იმ დროს რუსეთში აწესრიგებდა მეცნიერებათა აკადემია. იაკობ გოგებაშვილის აზრით, საქართველოში „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ უნდა აირჩიოს ექვსიოდე ქართველი ინტელიგენტი, საფუძვლიანი განათლებით აღჭურვილი, ევროპული და ქართული ენის კარგი მცოდნე, რომლებიც განიხილავდნენ ცალკეული ქართული სიტყვის მართლწერის საკითხებს.

იაკობ გოგებაშვილმა ბევრი მოსაზრება გამოთქვა ქართული ენის გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე. იგი აკრიტიკებდა რა მაშინდელ გრამატიკოსთა მცდარ მოსაზრებას, ნასიძე ამის გამო მასზე ამბობდა: „გოგებაშვილა უარყო გრამატიკა“. ამაზე გოგებაშვილმა უპასუხა: „ჩვენ უარყოფთ უგვანოდ და უკანონოდ შედგენილ გრამატიკებს, რადგან ამისთანა გრამატიკები დახმარებას ვერ გაგვიწევენ ენის შესწავლაში“.

იაკობ გოგებაშვილს ბევრი მშვენიერი აზრი აქვს გამოთქმული ჩვენი მშობლიური ენის ღირსების შესახებ. იგი წერდა: „დედა ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მტელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრალისა“.

და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონითა და მხნეობით. ქართული ენა ისე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთ პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევითგან ძირს დასცქერიან ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლომონს, ფორთოხალსა და სხვა მცენარეულობას და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადადგამ, იმდენ ახალ-ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია. სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა. რომელ ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ, მისი დამხოვა მიუღიათ, ქართულ ენას შეუძლია გაუწიოს ბავშვს გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუძს ღრმად შესძრას იგი, მოხნას, შეამუშაოს, ავარჯიშოს ძირფესვიანად“.

#### ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილის ნაკვალევზე, კრებული, თბ., 2004 წ.
2. თავზიშვილი გ. - იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940 წ.
3. ლორთქიფანიძე დ. იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1960 წ.
4. გაგუა ვ. იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991წ.
5. გიგებაშვილი ი. თხზ. 10 ტომად, თბ., 1952 წ.

## რეზიუმე

საერთო სახალხო ენის, ერთიანი სალიტერატურო ქართულის ფორმირებისა და დამკვიდრების ეროვნულ საქმეს დიდი ამაგი დასდო იაკობ გოგებაშვილმა. მას ძირითად ეროვნულ ძალად დედა ენა მიაჩნდა. იაკობ გოგებაშვილი დიდი გულისტკივილით განიცდიდა მშობლიური ენის უუფლებობას, სკოლებიდან მის განდევნას. ის თავგამოდებით იბრძოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, ახალი ნორმების გამომუშავებასა და დრომოჭმული ფორმების უკუგდებისათვის.

იაკობმა სცადა გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც მას ენის ფილოსოფიად მიაჩნდა. იგი ცდილობდა ქართული ენა გაეწმინდა დიალექტიკური გამოთქმებისაგან, რის გამოც ხშირად ეკამათებოდა გაზეთის რედაქტორებსა და ცალკეული სტატიების ავტორებს. მან გააკრიტიკა „კვალის“ რედაქცია არასწორი ფორმების ბეჭდვისათვის, რომელიც ორაზროვანსა და ბუნდოვანს ხდიდა წერილების შინაარსს.

იაკობის სიყვარული და პატივისცემა ქართული ენისადმი მთელ მის შემოქმედებაში ჩანს.

**Gulizar Shengelia** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of Education

### Iakob Gogebashvili about Georgian language

#### Resume

Iakob Gogebashvili considered Georgian language to be the main national power.

He was sorry us Georgian language was removed from school. He fought for creating new norms and eliminating old ones from it.

He tried to make a Grammar book which he considered to be the phylosophy of language.

He tried to take out the dialectic phrases from it and often argued with the editors of papers and authors of different articles. He criticized the reduction of "Kvali" for printing wrong forms which made the plot of articles unclear.

Love to Georgian language is the highlight of is creative work.

**Гулизар шенгелия** - Государственный университет Акакия Церетели, Академический доктор педагогических наук

### Якоб Гогешавили о грузинском языке

Якоб Гогешавили внес большой вклад в формирование общенародного языка, в воплощение единой грузинской литературы. Он считал родной язык – самой большой национальной силой. Очень переживал за изгнание родного языка из школ. Якоб безаветно боролся за охрану чистоты родного – языка, вырабатывал новые нормы. Пытался создать учебник грамматики, которую считал философией языка.

Он хотел очистить язык от диалектики из-за чего часто спорил с редакторами газет и с отдельными авторами статей. Раскритиковал редакцию "квали" из-за неправильной формы печати, так как считал что прямой печати письма смогут читаться двухсмысленно.

Любовь и почтение к родному языку проходит через всю деятельность Якоба Гогешавили.



**ნატო შეროზია** - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი  
**კონსტანტინე ცხვარაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი

### არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები

საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, ახლებურად განისაზღვრება განათლების მეცნიერებებთან ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები. თანამედროვე ეპოქაში საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა ბავშვთა სოციალური სტაბილურობისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. პიროვნების ფორმირება და სოციალურ ურთიერთობებში მისი ჩართვა მიმდინარეობს როგორც ორგანიზებულ პედაგოგიურ, ასევე სტიქიურ გარემოში, ისინი ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რაც შეიძლება ერთ შემთხვევაში ხელის შეწყობ, მეორე შემთხვევაში კი დამაბრკოლებელ ფაქტორად მოგვევლინოს. დადებით პედაგოგიურ გარემოში მოხვედრილი პიროვნება სათანადოდ ვითარდება, ხოლო ცუდ გარემოში მოხვედრისას მისი განვითარება ფერხდება და არასასურველი მიმართულებით მიდის.

ალბათ დამეთანხმებით—ერთობ უსიამოვნოდ ჟღერს გამოთქმა—` დამნაშავე მოზარდი` და მძიმე განცდას იწვევს, სამწუხაროდ—ფაქტია არსებობს მოზარდთა დანაშაულის პრობლემა, ამიტომ საჭიროა მასში გარკვევა, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების შესწავლა და მის აღმოსაფხვრელად ბრძოლა.

იმისათვის, რათა მართებული, მეცნიერულად სარწმუნო რეკომენდაციები შევიმუშაოთ, საჭიროა მივსწვდეთ იმ ფესვებსა და წყაროებს, რომლებიც განაპირობებენ არასრულწლოვანთა დანაშაულობებს.

რა თქმა უნდა, ძირითადად უნდა დავეთანხმოთ დებულებას, რომ დამნაშავეებად არ იბადებიან, ასეთებად ყმაწვილებს აქცევს გარემომცველი სამყარო.

მოზარდის განცდები, მისწრაფებები, განუმტკიცებელი ძალები ეჯახება მცირე თუ დიდ სიძნელებებს, რომელიც ხდება ცხოვრების გზაზე. ხშირად არასრულწლოვანი არ არის მზად იმ ცვლილებებისათვის, რომელსაც სწორი გზის არჩევანი მოითხოვს.

სწორი გზის არჩევანში მოზარდს ოჯახი, სკოლა და საზოგადოება უნდა დაეხმაროს. რომ დაეხმაროს, უნდა იცოდეს ვის რაში და როგორი დახმარება სჭირდება.

მნიშვნელოვანია სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემები დაისვას და განისაზღვროს მიმართულებები, თუ როგორ ვიპოვოთ მასზე პასუხი, რათა შესაძლებელი გახდეს პრობლემების გადაჭრა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმიანობა დამნაშავე, ექვმიტანილ ან დანაშაულისკენ მიდრეკილ მოზარდებთან. ისინი სკოლის, ოჯახის, საზოგადოების უდიდესი ტკივილია. სამწუხაროდ მათდამი გულგრილობაც საზოგადოების თანამდევნი თვისებაა. არადა დროულ ჩარევას, მოზარდის გვერდით დგომას შეუძლია სიკეთისკენ შემოაბრუნოს გაცუდებული ზნეობა და ქმედება.

ვფიქრობთ, რომ დანაშაულთა საფუძველში, სოციალურთან ერთად ძვეს პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიზეზები. არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის არიან:

✓ მოზარდები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან შეგნებულად და საკუთარი თავი მართლად მიაჩნიათ, უპირისპირდებიან საზოგადოებას. ამ ტიპის დამნაშავენი, როგორც წესი, ჯგუფების მეთაურები არიან და უნარი შესწევთ მერყევ დამნაშავეებზე ძლიერი, დამღუპველი ზეგავლენა მოახდინონ.

✓ მოზარდები, რომლებმაც კარგად იციან, რა შეიძლება და რა არ შეიძლება. მათ არა აქვთ მყარი მორალური მრწამსი და ღრმა ზნეობრივი გრძნობები. მათი ქცევა დამოკიდებულია სიტუაციაზე. ასეთი ახალგაზრდები გარკვეულ დრომდე წესიერ ცხოვრებას ეწევიან, ვიდრე არ მოექცევიან ცუდი ზეგავლენის ქვეშ. მათ არ გააჩნიათ ნებისყოფა, რის გამოც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ მანე ზეგავლენას.

✓ მოზარდები, რომლებსაც არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ თავიანთ მოთხოვნილებებს და ამგვარ მოთხოვნილებებს ხშირად ნებადაურთველი გზით იკმაყოფილებენ. ასეთი სახის დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ უჩნდებათ სინდისის ქენჯნის, სინანულის გრძნობა. ამგვარ ყმაწვილებს სურთ კარგად მოიქცნენ, მაგრამ მოტივთა ბრძოლაში მათი უშუალო მოთხოვნილებანი იმარჯვებენ.

✓ მოზარდები, რომლებმაც ვერ მონახეს თავიანთი ადგილი მოსწავლეთა კოლექტივში, ოჯახში, განიცდიან მუდმივ განაწყენებას. მუდამ ეჩვენებათ რომ მათ მიმართ ყველა უსამართლოა, არაფრად აგდებენ, დასცინიან, აბუჩად იგდებენ. ამგვარი ნეგატიური განცდები, შესაძლოა, მართლაც რეალურ საფუძველზე იყოს აღმოცენებული, მაგრამ შესაძლოა, არ გააჩნდეთ რეალური საფუძველი, როდესაც მართლა არავინ დასცინის, ამცირებს. ასეთი ბავშვები ქმნიან დამნაშავეთა რეზერვს.

როგორც ვხედავთ თანატოლთა წრე დიდ ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ხშირად ეს ზემოქმედება ისე ძლიერია, რომ იგი ელვისებურად ანადგურებს ყოველივე კეთილს, რაც ბავშვს ოჯახსა და სკოლაში უფროსებისაგან მიუღია. არაერთხელ ყვოფილვართ მოწმე "გადახრებისა", რომლებიც ქუჩის ზეგავლენით მოსვლია მოზარდს.

რითი იზიდავს მოზარდს ქუჩა, რა უბიძგებს მას ქუჩისაკენ? ააქ შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა მიზეზი დავასახელოთ: კონფლიქტურ ოჯახში, სადაც წევრებს შორის ურთიერთგაგება არ სუფევს, ბავშვის მყუდროება დარღვეულია და იგი გარეთ ეძებს თავშესაფარს. ამ შემთხვევაში, როცა მოზარდს ვერ უგებენ, არ თანაუგრძნობენ, იგი ოჯახიდან გარიყულად თვლის თავს და ქუჩაში, თანატოლებთან ეძებს საერთოს. მოზარდს ურჩევნია იმათთან დაამყაროს კონტაქტი, ვინც აღიარებს მას, ვინც არ ჩაჰკირკიტებს და არ შიფრავს მის პიროვნებას. ააქ იგი იოლად აღწევს თვითდამკვიდრებას, რასაც ასე მიეღობის.

და როცა მოზარდი ქუჩაში გაგვირბის, ვიძიებთ ამის მიზეზს. როგორც ჩანს, ჩვენ, უფროსებს, ყურადღების მიღმა გვრჩება მათი ფარული პრეტენზიები, ნაკლებად ვიცნობთ მათ სულიერ სამყაროს, თორემ ზოგიერთი შეცდომა ნამდვილად არ მოგვივიდოდა, თუნდაც ისეთი სიტყვისა და საქმის ერთიანობის დარღვევა რომ ჰქვია, სიტყვის გატეხა, ერთის თქმა და მეორის კეთება ასუსტებს არა თუ სიტყვის ზემოქმედებით ძალას, ჩვენს ავტორიტეტსაც, სპობს ბავშვის ჩვენდამი ნდობას.

დამაფიქრებელ სურათს ქმნის ჩვენს (დემოკრატიის ინსტიტუტი) მიერ ჩატარებული კვლევები: სხვადასხვა დანაშაულის გამო დაკავებულ მოზარდთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნება. დანაშაულის უმეტესობა ეკონომიური ხასიათისაა (ქურდობა, მარცვა, თაღლითობა, მითვისება და აშ). დანაშაულის საგანი კი ხშირად ორმოცდაათ ლარს არ აღემატება. არის შემთხვევები, როცა მოპარული თანხით მათ ოჯახში საკვები მიაქვთ ან ნისიად აღებული სურსათის ვალებს იხდიან. ხშირად მოპარული ნივთის ღირებულება 5-დან 10 ლარამდე თანხას შეადგენს. მაგალითად, ჩვენს(დემოკრატიის ინსტიტუტის) პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც 15 წლის მოზარდებმა მოიპარეს ბურთი, ყველი, ქურთუკი, 12 კილო ჯართი, 3 ლარი და აშ., რის გამოც ისინი პასუხისგებაში იქნენ მიცემული და ზოგიერთმა მათგანმა საპყრობილეშიც გარკვეული პერიოდი გაატარა.

პრობლემის მოგვარების კონკრეტული გზა არ არსებობს, მით უფრო საქართველოში, სადაც მხოლოდ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები მსჯავდებულ პირებთან (მათ შორის არასრულწლოვნებთან) მუშაობის მიმართულებით. მრავალფეროვანი გზებიდან, უპირველესად ყურადღებას მივაპყრობთ ორ მიმართულებას: როგორ ავაცილოთ მოზარდი დანაშაულის ჩადენას, როგორ ვიზრუნოთ სასჯელმთხილი მოზარდის სწავლასა და დასაქმებაზე.

არასრულწლოვან დამნაშავეთა შესწავლამ დაგვანახა, რომ ბევრი მათგანი კარგად ახერხებს შენიღბოს თავისი ნამდვილი ზრახვები, რის შესახებაც სამართლიანად წერს ნ. როგავა: "ჩვეულებრივ პირობებში აღსაზრდელის ორპირობის დანახვა ძნელია. მოზარდი საკმაოდ მარჯვედ ახერხებს მის შენიღბვას, ცდილობს გარშემომყოფ ადამიანებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ კონფლიქტურ სიტუაციაში, სადაც უნდა მოხდეს სიკეთესა და ბოროტებას შორის გზის უკომპრომისო არჩევა, შეუძლებელია მოზარდის ნამდვილი სახე არ გამოჩნდეს"(6. 1996: 38)

ჩვენთვის ნათელია, თუ რაოდენ ძნელია არასრულწლოვან დამნაშავეთა ბუნებაში ფესვგამლილი ეგოიზმის აღმოფხვრა. ეგოცენტრიზმი, პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა

მწვანედასწავლელთა დამახასიათებელი ნიშანია. მათი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ეგოიზმი, რაც იმით გამოიხატება, რომ ამგვარი მოზარდი ყოველნაირი ამოცანის გადაწყვეტის დროს ფიქრობს და ზრუნავს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე. ისინი დარწმუნებული არიან თავიანთი ინტერესების შესრულების აუცილებლობასა და თავიანთი თავის განსაკუთრებულობაში.

კვლევამ, თუ რა გახდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი, მოგვცა შემდეგი მიზეზების ნუსხა:

1. მძიმე ოჯახური და სოციალური პირობები;
2. კონფლიქტები ოჯახში;
3. ოჯახში ფუნქციონირება არასწორი გადნაწილება, რაც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი ხდება. არასრულწლოვანს, რომელსაც არა აქვს განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული გამოცდილება, უწევს ოჯახის რჩენა;
4. საზოგადოების როლი და მისი დადებითი ზეგავლენის დეფიციტი;
5. აღზრდის პრობლემები ანუ არასწორი აღზრდა, აღზრდის დეფიციტი;
6. ფსიქოლოგიური პრობლემები.

დემოკრატიის ინსტიტუტში სამწლიანი მუშაობის პრაქტიკამ ნათლად მიგვითითა იმაზე, რომ მოზარდებში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება შესაძლებელია სწორი და მიზანმიმართული საქმიანობის წარმართვით. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ბავშვები არ მივიდნენ დასჯა-დაპატიმრებამდე. ამ საქმეში მნიშვნელოვანია პედაგოგიური საქმიანობის სწორად წარმართვა. პრობლემა დგას, გადაწყვეტის გზები მოსაძებნია. ხვადასხვა ქვეყანაში ამ მხრივ არსებობს სხვადასხვა პრაქტიკა, რომელიც გასაზიარებელია, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი ტრადიცია, კულტურა, მისწრაფება, ღირებულებები აქვს, რაც თავისებურ მიდგომას მოითხოვს.

შესამჩნევია, რომ სკოლებში გახშირდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდთა, როგორც ემოციურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. არცთუ იშვიათად მოსწავლე თავად ხდება მონაწილე ან მოწმე სხვადასხვა ფორმით ჩადენილი დანაშაულისა. მძიმე შედეგის მომტანია ყალბი ფასეულობები, მით უფრო, რომ ბავშვი ქცევის მოდელირების მეშვეობით ანუ სხვისი ქცევის მიბადვით სწავლობს. სკოლა არის სოციალური სტიქია. ყოველგვარი სტიქია ექვემდებარება შესწავლას, რათა ადამიანმა შეძლოს მისი მართვა და მისგან არ დაიღუპოს. ეს თვისებები ეხება სკოლის სტიქიასაც, რათა მოზარდს არ ჩამოეყალიბდეს სოციალურად არასასურველი, ნეგატიური ქცევები, ხელი შეეწყოს მათი ნორმალური ფსიქიკის განვითარებას.

ამასთან განსაკუთრებით საშურია სასჯელმოხდელ და სასჯელმისჯილ მოზარდთა თანადგომა. ბოროტება, დანაშაული უნდა გვძულდეს, მაგრამ მისი ჩამდენი ადამიანი, მითუმეტეს ბავშვი, უნდა გვეცოდებოდეს და ყოველი ღონე გამოვიყენოთ, რომ ისინი დაეუბრუნოთ ნორმალურ ცხოვრებას, თორემ მათი კრიმინალუბად ჩამოყალიბება საზოგადოების თითოეული წევრისთვის საზიანო იქნება.

სამწუხაროდ, არსებობს საფრთხე არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებებისა, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის პრევენციის მექანიზმი. სკოლებსა და სხვადასხვა პროფესიულ ცენტრებში განსახორციელებელია სპეციალური სამუშაოები. ამ მიზნით შევიმუშავეთ საქმიანობის ფორმები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს კლასის დამრიგებელს, საგნის მასწავლებელს, მშობელს, სკოლის ფსიქოლოგს და სოციოლოგს ერთად წარმართონ მიზანმიმართული მუშაობა, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ასევე სასჯელმოხდელი მოზარდების სასწავლო და შრომით საქმიანობაში შედეგიანი ჩაბმისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა დანაშაულების სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოჯახს და გარემოს, სადაც არასრულწლოვანი იზრდება. გამოიკვეთა ის უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება გამოიწვიოს ოჯახში არასრულწლოვანის აღზრდამ, ან ოჯახის წევრთა უყურადღებობამ და ა.შ. ამიტომ საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ოჯახის უფრო ღრმად შესწავლაზე, ოჯახის როლზე არა მხოლოდ არასრულწლოვანის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, არამედ აგრეთვე სასჯელის მოხდის პერიოდში, მის ჩართულობაზე რეაბილიტაციის პროცესში.



ვფიქრობთ ოჯახის როლის განსაზღვრასა და ოჯახთან მიმართებაში გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- არასრულწლოვანთა ნებისმიერი სახის სამუშაოს განხორციელებამდე ოჯახის შესწავლა და მისი როლის განსაზღვრა;
- ოჯახის წევრებისთვის არასრულწლოვანთა აღზრდის უნარ-ჩვევების შესწავლა;
- სასჯელის მოხდის ადგილებში არასრულწლოვანთა მოთავსების დროს ოჯახთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა და სწორი ფორმულირება;
- ოჯახის ჩართვა არასრულწლოვანი დამნაშავეის რეაბილიტაციის პროცესში;
- ოჯახის წევრების მხრიდან არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირება;
- ოჯახის წევრების მიერ პასუხისმგებლობის აღება არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. (3. 2006: 20)

კანონთან დაპირისპირებულ არასრულწლოვანთა უმეტესობა საზოგადოების ღარიბი ფენის წარმომადგენელია, რომელსაც მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები აწუხებს. მოზარდ თაობაში დამნაშავეობის ზრდა ხშირად სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა დაცვისა და მზრუნველობის ნაკლებობის მაჩვენებელია. ბავშვები უპირატესად, კანონს უპირისპირდებიან გადარჩენისათვის ბრძოლაში გამოვლენილი ქმედებებით (ქურდობა, მაწანწალობა, მათხოვრობა) და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხშირად დგებიან ძალადობის, შეურაცხყოფისა და მათი უფლებების დარღვევის საფრთხის წინაშე.

თავისუფლების აღკვეთამ ბავშვს შეიძლება გამოუსწორებელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანი მიაყენოს, ხოლო ოჯახისა და საზოგადოებისაგან მოწყვეტამ, განათლების მიღებისა და პროფესიულ განვითარების პერსპექტივის შეზღუდვამ კი, თავის მხრივ, მრავალი სოციალური და ეკონომიკური სირთულე წარმოშვას. არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის მის შემდგომ განვითარებას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან, მაგრამ ნამდვილ პრობლემას წარმოადგენს არა თვით ეს სისტემა ან მეთოდების შერჩევა მის დასახვეწად, არამედ ის სოციალური თუ ეკონომიკური პირობები, რომლებიც სამართალდარღვევებს წარმოქმნიან და, შესაბამისად აუცილებელია ამ ძირეული მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა. (2. 2008: 49)

ცხადია, ადამიანი ერთი მთლიანობაა. იგი რთული სისტემაა, სადაც ვერაფერს გამოაცალკავეს, ვერაფერს დააშორებ ერთმანეთს. ამიტომ მას მთლიანად უნდა მოფრთხილება. ეს უნდა იყოს ჩვენი აღზრდის პრინციპი.

არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი ღონისძიებები, შემეცნებითი ინტერესების გაღვივება, ცხოვრების სტიმულის მიცემა, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ნებისყოფის გაძლიერება, თვითკრიტიკისა და თვითშე-ფასების უნარის ამაღლება, რჩევა-დარიგებები, დახმარების ხელის გაწოდება, თანადგომა, ტაქტიანი პედაგოგიური ჩარევა, მისდამი გულისხმიერი დამოკიდებულება, ჰუმანური და დადებითი ზნეობრივი გარემო ის პირობებია, რომელთა საშუალებითაც სწორი გზა უნდა ვუჩვენოთ ძნელადარსაზრდელ ბავშვებს და არ მივიყვანოთ ისინი სამართალდარღვევამდე.

ბრძენი გვასწავლის: თუ ადამიანი დანაშაულს სჩადის, ცუდ გზას ადგას და ამ დროს ვინმე გამოუჩნდება კეთილის მრჩეველი და ააშორებს სიავეს, ის ღმერთს ჰყვარებია. სიყვარული კი აამაღლებს ადამიანს. სიყვარული შეაძლებინებს სინანულის შინაგან განცდას, აზროვნების ძირეულ გარდაქმნას. სიკეთისაკენ ნებისყოფის შემობრუნებას. (4. 2008: 4)

გზა განწყობისა და ავისაგან განთავისუფლებისა რთულია და ძნელი. ბოროტების დათრგუნვა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ძალების უკიდურესი დამაბვით.

ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, ერთმანეთის ტვირთი ვიტვირთოთ და ისე გავუმკლავდეთ წუთისოფლის სიძნელეს. ვიპოვოთ ჩვენი საზიდავი ჯვარი და განვსაზღვროთ სახე ჩვენი საქმიანობისა.



ნუ შევშინდებით, ნუ დაგვაბრკოლებს განსაცდელი, იმედგაცრუება, გვწამდეს, რომ დაცემას ადგომა მოჰყვება, დამდაბლებას ამაღლება. ოღონდ გვჯეროდეს თანადგომით საკეთისკენ შემობრუნებისა.

#### ლიტერატურა:

1. მეგრელაძე ც. \_ სოციალური პედაგოგიკა, ბათ., 2009;
2. ფონდი `გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში`. მოზარდთა შორის ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად. თბ., 2008;
3. ხასია მ. \_ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები. II ნაწ. 2006.
4. შეროზია ნ. გელაძე გ.\_ `შემობრუნება სიკეთისაკენ ანუ სიყვარულით გავასწოროთ ერთმანეთის შეცდომა-შეცოდებანი`. ბათ., 2008;
5. ჯიქია ლ . \_ “როგორ ავიცილოთ არასრულწლოვანთა დანაშაულობანი” თბ., 1990
6. დემეტრაძე შ \_”არასრულწლოვან დამნაშავეთა ხელახალი აღზრდის საშუალებანი”, თბ., 1996

#### რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია არასრულწლოვანთა დანაშაულების გამომწვევი მიზეზები და მათი რეაბილიტაციის გზები. კერძოდ კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო იმ საფუძვლების, გარემოებებისა და მიზეზების დადგენა-შესწავლა, რომელმაც არასრულწლოვანი მოზარდები დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა.

ადამიანი უნდა აღიზარდოს არა მარტო ინდივიდუალური, არამედ სხვებთან ერთად ცხოვრებისათვის. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ბავშვს განავითაროს თავისი სოციალური ფუნქცია, შეუქმნას მას ისეთი სოციალური გარემო, რომელიც განაპირობებს სასურველი განათლების მიღებას, ნორმალური ცხოვრების პირობას.

**Nato Sherozia** – The candidate of Pedagogic Science, The assistant-professor of the department of Pedagogic science of Shota Rustaveli State University

**Konstantine Tskhvaradze** – The doctorant of the educational faculty of Shota Rustaveli State University

#### The reasons of committing a crime by juveniles

The research paper deals with the causing reasons of the juveniles' crime and their ways of rehabilitation. One of the basic aims of the research was the studying of the circumstances and the reasons, that led juvenile to commit a crime.

Human should be grown up to live in a society with others. School, family, state should help a child to develop his social function, to provide him with a preferable education and make him ready for a normal living condition.

**Нато Шерозиа** - Кандидат педагогических наук, ассистент-профессор факультета образования гос. университета Шота Руставели

**Константин Цхварадзе** - Докторант факультета образования гос. университета Шота Руставели

#### Причины совершения преступления несовершеннолетними

В данной работе представлен причины совершения преступления несовершеннолетними и пути их реабилитации. В частности одной из главных причин данного исследования являлась изучение обстоятельств и тех побудительных причин, которые привели несовершеннолетнего до совершения преступления.

**გიორგი ჭილაძე** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი

### **სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის და სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში**

ცნობილია, რომ სპორტი გულისხმობს არარეგულარული ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა. ხოლო სპორტსმენი არის პირი, რომელიც დაკავებულია სპორტის ნებისმიერი სახეობის სისტემატური წვრთნის პროცესით და მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურნირებში და შეჯიბრებებში.

სპორტული განათლება გულისხმობს ადამიანის ფიზიკური განვითარების შესახებ შესაბამის ცოდნას, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების საბაზისო მოძრაობითი და სპორტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა, სიმარჯვე) განვითარებას.

საუნივერსიტეტო სპორტი წარმოადგენს საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტულ მოძრაობას. ამ დროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ხორციელდება სპორტული აქტივობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის დაქვემდებარების ქვეშ. საუნივერსიტეტო სპორტის ძირითადი მიზნებია სტუდენტებში სპორტული ღირებულებების დანერგვა, ჯანმრთელობის განმტკიცება, შეჯიბრებებში მონაწილეობა და ამ გზით სპორტული პოტენციალს რეალიზება.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების სასპორტო განათლების სისტემის შექმნას, რომელიც მოემსახურება როგორც მასობრივ, ისე მაღალი მიღწევების სპორტს. პერსპექტივაში სასპორტო განათლების სისტემა სრულფასოვნად უზრუნველყოფს: 1) სპორტში კვალიფიციურ კადრებს; 2) მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების თანამედროვე მეცნიერულ საფუძვლებს და კვლევებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასპორტო განათლების სისტემამ უნდა მოიცვას სპორტის სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებები, მწვრთნელთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები და ინსტიტუტები. თუმცა, ჩნდება კითხვები, ვინაიდან დოკუმენტი არ განმარტავს, აღნიშნული სტრუქტურები იქნებიან ორგანიზაციულად და ფინანსურად დამოუკიდებელი, თუ ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ იფუნქციონირებენ რომელიმე სხვა სტრუქტურის (მაგალითად, უნივერსიტეტის) ფარგლებში?

ჩემი აზრით, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე რეალურად იქნება შესაძლებელი სპორტის სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებების, მწვრთნელთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების და ინსტიტუტების თავმოყრა. ამ პოზიციას ამაგრებს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტი ასევე განახორციელებს საქმიანობას უწყვეტი სპორტული განათლებისა და განვითარების მიმართულებით და უზრუნველყოფს მომზადებული კადრების კომპეტენციის შენარჩუნებასა და გაზრდას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების ორ საფეხურს (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტით პერსპექტივაში, 2020 წლამდე მან უნდა განახორციელოს სადოქტორო პროგრამები და უნდა გახდეს სახელმწიფოს მრჩეველი სპორტის განვითარების სტრატეგიისა და სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობა, ევროპის უმაღლესი სპორტული განათლების სტანდარტების გათვალისწინებით, ახლო

პერსპექტივაში უნდა მოიცავდეს ოთხ ძირითად მიმართულებას: 1) სპორტული წვრთნის ხელოვნება; 2) სპორტის მენეჯმენტი; 3) ფიზიკური აღზრდა; 4) ჯანმრთელობა და ფიტნესი.

მიმდინარე ეტაპზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია მოამზადოს სპეციალისტები შემდეგი მიმართულებით: მწვრთნელები, ფიზიკური მომზადების მასწავლებლები.

პერსპექტივაში კი სამსაფეხურიან უნივერსიტეტად რეორგანიზაციის შემდეგ, იგი გააფართოებს რა თავის საქმიანობას, შესაბამის მიმართულებათა ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ მოამზადოს შემდეგი კომპეტენციის სპეციალისტები: მწვრთნელები, სპორტის მენეჯერები, სპორტის უსაფრთხოების სპეციალისტები, სპორტის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, ფიზიკური მომზადების მასწავლებლები, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები, სპორტულ ჟურნალისტები, ჯანმრთელობის და ფიტნესის სპეციალისტები, სპორტში მეცნიერულ კვლევათა წარმოების სპეციალისტები, სპორტული პრობლემატიკის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების სპეციალისტები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე გასწევს საქმიანობას უწყვეტი სპორტული განათლებისა და განვითარების მიმართულებით და უზრუნველყოფს მომზადებული კადრების კომპეტენციის შენარჩუნებასა და გაზრდას.

ცხადია, რომ დასმული ამოცანის წარმატებით რეალიზაცია მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას, მათ შორის მაღალკვალიფიცირებული აკადემიური კადრების შერჩევისა და დასაქმების სფეროში. ამ მიმართულებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მან ორჯერ, 2013 წლის ბოლოს და 2014 წლის დასაწყისში გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში სპორტის სამართლის საერთაშორისო სპეციალისტების მომზადების მიზნით, სასურველი იქნებოდა, რომ გაზრდილიყო სპორტისა და ტურიზმის მიმართულებით საკონკურსო აკადემიური თანამდებობების კვოტა და იგი არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით (ასოცირებული პროფესორი). უფრო მეტიც, თუკი პერსპექტივაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა მომზადდნენ ზოგადად სპორტში, კონკრეტულ შემთხვევაში კი სპორტის სამართალში მეცნიერულ კვლევათა წარმოების სპეციალისტები, აგრეთვე სპეციალისტები, რომლებიც განახორციელებენ სპორტული პრობლემატიკის ანალიზს და გამოიკვლევენ მის სტრატეგიული განვითარებას, მითუმეტეს აუცილებელი იყო უკვე დღეს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და კონკურსის საფუძველზე შესაბამისი დარგის პროფესურის მოხიდვა. ცხადია, ეს აუცილებელია, ვინაიდან სპორტის სამართალში სამაგისტრო აკადემიური პროგრამის შემუშავება მოითხოვს პროგრამის განმახორციელებელი პროფესურის მაღალ ჩართულობას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც არ არსებობს ასეთი გუნდი, რთულია ისაუბრო სასურველ შედეგებზე. გასათვალისწინებელია სპორტის სამართლის სულ უფრო მზარდი როლი და მნიშვნელობა სპორტის სპეციალისტების მომზადების დროს, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სპორტის სამართალი ტრადიციულად იკითხებოდა/იკითხება საბაკალავრო და სამაგისტრო სპორტულ პროგრამებზე ძირითადი/არჩევითი საგნის სტატუსით (ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.). ცხადია, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სპორტის სამართლის მიმართულებით მხოლოდ ერთი პროფესორი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ეფექტურად ვერ შეძლებს საქმიანობის განხორციელებას.

სახელმწიფო დოკუმენტი ითვალისწინებს სპორტის ფაკულტეტების შექმნას საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩემი აზრით იქ, სადაც უკვე არსებობდა ასეთი ფაკულტეტები (მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში) არსებით პრობლემას არ წარმოადგენს ასეთი ფაკულტეტების ხელახლა ჩამოყალიბება, ვინაიდან შენარჩუნებულია როგორც პროფესურა, ისე ინფრასტრუქტურა. თუმცა, ცხადია, რომ მზარდი ახალი გამოწვევების გათვალისწინებით საკმარისი არ იქნება არსებული რესურსი. იმ საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში კი, სადაც ასეთი

გამოცდილება და ტრადიციები არ არსებობს, სახელმწიფო ეტაპობრივად გეგმავს აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას. ცხადია, აქ გასათვალისწინებელია აკადემიური კონკურსის საფუძველზე როგორც მაღალკვალიფიცირებული პროფესორის მოზიდვის, სპორტული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი დაფინანსების უზრუნველყოფის საკითხები. მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და მისი აკრედიტაცია. სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების წარმატებით განხორციელების საფუძველზე შესაძლებელია რეალურად შეიქმნება სპორტის ფაკულტეტები, რომლებიც გაივლიან შესაბამის ავტორიზაციას და მოამზადებენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სკოლებისათვის და ასევე მწვრთნელებს სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის.

### ლიტერატურა

1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014 – 2020. შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ. [http://msy.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=319&info\\_id=10631](http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=10631)
2. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სამართლის ზოგიერთი თეორიულ-იურიდიული ასპექტი // ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები / ახალციხე, 2010 წლის 24 დეკემბერი.
3. ჭილაძე გ.ბ. საუნივერსიტეტო სპორტი: განვითარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები // იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული / თელავი, # 1 (25), 2011, გვ. 172 – 175
4. ჭილაძე გ.ბ. უმაღლესი სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ ქელბაქიანის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი / ქუთაისი, 2013, გვ. 225 – 228.
5. ჭილაძე გ.ბ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული კომპეტენტურობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // ქესყ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია// რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი / თბილისი, 2013, # 1(22) [http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news\\_ge.php?b\\_sec=edu](http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news_ge.php?b_sec=edu)
6. Чиладзе Г.Б. Некоторые аспекты университетского спортивного образования в Грузии // Научные труды Русенского университета / Болгария, г.Русс, 28-30 октября 2010, том 49, стр. 188 – 192
7. Чиладзе Г.Б. Закон Грузии «О спорте»: правовые аспекты // Научно-практическое и информационное издание «Спорт: экономика, право, управление» / Москва, №4, 2012, Стр. 29 – 31
8. Чиладзе Г.Б. Роль международных организаций в развитие системы спортивного образования в Грузии // ГЭНЖ: Образовательные науки и психология // Рецензируемый Электронный Научный Журнал / Тбилиси, 2013, № 1(22) [http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news\\_ge.php?b\\_sec=edu](http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news_ge.php?b_sec=edu)
9. [www.sportuni.edu.ge](http://www.sportuni.edu.ge)
10. Aptsiauri L.Sh., Chiladze G.B. Social-Cultural and Juridical Meaning of Sport in the Axiological Space of Modern Education // Latvian Academy of Sport Education ([www.lspa.lv](http://www.lspa.lv)) / 3rd Baltic Sport Science Conference // Physical Activity and Sport in Changing Society: Research, Theory, Practice and Management. ABSTRACTS / Riga, Latvia, April 29 – May 1, 2010, p. 58



### რეზიუმე

სტატიაში განხილულია სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი სამართლებრივი, აგრეთვე უმაღლესი სპორტული განათლების ასპექტები. დოკუმენტი არ განმარტავს, იქნებან თუ არა სპორტული საგანმანათლებლო სტრუქტურები ორგანიზაციულად და ფინანსურად დამოუკიდებელნი. ავტორის აზრით, ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ იფუნქციონირებენ რომელიმე სხვა სტრუქტურის (მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ფარგლებში. უნივერსიტეტმა ორჯერ, 2013 წლის ბოლოს და 2014 წლის დასაწყისში გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში სპორტის სამართლის საერთაშორისო სპეციალისტების მომზადების, აგრეთვე სამაგისტრო პროგრამების წარმატებით განხორციელების მიზნით აუცილებელია, რომ გაიზარდოს სპორტისა და ტურიზმის სამართლის მიმართულებით საკონკურსო აკადემიური თანამდებობების კვოტა, მოზიდული იქნენ დარგის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. აღნიშნული მიდგომა ეხება როგორც სპორტის უნივერსიტეტს, ისე საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტის ფაკულტეტებს, რომელთა შექმნაც გათვალისწინებულია უახლოეს პერსპექტივაში.

**Георгий Чиладзе** – Самцхе-Джавахетский государственный университет доктор права, доктор бизнес администрирования, профессор

### Некоторые аспекты государственной спортивной политики и спортивного образования в Грузии Резюме

В статье рассмотрены основные правовые, а также аспекты высшего спортивного образования. Документ не определяет, будут ли спортивные образовательные структуры независимыми в организационном и финансовом плане. По мнению автора они полностью или частично будут функционировать во границах другой структуры (например, государственного университета физического воспитания и спорта). Университет дважды, в конце 2013 года и в начале 2014 года объявил академический конкурс. Однако, в дальнейшем с целью подготовки международных специалистов спортивного права, а также успешного осуществления магистерских программ необходимо увеличить квоту занимаемых академических должностей по направлению спортивного и туристического права, привлечь высококвалифицированных специалистов отрасли. Данный подход касается не только спортивному университету, но и спортивных факультетов государственный высших образовательных учреждений, создание которых учитывается в ближайшей перспективе.

**George Chiladze** - Samtskhe- Javakheti State University Doctor of Law, Doctor of Business Administration , Professor

### Some Aspects of the State Sports policy and Sports Education in Georgia summary

The article describes the basic legal and sporting aspects of higher education. It does not specify whether sports educational structures independent organizationally and financially. According to the author, they will be fully or partially operational in the borders of other structures (e.g. , State University of Physical Education and Sports). University twice in late 2013 and early 2014 ad academic competition. However, in order to prepare the future of international sports law experts, as well as the success of the post-graduate programs need to increase the quota held academic positions in the direction of sport and tourism law, attract highly qualified specialists. This approach applies not only to sports university sports departments but also state institutions of higher education, the creation of which is accounted for in the near future.

**ქეთევან ჭკუასელი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

**ზაქარია ქიტაიშვილი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ- პროფესორი.

**მარინე გოგენლაშვილი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი

### **მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - შენიშვნები, რეკომენდაციები**

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი სახელმწიფოებრივი დოკუმენტია. მასში გაწერილი უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხედვა და დაკვეთა მასწავლებლის პროფესიისადმი, რაც, თავის მხრივ, ცხადია, განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას მომავალი თაობის და, მამასადამე, საზოგადოების განვითარების მიმართ.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე იქმნება სახელმწიფოში მასწავლებელთა მომზადების, გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამები, მზადდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტები. ამასთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი სახელმძღვანელო დოკუმენტია თავად მასწავლებლისათვის მუშაობის პროცესში, ვინაიდან სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე აფასებს მასწავლებელი საკუთარი მუშაობის პროცესს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას. დოკუმენტი მარტივად აღქმადი და მკაფიოდ გასაგები უნდა იყოს, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ადვილად შეეძლოს მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის №39/ნ ბრძანების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ჩვენეული ანალიზი მოიცავს სამ მიმართულებას : მასწავლებლის სახელდების საკითხს, სტანდარტის სტრუქტურის საკითხს, სტრუქტურულ ერთეულთა შინაარსის საკითხს

ჩვენი ხედვით, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში გაწერილი უნდა იყოს **მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები**, როგორც თეორიული მოთხოვნა მასწავლებლის ცოდნისადმი, მოთხოვნები მასწავლებლის **პრაქტიკული საქმიანობისადმი** და მოთხოვნები **მასწავლებლის ზნეობრივ - ეთიკური ნორმებისადმი**.

ამ ხედვის საფუძველზე შევეცდებით, გავანალიზოთ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და შესაძლებლობის ფარგლებში გავწეროთ რეკომენდაციები დაინტერესებულ პირთათვის.

სამწუხაროდ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის წარმოდგენილ სამუშაო ვერსიას არ აქვს შესავალი ნაწილი, სადაც გაწერილი უნდა იყოს კონცეფცია, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი შედგენა, აიგო დოკუმენტის სტრუქტურა და განისაზღვრა დანიშნულება. შესავლის გარეშე დოკუმენტი კარგავს დანიშნულებას, რადგან სწორედ შესავლის საშუალებით ეცნობა მასწავლებელი და, ზოგადად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირი ამ დოკუმენტის შექმნის მიზანს, ადგილს საგანმანათლებლო პროცესებში, საჭიროებასა და მნიშვნელობას პროფესიული საზოგადოებისათვის და, ზოგადად, სახელმწიფოსათვის;

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შედგენის კონცეფცია ჩვენთვის გაუგებარია, კერძოდ, გაურკვეველია დოკუმენტში ჩაშლილ მასწავლებელთა კატეგორიზაციის საფუძველი, გაურკვეველია სტანდარტის ნაწილების - **საგნობრივი სტანდარტის ცოდნისა და პროფესიული უნარების სტანდარტის ცოდნის** - მიმართება და ხვედრითი წილი მასწავლებლისათვის კატეგორიის მინიჭების პროცესში და, რაც მთავარია, კონცეფციის გარეშე, გაურკვეველია, ზოგადად, სტანდარტის ნებისმიერი ნაწილის სტრუქტურა და შინაარსი;

ყოველივე ამის გამო, თავს ვაძლევთ უფლებას, ვიხელმძღვანელოთ პედაგოგიკის მეცნიერების ზოგადი პროფესიული ხედვებით და შემოგთავაზოთ ჩვენი შენიშვნები და რეკომენდაციები:

ვერ გავიზიარებთ სტანდარტში წარმოდგენილ მასწავლებელთა დიფერენციაციის სახელდებას - **პრაქტიკოსი მასწავლებელი (III კატეგორია), წარჩინებული მასწავლებელი (II კატეგორია),**

**მკვლევარი მასწავლებელი(I კატეგორია), მენტორი მასწავლებელი(უმაღლესი კატეგორია) - რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ,**

- მასწავლებელთა კატეგორიზაცია და სახელწოდებები ართულებს ურთიერთობას სკოლასა და მშობელს შორის, ვინაიდან მარტივად გასაგები მიზეზების გამო, ყველა მშობელი ეცდება თავისი შვილი მოახვედროს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელთან (და ამის სრული უფლება ექნება), რაც სერიოზულად გაართულებს სკოლის ხელმძღვანელობის საქმიანობას მოსწავლეთა ჩარიცხვასა და კლასიდან კლასში გადაყვანასთან მიმართებით;
- სკოლის მიკროგარემოში იქმნება მასწავლებლის პროფესიული ნიშნით სახელდების სამართლებრივად დაკანონებული ფორმა, რაც უარყოფითად მოქმედებს მასწავლებლის ავტორიტეტზე მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საზოგადოებაში;
- ვფიქრობთ, არათანმიმდევრულია სახელდება - პრაქტიკოსი მასწავლებელი (III კატეგორია), წარჩინებული მასწავლებელი(II კატეგორია), მკვლევარი მასწავლებელი(I კატეგორია), მენტორი მასწავლებელი(უმაღლესი კატეგორია), ვინაიდან არა თუ თითოეული მათგანის შინაარსში წარმოდგენილი საკითხები, არამედ მხოლოდ სახელდების წარმოდგენილ ნიმუშშიც კი ადგილი აქვს საკითხთა შინაარსობრივ გადაფარვას. ასე, მაგ., რას ნიშნავს მკვლევარი მასწავლებელი და რატომ არ უნდა აწარმოებდეს საკლასო საჭიროებების მცირემასშტაბიან კვლევას წარჩინებული, ან, თუნდაც, პრაქტიკოსი მასწავლებელი და ვინ არის ამის აღმრიცხავი სასწავლო პროცესში? ბოლოსდაბოლოს, ნებისმიერი, ყველაზე დაბალი დონის მასწავლებლის მიერ წარმოებულ სწავლების პროცესში, ხორციელდება პედაგოგიკის მეცნიერებაში აღიარებული და პედაგოგიურ პრაქტიკაში დადასტურებული შეფასების ისეთი ძირეული ფორმა, როგორცაა მიმდინარე დაკვირვება, რისი შედეგების საფუძველზეც მასწავლებელი ცვლის მის მიერ განხორციელებულ ამა თუ იმ აქტივობას. ეს აქტივობა კვლევას არ გულისხმობს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნამდვილად გულისხმობს.
- ზოგადად, არ არის მართებული ფორმა მასწავლებელთა დეფინიცირება სახელწოდების მიხედვით. თუ დოკუმენტის შემქმნელთა ხედვით, დეფინიცირების საფუძველი განპირობებულია სახელფასო დანამატის განსხვავების თვალსაზრისით (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დოკუმენტში არ ჩანს კონცეფცია, რაც გვაიძულებს ვარაუდებით ვიმსჯელოთ), მაშინ სასურველია, მასწავლებელთა დიფერენციაცია არა სახელდებით, არამედ ქულობრივი სისტემის (სხვადასხვა აქტივობით დაგროვილ კრედიტების) მიხედვით, რაც აგვაცილებს თავიდან იმ უხერხულობას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

**კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დოკუმენტში წარმოდგენილ მასწავლებელთა სახელდებას (და არა ზოგადად დიფერენცირებას) კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ.**

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა, ჩვენი აზრით, კორელაციაში უნდა იყოს სახელმწიფოში აღიარებულ და კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში გაწერილ სწავლის შედეგთან, ვინაიდან მასწავლებლის წოდება ერთ-ერთი პროფესიაა, ამასთან, რეგულირებადი პროფესია, რომლის საქმიანობის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა. შესაბამისად, ეს პროფესია (ისე, როგორც ნებისმიერი პროფესია), მოითხოვს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ შედეგზე გასვლას. ამ ხედვიდან გამომდინარე, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურული ნაწილები, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

• ცოდნა და გაცნობიერება

• ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

• ღირებულებები(დამოკიდებულებები)



ამ მიმართებით ჩვენთვის მისაღებია წარმოდგენილი სტანდარტის პირველი სტრუქტურული ნაწილი - **მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები**, ხოლო მეორე განსაზღვრების - **სასწავლო პროცესის მართვა** - ნაცვლად უმჯობესად მიგვაჩნია **პროფესიული საქმიანობა** (როგორც იყო სტანდარტის პირველ სამუშაო ვერსიაში). ეს უკანასკნელი, გაცილებით ფართო შინაარსის ტერმინად შეიძლება მივიჩნიოთ და, შესაბამისად, იგი თავად მოიაზრებს შინაარსში **სასწავლო პროცესს** და, ამავე დროს, სხვა მიმართულებების - **მასწავლებლის პროფესიულ განვითარება, ურთიერთობა კოლეგებთან და მშობელთა საზოგადოებასთან და სხვ.** - ასახვის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება წარმოდგენილი სტანდარტის მესამე სტრუქტურულ ერთეულს - **პროფესიული განვითარება**, ის თავისი შინაარსიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა განთავსდეს მეორე სტრუქტურულ ერთეულში, მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში.

**მესამე სტრუქტურულ ერთეულად**, ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნულ სწავლის შედეგთან კორელაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, სტანდარტში წარმოდგენილი უნდა იყოს **მასწავლებლის ზნეობრივ - ეთიკური სახე**, რომელიც სრულად ასახავს სახელმწიფოს მიერ სწავლის შედეგში შემოტანილ ტერმინს **ღირებულებები**.

მაშასადამე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტანდარტი წარმოდგენილ იქნას შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით -

- **მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები(ცოდნა და გაცნობიერება)**
- **პროფესიული საქმიანობა(ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება)**
- **მასწავლებლის ზნეობრივ-ეთიკური სახე(ღირებულებები)**

სტანდარტის სტრუქტურის ჩვენეული ხედვის ჩამოყალიბების შემდეგ, რა თქმა უნდა, უპრიანი იქნება, ვიმსჯელოთ თითოეული სტრუქტურული ერთეულის შინაარსზე, თუმცა ამის საშუალებას აღნიშნული ფორმატი არ გვაძლევს. განსაკუთრებული ხაზგასმითაა აღსანიშნავი კიდევ ერთი დეტალი - წარმოდგენილ **სტანდარტში, რომელსაც მასწავლებლის, პედაგოგის სტანდარტი ჰქვია, არც ერთი სიტყვა არ არის ნახსენები პედაგოგიკის მეცნიერებაზე, მისი ცოდნის აუცილებლობაზე მასწავლებლისათვის, მის ძირითად ცნებებსა და ტერმინებზე, მის კვლევის მეთოდებსა და განვითარების ისტორიაზე. საინტერესოა, დღეს მსოფლიოში ეს მეცნიერება, როგორც აღზრდის მეცნიერება, აღარ არსებობს? სკოლა ხომ სასწავლო -სააღმზრდელო დაწესებულებაა და არა სამმართველო დაწესებულება, სადაც მთავარი მომავალი მოქალაქის აღზრდა უნდა ხორციელდებოდეს და არა კრედიტების დასაგროვებლად, თუნდაც მუყაითი შრომა ?!** **მასწავლებელი კი, მხოლოდ დამგეგმავი და მმართველია, თუ აღმზრდელი?!**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ არაერთგზის იქნა ხაზგასმული ეს ვითარება პროფესიულ საზოგადოებასთან სტანდარტის სამუშაო ვერსიის დასახვეწად გამართულ შეხვედრებზე და, თითქოს, ჩვენი აზრი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, სტანდარტის ყოველ შემდგომ ვერსიაში ეს სიტყვა კვლავ ქრებოდა... აქვე წარმოგიდგინებ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურისა და შინაარსის ჩვენეულ ხედვას:

#### **I მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები - ცოდნა**

საკუთარი პროფესიის მნიშვნელობის გაცნობიერება საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში;

სახელმწიფო ენისა და სწავლების ენის ცოდნა;

საგნობრივ - მეცნიერული ცოდნა;

საგნის სწავლების მეთოდის ცოდნა;

პედაგოგიკის მეცნიერებისა და განათლების ფსიქოლოგიის ცოდნა:

✓ აღზრდა, განათლება, სწავლება,

✓ აღზრდის მიზანი - გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდა

✓ მოსწავლის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი

✓ სწავლებისა და განვითარების თეორიები

✓ მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები



- ✓ სწავლების დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური პრინციპები
- ✓ სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები
- ✓ სწავლების ორგანიზაციის ფორმები
- ✓ სწავლების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზაცია მოსწავლის ასაკის შესაბამისად
- ✓ შეფასება სასწავლო პროცესში
- ✓ კლასის მართვის ძირითადი პრინციპები
- ✓ პედაგოგიური კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები
- ✓ ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები
- ✓ განათლების სისტემაში ზოგადი განათლების სამართლებრივი აქტები
- ✓ მულტიკულტურული განათლების ძირითადი პრინციპები
- ✓ მოთხოვნები მასწავლებლისადმი.

პროფესიული საქმიანობის გაცნობიერება და დაგეგმვა;

მოსწავლის ქცევის მართვის, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისა და მედიაციის პროცესის წარმართვისათვის განკუთვნილი ეფექტური სტრატეგიებისა და მისი პრევენციის გზების ცოდნა;

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი პრინციპების ცოდნა პროფესიული საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისათვის;

ზოგადზნეობრივი ღირებულებებისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსის ცოდნა.

## II პროფესიული საქმიანობა

### სასწავლო პროცესი

პროფესიული საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უნარი;

სასწავლო პროცესში მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპების გათვალისწინების უნარი;

მოსწავლის ასაკის შესაბამისად საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზაციის უნარი;

კლასის მართვის უნარი - სოციალური პროცესების მართვა, სასწავლო- აღმზრდელობითი პროცესის მართვა;

მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენების უნარი;

სწავლების პროცესში დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნის უნარი;

მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის უნარი;

მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების უნარი;

მოსწავლეებში ზოგადი უნარების განვითარებაზე ზრუნვის უნარი;

მოსწავლის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზე ზრუნვის უნარი;

მოსწავლეში შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზრუნვის უნარი;

მოსწავლეებში პიროვნულ-მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე ზრუნვის უნარი;

მოსწავლესთან თანამშრომლობის უნარი;

მოსწავლეთა აქტივიზაციის ხერხების ფლობა;

სასწავლო პროცესში სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების, სწავლების პრინციპების მიზანმიმართული გამოყენების უნარი;

მოსწავლეთა შეფასების ობიექტურად წარმოების უნარი;

მასალის გასაგებად გადმოცემის უნარი;

პროფესიულ საქმიანობაში ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების დანერგვისა და გამოყენების უნარი;

პროფესიულ საქმიანობაში მულტიკულტურული განათლების ძირითადი პრინციპების გამოყენების უნარი;

მოსწავლის ქცევის მართვის, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისა და მედიაციის პროცესის წარმართვის უნარი;

სასწავლო პროცესში კვლევის საქმიანობის დადგენისა და მისი ძირითადი მეთოდების გამოყენების უნარი;

სკოლის სასწავლო და საზოგადოებრივი პროცესების გაუმჯობესებაზე ზრუნვის უნარი;  
მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი;  
პროფესიული მობილურობა - საბაზო ცოდნის თანადროულობასთან მოდიფიცირების უნარი.

### **პროფესიული განვითარება**

უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის უნარი;  
კოლეგებთან პროფესიული თანამშრომლობის უნარი;  
თვითდაკვირვებისა და თვითშეფასების უნარი;  
ახალი პროფესიული იდეების და გამოცდილების მიღებისა და გაზიარების უნარი;  
პროფესიული საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;  
პროფესიულ საქმიანობაში პედაგოგიური კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპების გამოყენების უნარი;  
პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი;  
სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში მონაწილეობის უნარი.  
საკუთარი პროფესიული საქმიანობის ზოგადი განათლების სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანის უნარი

### **III ზნეობრივ-ეთიკური სახე**

საკუთარი კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების პატივისცემა;  
სხვა კულტურათა აღიარება და პატივისცემა;  
პიროვნული ღირსების თვითშეგრძნება;  
მოსწავლის პიროვნების პატივისცემა;  
მოსწავლის შესაძლებლობებისა და წარმატების მოლოდინის აღიარება;  
საკუთარი პროფესიისა და მოსწავლის სიყვარული;  
მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ;  
პასუხისმგებლობის გრძნობა;  
დისციპლინირებულობა;  
ორგანიზებულობა;  
კოლეგიალურობა;  
საკუთარი სუბიექტურობის, სტერეოტიპული აზროვნების, შეზღუდვების აღიარება;  
შემწყნარებლობა;  
ზოგადი ერუდიცია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რა თქმა უნდა, გააზრებული გვაქვს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ზოგადი ხასიათის შენიშვნები და რეკომენდაციები ერთი კონკრეტული პოზიციის თვალთახედვის ნაყოფია და ვერ იქნება რეპრეზენტატული და უალტერნატივო პროფესიული საზოგადოებისა თუ აკადემიური წრეების კონტექსტში. ვფიქრობთ, საკითხის დასმა და მეცნიერული პოზიციებიდან მისი განხილვა კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე მოვლენები გამოვიტანოთ ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე განსახილველად და შედეგები საცნაური გაგზავნით სახელმწიფოს იმ სტრუქტურებისათვის, რომლებსაც განათლების სისტემის მართვისა და გარდაქმნის ბერკეტები გააჩნიათ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2302168&lang=geMinistry of](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2302168&lang=geMinistry of)
2. [http://eqe.ge/geo/education/national\\_qualifications\\_framework](http://eqe.ge/geo/education/national_qualifications_framework)

## რეზიუმე

ნაშრომის მიზანია, პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან განიხილოს 2014 წლის 28 მარტს მიღებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. აღნიშნულ ნაშრომში წარმოადგენილია სტანდარტში გაწერილი მახასიათებლების კრიტიკული ანალიზის მცდელობა. განხილული პრობლემური საკითხების შინაარსი და ხასიათი თვალნათლივ დაანახებს პროფესიულ საზოგადოებას იმ უზუსტობებსა თუ ხარვეზებს, რომელთა პრაქტიკულად ამოქმედება, ავტორთა ხედვით, გაზრდის ზოგადი განათლების სისტემაში ნეგატიური ზეგავლენების აღბათობას. აქვე დასმულია სტანდარტის სტრუქტურული მოდელის ტრანსფორმირების საკითხი და შემოთავაზებულია მისი გადანაწილების ოპტიმალური თეორიული ხედვა.

**Кетеван Чкуасели** - профессор Учебно-научного института педагогики при Тбилиском государственном университете им. Ив.Джавахишвили.

**Китиашвили Захар** – ассистент-профессор Учебно-научного института педагогики при Тбилиском государственном университете им. Ив.Джавахишвили.

**Марине Гогнелашвили** – приглашенный лектор Учебно-научного института педагогики при Тбилиском государственном университете им. Ив.Джавахишвили.

## профессиональный стандарт педагога – примечания, рекомендации

### Резюме

Целью настоящей работы является анализ принятого профессионального стандарта педагога от 28 марта 2014 года с точки зрения педагогической наукой. Настоящая работа – это попытка критического анализа квалификационных характеристик педагогической деятельности, прописанных в стандарте. Содержание и характер разбираемых проблемных вопросов даст возможность профессиональному педагогическому обществу чётко увидеть те неточности и изъяны, которых практически невозможно привести в действие и, по мнению авторов, появится вероятность нарастающего негативного воздействия в системе общего образования. В работе также поставлен вопрос трансформирования структурной модели профессионального стандарта педагога и предлагается оптимальное теоретическое видение её перераспределения.

**Ketevan chkuaseli** – full professor of pedagogical institute, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Zakaria Kitiashvili** – assistant professor of pedagogical institute, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Marine Gognelashvili** - guest lecturer of pedagogical institute, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Professional Standard for Teachers \_ Notes and Recommendations

### Abstract

The aim of this article is to discuss the professional standard for teachers, approved on March 28, 2014, in terms of pedagogical/educational sciences. The author of the present work tries to critically analyze some characteristics and features of the standard. Several issues are discussed in detail the meaning and character of which are intended to reveal to the professionals some inaccuracies and problems in the standard. These, we believe, increases the probability of negative influences in the educational system. The author also discusses the issue of the transformation of the structural model of the standard and also, suggests an optimal theoretical approach to its distribution.

## ნინო ჭოხონელიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

### მარია მონტესორი და მისი პედაგოგიური სისტემა

მარია მონტესორის სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარულია მთელს მსოფლიოში. ის 100 წელზე მეტს ითვლის, მან გაუძლო დროს და გამოცდას. ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, იაპონია, გერმანია) დღესაც წამყვან მეთოდიკას წარმოადგენს. ამ სისტემის მიხედვით ბავშვთა განვითარება -- ეს არის ერთდროულად თავისუფლება და დისციპლინა, გატაცებით თამაში და სერიოზული მუშაობა. მონტესორი დაიბადა იტალიაში 1870 წელს. რომის უნივერსიტეტში მიიღო სამედიცინო განათლება და რომშივე შეუდგა ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობას. ის იყო პირველი იტალიელი ქალი, რომელიც გახდა მედიცინის დოქტორი.

მ. მონტესორიმ თავის პედაგოგიურ საქმიანობას საფუძვლად დაუდო დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ექსპერიმენტული მასალა. მან თავის მეთოდიკას უწოდა თვითგანვითარების სისტემა დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში. ბავშვის ქცევაზე დაკვირვებამ მონტესორს საშუალება მისცა აღმოეჩინა „ყურადღების პოლარიზაციის ფენომენი.“ სწორედ აქედან აკეთებს ის დასკვნას ბავშვის თავისუფალი განვითარების და საგანგებოდ შექმნილ გარემოში მისი მუშაობის ფორმების და ხერხების შესახებ.

კლინიკაში ბავშვთა ექიმად მუშაობის დროს მარიამ ყურადღება მიაქცია გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს, რომლებიც უმიზნოდ დაეხეტებოდნენ და არაფერი აინტერესებდათ. მონტესორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ბავშვებს თავის დროზე არ ჰქონდათ განვითარებისთვის სტიმული. მონტესორის აზრით, განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი და თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს, გააკონტროლებდა თავის შეცდომებს.

მონტესორის სისტემა გამოყენებულ იქნა მის მიერვე დაარსებულ „ბავშვთა სახლში,“ რომელიც გაიხსნა რომში 1907 წელს. აღნიშნულ დაწესებულებაში უმეტესად 5-7 წლის ბავშვებს ღებულობდნენ. ჩქარა იგი სხვებისთვისაც მისაბამი, მისაღები და მისაწვდომი გახდა. მარია მონტესორი თვლიდა, რომ „იმისათვის რომ აღვზარდოთ ბავშვი--უნდა ვიცოდეთ მისი ბუნება; იმისათვის რომ მისი ბუნება შევისწავლოთ, უნდა ვაკვირდებოდეთ მას; ხოლო იმისათვის რომ ვაკვირდებოდეთ--უნდა მივცეთ მას თავისუფლება.“

მონტესორის მიერ შექმნილ თვითაღზრდისა და თვითგანვითარების უნიკალურ სისტემაში არ არის სწავლების ერთიანი მოთხოვნები და პროგრამები. თითოეული ბავშვი მუშაობს საკუთარი ტემპით. მოსწავლე უამრავი აქტივობიდან თვითონ ირჩევს სასურველ საქმიანობას, სახელმძღვანელო საშუალებებს. ბავშვი თვითონ ასწავლის საკუთარ თავს. ამ მეთოდში მნიშვნელოვანია სწავლის ინდივიდუალური არჩევანი და არა ჯგუფური გაკვეთილები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს აღმოჩენით სწავლას. აღმზრდელის ამოცანაა დაეხმაროს ბავშვს მისი საქმიანობის ორგანიზაციაში, საკუთარი გზის ძიებაში, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაში. „დამეხმარე, რომ მე თვითონ შევძლო ამის გაკეთება“--ამ სიტყვებში ირეკლება მონტესორის პედაგოგიური სისტემის არსი.

მონტესორის მეთოდიკა ეყრდნობა შემდეგ დებულებებს:

- ბავშვი აქტიურია, უფროსის როლი სწავლებაში მეორეხარისხოვანია; ის არის დამხმარე და არა ხელმძღვანელი.
- ბავშვი საკუთარი თავის მასწავლებელია; მას აქვს მოქმედებების და არჩევანის სრული თავისუფლება.
- ბავშვები სწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან. რადგან ჯგუფებში სხვადასხვა ასაკის ბავშვები მეცადინეობენ, უფროსები ხდებიან უმცროსების მასწავლებლები. ამასთან ისინი ეჩვევიან სხვაზე ზრუნვას.
- ბავშვები იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.
- მეცადინეობები მიმდინარეობს სპეციალურად მომზადებულ გარემოში.



• მთავარია ბავშვი დავაინტერესოდ, განვითარებით თვითონ განვითარდება--ეს არის მოქმედებების, აზროვნების, გრძნობების, თავისუფლების შედეგი.

• ბავშვი ხდება ისეთი როგორც არის ბუნებით, თუ არ მივდივართ ბუნების საწინააღმდეგოდ.

მონტესორი მიიჩნევდა, რომ მისი წარმატების საიდუმლო მოსწავლეების დაკვირვებასა და მათთვის ბუნებრივი განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობდა. ბავშვებს აქვთ უზარმაზარი შინაგანი მოთხოვნილება გაიცნონ და დაიპყრონ სამყარო თავის გარშემო. ყველა ბავშვს აქვს სურვილი ყველაფერს შეეხონ, შეიგრძნონ, გაუსინჯონ გემო. რადგან გზა ინტელექტუალურ განვითარებამდე მიდის არა აბსტრაქციის გავლით, არამედ გრძნობების ორგანოებით. შეიგრძნონ და შეიმეცნონ ხდება ერთი მთლიანი. ამ მეთოდის მიხედვით არ უნდა დავაჩქაროთ ბავშვის განვითარება, მაგრამ მნიშვნელოვანია არ გავუშვათ საჭირო მომენტი, რათა ბავშვმა არ დაკარგოს მეცადინეობებისადმი ინტერესი.

ფიზიკური გარემო მონტესორის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მის გარეშე მას ფუნქციონირება არ შეუძლია, როგორც სისტემას. მომზადებული გარემო საშუალებას აძლევს ბავშვს ნაბიჯ--ნაბიჯ განვითარდეს უფროსის პირდაპირი ჩარევის გარეშე. ფიზიკურ გარემოს აქვს წყობის ზუსტი ლოგიკა. მონტესორი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სპეციალურად მომზადებული გარემო წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს. გარემო იყოფა ხუთ ზონად:

1. ყოველდღიური ცხოვრების ზონა-- სავარჯიშოები, რომელთა დახმარებით ბავშვი სწავლობს თვალი მიადევნოს საკუთარ თავს და საკუთარ საგნებს. იმას რაც სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2. სენსომოტორული განვითარების ზონა-- მიმართულია გრძნობის ორგანოების განვითარებაზე. ამისათვის მონტესორმა დაამუშავა სპეციალური დიდაქტიკური მასალები, რომელთა მიზანია ისე განავითაროს ბავშვის გრძნობათა ორგანოები, რომ ერთმა არ დაჩრდილოს მეორე. იმისათვის რომ მიღწეულ იქნეს ცალკეულ ორგანოთა მაქსიმალური განვითარება მაგალითად, აღქმაში ვარჯიშის დროს, მონტესორი მიმართავს ერთი ორგანოს გამოთიშვას ყველა დანარჩენისგან. ასე მაგ. როცა უნდა მაქსიმალურად მიაღწიოს გემოს აღქმას, გამოთიშავს მხედველობას და ა.შ. აქ მონტესორისთვის მთავარია სენსორული კულტურის განვითარება, რასაც ის აღწევს მის მიერ დამზადებული დიდაქტიკური მასალით.

3. მათემატიკური ზონა--თვლის, ციფრების, შეკრება--გამოკლების, გამრავლება--გაყოფის შესწავლა.

4. მშობლიური ენის ზონა-- განკუთვნილია ენობრივი მასალის გაფართოებაზე: ასო--ბგერების გაცნობა, შესწავლა, ფონეტიკის, სიტყვის შედგენილობის გაგება და წერა.

5. კოსმოსის ზონა--განკუთვნილია გარემომცველი გარემოს გაცნობასა და ადამიანის როლზე ამ სამყაროში. ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ასტრონომიის საფუძვლების დაუფლება.

რა სახით უნდა იყოს მოწყობილი ასეთი საგანგებო გარემო? მონტესორი მოითხოვდა ბავშვების არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ანთროპოლოგიურ შესწავლასაც. რისთვისაც დაამზადებინა სპეციალური ხელსაწყოები და მოახდინა „საბავშვო ბაღის“ მოდერნიზება. გადააკეთა მისი ინტერიერი. დადგა ბავშვისათვის მოსახერხებელი ავეჯი, რომელთა გადაადგილება ადვილად შეიძლებოდა. კარადები, სადაც სასწავლო მასალა ინახებოდა იყო დაბალი. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად მონტესორი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ რომ არსებობს დიდაქტიკური მასალების სრულიად განსაზღვრული რაოდენობა, რაც სრულიად საკმარისია ბავშვის განვითარებისთვის. ძირითადი მოთხოვნა არის ის, რომ ამ გარემოში იყოს ამგვარი მხოლოდ ერთი ნიმუში. ეს არის მასალები ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარ--ჩვევათა გამომუშავებისათვის, სპეციალური მასალები სენსომოტორიკის, მეტყველების, წერა--კითხვის და მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბების სფეროდან. მასალების დიდი ნაწილი ემსახურება თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მომზადებული გარემო ითვალისწინებს ბავშვის მოტორულ მოთხოვნილებებს. ის თითქოსდა უბიძგებს ბავშვს სპონტანური მოქმედებებისკენ, რომლებიც ავითარებენ, სრულყოფენ მოძრაობის კოორდინაციას და ყურადღების კონცენტრაციას. ყველა დიდაქტიკურ მასალას აქვს ორი მიზანი--პირდაპირი და

ირიბი. თითქოსდა რა არის იმაზე ადვილი ბავშვმა აიღოს ლანგარი წყლით სავსე პატარა დოქებით და გადაიტანოს თავის სამუშაო მაგიდაზე. მაგრამ სწორედ ამ რამდენიმე ნაბიჯშია ფოკუსირებული მოძრაობის და ყურადღების განვითარება და მიმართულია პერსპექტივაზე. მნიშვნელოვანია ის წესები რომელთა დაცვაც აუცილებელია მასალის გამოყენების დროს: პირველ რიგში ეს არის მასალის განლაგება ბავშვებისათვის მისაწვდომად. ამორჩეულ მასალას ბავშვი აბრუნებს და აკურატულად აწყობს ნოხზე ან მაგიდაზე განსაზღვრული თანმიმდევრობით; მასალასთან მუშაობა უნდა რთულდებოდეს თანდათანობით; თუ ბავშვი ამთავრებს ვარჯიშს, ის აბრუნებს მასალას თავის ადგილზე და მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევს ახალ მასალას; თუ ბავშვის მიერ ამორჩეული მასალა დაკავებულია, ის იცდის, აკვირდება მეორე ბავშვს(დაკვირვება შემეცნების ერთ--ერთი საშუალებაა) ან ირჩევს სხვა მასალას. ჩვეულებრივ გაკვეთილები გრძელდება საათნახევრის განმავლობაში და მიმართულია გრძნობის ყველა ორგანოს განვითარებისკენ. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა სენსორული მასალები. მაგალითად, ხაოიანი ასოები და განსაკუთრებულად ხმაურიანი კოლოფები. სწორედ ასეთი ორიგინალური ნაკეთობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ ბავშვს შეექმნას რაც შეიძლება ფართო წარმოდგენა საგნების სიდიდის, მოცულობის, ფერის და წონის შესახებ. ამ სისტემაში ხაზგასმულია ერთი რამ რითაც ხელმძღვანელობენ: „გინდა ერთად მუშაობა-- შეუთანხმდი შენს ამხანაგს“ და „როდესაც გიჭირს-- ითხოვე დახმარება და იყავი მადლიერი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონტესორის სისტემაში მასწავლებლის როლს წარმოადგენს გარემოს კონტროლი და ბავშვის სწავლის წარმართვა პირდაპირი ჩარევის გარეშე. მასწავლებელი აკვირდება ბავშვს, რომელიც იზრდება თავისუფალ გარემოში. მასწავლებელმა უნდა უსმინოს ბავშვს და არა ბავშვმა მასწავლებელს. მასწავლებელი პირდაპირი ჩარევის გარეშე უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს კარგს და არ წაახალისოს ცუდი ქცევა.

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ფუნქცია, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ისინი სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. მათი მოვალეობა იყო, რომ ბავშვებს სკოლაში არ დაეგვიანათ; სუფთა, მოწესრიგებული მისულიყვნენ. ყველა მშობელი ვალდებული იყო კვირაში ერთხელ სკოლის დირექტორთან მოეკითხა შვილის ამბავი. მარია თავადაც დადიოდა ბავშვების ოჯახებში. თუ მშობელი თანამშრომლობაზე არ დათანხმდებოდა, მის შვილს სკოლიდან რიცხავდნენ მანამ, სანამ მშობელი თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამდა. ძალიან საყურადღებოა შეგონებები მშობლებისთვის, რომელიც მონტესორმა შეიმუშავა. ეს არის უბრალო წესები, რომლებიც ეხმარებათ ბავშვებს ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაში. ესენია:

- თუ ბავშვს ხშირად აკრიტიკებენ--ის ეჩვევა განხილვას;
- თუ ბავშვს ხშირად აქებენ-- ის სწავლობს შეფასებას;
- თუ ბავშვთან დემონსტრირებას უკეთებენ მტრობას--ის ეჩვევა ჩხუბს;
- თუ ბავშვთან გულწრფელნი არიან--ის სწავლობს სამართლიანობას;
- თუ ბავშვს ხშირად დასცინიან--ის ხდება მხდალი და თავს გრძნობს დამნაშავედ;
- თუ ბავშვს ხშირად აქებენ--ის სწავლობს კარგად მოექცეს საკუთარ თავს;
- თუ ბავშვი ცხოვრობს მეგობრულ ატმოსფეროში და თავს გრძნობს საჭიროდ--ის ცდილობს იპოვოს სიყვარული ამ სამყაროში...

ამრიგად, მარია მონტესორი იყო ძალზე პრინციპული და თანამიმდევრული მკვლევარი. მან შეძლო თავის „ბავშვთა სახლსა“ და დიდაქტიკურ მასალაში მიედწია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისათვის. მონტესორი ეპყრობოდა ბავშვს, როგორც უნიკალურ პიროვნებას, თავისი საკუთარი განვითარების გეგმით, გარესამყაროს ათვისების საკუთარი ვადებითა და საშუალებებით. ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ მონტესორის სკოლების აღსაზრდელები გაცილებით მაღალ შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე სხვა სკოლების მოსწავლეები. ამიტომ არის ევროპასა და ამერიკაში მონტესორის პედაგოგიური სისტემა ძალიან პოპულარული.

### ლიტერატურა:

1. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარების და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008წ.
2. გ. ჭანიშვილი, მარია მონტესორი და ქართული პედაგოგიური სინამდვილე, სკოლა და ცხოვრება, 1987წ. N3 გვ.89-96
3. Montessori, ru/montessori
4. Metodika-montessori. Narod.ru
5. Skola 7 gnomov.ru/parents

### რეზიუმე

მარია მონტესორის სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარულია მთელს მსოფლიოში. ამ სისტემის მიხედვით ბავშვთა განვითარება -ეს არის ერთდროულად თავისუფლება და დისციპლინა, გატაცებით თამაში და სერიოზული მუშაობა. მონტესორიმ თავის მეთოდისას უწოდა თვითგანვითარების სისტემა დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში.

მონტესორის მიერ შექმნილ თვითაღზრდისა და თვითგანვითარების უნიკალურ სისტემაში არ არის ერთიანი მოთხოვნები და პროგრამები. თითოეული ბავშვი მუშაობს საკუთარი ტემპით. ამ მეთოდში მნიშვნელოვანია სწავლის ინდივიდუალური არჩევანი და არა ჯგუფური გაკვეთილები. მოსწავლე უამრავი აქტივობიდან ირჩევს სასურველ საქმიანობას. აღზრდელის ამოცანაა დაეხმაროს ბავშვს მისი საქმიანობის ორგანიზაციაში, საკუთარი გზის ძიებაში, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაში. „დამეხმარე, რომ მე თვითონ შევძლო ამის გაკეთება“--ამ სიტყვებში ირეკლება მონტესორის პედაგოგიური სისტემის არსი. ის თვლიდა, რომ „იმისათვის რომ აღვზარდოთ ბავშვი--უნდა ვიცოდეთ მისი ბუნება, იმისათვის რომ მისი ბუნება შევისწავლოთ, უნდა ვაკვირდებოდეთ მას, ხოლო იმისათვის რომ ვაკვირდებოდეთ--უნდა მივცეთ მას თავისუფლება.“

ფიზიკური გარემო მონტესორის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მის გარეშე მას ფუნქციონირება არ შეუძლია, როგორც სისტემას. მომზადებული გარემო ბავშვს საშუალებას აძლევს ნაბიჯ- ნაბიჯ განვითარდეს უფროსის პირდაპირი ჩარევის გარეშე.

**Нино Чохонелидзе** - Государственный университет Акакия Церетели, докторант

### **Мария Монтессори и ее педагогическая система**

Видающийся итальянский педагог, врач, философ Мария Монтессори снискала мировую известность своей уникальной системой воспитания и обучения детей. Развитие детей по системе Монтессори- это свобода и дисциплина, увлекательная игра и серьезная работа одновременно. В уникальной системе самовоспитания и саморазвития маленьких детей основное внимание уделяется воспитанию самостоятельности, развитию чувств и мелкой моторики. В этой системе нет единых требований и программ обучения. Каждый ребенок работает в собственном темпе и занимается только тем, что ему интересно.

Главный принцип системы Монтессори- “Помоги мне сделать это самому.” Основная задача взрослого по отношению к ребенку непосредственно в процессе занятий- не мешать ему осваивать окружающий мир. Каждый ребенок обладает естественным стремлением все пощупать, понюхать, попробовать на вкус, поскольку путь к его интеллекту ведет не через абстракцию, а через органы чувств.

**Nino Chokhonelidze** – Akaki Tsereteli State University, doctorant

### **Maria Montessori and her Pedagogical system**

Today, the system of Maria Montessori on the bottom of the most popular methods of child development. Development of children of the Montessori system- is the freedom and discipline, exciting game and serious work simultaneously.

His teaching technique called Maria Montessori system of independent development of the child in a didactical prepared environment.

In a unique system of self- education and self-development of young children about in focus on education autonomy, development of the senses and fine motor skills. In this system, there are no uniform requirements and training programs. Each child works at their own pace and is only

concerned with the fact he is interested. The main principle of the Montessori system-“Help me do it myself.”The main task of the adult to the child directly in the course of employment- not to disturb him master the world, do not pass an their knowledge and to help collect, analyze and organize their own.

Developing environment an essential element of the Montessori system. Without it, it cannot function as a system the prepared environment enables the child to develop step by stop without care and become independent adults.



## სწავლების მეთოდოლოგია/ Methodology of teaching

### მათემატიკისა და ტექნიკურ დისციპლინათა სწავლების მეთოდოლოგია METHODOLOGY OF TEACHING MATHEMATICS AND TECHNICAL SCIENCES

**ვლადიმერ ადეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

#### არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების მნიშვნელობის შესახებ მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლებაში

სასკოლო სწავლების პრაქტიკაში მოსწავლეთა მიერ სხვადასხვაგვარი ამოცანების ამოხსნა ცოდნისა და უნარების დაუფლების, გონებრივი შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რამდენადაც ნებისმიერი საქმიანობა და მათ შორის სასწავლოც, შეიძლება განვიხილოთ როგორც ამოცანათა ამოხსნის პროცესების სისტემა, ამიტომ სწავლებაში გამოყენებული ამოცანების კონკრეტულ იერარქიაზე გარკვეულწილად დამოკიდებული განათლების მიზნებისა და მოსწავლეთა ეფექტური განვითარების მიღწევა.

ტერმინი „ამოცანა“ ფართოდ გამოიყენება მეცნიერებასა და პრაქტიკაში, ერთმანეთისაგან განსხვავებული მრავალი ცნების აღსანიშნავად. ცნების – „მათემატიკური ამოცანა“ ზუსტი განსაზღვრა ჯერაც არ არსებობს. სხვადასხვა გამოკვლევებში იგი სხვადასხვანაირადაა მოცემული.

მათემატიკურ ამოცანაში გამოყოფა შემდეგი კომპონენტები:

- ❖ საწყისი მდგომარეობა (ამოცანის პირობა);
- ❖ საბოლოო მდგომარეობა (ამოცანის დასკვნა);
- ❖ ამოხსნა (პირობის გარდაქმნა საძიებლის პოვნის მიზნით);
- ❖ ამოხსნის ბაზისი (მისი თეორიული დახასიათება).

მათემატიკურად ითვლება ყველა ამოცანა, რომლებშიც საწყისი მდგომარეობიდან საბოლოო მდგომარეობამდე გადასვლა მათემატიკური საშუალებებით ხორციელდება. მათემატიკის დაწყებით კურსში ტერმინი „ამოცანა“ სხვადასხვა ატრიბუტული კონსტრუქციებით გამოიყენება – „პრაქტიკული ამოცანა“, „არითმეტიკული ამოცანა“, „ტექსტური ამოცანა“, „სიუჟეტური ამოცანა“, „მათემატიკური ამოცანა“.

ამოცანათა დანიშნულებისა და მათი ამოხსნის ხერხების კანონზომიერებების მხედველობაში მიღების თვალსაზრისიდან გამომდინარე მათემატიკურ ამოცანებს ოთხ ჯგუფად ყოფენ:

1. ამოცანები ძირითადი ცნებების ათვისებაზე;
2. ამოცანათა ძირითადი სახეები, რომელთა ამოხსნის ხერხები ათვისებას ექვემდებარებიან სწავლების მოცემულ ეტაპზე;
3. რეფლექტიკური ამოცანები, ე. ი. ამოცანები, რომელთა ამოხსნის პროცესს მოსწავლეები საკუთარი საქმიანობის გაცნობიერებისათვის იყენებენ;
4. ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილების დაგროვებას.

ბოლო ჯგუფში შედის ამოცანები ამოცანათა სხვა სისტემებთან შიგსაგანობრივი კავშირების დამყარებაზე; ამოცანები, რომლებიც არამათემატიკური სიტუაციების მათემატიკურ ენაზე გადაყვანის სწავლებისათვის ნიადაგს ამზადებენ. ამავე ჯგუფშია ჩართული არასტანდარტული ამოცანებიც, რომელთა ამოხსნა არ შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსწავლეთათვის მოქმედებათა ცნობილი წესების უშუალო გამოყენების შედეგად.

არასტანდარტული ამოცანების შესწავლისადმი ინტერესი შემთხვევითი არ არის. მეთოდისტიკისა და მათემატიკის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება არასტანდარტული ამოცანების სწავლების ორგანიზებაში ადასტურებს მათ არსებით გავლენას მათემატიკური აზროვნების ისეთი თვისებების ჩამოყალიბებაზე, როგორცაა, მაგალითად: მოქნილობა,

კრიტიკულობა, აქტივობა, მიზანმიმართულება, ლოგიკურობა, რაციონალურობა, ფუნქციურობა და ა. შ. მათი შერწყმა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების, მისი სუბიექტად გახდომის საშუალებას ქმნის. დასახელებული ჟანრის ამოცანებს ემოციური მომენტი შეაქვს მოსწავლის გონებრივ საქმიანობაში და საშუალებას იძლევა, ამოხსნის პროცესი განხილული იქნას, როგორც პრობლემური სიტუაცია. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის განვითარებას, იწვევს ფსიქიკური პროცესების (მეხსიერება, აღქმა, აზროვნება) აქტივიზებას, რომელთა მეშვეობით სწრაფად და ხარისხოვნად ყალიბდება მათემატიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი სააზროვნო ოპერაციები, ლოგიკური ხერხები და შემეცნებითი უნარები. ამგვარად, არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესი ხელს უწყობს საგნისადმი ინტერესის აღძვრას და ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას, რომელთა მეშვეობითაც ხელსაყრელი პირობები იქმნება სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ჩამოსაყალიბებლად.

არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის შემთხვევაში მოსწავლეებს სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციების შესრულება, ამოხსნის სუბიექტურად ახალი ხერხების შექმნა, მათთვის ცნობილი თეორიული დებულებების გახსენება, ამოცანათა ამოხსნის საკუთარი გამოცდილების აქტუალიზება და ახალი ცოდნით შევსება უხდება. აქედან გამომდინარე, მათემატიკური განათლების შინაარსი, გარკვეული დოზით, თავისებურად შეიძლება დაეტყოს მოსწავლის განვითარებას და მის ბაზისურ მახასიათებელს – სუბიექტურობას.

არასტანდარტული ამოცანებისადმი სპეციალისტების ყურადღება განპირობებულია იმით, რომ:

- ❖ მათში ასახვას პოულობს ბავშვისათვის ნაცნობი პრაქტიკული სიტუაციები და ამიტომ, მსჯელობის დროს, მას შეუძლია საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაეყრდნოს;
- ❖ აღნიშნული კატეგორიის ამოცანები მოსწავლეს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს იმ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ხასიათში, რომლებსაც ის მათემატიკის გაკვეთილებზე ეუფლება;
- ❖ მათი ამოხსნისას ხორციელდება ნებისმიერი მათემატიკური ამოცანის ამოსახსნელი ზოგადსაწავლო უნარებისა და რთულ სიტუაციებში ორიენტირების ჩვევათა ფორმირება, რაც არასტანდარტულ ამოცანებს ადამიანის ინტელექტის განვითარების ძლიერ ინსტრუმენტად აქცევს;
- ❖ ასეთი ამოცანების ამოსახსნელად მოსწავლემ ყველა დონე უნდა იხმაროს – გამოავლინოს ნებისყოფა, დაჟინება, მიზანსწრაფვა. ამოხსნის ხერხების განსაკუთრებულობა დამოუკიდებელი კვლევების, გამომგონებლობის გამოვლენის გემოვნებას ნერგავს და დადებით ემოციებს აღვივებს როგორც ამოხსნის პროცესში, ისე შედეგის მიღწევის დროს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემეცნებითი ინტერესის, დამოუკიდებლობის, პიროვნების ზნეობრივი თვისებებისა და შემოქმედებითი მონაცემების აღზრდის იდეა უმცროსკლასელთა სასწავლო საქმიანობაში არასტანდარტული ამოცანების ჩართვით წარმატებით მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა მათში აღიძვრება მოცემული ამოცანის ამოხსნის ინტერესი.

სწავლების პრაქტიკაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების შერჩევასა და მათ გამოყენებას წინ მოსამზადებელი მუშაობა უნდა უსწრებდეს. ამიტომ აუცილებელია იმ მოთხოვნათა ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მათი შერჩევა.

მათემატიკის სწავლების ეფექტიანობა უდიდესწილად განპირობებულია თითოეული კონკრეტული ამოცანის შესაძლო ფუნქციური დატვირთვის სრული გათვალისწინებით. ცხადია, რომ ამოცანა მით მეტად ფასობს, რაც უფრო მეტი ფუნქციის რეალიზება ხდება მისი ამოხსნის პროცესში. მათემატიკური განათლების ძირითადი მიზნების (განვითარება, სწავლა, აღზრდა) შესაბამისად სწავლებაში ამოცანათა წამყვან ფუნქციებად განმავითარებელი, სასწავლო და აღმზრდელობითი ფუნქციები ითვლება.

არასტანდარტულ ამოცანათა სასწავლო ფუნქციები ორიენტირებულია მათემატიკური ცოდნის სისტემის, უნარისა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება მოდელირების, ფორმალიზების, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ჩვევათა ფორმირების საკითხებს. განუზომლად დიდია მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის აღმზრდელობითი მნიშვნელობა,

რომელიც არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის პროცესში ვლინდება. ამ დროს ეუფლება მოსწავლე შემოქმედებით აზროვნებას, მიღებული ცოდნის აქტიურ გამოყენებას. სწორედ აქ ხდება განსაზღვრული ინტელექტუალური, ემოციური და ნებისყოფითი თვისებების დემონსტრირება. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება „კარგი ამოცანის“ შერჩევის თაობაზე:

1. ამოცანა, რომელსაც უმცროსკლასელს ვთავაზობთ, მოსწავლისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მოსწავლეში მან უნდა აღძრას კვლევისადმი სურვილი შემდეგ გარემოებათა ხარჯზე:

- ❖ ამოცანის ფაბულაში სიახლის ელემენტების შემოტანის, როგორც მათემატიკისადმი მოსწავლეთა ინტერესის აღძვრისა და მათი ინტელექტუალური შრომის მოტივირების ხელშემწყობმა ფაქტორმა;
- ❖ ამოცანის პირობაში აღწერილი სიტუაციის რეალურობის, რიცხვითი მონაცემების, მიღებული ამოხსნის, ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან სიახლოვის;
- ❖ ორიგინალური ამოხსნის, რომელიც უზვეულო პირობებში ცნობილი მეთოდების გამოყენებას საჭიროებს; ცნობილი ხერხების რაციონალიზებისა და გამარტივების; წინააღმდეგობრიობიდან გამოსავლის ძიების; ცნობილი ცნებებისა და ოპერაციების განზოგადების ხარჯზე.

2. „კარგი ამოცანის“ მეორე განსაკუთრებულობა უკავშირდება ამოხსნის სიძნელის პრობლემის შეწყობას დაწყებითი კლასების მოსწავლეთა შესაძლებლობებთან. უმცროსკლასელს არამარტო უნდა სურდეს, არამედ მზადაც უნდა იყოს იგი შეთავაზებული ამოცანის ამოსახსნელად. ძალზე ძნელი მათემატიკური პრობლემებით გადატვირთული ამოცანა ბავშვების იმედაცრუებას იწვევს, რაც მათი განვითარების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი ხდება. ამოუხსნელი ამოცანა უარყოფით გავლენას ახდენს მათემატიკისადმი ინტერესის აღზრდაზე. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საგნის სწავლების საწყის ეტაპზე, რომ მოსწავლეთათვის შეთავაზებული არასტანდარტული ამოცანები მათი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცილდებოდეს. აქედან გამომდინარე, დაწყებითი მათემატიკური განათლების შინაარსში დანერგილი არასტანდარტული ამოცანები უნდა:

- ❖ შეესაბამებოდეს ელემენტთა მოცულობითა და მათ შორის არსებულ მიმართებათა სირთულით, მოსწავლეთა ცოდნის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების დონეს;
- ❖ იყოს ლაკონიურად ფორმულირებული;
- ❖ უშვებდეს პრაქტიკულ ამოხსნას (რომელთა აუცილებელ პირობას რიცხვითი მონაცემების არსებობა წარმოადგენს), ასევე, ამოხსნის სხვადასხვა ვარიანტებსა და ამოხსნის სისწორის შემოწმების ხერხებს. ამასთან, ამოცანის ამოხსნა არ უნდა იყოს ძალიან ადვილი, მხოლოდ მიხვედრებზე დაფუძნებული, რომელიც არ მოითხოვს არც თეორიულ ცოდნასა და არც პრაქტიკულ მოქმედებათა შესრულების ჩვევებს.

3. დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი არასტანდარტული ამოცანების სისტემა უნდა მოიცავდეს კურსის ყველა ძირითად თემას. მან უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავება. გარდა ამისა, ამოცანის სტრუქტურული მახასიათებლები სხვადასხვანაირი უნდა იყოს: პირობის სრული (ან არასაკმარისი) ნაკრებით; ჭარბი ან დაკლებული პირობებით და ა. შ. იგი მოსწავლეს უნდა აჩვენებდეს, არ მიენდოს ამოცანის გარეგნულ სახეს და პირდაპირ არ „მიაწყდეს“ მისი ამოხსნის დაწყებას, არ ჩათვალოს, რომ გარეგნული სახე ემთხვევა მის ნამდვილ შინაარსს.

ამგვარად, დაწყებითი მათემატიკური განათლების ამოცანათა სრული სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ იგი მოსწავლეებში დამოუკიდებელი კვლევის ჩვევებს, დადებით ემოციებს ნერგავდეს.

არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების საგაკვეთილო პროცესში ჩართვის დროს მასწავლებელი მოვალეა:

- ❖ უნარიანად დაამუშაოს საამოცანო მასალა საგნის შინაარსისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თვისებურებების მიხედვით, რამდენადაც იგი მათემატიკის შესწავლისადმი მათ მიმართებას განსაზღვრავს: ძალიან ძნელმა ან ძალიან ადვილმა ამოცანებმა სწავლისადმი ნეგატიური



დამოკიდებულება შეიძლება გამოიწვიოს. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ამოცანებს, რომლებშიც გარეგანი მომხიბვლელი, სახალისო, მოულოდნელო გამოხატული ფაბულით ან საკითხის უჩვეულო დასმით, ეხამება შინაგან ხიბლს, რომელიც ამოცანის მათემატიკურ შინაარსშია ჩადებული. მაგალითად, ამოხსნის ხერხის ორიგინალურობაში და სხვ.

❖ სასწავლო საქმიანობის ჯგუფურ-დამოუკიდებელი და პრობლემურ-დიალოგური სწავლების ფორმებზე დაყრდნობით ორგანიზებული მუშაობა მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილი და სასარგებლოა, რამდენადაც ამოცანების ამოხსნის მეშვეობით მათემატიკისადმი ინტერესი მაშინ აღიძვრება, როცა მოსწავლეს საშუალება ეძლევა, თვითონ იფიქროს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს, თვითონ მოახდინოს მათი განზოგადება. სწორედ ასეთ შემთხვევაში გრძობს ის თავისი შრომის სარგებლიანობას. ჯგუფურ მეცადინეობათა ორგანიზებას თავისი დადებითი მომენტები გააჩნია: ამ დროს მოსწავლეები ეჩვევიან ერთობლივ შრომას, თავიანთი შეხედულებების არგუმენტირებასა და დაცვას.

ამკარაა, რომ არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისას წარმოქმნილი დადებითი მოტივაცია ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ხერხების დაუფლებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკის სწავლების ტრადიციულ პრაქტიკაში, ამოცანების ამოხსნის უნარებში, ჩვეულებრივ, კერძო უნარებს გულისხმობენ, რომლებიც კონკრეტული სახის ამოცანების ამოხსნაზეა ორიენტირებული. ზოგადი უნარების შემენა კი შედარებით არსებითი კომპონენტია, რომელიც მოსწავლის აზროვნების განვითარების მაღალი დონისა და მათემატიკური ხასიათის საქმიანობაში ჩახედულობის დამახასიათებელი კომპონენტია. დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის კრიტიკა ამოცანათა ამოხსნის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, ზოგადი უნარების ფორმირების ნაცვლად კერძო უნარების ფორმირებას უკავშირდება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლეთა საქმიანობის ოპერაციულ არეს და იმ ამოცანებთან მიმართებაში, რომლებიც რამდენადმე განსხვავდებიან შაბლონურისაგან, გარკვეულ სიძნელებებს წარმოშობს. რაც, საბოლოო ჯამში, მათი ამოხსნის მცდელობის გაგრძელებაზე უარის თქმას იწვევს. მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ამ გარემოებისადმი უკმაყოფილებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისშიც გამოთქვამდნენ, მაგრამ აღნიშნული პრობლემა ამჟამადაც აქტუალურად რჩება.

ისმება კითხვა, ამოცანების ამოხსნის საქმიანობასთან დაკავშირებულ რომელ უნარებს გამოყოფენ მეთოდისტები? ზოგიერთი მათგანი გამოყოფს: ამოცანის პირობების გაგების, მისი გაანალიზების, ნახაზის აგების, მოცემულსა და საძიებელს შორის კავშირების დამყარების, ამოხსნის გეგმის შედგენის, ამოცანის ახლადფორმულირების, ამოხსნის ხერხების შერჩევის, ამოხსნის პროცესის კონტროლის, ნაპოვნი ამოხსნის შესწავლისა და მისი შემოწმების უნარებს.

სხვები თვლიან, რომ ამოცანათა ამოხსნის უნარი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: ამოცანის წაკითხვის უნარი (მისი თითოეული სიტყვის გააზრება, საყრდენი სიტყვების გამოყოფა); ამოცანის პირობისა და მოთხოვნის, ცნობილისა და უცნობის გარჩევის უნარი; მოცემულსა და საძიებელს შორის კავშირების დამყარების უნარი; ამოცანის ამოხსნის პროცესისა და პასუხის ჩაწერის უნარი.

სხვადასხვა მოსაზრებების საფუძველზე ჩვენ გამოვყოფთ უმცროსკლასელთა სპეციფიკური სასწავლო საქმიანობისათვის დამახასიათებელ ზოგადი უნარების ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება შემოწმდეს ექსპერიმენტულად და შეფასდეს რაოდენობრივად.

**1. ამოცანის პირობის გაგებასა და ანალიზთან დაკავშირებული უნარები:** ამოცანათა ჯგუფისადმი კონკრეტული ტექსტების მიკუთვნების შემოწმების; ამოცანის პირობაში აღწერილი ცხოვრებისეული მოვლენების მათემატიკების; მიმართებათა გამოვლენის, რომლებშიც ამოცანის კომპონენტები იმყოფება; ამოცანის მოცემულობათა სისრულისა (საკმარისობა, არასაკმარისობა, სიჭარბე) და წინააღმდეგობრიობის დადგენის; ამოცანის ქვეამოცანებად დანაწევრების; ამოცანის პირობის ხელახლად ფორმულირების; პირობის სხვადასხვა სახის მოკლე ჩანაწერების შედგენის.

**2. ამოხსნის გეგმის შედგენასთან დაკავშირებული უნარები:** დამხმარე მოდელების სახით სქემების, ცხრილების, სიმბოლოების, ნახაზების, გრაფიკების და ა. შ. გამოყენების; ამოცანების ამოსახსნელად საჭირო აუცილებელი ცოდნის მობილიზების; საამოცანო სიტუაციის მათემატიკურ



მიმართებათა და დამოკიდებულებათა ენაზე გადაყვანის და, პირიქით, ამოცანის სიმბოლიკური და გრაფიკული ახსნა-განმარტებისა – ობიექტური ტექსტის ენაზე; ამოხსნის გეგმის ამოცანის პირობასთან შესაბამისობის შემოწმების; ამოცანის ამოხსნის გეგმის დაფიქსირების.

**3. ამოხსნის გეგმის რეალიზებასთან დაკავშირებული უნარები:** ამოცანის შინაარსის შესაბამისი მათემატიკური ოპერაციებისა და ხერხების შერჩევისა და მათი სწორად შესრულების; ამოცანის ამოხსნის ვარიაციულობის ხედვის; ამოცანის სხვადასხვა ხერხებით ამოხსნის; ამოხსნის სხვადასხვა ფორმით გაფორმების და პასუხის ჩაწერის; ამოცანის შესაძლო კერძო და განსაკუთრებული შემთხვევის გამოკვლევის.

**4. კონტროლთან დაკავშირებული უნარები:** წინმსწრები კონტროლის: აწონ-დაწონა, პირობის რეალურობის შემოწმება; მიმდინარე კონტროლის: პირობისა და ამოხსნის დასახული გეგმის შეპირისპირება მისი რეალიზების პროცესში; შემაჯამებელი კონტროლის: ამოხსნის შემოწმების შესრულება სხვადასხვა ხერხებით; ამოხსნის შედეგების შეფასება რაციონალურობის, სილამაზის, სირთულის თვალსაზრისით.

არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების პროცესი მდიდარ პედაგოგიურ გარემოს ქმნის, რომელსაც თითოეული მოსწავლის პიროვნულ თვისებებზე (მათემატიკური კულტურის, აზროვნების ხარისხის ფორმირებაზე) ზემოქმედება შეუძლია. ყოველივე, თავის მხრივ, მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო საქმიანობაში, მისი სუბიექტი გახდეს. ასეთ ამოცანებს ემოციური მომენტი შეაქვთ მოსწავლეთა გონებზე საქმიანობაში. ისინი საშუალებას იძლევიან ამოცანის ამოხსნის პროცესი განხილულ იქნეს როგორც პრობლემური სიტუაცია, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური პროცესების მათემატიკურ შინაგან მოტივაციას. ყოველივე ამის შედეგად თვისებრივად და სწრაფად ყალიბდება სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სააზროვნო ოპერაციები, ლოგიკური ხერხები და შემეცნებითი უნარები.

ამგვარად, აღნიშნული კულტურის ამოცანებთან უმცროსკლასელთა ურთიერთობის გამოცდილება დიდად წაადგება მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესის გაჩენასა და ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის მოტივაციური და ოპერაციული სფეროების დამკვიდრებასა და განვითარებას.

#### ლიტერატურა:

1. მორალიშვილი თ. სასკოლო მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ძიების სწავლების მეთოდური საფუძვლები. პედ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2003.
2. Столяр А.А. Педагогика математики. – 30е изд., перераб. и доп. – Минск: Вышэйшая школа, 1986.
3. Фридман Л.М., Турецкий Е.Н. Как научиться решать задачи. – М.: Просвещение, 1984.
4. Колягин Ю.М. Задачи в обучении математике / Под ред. Ю.М. Колягина. – М.: Просвещение, 1977. – Ч. 1.
5. Пойа Д. Математическое открытие. Решение задач: основные понятия, изучение и преподавание: Пер. с англ. / Под ред. С.А.Яновской. – М.: Наука, 1976.
6. Методика преподавания математики в начальных классах. Учебное пособие для школьных отделений педучилищ / Под ред. М.А. Бантовой. – М.: Просвещение, 1973.

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თუ რა მნიშვნელობა აქვს არასტანდარტულ მათემატიკურ ამოცანებს მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლებაში.

არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების პროცესი მდიდარ პედაგოგიურ გარემოს ქმნის, რომელსაც თითოეული მოსწავლის პიროვნულ თვისებებზე (მათემატიკური კულტურის, აზროვნების ხარისხის ფორმირებაზე) ზემოქმედება შეუძლია. ყოველივე, თავის მხრივ, მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო საქმიანობაში, მისი სუბიექტი გახდეს. ასეთ ამოცანებს ემოციური მომენტი შეაქვთ მოსწავლეთა

გონებზე საქმიანობაში. ისინი საშუალებას იძლევიან ამოცანის ამოხსნის პროცესი განხილულ იქნეს როგორც პრობლემური სიტუაცია, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური პროცესების მათემატიკურად შინაგან მოტივაციას. ყოველივე ამის შედეგად თვისებრივად და სწრაფად ყალიბდება სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ოპერაციები, ლოგიკური ხერხები და შემეცნებითი უნარები.

ამგვარად, აღნიშნული კულტურის ამოცანებთან უმცროსკლასელთა ურთიერთობის გამოცდილება დიდად წაადგება მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესის გაჩენასა და ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის მოტივაციური და ოპერაციული სფეროების დამკვიდრებასა და განვითარებას.

**Vladimer Adeishvili** - Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Dean of Pedagogical Faculty

### **About the Importance of Teaching Non-standard Mathematical Problems in Elementary Math Courses** **Abstract**

The paper discusses the importance of teaching non-standard mathematical problems in elementary math courses.

The process of teaching non-standard mathematical problem solving has created rich teaching environment which can impact every student's personal qualities (mathematics culture, the formation of thinking quality). All these, in turn, allow the student to participate actively in the teaching-learning process and become its subject. Such problems create an emotional moment in students' mental activity. They allow considering problem solving process as a troublesome situation, which contributes to internal motivation activating mental processes. As a result, analytical operations, logical methods and cognitive skills necessary for the implementation of teaching process are qualitatively and quickly developed.

Thus, the problems of given culture or the experience of junior students' will greatly benefit generating interest to the study of math and acquiring general learning skills. This provides fruitful ground to establish and develop motivating and operating fields for educational activities.

**Владимир Адеишвили** – ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели, декан педагогического факультета

### **О значении нестандартных математических задач в преподавании начального курса математики** **Резюме**

В труде обсуждается, какое значение имеют нестандартные математические задачи в преподавании начального курса математики.

Процесс обучения решению нестандартных математических задач создает богатую педагогическую среду, которая может воздействовать на личностные качества каждого ученика (математическое мышление, формирование качества мышления). Все это, в свою очередь, дает возможность учащемуся принять активное участие в учебной деятельности, стать ее субъектом. Такие задачи приносят эмоциональный момент в мыслительную деятельность учащихся. Они дают возможность рассматривать процесс решения задачи как проблемную ситуацию, что способствует активизации внутренней мотивации психических процессов. Вследствие всего этого быстро и качественно формируются необходимые для осуществления учебной деятельности мыслительные операции, логические приемы и познавательные навыки.

Таким образом, опыт взаимоотношений учащихся младших классов с задачами данной культуры во многом способствует возникновению интереса к изучению математики и усвоению общих учебных навыков, что обеспечивает создание и развитие мотивационной и оперативной сфер учебной деятельности.

ბაკურ ბაკურაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### არითმეტიკული საშუალოს სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი

არითმეტიკული საშუალო არის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. არითმეტიკული საშუალოს გამოყენება სხვადასხვა დარგებში საკმაოდ ფართოა. მისი პრაქტიკული გამოყენება საშუალო სკოლაში უკვე მეოთხე-მუხუთე კლასებიდან ხდება გეოგრაფიის, ბიოლოგიის, შემდგომ კი ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილებზე. ამიტომ მისი საფუძვლიანი და შინაარსობრივი გაცნობა მოსწავლეებისათვის აუცილებელია. მოსწავლეები არითმეტიკული საშუალოს ცნებას ეცნობიან კონკრეტული მაგალითების განხილვით, მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრით ან რაიმე სხეულების წონის საშუალო გაგებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ მეოთხე კლასში მოსწავლეებს ეძლევათ არითმეტიკული საშუალოს განსაზღვრება: რამდენიმე რიცხვის არითმეტიკული საშუალო ეწოდება მათი ჯამის განაყოფს შესაკრებთა რიცხვზე.

ჩვენი აზრით საჭიროა რომ მოცემული საკითხის განხილვის დროს პედაგოგები არ იყვნენ შემოსაზღვრული ამ საკითხის მხოლოდ ცალმხრივი გაგებით, ამიტომ უმაღლეს სკოლაში სწავლების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არითმეტიკული საშუალოს განმარტებას და მის კავშირს მათემატიკურ ლოდინთან.

დავუშვათ სტატისტიკური მონაცემები შეგროვებულია და წარმოდგენილია ვარიაციული მწკრივის სახით. როგორც ვიცით შემდეგ საჭიროა მისი ანალიზი. ვარიაციული მწკრივის დახასიათება შეიძლება ვარიანტების სიხშირეების საშუალებით განსაზღვრული ზოგიერთი მუდმივით. მათ შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია არითმეტიკული საშუალო. ცხადია არსებობს ასევე გეომეტრიული საშუალო, კვადრატული საშუალო და სხვა.

$x_1, x_2, \dots, x_m$  ვარიაციული მწკრივის არითმეტიკული საშუალო ეწოდება სიდიდეს:

$$\bar{x} = \frac{x_1 n_1 + x_2 n_2 + \dots + x_m n_m}{n_1 + n_2 + \dots + n_m} = \frac{\sum_{i=1}^m x_i n_i}{n}$$

სადაც  $n_i$  არის  $x_i$  ვარიანტის წონა ( $i = 1, 2, \dots, m$ ).

მოვიყვანოთ არითმეტიკული საშუალოს რამდენიმე თვისება. განვიხილოთ დისკრეტული ვარიაციული მწკრივი.

თვისება 1. თუ ყოველ ვარიანტს გავამრავლებთ (გავყოფთ) ერთსა და იმავე რიცხვზე, მაშინ არითმეტიკული საშუალო გაიზრდება (შემცირდება) იმდენივეჯერ.

დამტკიცება:  $k\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^m kx_i n_i}{n} = \frac{k \sum_{i=1}^m x_i n_i}{n} = k\bar{x}$

თვისება 2. თუ ყველა ვარიანტს გავზრდით (შევამცირებთ) ერთი და რიცხვით, მაშინ არითმეტიკული საშუალო იმავე რიცხვით გაიზრდება (შემცირდება).

თვისება 3. განაწილების ვარიანტებისა და არითმეტიკული საშუალოს სხვაობის შესაბამის წონებზე ნამრავლების ჯამი ნულის ტოლია.

თვისება 4. წონების სიხშირეების ერთი და იმავე რიცხვჯერ გადიდებით ან შემცირებით არითმეტიკული საშუალო არ იცვლება.

ახლა განვიხილოთ არითმეტიკული საშუალოს კავშირი მათემატიკურ ლოდინთან. მოვიყვანოთ მათემატიკური ლოდინის განმარტება.

განმარტება: დისკრეტული  $X$  შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი ეწოდება ამ სიდიდეთა მნიშვნელობების შესაბამის ალბათობებზე ნამრავლთა ჯამს.

მოცემულია  $X$  შემთხვევითი სიდიდე რომლის განაწილების კანონს აქვს შემდეგი სახე :

$$X \begin{matrix} x_1, x_2, \dots, x_n \\ p_1, p_2, \dots, p_n \end{matrix}$$

მაშინ განმარტებით  $X$  შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი  $M(X)$  განიმარტება ტოლობით:  $M(X) = x_1 p_1 + x_2 p_2 + \dots + x_n p_n = \sum_{i=1}^n x_i p_i$

თუ განაწილების კანონში  $p_1 = p_2 = \dots = p_n = \frac{1}{n}$  მაშინ  $X$  შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი ემთხვევა  $X$ -ის შესაძლო მნიშვნელობათა არითმეტიკულ საშუალოს.

მოცემულიდან გამოდინარე არითმეტიკული საშუალოს სწავლებისათვის პედაგოგმა საფუძვლიანად უნდა იცოდეს ვარიაციული მწკრივის არითმეტიკული საშუალოს ცნება და მისი თვისებები. მოცემული საკითხის და აგრეთვე მათემატიკურ ლოდინთან კავშირი საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ საკითხს შევხედოთ სხვა კუთხით რაც უფრო მრავალფეროვანს და მიმზიდველს გახდის მოცემული საკითხის სწავლებას, საშუალო სკოლის სხვადასხვა საფეხურზე.

არითმეტიკული საშუალოს სწავლების დროს მოსწავლეებს საგაკვეთილო მეცადინეობაზე უნდა შევახსენოთ საშუალო სიჩქარის ცნება. უნდა ავუხსნათ რომ ის არის მთლიანად გავლილი გზის შეფარდება დროსთან. მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ საშუალო სიჩქარე არ არის სიჩქარეთა არითმეტიკული საშუალო.

$$v_{საშ} = \frac{v_1 + v_2 + \dots + v_n}{n}$$

განვიხილოთ ამოცანა, დავეუშვათ ავტომობილმა გზია პირველი ნახევარი გაიარა  $v_1$  სიჩქარით, ხოლო გზის მეორე ნახევარი  $v_2$  სიჩქარით, იპოვეთ ავტომობილის საშუალო სიჩქარე. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია გამოვიყენოთ ფორმულა

$$v_{საშ} = \frac{2v_1v_2}{v_1 + v_2}$$

მოცემული ფორმულის დამტკიცება სირთულეს არ წარმოადგენს მათემატიკის გაკვეთილზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკლასო მეცადინეობაზე განხილულ იქნას შემდეგი

**ამოცანა 1.** კატერმა მდინარეში 2 საათის განმავლობაში გაიარა 70 კმ და ტბაზე 3 საათის განმავლობაში 90 კმ. რა საშუალო სიჩქარით გაიარა მან მთელი გზა?

ამოცანის ამოხსნის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მოაგონოს საშუალო სიჩქარის განსაზღვრება, რითაც მოსწავლეები დარწმუნდებიან იმაში, რომ სიჩქარეების გამოთვლას თუ დაიწყებდნენ ცალ-ცალკე მივიდოდნენ მცდარ დასკვნამდე.

**მასწავლებელი.** რამდენი კილომეტრი გაიარა სულ კატერმა?

**მოსწავლე.** თბომავალმა სულ გაიარა 70 კმ + 90 კმ = 160 კმ.

**მასწავლებელი.** რამდენი საათი იმოდრავა კატერმა?

**მოსწავლე.** თბომავალმა იმოდრავა 2 სთ + 3 სთ = 5სთ.

**მასწავლებელი.** რას უდრის თბომავლის საშუალო სიჩქარე?

**მოსწავლე.** თბომავლის საშუალო სიჩქარე უდრის

$$v = \frac{160}{5} = 32 \text{ კმ/სთ}$$

**ამოცანა 2.** სკოლის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდში სამი მოსწავლეა, მათ შორის ერთი კაპიტანია. მოჭადაკეთა გუნდის ყველა წევრთა საშუალო ასაკი 11 წელია, ხოლო საშუალო ასაკი კაპიტანის გარეშე 12 წელია. რამდენი წლისაა სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის კაპიტანი?

**მასწავლებელი.** ჯამში სულ რამდენი წლის არის სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის ასაკი?

**მოსწავლე.** სულ სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის ყველა წევრის ასაკი არის  $11 \cdot 3 = 33$  წელი.

**მასწავლებელი.** ჯამში სულ რამდენი წლის არის სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის ასაკი კაპიტანის გარეშე?

**მოსწავლე.** სულ სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის წევრთა ასაკი კაპიტანის გარეშე არის  $12 \cdot 2 = 24$  წელი.

**მასწავლებელი.** რამდენი წლის არის სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის კაპიტანი?

**მოსწავლე.** სკოლის მოჭადრაკეთა გუნდის კაპიტანი არის  $33 - 24 = 9$  წლის.

**ამოცანა 3.** ლაბორატორიაში ჩაატარეს ცდა, კოლოების ოთახში შეუშვეს ღამურა, რომლის წონაც 3,9 გრამია. 15 წუთში ღამურას წონა 10 პროცენტით გაიზარდა. კოლოს საშუალო წონა 0,002 გრამია. რამდენი კოლო შეუჭამია ღამურას?

**მასწავლებელი.** რამდენი გრამი მოიმატა ღამურამ 15 წუთში?

**მოსწავლე.** ღამურამ 15 წუთში მოიმატა  $\frac{3,9}{100} \cdot 10 = 0,39$  გრამი.

**მასწავლებელი.** რამდენი კოლო შეჭამა ღამურამ 15 წუთში?



**მოსწავლე.** დამურას შეუჭამია  $0,39 : 0,002 = 195$  კოლო.

**მასწავლებელი.** რამდენი კოლო შეუჭამია დამურას საშუალოდ წუთში?

**მოსწავლე.** დამურას საშუალოდ წუთში შეუჭამია

$$\frac{195}{15} = 13 \text{ კოლო.}$$

**ამოცანა 4.** სკოლის კალათბურთელთა გუნდში 5 მოსწავლეა - გიორგი, პაპუნა, ირაკლი, დავითი და კახა. მათი საშუალო ასაკი 13 წელია. გიორგი 15 წლისაა, პაპუნა 14 წლის, ირაკლი 12 წლის, დავითი 11 წლისაა. რამდენი წლისაა კახა?

**მასწავლებელი.** ჯამში სულ რამდენი წლის არის კალათბურთელთა ასაკი?

**მოსწავლე.** სულ ჯამში კალათბურთელთა ასაკი არის  $13 \cdot 5 = 65$  წელი.

**მასწავლებელი.** როგორ გამოვთვალოთ კახას ასაკი?

**მოსწავლე.** კახას ასაკის გამოსათვლელად საერთო ასაკს უნდა გამოვაკლოთ დანარჩენი კალათბურთელების ასაკთა ჯამი  $65 - (15 + 14 + 12 + 11) = 13$  წელი.

**ამოცანა 5.** ხუთი განსხვავებული ნატურალური რიცხვის არითმეტიკული საშუალო არის 12. რისი ტოლი შეიძლება იყოს ამ რიცხვებს შორის უდიდესი.

**მასწავლებელი.** რისი ტოლია მოცემული რიცხვების ჯამი?

**მოსწავლე.** მოცემული რიცხვების ჯამია  $12 \cdot 5 = 60$ .

**მასწავლებელი.** ფიქსირებულ ჯამში თუ ერთი რიცხვი უდიდესია როგორი უნდა იყვნენ დანარჩენები?

**მოსწავლე.** დანარჩენები უნდა იყვნენ რაც შეიძლება მცირე.

**მასწავლებელი.** რისი ტოლი შეიძლება იყვნენ მოცემული რიცხვები?

**მოსწავლე.** მოცემული რიცხვებია 1, 2, 3, 4.

**მასწავლებელი.** როგორ ვიპოვოთ საძიებელი რიცხვი.

**მოსწავლე.** საძიებელი რიცხვი რომ ვიპოვოთ  $60 - (1 + 2 + 3 + 4) = 50$

განხილული ამოცანები მოსწავლეებს აძლევს საფუძვლიან ცოდნას საშუალო არითმეტიკულზე, რომელსაც მომდევნო კლასებში ისინი იყენებენ მათემატიკის და სხვა სასწავლო დისციპლინების შესწავლის დროს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ქურჩიშვილი-გავიმეორეთ მათემატიკა. აბიტურიენტებისა და პედაგოგებისათვის, I ნაწილი გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2009 წელი.
2. გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ქურჩიშვილი-გავიმეორეთ მათემატიკა. აბიტურიენტებისა და პედაგოგებისათვის, II ნაწილი გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2009 წელი.
3. Гнеденко Б.В. - Обзор статей, посвященных факультативному курсу теорий вероятности. "Математика в школе". 1972 г. №2.
4. Методика преподавания математики в средней школе: Общая методика. Учебное пособие для ст-ов физ.-мат. фак-ов пед. инст. / В.А. Оганесян, Ю.М. Колягин и др. – 4-е изд. – М.: Просвещение, 1998. – 368с.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია არითმეტიკული საშუალოს სწავლების საკითხი. რა მათემატიკურ ცოდნას უნდა უნდა ეყრდნობოდეს ამ საკითხის სწავლება. რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება უმაღლეს სკოლაში რათა მომავალი პედაგოგი აღჭურვილი იყოს მოცემული საკითხის საფუძვლიანი ცოდნით. აგრეთვე მოცემულია მეთოდური რეკომენდაციები ამ საკითხის სწავლებასთან დაკავშირებით. განხილულია სათანადო ამოცანები.

**Bakur Bakuradze** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor

### Some important issues of Arithmetic teaching

#### Abstract

The article deals with Arithmetic teaching issues. The mathematical knowledge that these issues should be based on and what issues must be paid to, in high school for future teachers to be knowledgeable about given issues.

Also, there is some methodological information given about teaching the following subject and some appropriate goals are analysed.

**Бакур Бакурадзе** - Государственный университет Акакия Церетели, Академический доктор

### Несколько важных аспектов обучения арифметическому среднему

#### Резюме

В рассматривается вопрос обучения арифметическому среднему, на какие математические знания должно опираться изучение этого вопроса, на какие вопросы необходимо обратить внимание в высшей школе, чтобы будущий учитель был вооружен фундаментальными знаниями по данному вопросу. Также даются рекомендации по обучению этого вопроса. Рассмотрены соответствующие примеры.

**მამული ბუჭუხიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**კვლევითი ხასიათის გაკვეთილი სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის სწავლებისას**

გაკვეთილი არის სწავლების ძირითადი ფორმა საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, მათ შორის კვლევითი ხასიათის.

ჩვენ განვიხილავთ კვლევით ხასიათის გაკვეთილის კონკრეტულ შემთხვევას, სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის განსაზღვრაზე, სადაც მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტული გზით დავადგინოთ და წამოვაცენოთ ჰიპოთეზა, ნებისმიერი სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის შესახებ.

გაკვეთილის მსვლელობისას საჭიროა:

ა) დავამტკიცოთ წამოყენებული დებულება

ბ) განვამტკიცოთ დადგენილი ფაქტი

გ) განვავითაროთ შემოქმედებითი და შემცნებითი ინტერესის მოსწავლეებში.

გაკვეთილის სტრუქტურა და მსვლელობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთნაირად:

1) *სიახლის აღქმისათვის მომზადება.* შეიძლება დავსვათ ამოცანები წრფეთა პარალელობაზე, კუთხეების გაზომვაზე, პარალელურ წრფეთა თვისებებზე.

2) *პრაქტიკულად მოვახდინოთ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.*

3) *ფრონტალური მუშაობით ვეცადოთ წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასაბუთებას*

4) *ასევე ფრონტალურად განვამტკიცოთ თეორემა*


5) *შეიძლება შევადგინოთ ამოცანები და ამოვხსნათ გამზადებული ნახაზებით*

6) *შევაჯამოთ გაკვეთილის შედეგები და მივცეთ საშინაო დავალება.*

მსვლელობისას მოსწავლეებს აუცილებლად გავაცნობთ, რომ ვატარებთ კვლევით ხასიათის გაკვეთილს, რომ კვლევები და ექსპერიმენტები ყველაზე მეტად ტარდება ქიმიაში, ფიზიკაში და მათემატიკაში. გეომეტრიული თეორემები და დებულებები ისტორიულად ძირითადად დამტკიცებულია ექსპერიმენტული კვლევებით და დაკვირვებებით. გაკვეთილზე ჩვენ ვიხსენებთ ზოგიერთ ადრე დამტკიცებულ თეორემას.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.


**ამოცანა 1.** რა არის გაშლილი კუთხე და როგორია მისი გრადუსული ზომა? ჩვენს მიერ აგებულ ნახაზზე (ნახ. 1) მოსწავლეებს შეიძლება მოვამებინოთ  $\angle DOC$  ზომა.



ნ ა ხ . 1

**ამოცანა 2.** მოცემული გვაქვს  $a$  წრფე და წერტილი  $A$ , რომელიც არ ძევს მოცემულ წრფეზე. წერტილზე გადის სამი წრფე, როგორი მდებარეობა შეიძლება ექნეს მათ  $a$  წრფესთან? (ნახ. 2)


●  $A$




მოსწავლეებს დამოუკიდებლად ავაგებინებთ შემდეგ ვარიანტებს.

- ა) სამივე წრფე რომელიც გადის  $A$  წერტილზე კვეთს  $a$  წრფეს.
- ბ) ერთი მათ შორის შეიძლება იყოს პარალელური ხოლო დანარჩენი ორი მკვეთი

**ამოცანა 3.** მოცემულია  $a \parallel b$ , ხოლო  $C$  წრფე არის მათი მკვეთი. იპოვეთ  $\angle 1$ ,  $\angle 2$ ,  $\angle 3$  (ნახ. 3)



ჩვენს კვლევაში შემოვიტანოთ წინადადება. ვთქვათ მოცემული გვაქვს  $ABC$  სამკუთხედი (ნახ. 4) რომელშიაც ცნობილია  $\angle A = 30^\circ$  და  $\angle B = 50^\circ$  განვსაზღვროთ სამკუთხედის სახე.



მოსწავლეს დაუსვამთ კითხვას კუთხეების მიხედვით როგორი სამკუთხედები შეიძლება შეგვხვდეს? (პასუხი: მართკუთხა, მახვილკუთხა, ზღაგვეკუთხა)

ჩვენი ნახაზის მიხედვით პრობლემა მდგომარეობს მასში, რომ უნდა ვიპოვოთ  $C$  კუთხე, რომელზედაც არის დამოკიდებული როგორი სახისაა სამკუთხედი. როგორ ვიპოვოთ ეს კუთხე?

მოსწავლე დაასკვნის შეიძლება ის გავზომოთ. თუ სამკუთხედი დიდია მაშინ როგორ მოვიქცეთ?




მასწავლებელი გააკეთებს დასკვნას: უნდა დავამყაროთ ურთიერთკავშირი სამკუთხედის კუთხეებს შორის.

მოცემული ურთიერთდამოკიდებულების გასაგებად ჩავატაროთ ექსპერიმენტი. მოსწავლეთა სამ რიგს კლასში დაურიგოთ სხვადასხვა სახის სამკუთხედები: მართკუთხა, ბლაგვკუთხა და მახვილკუთხა. თუ თითოეულ სამკუთხედს მოჭერთ შესაბამის კუთხეებს და შევადრებთ მათ ერთმანეთთან მივიღებთ გაშლილ კუთხეს. დავსვამთ კითხვას, როგორია მისი გრადუსული ზომა? ეს მათ უკვე გავაცანით პირველ ამოცანაში, რომ გაშლილი კუთხის გრადუსული ზომა ტოლია  $180^{\circ}$ . ე.ი შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი უდრის  $180^{\circ}$ .

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: როგორი წინადადება შეიძლება ჩამოვყალიბოთ? ნებისმიერი სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი ტოლია  $180^{\circ}$ .

მოცემული წინადადება დამტკიცებულია მარტივად (ნახ. 5).



ე.ი. დამტკიცდა თეორემა: ნებისმიერი სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი ტოლია  $180^{\circ}$

ამ დებულების გათვალისწინებით დავადგენთ წინა ამოცანაში საძიებო  $\angle C$  გრადუსულ ზომას (ნახ. 4)  $\angle C = 180^{\circ} - 70^{\circ} = 110^{\circ}$  ე.ი.  $\triangle ABC$  (ნახ. 4) არის ბლაგვკუთხა.

მოცემული ამოცანების განხილვის შემდეგ მოსწავლეებთან გავაკეთებთ შემაჯამებელ კვლევით დასკვნებს, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ კითხვა პასუხით. რა გაიგეთ ახალი გაკვეთილზე? სად გამოიყენება თეორემა სამკუთხედის კუთხეების შესახებ?

მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ ასეთი დებულებები შეიძლება გამოვიყენოთ გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას. მიღებული ცოდნის გამოყენებით შესაძლებელია, მოვახდინოთ სხვადასხვა ნახაზის კორექტირება. ასეთ ამოცანებს შეიძლება ექნეს პრაქტიკული და გამოყენებითი ხასიათი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები მათემატიკაში
2. გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ქურჩიშვილი. გავიმეოროთ მათემატიკა. აბიტურიენტებისა და პედაგოგებისათვის გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2009 წ.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი პროგრამა მათემატიკაში.

## რეზიუმე

გაკვეთილი წარმოადგენს სწავლების ძირითად ფორმას საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე, რომელიც გვხვდება სხვადასხვა სახის და მათ შორის კვლევით ხასიათის სტატიაში განვიხილეთ კვლევით ხასიათის გაკვეთილის კონკრეტული შემთხვევა, სადაც მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტალური გზით დაემტკიცებინა წამოყენებული ჰიპოთეზა სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამის შესახებ.

ამისათვის შევიმუშავეთ გაკვეთილის ჩატარების სტრუქტურა და შესაბამის მსვლელობა. შევადგინეთ კონკრეტული სამი ამოცანა და შესაბამისი ნახაზების გამოყენებით მოსწავლეებს დავამყარებინეთ ურთიერთკავშირი სამკუთხედის კუთხეებს შორის. ამისათვის ჩავატარეთ ექსპერიმენტი და მოსწავლეები თვითონ მივიდნენ წარმოდგენილი ჰიპოთეზის დამტკიცებამდე.

მოცემული ამოცანების განხილვის შემდეგ მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელ კვლევით დასკვნას და მოსწავლეებიც აცნობიერებენ, რომ ასეთი გაკვეთილით მათ გაიგეს ბევრი სიახლე. მოცემული ამოცანების გამოყენება ადვილია პრაქტიკული თვალსაზრისით და მათ გააჩნიათ გამოყენებითი ხასიათი.

**Мамули Бучухишвили** - ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

## Урок исследовательского характера при изучении суммы внутренних сторон треугольника

### Резюме

Урок является основной формой обучения на всех ступенях средней школы, который имеет различные виды, в том числе и урок исследовательского характера.

В статье рассмотрен конкретный случай урока исследовательского характера, где мы задались целью экспериментальным путем доказать выдвинутую гипотезу о сумме внутренних сторон треугольника. Сначала мы определили, каким образом необходимо проводить урок и составили структуру его проведения. Рассмотрели несколько задач о расположении расширенного угла, точки и линии, о параллельных линиях. С помощью соответствующих чертежей учащиеся экспериментально, сами подошли к доказательству выдвинутой гипотезы.

После рассмотрения данных задач преподаватель делает обобщающий исследовательский вывод и учащиеся осознают, что таким уроком они узнали много нового. Применение таких уроков очень легко с практической точки зрения и носит прикладной характер.

**Mamuli Buchukhishvili** – Akaki Tsereteli State University, Associate Professor

## The Lesson of Research Nature in Studies of the Total of the Triangle Inner Sides Summary

The lesson is a basic form of studies at all steps of secondary school education, which has different types, including the lesson of research nature as well.

The paper dwells on a particular case of the lesson of research nature, where we have aimed to experimentally prove the hypothesis on the total of the triangle inner sides. First we have defined what course of action is required for conducting the lesson, and we have designed the structure of its conduction. We have considered several problems on the geometry of widened angle, point and line, and parallel lines. By means of appropriate drawings, the learners have experimentally have come to the proof of the hypothesis.

After examining the given problems, the teacher makes a generalized research conclusion and the learners realize that they have learned many new things through this lesson. Using of such lessons is very easy from the practical viewpoint and they bear the applied natures.

**თეიმურაზ გიორგაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### ამოცანების ამოხსნის სწავლების პირველი საფეხური

თანამედროვე სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეზე მორგებულ საგაკვეთილო პროცესების მოფიქრებასა და განხორციელებას. სკოლაში პირველად შესულ ბავშვს უჭირს ისეთი სიტყვების აღქმა როგორცაა „ამოცანა“, „ამოცანის ამოხსნა“, „ამოცანის კითხვა“, „ამოცანის პასუხი“. ამ ტერმინებს ბავშვები თანდათან უნდა შევავსოთ და ვასწავლოთ მათი შეგნებული გამოყენება, თვით ამოცანა მოსწავლემ უნდა გაიცნოს არა როგორც რაღაც მოგონილი და თავზე მოხვეული, არამედ როგორც მის თვალწინ, ცნობილი გარემოდან, მისი მოთხოვნებიდან აღმოცენებული. ამოცანის ამოხსნა პირველად ბავშვმა ისე უნდა აღიქვას, როგორც სასიცოცხლო პრაქტიკული საკითხების გადაჭრა. განუზომლად დიდია ამოცანების მნიშვნელობა მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაში. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა აჩვენებს მოსწავლეებს, გამოყოს წანამძღვრება და დასკვნები, მოცემულობები; შეადაროს და შეაპირისპიროს ერთმანეთს ფაქტები. ამოცანის ამოხსნისას უყალიბდება სწორი აზროვნება და სწავლობს სრულყოფილ არგუმენტაციას. ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეს უყალიბდება აზროვნების განსაკუთრებული სტილი: მსჯელობის ფორმალურ-ლოგიკური სქემის დაცვა; მიზნების ლაკონური გამოხატვა, აზროვნების მიმდინარეობის მკაფიო დანაწევრება და ა.შ. [1]. `ამოცანა - ცხოვრების ნაწილია, ვინც ამოცანების ამოხსნა იცის, მას შეუძლია იმ გაანგარიშებათა შესრულებაც, რასაც ცხოვრებაში ყოველ წუთს ვხვდებით", ამოცანებზე ასეთი შეხედულება უნდა ჩავუნერგოთ მოსწავლეებს, რომლებიც პირველად იწყებენ მათ ამოხსნას. ამისათვის სასურველია მასწავლებელმა პირველად ასეთი ამოცანა - მოქმედება გააცნოს მოსწავლეებს:

„მაგიდაზე ორი წიგნი დევს. კარადიდან გამოვიღოთ და მაგიდაზე დავდოთ კიდევ ერთი წიგნი. რამდენი წიგნია ახლა მაგიდაზე?“

„კედელზე ხუთი სურათია დაკიდებული. დავკიდოთ კიდევ ერთი. რამდენი სურათია ახლა კედელზე?“

„წინა ორ მერხზე ოთხი მოსწავლე ზის. მერაბ, ადექი და მიდი დაფასთან. რამდენი მოსწავლე დარჩა ამ ორ მერხზე?“

სიტყვებს აქ თან ახლავს მოქმედებებიც: კარადიდან წიგნის გამოღება, სურათის დაკიდება, მოსწავლის ადგომა და დაფასთან მისვლა.

მოსწავლემ რომ ამოცანა ამოხსნას, საჭიროა მისი შინაარსის გაგება; ერთმოქმედებიანი ამოცანის გაგება კი ნიშნავს - უპირველეს ყოვლისა კავშირი დაამყარო ამოცანის კითხვასა და მის მონაცემებს შორის, მაგრამ ბავშვმა რომ შეძლოს მონაცემებისა და კითხვის დაკავშირება, ისინი წინასწარ უნდა დაეცნოს, მას უნდა შეეძლოს ამოცანის პირობისა და კითხვის გარჩევა და მათი გამოცნობა. თავიდანვე ბავშვები ამ ცნებებს ვერ არჩევენ.

ცნობილია ასეთი ფაქტი. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შემდეგ ამოცანას: მოსწავლეს 2 რვეული ქონდა. მამამ მას კიდევ 2 რვეული მისცა. რამდენი რვეული აქვს ახლა მოსწავლეს? ამ ამოცანის პირობას მოსწავლე ასე იმეორებს: მოსწავლეს 2 რვეული ქონდა. მამამ მას კიდევ 2 რვეული მისცა. მას ახლა 4 რვეული აქვს. მოსწავლის ასეთ პასუხში არეულია ამოცანის პირობა და კითხვა, ამოცანის გამეორება და ამოხსნა.

პირველი მეცადინეობები ამოცანების ამოხსნაზე ბავშვებში ხელს უნდა უწყობდეს იმის გაგების ჩვევებს, რომ ამოცანა პირობისა და კითხვისაგან შედგება; ამოცანის გამეორება ნიშნავს - თქვა ამოცანის პირობაც და კითხვაც; ამოცანის ამოხსნა ნიშნავს - შესრულებული იქნას შესაბამისი მოქმედება (მიმატება, ან გამოკლება); მიღებული რიცხვი არის ამოცანის პასუხი. ყოველივე ეს შეიძლება შესაბამისი ამოცანების ამოხსნის გზით იქნას მიღწეული.

ავიღოთ ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთი ასეთი ნიმუში:

მასწავლებელი მაგიდაზე დებს დიდ და პატარ თეფშს, ბავშვების დასანახად იგი ამ თეფშებზე ალაგებს „ვაშლებს“ (მუყაოსაგან გაკეთებულ ბუტაფორიებს), ამასთანავე ხმამაღლა ითვლის


„ვაშლებს“ ისე, რომ ბავშვებმა შემდეგ შეძლონ თქმა: `დიდ თევზზე დადებულია 5 ვაშლი, პატარაზე კი 3 ვაშლი“.

ამის შემდეგ მასწავლებელი კლასის წინაშე აყალიბებს ამოცანას: „დიდ თევზზე 5 ვაშლია, პატარაზე კი 3. სულ რამდენი ვაშლია თევზებზე ერთად?“

ამის შემდეგ ამოცანა გაიმეორა ჯერ ერთმა მოსწავლემ, შემდეგ მეორემ, შემდეგ კიდევ მესამემ, თუ გამეორება არც ისე ადვილად ეხერხებოდათ საჭიროა მისახვედრი და ზოგჯერ დამხმარე კითხვების დასმა. ბავშვები ამოცანის გამეორებას სწავლობენ.

„რას გვეკითხება ამოცანა?“ - განსაკუთრებული მახვილით ამბობს მასწავლებელი. ორმა მოსწავლემ ამოცანის მართო კითხვა გაიმეორა. `ახლა ამოხსენით ამოცანა და დაასახელეთ პასუხი" - ავალეს მასწავლებელი კლასს. ამოხსნა ბავშვებს ძალზე უადვილდებოდათ, რის დასტურიც აწეული ხელგებია. „როგორ ამოხსენით ამოცანა?“, რა გააკეთეთ?“ - კითხულობს მასწავლებელი. „5 ვაშლს დავუმატეთ 3 ვაშლი, მივიღეთ 8 ვაშლი“ - პასუხობენ მოსწავლეები. ამის შემდეგ საჭიროა შესაბამისი ჩანაწერის შესრულება დაფაზე, რომელსაც გამახებული მოსწავლე აკეთებს.

მარტივი ამოცანის ამოხსნა შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:





ამოცანის პირობა უმჯობესია ზეპირად გამოვთქვათ, ვიდრე წიგნიდან წავიკითხოთ, მოსწავლე მონათხრობს უკეთ ითვისებს, ვიდრე წაკითხულს. როგორც წესი, ამ დროს რიცხვითი მონაცემების დაფაზე დაწერა საჭირო არ არის, რადგან ასეთ ამოცანებში ჩვეულებრივ ორი რიცხვია მოცემული, რომელთა დამახსოვრება მოსწავლეთათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამოცანას ვამეორებინებთ ჯერ კითხვებით. კითხვები არა მარტო იმისათვის არის საჭირო, რომ უფრო ადვილად აღვადგინოთ ამოცანის შინაარსი, არამედ იმისთვისაც, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს უფრო მკაფიოდ გაიგონ ამოცანის სტრუქტურა. საბოლოოდ ერთ ან ორ მოსწავლეს გავამეორებინებთ ამოცანას მისახვედრი კითხვების გარეშე. გამეორებისას ბევრ ამოცანას ესაჭიროება ილუსტრირება, ეს ხელს უწყობს ამოცანის შინაარსის უკეთ გაგებას და ბავშვთა წარმოდგენის ცოცხლად ამუშავებას. ილუსტრაციისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ხელსაწყოები, სურათები, ნახატები, პლაკატები და კომპიუტერი.

გამეორების შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჩერებს მოსწავლეთა ყურადღებას ამოცანის კითხვაზე („მაშ, რას გვეკითხება ამოცანა?"). კითხვა მთავარია ამოცანაში; ამით განისაზღვრება მოსწავლეთა აზრის მიმართულება, შეცვლილი კითხვა სხვა ამოხსნას და პასუხს გვაძლევს; ამიტომ ამოცანის კითხვა მოსწავლეებს განსაკუთრებით ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი.

მარტივი ამოცანის ამოხსნისას აზროვნების ანალიზურ-სინთეზური პროცესი ყველაზე მარტივი ფორმით წარმოგვიდგება; ამოცანის მონაცემებიდან გამომდინარეობს მისი კითხვა; ამოცანის კითხვაზე საპასუხოდ საჭიროა მონაცემები, ყველაფერი ეს მზა სახით არის მოცემული და მოსწავლეს უხდება მხოლოდ მოქმედების შერჩევა, რომლის საშუალებითაც ამოიხსნება კითხვა.

მოქმედების შერჩევა - ეს არის ყველაზე ძნელი და მასთან ცენტრალური საკითხი მარტივი ამოცანის ამოხსნაში, სიძნელე იმით არის გამოწვეული, რომ პატარა რიცხვების გამო ბავშვი ხშირად ვერ ხედავს მოქმედების შერჩევის საჭიროებას, მოსწავლე პასუხს ხშირად იმის საფუძველზე პოულობს, რომ კარგად იცის პირველი ათეულის რიცხვების შედგენილობა.

მოსწავლეებს, რომ შევასწავლოთ მოქმედებათა შერჩევა და გავუადვილოთ იმის გაგება თუ რომელ შემთხვევაში გამოიყენოს თითოეული მოქმედება, ამისათვის ხშირად უნდა მივმართოთ თვალსაჩინოებას.

ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეს უნდა დაუფლავთ კითხვა: „როგორ ამოხსენი ამოცანა?", ეს კითხვა შეიძლება სხვა ფორმითაც დაისვას: „რა გააკეთე, რომ პასუხი გეპოვა?", ან „როგორ იპოვე პასუხი?", შემდეგში კი ზოგიერთი ამოცანის მიმართ შეიძლება დაისვას კითხვაც „რატომ?", ეს შეეხება ამოცანებს რიცხვების რამდენიმე ერთეულით გადიდება-შემცირებაზე.

#### ლიტერატურა:

1. ჯ. ჯინჯიხაძე - მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდისა და ტექნოლოგია, თბილისი, 2011 წ.
2. თ. გორგაძე, ქ. ზვიადაძე - ამოცანის თანდათანობით გართულება და გავნითარება, როგორც მათი ამოხსნის სწავლების მეთოდი, პროფესიონალის ხმა №1(1), ქუთაისი 2014 წ.

## რეზიუმე

თანამედროვე სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეზე მორგებულ საგაკვეთილო პროცესების მოფიქრებასა და განხორციელებას. ამოცანის ამოხსნა პირველად ბავშვმა ისე უნდა აღიქვას, როგორც სასიცოცხლო პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.

პირველი მეცადინეობები ამოცანების ამოხსნაზე ბავშვებში ხელს უნდა უწყობდეს იმის გაგების ჩვევებს, რომ ამოცანა პირობისა და კითხვისაგან შედგება. ყოველივე ეს შეიძლება შესაბამისი ამოცანების ამოხსნის გზით იქნას მიღწეული.

**Теймураз Гиоргадзе** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### Первый этап учебы по решению задач

#### Резюме

Современная учеба учащихся предусматривает хорошо обдуманый и осуществимый процесс проведения урока в точности рассчитанный на учеников. В первые, решение задачи, ребенок должен воспринять как разрешение жизненно-практического вопроса.

Первые занятия по решению задач должны способствовать развить в ребенке понятий таких навыков, которые дадут ему осознать, что задача состоит из условия и вопроса. Выше сказанное достижимо решением соответствующих задач.

**Teimuraz Giorgadze** – Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### The first stage of learning to solve problems

#### Summary

Modern studies provide provides a feasible and well-thought process to students. The child should perceive solving of a problem as solving of vital practical issues.

First lessons on solving of problems should help to develop skills of understanding to children that will enable them to realize that the problem consists of a condition and question. The above mentioned can be achieved by way of solving of the proper tasks.

მაკა გოგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### მათემატიკური გამოსახულების სწავლება დაწყებით კლასებში

მათემატიკის დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია შეასწავლოს ბავშვებს მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა და დაწერა, გააცნოს მათემატიკურ გამოსახულებაში მოქმედებათა შესრულების რიგი და მისი გამოყენება, ასწავლოს გამოსახულების იგივერი გარდაქმნები.

მათემატიკურ გამოსახულებებში მოქმედებათა რიგის ფორმირებისათვის აუცილებელი კარგად გავაგებინოთ მოსწავლეებს მოქმედების ნიშნის ორგვარი აზრი: რომ ერთი მხრივ ის მიუთითებს მოცემულ რიცხვებზე რა მოქმედება უნდა შესრულდეს (გამოსახულებაში  $5+3$  ნიშანი პლუსი მიუთითებს, რომ 5-ს „მივუმატოთ“ 3), ხოლო მეორე მხრივ, ის გამოიყენება გამოსახულების აღსანიშნავად ( $5+3$ ) არის 5-ისა და 3-ის ჯამი).

გამოსახულებაზე მუშაობა მეთოდოლოგიაში იყოფა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შეისწავლება უმარტივესი გამოსახულებანი (ორი რიცხვის ჯამი, სხვაობა, ნამრავლი, განაყოფი), ხოლო მეორე ეტაპზე – რთული გამოსახულებანი (ნამრავლისა და რიცხვის ჯამი, ორი განაყოფის სხვაობა, და ა.შ.).

გამოსახულების შესახებ მოსწავლეს პირველი წარმოდგენა ექმნება პირველ კლასში 10-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლების სწავლებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საგანთა სიმრავლეების შეერთებით ეცნობიან მოქმედება შეკრებას და სიმრავლიდან მისი ნაწილის ჩამოცილებით გამოკლებას, რის საფუძველზედაც წერენ გამოსახულებებს  $5+2$  და  $7-3$ , რომელიც ასე წაკითხება: 5-ს მივუმატოთ 2 და 7-ს გამოვაკლოთ 3, ე.ი. როდესაც სიტყვა მიმატებისათვის გამოიყენება ნიშანი „+“ და გამოკლებისათვის „-“.

როდესაც მოსწავლეები ეცნობიან რიცხვის რამდენიმე ერთეულით გადიდებას (შემცირებას), იმავე გამოსახულებას წაკითხავენ ასე:  $5+2$  ნიშნავს... 5 გავადიდოთ 2-ით“, ხოლო  $7-3$  ნიშნავს „შვიდი შევამციროთ 3-ით, რითაც კიდევ უფრო ვუახლოვდებით გამოსახულების აზრის გაგებას.

იმის შემდეგ, როცა მოსწავლეები გაეცნობიან ტერმინებს „პლუს“ და „მინუს“, „ჯამს“ და „სხვაობას“ და კომპონენტების სახელწოდებებს, განსაკუთრებით, როცა შეისწავლიან რიცხვის წარმოდგენას ჯამის სახით:  $5=2+3$ , რაც ასე წაკითხება: 5 არის 2-ისა და 3-ის ჯამი ან 2-ის და 3-ის ჯამი არის 5, უნდა დავწეროთ ის თვალსაჩინოდ:

$$2 + 3 = 5$$

ჯამი    ჯამი

საიდანაც ჩანს, რომ ჯამია  $2+3$ -იც და ჯამია 5-იც, მაგრამ პირველი არის 2-ისა და 3-ის ჯამი წარმოდგენილი გამოსახულების სახით, ხოლო მეორე (5) წარმოადგენს ამ გამოსახულების რიცხვით მნიშვნელობას. ეს საკითხი რომ უფრო კარგად იქნეს გაცნობიერებული მოსწავლის მიერ, უნდა მივცეთ შემდეგი სახის სავარჯიშოები: „დაწერეთ 3-ისა და 1-ის ჯამი; გამოიანგარიგეთ მისი მნიშვნელობა; გაიგეთ, რას უდრის 6-ისა და 3-ის ჯამი. წარმოადგინეთ რიცხვი 5 ორის რიცხვის ჯამის სახით:

$$5 = \square + \square ;$$

შეადარეთ ერთმანეთს გამოსახულებანი:  $8+2$ , ...,  $8+3$  და ჩასვით მათ შორის შესაბამისი ნიშანი  $>$ ,  $<$ ,  $=$ .

ასეთი სავარჯიშოები დიდად დაეხმარება ბავშვს გამოსახულების აზრის გაგებაში და გაარკვევს მას „ჯამის“ ორგვარ მნიშვნელობაში: რომ დავწეროთ ორი რიცხვის ჯამი, ეს რიცხვები უნდა შევაერთოთ „პლუს“ ნიშნით, ხოლო, რომ ვიპოვოთ გამოსახულების მნიშვნელობა, უნდა შევასრულოთ მოცემულ რიცხვებზე გამოსახულებაში მითითებული მოქმედება. ასეთივე გეგმით წარიმართება მუშაობა სხვაობის, ნამრავლისა და განაყოფის შესწავლისას გამოსახულების დაწერასა და მისი მნიშვნელობის მოძებნაზე.

ჯერ კიდევ ათეულის ფარგლებში სწავლობენ მოსწავლეები ისეთი გამოსახულების მნიშვნელობათა გამოანგარიგებას, რომელშიაც შედის სამი და მეტი რიცხვი სხვადასხვა მოქმედებათა ნიშნებით:  $3+2-5$ ;  $6-4+5$ ;  $2+2+2+2$  და სხვ., იქვე ხდება მათი წაკითხვა და შემდეგ

გამონგარიშება. კერძოდ, 6-4+5 წიკითხება ასე: „ექვსს გამოვაკლოთ ოთხი და მიღებულ რიცხვს მივუმატოთ 5, რითაც იწყება უფრჩხილო მოქმედებებში მოქმედებათა რიგის სწავლება და აგრეთვე გამოსახულებათა იგივე გარდაბნა, რაც ნათლად ჩანს გამონგარიგების თანამედროვეობის ჩანაწერში

$$6-4+5=2+5=7.$$

ოცის ფარგლებში შეკრებისა და გამოკლების წესების შესწავლისათვის მზადების პერიოდში მოსწავლეებს ვაცნობთ ფრჩხილების მნიშვნელობას და ვასწავლით ფრჩხილებიანი მაგალითების გამონგარიშებას (3+5)+6; 5+(4+8); (8+7)-5 და 12-(5+4). ამ საკითხის სწავლებას ზოგი ასე იწყებს: წერს მაგალითს 12-(5+4)= და ეუბნება ბავშვებს, დაიხსომეთ ბავშვებო: როდესაც ფრჩხილებიანი მაგალითი გვაქვს, ჯერ უნდა შესრულდეს მოქმედება ფრჩხილებში და შემდეგ დანარჩენი მოქმედებანი. ეს მაგალითი ასე უნდა გამოინგარიშოთ:

$$12-(5+4)=12-9=3.$$

ვფიქრობთ, გაცილებით უკეთესია ბავშვი მივიყვანოთ იმის აუცილებლობამდე, რომ ჯერ უნდა შესრულდეს მოქმედება ფრჩხილებში და შემდეგ მიღებული რიცხვი გამოაკლდეს 12-ს. ამ მიზნით მუშაობა ასე უნდა წარიმართოს: ვუთხრათ ორმოქმედებანი მაგალითი ზედაპირად და მოვთხოვოთ მისი გამონგარიშება: 12-ს გამოვაკლოთ 5-ის და 4-ის ჯამი. რამდენი იქნება? (3), როგორ იანგარიშე? (ჯერ ვიპოვე 5-ისა და 4-ის ჯამი 9 და შემდეგ 12-ს გამოვაკელი 9 და მივიღე 3). ვის შეუძლია დაწეროს დაფაზე ნაკარნახევი მაგალითი? ბუნებრივია, მოსწავლეებს გაუჭირდებათ მისი დაწერა, რადგან ჯერ არ იციან ფრჩხილების მნიშვნელობა, რის შედეგადაც დაფაზე მივიღებთ ჩანაწერს: 12-5+4 მასწავლებელი თხოვს, გამოინგარიშონ ეს ჩანაწერი, რის შედეგადაც უფრჩხილო მოქმედებათა რიგის მიხედვით გამონგარიშების შედეგად მიიღებენ:

$$12-5+4=7+4=11.$$

ამის შემდეგ მასწავლებელი მოაგონებს ამ მაგალითის ზეპირი გამონგარიგების შედეგს 3-ს და გარკვევს დაშვებული შეცდომის მიზეზს (ზედაპირად გამონგარიშებისას ჯერ მოიძებნება 5-ისა და 4-ის ჯამი და შემდეგ ეს ჯამი გამოაკლდა 12-ს) და განაგრძობს: შემდეგში მსგავსი შეცდოდა რომ არ მოგვივიდეს და არ გამოვაკლოთ მხოლოდ ერთი შესაკრები-ჯამის ნაცვლად, შემოვიღოთ ასეთი ნიშანი ( ), რასაც ფრთხილები ეწოდება და მიუთითებს, რომ ჯერ მოქმედება უნდა შესრულდეს ფრჩხილებში და შემდეგ მიღებული ჯამი გამოაკლდეს 12-ს. მაშინ ჩვენი მაგალითი ასე ჩაიწერება: 12-(5+4), რომლის გამონგარიშებას ექნება შემდეგი სახე

$$12-(5+4)=12-9=3.$$

შემდეგ აძლევს სავარჯიშოებს, რომლებიც შეიცავენ ფრჩხილებიან მაგალითებს და მოითხოვს მათ წიკითხვას: 3+(5+2); 14-(3+8); 9-(7-4) და კარნახით აწერინებს მაგალითებს-დაწერეთ მაგალითი: 6-ს გამოვაკლოთ 3-ისა და 2-ის ჯამი; 7-ს მივუმატოთ 5-ისა და 3-ის სხვაობა; 10-ისა და 8-ის სხვაობას მივუმატოთ 6 და ა.შ.

შემდეგ იწყება გამოსახულებათა შედარება მათ შორის შესაბამისი ნიშნის ჩასმით, ჯერ გამონგარიგების შედეგად და შემდეგ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე. „ჩავსვით >, < ან = ნიშანი გამოსახულებებში: 14-2... 8+5; 18-3... 18-2. ნიშნის ჩასმა 18-3... 18-2 გამოსახულებაში ასე ხდება: ჯერ გამოინგარიშება მარცხენა, შემდეგ მარჯვენა მხარე და მიღებული რიცხვების 15-ისა და 16-ის შედარების შედეგად მათ შორის დაიწერება ნაკლებობის ნიშანი. შემდეგისათვის კი დამოკიდებულების შესაბამისი ნიშანი უნდა დაიწეროს ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე: ორივე მხარეში საკლებია 18, მარცხენა მხარეს აკლდება (3) მეტი, ვიდრე მარჯვენა მხარეს (2), მაშასადამე, მარცხენა მხარე ნაკლებია მარჯვენაზე, ე.ი.

$$18-3 < 18-2 \text{ -ზე და ა.შ.}$$

ასეთი მუშაობის შედეგად ფართოვდება მოსწავლეთა წარმოდგენები გამოსახულებებზე და იგივე გარდაქმნებზე.

III კლასში იწყება უფრო რთული გამოსახულებების გაცნობა და მათი წიკითხვა. ასეთებია: (60+2)-(80-50), 12.3+8 ან 48:6+7.3 და ა.შ.

მეოთხე კლასში უკვე შემოდის ტერმინები „მათემატიკური გამოსახულება“ და „მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა“ (განსაზღვრების გარეშე). მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები



დაფაზე წერენ ერთმოქმედებიან მარტივ გამოსახულებებს:  $7+2$ ;  $8-5$ ;  $12:6$ ;  $4:3$  და ა.შ. და ანგარიშობენ მათ მნიშვნელობებს (9, 3, 2, 12). მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ამ გამოსახულებებს უწოდებენ „მათემატიკურ გამოსახულებებს“. შემდგომში ავარჯიშებენ ბავშვებს კარნახით გამოსახულებათა ჩაწერაში და შემდეგ მათი მნიშვნელობის გამოანგარიშებაში.

რთულ მათემატიკურ გამოსახულებას, რომელიც მიიღება მარტივ გამოსახულებათა შორის მოქმედებათა ნიშნის დაწერით  $8.5+6:2$  აქვს რომ ორმაგი აზრი. კერძოდ, გამოსახულებათა შორის მოქმედებათა ნიშანი „+“ ერთი მხრივ აღნიშნავს მოქმედება შეკრებას, რომელიც უნდა შესრულდეს გამოსახულებათა მნიშვნელობაზე  $40-ზე$  და  $3-ზე$  ( $40+3=43$ ), ხოლო მეორე მხრივ იგივე ნიშანი „+“ მიუთითებს, რომ პირველი შესაკრებია  $8.5$  გამოსახულება, ხოლო მეორე შესაკრები  $6:2$  გამოსახულება.

III კლასში უკვე შეისწავლება მათემატიკურ გამოსახულებათა მნიშვნელობის გამოანგარიშება, რომელთა კომპონენტებია არა მარტო რიცხვები, არამედ მათემატიკური გამოსახულებანი. ამ საკითხის სწავლების სხვადასხვა გზა არსებობს.

შეიძლება ბავშვებს მარტივად ვუთხრათ მაგალითი ზედაპირად:  $4-ს$  მივუმატოთ  $3-ის$   $2-ზე$  ნამრავლი და მოვთხოვოთ მისი დაწერა. მესამე კლასელებისათვის ეს არაა ძნელი და მივიღებთ ჩანაწერს:  $4+3:2$ ; გავარჩევთ ამ მათემატიკური გამოსახულების კომპონენტებს (პირველი შესაკრებია  $4$ ; მეორე შესაკრებია  $3:2-ზე$ ). მოვითხოვოთ დაწერილი გამოსახულების წაკითხვა ( $4-ს$  მივუმატოთ  $3-ის$   $2-ზე$  ნამრავლი). შემდეგ მსგავსი სავარჯიშოები ჩავატაროთ მათემატიკურ გამოსახულებებზე:  $7-6:2$ ;  $4:3+8$ ;  $5:2+(3+2)$  და ა.შ. ბავშვები მიხვდებიან, რომ მოცემული მათემატიკური გამოსახულების გამოანგარიშებისათვის საჭიროა, პირველ რიგში გამოიანგარიშონ მარტივი გამოსახულებების მნიშვნელობანი და შემდეგ მოქმედებანი, რომლითაც შეერთებულნი არიან ეს გამოსახულებანი ერთმანეთთან, რის შემდეგაც მიიღებენ მათემატიკურ გამოსახულებათა მნიშვნელობებს ( $4$ ,  $20$ ,  $15$ ).

შეიძლება მათემატიკური გამოსახულების წაკითხვისა და მისი მნიშვნელობის გამოანგარიშების სწავლებისათვის ავირჩიოთ სხვა გზა. დავწეროთ დაფაზე  $6-ისა$  და  $18-ის$  ჯამი, გარკვევა, რომ ესაა მარტივი გამოსახულება, მოვითხოვოთ მისი მნიშვნელობის გამოთვლა და მიიღებენ ჩანაწერს  $6+18=24$ .

შემდეგ ვუთხრათ ბავშვებს: ხომ არ შეიძლება მეორე შესაკრები– $18$  წარმოვადგინოთ რაიმე ორი რიცხვის ნამრავლის სახით? (შეიძლება  $6:3$  ან  $9:2$ ) ავირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი და ეს მნიშვნელობა ჩავწეროთ  $18-ის$  მაგივრად მაგალითში, რომელსაც ექნება შემდეგი სახე:  $6+9:2$  რის მაგივრად წერია  $9:2-ზე$ ? ( $18-ის$  მაგივრად). მაშ, მიღებული  $6+9:2$  მათემატიკური გამოსახულება რომ გამოვიანგარიშოთ, ჯერ რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? ( $9:2=18$ ) შემდეგ როგორ უნდა მოვიქცეთ? (შემდეგ  $6$  და  $18$  შევკრიბოთ). გამოანგარიშების ჩანაწერს  $6+9:2=6+18=24$ .

ხომ შეგვეძლო  $6-იც$  წარმოვადგინა რაიმე ორი რიცხვის სხვაობის სახით? (შეიძლება  $10-4$  ან  $8-2$  და ა.შ.). მაშინ, როგორ სახეს მიიღებდა მაგალითი  $6+18$ ?

წამიკითხეთ ჯერ მოცემული მაგალითი ( $6-ს$  მივუმატოთ  $18$ ). წამიკითხეთ ახლა გარდაქმნილი მაგალითი, ანუ მათემატიკური გამოსახულება, სადაც  $6$  შეცვლილია ( $10-4$ )-ით და  $18$  შეცვლილია  $9:2$  (ათისა და  $4-ის$  სხვაობას მივუმატოთ  $9-ის$   $2-ზე$  ნამრავლი). მაშასადამე, რომ გამოვიანგარიშოთ  $10-4$  სხვაობა, ანუ ვიპოვოთ პირველი შესაკრები– $6$ , შემდეგ გამოვიანგარიშოთ მეორე მარტივი გამოსახულება– $2$  რომ ვიპოვოთ გარდაქმნილი რიცხვი  $-18$ , და შემდეგ შევკრიბოთ მიღებული რიცხვები). შევასრულებთ რა ამ მიმდევრობის მოქმედების მარტივ გამოსახულებებზე, მივიღებთ მათემატიკური გამოსახულების გამოანგარიშების შემდეგ ჩანაწერს  $(10-4)+9:2=6+18=24$ .

შემდეგ მოვითხოვოთ მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა შესრულებული მოქმედების მიხედვით: „ $10-ისა$  და  $4-ის$  სხვაობას მივუმატოთ  $9-ის$   $2-ზე$  ნამრავლი“. ასეთი მუშაობის შედეგად ბავშვებს მივიყვანთ იმ დასკვნამდე, რომ მათემატიკური გამოსახულების წაკითხვისა და გამოანგარიშებისათვის პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, რომელი მარტივი გამოსახულებანი შედიან მასში და რა მოქმედებანი სრულდება მათზე. შემდეგ ვიპოვოთ რიცხვები, რომლებიც წარმოადგენენ მარტივ გამოსახულებათა მნიშვნელობებს, და ბოლოს ამ რიცხვებზე უნდა

შესრულდეს გამოსახულებათა შორის არსებული მოქმედებანი. მაგალითად, მათემატიკურ გამოსახულებაში  $6:2+(3+6)$  შედის ორი მარტივი გამოსახულება:  $6:2$  და  $3+6$  ანუ 6-ის 2-ზე განაყოფი და 3-ის და 6-ის ჯამი. მამსადამე, ის წაიკითხება ასე: „6-ის 2-ზე განაყოფს მივუმატოთ 3-ისა და 6 -ის ჯამი“. გამონგარიგებისათვის ვიპოვოთ მოცემულ მარტივ გამოსახულებათა მნიშვნელობანი:  $6:2=3$  და  $3+6=9$  და ასეთი შეკრებით მივიღებთ 12, რაც მოცემულია მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობაა. შემდეგ ვაწერინებთ ბავშვებს კარნახით მათემატიკურ გამოსახულებებს რომელიც მარტივ გამოსახულებას შეიცავენ ისინი და რა მოქმედებები უნდა შესრულდეს მათი გამონგარიშების შედეგად მიღებულ რიცხვებზე. მეთოდურად გამართლებულია მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობის გამონგარიშებისათვის მოსწავლეებთან ერთად კოლექტიურად შევადგინოთ სამახსოვრო:

დავადგინოთ, რომელი და რამდენი მარტივი გამოსახულება შედის მასში;

ვიპოვოთ მარტივ გამოსახულებათა მნიშვნელობანი;

შევასრულოთ ნაჩვენები მოქმედებანი.

მოსწავლეთათვის ძნელია გამოსახულებათა გამონგარიგება, რომელიც შეიცავს, ერთდროულად როგორც პირველ (შეკრებას და გამოკლებას), ისე მეორე (გამრავლებას და გაყოფას) საფეხურის მოქმედებებს. ამ მასალის ახსნა შეიძლება პრობლემური სიტუაციის შექმნით: ვწერთ შესაბამის მაგალითს, ვთქვათ,  $16+8:4$  და ვანგარიგებინებთ ორნაირად, რის შედეგადაც მივიღებთ სხვადასხვა პასუხს:

1.  $16+8:4=(16+8):4=24:4=6$ ; 2.  $16+8:4=16+2=18$

ამის შემდეგ ბავშვები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შემოვიღოთ მოქმედების შესრულების რაღაც რიგი, რის შედეგადაც ვაძლევეთ წესს: თუ გამოსახულება შეიცავს როგორც პირველი, ისე მეორე საფეხურის მოქმედებებს, მაშინ ჯერ უნდა შესრულდეს მეორე საფეხურის მოქმედებანი (ე.ი. გამრავლება და გაყოფა) და შემდეგ შეკრება და გამოკლება. კარგ შედეგებს იძლევა ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც გამონგარიშებულია ორნაირად და მოსწავლეებმა უნდა ამოწერონ ის მაგალითები, რომლებიც სწორად არის გამონგარიშებული:

$60+40:5=20$ ;  $60+40:5=68$ ;  $18-16:2=10$ ;  $18-16:2=1$ ;  $25:5+15:2=40$ ;  $25:5+15:2=35$ .

მსგავსი სავარჯიშოების შესრულების შემდეგ, როდესაც კარგად გაერკვევიან მოსწავლეები მოქმედებათა რიგის დადგენაში და მათემატიკურ გამოსახულებათა გამონგარიშებაში, შეიძლება მივცეთ გამოსახულებანი და ვუთხრათ: გამოიყენეთ ფრჩხილები და შეცვალეთ მოცემული გამოსახულების გამონგარიშების რიგი ისე, რომ ამ გამოსახულების გამონგარიშების შედეგად მიიღოთ წინასწარ მოცემული მნიშვნელობა. წინათ განხილული მაგალითებიდან თუ ავიღებთ პირველ მაგალითს და მივცემთ დავალებას გამოიყენონ ფრჩხილები ისე, რომ მისი გამონგარიგებით მიიღონ 20, მოსწავლეები ამ მაგალითში ფრჩხილებს ისე დაწერენ:  $(60+40):5=20$ .

ყველაზე სასარგებლოა მოცემული წესები მოქმედებათა რიგთან დაკავშირებით. ვთქვათ, მოსწავლეებს მივცით მაგალითი:  $54:6+3.4$  მოვითხოვოთ გამონგარიშონ მისი მნიშვნელობა. შემდეგ ვუთხრათ, რომ გამოიყენონ ფრჩხილები და შეცვალოდნ მოქმედებათა რიგები მოცემულ მაგალითში და მოძებნონ გამოსახულებათა მნიშვნელობანი:

$54:6+3.4=21$ ;  $(54:6+3).4=48$ ;  $54:(6+3.4)=3$ ;  $54:(6+3).4=24$ .

მსგავსი სავარჯიშოებით მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მოქმედებათა რიგის შეცვლა იწვევს შედეგის შეცვლას. მესამე და განსაკუთრებით მეოთხე კლასებში უნდა მივცეთ ისეთი მაგალითები, რომელთა გამონგარიშებისათვის ბავშვს დასჭირდება გამოიყენოს არამართო ერთი, არამედ ორი და მეტი წესი მოქმედებათა რიგის შესრულებისა. მაგალითად, ასეთები:

$30.4+(470-385)+18:9$ ;  $748931-125.8+(35391-28521)$  და სხვ.

## რეზიუმე

მათემატიკის დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია შესწავლოს ბავშვებს მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა და დაწერა, გააცნოს მათემატიკურ გამოსახულებაში მოქმედებათა შესრულების რიგი და მისი გამოყენება, ასწავლოს გამოსახულების იგივერი გარდაქმნები.

მეთოდულად გამოსახულებაზე მუშაობას ყოფენ ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შეისწავლება უმარტივესი გამოსახულებანი (ორი რიცხვის ჯამი, სხვაობა, ნამრავლი, განაყოფი), ხოლო მეორე ეტაპზე – რთული გამოსახულებანი (ნამრავლისა და რიცხვის ჯამი, ორი განაყოფის სხვაობა, და ა.შ.). მეთოდურად გამართლებულია მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობის გამომარჩობისათვის მოსწავლეებთან ერთად კოლექტიურად შევადგინოთ სამახსოვრო: დავადგინოთ, რომელი და რამდენი მარტივი გამოსახულება შედის მასში; ვიპოვოთ მარტივ გამოსახულებათა მნიშვნელობანი; შევასრულოთ ნაჩვენები მოქმედებანი. პრობლემური სიტუაციის შექმნით ბავშვები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მოქმედების შესრულების გარკვეული რიგის დაცვა, რის შედეგადაც ვაძლევთ მოქმედებათა რიგის შესრულების წესს, რომელსაც ისინი გამოიყენებენ შემდგომ სავარჯიშოების ამოხსნისას.

**Мака Гогодзе** - Государственный университет Акакия Церетели

## Обучение математическому изображению в начальных классах

### Резюме

В учебной программе математики начальных классов учитывается обучение детей чтению и написанию математических изображений, ознакомить с рядом выполнения действий в математическом изображении и его применением, научить тождественным преобразованиям изображения.

В методике работу над изображением делят на два этапа: на первом этапе изучаются простейшие изображения (сумма двух чисел, разность, множимое, делимое), а на втором этапе – сложные изображения (сумма множимого и числа, разность двух делимых и т.д.). Методически оправдано вместе с учащимися коллективно составить памятник для решения значения математического изображения: установим, сколько и какие простые изображения входят в его состав; найдем значения математического изображения; выполним показанные действия. Созданием проблемной ситуации дети придут к тому выводу, что необходима защита определенного ряда выполнения действий, в результате чего даем правило выполнения ряда действий, которые они применяют для выполнения последующих упражнений.

**Мака Gogadze** - Akaki Tsereteli State University

## The Teaching of Mathematics Expressions in Primary Classes

According to elementary math classes' curriculum, it is considered to teach children the read and write of mathematical Image, introduce in mathematical expressions the performance of a series of actions and its use, teach the same image transformations.

The methods work on image divided into two stages: In the first stage is taught the simple expression (Sum of two numbers, subtract, multiply, partition), on the second stage - a complex expression (the sum of the numbers and multiplied, difference between the two partitions, etc.). Methodologically it is justified for the calculation of the mathematical expression to write a memorable together with the students collectively: determine which and how many simple images included in it; find the important of a simple image; keep displayed actions. Creating situations on a certain problems children come to the conclusion that it is necessary to act a certain order of protection, as a result, we give action sequence execution rules which they will use to solve exercises for the next time.

**გურამ გოგიშვილი** - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

### მათემატიკური ნოტაციის გამოყენების ზოგიერთი ასპექტის შესახებ

მათემატიკის განვითარების ისტორია განუყოფელია მათემატიკური ნოტაციისა და სიმბოლიკის განვითარების ისტორიისგან. მათემატიკური ცოდნის დაუფლების, გადრმავებისა და გადაცემის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეთმობა მათემატიკური სიმბოლიკის გამოყენების ხელოვნებას. ხანგრძლივი ტრადიციებით დამკვიდრებული სიმბოლიკის შემოქმედებითი გააზრება, მისი დახვეწა და მიზანმიმართული გამოყენება ამარტივებს აბსტრაქტული მათემატიკური თეორიების ჩამოყალიბებასა და მათ აღქმას, ხვეწს აზროვნების სტილს, ხოლო გაუმართლებელი, ტლანქი და შეუსაბამო სიმბოლიკა დაბრკოლებად იქცევა ნათელი მათემატიკური წარმოდგენების ფორმირებაში, განსაკუთრებით კი მათემატიკის სწავლების პროცესში.

მათემატიკური ნოტაციის ჩამოყალიბების პრობლემები ათასწლეულების მანძილზე აფერხებდა ეგვიპტესა და შუამდინარეთში მათემატიკის განვითარებას, ართულებდა ძველბერძნული მეცნიერების მიღწევების ფართოდ გავრცელებას. დიდი ხნის მანძილზე ევროპა ვერ ელეოდა თვლის მოუქნელ რომაულ სისტემას, თვლის ათობით პოზიციურ სისტემაზე გადასვლამ კი ევროპულ აღორძინებას უდიდესი სტიმული მისცა.

მეცნიერების განვითარებას თან სდევს გარკვეული ცვლილებები მისი გადაცემის მეთოდიკებში. ცხადია, ეს ცვლილებები თავად ცოდნის გადაცემის პროცესის სტაბილურობასაც უნდა ითვალისწინებდეს, რათა გამოირიცხოს ბუნდოვანი და ორაზროვანი ინტერპრეტაციები. მაგალითად, ამჟამად გამრავლების ოპერაციის აღსანიშნავად გამოიყენება სამი ნიშნაკი: „ $\times$ “, „ $\cdot$ “, „ $*$ “ (უფრო მეტიც, ზოგჯერ ამ ოპერაციის აღნიშვნელი რაიმე სიმბოლო არც გამოიყენება. მაგალითად,  $a$  და  $b$  რიცხვების  $ab$  ნამრავლის შემთხვევაში). რაიმე ძალისხმევა ამ აღნიშვნათა უნიფიცირებისა, ალბათ, გაუმართლებელია.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ნოტაციის ისტორიული ფესვები და ტრადიციები და ის მოთხოვნები, რომლებსაც კომპიუტერული ტექნოლოგიები უყენებს მათემატიკურ ნოტაციას. მაგალითად, დღეს, ჯერჯერობით, „მშვიდობიანად თანაცხოვრობენ“  $tg$  და  $\tan$  (ტანგენსის აღნიშვნები. მათგან მეორე ამჟამად უფრო ფართოდ ვრცელდება);  $ctg$ ,  $cot$ ,  $cotan$ ,  $ctn$  და  $cotg$  (კოტანგენსის აღნიშვნები. მათგან ყველაზე უფრო ხშირად პირველი ორი გამოიყენება, ამ ორს შორის კი მეორე უფრო ფართოდ ვრცელდება);  $\ln$  და  $\log$  (ნატურალური,  $e$ -ფუნქციის ლოგარითმის აღნიშვნები. მათგან მეორე აღნიშვნა, მეტწილად, სამეცნიერო და პროგრამულ ენებში გამოიყენება);  $C_n^k$  და  $\binom{n}{k}$  (ჯუფდებათა რიცხვის აღნიშვნები. ამჟამად მეორე აღნიშვნა უფრო ფართოდ ვრცელდება, ვიდრე პირველი);  $\{a_n\}$  და  $(a_n)$  (მიმდევრობის აღნიშვნები);  $e^x$  და  $\exp(x)$  (მაჩვენებლიანი ფუნქციის აღნიშვნები. გამოიყენება  $e^x$  ფორმაც). ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ სწავლების პროცესში სისტემატურად გამოვიყენოთ ერთადერთი, თავდაპირველადვე შერჩეული სიმბოლო, მოსწავლეს (სტუდენტს) კი მივაწოდოთ ინფორმაცია სხვაგვარი აღნიშვნების შესახებაც.

მათემატიკური ნოტაციის ლაკონურობასა და გამარტივებას ხელს უწყობს სპეციალურ ობიექტთა სტანდარტული სიმბოლოებით აღნიშვნა. ასეთია, მაგალითად,  $\mathbf{N}$ ,  $\mathbf{Z}$ ,  $\mathbf{R}$ , რომლებიც ასეც აღინიშნება  $N$ ,  $Z$ ,  $R$  (ნატურალური, მთელ და ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეები). თუმცა, ლექციაზე (გაკვეთილზე) გაკეთებულ ჩანაწერებში ეს სიმბოლოები, ხშირად, წარმოგვიდგება, როგორც  $N$ ,  $Z$ ,  $R$ . თუ, ამასთანავე, რაიმე ნატურალური  $N$  რიცხვიც არის მოცემული, შესაძლებელია დაფაზე გაჩნდეს კურიოზული ჩანაწერი  $N \in N$ . ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აჯობებს, თუ მოცემული სიმრავლეებისთვის გამოვიყენებთ  $\mathbf{N}$ ,  $\mathbf{Z}$ ,  $\mathbf{R}$  აღნიშვნებს.



წრეწირის სიგრძის მისივე დიამეტრის სიგრძესთან შეფარდება სტანდარტულად  $\pi$  ასოთი აღინიშნება. სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ ეს არ ნიშნავს დასახელებული ასო-ბგერის წრეწირის სიგრძესთან აუცილებელ „მიზმას“. მართლაც,  $x$  ნამდვილ რიცხვამდე მარტივ რიცხვთა რაოდენობის სტანდარტული აღნიშვნაა  $\pi(x)$ .

ნეპერის რიცხვი  $e$  ასოთი აღინიშნება, წარმოსახვით ერთეულს  $i$ -თი აღვნიშნავთ, თუმცა ეს ასო-ბგერები სხვა მრავალი ობიექტის აღნიშვნისთვისაც გამოიყენება (აქვე დავამატებთ, რომ დასაზუსტებელია  $i = \sqrt{-1}$  აღნიშვნა, რადგან  $\sqrt{-1}$ -ს ორი მნიშვნელობა აქვს. მათგან კი მხოლოდ ერთ-ერთს აღნიშნავს  $i$ ). ამრიგად, თუ  $i$  მხოლოდ კომპლექსურ რიცხვებს დავუკავშირეთ, მივალთ ისეთ აბსურდამდე, რომელიც  $a_i = 1$  ჩანაწერში  $i$ -ს წარმოსახვით ერთეულად წარმოგვიდგენს.

მიმდევრობის ზღვრის განსაზღვრებაში, ხშირად, უმაღლესი მათემატიკის ჩვენში ფართოდ გავრცელებული სახელმძღვანელოების მიხედვით, აღმოაჩენთ ფრაგმენტს: „როცა  $n > N$ “, რომელიც, ბუნდოვანი რომ არ იყოს, ალბათ, ასე უნდა წავიკითხოთ: „როცა ენ პატარა მეტია ენ დიდზე“, რაც, თავის მხრივ, სტუდენტებში კვლავ ბუნდოვან რეალობად აღიქმება: „პატარა მეტია დიდზე“. აქ გამოსავალი მარტივია. აჯობებს, რომ ის ნატურალური რიცხვი, რომელზე მეტი ნომრის მქონე მიმდევრობის ყველა წევრის გარკვეულ მიდამოში თავმოყრაზე საუბარი, აღინიშნოს არა  $N$ -ით, არამედ, მაგალითად,  $\bar{n}$ -ით, ან  $\tilde{n}$ -ით.

რამდენადაც ბუნებრივია ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის უმცირეს ელემენტად 1-ის მიჩნევა, იმდენადვე ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უმცირესი ელემენტია 0. უფრო მეტიც,  $\sum_{k=0}^{\infty} a_k x^k$  ხარისხოვანი მწკრივის ჩაწერისას სწორედ ამ მეორე დაშვებას ვანიჭებთ უპირატესობას. არსებითია მხოლოდ ის, რომ რაიმე თეორიის განხილვისას ერთხელ მიღებული შეთანხმება ბოლომდე დავიცვათ.

ერთგვაროვანი ობიექტების დასახელებისას ბუნებრივია, რომ შეძლებისდაგვარად დავიცვათ მათი აღმნიშვნელი სიმბოლოების ერთგვაროვნებაც. მაგალითად, თუ რაიმე სამი რიცხვი  $m, n, k$ -თი აღვნიშნეთ, მოსწავლეებს ჩაწერის მისაღებ ნიმუშს მივცემთ, ხოლო  $m, n, z$  აღნიშვნა მოსწავლეთა კანონზომიერ კითხვებს წარმოშობს ამ რიცხვების სპეციფიურობის შესახებ. ანალოგიურად, როცა, მაგალითად, რაიმე სიბრტყეზე მდებარე წრფეზე სამი წერტილია მოცემული, მაშინ სიბრტყის  $\alpha$ -თი, წრფის  $l$ -ით, ხოლო წერტილების  $A, B, C$ -თი აღნიშვნა ხაზს გაუსვამდა ამ ობიექტთა შორის არსებით სხვაობას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კატეგორიული განცხადებები სიმრავლეთა დიდი ასოებით, ხოლო მისი ელემენტების პატარა ასოებით აღნიშვნის თაობაზე (რაც ხშირად კეთდება ხოლმე სასწავლო კურსების აგებისას), არაერთგზის დარღვევისთვისაა განწირული.

საზოგადოდ, მათემატიკური ნოტაციისა და სიმბოლიკის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ისტორიული ასპექტის გათვალისწინება, რაც გონივრული კონსერვატივობით უნდა იყოს გაპირობებული. ამავდროულად, ის უნდა საზრდოობდეს შემოქმედებითი გააზრებით მიკვლეული სიახლეებით.

### რეზიუმე

განხილულია სასწავლო პროცესში მათემატიკური ნოტაციის გამოყენების ზოგიერთი აქტუალური საკითხი. წარმოჩენილია ტრადიციის მნიშვნელობა და, ამავდროულად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში ნოტაციისადმი შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობა.

**Guram Gogishvili** – St. Andrew the First Called Georgian University, Chief of the educational centre.

### On some aspects of application of mathematical notation

#### Abstract

Some actual problems of mathematical notation in teaching process are discussed. The paper shows the importance of traditions and, simultaneously, necessity of a creative activity in the improving of teaching process.

**Гурам Гогишвили** – Грузинский Университет Имени Святого Андрея Первозванного, академический доктор, руководитель учебного центра.

### О некоторых аспектах применения математической нотации

#### Резюме

Рассмотрены некоторые актуальные вопросы применения математической нотации в учебном процессе. Представлено значение традиций и, одновременно, показана необходимость творческого подхода к нотации для улучшения учебного процесса.

**მანანა დეისაძე**-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**შალვა კირთაძე**-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის სქემატური გამოსახვა**


ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია დაწყებითი განათლების საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას მოსწავლეს განუვითარდეს სააზროვნო უნარ-ჩვევები. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იხეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო აქტიურს სასწავლო პროცესში.

მასწავლებელთა ტრენინგებზე შეხვედრებსა და დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტებთან ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს გამოიკვეთა საკითხები, რომლებსაც საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა გზების სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის უმრავლესობა ხსნის ამოცანას ე.წ. ტრადიციული მეთოდით „x-ებით“, განტოლების შედგენით, როცა უფრო მნიშვნელოვანია ზოგჯერ ამოცანების ამოხსნა სქემების საშუალებით. არა აქვს მნიშვნელობა, რას გამოვიყენებთ ამის საილუსტრაციოდ, მონაკვეთებს, კვადრატებს, წრეებს და ა. შ. მთავარია, მოსწავლემ შეძლოს მისი გამოყენებით მოცემული ამოცანის მათემატიკური მოდელირება- სქემით წარმოდგენა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე ამოცანის ამოხსნა, სადაც აქცენტი გაკეთებულია სქემის გამოყენებაზე.

**ამოცანა 1. ორ ყუთში 324 ბურთულაა, როცა პირველი ყუთიდან მეორეში გადადეს 15 ბურთულა, პირველში აღმოჩნდა 3-ჯერ მეტი ბურთულა, ვიდრე მეორეში. რამდენი ბურთულა იყო თითოეულ ყუთში თავდაპირველად?**

**ამოხსნა:** შევეცადოთ, შევქმნათ მოცემული ამოცანის მათემატიკური მოდელი - სქემატური წარმოდგენა.

ამოცანის პირობის თანახმად, პირველი ყუთიდან მეორე ყუთში 15 ბურთულის გადადების შემდეგ, პირველში აღმოჩნდა 3-ჯერ მეტი ბურთულა, ვიდრე მეორეში, ამიტომაც პირობითად, მეორე ყუთში ბურთულების რაოდენობა გამოვსახოთ რაიმე კვადრატით, ხოლო პირველი ყუთი კი იქნება 3 ასეთი კვადრატი.



I ყუთი



II ყუთი


ე.ი. სულ გვაქვს 4 ერთნაირი კვადრატი. რამდენი ბურთულაც არ უნდა გადავდოთ ერთ ყუთიდან მეორეში, ან პირიქით, ორივე ყუთში ბურთულების საერთო რაოდენობა არ შეიცვლავლება. მაინც 324 ბურთულა იქნება ორივე ყუთში. ე.ი. გამოდის, 4 კვადრატით გამოისახება 324 ბურთულა, მაშინ 1 კვადრატით კი -  $324 : 4 = 81$  ბურთულა.

გამოდის I ყუთში არის 81 ბურთულა, ხოლო მეორეში  $81 \cdot 3 = 243$  ბურთულა. მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა I ყუთიდან II-ში გადავდეთ 15 ბურთულა ე.ი. I ყუთში გადადებამდე ყოფილა  $243 + 15 = 258$  ბურთულა, ხოლო II-ში კი -  $81 - 15 = 66$  ბურთულა.

**ამოცანა 2. ტურისტმა I დღეს გაიარა მთელი გზის  $\frac{1}{5}$  და კიდევ 4 კმ. ამის შემდეგ მას დარჩა გასავლელი 16 კმ. რას უდრის ტურისტის მიერ გასავლელი გზის სიგრძე?**

**ამოხსნა:**

მთელი გზა გამოვსახოთ რაიმე მონაკვეთით



აღვნიშნოთ პირობითად გასავლელი გზის  $\frac{1}{5}$  ნაწილი, მთელი მონაკვეთის რაიმე ნაწილით, და კიდევ 4 კმ და ამის შემდეგ დარჩენილი გზა იქნება 16 კმ.

დავუკვირდეთ, მონაკვეთზე გამოსახულია მონაკვეთის ნაწილი -  $\frac{1}{5}$  და დანარჩენი გზა გავლილი 4 კმ + დარჩენილი 16 კმ. ე.ი. 20 კმ;

თუ ტურისტმა გაიარა  $\frac{1}{5}$  ნაწილი, მაშინ მას დარჩა გასავლელი გზის  $\frac{4}{5}$  ნაწილი, ე.ი.  $\frac{4}{5}$  ნაწილი- რაოდენობრივად კი 20 კმ.

$\frac{4}{5}$  ნაწილი - 20 კმ.

$\frac{1}{5}$  ნაწილი - 5 კმ.


$\frac{5}{5}$  ნაწილი ანუ მთელი გზა - 25 კმ.

**ამოცანა 3.** წყლით სავსე კასრი იწონის 18 კგ-ს, ხოლო  $\frac{1}{4}$ -ით სავსე კი 6 კგ-ს. რას იწონის


**ცარიელი კასრი?**

**ამოხსნა:**

გამოვსახოთ პირობით კასრები



ს ა ვ ს ე 18 კ გ



6 კ გ

$\frac{1}{4}$

ნახაზიდან ჩანს, რომ კასრში ასხია  $\frac{3}{4}$  ნაწილი, ე.ი. გადაუსხიათ  $\frac{3}{4}$  ნაწილი, და ამან განაპირობა, რომ კასრი თუ იწონიდა 18 კგ-ს, ახლა იწონის 6 კგ-ს, ე.ი.  $18 - 6 = 12$  კგ ყოფილა ის  $\frac{3}{4}$  ნაწილი, რომელიც გადაასხეს, ე.ი.  $\frac{3}{4}$  ნაწილი თუ 12 კგ-ია,  $\frac{1}{4}$  ნაწილი იქნება - 4 კგ და მაშასადამე,  $\frac{4}{4}$




ნაწილი კი - 16 კგ. ე.ი. კასრი როცა სავსეა, მასში ასხია 16 კგ. წყალი. რადგან სავსე იწონის 18 კგ-ს, ცარიელი კასრი კი იქნება  $18 - 16 = 2$  კგ.

**ამოცანა 4.** ბანკიდან მეანაბრემ პირველ დღეს გამოიტანა მთელი თანხის  $\frac{2}{3}$  ნაწილი. მეორე დღეს

კი - დარჩენილი თანხის 87% და უკანასკნელი 26 ლარი. რამდენი ლარი იყო შეტანილი ბანკში თავდაპირველად?

**ამოხსნა:** ვისარგებლოთ ვენის დიაგრამით და მოცემული ამოცანა წარმოვადგინოთ სქემით. მთელი თანხა პირობითად გამოვსახოთ ელერის წრით.



ე.ი. მოცემულ წრეზე აღნიშნულია გატანილი თანხა ნაწილებში, დარჩენილი თანხა კი პროცენტშიც და რაოდენობრივადაც. მოსწავლემ უნდა შეძლოს დააკავშიროს ერთმანეთს წილადი, პროცენტი და შესაბამისი რაოდენობრივი მნიშვნელობა. ჩავატაროთ მსჯელობა ასე:

თუ მეანაბრემ, I დღეს გაიტანა თანხის  $\frac{2}{3}$ , ამის შემდეგ დარჩა მთელი თანხის  $\frac{1}{3}$ . თუ II დღეს

გაიტანა დარჩენილი თანხის 87%, ე.ი. კიდევ დარჩა 13%. ე.ი. 13% ყოფილა ის დარჩენილი თანხა-26 ლარი. თუ 13% არის 26 ლარი, მაშინ 100% კი იქნება- 200 ლარი.

მაშ, მთლიანი დარჩენილი თანხა არის 200 ლარი, მაგრამ ის ხომ მთელი თანხის  $\frac{1}{3}$ -ია, აქედან

გამომდინარე  $\frac{3}{1}$  ანუ, მთელი თანხა იქნება 600 ლარი.

განვიხილოთ კიდევ ერთი საოლიმპიადო ამოცანა, რომელიც განკუთვნილია V კლასის მოსწავლეებისათვის.


**ამოცანა 5.** დედამ მაგიდაზე ქლიავით სავსე თეფში დადგა და ანას, მართას და მარის ბარათი დაუტოვა - რომ მოხვალთ, თანაბრად გაიყავით და მიირთვითო. მივიდა ანა, წაიკითხა ბარათი და აიღო ქლიავის მესამედი, შეჭამა და წავიდა. მერე მართამ მივიდა, მან არ იცოდა, რომ ანამ თავისი წილი ქლიავები უკვე შეჭამა, სასწრაფოდ აიღო დარჩენილი ქლიავების მესამედი და გაიქცა. ბოლოს მივიდა მარი, გაყო დარჩენილი ქლიავები სამ ტოლ ნაწილად, მესამედი შეჭამა, თანაც გაიფიქრა: „რა ცოტა ქლიავი უყვითა დედას, თითოეულს მხოლოდ 4 გვერგო“.

**ამოხსნა:** ცხადია, ამ ამოცანის ამოხსნა განტოლების შედგენით დაწყებით საფეხურზე არცთუ ისე სასურველია. ვნახოთ შესაბამისი სქემა:

მთელი ქლიავების რაოდენობა პირობითად გამოვსახოთ მართკუთხედით. მისი მესამედი გვიჩვენებს ანას მიერ შეჭმული ქლიავების რაოდენობას.



დარჩენილი მართკუთხედის მესამედი გამოსახავს მართას მიერ აღებული ქლიავის რაოდენობას.



და ამის შემდეგ მარიამმა აიღო დარჩენილი ორი მართკუთხედის მესამედი და თანაც თქვა, თითოეულს 4 ქლიავი შეხვდათ, ე.ი. დარჩენილი ორი მართკუთხედი მთლიანად გამოსახავს 12 ქლიავს, მაშინ ერთი მართკუთხედი იქნება 6 ქლიავის შესაბამისი.

გამოდის, რომ მართას 6 ქლიავი შეუჭამია.  $12 + 6 = 18$ -ია და იგი ხომ მთელი ქლიავების  $\frac{2}{3}$  -

ია, ე.ი.  $\frac{1}{3}$  იქნება 9 და  $\frac{3}{3}$  კი  $9 \cdot 3 = 27$ . მაშასადამე, მთელი ქლიავების რაოდენობა იქნება 27.

ამ ტიპის ამოცანების სქემატური წარმოდგენა მოსწავლეს უვითარებს არგუმენტირებულ მსჯელობის, დასაბუთების, აზრთა თანმიმდევრულად გადმოცემის უნარ-ჩვევებს. მოსწავლისათვის რომელიმე საკითხზე მუშაობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული, როცა მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მიზეზები და წარმოადგინოს ამოცანის ამოხსნის გზები, როცა იწყებს კრიტიკური აზროვნების საშუალებით ამოცანის გადაჭრის იდენტიფიცირებას, გაანალიზებას და გადაჭრას.

### ლიტერატურა

1. www.problems.ru
2. ნ. მაჭარაშვილი, ვ. ბართაია-სასკოლო სახალისო ამოცანები, გამომცემლობა ლეგია, 1994 წელი.
3. გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ქურჩიშვილი-გავიმეოროთ მათემატიკა, 2008წ.
4. ა. ქურჩიშვილი, ლ. ქურჩიშვილი, ი. ჭელიძე - მათემატიკური კალენდოსკოპი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი 2004, გვ.209.

## რეზიუმე

ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია დაწყებითი განათლების საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას მოსწავლეს განუვითარდეს სააზროვნო უნარ-ჩვევები. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო აქტიურს სასწავლო პროცესში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა გზების სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის უმრავლესობა ხსნის ამოცანას ე.წ. ტრადიციული მეთოდით „x-ებით“, განტოლების შედგენით, როცა უფრო მნიშვნელოვანია ზოგჯერ ამოცანების ამოხსნა სქემების საშუალებით. არა აქვს მნიშვნელობა, რას გამოვიყენებთ ამის საილუსტრაციოდ, მონაკვეთებს, კვადრატებს, წრეებს და ა. შ. მთავარია, მოსწავლემ შეძლოს მისი გამოყენებით მოცემული ამოცანის მათემატიკური მოდელირება- სქემით წარმოდგენა. ნაშრომში მოცემულია ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ამოცანის ამოხსნა, სადაც აქცენტი გაკეთებულია ამოცანების ამოხსნის დროს სქემის გამოყენებაზე.

ამ ტიპის ამოცანების ამოხსნის სქემატური წარმოდგენა მოსწავლეს აჩვევს არგუმენტირებულ მსჯელობას და უვითარებს სააზროვნო უნარ-ჩვევებს.

**Manana Deisadze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

**Shalva Kirtadze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### Some problems solution of circuit analysis expresses

This paper deals with the discussion of an important goal of national teaching plan where developing pupils thinking skills while teaching them math's on the stage of primary education is very essential. While starting thinking pupils don't try to study the learnt material by heart, but they think over it. This makes them be active during the learning process.

According to this, it is very important to teach pupils different ways of solving the sums. It is worth mentioning that majority of pupils solve sums with so called traditional method "with X", but mostly it is more important what we use as an example – circles, squares etc. It is very essential for the pupil to be able to present the given sum with the scheme.

Some examples of solving the sums are presented in the paper, where the main focus is done on solving the sums with the help of schemes.

Presenting such kind of types of solving the sums make pupils develop their thinking skills and their argumentative flow of speech.

**Манана Деисадзе** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

**Шалва Киртадзе** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### Схематическое изображение решения некоторых задач

Важной целью национального учебного плана является развитие у учащихся на начальной ступени образования мыслительных навыков при обучении математике. Во время мыслительных действий учащийся не заучивает наизусть материал, а осознает, что заставляет его активнее подключаться к учебному процессу.

С этой точки зрения одним из важнейших моментов является обучение учащихся различным путям решения задач. Надо отметить, что большинство учащихся решают задачи т.н. традиционным методом «x-ами», уравнениями, в то время как важнее уметь решать задачи с помощью схем. Не имеет значения, что мы будем использовать для иллюстрации: отрезки, квадраты, круги и т.д., главное, чтобы учащийся смог с их помощью осуществить математическое моделирование задачи – представить с помощью схемы. Для иллюстрации этого в статье дается решение нескольких задач, в которых акцент делается на использовании схем при их решении.

Схематическое осмысление при решении таких задач вырабатывает аргументированное мышление в учащихся и развивает их мыслительные навыки.

**Teimuraz Vepkhvadze** – Department of Mathematics, Faculty of Exact and Natural Sciences, Doctor of Science Physics and Mathematics, professor

### About the Teaching of Constructing by the Compasses and the Ruler

Less attention is paid to issues during the studying process at primary school those are not represented in the entrance exam programs at institutions of higher education. Following sums by using the compass and the ruler are included in the teachers' professional standard: to construct the triangle according to its elements; to construct equal angle of the given one; to construct the angle bisector; to draw a straight line perpendicular on the given point; to draw a parallel line on the given point; to divide the section by given ratio (see.,e.g., [1]). According to the national curriculum the following must be taught at school: to construct equal triangle of the given one; to construct the angle bisector; to construct the sector middle perpendicular ([2], p. 468, class VII, content, 39). The notion of geometric locality is directed in the program of the 9<sup>th</sup> form ([2], p. 480-488, content, 35) and its use in the construction sums.

Traditional issue of the school mathematics is to construct geometric figures by the compass and the ruler. 'Some easy cases are used in practical works from these constructions, in other case their practical meaning is less. Nevertheless, including these constructions in the studying process is justified, as they play a very important role in the process of adopting the ways to solve the sums and introducing the geometrical figures' ([3], p.25). So George Poya pays a great attention to explaining the theory about geometrical construction in his methodic handbook [3].

Poya points out that geometric construction theory was also transferred in Evklide's initials and he represents one of the methods of analyzing three side triangle construction sum by the compass and the ruler- geometric place method of points. The essence of this method is as follows: let's say, we came to that conclusion when explaining the construction sum that the sum solving is related to any X point construction satisfying two conditions; geometric place of the points satisfying the first condition is  $F_1$  and geometric place of the points satisfying the second condition is a  $F_2$  figure. Index X point belongs to  $F_1$  and  $F_2$  figures, those are their co-slash. It is necessary to construct  $F_1$  and  $F_2$  figures by the compass and the ruler to find  $F_1$  and  $F_2$  figures co-slash X point. If  $F_1$  and  $F_2$  figures are straights or circumferences in this case it is evident that it is possible to construct them and find the general point by the compass and the ruler. In this regard those cases are interesting when the geometric place of the points is the straight or the circumference. We can name some examples:

- a) Geometric place of those points separated from the given point with equal space is a straight.
- b) Geometric place of those points separated from the given straight with given distance, are parallel two straights of this straight (they are separated from the given straight with given distance).
- c) Geometric place of equally separated points from given two points is a middle perpendicular straight of that sector with the ends of given points.
- d) Geometric place of equally separated points from two crossing straights is the bisector of that sector received from crossing these straights.
- e) Geometric place of those points from which estimation of the distances to the given two points is a positive  $\lambda$  number different from one is a straight.

It is desirable for the teacher to know the proof of the fifth provision by the coordinates method and without using the coordinates method as well. Instruction on proving it without the coordinates method when  $\lambda=2$  is given in our handbook ([4], p.351).

Goals and objectives of teaching mathematics in schools are given in national curriculum plan ([2], p.419). Together with other goals (for example, thinking ability development, deductive and inductive discussion, justification of views, phenomena and facts analysis ability development and other) are mentioned meaning of preparation for the next step for studies. Proving the coordinates by the above mentioned provision is an important material for solving canonic equations of the second line straights in the institutions of higher education.



Attention is mainly paid to one method of constructing the sums in the national curriculum (method of geometric place). The notion of 'Geometric Place of the Point' comes from Aristotle. He pointed that the straight is the 'place' where point may be placed; the points have no sizes and any number of points nevertheless their close relation will not give anything. In the period reforms of A. Kolmogorov in the 70<sup>th</sup> 'Set of the Points' were used instead of this term. Theoretical and multiple transfer and aspiration for formalism were noticed then.

As a rule, the sums on the construction consist of the following stages: 1) to search for the sums; 2) to fulfill the construction; 3) examining the rightness of solving; 4) research of solving.

To find the solution begins with making the assumptions that the sum has been solved. Then studying the constructed figure is begun, as well as relation to the task. This leads us to the discovery of the construction sequence. It is not necessary to fulfill the construction. Though, it is important to prove that the procedures pointed in the solving lead us to the figures of required features.

In this research we must examine if the sum has a solving when discussing any certain task and how many solving are there.

Except geometric places methods in literature other methods are discussed as well: the method of resemblance, symmetry method, turning method, inversion method.

When discussing the sums on construction by using the compass and the ruler the teacher is to explain the students well possibilities of using the instruments: we can draw any straight by the ruler that is on the given point; any straight that lies on two given point. Other tasks cannot be fulfilled by the ruler, for example, we cannot measure off the sector.

It is possible to draw the straight of the given centre and radius by the compass. Namely, it is possible to put off the given length sector from the given point on the given straight by the compass.

#### References:

1. Professional Standards of Basic and Secondary Level of Mathematical Course. [www.tpdg.ge](http://www.tpdg.ge)
2. National Curriculum, 2011-2016. [www.mec.gov.ge](http://www.mec.gov.ge)
3. George Poya. Mathematical Discovery, New York – London, 1962.
4. Guram Gogishvili, Teimuraz Vepkhvadze, Ia Mebonia, Lamara Kurchishvili. Mathematics IX, 'Intelecti', Tbilisi, 2012.
5. Philip L.Cox. Informal Geometry. Prentice Hall, 1999

#### Abstract

**Teimuraz Vepkhvadze** – Faculty of Exact and Natural Sciences, Iv. Javakhishvili State University, Doctor of Science of physics and Mathematics, Professor.

Issues of studying geometric construction by the compasses and the ruler, using geometric place of the points when solving these problems have been discussed.

**თეიმურაზ ვეფხვაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისი სახ. უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ფარგლითა და სახაზავით აგების სწავლების შესახებ რეზიუმე

გამოკვლეულია წერტილთა გეომეტრიული ადგილის გამოყენებით ფარგლისა და სახაზავით აგების ამოცანების სწავლების პრობლემები

**მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### **საგანთაშორისი კავშირების რეალიზება დაწყებითი კლასების მათემატიკის სწავლებაში**

დიდია საგანთაშორისი კავშირების როლი თანამედროვე სწავლებაში. იმისათვის რომ სწავლება გავაადვილოთ და შინაარსიანი გავხადოთ, საჭიროა გვერდი ავუაროთ სწავლებაში არსებულ ტრივი-ალურ მეთოდებსა და ფორმებს. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად, დღევანდელი პედაგო-გიური მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, საგანთაშორისი კავშირების რეალიზება გვესახება. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების სისტემატურობას, რადგან კლასიკურ პედა-გოგიკაში საგანთაშორისი კავშირების იდეა, როგორც ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის გა-მოხატულება, სისტემატური სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემური მხარეა.

გარემომცველ სამყაროსა და საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებათა შესამეცნებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებათა ურთიერთ-კავშირში შესწავლას. ცოცხალი ბუნება სრულყოფილად შეისწავლება მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა ერთობლივი გამოყენებით. საჭიროა ამ გამოკვლევათა შედეგები მართებულად დავაკავშიროთ ერ-თმანეთთან სწავლების პროცესშიც, რათა შეიქმნას ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის მიმართ მთლიანი, სწორი, ყოველმხრივი ჩაწვდომისა და შესწავლის ნათელი სურათი.

სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში გამოიყენება საგანთაშორისი კავშირების განხორციელების სხვადასხვა ხერხი და მეთოდი. მათი შერჩევა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით: სასწავლო მასა-ლის შინაარსით, გაკვეთილის მიზნით, საგანთაშორისი კავშირების ტიპებით, მასწავლებლის გამოც-დილებით, მოსწავლის მომზადების დონით და სხვ.

მართალია, საგნები ისწავლება ცალ-ცალკე, მაგრამ რადგან სწავლების პროცესი ერთიანია, საჭიროა მათ შორის კავშირების მოძიება და დადგენა. ბუნებაში ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას სხვადასხვა მეცნიერება სხვადასხვა მხრიდან სწავლობს. მაგრამ, სამყარო ერთიანია და მის ერთიან განვითარებას განაპირობებს მასში შემავალი საგნებისა და მოვლენების ურთიერთდამოკი-დებულება, ურთიერთზემოქმედება, ურთიერთკავშირი, მასში უწყვეტად მიმდინარე პროცესები. სრულიად იზოლირებულად სამყაროში არც საგანი არსებობს და არც მოვლენა. ამიტომაც არ არ-სებობს მეცნიერება, რომელიც სრულიად იზოლირებულია სხვა მეცნიერებათაგან. ყოველივე ეს ასახვას პოულობს სწავლების პროცესში და ამიტომაც, საგანთაშორისი კავშირები ხელს უწყობს მოს-წავლის მიერ ნებისმიერი საგნის შესწავლის მაღალ ხარისხს და გლობალურ გაცნობიერებას.

საგანთაშორისი კავშირების იდეა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ორგანული ნა-წილია. მისი „ბუნების კარი“ საგანთაშორისი კავშირების შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა. სწორედ „ბუნების კარის“ შექმნის ერთ-ერთი საფუძველთაგანი იყო ის პედაგოგიური პრინციპი, რომელშიც იაკობი ათავსებდა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათი განვითარების დონეს, ქართული ენის სწავლების კავშირს დაწყებითი სკოლის სხვა საგნებთან.

სწორედ დაწყებით კლასებში ხდება მოსწავლეთა მიერ სამყაროს პირველადი აღქმა. მოს-წავლეები ღებულობენ წარმოდგენებს გარესამყაროს ამა თუ იმ მოვლენებსა და მათ თვისებებზე. მა-თემატიკა ჩვენს გარშემო არსებულ საგნებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენის საშუა-ლებას იძლევა, რაც მას აკავშირებს სხვადასხვა საგნებთან.

დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანი რიცხვის გაცნობაა, რასაც ვახერხებთ თვალსაჩინოების გამოყენებით. ასე მაგალითად, მოსწავლეებს, რომ რიცხვი ორი გავაც-ნოთ, ვუსახელებთ ისეთ სიმრავლეებს, რომლის ელემენტები სრულიად სხვადასხვა ბუნების არიან, ოღონდ ყველა მათგანის რიცხობრივი მახასიათებელი ორის ტოლია. მაგალითად: „ადამიანის თვა-ლების სიმრავლე“, „ფრინველის ფრთების სიმრავლე“, „ოროთახიანი ბინის ოთახების სიმრავლეს და ა.შ. ამ ჩამოთვლილ სიმრავლეებს, ცხადია, საერთო არაფერი აქვთ. ჩვენ ვუგულვებელვყოფთ აქ ჩა-მოთვლილი ცნებების შინაარსს, არ გვიანტერესებს, არც თვალის ფერი, არც ფრინველის სახეობა, ზომა, წონა და ა.შ. ჩვენი მთავარი მიზანია მათი რაოდენობრივი მახასიათებლის დანახვა.

სწორედ ამშია მათემატიკის უდიდესი ძალა და ამშივეა სხვადასხვა სასწავლო საგანთან მისი მრავალფეროვანი კავშირების დამყარების დიდი შესაძლებლობა. მათ ექმნებათ წარმოდგენა ერთგვარი და სხვადასხვაგვარი საგნებისაგან შედგენილი სიმრავლეების შესახებ. სიმრავლის აღქმაში მათ ხელს უწყობთ გარემო - ადამიანების სიმრავლე, მათ თვალწინ მოძრავი უამრავი საგანი. სხვადასხვა საგანთა სიმრავლეებს ბავშვი სხვადასხვა ანალიზატორებით აღიქვამს (სმენით, მხედველობით, მოძრაობით).

საგანთაშორისი კავშირების განხორციელების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია საგანთაშორისი ხასიათის სავარჯიშოების განხილვა. ძალზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მათემატიკისა და მშობლიური ენის გაკვეთილებზე საგანთაშორისი კავშირების გამოყენება.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ გამოტოვებული ადგილების შემცველ სავარჯიშოებზე. აღნიშნული სახის სავარჯიშოებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაწყებით კლასებში როგორც მათემატიკის, ასევე ქართული ენის გაკვეთილებზე. გამოტოვებული ადგილების შემცველ სავარჯიშოთა შესრულების დროს ლოგიკური მსჯელობა ორივე საგნის შემთხვევაში ერთი და იგივე კანონებს ემორჩილება. თუ რიცხვის ჩანაწერი ციფრებისაგან შედგება, სიტყვებისა - ასოებისაგან. რიცხვის ჩანაწერში თუ ციფრი გამოვტოვებთ და მის ნაცვლად სხვა ციფრი ჩავწერეთ, მაინც რიცხვს ვღებულობთ, ოღონდ სხვას. სიტყვაში რომ ასო გამოვტოვოთ, ცხადია, ის ნაცვლად ნებისმიერ ასოს ვერ ჩავსვამთ; განვიხილოთ სავარჯიშო მათემატიკაში:

შეავსეთ გამოტოვებული ადგილები, ისე რომ მიიღოთ სწორი რიცხვითი ტოლობა:

$$\begin{array}{r} 2 * 1 \\ + \frac{9 *}{* 21} \end{array}$$

ქართულ ენაში მსგავსი სავარჯიშო ასეთი იქნება: გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ისე, რომ სიტყვები მიიღოთ:

მა\*იდა, ხა\*ი, ნი\*ვი და ა.შ.

შესაძლებელია, ისეთი პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, სადაც ერთდროულად ხდება ქართული ენისა და მათემატიკის სავარჯიშოების გაერთიანება. მაგალითად ასეთი სავარჯიშო:

მოცემულია წინადადება: "თბილისი საქართველოს დედაქალაქია".

დავსვათ შეკითხვები:

- 1) რამდენი სიტყვისაგან შედგება წინადადება?
- 2) რამდენი "ა" ასო-ბგერა შედის მასში?
- 3) რამდენჯერ მეორდება "ი" ასო-ბგერა წინადადებაში?
- 4) რამდენი მარცვალაა თითოეულ სიტყვაში?
- 5) რამდენი თანხმოვანია წინადადების თითოეულ სიტყვაში? და ა.შ.

დაწყებით კლასებში, ქართული ენის გაკვეთილებზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სურათის აღწერას. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს სურათის აღწერა, მასში მოცემული სულიერი თუ უსულო საგნების დახასიათება, მათ შორის მიმართებების დადგენა, საჭიროა მასწავლებელმა ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები, წინასწარ შეარჩიოს მეთოდურად დამუშავებული შეკითხვები, დაეხმაროს მას მთავარი მახასიათებლების დასახელებაში. მათემატიკის გაკვეთილებზეც ვიყენებთ სურათის აღწერას, მაგრამ მას სხვა მიზანი აქვს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სურათზე მოცემულ საგანთა რაოდენობრივ მხარეზე. სურათები შეიძლება იყოს სტატიკური, დინამიური, ან ორივე ერთდროულად.

მოვიყვანოთ ასეთი სავარჯიშო:

ერთ სურათზე გამოხატულია კურდღელი, რომელსაც წინ უდევს 4 სტაფილო. მეორე სურათზე კი იგივე კურდღელი, რომელსაც ამჯერად წინ მხოლოდ 1 სტაფილო უდევს. ცხადია, ქართული ენის გაკვეთილზე მოსწავლე აღწერს ამ სურათს. კერძოდ, კურდღლის მოქმედებას, რომ მან შეჭამა სტაფილო. მათემატიკის გაკვეთილზე კი იმავე სურათის გამოყენებით, უკვე ყურადღებას ვაქცევთ რაოდენობრივ მახასიათებელს. ის რომ "შეჭამა" მათემატიკაში გამოიხატება მოქმედება - "-" -ით და კურდღლის მოქმედების შედეგი შეიძლება გამოვსახოთ ტოლობით:  $4-3=1$ . თუ ქართული ენის გაკვე-

თილზე ბავშვი აღწერს მოცემულ სურათს, მათემატიკის გაკვეთილზე იმავე სურათის მიხედვით ჩამოაყალიბებს ამოცანას:

“კურდღელმა 4 სტაფილოდან რამდენიმე შეჭამა, რის შემდეგაც დარჩა 1 სტაფილო. რამდენი სტაფილო შეუჭამია კურდღელს? მოსწავლე ადგენს განტოლებას:  $4 - x = 1$

მათემატიკის გაკვეთილებზე საგანთაშორისი კავშირების რეალიზების კარგი

საშუალებაა ისეთ სავარჯიშოებზე მუშაობა, სადაც ხდება სიმრავლეთა შორის შესაბამისობების დამყარება. ერთის მხრივ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ცხოველთა, მცენარეთა, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგანთა, სამუშაო იარაღების, გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობათა, სასწავლო ნივთებისა და სხვა საგანთა სიმრავლეები, ხოლო, მეორეს მხრივ ავიღოთ მოცემულ სიმრავლეთა ადექვატური სიმრავლეები და მოვახდინოთ მათ შორის შესაბამისობების დამყარება. მასწავლებელმა მოცემულ სიმრავლეთა ელემენტებზე მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაციები, უნდა ესაუბროს ფლორასა და ფაუნაზე, საყოფაცხოვრებო საგანთა დანიშნულებაზე, ჩვენს გარემომცველ ბუნებაზე და ა.შ.

საგანთაშორისი კავშირები შეიძლება დამყარდეს სხვა სასწავლო დისციპლინებთანაც. მათემატიკისა და ფიზკულტურის ურთიერთკავშირი ხელს უწყობს მათემატიკის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის, კერძოდ სივრცითი და რაოდენობითი წარმოდგენების განმტკიცებას. “მარჯვნივ”, “მარცხნივ”, “პირდაპირ”, “ზევით”, “ქვევით”, „უკან“, „წინ“, „შიგნით“, „გარეთ“, „ბევრი“, „ცოტა“ და ა.შ. ამ ცნებების გამოყენებით ასრულებენ მოძრავ თამაშებს.

საინტერესოა მათემატიკისა და ხატვის გაკვეთილების საგანთაშორისი კავშირები. სასურველია ხატვის დროს, მოსწავლეებს შევასწავლოთ ამა თუ იმ საგნის დახატვის ტექნიკა გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით. ასევე წარმატებულად შეიძლება მოხდეს მათემატიკისა და შრომის სწავლების დროს საგანთაშორისი კავშირების რეალიზება.

საგანთაშორისი კავშირის გამოყენების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს პროფესორ გურამ ჩაჩანიძის წიგნები “ალგებრა და საქართველოს მათიანე” და “პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე”. ეს არის საუკეთესო მაგალითი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ისეთი საგნების დაკავშირებისა, როგორცაა მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სოფლის მეურნეობა, ხუროთმოძღვრება, ხელოვნების ნიმუშები და სხვ. მაღალპროფესიულად მოფიქრებული მათემატიკური ამოცანების მეშვეობით ხდება არა მარტო მათემატიკური მეცნიერების შესწავლა, არამედ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების შეცნობაც. აქ თვალსაჩინოდაა ნაჩვენები მათემატიკის კავშირი მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან.

მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესში საგანთაშორისი კავშირების განხორციელებას კომპიუტერიზაციის პროცესი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების კავშირი სხვა საგნებთან ორმხრივად უნდა განვითარდეს: ერთის მხრივ, ამ საგნის შესწავლის გადატანა სწავლების დაბალ საფეხურზე ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ამა თუ იმ საგანში წამოჭრილი ამოცანების კომპიუტერის საშუალებით გადაწყვეტას და მეორეს მხრივ, კომპიუტერული სასწავლო სისტემების დანერგვა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურს გახდის სწავლებას, რადგანაც კომპიუტერი სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, ფართო შესაძლებლობებს იძლევა საგნებისა თუ მოვლენების თვალსაჩინოდ და დინამიკურად აღწერისათვის.



### რეზიუმე

დიდა საგანთაშორისი კავშირების როლი თანამედროვე სწავლებაში. გარემომცველი სამყაროს შესამეცნებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებათა ურთიერთკავშირში შესწავლას. სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში გამოიყენება საგანთაშორისი კავშირების განხორციელების სხვადასხვა ხერხი და მეთოდი. მათი შერჩევა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით: სასწავლო მასალის შინაარსით, გაკვეთილის მიზნით, საგანთაშორისი კავშირების ტიპებით, მასწავლებლის გამოცდილებით, მოსწავლის მომზადების დონითა და სხვ. საინტერესოდ შეიძლება წარიმართოს საგანთაშორისი კავშირების რეალიზება მათემატიკის გაკვეთილებზე, დაწყებით კლასებში ისეთ საგნებთან მიმართებით, როგორებიცაა ქართული ენა, შრომა, ხატვა და სხვ. სწავლების პროცესში საგანთაშორისი კავშირების განხორციელებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომპიუტერიზაციის პროცესი. კომპიუტერი სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, ფართო შესაძლებლობებს იძლევა საგნებისა თუ მოვლენების თვალსაჩინოდ და დინამიკურად აღწერისათვის.

**Manana Zivzivadze-Nikoleishvili** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor

### **Implementation of Interdisciplinary Connections in Teaching Mathematics at Primary School Level**

#### **Abstract**

Interdisciplinary connections play a big role in modern teaching methods. In order to get to know the environment it is of paramount importance to study different disciplines in relation to other sciences. In teaching practice various techniques and methods are used for the realization of interdisciplinary connections. Their selection is determined by various factors: the goal of the lesson, content material, types of interdisciplinary connections, teachers' experience, the learner's level of training and etc. Implementation of interdisciplinary connections can be very interesting during the math lesson in relation to the subjects such as Georgian language, handcraft and drawing lessons and etc. In teaching process computerization significantly contributes to the implementation of the latter. Unlike textbooks computer gives the vast possibilities to describe things or events in a clear and dynamic way.

**Манана Зивзivadze-Николеишвили** – Государственный университет Акакия Церетели, академический доктор

### **Реализация межпредметных связей в преподавании Математики в начальных классах**

#### **Резюме**

В современном обучении большую роль играют межпредметные связи. В деле восприятия окружающей среды большое значение имеет изучение наук в их взаимосвязи. В практике преподавания используются разные способы и методы осуществления межпредметных связей. Выбор этих способов и методов обусловлен разными факторами: содержанием учебного материала, целью урока, типами межпредметных связей, опытом преподавателя, уровнем подготовленности преподавателя и т.д. Очень интересна реализация межпредметных связей на уроках математики в начальных классах с такими предметами как грузинский язык, трудовое обучение, рисование и др. Осуществлению межпредметных связей в процессе обучения также способствует процесс компьютеризации. Компьютер в отличие от учебника дает широкие возможности для наглядного и динамического описания предметов и явлений.

მანანა ზივზივამე-ნიკოლეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

### ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა ხერხი

მათემატიკის სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამოცანებს, რადგანაც მათი ამოხსნა წარმოადგენს ძირითად საქმიანობას მათემატიკის გაკვეთილებზე. ამოცანათა ამოხსნის გზების ძიება მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი პროცესია. ამოცანის ამოხსნა მოითხოვს აგრეთვე შესაბამისი თეორიული საფუძვლების ცოდნასა და ამ ცოდნაზე დამყარებულ პრაქტიკულ გამოყენებას. მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესი მოსწავლეთა აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

დაწყებითი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამოცანებს, რომლებიც შესაბამისი განტოლების შედგენის საფუძველზე ამოიხსნება. ანუ, საძიებელ სიდიდეს აღვნიშნავთ რაიმე ცვლადით და ლოგიკური მსჯელობით წარვმართავთ ამოცანის ამოხსნის პროცესს.

ზოგ შემთხვევაში ამოცანის ამოხსნა ცვლადის ან ცვლადების საშუალებით საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოითხოვს მრავალჯერადი ალგებრული გარდაქმნების შესრულებას, რაც მოსწავლეებს უძნელებთ მის აღქმასა და შემეცნებას, აგრეთვე საჭიროებს დიდ დროს. ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნისადმი ერთ-ერთი მიდგომა შეიძლება იყოს ამოცანაში ცვლადის ნაცვლად მისი რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის განხილვა, ანუ ამოცანა გადავჭრათ საძიებელი სიდიდისათვის რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭების ხერხით და ამის შემდგომ მოვახდინოთ მისი განზოგადება. ამოხსნისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი ამოცანებისათვის სადაც საძიებელია სიდიდეთა პროცენტული ფარდობა.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი ორი ამოცანა:

ამოცანა 1. „ თორნიკეს გასული წლის განმავლობაში თავისი ხელფასის 6% ბანკში შეჰქონდა. წელს თორნიკეს ხელფასი 20%-ით გაეზარდა, რის გამოც ბანკში თავისი ხელფასის 9%-ის შეტანა დაიწყო. გასული წლის განმავლობაში ბანკში შეტანილი თანხის რამდენი პროცენტი იქნება თორნიკეს მიერ ამ წლის განმავლობაში შეტანილი თანხის რაოდენობა?“

ამოხსნათ მოცემული ამოცანა ორი ხერხით: ჯერ ცვლადის შემოტანით, შემდეგ კი ცვლადისათვის რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭების ხერხით და შევადაროთ ერთმანეთს ამოცანის ამოხსნისადმი ეს ორი მიდგომა.

თავდაპირველად ამოცანა ამოხსნათ ცვლადის შემოტანით. ამისათვის ასე ვიმსჯელოთ: ვთქვათ, თორნიკეს ხელფასი გასულ წელს  $x$  ლარი იყო. მაშინ ის ყოველთვიურად ბანკში შეიტანდა  $x$ -ის 6%-ს ანუ  $\frac{6x}{100} = \frac{3x}{50}$  ლარს, ხოლო, მთელი წლის განმავლობაში ეს თანხა გახდებოდა  $12 \cdot \frac{3}{50} x = \frac{18}{25} x$  ლარი. ვინაიდან მომდევნო წელს თორნიკეს ხელფასი 20%-ით ანუ  $\frac{1}{5} x$  ლარით გაეზარდა, ამიტომ, მისი ხელფასი გახდებოდა  $x + \frac{x}{5} = \frac{6}{5} x$  ლარი. ამ თანხის 9% კი იქნება:  $\left(\frac{6}{5} x : 100\right) \cdot 9 = \frac{6x}{500} \cdot 9 = \frac{27}{250} x$  ლარი. მაშასადამე თორნიკე მომდევნო წელს, თვეში გადაინახავდა  $\frac{27}{250} x$  ლარს, ხოლო წელიწადში -  $12 \cdot \frac{27}{250} x = \frac{162}{125} x$  ლარს.

ცხადია, რომ გავიგოთ გასული წლის განმავლობაში ბანკში შეტანილი თანხის რამდენი პროცენტი იქნება თორნიკეს მიერ მომდევნო წლის განმავლობაში შეტანილი თანხის რაოდენობა, ამისათვის საჭიროა გამოვთვალოთ შემდეგი გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა:

$$\left(\frac{162}{125} x : \frac{18}{25} x\right) \cdot 100 = \left(\frac{162x}{125} \cdot \frac{25}{18x}\right) \cdot 100 = \frac{9}{5} \cdot 100 = 180\%$$

პასუხი: 180%

როგორც ჩანს, მოცემული ამოცანის ამოხსნა განხილული ხერხით, მოსწავლეთათვის საკმაოდ რთულად წარიმართება.

ახლა ვნახოთ, როგორ გამარტივდება იგივე ამოცანის ამოხსნა, თუ ცვლადს მივანიჭებთ რაიმე კონკრეტულ რიცხვით მნიშვნელობას.

მართლაც, ვთქვათ თორნიკეს ხელფასი გასულ წელს იყო 100 ლარი. თვეში ის გადაინახავდა 100-ს 6%-ს ანუ 6 ლარს, ხოლო წელიწადში  $6 \cdot 12 = 72$  ლარს. მომდევნო წელს თორნიკეს ხელფასი გახდებოდა 20%-ით მეტი, ანუ 120 ლარი და ყოველ თვეში გადაინახავდა 120 - ის 9%-ს, ანუ  $\frac{120}{100} \cdot 9 = \frac{54}{5}$  ლარს, ხოლო წელიწადში  $12 \cdot \frac{54}{5} = \frac{648}{5}$  ლარს. მათი პროცენტული ფარდობა კი ტოლი იქნება:

$$\left(\frac{648}{5} : 72\right) \cdot 100 = \frac{648}{5 \cdot 72} \cdot 100 = 180\%$$

მაშასადამე, თორნიკეს მიერ ამ წლის განმავლობაში ბანკში შეტანილი თანხის რაოდენობა, გასული წლის განმავლობაში ბანკში შეტანილი თანხის 180%-ს შეადგენს.

კიდევ უფრო რთულდება ვითარება ქვემოთ მოყვანილი ამოცანის შემთხვევაში, რადგან მის ამოსახსნელად საჭირო ხდება არა ერთი, არამედ ორი ცვლადის შემოტანა.

ამოცანა 2: „რამდენი პროცენტით გაიზრდება მართკუთხედის ფართობი, თუ სიგრძე გაიზრდება 20%-ით და სიგანე 10%-ით?“

თავდაპირველად ეს ამოცანაც, წინას მსგავსად, ამოვხსნათ ცვლადების შემოტანით.

ვთქვათ, მართკუთხედის სიგრძე და სიგანე შესაბამისად  $x$  და  $y$ . ცხადია, მათი ფართობი იქნება  $xy$ . თუ სიგრძე 20%-ით ანუ  $\frac{x}{5}$ -ით გაიზრდება, ხოლო სიგანე 10%-ით, ანუ  $\frac{y}{10}$ -ით, მაშინ მართკუთხედის გვერდები შესაბამისად გახდება:

$$x + \frac{x}{5} = \frac{6}{5}x \text{ და } y + \frac{y}{10} = \frac{11}{10}y$$

მიღებული მართკუთხედის ფართობი კი ტოლი იქნება:

$$\frac{6}{5}x \cdot \frac{11}{10}y = \frac{33}{25}xy$$

ანუ, თუ პირველი მართკუთხედის ფართობია  $S_1 = xy$ , ხოლო მიღებული მართკუთხედისა კი  $S_2 = \frac{33}{25}xy$ , მაშინ მათი სხვაობა იქნება:

$$S_2 - S_1 = \frac{33}{25}xy - xy = xy \left(\frac{33}{25} - 1\right) = \frac{8}{25}xy$$

ამ სხვაობათა პროცენტული ფარდობა კი ტოლი იქნება:

$$\frac{\frac{8}{25}xy}{xy} \cdot 100 = \frac{8}{25} \cdot 100 = 32\%$$

პასუხი: 32%

ამოცანის ამოხსნა გამარტივდება, თუ მართკუთხედის გვერდების აღმნიშვნელ ცვლადებს, კონკრეტულ რიცხვით მნიშვნელობებს მივანიჭებთ და მსჯელობას ასე წარვმართავთ:

ვთქვათ, მართკუთხედის სიგრძე და სიგანე შესაბამისად 100 სმ და 50 სმ (შეიძლება შევარჩიოთ სხვა რიცხვებიც). თუ მოცემული მართკუთხედის სიგრძესა და სიგანეს გავადიდებთ 20%-ითა და 10%-ით, მაშინ მართკუთხედის გვერდები გახდება 120სმ და 55 სმ, ხოლო მათი ფართობები შესაბამისად იქნება:

$$S_1 = 100 \cdot 50 = 5000 \text{ სმ}^2$$

$$S_2 = 120 \cdot 55 = 6600 \text{ სმ}^2$$

ფართობთა სხვაობა ტოლი იქნება:

$$S_2 - S_1 = 6600 - 5000 = 1600$$

ხოლო მათი პროცენტული ფარდობა კი ტოლი იქნება :

$$\frac{1600}{5000} \cdot 100 = 32\%$$

მაშასადამე, მართკუთხედის სიგრძისა და სიგანის, შესაბამისად 20%-ითა და 10%-ით გაზრდის შემთხვევაში, მართკუთხედის ფართობი 32%-ით გაიზრდება.

ცხადია, ეს მეთოდი არ შეიძლება გამოვიყენოთ ყველა იმ ამოცანისათვის, რომელიც ცვლადის ან ცვლადების შემოტანით ამოიხსნება.

#### ლიტერატურა

1. დეისაძე მანანა, ადგიშვილი ვლადიმერ, კირთაძე შალვა, „მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები“, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013წ.
2. ერთიანი ეროვნული საგამოცდო ტესტები მათემატიკაში, 2011წ.

#### რეზიუმე

დაწყებითი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამოცანებს, რომლებიც შესაბამისი განტოლების შედგენის საფუძველზე ამოიხსნება. ანუ, სამიხედელ სიდიდეს აღვნიშნავთ რაიმე ცვლადით და ლოგიკური მსჯელობით წარვმართავთ ამოცანის ამოხსნის პროცესს.

ზოგ შემთხვევაში ამოცანის ამოხსნა ცვლადის ან ცვლადების საშუალებით საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოითხოვს მრავალჯერადი ალგებრული გარდაქმნების შესრულებას, რაც მოსწავლეებს უძნელებთ მის აღქმასა და შემეცნებას, აგრეთვე საჭიროებს დიდ დროს. ასეთი ტიპის ამოცანების ამოხსნისადმი ერთ-ერთი მიდგომა შეიძლება იყოს ამოცანაში ცვლადის ნაცვლად მისი რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის განხილვა, ანუ ამოცანა გადავჭრათ სამიხედელი სიდიდისათვის რაიმე კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭების ხერხით და ამის შემდგომ მოვახდინოთ მისი განზოგადება. ამოხსნისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი ამოცანებისათვის სადაც სამიხედელია სიდიდეთა პროცენტული ფარდობა.



**Manana Zivzivadze-Nikoleishvili** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor

### Various Methods of Problem Solving

#### Abstract

In math textbooks for primary grades the tasks that are solved by forming a corresponding equation plays an important role. That is, an unknown is marked as a variable and through logical reasoning the problem is solved.

In some cases, the task is quite difficult to solve by means of one or more variables. Such tasks require multiple algebraic transformations to be fulfilled and it is hard for pupils to perceive and learn it. Besides, it is very time consuming. One approach to solve this type of problems might be as follows: a specific numeric value can be used instead of an unknown variable. In other words, the problem will be solved by giving a specific numeric value to the variable to be found and then the method of generalization will be used. This approach is particularly effective for the solution of such problems where the percentage ratio of different variables is to be found.

**Манана Зивзivadze-Николеишвили** – Государственный университет Акакия Церетели, академический доктор

### Разные способы решения некоторых задач

#### Резюме

В учебниках математики для начальных классов важное место занимают задачи, которые решаются на основе составления соответствующих уравнений. То есть, величину, которую мы ищем, обозначаем какой-либо переменной и логическим мышлением ведем процесс решения задачи.

В некоторых случаях процесс решения задачи трудно вести при помощи переменной или переменных. Решение таких задач требует выполнения многократных алгебраических преобразований, что затрудняет ученикам их восприятие и познание, а также требует времени. Одним из подходов к решению задач такого типа может быть рассмотрение какого-либо конкретного числового значения вместо переменной, то есть можно решить задачу при помощи замены искомой величины конкретным числом и только после этого произвести его обобщение. Такой подход к решению особенно эффективен для тех задач, в которых искомым является процентное соотношение величин.

შორენა ლომთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### დაწყებითი კლასების მათემატიკის კურსში ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურების შესახებ

დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს ამოცანების ამოხსნის ხერხებს, ამიტომ ბუნებრივია, რომ ტექსტური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდების ძიება დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

ნებისმიერი მათემატიკური სავარჯიშო განიხილება როგორც ამოცანა, რომელშიც შეგვიძლია გამოვყოთ პირობა-რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ცნობილ და უცნობ სიდიდეთა შესახებ, მათ შორის კავშირებზე და მოთხოვნა (კითხვა), რა უნდა ვიპოვოთ.

მაგალითად: იპოვეთ რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა  $5 \cdot 10 + 50$ ; არის ამოცანი.

აქ პირობაში მოცემულია რიცხვები, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია მოქმედებათა ნიშნებით. მოთხოვნა კი არის რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის პოვნა.

ამოცანაა მაგალითად - ამოხსენით განტოლება:  $5 + x = 17$

დაწყებით კლასების მათემატიკის კურსში ცნებაში „ამოცანა“ მოიაზრება ტექსტი (სიუჟეტი) რომელშიც აღწერილია რაიმე მოვლენა, სიტუაცია პროცესი სიტყვიერად. მოცემულია ობიექტებს შორის არსებული რაოდენობრივი დამოკიდებულებები, რომელთა ამოხსნა დაიყვანება არითმეტიკული ამოცანების ამოხსნაზე.

მაგალითად: როცა ეთერმა 5ცალი 10-ლარიანი მარიკას მისცა მას 55 ლარი დარჩა. რა თანხა ქონდა ეთერს თავდაპირველად?

თუ როგორ, რა გზებით და საშუალებებით ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტური ამოცანების ამოხსნა ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა გვეცოდინება ის მიზეზები, რის გამოც მოსწავლეები ვერ ახერხებენ ტექსტური ამოცანების ამოხსნას დამოუკიდებლად.

ამოცანის ამოხსნის პროცესი შესაძლებელია პირობითად დავყოთ სამ ნაწილად:

პირველ ნაწილში უნდა განხორციელდეს ამოცანის პირობის, მოცემულობის გადაყვანა მათემატიკურ ენაზე, ამისთვის უნდა გამოიყოს ცნობილი და უცნობი სიდიდეები, დადგინდეს მათ შორის კავშირები, და ჩაიწეროს ის შესაბამისი მათემატიკური სიმბოლოებით.

მეორე ნაწილში - უნდა განხორციელდეს შედგენილი მათემატიკური მოდელის ან მიმდევრობით ჩამოწერილი მოქმედებების შესრულება ან შედგენილი განტოლების ან განტოლებათა სისტემის ამოხსნა.

მესამე ნაწილი კი გულისხმობს მეორე ნაწილში ნაპოვნი განტოლების ამონახსნი ან გამოსახულების მნიშვნელობა წარმოდგინდეს ამოცანის ტექსტის შესაბამისად.

შეინიშნება, რომ მოსწავლეები რომლებიც უშეცდომოდ ხსნიან ამოცანას: იპოვეთ რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა  $5 \cdot 10 + 55$ ; უჭირთ ტექსტური ამოცანის ამოხსნა, რომლის ამოხსნაც დაიყვანება სწორედ ასეთივე რიცხვით გამოსახულების მნიშვნელობის პოვნაზე. ანუ ვერ ახერხებენ ტექსტური ამოცანის შესაბამის მათემატიკური მოდელის შექმნას.

მათემატიკური მოდელი, როგორც ცნობილია არის რაიმე რეალური პროცესის აღწერა მათემატიკურ ენაზე (მათემატიკური სიმბოლოების საშუალებით). მათემატიკურ მოდელში მოიაზრება ამოცანის შესაბამისი რიცხვითი გამოსახულება ან მოქმედებების თანმიმდევრული ჩანაწერის შექმნა, თუ ამოცანა იხსნება არითმეტიკული მოდელით, ხოლო განტოლება ან განტოლებათა სისტემის შედგენა, როცა ამოცანა იხსნება ალგებრული მეთოდით. სწორედ ამ მოდელების საშუალებით ხდება ამოცანის ამოხსნა, ამოცანის კითხვაზე (მოთხოვნაზე) პასუხის გაცემა.

ტექსტური ამოცანების ამოხსნის ძიება დაიყვანება იმ ხერხების მოძიებაზე, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარებათ ამოცანის ტექსტიდან მის შესაბამის მათემატიკურ მოდელზე გადასვლაში.

მიზეზები, რის გამოც მოსწავლეებს უჭირთ გადასვლა ტექსტური ამოცანიდან შესაბამის მათემატიკური მოდელზე, უმეტეს შემთხვევაში არის ის, რომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ შემდეგთაგან ერთ-ერთს მაინც ან შესაძლებელია რამდენიმეს ერთდროულად: ამოცანის ტექსტის გააზრებულად კითხვას ტექსტის გაანალიზებას; ცნობილი და უცნობი სიდიდეების გამოყოფას ამოცანის პირობიდან; კონკრეტულად ამოცანის (კითხვის) მოთხოვნის გამოყოფას; ცნობილ და უცნობ სიდიდეებს შორის კავშირების დანახვას; დანახული კავშირების გამოსახვას შესაბამისი სქემებით და შესაბამისი მათემატიკური სიმბოლოების საშუალებით.

ვინაიდან მოსწავლეებს უმეტეს შემთხვევაში განვითარებული აქვთ არითმეტიკული ამოცანების ამოხსნის უნარები, და მათთვის ამოცანის ამოხსნის პროცესში სირთულეს წარმოადგენს ამოცანის ტექსტის შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნა კარგი იქნება, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს განუვითაროთ ტექსტის შესაბამისი სქემატური მოდელის შექმნის უნარები, რაც დაეხმარება ამოცანის ტექსტის შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნაში.

პირველ რიგში მოსწავლეებს უნდა გამოვუმუშავოთ ამოცანის სტრუქტურის (აგებულების) გააზრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. მოსწავლეებს შესაძლოა შევთავაზოთ შემდეგი სახის დავალებები:

შეადარონ ერთმანეთს ამოცანის ტექსტები:

**დავალება 1:** შეადარეთ ამოცანის ტექსტები და უპასუხეთ კითხვებს: რით გვანან და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

ა) ერთ თაროზე იყო წიგნები, მეორეზე—7 წიგნი, რამდენი წიგნია ორივე თაროზე? (პირობა არასრულყოფილია)

ერთ თაროზე იყო 3 წიგნი, მეორეზე—7 წიგნი, რამდენი წიგნია ორივე თაროზე? (პირობა სრულყოფილია)

ბ) გიორგიმ ქალაქისაგან დაამზადა 8 სათამაშო თვითმფრინავი; რამდენი თვითმფრინავი აქვს გიორგის? (ამოცანა გვეკითხება იმას რაც ცნობილია.)

გიორგიმ ქალაქისაგან დაამზადა სათამაშო თვითმფრინავები; ორი სანდროს აჩუქა, რამდენი თვითმფრინავი დარჩა გიორგის? (პირობა არასრულყოფილია)

გ) ეკას 2 თოჯინა აქვს, მარიამს 3 თოჯინა, რამდენი წიგნი აქვთ ორივეს ერთად? (პირობისა და კითხვის შეუთავსებლობა)

ეკას 3 თოჯინა აქვს, მარიამს 5 თოჯინა, დათოს 5 ბურთი. რამდენი თოჯინა აქვს მარიამს და ეკას? (ამოცანაში გვაქვს ზედმეტი მოცემულობა.)

**დავალება 2.** შეადარე ამოცანის ტექსტები ერთმანეთს. რით გვანან (რით განსხვავდებიან). შესაძლებელია თუ არა მათი ამოხსნა იყოს ერთნაირი.

ეზოში არის 5 ვაშლის და 3 მსხლის ხე. რამდენი ხილის ხე დგას ეზოში?

ეზოში დგას 5 ვაშლის, 3 მსხლის და 2 ნაძვის ხე, რამდენი ხილის ხე დგას ეზოში?

**დავალება 3.** თეფშზე იდო 16 ვაშლი, რამდენი ვაშლი დარჩა თეფშზე?

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის ჩასმა გახდის შესაძლებელს პასუხი გასცეთ ამოცანის კითხვას?

ნიკამ შეჭამა 3 ვაშლი, დათომ 2 ვაშლი;

ნიკამ შეჭამა 2 ვაშლით მეტი ვიდრე დათომ.

დავალება: ზაზამ 13 ლექსი იცის, მან 4-ით მეტი იცის გვანცაზე.

ჩამოთვლილთაგან, რომელ კითხვაზე შეგიძლია გასცე პასუხი ამოცანის კითხვის მიხედვით?


რამდენი ლექსი იცის გვანცამ?

რამდენი ლექსი იცის სულ გვანცამ და ზაზამ?

რამდენი ლექსით ნაკლები იცის გვანცამ ზაზაზე?

სქემატური მოდელები მოსწავლეებს ეხმარება უკეთ გააცნობიერონ ის კავშირები რაც არსებობს ამოცანაში მოცემულ ცნობილ და საძიებელ სიდიდეებს შორის. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ ამოცანის ტექსტის შესაბამისი სქემების აგების უნარ-ჩვევა. შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ შემდეგი სახის დავალებები:


**დავალება 4.** კოლოფში 10 ფანქარი იყო, მათგან 3 მწვანეა, დანარჩენი წითელი. რამდენი წითელი ფანქარი დევს კოლოფში? ინამ და ლაშამ დახატეს ამოცანის შესაბამისი სქემები.



როგორ ფიქრობთ, რომელმა წაიკითხა ამოცანა უყურადღებოდ ინამ, თუ ლაშამ?


**დავალება 5.** შეადგინეთ ამოცანის კითხვა მოცემული პირობისა და სქემის მიხედვით.

დათო არის გიორგიზე 15 სმ-ით მაღალი, ხოლო გიორგი სანდროზე 10სმ-ით მაღალია. მოცემული პირობისა და სქემის მიხედვით მოიფიქრეთ ამოცანის კითხვა.




**დავალება 6.** სქემის მიხედვით შეავსეთ მოცემულ ამოცანაში გამოტოვებული სიტყვები და რიცხვები.

ქუჩის ერთ მხარეს არის ... სახლი, მეორე მხარეს .... სახლით ..., რამდენი სახლი დგას სულ ქუჩაზე?



**დავალება 7:** წაიკითხე ამოცანა და ტექსტის მიხედვით მოცემულ სქემაზე აღნიშნე ცნობილი და უცნობი სიდიდეები.

ამოცანა: ძალმა ნინომ სახლიდან სკოლამდე გაიარა 30 მეტრი, ხოლო შემდეგ საწინააღმდეგო მიმართულებით გაიარა 45 მეტრი. რა მანძილითაა დაშორებული ნინო სახლიდან?





ამოცანის ტექსტის შესაბამისი სქემატური მოდელის შექმნა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დამხმარე საშუალება ამოცანის ტექსტის შესაბამისი არითმეტიკული, ან ალგებრული მოდელის შექმნაში. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებს განუვითაროთ სხვადასხვა სახის სავარჯიშოების საშუალებით სქემატური მოდელების შექმნის უნარები დაწყებით კლასებში.

### **რეზიუმე**

დაწყებითი კლასების მათემატიკის კურსში ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურების შესახებ

ნაშრომში საუბარია თუ როგორ, რა გზებით და საშუალებებით არის შესაძლებელი ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტური ამოცანების ამოხსნა დაწყებით კლასებში. აქ წარმოდგენილია ის მიზეზები, რის გამოც მოსწავლეები ვერ ახერხებენ ტექსტური ამოცანების ამოხსნას დამოუკიდებლად. აღნიშნულია რომ მოსწავლეებს უმეტეს შემთხვევაში განვითარებული აქვთ არითმეტიკული ამოცანების ამოხსნის უნარები, და მათთვის ამოცანის ამოხსნის პროცესში სირთულეს წარმოადგენს ამოცანის ტექსტის შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნა. იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ამოცანის ტექსტის მათემატიკური სიმბოლოებით გამოსახვა საჭიროა მათ განუვითაროთ ტექსტის შესაბამისი სქემატური მოდელის შექმნის უნარები. ნაშრომში მოცემულია რამდენიმე დავალება, რომელთა მსგავსი დავალებების შესრულებაც მოსწავლეებს განუვითარებთ ტექსტური ამოცანის შესაბამისი სქემატური მოდელების შექმნის უნარებს.

**Шорена Ломтадзе** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **О некоторых методических особенностях решения задач в курсе математики начальных классов**

#### **Резюме**

В труде говорится о том, какими путями и средствами возможно обучение учащихся решению текстовых задач в начальных классах. Здесь представлены те причины, из-за которых учащиеся не могут решать текстовые задачи самостоятельно. Отмечается, что в большинстве случаев у учащихся развиты навыки решения арифметических задач и для них в процессе решения задачи затруднением является создание соответствующей математической модели текста задачи. Для того, чтобы учащимся облегчить выражение математическими символами текста задачи, необходимо развить у них навыки создания соответствующей схематической модели. В труде дается несколько заданий, выполнение которых и им подобных развивает у учащихся навыки создания соответствующих схематических моделей текстовых задач.

**Shorena Lomtadze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### **Regarding some methodological peculiarities of task solution during mathematic course at the elementary classes.**

#### **Resume**

The paper refers to the ways and means of teaching the students to solve the textual tasks in the elementary classes. The reasons for students' incapability to solve the textual tasks independently are presented here. It is pointed out that the students' have mostly developed the skills of solving arithmetical tasks and the problem for them while solving the textual skills is creating the corresponding mathematical model. In order to simplify the depiction of mathematical text with the symbols it is necessary to develop the ability of creating the schematic models for the text in them. The assignments similar to the ones given in the paper will develop the ability of creating the schematic models of the corresponding textual tasks within the students.

ია მეზონია - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტი, ქართულ-ამერიკული სკოლის ზუსტ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი

### ვისწავლოთ და ვასწავლოთ მათემატიკა

მათემატიკის სწავლების პროცესი ყოველთვის იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება საზოგადოების ყურადღების ცენტრში. შემთხვევითი როდია, რომ მოქალაქეთა განათლებულობის კვლევისას წერა-კითხვის პარალელურად სწორად მათემატიკური უნარ-ჩვევების განვითარების დონეს ექცევა ყურადღება. სხვადასხვა სამსახურში თანამშრომლად აყვანისას მომავალ კანდიდატებს სთავაზობენ სპეციფიურ ტესტებს, რომელთა დიდი ნაწილი მათემატიკური ამოცანებია. აბიტურიენტებისთვისაც სავალდებულოა მათემატიკის გარკვეულ დონეზე ცოდნა მიუხედავად იმისა, თუ რომელი სპეციალობის დაუფლება სურთ. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება აცნობიერებს მათემატიკური განათლების მნიშვნელობას და აღიარებს მის საჭიროებას. შესაბამისად, სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მათემატიკა არის ერთ-ერთი სავალდებულო სასწავლო დისციპლინა. მაგრამ მოზარდებისთვის გარკვეული ცოდნის გადაცემის აუცილებლობის აღქმა სულაც არ ნიშნავს ამ პროცესის საუკეთესოდ წარმართვის საშუალებების ფლობას. საოცარია, მაგრამ საქართველოში განათლების საჭიროებებზე გახშირებული პოლემიკისა და გაუთავებელი რეფორმების მიუხედავად, სულ უფრო უარესი მდგომარეობის შექმნის მოწმე ვხდებით. რატომ? ალბათ, პირველ რიგში იმიტომ, რომ გამოსავალსა და მითითებებს ყოველთვის „ზემოდან“ ველით მაშინ, როცა საჭიროა ყველამ ერთად ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ვიკისროთ და აქტიურობა გამოვიჩინოთ. სასწავლო სტანდარტებისა და რეფორმების ზომიერების ფარგლებში კრიტიკის პარალელურად პედაგოგი ძალისხმევას არ უნდა იშურებდეს მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსასწორებლად, თუნდაც ლოკალურად, თუნდაც მხოლოდ საკუთარ კლასში, რადგან მოსწავლე ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება, შესაბამისად, ვერ დაელოდება, როდის მიიღებს მავანი კარგ კანონს, ჩაატარებს გააზრებულ რეფორმას ან დაწერს ყველასთვის მოსაწონ სახელმძღვანელოებს. მოსწავლე დღესვე საჭიროებს აღზრდასა და სწავლებას, ყოველგვარი გამართლებული თუ გაუმართლებელი გადავადების გარეშე. მაშ, მოდით ერთად ვიფიქროთ, რა გვიშლის ხელს და როგორ ვაკეთოთ ჩვენი საქმე მაქსიმალურად კარგად.

ყოველი მასწავლებელი მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში — კანონმდებლობა, სასწავლო სტანდარტი, სახელმძღვანელო, მეთოდური გზამკვლევი, საათური ბადე. იქნება შთაბეჭდილება, თითქოს პედაგოგის საქმიანობა წინასწარ გაწერილ-დაგეგმილია, თითქოს აღარ არის სასწავლო პროცესის შემოქმედებითად აგებისა და წარმართვის საშუალება. მაგრამ ეს ასე არ არის. სასწავლო რესურსები არავითარ შემთხვევაში არაა მოწოდებული მასწავლებლის თვითმყოფადობის დასათრგუნად; ესაა კოორდინაციისა და საქმიანობის მიმართულების მარეგულირებელი საშუალებები, არაუმეტეს. მასწავლებელი არაა ვალდებული მიყვეს სახელმძღვანელოს მიერ შემოთავაზებულ თანამიმდევრობას და/ან შემოიფარგლოს მისი მოცულობით; იგი უფლებამოსილია მასალა ისე მიაწოდოს მოსწავლეს, როგორც თავად მიაჩნია მისაღებად. ეს დასაშვებია, მაგრამ დიდ დაფიქრებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. აჯობებს, თუ მსგავს მეთოდურ სიახლეებს საგნობრივი კათედრები ერთად განიხილავენ და შეაფასებენ, მით უმეტეს, თუ სკოლაში გახსნილია პარალელური კლასები. აუცილებელი ისაა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლემ იცოდეს არანაკლებ სავალდებულოდ გამოცხადებული მასალისა, მეტი არ ასწავლოთ არსად წერია. წარმატებული მიგნებები და მეთოდიკური სიახლეები აუცილებელია გასაჯაროვდეს, სხვა მასწავლებლებისთვის მისაწვდომი გახდეს.

როგორ, რა მეთოდებით ვასწავლოთ მათემატიკა? მრავალი ჩვენგანი, იმიზეზებს რა მკაცრ საათურ ბადესა და მასთან არათანაზომად სავალდებულო პროგრამას, უპირატესობას ანიჭებს

მზა ცოდნის გადაცემის მეთოდს - აი განსაზღვრება, აი ფორმულა, ახლა მოდით ამოცანები ამოვხსნათ. სამწუხაროდ, ასეთ მიდგომას აქვს თავისი დადებითი მხარე - როგორც წესი, ესწრება პროგრამის სრული გავლა, მოსწავლეების უმრავლესობა ითვისებს სავალდებულო მასალას ცოდნა-გამოყენების დონეზე მაინც. მაგრამ ასეთი „ეკონომიური“ მეთოდებით სწავლებისას იკარგება საგნის ხიბლი, მათემატიკა დაიყვანება ანგარიშსა და გარდაქმნებზე, გაკვეთილები მიძიმე და ერთფეროვანი ხდება, ვერ ვითარდება მოსწავლეთა შემოქმედებითობა. მეორეს მხრივ, კვლევაზე აგებული გაკვეთილები ცოდნის აღმოჩენის ზეიმი, ჰიპოთეზების კასკადია და თვალსაზრისთა ჭიდილი, თუმცა დროის მხრივ ხარჯიანია, „არაეკონომიურია“, მოითხოვს წინასწარ მომზადებას, ძიებას, ფიქრს. რა გზას აირჩევს პედაგოგი? ბუნებრივია, შემოქმედებითი გაკვეთილები ყოველდღიურად ვერ ჩატარდება, ეს ფუფუნებაა და, შესაძლოა, ჭარბი ოდენობით გამოსაყენებლად არც არის გამართლებული. მათემატიკის შესწავლა აღტაცების ელემენტებთან ერთად ტექნიკური უნარების განვითარებასაც გულისხმობს, რაც ხშირად მოსაწყენი გარდაქმნების მრავალგზის ჩატარებასა და ტაბულების დასწავლაშიც მდგომარეობს. მაგრამ დაუშვებელია, რომ მათემატიკის გაკვეთილები სრულად გადავაქციოდ ამ რუტინად. საჭიროა მეთოდიკების ოპტიმალური შეხამება მოსწავლეებისა და სასწავლო თემატიკის თავისებურებებიდან გამომდინარე (იხ. [1], თავი III, მუხლი 10). ვინ გააკეთებს ამას მოქმედ პედაგოგზე უკეთესად? მაგრამ ამისთვის საჭიროა სწავლების პროცესს შემოქმედებითად მივუდგეთ; გავანალიზოთ თუ როგორ ვასწავლით, რა გამოგვდის და რა არა; როგორ შეიძლება საქმის უკეთესად წარმართვა და რა შეიძლება გავაკეთოთ ამისთვის. მსგავსი პოზიცია კანონითაც მოგვეთხოვება, რადგან საქმისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა „პედაგოგის უწყვეტი პროფესიული ზრდა-განვითარება“, რაც „... გულისხმობს მასწავლებლის დაინტერესებას საკუთარი პროფესიული განვითარებით; კოლეგებთან თანამშრომლობას მოსწავლეთა სასწავლო და აღმზრდელიობითი პრობლემების დაძლევის, პროფესიული საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარებისთვის“ ([1], თავი I, მუხლი 2, პუნქტი 4).

უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გადახედოს საკუთარ პროფესიონალიზმს, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი უნარები და ჩვევები, გამოიყვანოს თავი ჩარჩოდან „მეც ასე მასწავლიდნენ“ და დაფიქრდეს, თუ როგორი ცოდნით უნდა აღჭურვოს მოზარდი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მოდით, მცირე ხნით დავთმოთ საკუთარი ნოსტალგიური მოგონებები და გავუსწოროთ თვალი იმ პრობლემებს, რასაც დღევანდელ სასწავლო პროცესში ვხვდებით:

➤ **საგნობრივი ცოდნის ხარვეზები.** ფაქტია, რომ ხშირად ისეთი საკითხების სწავლება გვიწევს, რაც თავად სკოლაში და/ან უმაღლეს სასწავლებელში არ გვისწავლია, ან ვისწავლეთ, მაგრამ არასაკმარისი მოცულობითა და სიღრმით. იმისთვის, რომ ვასწავლოთ რაიმე თემა, სულ მცირე, ის თავად უნდა ვიცოდეთ. ამიტომ პედაგოგი ვალდებულია რეალურად და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, იზრუნოს საკუთარ განათლებაზე და ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიმართოს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა თვითგანათლება, ტრენინგები, კათედრების სასწავლო-მეთოდოლოგიური სემინარები და სხვ.

➤ **მეთოდიკური განათლებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების სიმწირე.** სამწუხარო ფაქტია, რომ მოქმედ მასწავლებელთა დიდ ნაწილს არა აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება. წარმატებული სწავლებისთვის არაა საკმარისი საგნის ცოდნა, უნდა ვფლობდეთ დიდაქტიკურ ტექნოლოგიებს. სასწავლო პროცესი უნდა გავხადოთ მისაწვდომი და ამავდროულად საინტერესო, შეთავაზებული აქტივობები უნდა იყოს დაძლევადი და ამავდროულად ანვითარებდეს მოზარდის ინტელექტს. მაღალ პროფესიონალიზმს ვერ მივაღწევთ, თუ მხოლოდ წიგნებითა და თეორიებით ვიხელმძღვანელებთ. საჭიროა კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, დაკვირვება და რეფლექსიური ანალიზი ([1], თავი IV, მუხლი 11 და 12).

➤ **აღმზრდელიობითი სიძნელები.** მიუხედავად იმისა, თუ რომელ კონკრეტულ საგანს ასწავლის პედაგოგი, იგი უპირველეს ყოვლისა აღმზრდელია და მოსწავლეს პიროვნებად უნდა აყალიბებდეს. მასწავლებელი თავად უნდა ფლობდეს იმ თვისებებს,



რომელთა აღზრდა-განვითარება სურს მოსწავლეებში. პედაგოგი ვალდებულია ზრუნავდეს საკუთარ წიგნიერებაზე, გამართულ მეტყველებაზე, აკონტროლოს ქცევა, იყოს ორგანიზებული, სამართლიანი და პრინციპული, პატივი სცეს სხვის აზრს, იყოს ობიექტური. გვახსოვდეს, რომ მოზარდებთან გულწრფელობა გვმართებს - ისინი განსაკუთრებულად მგრძობიარენი არიან და მტკივნეულად განიცდიან ყოველგვარ მოჩვენებითობას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან გულახდილი საუბრები მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე. თუმცა, დიდი სიფრთხილაც გვმართებს. მაგალითად, მიუღებელია სასწავლო დაწესებულებაში რომელიმე პოლიტიკური თვალსაზრისის პროპაგანდა. სასწავლო პროცესი უნდა იყოს აპოლიტიკური, ნეიტრალური და ამაში გადამწყვეტი როლი სწორედ პედაგოგმა უნდა ითამაშოს.

ხშირად გამოხატავენ გულდაწყვეტას მათემატიკის სასკოლო კურსის იმ ცვლილებების გამო, რაც უკანასკნელ ორ ათწლეულში განხორციელდა. ეს თანაბრად ეხება, როგორც ალგებრა-გეომეტრიის გაერთიანებას ერთ სასწავლო დისციპლინად, ასევე პროგრამის შინაარსობრივ ცვლილებებს. მრავალი პედაგოგის აზრით, მათემატიკის შესწავლის ხარისხზე განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა „აქსიომების, თეორემებისა და დამტკიცებების ამოღებამ“, რადგან „მხოლოდ დამტკიცებათა შესწავლით არის შესაძლებელი გამართული ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარება“. უპირველეს ყოვლისა, შევთანხმდეთ, რომ გამზადებული დამტკიცებების დასწავლა და გამეორება ნამდვილად არ იძლევა ლოგიკური მსჯელობის ჩვევების ჩამოყალიბების გარანტიას. მეორეს მხრივ, სასკოლო კურსიდან მკაცრი აქსიომატური მეთოდის ამოღებით დამტკიცებისა და მსჯელობის მიმართ მოთხოვნა სულაც არ შემცირებულა. პირიქით, მომრავლდა ისეთი დავალებები, რომელთა შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ ალტერნატიული ვარიანტების მოძიება-შეფასება, კვლევის ჩატარება, არჩევანის ახსნა-დასაბუთება. პრობლემა იმაშია, რომ ასეთი ტიპის სამუშაოები უცხოა და უჩვეულოა პედაგოგების დიდი ნაწილისთვის და, ბუნებრივია, ხშირად მათ გაღიზიანებას იწვევს. რეაქცია კი სწორედ საპირისპირო უნდა იყოს. ხელაღებით უარყოფის ნაცვლად სიახლეს დაკვირვება და ობიექტური შეფასება ჭირდება. ადამიანთა საზოგადოება მუდმივ განვითარებაშია, შესაბამისად, ინდივიდის მიმართ წაყენებული მოთხოვნები საოცარი სისწრაფით იცვლება. დღევანდელ მოზარდებს წარმოუდგენელი მოცულობის ინფორმაციის მიღება-გადამუშავება უხდებათ, მაგრამ ამ ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია მეხსიერებაში დასატოვებელი, მხოლოდ ნაწილია ჩვევებად და უნარებად გარდასაქმნელი. ცხოვრების ტემპი ხშირ შემთხვევაში ზუსტ პასუხებთან შედარებით უპირატესობას მიახლოებით შედეგებს ან/და ვარაუდებს ანიჭებს. ეს კი ნიშნავს, რომ მოზარდებს უნდა ვასწავლოთ მონაცემთა შესაფერისად კლასიფიცირება, სწრაფი ანალიზი, შეფასება და პრიორიტეტის გამოკვეთა. მრავალი მათემატიკოსი თვლის, რომ ფორმულების ზეპირად ცოდნის გარეშე სწავლა უხარისხოა, მაგრამ ცხოვრება საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს; გაცილებით წარმატებულია ადამიანი, რომელმაც შესაძლოა ზეპირად არ იცოდეს რაიმე ფაქტი, მაგრამ აქვს უნარი პრობლემის ანალიზის გზით სწორად დაადგინოს თუ რა ინფორმაცია ჭირდება და მოიძიოს ის არსებულ საცნობარო ლიტერატურაში. ამიტომ, რომ მათემატიკის სასკოლო კურსის მთავარი პრიორიტეტი გახდა არა ფაქტების დასწავლა, არამედ ლოგიკურ-ალგორითმული სააზროვნო უნარების გამომუშავება, კრიტიკული ანალიზისა და ობიექტური შეფასების ჩვევების ჩამოყალიბება. მასწავლებელი უნდა ესწრაფოდეს მოსწავლეს განუვითაროს ინტუიცია, პროგნოზირების უნარი, ასწავლოს ფაქტისა და ჰიპოთეზის გარჩევა, აზრის ზუსტად და გასაგებად ჩამოყალიბება. ამის მისაღწევად კი ჯერ თავად მასწავლებელმა უნდა აღიქვას და გაიზიაროს ცხოვრების ეს მოთხოვნები, კრიტიკულად გადახედოს საკუთარ უნარებსა და საქმიანობას, მოძებნოს მათი გაუმჯობესების გზები, არ მისცეს თავს მოდუნებისა და თვითკმაყოფილების უფლება, რადგან დიდია პედაგოგის მისია და პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე.



### ლიტერატურა:

1. [1] მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (<http://tpdc.ge/old/ge/programs/standards/professional-standard>)
2. [2] ეროვნული სასწავლო გეგმა
3. (<http://www.mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo>)

### რეზიუმე:

სტატიაში განალიზებულია სკოლაში მათემატიკის სწავლების ხარისხის დაქვეითების ზოგიერთი მიზეზი; მოთხოვნები, რომელთაც თანამედროვე სასწავლო პროცესი უყენებს მათემატიკის მასწავლებელს; სწავლების ეფექტური ტექნოლოგიების მოძიებისა და დანერგვის აუცილებლობა. ლიტერატურა: [1] მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი [2] ეროვნული სასწავლო გეგმა.

**Ia Mebonia** - Candidate of Physical-Mathematical Sciences, PhD, Head of the Department of the exact sciences of the Georgian-American school

### Learn and teach mathematics

#### Résumé

This article analyzes some of the reasons why the quality of teaching mathematics declined; requirements of modern teaching process that mathematics teacher has to meet; the necessity of finding and implementing effective teaching technologies. References: [1] Teacher Professional Standard [2] National Curriculum.

**Ия Мебония** - кандидат Физико-Математических наук, заведующая кафедрой точных наук Грузино-Американской авторской школы

### Учимся и обучаем математике

#### Резюме

Статья посвящена анализу некоторых причин снижения качества обучения математике; требований, предъявляемых учителю математики современным процессом обучения; необходимости поиска и внедрения эффективных технологий обучения. Литература: [1] Профессиональный стандарт учителя [2] Национальный учебный план.

**თეიმურაზ სურგულაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი

**ომარ მაგნიძე** - ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

### ნიკოლოზ მუსხელიშვილის „ანალიზური გეომეტრიის სახელმძღვანელო“

კოორდინატთა მეთოდი უცხო არ იყო ძველი ბერძნებისათვის. მაგალითად, არქიმედეს (287-212) და განსაკუთრებით კი აპოლონიუს პერგამოსელს (III ს. მეორე ნახევარი - II ს. პირველი ნახევარი) თავიანთ შრომებში აღწერილი აქვთ ე. წ. კონუსური კვეთების ასიმპტოტები, რომლებიც რიგ შემთხვევებში იგივეა რაც ახლანდელი განტოლებები. მაგრამ ამ მიმართულებით ისინი შორს ვერ წავიდნენ, რადგანაც ძველი ბერძნების ალგებრის დონე არ იყო მაღალი და გარდა ამისა, ძირითადად, მათ აინტერესებდათ წრფე და წრეწირი, ხოლო სხვა წირების მიმართ კი იჩენდნენ ნაკლებ დაინტერესებას.

დროზე დამოკიდებული ფუნქციებისთვის კოორდინატები ევროპაში პირველად გამოიყენა ნიკოლოზ ორემმა (1323-1382). ის ამ კოორდინატებს უწოდებდა განედებს და გრძედებს გეოგრაფიული ანალოგიების გავლენით.

გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმული იქნა XVI საუკუნეში მას შემდეგ რაც ფრანსუა ვიეტამ (1540-1603) განტოლების ჩასაწერად შექმნა სიმბოლური ენა და სათავე დაუდო სისტემურ ალგებრას.

1637 წელს პიერ ფერმამ (1601-1665) მარენ მერსენის (1588-1648, რომლის გარშემო მყოფ მეცნიერთა საფუძველზე შეიქმნა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია) საშუალებით გაავრცელა ტრაქტატი „ბრტყელი და სივრცითი ადგილების შესწავლის შესავალი“, რომელშიც ვიეტას სიმბოლიკის დახმარებით მან მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში ჩაწერა და შეისწავლა მეორე რიგის სხვადასხვა წირი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განტოლებათა გასამარტივებლად ფერმა იყენებდა კოორდინატთა გარდაქმნებს ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა გამოყენებით, რაც რა თქმა უნდა, დიდი მეცნიერული წინსვლა იყო. ფერმამ თვალსაჩინო გახადა, თუ რამდენად მარტივი და ნაყოფიერი იყო ეს ახალი მიდგომა წმინდა გეომეტრიულ მიდგომასთან შედარებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ფერმას ტრაქტატი არ სარგებლობდა დიდი პოპულარობით. გაცილებით უფრო დიდი გავლენა ჰქონდა იმავე 1637 წელს გამოსულ რენე დეკარტეს (1596-1650) „გეომეტრია“, რომელშიც იგივე იდეები განვითარებული იყო დამოუკიდებლად და გაცილებით უფრო სრულად.

დეკარტემ თავის „გეომეტრიაში“ განიხილა წირების უფრო ფართო კლასი. მათ შორის „მექანიკური“ (მაგალითად, ტრანსცენდენტული, სპირალის მსგავსი) წირებიც. მან წამოაყენა იდეა, რომ ყოველ წირს აქვს თავისი განმსაზღვრელი განტოლება. მანვე ჩაწერა ასეთი განტოლებები ალგებრული წირებისათვის და მოახდინა მათი კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია მოგვიანებით საფუძვლიანად გადაამუშავა ისააკ ნიუტონმა (1643-1727). დეკარტე თავის ნაშრომში ხაზს უსვამს, მაგრამ არ ამტკიცებს იმას, რომ წირების ძირითადი მახასიათებლები დამოკიდებული არაა კოორდინატთა არჩევაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ დეკარტეს კოორდინატთა სისტემა თანამედროვე სისტემასთან შედარებით იყო მოტრიალებული, კერძოდ, მასთან ორდინატთა ღერძი იყო ჰორიზონტალური და ის განიხილავდა მხოლოდ დადებით კოორდინატებს.

ფერმა და დეკარტე თავიანთ შრომებში მიდიოდნენ ორი გზით: დეკარტე ეძებდა განტოლებებს, რომელნიც განსაზღვრავდნენ წირებს, ხოლო ფერმა კი სწავლობდა ალგებრული განტოლებების გეომეტრიულ ინტერპრეტაციებს.

ტერმინები „აბსცისა“ და „ორდინატა“ კი გვხვდებოდა სხვადასხვა ავტორის შრომებში (ლაიბნიცი (1646-1716), კავალიერი (1598-1647)), მაგრამ მათი ფართო გამოყენება ტერმინ „კოორდინატა“-სთან ერთად დაიწყო ლეონარდ ეილერმა (1707-1783) XVIII საუკუნეში. XVIII საუკუნის ბოლოს კი დამკვიდრდა სახელწოდება „ანალიზური გეომეტრია“.

დეკარტეს ანალიზური მეთოდი მალე გახდა პოპულარული. მას ფართოდ იყენებდნენ მათემატიკოსები, მაგალითად ფრანს ვან სხოოტენი (1615-1660), ვალისი (1616-1703) და სხვა. ეს მათემატიკოსები კომენტარს უკეთებდნენ „გეომეტრიაში“ განხილულ პრობლემებს, ასწორებდნენ იქ

არსებულ ხარვეზებს და ამ მეთოდს იყენებდნენ სხვა ამოცანების შესასწავლად. მაგალითად, ვალისი (1655 წელს) კონუსურ კვეთებს პირველად განიხილავს როგორც ბრტყელ წირებს და ის უკვე იყენებს უარყოფით აბსცისებს და მრუდწირულ კოორდინატებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდში იტალიური წარმოშობის დიდმა ფრანგმა ასტრონომმა ჯოვანი კასინიმ (1625-1712) შეისწავლა ე.წ. კასინის ოვალები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით წარმოდგენდნენ კონუსური კვეთების განზოგადებას.

ისააკ ნიუტონი არა მარტო იყენებდა კოორდინატა მეთოდს, არამედ მან განაგრძო გეომეტრიული გამოკვლევები. კერძოდ, ნიუტონმა მოახდინა მესამე რიგის წირების კლასიფიკაცია გამოყო რა ამ წირების 4 ტიპი და 58 სახეობა, შემდეგ მან ამ ჩამონათვალს დაამატა კიდევ 14 სახეობა. ნიუტონის მიერ გამოყენებული კოორდინატა სისტემა არ განსხვავდება თანამედროვე სისტემისაგან. იგი თავის შრომებში განსაზღვრავს დიამეტრს, სიმეტრიის ღერძს, წვეროს, ცენტრს, ასიმპტოტას, განსაკუთრებულ წერტილს და ა. შ. ის შედეგები, რაც ნიუტონმა მიიღო ჯერ კიდევ 1668 წელს, მან გამოაქვეყნა მხოლოდ 1704 წელს თავის „ოპტიკასთან“ ერთად.

გაცილებით უფრო დიდი როლი ანალიზური გეომეტრიისათვის ითამაშა ნიუტონის „საყოველთაო არითმეტიკამ“. ამ ტრაქტატში მოყვანილ თეორემებს ნიუტონი უმრავლეს შემთხვევებში არ ამტკიცებდა, რამაც მრავალწლიანი სამუშაო მისცა მის კომენტატორებს.

მაღალი რიგის ალგებრული წირების შესწავლა გაგრძელდა XVIII საუკუნეში. მაგალითად, სტირლინგმა (1692 – 1770) აღმოაჩინა წირების 4 ახალი ტიპი, რომლებიც არ ჰქონდა ნიუტონს. იმავე პერიოდში გამოიყო და კლასიფიკაცია ჩაუტარდა განსაკუთრებულ წერტილებს.

1729 წელს კლერომ (1713-1765) პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში წარადგინა ნაშრომი „ორმაგი სიმრუდის მქონე წირების გამოკვლევა“, რომელმაც ფაქტობრივად სათავე დაუდო სამ გეომეტრიულ დისციპლინას: ანალიზურ გეომეტრიის სივრცეში, დიფერენციალურ გეომეტრიას და მხაზველობით გეომეტრიას.

ანალიზური გეომეტრიის პირველ სახელმძღვანელოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ 1748 წელს გამოსული ლეონარდ ეილერის „შესავალი უსასრულოდ მცირეთა ანალიზში“. ამ ნაშრომში ეილერი იძლევა მე-4 რიგის წირების კლასიფიკაციას და აჩვენებს თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ სიმრუდის რადიუსი. ამ ნაშრომში ეილერი იყენებს მრუდწირულ და პოლარულ კოორდინატებს. ცალკე თავი ამ ნაშრომში მიძღვნილია არაალგებრული წირებისადმი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ანალიზურმა გეომეტრიამ მიაღწია თავისი განვითარების მაღალ საფეხურს, მაგრამ ის უკვე განიხილებოდა არა როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, არამედ როგორც დიფერენციალური გეომეტრიის აპარატი.

რადგან ანალიზური გეომეტრიის კურსი სავალდებულოა ყველა საუნივერსიტეტო მათემატიკური განათლებისათვის, ამიტომ ბუნებრივია ასეთ კურსს თავისი ადგილი უნდა დაეკავებია 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში. ანალიზურ გეომეტრიაში ლექციების წაკითხვა და სახელმძღვანელოს შედგენა დაევალი ნიკოლოზ მუსხელიშვილს (1891-1976).

ანალიზურ გეომეტრიაში ლექციების კითხვა ნ.მუსხელიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთდროულად დაიწყო 1920 – 1921 სასწავლო წლებში. ანალიზური გეომეტრიის პირველი ნაწილი გამოიცა 1922 წელს. საბჭოთა კავშირში ეს წიგნი გამოიცა 4-ჯერ, ბოლო გამოცემა თარიღდება 1967 წლით.

1929 წელს შტეინბერგის მიერ თარგმნილი „ანალიზური გეომეტრიის კურსი“-ისთვის ნ. მუსხელიშვილის მიერ სპეციალურად დაწერილ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „წინამდებარე წიგნი, რომლის I რუსული გამოცემა გამოვიდა 7 წლის წინათ, საფუძვლიანად განსხვავდება ანალიზური გეომეტრიის არსებული სახელმძღვანელოებისაგან რამდენიმე თავისებურებით, რომელთა შორის აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთ უმთავრესს.

პირველი ის არის, რომ ჩემს გამოცემას საფუძვლად უდევს ვექტორის (გეზრის) ცნება. ამჟამად თითქმის ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ ეს ცნება სტუდენტმა მათემატიკოსებმა ან მექანიკოსებმა უნდა შეითვისონ რაც შეიძლება ადრე და ჩემის აზრით ეს უნდა მოხდეს სწორედ ანალიზური გეომეტრიის კურსში. საზღვარგარეთ უკვე არსებობს ასეთ პრინციპზე აგებული ზოგიერთი

სახელმძღვანელო. ამ ბოლო დროს რუსეთშიც გამოვიდა ზოგიერთი სახელმძღვანელო აგებული გეზრთა თეორიაზე, მაგრამ ჩემი წიგნი მაინც საფუძვლიანად განსხვავდება ყველა ამ სახელმძღვანელოსაგან იმით, რომ გეზრებს მე ვხმარობ მხოლოდ იქ სადაც ამის გამოყენება მართლაც იწვევს საგრძნობ გამარტივებას. იქ კი, სადაც ძველი მეთოდები უფრო მარტივად იძლევა შედეგს, მე ვხმარობ ძველ მეთოდებს.

მეორე ნაკლებად მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მასალის ჩვეულებრივი დაყოფის მაგივრად („გეომეტრია სიბრტყეზე“ და „გეომეტრია სივრცეში“) მე შემოღებული მაქვს სხვა დაყოფა: პირველ ნაწილში გამოსახულია პირველი რიგის ნაკვეთები (წრფეები და სიბრტყეები), ხოლო მეორე ნაწილში (რომელიც ახლო მომავალში გამოვა) განხილული იქნება მრუდე წირები და ფართეულები (უშთავრესად მეორე რიგისა). მასალის ასეთი დაყოფა მართლდება მრავალი მოსაზრებით, რომლებზედაც აქ არ შეეჩერდებით და შემოღებულია საზღვარგარეთ გამოსულ ზოგიერთ ახალ სახელმძღვანელოში“.

ბატონი ნიკო წერს, რომ „კურსი მისადაგებულია ამჟამინდელ დაბალ დონეს, იმ დონეს, რაც აქვთ დამწყებ სტუდენტობას, რომელიც ცხოვრების არანორმალური პირობებისაგანაა გამოწვეული. იმის გამო, რომ უნდა ვიმედოვნებდეთ ეს ასე არ იქნება მუდამ, კურსი მომავალში საჭიროებს საგრძნობ გადამუშავებას შემჭიდროებული გადმოცემისა და მასალის გაზრდის თვალსაზრისით“.

აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის „ანალიზური გეომეტრიის კურსი“, ამ პრინციპიდან გამომდინარე, თანდათან იხვეწებოდა და ხდებოდა სრულყოფილი. 1962 წელს გამოცემული სახელმძღვანელო უკვე მაღალი მეცნიერული დონის სახელმძღვანელოა, რომლის შესავალში ავტორი წერს „ანალიზური გეომეტრიის საგანს წარმოადგენს გეომეტრიულ ნაკვეთთა თავისებების შესწავლა აღრიცხვის, ანუ მათემატიკური ანალიზის საშუალებით“. ის გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“-მ და შეიცავს 671 გვერდს. ამ წიგნიდან უნდა გამოვყოთ მე-6 თავი „წარმოსახვითი და არასაკუთრივი ელემენტები. ერთგვაროვანი დეკარტული და გეგმილური კოორდინატები. გეგმილური გარდაქმნები“ და თავი მეათე „ინვარიანტები. მეორე რიგის წირის ფორმისა და მდებარეობის განსაზღვრა“, რომლებიც ბევრ თანამედროვე სახელმძღვანელოშიც კი არ არის შეტანილი. ძალზედ საინტერესო და მაღალი მეცნიერული დონის ნაწილია აგრეთვე ამ გამოცემის დამატება: „ელემენტარული ცნობები წრფივი და კვადრატული ფორმების შესახებ“, გვ. 623-671.

ჩვენის აზრით, ამ დიდი წიგნით იყო მოტივირებული ნიკოლოზ მუსხელიშვილის გამოჩენილი მოწაფის აკადემიკოს ილია ვეკუას საქვეყნოდ ცნობილი მონოგრაფიების „ტენზორული ანალიზისა და კოვარიანტების თეორიის საფუძვლები“ (1978 წელი) და „გარსთა თეორიის აგების სხვადასხვა ვარიანტების ზოგიერთი ზოგადი მეთოდები“ (1982 წელი) შექმნა.

### ლიტერატურა

1. ნ. მუსხელიშვილი. ანალიზური გეომეტრიის კურსი; ნაწილი პირველი; სახტექნიკური გამომცემლობა ტექნიკა და შრომა, ტფილისი, 1934.
2. ნ. მუსხელიშვილი. ანალიზური გეომეტრიის კურსი; სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962.
3. Мордухай-Болтовской Д. Д. Из прошлого аналитической геометрии. *Труды института истории естествознания Акад. наук СССР*, 1952, т. 4, с. 217-235.
4. თ. ეფრემიძე. ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2012.

### რეზიუმე

განხილულია ანალიზური გეომეტრიის წარმოშობისა და ამ დარგში სახელმძღვანელოების შექმნის მოკლე ისტორია. აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა ნ.ი.მუსხელიშვილის ანალიზური გეომეტრიის კლასიკური სახელმძღვანელო.

The short history of an origin of Analytical Geometry and creation of textbooks in this area is considered.



**ლამარა ქურჩიშვილი** - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, მოწვეული პედაგოგი, აკადემიური დოქტორი;

**ირმა ჭელიძე** - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში, პედაგოგი; განათლების მაგისტრი.

### ლოგიკის ელემენტები სასკოლო კურსში

ლოგიკური აზროვნების, მსჯელობის უნარს მოსწავლე იძენს ცხოვრების გამოცდილებით, მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. სასკოლო კურსში არ მოიაზრება ლოგიკის საკითხების შესწავლა ცალკე საგნად, მნიშვნელოვანია ამ ელემენტების გამოყენება სწავლებისას, რაც აფართოვებს ლოგიკური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობებს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ფორმულაზე, რომელსაც ლოგიკური სავარჯიშოების შესრულებისას ვიყენებთ, შესაძლოა, ზოგჯერ შეუცნობლად. ამ ფორმულების გამოყენების დაუფლებამდე მოსწავლე უნდა გაიწაფოს მოცემულის საწინააღმდეგო გამონათქვამის ჩამოყალიბებაში.

გამონათქვამი არის წინადადება, რომელზეც შეიძლება ითქვას ჭეშმარიტია ის, თუ მცდარი.  $\bar{A}$  გამონათქვამს ეწოდება A გამონათქვამის საწინააღმდეგო გამონათქვამი, თუ ის მცდარია, როცა A ჭეშმარიტია და ჭეშმარიტია, როცა A მცდარია. ის მიიღება A-სგან „არ არის სწორი, რომ...“, ან „არა“ ნაწილაკის დამატებით. ორ გამონათქვამს ეწოდება ექვივალენტური, თუ ისინი ერთდროულად ჭეშმარიტია, ან ერთდროულად მცდარი. ცხადია,  $\bar{\bar{A}}$  და A ექვივალენტური გამონათქვამებია, წერენ:  $\bar{\bar{A}} = A$ .

ორი ან მეტი გამონათქვამის „ან“ და „და“ კავშირებით შეერთებით მიიღება რთული გამონათქვამი, რომლის საწინააღმდეგოს ჩამოყალიბებისას ვიყენებთ დე მორგანის ფორმულებს:

$$\overline{A \wedge B} = \bar{A} \vee \bar{B} \quad \text{და} \quad \overline{A \vee B} = \bar{A} \wedge \bar{B}.$$

მათი ჭეშმარიტობა თვალსაჩინოა მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობი ვენის დიაგრამებით.

მაგალითად, განვიხილოთ გამონათქვამი ზოგადი უნარების გამოცდისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელოდან:

$M$  : „კურდღელი სოროშია და მგელი ბუნაგში“.

მისი საწინააღმდეგო გამონათქვამია:

$\bar{M}$  : „კურდღელი არ არის სოროში და მგელი არ არის ბუნაგში“.

ეფექტურია ოთხივე შესაძლო შემთხვევის ჩამოთვლა და მოსწავლის მიერ მათგან  $M$  -ის და  $\bar{M}$  -ის ამოცნობა:

კურდღელი სოროშია და მგელი ბუნაგში	}	$M$
კურდღელი არ არის სოროში და მგელი ბუნაგში		
კურდღელი სოროშია და მგელი არ არის ბუნაგში	}	$\bar{M}$
კურდღელი არ არის სოროში და მგელი არ არის ბუნაგში		

ვთქვათ, დებულება ჩაწერილია ასეთი ფორმით:

$M$  : „ყოველი  $n$  -ისთვის სრულდება  $P$ “, ან

$N$  : „ზოგიერთი  $n$  -ისთვის სრულდება  $Q$ “.

$N$  წინადადება იგივეა, რაც „არსებობს ერთი მაინც  $n$ , რომლისთვისაც სრულდება  $Q$ “.

$M$  -ის საწინააღმდეგო დებულებაა  $\bar{M}$  : „ზოგიერთი  $n$  -ისთვის არ სრულდება  $P$ “, ანუ „ზოგიერთი  $n$  -ისთვის სრულდება  $\bar{P}$ “, რაც იგივეა: „არსებობს ერთი მაინც  $n$ , რომლისთვისაც სრულდება  $\bar{P}$ “. აქ ტერმინები „ზოგიერთი“ და „ერთი მაინც“ ეთი და იგივე შინაარსის მატარებელია, მათი ერთმანეთით ჩანაცვლება ზოგჯერ ამარტივებს დასკვნის გამოტანას.

$N$  -ის საწინააღმდეგო დებულებაა  $\bar{N}$  : „ყოველი  $n$  -ისთვის სრულდება  $Q$ “.

საწინააღმდეგოს ამ ფორმით ჩამოყალიბებას იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა მოითხოვება მოცემული წანამძღვრებიდან მცდარი, ანუ შეუძლებელი დასკვნის ამოცნობა, ან ჩამოყალიბება. მცდარი დასკვნა მოცემულის საწინააღმდეგო დებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს.


საწინააღმდეგო დებულების ჩამოყალიბების ამ პრინციპზეა აგებული დებულების დასაბუთება კონტრმაგალითის გამოყენებით, რომელსაც მოსწავლე ეცნობა VIII კლასში. იმის დასამტკიცებლად, რომ მოცემული დებულება მცდარია, ვამტკიცებთ მისი საწინააღმდეგო ჭეშმარიტობას. მაგალითად, მოცემულია დებულება: თუ ორი კუთხის ზომათა ჯამი  $180^{\circ}$ -ია, მაშინ ეს კუთხეები მოსაზღვრეა. ამ დებულების მცდარობის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ კონტრმაგალითი, მაგალითად, პარალელოგრამის ერთ გვერდთან მდებარე კუთხეები. ანუ, ვამტკიცებთ, რომ არსებობს ერთი მაინც წყვილი კუთხეებისა, რომელთა ჯამი  $180^{\circ}$ -ია და არ არის მოსაზღვრე.

მოსწავლეს წანამძღვრებიდან დასკვნების გამოტანა მეტ-ნაკლებად სწავლების ყველა საფეხურზე უწყევს, მაგრამ მე-8 კლასში ამ უნარ-ჩვევის განვითარება ხდება იმ ფორმით, იმ სტილის სავარჯიშოებით, როგორც ეს ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე ზოგადი უნარ-ჩვევების ჩაბარებისას მოითხოვება.

დებულების საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდით დასაბუთებაც დასამტკიცებელი დებულების საწინააღმდეგო დებულებიდან წინააღმდეგობის მიღებაა. დასაბუთების ამ ხერხს მოსწავლეები მე-XII კლასში ეცნობიან, როდესაც უკვე გაწაფულნი არიან საწინააღმდეგო დებულების ჩამოყალიბებაში.

სასკოლო პროგრამით მოსწავლე მე-8 კლასიდან ეცნობა მოცემული/პირდაპირი დებულების შებრუნებულ, მოპირდაპირე და მოპირდაპირეს შებრუნებულ დებულებებს. ვთქვათ, მოცემულია პირობითი წინადადების სახით ჩაწერილი პირდაპირი დებულება  $A \Rightarrow B$ , ანუ „თუ  $A$ , მაშინ  $B$ “ დებულება ( $A$  პირობაა,  $B$  - დასკვნა), მაშინ მისი შებრუნებულია  $B \Rightarrow A$  (თუ  $B$ , მაშინ  $A$ ) დებულება; მოპირდაპირეა  $\bar{A} \Rightarrow \bar{B}$ , მოპირდაპირეს შებრუნებული -  $\bar{B} \Rightarrow \bar{A}$  დებულებები. იმ ობიექტების სიმრავლე, რომლებიც აკმაყოფილებენ დებულებაში მოცემულ  $A$  და  $B$  პირობებს, აღვნიშნოთ ისევე  $A$  და  $B$  ასოებით, მაშინ ეს დებულებები სიმრავლურ ენაზე ასე ჩაიწერება: პირდაპირი დებულება:  $A \subset B$ , შებრუნებული:  $B \subset A$ , მოპირდაპირე:  $\bar{A} \subset \bar{B}$  და მოპირდაპირეს შებრუნებული:  $\bar{B} \subset \bar{A}$ .

გამოვსახოთ ვენის დიაგრამებით  $A \Rightarrow B$ , ანუ  $A \subset B$  დამოკიდებულება:



შევაფერადებინოთ მოსწავლეებს  $\bar{A}$  და  $\bar{B}$  სიმრავლეები და მათთვის თვალსაჩინო გახდება, რომ ამ შემთხვევაში  $\bar{B} \subset \bar{A}$ , ანუ  $\bar{B} \Rightarrow \bar{A}$ .

ვენის დიაგრამებით ამ დებულებების დემონსტრირებისას ნათლად ჩანს, რომ  $A \Rightarrow B$  და  $\bar{B} \Rightarrow \bar{A}$  ექვივალენტური/ტოლფასი დებულებებია, ისინი ერთდროულად ჭეშმარიტია, ან ერთდროულად მცდარი. ამ ფაქტს კონტრაპოზიციის კანონს უწოდებენ. ის ეფექტურია, როცა მოცემული წანამძღვრების მიხედვით უნდა ამოვიცნოთ დასკვნა, რომელიც აუცილებლად ჭეშმარიტია.

მაგალითი საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მოსამზადებელი სახელმძღვანელოდან. მოცემულია: „როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, არავისთან ურთიერთობა არ მსურს“. იგივე შინაარსი აქვს, ანუ აუცილებლად ჭეშმარიტია: „თუ ვინმესთან ურთიერთობის სურვილი მაქვს, მაშინ ცუდ ხასიათზე არა ვარ“.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც პირობა და დასკვნა რთული გამონათქვამებია.

*M* : „თუ წვიმს ან ქარი ქრის, მაშინ ზღვა ღელავს და ქუჯი არ თევზაობს“.

კონტრაპოზიციის კანონით ამ წინადადების ტოლფასი წინადადების ჩამოყალიბება სიმნელეს არ წარმოადგენს:

- „თუ ზღვა არ ღელავს ან ქუჯი თევზაობს, მაშინ არ წვიმს და ქარი არ ქრის“

გავითვალისწინოთ, რომ დიზიუნქცია (ან) ჭეშმარიტია, როცა ჭეშმარიტია მისი შემადგენელი ერთი დებულება მაინც და ჩამოვყალიბოთ წინადადებები, რომელთა ჭეშმარიტობა *M* -ის ჭეშმარიტობიდან გამომდინარეობს:

- „თუ ქარი ქრის, მაშინ ზღვა ღელავს და ქუჯი არ თევზაობს“
- „თუ წვიმს, მაშინ ზღვა ღელავს და ქუჯი არ თევზაობს“.
- „თუ ზღვა არ ღელავს, მაშინ არ წვიმს და ქარი არ ქრის“
- „თუ ქუჯი თევზაობს, მაშინ არ წვიმს და ქარი არ ქრის“
- „თუ ქარი ქრის, მაშინ ზღვა ღელავს“
- „თუ ქარი ქრის, მაშინ ქუჯი არ თევზაობს“
- „თუ ქუჯი თევზაობს, მაშინ არ წვიმს“ და ა.შ.

როდესაც მოცემულის ტოლფასი დებულების ჩამოყალიბება მოითხოვება, მოსახერხებელია დებულების პირობითი წინადადების სახით ჩაწერა და კონტრაპოზიციის კანონის გამოყენება, ხოლო საწინააღმდეგო დებულების ჩამოსაყალიბებლად კვანტორების („ყოველი“, „ზოგიერთი“) გამოყენება.

მაგალითად, მოცემულია დებულება: „როცა ქარი ამოვარდება, ზღვა ღელავს დაიწყებს“ [5]. მისი ტოლფასი დებულების ჩამოსაყალიბებლად, ჩავწეროთ ის ასეთი სახით: „თუ ქარი ამოვარდება, ზღვა ღელავს დაიწყებს“ და კონტრაპოზიციის წესის მიხედვით ტოლფასი დებულებაა: „თუ ზღვამ ღელვა არ დაიწყო, ქარი არ ამოვარდნილა“. საწინააღმდეგო დებულების ჩამოსაყალიბებლად, მოცემული შეიძლება ასე გადავწეროთ: „ყოველთვის, როცა ქარი ამოვარდება, ზღვა ღელავს დაიწყებს“ და საწინააღმდეგო დებულებაა: „ზოგჯერ (ერთხელ მაინც), როცა ქარი ამოვარდება, ზღვა ღელავს არ დაიწყებს.“

ამრიგად, სასკოლო პროგრამაში შეტანილი ლოგიკის ელემენტები და შესაბამისი ამოცანები მოსწავლეს ეხმარება ლოგიკური უნარ-ჩვევების განვითარება-დახვეწაში და ასწავლის ამ უნარების გამოყენებას სხვადასხვა ტიპის ამოცანების მსჯელობით ამოხსნისას. იგი მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან საკვანძოს, რომელიც მოსწავლეს დასჭირდება განათლების შემდგომ ეტაპზე, მაგალითად, ზოგადი უნარების ყველა საფეხურის გამოცდის ჩასაბარებლად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.იმერლიშვილი, მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 2001
2. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მასწავლებლის წიგნი, VIII კლასი, თბილისი 2008.
3. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მასწავლებლის წიგნი, XII კლასი, თბილისი 2008.
4. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მოსწავლის წიგნი, XII კლასი, თბილისი 2008.
5. თ.შოშიაშვილი, ე.ზაგაშვილი, თ.კვიციანი, საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მოსამზადებელი სახელმძღვანელო. თბილისი, 2013

## რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ლოგიკის ის საკითხები, რომელთა სასწავლო კურსში შეტანა მნიშვნელოვანია მოსწავლის ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების დახვეწა-განვითარებისთვის. ლოგიკის ფორმულები დაკავშირებულია სიმრავლეთა თეორიასთან, წარმოდგენილია მაგალითები, რომლებშიც დემონსტრირებულია ლოგიკის ფორმულების გამოყენების უპირატესობა.

**Lamara Qurchishvili** – Invited professor at I. Javakhishvili Tbilisi State University, PH.D.

**Irma Chelidze** –Math Teacher at the Guivy Zaldastanishvili American Academy in Tbilisi, Master of Education (Harvard Graduate School of Education)

## Teaching Elements of Logic in Middle and High Schools

### Abstract

The article stresses importance of including various aspects of logic in middle and high school curricula, as it helps students develop their analytical thinking skills. It's equally important to link formulae of logic and set theory. Students should also be aware of advantages of using elements of logic in problem solving. Through discussion of specific examples the article demonstrates effective ways of delivering several elements of logic in the mathematics classroom.

### Резюме

В труде изложены те вопросы логики, внесение которых в школьный учебный курс весьма важно для выработки и усовершенствования учеником умения делать логические выводы.

Формулы логики связаны с теорией множеств, рассмотрены примеры, в которых демонстрируются предпочтения применения логических формул.



**ნინო ჭელიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორი

### ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები ინტეგრალურ აღრიცხვაში

ფართობის გამოთვლა გეომეტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. იგი აღმოცენდა ძველ დროში ადამიანის პრაქტიკულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. წინამდებარე სტატიაში განხილულია ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები, რომლებიც შეისწავლება ინტეგრალურ აღრიცხვაში.

როგორც ცნობილია, თუ  $y = f(x)$  ფუნქცია უწყვეტია  $[a, b]$  სეგმენტზე და ამ სეგმენტზე  $f(x) \geq 0$ , მაშინ  $\int_a^b f(x) dx$  ინტეგრალი გამოსახავს იმ მრუდწირული ტრაპეციის  $S$  ფართობს, რომელიც შემოსაზღვრულია  $x = a$ ,  $x = b$ ,  $y = f(x)$  და  $y = 0$  წირებით, ანუ  $S = \int_a^b f(x) dx$  (1).

თუ წირი მოცემულია პარამეტრული სახით:  $x = \varphi(t)$ ,  $y = \psi(t)$ , სადაც  $x = \varphi(t)$  უწყვეტია, ხოლო  $y = \psi(t)$  უწყვეტად წარმოებადი ფუნქციაა  $[\alpha; \beta]$  სეგმენტზე, მაშინ  $x = a$ ,  $x = b$  წრფეებით, აბსცისათა ღერძითა და მოცემული წირით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობი გამოითვლება ფორმულით:

$$S = \int_{\alpha}^{\beta} \psi(t) \varphi'(t) dt \quad (2), \quad \text{სადაც } \varphi(\alpha) = a, \varphi(\beta) = b.$$

თუ წირი მოცემულია პოლარულ კოორდინატებში  $\rho = f(\varphi)$  განტოლებით, სადაც  $f(\varphi)$  არაუარყოფითი უწყვეტი ფუნქციაა  $[\alpha; \beta]$  სეგმენტზე, მაშინ იმ ბრტყელი ფიგურის ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია მოცემული წირით და  $\varphi = \alpha$ ,  $\varphi = \beta$  სხივებით, ანუ მრუდწირული სექტორის ფართობი გამოითვლება ფორმულით:  $S = \frac{1}{2} \int_{\alpha}^{\beta} \rho^2(\varphi) d\varphi$ .

ბრტყელი ფიგურის ფართობი შეიძლება აგრეთვე გამოითვალოს ორჯერადი ინტეგრალის საშუალებით: თუ  $\omega$  არე ფართობადია, მაშინ  $S = \iint_{\omega} dx dy$  (3), სადაც  $S$  არის  $\omega$  არის ფართობი.

ახლა განვიხილოთ ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელი ფორმულა წირითი ინტეგრალის საშუალებით. თუ ბრტყელი  $D$  ფიგურის კონტურს აღვნიშნავთ  $\gamma$  ასოთი, მაშინ  $D$  - ს ფართობი გამოითვლება ფორმულით:  $S_D = \frac{1}{2} \int_{\gamma} x dy - y dx$  (4), სადაც წირითი ინტეგრალი აიღება დადებითი მიმართულებით ღერძების მარჯვენა ორიენტაციის შემთხვევაში.

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ფორმულების პრაქტიკული გამოყენება ელიფსის მაგალითზე: გამოვთვალოთ ელიფსის მიერ შემოსაზღვრული ფიგურის ფართობი, ანუ ე.წ. ელიფსის ფართობი. ვთქვათ, ელიფსი მოცემულია განტოლებით:

$$\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} = 1 \quad (5),$$

საიდანაც  $y = \pm \frac{b}{a} \sqrt{a^2 - x^2}$ . ვინაიდან ელიფსი სიმეტრიულია საკოორდინატო ღერძების მიმართ, ამიტომ ფორმულა (1) -ის გამოყენებით  $S$  ფართობი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$S = 4 \cdot \frac{b}{a} \int_0^a \sqrt{a^2 - x^2} dx, \quad \text{ნაწილობითი ინტეგრების ფორმულით}$$

$$\int_0^a \sqrt{a^2 - x^2} dx = \frac{x}{2} \sqrt{a^2 - x^2} \Big|_0^a + \frac{a^2}{2} \arcsin \frac{x}{a} \Big|_0^a = \frac{\pi a^2}{4}.$$

$$S = 4 \cdot \frac{b}{a} \cdot \frac{\pi a^2}{4} = \pi ab.$$

ახლა ვიპოვოთ  $OBTP$  მრუდწირული ტრაპეციისა და  $BOT$  სექტორის ფართობი, სადაც  $B(0; b)$  და  $T(x; y)$  ელიფსის წერტილებია,  $0 < x < a$ ,  $0 < y < b$ , ხოლო  $O$  და  $P$  წერტილების კოორდინატებია:  $(0; 0)$  და  $(x; 0)$ . განტოლება (5) -დან ვღებულობთ:

$$y = \frac{b}{a} \sqrt{a^2 - x^2},$$

$$S_{OBTP} = \int_0^x \frac{b}{a} \sqrt{a^2 - x^2} dx = \frac{b}{2a} x \sqrt{a^2 - x^2} + \frac{ab}{2} \arcsin \frac{x}{a} = \frac{xy}{2} + \frac{ab}{2} \arcsin \frac{x}{a} = S_{TPO} + \frac{ab}{2} \arcsin \frac{x}{a}.$$

აქედან გამომდინარე,  $S_{BOT} = \frac{ab}{2} \arcsin \frac{x}{a}$ . როცა  $x = a$ , მაშინ ვღებულობთ:  
 $S_{BOM} = \frac{ab}{2} \arcsin 1 = \frac{\pi ab}{4}$ ,  $S_{ელიფსი} = 4 \cdot S_{BOM} = \pi ab$ ,  
 სადაც  $M$  წერტილის კოორდინატებია  $(a; 0)$ .

ელიფსი პარამეტრული სახით მოიცემა განტოლებებით:  $x = acost$ ,  $y = bsint$ ,  $0 \leq t \leq 2\pi$ . ფორმულა (2) -ის გამოყენებით

$$S_{ელიფსი} = 4 \int_0^{\frac{\pi}{2}} bsint \cdot (-asint) dt =$$

$$= 4ab \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin^2 t dt = 2ab \int_0^{\frac{\pi}{2}} (1 - \cos 2t) dt = 2ab \left( t - \frac{\sin 2t}{2} \right) \Big|_0^{\frac{\pi}{2}} = \pi ab$$

ახლა გამოვთვალოთ ელიფსის ფართობი ორჯერადი ინტეგრალით. ელიფსის მიერ შემოსაზღვრული არე აღვნიშნოთ  $\omega$ -თი, მაშინ ფორმულა (3) -ის გამოყენებით

$$S_{ელიფსი} = \iint_{\omega} dx dy \quad (6).$$

$\frac{x}{a} = u$  და  $\frac{y}{b} = v$  ცვლადთა გარდაქმნით  $\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} = 1$  განტოლება გადაიწერება შემდეგნაირად:  $u^2 + v^2 = 1$ .

$$S_{ელიფსი} = \iint_{\omega_1} |I| du dv = \iint_{\omega_1} ab du dv = ab |\omega_1| = \pi ab,$$

სადაც  $I$  გარდაქმნის იაკობიანია, ხოლო  $\omega_1$  - ერთეულოვანი წრე. ინტეგრალი (6) შეიძლება გამოვთვალოთ პოლარულ კოორდინატებზე გადასვლითაც:

$$x = a \rho \cos \varphi, \quad y = b \rho \sin \varphi, \quad I = \begin{vmatrix} a \cos \varphi & -a \rho \sin \varphi \\ b \sin \varphi & b \rho \cos \varphi \end{vmatrix} = ab \rho,$$

$$S = \iint_{\omega} dx dy = ab \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^1 \rho d\rho = \frac{1}{2} ab \cdot 2\pi = \pi ab.$$

გამოვთვალოთ ელიფსის ფართობი წირითი ინტეგრალის საშუალებით. ვისარგებლოთ ელიფსის პარამეტრული განტოლებებითა და ფორმულა (4) -ით. თუ აღვნიშნავთ ელიფსის კონტურს  $\gamma$  ასოთი, მაშინ

$$S = \frac{1}{2} \int_{\gamma} x dy - y dx = \frac{1}{2} \int_0^{2\pi} [a \cos t \cdot b \cos t - b \sin t \cdot (-a \sin t)] dt = \frac{1}{2} \int_0^{2\pi} ab dt = \pi ab.$$

ახლა, ვთქვათ, ელიფსი მოცემულია განტოლებით:  $Ax^2 + 2Bxy + Cy^2 = 1$  (7), სადაც  $AC - B^2 > 0$ ,  $C > 0$ .  $Cy^2 + 2Bxy + Ax^2 - 1 = 0$  განტოლებიდან ვღებულობთ:

$$y_1 = \frac{-Bx - \sqrt{B^2 x^2 - C(Ax^2 - 1)}}{C} = \frac{-Bx - \sqrt{C - (AC - B^2)x^2}}{C}, \quad y_2 = \frac{-Bx + \sqrt{C - (AC - B^2)x^2}}{C}.$$

$y_1, y_2$  ღებულობს ნამდვილ მნიშვნელობებს, როცა  $C - (AC - B^2)x^2 \geq 0$ , ანუ  $x \in [-p; p]$ ,

სადაც  $p = \sqrt{\frac{C}{AC - B^2}}$ . მაშინ საძიებელი ფართობი გამოითვლება შემდეგნაირად

$$S = \int_{-p}^p (y_2 - y_1) dx = \frac{2}{C} \cdot \int_{-p}^p \sqrt{C - (AC - B^2)x^2} dx = \frac{2}{C} \sqrt{AC - B^2} \cdot \int_{-p}^p \sqrt{p^2 - x^2} dx =$$

$$= \frac{2}{C} \sqrt{AC - B^2} \cdot \left( \frac{x}{2} \sqrt{p^2 - x^2} + \frac{p^2}{2} \arcsin \frac{x}{p} \right) \Big|_{-p}^p = \frac{2}{C} \sqrt{AC - B^2} \cdot \frac{\pi p^2}{2} = \frac{\pi}{\sqrt{AC - B^2}}$$

განტოლება (5) წარმოადგენს განტოლება (7) -ის კერძო შემთხვევას:  $A = \frac{1}{a^2}$ ,  $B = 0$ ,  $C = \frac{1}{b^2}$ ,

საიდანაც მიიღება, რომ  $S = \frac{\pi}{\sqrt{\frac{1}{a^2 b^2}}} = \pi ab$ .

### ლიტერატურა

1. ვლ. ჭელიძე, ე. წითლანაძე – მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. I, II, 1975
2. Г.М. Фихтенгольц – Курс дифференциального и интегрального исчисления, т. I, II.
3. Б.П. Демидович – Сборник задач и упражнений по мат. анализу.
4. В.А. Ильин, Э.Г. Позняк – Основы математического анализа, I, II

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელი ფორმულები, რომლებიც შეისწავლება ინტეგრალურ აღრიცხვაში, მოყვანილია ამ ფორმულების გამოყენება ელიფსის მაგალითზე.

**Nino Chelidze** – Faculty of Exact and Natural Sciences I. Javakhishvili Tbilisi State University, PhD, Invited Professor.

### The area formulas using integration

#### Summary

The article discusses some area formulas using integration, calculation the area of the ellipse based on these formulas.

**Нино Челидзе** – Факультет точных и естественных наук Тбилисского гос. университета им. И.Джавахишвили, PhD, приглашенный профессор

### Некоторые формулы для вычисления площадей плоских фигур

#### при помощи интегрирования.

#### Резюме

В статье рассматриваются некоторые формулы для вычисления площадей плоских фигур при помощи интегрирования на примере эллипса.

**ქეთევან ჭელიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პედაგოგი

### მონაცემთა გადაცემის ნაკადური კლასების გამოყენების ზოგიერთი საკითხი

კომპიუტერის მეხსიერებაში ინფორმაცია ინახება ელექტრული ან მაგნიტური სიგნალების სახით. კომპიუტერის ლოგიკური ელემენტები შეიძლება იყოს ჩართული ან გამორთული. მაგნიტური დისკის ზედაპირზე ძაბვის იმპულსი ორი მიმართულების მაგნიტური მომენტს ქმნის. ამ ორ განსხვავებულ მდგომარეობას შეესაბამება ორობითი თანრიგი (ბიტი) ან 0 ან 1. 8 ასეთი თანრიგი ქმნის 1 ბაიტს (სიმბოლოს). შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერის „შობლიური ენა“ ორობითი კოდებია. ჩვეულებრივი ინფორმაცია: ტექსტი, ფორმულები, ბგერები და გრაფიკული გამოსახულებები წარმოდგენილია ასეთი ფორმით.

პროგრამის მიერ დასამუშავებელ მონაცემთა ერთობლიობა (ნაკადი) განისაზღვრება როგორც ბაიტების თანმიმდევრობა, მას არ აქვს არავითარი კავშირი ალფაბეტის კოდებთან და ამიტომ დამოუკიდებელია იმ მოწყობილობებისაგან, რომლებთანაც ხდება მონაცემთა გაცვლა. სიმბოლოები პროგრამამ შეიძლება მიიღოს კლავიატურიდან, მყარი დისკიდან ან სხვა პროგრამიდან. მონაცემები შეიძლება გამოვიტანოთ ეკრანზე, პრინტერზე, ჩაწერით გარე მეხსიერებაში ან სხვა პროგრამაში. გარე მეხსიერებაში შენახული ფაილებისათვის განასხვავებენ ფაილთა ტექსტურ და ორობით ფორმატს. ფაილის შენახვის ტექსტური ფორმა ნიშნავს, რომ ყველა სიმბოლური მონაცემი ინახება როგორც ტექსტი, ხოლო რიცხვები კი უნდა გარდაიქმნას ტექსტური ფორმით. ორობითი ფორმატი ნიშნავს, რომ ასეთი გარდაქმნა არ ხდება და რიცხვი ინახება ორობით რიცხვად. სიმბოლოებისათვის ორობითი წარმოდგენა ემთხვევა სიმბოლოებს, ხოლო რიცხვებისათვის ეს ასე არაა. ფაილის ამ განსხვავებულ ფორმატებს აქვთ თავისი უპირატესობანი. ტექსტური ფაილის დათვალიერება სხვადასხვა კომპიუტერზე შეიძლება ნებისმიერი ტექსტური რედაქტორით. ორობით ფაილში რიცხვების შენახვა არ იწვევს დამრგვალებასა და გარდაქმნას და ამიტომ უფრო სწრაფია, ნაკლებია მოცულობაც, მაგრამ სტრუქტურა დამოკიდებულია კომპიუტერზე.

პროგრამირების ენა C++-ს აქვს განსხვავებული ტიპის მონაცემთა ფორმატირებული შეტანა-გამოტანის ფუნქციები: კონსოლთან, კლავიატურასთან და ფაილებთან სამუშაოდ. ფორმატირებისათვის გამოიყენება სპეციალური სიმბოლოები. მაგ., შემდეგი ბრძანებით შეიძლება შევიტანოთ მთელი რიცხვი, რომელიც ჩაიწერება val ცვლადში და სტრიქონი, რომელიც ჩაიწერება name ცვლადში:

```
scanf( "%d %s", &val, name );
```

ობიექტ-ორიენტირებად პროგრამირებაში კი მონაცემთა შეტანა-გამოტანის პროცესი ნაკადური კლასების საშუალებით საბაზისო კლასებისათვის (ტიპებისათვის) მარტივდება, რადგან არ საჭიროებს ფორმატირების სიმბოლოების გამოყენებას. ნაკადში შეიძლება „დავაგროვოთ“ მონაცემები და „ამოვიღოთ“ ისინი.

არსებობს მონაცემთა წაკითხვის, ჩაწერის და წაკითხვა-ჩაწერის ნაკადები. ნაკადი თანმიმდევრული მისაწვდომობისაა. ე.ი. არსებობს ჩაწერის პოზიცია. იმის და მიხედვით, თუ რომელ მოწყობილობასთანაა დაკავშირებული ნაკადი, განიხილავენ: სტანდარტულ, კონსოლის, სტრიქონულ და ფაილურ ნაკადებს. მონაცემთა გადაცემის სქემაც მსგავსია. ნაკადი კლასი ამ შემთხვევაში შუამავალია. მას „ანტერესებს“ მხოლოდ მონაცემები (ბაიტები) და არა ის, თუ საიდან ჩნდება ისინი.

სტანდარტული ნაკადებია: კლავიატურა და ეკრანი. კონსოლური ნაკადი გამოიყენება ტერმინალთან სამუშაოდ, სტრიქონული ნაკადი - სიმბოლოთა მასივია, ფაილური ნაკადი კი განკუთვნილია გარე მეხსიერებასთან სამუშაოდ.

მონაცემთა გადაცემის სიჩქარის გაზრდისათვის გამოიყენება შუალედური მეხსიერება (ბუფერი). მონაცემთა გადაცემა ხდება მაშინ, როცა ბუფერი ივსება ან შესრულდება ბუფერის გასუფთავების ბრძანება. ამ პროცესს ოპერაციული სისტემა თავის თავზე ღებულობს და პროგრამისტის ჩარევას გამორიცხავს.

ნაკადური კლასები ios და streambuf კლასების მემკვიდრეები არიან. კლასი streambuf უზრუნველყოფს მონაცემთა ბუფერიზაციას. ios კლასები შეიცავენ streambuf კლასზე მიმთითებელს. istream, ostream, iostream, strstream, istrstream, ostrstream, fstream, ifstream, ofstream კლასები სტანდარტული,



ტექსტური და ფაილური შეტანა-გამოტანის კლასებია, რომლებიც შედის კლასთა ბიბლიოთეკაში და შესაბამისად განსაზღვრულია: `iostream.h`, `sstream.h`, `fstream.h` სათაური ფაილებით.

ნაკადური კლასებისათვის სტანდარტული ტიპებია: `char`, `int`, `float`, `double`, `char *`, `void *`. სხვა ტიპის მიმთითებელი ავტომატურად დაიყვანება `void *` ტიპზე. ნაკადი კლასი სხვადასხვა ტიპების ობიექტებისათვის პოლიმორფიზმის თანახმად შესაბამის ფუნქციას იყენებს. მაგ.:

```
ofstream f("data.txt"); // მონაცემთა ჩაწერის ნაკადი data.txt ტექსტური ფაილისათვის
f<<5<<'A'<<"Text"; // ჩაწერით ნაკადში მთელი რიცხვი, სიმბოლო და ტექსტი
f.close(); // დავხუროთ ნაკადი.
int x; char a; string st; // განვსაზღვროთ მთელი, სიმბოლოური, და ტექსტური ცვლადი
ifstream f("data.txt"); // მონაცემთა წაკითხვის ნაკადი data.txt - ტექსტური ფაილიდან
f>>x>>a>>st; // მთელი, სიმბოლოური და ტექსტური მონაცემების წაკითხვა f
ნაკადიდან.
f.close(); // აუცილებელია გავითვალისწინოთ თანმიმდევრობა!
```

მომხმარებლის მიერ შექმნილი ტიპებისათვის ნაკადის წანაცვლების: „<<“ და „>>“ ოპერატორებს უნდა „ვასწავლოთ“ თუ როგორ მოახდინოს ახალი ტიპის დამუშავება.

რადგან ორობითი ნაკადი მონაცემებს განიხილავს როგორც ბაიტებს (`char`), ამიტომ სულერთია როგორია მონაცემების ორგანიზება ან მათი ტიპები. ამ შემთხვევაში გამოიყენება მეთოდები: `read()` და `write()`, რომელთა პარამეტრებია მონაცემთა მეხსიერების უჯრის მისამართი და მონაცემთა სიგრძე (ბაიტების რაოდენობა). მონაცემთა ტიპი უნდა დავიყვანოთ `char*` ტიპამდე.

განვიხილოთ ამოცანა. შევინახოთ გარე მეხსიერებაში მომხმარებლის მიერ შექმნილი ტიპი (კლასი) მაგ., ერთმხრივიმართული სია (`List`). სიას აქვს დასაწყისი (`head`), რომელიც უთითებს მეხსიერების რომელიმე უჯრაზე, რომელშიც მოთავსებულია საწყისი კვანძი (`node`). კვანძს ორი ველი აქვს: მონაცემი (მაგ.: მთელი რიცხვი ან ჩანაწერი სტრუქტურის შესახებ) და მიმთითებელი სიის შემდეგ ელემენტზე. თუ ელემენტი საბოლოოა, მაშინ ეს მიმთითებელი ნულია (`Null`). სიაში შეიძლება ჩავამატოთ და ამოვავდოთ კვანძი, შევცვალოთ კვანძის მონაცემი, სია გავასუფთავოთ და სხვ. ჯერ შევქმნათ სტრუქტურა „კვანძი“ (`node`) და კლასი „სია“ (`List`) და ჩავწეროთ სათაურ (`list.h`) ფაილში:

```
struct node{
    int value; // კვანძის მონაცემი - რაიმე მთელი რიცხვი
    node *next; // მიმთითებელი შემდეგ კვანძზე
    friend ostream& operator<<(ostream& out, const node n)
// კვანძის მეგობარი მეთოდი „<<“ ოპერატორისათვის
    out << n.value << " "; // კვანძის მონაცემი დავაგროვოთ ostream& out ნაკადში
    return out;
}
};
class List{
    private: node *head; // კვანძის ტიპის მიმთითებელი სიის დასაწყისი
    public:
    List(void) { head=new(node); (*head).next=NULL; } // კლასის კონსტრუქტორი
    ~List(void) { delete head; } // კლასის დესტრუქტორი
    friend ostream& operator<<(ostream&, const List*); // „<<“ ოპერატორის განსაზღვრა
    friend istream& operator>>(istream&, List&); // „>>“ ოპერატორის განსაზღვრა
    void Search(int, node**); // მოვძებნოთ კვანძის მონაცემი, დავაბრუნოთ მიმთითებელი
    void InsertIn(node*,int); // ახალი კვანძის ჩასმა
    void Delete(node *); // კვანძის წაშლა
    void List::EmptyList(); // სიის კვანძების ამოგდება
};
```

List კლასის მეთოდები მოვათავსოთ `listfunc.cpp` ფაილში:

```


ostream& operator<<(ostream& out, const List* ls)
{ // სიის „მეგობარი“ მეთოდი „<<“ ოპერატორისათვის
if(ls->head->next==NULL) out << "List is empty!\n";
    else { // განვსაზღვროთ დროებითი კვანძი t და მივანიჭოთ სიის დასაწყისი
        node *t=new(node); t=ls->head;
        while (t->next!=NULL)
            { // დავაგროვოთ ostream& out ნაკადში სიის კვანძები, რომელთათვისაც
                // „<<“ ოპერატორი განსაზღვრულია სტრუქტურა კვანძში
                out <<(*t)<<" "; t=t->next;
            }
        delete t; // დროებითი კვანძი t წავშალოთ
    }
return out;
}

istream& operator>>(istream& in, List& ls)
{ // სიის „მეგობარი“ მეთოდი „>>“ ოპერატორისათვის. მაგალითისათვის,
    // შევქმნათ სია, რომელიც შეიცავს მხოლოდ არანულოვან მონაცემებიან კვანძებს:
    node *t; t=ls.head; // დროებითი კვანძს მივანიჭოთ სიის დასაწყისი კვანძის მნიშვნელობა
    cout<<"Enter List : \n";
    do {
        cout<<" Enter node : ";in>>t->value; // შევიტანოთ კვანძის მონაცემი
        if((t->value) && !in.fail()){ // თუ მონაცემი არ არის 0 და შეტანილია მთელი რიცხვი,
            // მაშინ შევქმნათ ახალი კვანძი
            t->next=new(node); t=t->next; t->next=NULL;
        }
    } while (t->value); // შეასრულე 0-ის შეტანამდე
return in; // ნაკადის დაბრუნება
}

void List::InsertIn(node *p, int v) {
    node *t;new(node);
    t->value=v;
    t->next=p->next; p->next=t;
}

void List::Delete(node * p){
    node *t; t=head;
    while (t->next!=p) t=t->next;
    t->next=p->next; delete p;
}

```



სურათი 1. ა) სია, ბ) ახალი კვანძის (6) ჩასმა, გ) კვანძის (4) ამოგდება

რადგან სიის კვანძები **new** ოპერატორით იქმნება, ამიტომ ეს კვანძები თავსდება იმ მეხსიერების ნაწილში, რომელსაც „გროვა“ (heap) ეწოდება. პროგრამის დასრულების დროს „გროვა“ არ სუფთავდება. მისი გათავისუფლება პროგრამისტმა უნდა უზრუნველყოს. ამიტომ სიის დესტრუქტორის შესრულებამდე ჯერ სია გავასუფთავოთ - გავანადგუროთ მისი ცალკეული კვანძები (EmptyList()):

```

void List::EmptyList() { // სიის კვანძების ამოგდება
    node * t, * tt; t=head; tt=t->next;
    while (tt!=NULL) { delete t; t=tt; tt=tt->next; }
    delete t;
}

```

ყოველივე ზემოთაღნიშნული გამოვიყენოთ ძირითად პროგრამაში (List.cpp):

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include "list.h" // სათაურის ფაილი

void SaveList (char* FileName, List* ls); // ფაილში შენახვისა და
void ReadList (char* FileName, List* ls); // წაკითხვის ფუნქციათა პროტოტიპები

void main() {
    List* ls=new(List); // ობიექტი „სია“
    std::cin >> *ls; // პროგრამის შესრულებისას შევიტანოთ: 1, 2, 3, 4, 5, 0,
    std::cout << ls; // რომელიც შექმნის სიას - სურათი 1. ა. ეკრანზე მივიღებთ: 1 2 3 4 5
    node* t=new(node); // დროებითი კვანძი მონაცემის მოძებნისათვის
    // მოვძებნოთ კვანძის მითითებელი, რომელიც უთითებს „4“-მონაცემიან კვანძზე
    ls->Search(4, &t);
    if(t) { // თუ მოიძებნა. ე. ი. მითითებული არ არის NULL, მაშინ
        ls->InsertIn(t, 6); // ჩავსვათ 4-ს ადგილზე 6 (სურათი 1. ბ.)
        std::cout << ls; // ეკრანზე მივიღებთ: 1 2 3 4 6 5
        ls->Delete(t); // წავშალოთ კვანძი, რომლის მონაცემი 4-ია (სურათი 1. გ.)
        std::cout << ls; // ეკრანზე მივიღებთ: 1 2 3 6 5
    }
    SaveList("list.dat", ls); // ჩავწეროთ list.dat ფაილში
    ReadList("list.dat", ls); // წავიკითხოთ list.dat ფაილიდან
    std::cout << "From file: " << ls; // დავბეჭდოთ შედეგი ფაილიდან
    ls->EmptyList(); delete ls; // გავასუფთავოთ სია და მეხსიერება
}
```

აქვე განვსაზღვროთ გარე ფაილში სიის ჩაწერისა და წაკითხვის ფუნქციები:

```
void SaveList (char*FileName, List *ls){
    fstream fl; // ჩაწერა-წაკითხვის ნაკადი. თუ ფაილი არ არსებობს, ის შეიქმნება.
    fl.open(FileName, ios::binary | ios::out); // გავხსნათ ორობითი ფაილი ჩაწერისათვის
    fl.write((const char*)(ls), sizeof(List)); // ჩავწეროთ ბაიტებად გარდაქმნილი სიის კვანძები.
    fl.close(); // დავხუროთ ფაილური ნაკადი
}
```

```
void ReadList(char*FileName, List *ls){
    fstream fl; // შევქმნათ ფაილური ნაკადი
    fl.open(FileName, ios::binary | ios::in); // გავხსნათ ორობითი ფაილი წაკითხვისათვის
    if (fl.is_open()) // თუ ფაილური ნაკადი დაკავშირებულია გარე ფაილთან
        while (!fl.eof() && fl.good()) // თუ ფაილის ბოლო მიღწეული არაა და ფაილი კარგია
            fl.read((char*)(ls), sizeof(List)); // წაკითხე სია და მოათავსე ls ცვლადში
    fl.close();
}
```

ამრიგად, ნაკადურ კლასს „ვასწავლეთ“ თუ როგორ უნდა დაამუშავოს მომხმარებლის მიერ შექმნილი ტიპი - ერთმხრივი მართული სია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Подбельский В. В., Язык Си++: Учеб. пособие. – М.: финансы и статистика, 2003;
2. Прата Стивен, Язык программирования С++. Лекции и упражнения. Учебник: Пер. с англ. – СПб.: ООО «ДиаСофтЮП», 2005;
3. Nicholas A. Solter, Scott J. Kleper, Professional C++. Wiley Publishing, 2005.
4. Visual Studio C++ 2008 დოკუმენტაცია.

**Кетеван Челидзе** – Кутаисский государственный университет Акакия Церетели, педагог департамента компьютерных технологии

### **Некоторые вопросы применения потоков для передачи данных**

Логические элементы компьютера имеют два состояния, которые можно представить со значениями 0 или 1 (бит). 8 таких битов составляют 1 символ – байт. Информация можно сохранить как числа - байты в двоичном коде, а представить на экране в виде алфавитно-цифровых символов.

Потоки классы в объектно-ориентированном программировании C++ не нуждаются в специальных символах форматирования и они «знают» как вставить или извлекать данные стандартных типов. Поскольку поток данных представляется в двоичном виде, поэтому схема обмена данными разных устройств подобна. Для ускорения процесса обмена, передача данных осуществляется через буфер.

Для пользовательских типов нужно «научить» поток как вводить и отображать новые типы, путём определения операторов сдвига. Данные во внешнем устройстве можно сохранить в текстовом или двоичном файле.

В статье рассмотрена задача построения нового абстрактного типа. В частности, однонаправленного списка. Определены его свойства и методы. Построены функции перегрузки операторов вставки и извлечения для структуры и класса и функции обмена данными нового класса с внешним файлом.

**Ketevan Chelidze** –Kutaisi Akaki Tsereteli State University, Teacher of Department of Computer Technologies

### **Some Problems of Using Stream Classes for Data Transmission**

In computer, a particular electrical signal or a specific magnetic orientation has two states represented by 1 or 0 (bit). 8 such bits make one symbol – byte. All information is stored by binary codes and is represented on the screen in the form of symbols.

Stream classes in object-oriented programming language C++ do not need special formatting symbols and they "know" how to read or write down data of standard types. The scheme of data exchange is similar with different devices. For acceleration of such exchange, transmission is carried out via the buffer. It is necessary "to teach" a stream how to transmit objects of user-defined classes, by overloading insertion and extraction operators. Data in the disk can be stored in the text or binary file.

In article, the problem of creation of new abstract type is considered, in particular, a unidirectional list. Its properties and methods are defined. Functions of insertion and extraction operators for node structure and list class and functions of data exchange of a new class with the external device are constructed.



ჯემალ ჯინჯიხაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### თავის ტვინის ფუნქციონალური ასიმეტრია და გეომეტრიული მასალის აღქმა V-VI კლასებში

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გეომეტრიის სასკოლო კურსი აგებული იყო აქსიომატიკურ საფუძველზე და სკოლაში მისი კარგი ათვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლე უკვე ფლობდა კარგ ცნებით აზროვნებას. დეკლარაციულად კი გეომეტრია იმიტომ ისწავლებოდა, რომ მას უნდა განეხილათ მოსწავლის ცნებითი (თეორიული) აზროვნება. მაშასადამე, და ეს გამოცდილებითაც ვიცით, გეომეტრიას კარგად სწავლობდა მხოლოდ ის მოსწავლე, რომელსაც ცნებითი აზროვნების უნარი თანდაყოლილი ჰქონდა. ასეთები კლასში გამოჩნდნისი ერთეულები იყვნენ.

ამასთან ერთად, გეომეტრიის სწავლების ძირითადი მიზანი სივრცითი წარმოდგენების განვითარებაც გახლდათ, გეომეტრიული წარმოსახვის განვითარება. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სივრცითი თვისებებისა და მიმართებების თვალსაჩინო წარმოდგენები ფაქტობრივად ემსახურებოდა გეომეტრიის თეორიული პოსტულატების (აქსიომების, თეორემების, განსაზღვრების, ცნებებისა და სხვათა) მხოლოდ თავისებურ ილუსტრირებას.

მათემატიკური განათლების შინაარსის ასეთი აგება სავსებით შეესაბამებოდა მათემატიკის, როგორც მეცნიერების, კანონზომიერებებს, მაგრამ სრულებით არ შეესაბამებოდა ბავშვური აზროვნების ბუნებას, ბავშვის განვითარების, მით უმეტეს – პიროვნულის, ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებებს. იგი სრულებით არ ითვალისწინებდა სივრცეში ორგანიზებული საგნობრივი სამყაროს ბავშვის მიერ აღქმის ფსიქოლოგიას.

სასკოლო გეომეტრიის დაუფლებაში სივრცით აზროვნებას უნდა ეკისრებოდეს არა დამხმარე, არამედ ფუძემდებლური ფუნქცია, და ეს ფუნქცია ისე უნდა ახდენდეს მოსწავლის შესაძლებლობათა რეალიზებას, რომ იგი სწორად ორიენტირებდეს მის მომცველ რეალურ სამყაროში, სადაც არ არსებობს არც ერთი ბრტყელი ობიექტი, რომელიც შეისწავლება პლანიმეტრიაში.

როგორც ვიცით, მოსწავლეები აზროვნებენ სხვადასხვანაირად:

- ზოგიერთებში აბსტრაქტული ვერბალურ-ლოგიკური აზროვნება ჭარბობს ხატოვანს,
- ზოგიერთებში ხატოვანი აზროვნება ჭარბობს აბსტრაქტულს,
- ზოგიერთებში აზროვნების ხატოვანი და აბსტრაქტული კომპონენტები მეტ-ნაკლებად წონასწორობაში იმყოფება.

**კრუტეცკი** გამოყოფს აზროვნების სამ ტიპს: ანალიზურს, გეომეტრიულსა და ჰარმონიულს.

**ანალიზური** აზროვნების მოსწავლეებს უფრო განვითარებული აქვთ სიტყვიერ-ლოგიკური კომპონენტი, ვიდრე თვალსაჩინო-ხატოვანი. ისინი ადვილად ოპერირებენ განყენებული სქემებით, მათ ამოცანების ამოხსნის დროს არა აქვთ საგნობრივი და სქემატური თვალსაჩინოების გამოყენების მოთხოვნილება. ანალიზური ტიპის წარმომადგენლები წარმატებით ხსნიან აბსტრაქტულ ფორმაში გამოხატულ ამოცანებს, ხოლო, რაც შეეხება თვალსაჩინო-ხატოვანი ფორმით გამოხატულ ამოცანებს, ცდილობენ, გადაიყვანონ აბსტრაქტულ პლანში.

**გეომეტრიული** აზროვნების მოსწავლეები ხასიათდებიან კარგად განვითარებული თვალსაჩინო-ხატოვანი კომპონენტით. ისინი ცდილობენ აბსტრაქტული მათემატიკური მიმართებებისა და დამოკიდებულებების თვალსაჩინო ინტერპრეტირებას. ისინი ოპერირებენ თვალსაჩინო სქემებით, სახეებით, წარმოდგენებით მაშინაც კი, როცა ამოცანა ადვილად იხსნება მსჯელობით.

**ჰარმონიული** ტიპი ხასიათდება სიტყვიერ-ლოგიკური და თვალსაჩინო-ხატოვანი კომპონენტების თანაბარი განვითარებით.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადრეულ მოზარდულ ასაკში მიმდინარეობს მოსწავლის ფსიქიკის გარდაქმნა. სწორედ ამ გარდაქმნის პროცესში მოსწავლისათვის თანდათანობით მიუღებელი ხდება სწავლების ძველი ფორმები და მეთოდები. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი მათემატიკის სწავლებასთან მიმართებაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა მათემატიკური

ცნება აბსტრაქტულია და მათი სწავლების პროცესში უწყვეტად მიმდინარეობს მოსწავლის აზროვნების გადასვლა ემპირიულიდან თეორიულში. და ამ გადასვლის კომფორტულობას უპირატესად გეომეტრიული მასალის სწავლება განაპირობებს V-VI კლასებში.

მსოფლიოს მრავალი ფსიქოლოგის გამოკვლევების შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მათემატიკის სასკოლო კურსის შესწავლაში მოსწავლეთა ჩამორჩენილობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ოთხი მიზეზით:

➤ მოსწავლისადმი წაყენებული სასწავლო მოთხოვნები დროის მიხედვით არ ემთხვევა მისი თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონალური განვითარების სტადიას, ე. ი. \_ ეს მოთხოვნები წინ უსწრებს დასახული ამოცანის ამოხსნისათვის მოსწავლის ასაკობრივ მზაობას.

➤ მოსწავლის თავის ტვინის ცალკეული სტრუქტურების ანატომიურ განვითარებაში არის ჩამორჩენა; მაშასადამე, ჩამორჩენაა ფსიქიკის ფუნქციონალური სისტემების ფორმირებაში.

➤ მოსწავლის თავის ტვინის სტრუქტურების განვითარების პროცესში სათანადოდ არ განვითარდა აუცილებელი ნახევარსფეროთაშორისი და შიგანახევარსფერული კავშირები.

➤ საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდიკა არ შეესაბამება მოსწავლის აზროვნების ტიპს.

აქედან აშკარად ჩანს, რომ მოსწავლის აზროვნების ემპირიულიდან თეორიულში გადასვლის კანონზომიერებათა კვლევისათვის აუცილებელია ნეიროფსიქიკის ზოგიერთი კანონზომიერების გათვალისწინება.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა ნეიროფსიქოლოგმა პროფესორმა **როჯერ უოლკოტ სპერიმ** (1913-1954) სპეციალური კვლევების შედეგად შექმნა თავის ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციონალური ასიმეტრიის თეორია, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ეს ნახევარსფეროები თავიანთ ერთიანობაში დამოუკიდებლობასაც ფლობენ. ეს თეორია მედიცინის სფეროში შეიქმნა, მაგრამ მისი გამოყენება სწავლების მეთოდიკაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

სპერიმის თეორიის თანახმად არსებობს ორი ნახევარსფეროს ფუნქციონალური ორგანიზაციის რამდენიმე ტიპი:

➤ დომინირებს მარცხენა ნახევარსფერო \_ შემეცნებითი პროცესების სიტყვიერ-ლოგიკური ხასიათი (მარცხენანახევარსფერული ადამიანები).

➤ დომინირებს მარჯვენა ნახევარსფერო \_ კონკრეტულ-ხატოვანი აზროვნება, განვითარებული წარმოსახვა (მარჯვენანახევარსფერული ადამიანები).

➤ არც ერთის დომინირება მკვეთრად გამოხატული არ არის \_ (ტოლნახევარსფერული ადამიანები).

შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **ვადიმ როტენბერგის** მიერ შემოთავაზებული ცნებები აზროვნების ცალსახა და მრავალსახა კონტექსტების შესახებ.

**აზროვნების ცალსახა კონტექსტი** არის აზროვნებითი საქმიანობის ისეთი ხასიათი, რომლის დროსაც, სამყაროსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში, დალაგებული და მწყობრი სისტემის სახით, სხვადასხვა მიმართებათა წარმოდგენისათვის, საგნებსა და მოვლენებს შორის უამრავი კავშირებიდან შეირჩევა მხოლოდ რამდენიმე: ისეთები, რომლებიც მკაფიოდ გარკვეულია და შინაგანად არაწინააღმდეგობრივი, რაც ადვილად ექვემდებარება მოწესრიგებულ ანალიზს.

**აზროვნების მრავალსახა კონტექსტი** გულისხმობს ყველა არსებული კავშირების ერთდროულ მოცვას. რეალობის ცალკეული ელემენტები თუ სახეები მრავალი გაგებით ერთდროულად ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში როტენბერგმა თავის ტვინის ფუნქციონალური ასიმეტრიის ჩარჩოებში წამოაყენა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ოპერირებს იმ ინფორმაციებით, რომლებიც დაიყვანება აზროვნების ცალსახა კონტექსტზე, ე. ი. ეს ნახევარსფერო მართავს ვერბალურ ქცევას, ლოგიკურ აზროვნებას. მარჯვენა ნახევარსფერო კი მთლიანობაში აღიქვამს მრავალსახა კონტექსტს. ამით ახდენს გარესამყაროს ობიექტებს შორის არსებული მრავალრიცხოვანი, მათ შორის წინააღმდეგობრივისაც, კავშირების ინტეგრირებას. მარჯვენა ნახევარსფერო ახდენს, აგრეთვე, „მე-ს“ სახის ფორმირებას. ეს სახე აერთიანებს თავის

თავში ადამიანის უამრავ წარმოდგენას საკუთარ თავზე და გარესამყაროსადმი საკუთარ მიმართებებს.

ცალსახა კონტექსტის ორგანიზაცია აუცილებელია ადამიანთა ურთიერთგაგებისათვის, ცოდნის ანალიზისა და განმტკიცებისათვის, ხოლო, რაც შეეხება მრავალსახა კონტექსტის ორგანიზაციას, იგი იმდენადვე აუცილებელია საგნებსა და მოვლენებს შორის შინაგანი კავშირების არსში შეღწევისა და მისი ერთმთლიანი აღქმისათვის. როტენბერგის აზრით, ეს უკანასკნელი არის საფუძველი ნებისმიერი შემოქმედებისა, რომელშიც სინამდვილე აღსაქმელია მთელი მისი სირთულითა და მრავალწახნაგოვნებით, მთელი მისი სიმდიდრითა და შინაგანი ურთიერთკავშირებით.

მაშასადამე, მარჯვენა ნახევარსფერო ადამიანის გაუცნობიერებადი შემოქმედებითი პოტენციის მატარებელია. მაგრამ შემოქმედებით საქმიანობაში მარჯვენა ნახევარსფეროს ეს უმნიშვნელოვანესი როლი სულაც არ აკნინებს მარცხენა ნახევარსფეროს მნიშვნელობას. შემოქმედებითი პროცესი ერთიანია. ტვინი ფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანი, იგი აერთიანებს კონტექსტის ორგანიზაციის ორივე ხერხს, როგორც აზროვნების ურთიერთშემავსებელ ორ კომპონენტს. ამიტომ აუცილებელია თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს განვითარება, რომ მოსწავლე ჰარმონიულად აღიზარდოს, რომ ჰქონდეს უნარი, ამოხსნას მის წინაშე მდგარი რთული ამოცანები.

დღევანდელ ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში დომინირებს ცალსახად გაგებადი კონტექსტი.

ფსიქოლოგებისათვის ცნობილია, რომ 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებს როგორც არანებისმიერი, ისე ნებისმიერი ყურადღების სიტუაციაში უაქტიურდება უპირატესად მარჯვენა ნახევარსფერო, და მხოლოდ 10 წლის ასაკიდან – მარცხენა. შემდეგ ხდება ასიმეტრიის გადახრა მარცხენისაკენ. მათემატიკის სწავლებისათვის განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ არითმეტიკული ამოცანების ამოხსნის დროს 8-9 წლის მოსწავლეებს უაქტიურდება მარჯვენა ნახევარსფერო, და მხოლოდ 10-დან 14 წლამდე ასაკში იზრდება მარცხენა ნახევარსფეროს აქტიურობა.

ამგვარად, V-VI კლასების მოსწავლეთა ასაკი მათ განვითარებაში ფსიქიკური გარდატეხის ასაკია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ განათლების მთელი თანამედროვე სისტემა ორიენტირებულია აზროვნების ფორმალურ-ლოგიკურ განვითარებაზე, ცალსახა კონტექსტის აგების ხერხების დაუფლებაზე. აზროვნების ხატოვნება თავისი არსით ეწინააღმდეგება მათემატიკური განათლების ტრადიციულ პარადიგმას.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ შეუძლია თვითონ მათემატიკის სასწავლო საგანს სკოლაში ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ხატოვანი აზროვნების, მარჯვენა ნახევარსფეროს, კრეაციული უნარების განვითარებას? – რა თქმა უნდა, შეუძლია. ამისათვის ავიღოთ თუნდაც გეომეტრიული წარმოსახვისა და სივრცითი წარმოდგენების განვითარება, ამოცანების ამოხსნის ევრისტიკული ხერხების, ინტუიციური და ასოციაციური მიდგომების უნარების ჩამოყალიბება, აზროვნების „ირაციონალური“ ხერხების ჩვენება (ინტუიციის, ინსაიტის მუშაობა და სხვ.).

რამდენადაც V-VI კლასებში აბსტრაქტულ-ფორმალურ დონეზე ხდება აზროვნებითი მოქმედების თვალსაჩინო, კონკრეტული სახეებიდან ხატოვან (სახოვან) აზროვნებაზე გადასვლა, ამდენად გეომეტრია, როგორც მათემატიკის ერთ-ერთი ყველაზე აბსტრაქტული დარგი, ხელს უწყობს საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირების შემჩნევის „მარჯვენანახევარსფერული“ უნარების, კერძოდ, სივრცითი აზროვნების, განვითარებას.

დაწყებით სკოლაში გეომეტრიის ელემენტების სწავლება სივრცითი აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობაა, ასეთი აზროვნება კი ადამიანის ზოგადი გონებრივი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს.

დაწყებით სკოლაში მოსწავლეთა სივრცითი აზროვნების განვითარება განპირობებულია სამი მიზეზით: მათემატიკურით, ფიზიოლოგიურით, ფსიქოლოგიურით.

**მათემატიკური** თვალსაზრისით გეომეტრიის ელემენტების სწავლება გეომეტრიის მთელი სასკოლო კურსის სწავლების პროპედევტიკას წარმოადგენს. სივრცითი აზროვნება არის გონებრივი საქმიანობის სახე, რომელიც სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული ამოცანების ამოხსნის პროცესში უზრუნველყოფს სივრცითი სახეების შექმნასა და ამ სახეებით ოპერირებას. თუკი საშუალოსკოლადამთავრებულს ასეთი უნარები არა აქვს, ამაში დამნაშავეა სწორედ პროპედევტიკული სწავლება დაწყებით სკოლაში.



**ფიზიოლოგიური** თვალსაზრისით გეომეტრიული მასალის სწავლება ხელს უწყობს თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს განვითარებას, ეს კი უდავოდ განაპირობებს სახეებით ოპერირების უნარების დომინირებას.

რადგანაც 6-10 წლების ასაკისათვის მახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება, ამიტომ ეს ასაკი ყველაზე უფროა ხელსაყრელი სივრცითი წარმოსახვის განვითარებისათვის, მარჯვენა ნახევარსფეროს სწავლებისათვის. თანამედროვე პირობებში სწავლების სასკოლო მეთოდები ძირითადად მარცხენა ნახევარსფეროს ავითარებენ. ამით გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობენ ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. კარგად შენიშნა **სონიერმა**: როცა ვასწავლით მარცხენა ნახევარსფეროს, ჩვენ ვავითარებთ მხოლოდ მარცხენა ნახევარსფეროს, ხოლო, როცა ვასწავლით მარჯვენა ნახევარსფეროს, ჩვენ ვავითარებთ მთელ ტვინს. სწორედ მარჯვენა ნახევარსფეროა დაკავშირებული შემოქმედებითი აზროვნებისა და ინსაიტის განვითარებასთან, სივრცეში ორიენტირების უნარის ჩამოყალიბებასთან.

**ფსიქოლოგიური** მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დაბადებიდან ჩვენ გარს გვაკრავს სამგანზომილებიანი გეომეტრიული სივრცე. ბავშვები ბუნებრივად, თავისდაუნებურად, თანდათანობით აგროვებენ სივრცითი წარმოდგენების დიდძალ მარაგს. ყველა საგანი, რომელიც ბავშვს ცხოვრებაში ხვდება, თავისი არსით გეომეტრიულ სხეულთა მოდელია. და ისინი უყალიბებენ ბავშვს პირველდაწყებით წარმოდგენებს მოცულობადი სხეულების შესახებ. ყველას გვინახავს, როგორ ცდილობს ბავშვი ქაღალდიდან ნახატის აღებას და სხვ. უნდა ითქვას, რომ I-VI კლასების მათემატიკის კურსში ძალიან ცოტაა ცნობები სივრცითი ფიგურების შესახებ. ამიტომ ბავშვები იძულებულნი ხდებიან სწრაფად გარდაქმნან თავიანთი ფსიქიკური ოპერაციები და იაზროვნონ სიბრტყეში, და არა ჩვეულ სამგანზომილებიან სივრცეში. მხოლოდ მაღალ კლასებში გადადიან სტერეომეტრიის შესწავლაზე. ეს ფაქტი ბავშვის აზროვნების განვითარების უწყვეტობას არ განაპირობებს.

სიბრტყის გეომეტრია ხელოვნური წარმონაქმნია, არსებითად იგი სამგანზომილებიანი გეომეტრიისაგან აბსტრაქციას წარმოადგენს, რადგანაც გარესამყაროში არ არსებობს ორგანზომილებიანი საგნები, სისქის გარეშე. პლანიმეტრია წარმოიშვა სტერეომეტრიისაგან. პლანიმეტრიის ობიექტები ადამიანის აზრითი საქმიანობის (ქმედების) პროდუქტია, აბსტრაქციების შედეგი. ეს კი ძნელად მისაწვდომია 6-8 წლის ბავშვებისათვის.

თუ გადავსინჯავთ დაწყებითი კლასებისათვის დღეს არსებულ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, აშკარად დავინახავთ, რომ გეომეტრიული მასალა აქ ძალიან ცოტაა, და რაც არის, ისიც არ არის სისტემატიზირებული, არასაკმარისადაა განსაზღვრული გეომეტრიული მასალის სწავლების მიზნები ამ ეტაპზე.

ბოლოს, აღვნიშნოთ, რომ V-VI კლასებში მათემატიკის სწავლების თვალსაზრისით მარჯვენა-და მარცხენა ნახევარსფეროელ მოსწავლეთა ზოგადი დახასიათება ასეთია:

### **1. მოსწავლეებთან მუშაობის პირობები**

**მარჯვენისათვის:** სახეები; კონტექსტი; ინფორმაციის კავშირი პრაქტიკასთან, რეალობასთან; შემოქმედებითი დავალებები; ექსპერიმენტები; მუსიკალური ფონი; მეტყველებითი და მუსიკალური რიტმი.

**მარცხენისათვის:** ტექნოლოგიები; დეტალები; ინფორმაციის მოწოდების აბსტრაქტული, წრფივი სტილი; სასწავლო მასალის მრავალჯერადი გამოვლენა; სიჩუმე გაკვეთილზე.

### **2. მოტივაციის ფორმირება**

**მარჯვენისათვის:** ავტორიტეტის მოპოვება; კოლექტივში მდგომარეობის პრესტიჟულობა; ახალი კონტაქტების დამყარება; საქმიანობის სოციალური მნიშვნელოვნება.

**მარცხენისათვის:** სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ; ცოდნის სიღრმე; გონებრივი საქმიანობის მაღალი მოთხოვნილება; მოთხოვნილება განათლებაში.

### **3. მასალის აღქმა**

**მარჯვენისათვის:** ერთმთლიანი, ჩქარი, მყისიერი; გამოკვეთილია მეტყველების ინტონაციური მხარე; ბავშვები ვიზუალისტებია (მხედველობითი).



**მარცხენისათვის:** დისკრეტული (ნაწილ-ნაწილ), ნელი, თანამიმდევრული; გამოკვეთილია მეტყველების აზრობრივი მხარე; ბავშვები აუდილისტებია (სმენითი).

#### 4. დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები

**მარჯვენისათვის:** სინთეზი; დროითი დავალებები; მუშაობა ჯგუფში; თეორემების ფორმულირება; სივრცითი კავშირებით ოპერირება; დავალებები ნახატებში; მუშაობს გეომეტრია (სივრცითი აზროვნება); სქემები, ცხრილები; სურათები.

**მარცხენისათვის:** ანალიზი; დროისგარეშე დავალებები; მუშაობა ცალკეულად; თეორემების დამტკიცება; ნიშნებით ოპერირება სიბრტყეზე; დავალებები სიმბოლოებში; მუშაობს ალგებრა (თანამიმდევრული ლოგიკური აზროვნება სიბრტყეზე); მრავალჯერადი გამეორება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს აზრი იმის შესახებ, რომ V-VI კლასებში მათემატიკური მასალა საჭიროებს მეტ გეომეტრიზაციას, ვიდრე ეს დღესა გვაქვს.

#### ლიტერატურა

1. ჯემალ ჯინჯიხაძე. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია. თბილისი, 2011.
2. ჯემალ ჯინჯიხაძე. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბილისი, 2012.
3. ჯემალ ჯინჯიხაძე. პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები. თბილისი, 2013.
4. А. И. Петрова. Билингвальное математическое образование школьников. Особенности усвоения математических знаний: Школьные технологии, 2004. №3, с. 137-139.
5. В. С. Ротенберг. С. М. Бондаренко. Мозг. Обучение. Здоровье. М., 1989.
6. В. А. Крутецкий. Психология математических способностей школьника. М., 1968.
7. Дж. Гилфорд. Три стороны интеллекта: Психология мышления. М., 1965.
8. Википедия \_ свободная энциклопедия

#### რეზიუმე

გეომეტრიის სასკოლო კურსი აქსიომატიკურ საფუძველზე ისე იყო აგებული, რომ სკოლაში მისი ათვისებისათვის მოსწავლე უკვე მზად უნდა ყოფილიყო ცნებითი აზროვნებისათვის. ეს არ ითვალისწინებდა ბავშვური აზროვნების ბუნებას, ბავშვის მიერ სივრცეში ორგანიზებული საგნობრივი სამყაროს აღქმის ფსიქოლოგიას.

სტატიაში მოცემულია მარჯვენა- და მარცხენანახევარსფეროელ მოსწავლეთა ზოგადი დახასიათება; აზროვნების ტიპების (ანალიზური, გეომეტრიული, ჰარმონიული), თავის ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციონალური ასიმეტრიის შესახებ სპერის თეორიისა და აზროვნების ცალსახა და მრავალსახა კონტექსტების შესახებ როტენბერგის მიერ შემოთავაზებული ცნებების საფუძველზე დამუშავებულია მათემატიკურ-მეთოდიკური რეკომენდაციები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

**Джемал Джинджихадзе**

**Функциональная асимметрия головного мозга  
и восприятие геометрического материала в V-VI классах**

Курс школьной геометрии всегда был построен на аксиоматической основе и в школе для его усвоения ученик должен был владеть хорошим понятийным мышлением. Это не соответствовало природе детского мышления, закономерностям психических процессов развития ребенка. Оно не предусматривало психологию восприятия ребенком предметного мира, организованного в пространстве.

В статье разработаны математико-методические рекомендации, которые ориентированы на личностное развитие ребенка и созданы на основе теории асимметрии полушарий головного мозга.

**Jemal Jinjikhadze**

**Functional asymmetry of brain and geometrical material perception in V-VI classes  
(Summary)**

For a long period of time school Geometry course was made on axiomatic basis and its well perception at school was enable only in case of a pupil's good mental development. It was not pursuant to an usual child's mind nature, regularities of mental processes of child development. It did not consider take into account psychology of perception of objective world organized in space by child.

In the above article there is given general characteristic of the right and left hemisphere pupils: about types of thinking (analytical, geometrical, harmonic), about functional asymmetry of cerebral hemispheres, about unilateral and multilateral contexts of Sperry's theory and thinking, Mathematical-methodical recommendations are processed on the basis of Rotenberg's concepts, which are oriented to the pupil's personal development.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია  
METHODOLOGY OF TEACHING GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE

ლეილა აბზიანიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

შეცდომები მოსწავლეთა წერით ნაშრომებში

მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებული ენობრივი შეცდომების ყოველმხრივ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაკლოვანებების გამომწვეურებისა და აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახასიათებს ქართული ენის და ლიტერატურის სწავლებას დღევანდელ სკოლებში.

წინამდებარე შრომაში მოკლედ მიმოვიხილავთ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებულ ენობრივ შეცდომებს. საილუსტრაციო მაგალითები ამოწერილია VI-XII კლასების მოსწავლეთა ნაწერებიდან, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნით შეფასებული ნამუშევრებიდან.

მაგალითებთან დასახელებული არაა არც სკოლისა და არც მოსწავლის გვარ-სახელი, იმიტომ რომ ნაშრომში განხილული შეცდომები მეტნაკლებად დამახასიათებელია, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების მოსწავლეთათვის. ამ მხრივ მათ შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

დავიწყოთ ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომების მიმოხილვით. მოსწავლეთა წერით ნაშრომებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად არც თუ ისე იშვიათად გვხვდება – აუ, –უ; „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. „სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრებოდა“. „იგი თავის მტრად მიაჩნდა“.

ზოგჯერ მრავლობით რიცხვში ორი –ს–ს ნაცვლად წერია ერთი: „როგორ იბრძოდნენ. მოხვევები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის;“ „მონადირები ქისტების სოფელს მიადგნენ“.

პირის ნაცვალსახელს უმართებულოდ აქვს დართული მოთხრობითის ნიშანი –მა: „მათმა უმაღლესი განათლება მიიღეს;“ „მათმა ჰკითხეს, თუ საით მიდიოდნენ“. „მათმა დაიწყეს ძახილი“.

ფუძეკუმშვადი სახელები შუქუშუშვად არის წარმოდგენილი: „გოჩამ იგი თემის წინაშე ხმალით განგმირა“, „სოფელის ახლოს მდინარე ჩამოდიოდა“, „გმირთა სახელის სადიდებულად“.

მოსალოდნელი ორი ერთნაირი თანხმოვნის ნაცვლად წერია ერთი: „ხალხი დიდ შიში იყო ჩავარდნილი“.

არასწორადაა ნახმარი პირის ნიშნები ზმნაში: „პოეტი მზად არის დასთმოს მშობლები, ნათესავები“; „გლეხობა აჯანყდა და აღსდგა საბრძოლველად“; „აღზდგნენ ისინი სამშობლოს დასაცავად“; „გამოყვანილი ყვეს უარყოფითი ტიპებიც“;

უგულებელყოფილია ზმნისწინების ხმარებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები: „აქვე უნდა ავლნიშნოთ“; „როგორც ზემოთ ავლნიშნეთ“; „მას ანთავისუფლებენ ციხიდან“;

ზმნის ფორმებში არ გვხვდება ხმოვნის აღმნიშვნელი იმდენი ასო, რამდენიც საჭიროა: „ცა გამოჩნდება და განათებს მზე“; „შემოსულმა მტერმა გაჩანაგა კახეთი“;

არასწორადაა ნახმარი –ვ და – ამ თემის ნიშნები: „აისხავს იარაღს“; სწორედ ამ ეპოქას უსვავს ხაზს დავით კლდიაშვილი“; „შოთა რუსთაველი... ამ სახელს რომ წამოვთქვავ“. „მაგ შარბათში საწამლავს სვავ იცოდე“; „ხანდახან წამოუვლიან გოგო–ბიჭებს და წიოკობას აუტეხამენ“.

ძლიერ ხშირია ცალკეულ სიტყვათა არასწორად ხმარების შემთხვევები: „უხეშმა ბატონმა შეურაცყოფა მიაყენა ზაქროს მამას“; „ვინ იცის, რამდენი გაჭივრება გადაიტანა“; „გოჩა ღმერთს ეხვერწება“; „ასეთ უარვის ადამიანთა რიგებს მიეკუთვნებოდნენ ლუარსაბი და დარეჯანი“; „შეიყვარა და შეისისხორცა ქართველმა ხალხმა“; „პლატონი იძულებულია თვითონ დაუდგეს მამას მამუვლად“; „ხასიათით დედას ემგზავსება“, „პოეტი ამავე აზრით არის განჭკალული“; „ღამე გაიხდინა თანამეგობრად“;

ზოგჯერ სიტყვათა ჯგუფი მხოლოდ ერთი სიტყვით არის გადმოცემული: „რა თქმაუნდა მათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ საზოგადოებაში“; „აბდულ-შაჰილიც იმწამსვე განიმსჭვალე საშობლოს სიყვარულით“; „მას არცთუ ისე სწყენია ეს ამბავი“.

განსაკუთრებით ხშირია შეცდომები სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა მართლწერაში: „სულო ბოროტში“ მოცემულია კომფლიქტი ბარათაშვილისა და ბოროტ სულს შორის“; „წინააღმდეგ რუსიპიკატორული პოლიტიკისა“; „ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს დეკანდენტურ – სიმბოლისტურ მიმართულებას“; „მისი კოლონიალისტური პოლიტიკა საშინელებად მოველინა ხალხს“;

არასწორად უწერიათ წარმოქმნილი სიტყვები: „მრავალ-რიცხოვანი უკეთესად შეიარაღებული ჯარი“; „მამა-შვილური დამოკიდებულება კვლავ ძველებურად სუფევდა“; „უდედ-მამოდ დარჩა“.

სინტაქსური შეცდომებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესების დარღვევა. ასე მაგალითად, შემასმენელი უნდა იდგეს მხოლოდ ერთ რიცხვში, დგას კი მრავლობითში. „XIX საუკუნეში სამწერლო ასპარეზე გამოვიდნენ ახალი თაობა“; „ძველმა თაობამ სათხოვარი პუნქტი შეცვალეს“; „ოჯახის წევრების გარდა იყვნენ Z მოსამსახურე“; „შრომელი მოსახლეობა ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ“; „მისი დაწყებული საქმე მემკვიდრეობით მიიღეს მათმა შთამომავლობამ“. „რა გაჭირვებაში არიან მშრომელი ხალხი“; „თუ როგორ იბრძოდნენ ხალხი თავისუფლებისათვის“; „სამივე რანდი არიან ნამდვილი ადამიანები“;

ხდება პირიქითაც: შემასმენელი მხოლოდ ერთ რიცხვში დგას მაშინ, როდესაც იგი აუცილებლად მრავლობითის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. „ექვთიმე წერეთელსა და ძველ თაობას უპირისპირდება ახალი თაობის წარმომადგენლები“; „რომლებმაც მას წესიერი ცხოვრება არ დააცალა“;

იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება გარდუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში დასმის მაგალითები. „პლატონ სამანიშვილმა გაოცებით შეეკითხა“; „კვირიამ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა“;

განსაკუთრებით ხშირად არის დარღვეული „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების წესები, რაც წინადადების შინაარსს საგრძნობლად აბუნდოვანებს: „ბახტიონში“ ვაჟას აღწერილი აქვს ბუნება, რომლის შესავალს იწყებს შემდეგნაირად“; „ელგუჯას მთელი თავისი არსებით უყვარს თავისი ხალხი, რომელიც დღედაღამ ფიქრობს თავისი ხალხის მომავალ ბედნიერებაზე“; გოჩას უსაზღვროდ უყვარს თავისუფლება, რომელიც ვერ ეგუება თვითმპყრობელობას“; „სოფლის კანცელარიის წინ ხშირად ნახავდით შავებში ჩაცმულ მოხუც ქალს, გვერდით პატარა ბიჭით, რომელიც პლატონის ქონების გაყოფას მოითხოვდა“.

ვინც „სამანიშვილის დედინაცვლის“ შინაარსს არ იცნობს, ამ წინადადების წაკითხვისას იფიქრებს, რომ სწორედ ეს პატარა ბიჭი მოითხოვდა პლატონ სამანიშვილის ქონების გაყოფას. აბა, ახლა თვით დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „ეს დედაკაცი გახლდათ, როგორც თავად მიხვდებოდით, ბეკინა სამანიშვილის ქვრივი ელენე და პატარა ბავშვი– შვილი მისი, რომელმაც ჯერ არც კი იცოდა, რასაკვირველია, რამდენი უსიამოვნება მოიტანა მისმა გაჩენამ და ამიტომაც ასე ხალისიანად იცქირებოდა აქეთ–იქეთ და სიამოვნებით შეჰყურებდა მოფუსფუსე ხალხს“.

არც თუ ისე იშვიათად არასწორადაა განლაგებული სიტყვები წინადადებაში: „ლეონი როცა მეფემ დაიბარა, მან მოხერხებული არაკებით თავი გაიმართლა“.

შეცდომაა დაშვებული თანდებულების შერჩევაში: „შვიდ წელიწადში მეცხვარეობაში ყოფნამ ალ. ყაზბეგი ხალხს დაუახლოვა“; „წინააღმდეგ რუსიპიკატორული პოლიტიკისა, რომელსაც მეფის მთავრობა ატარებდა ქართველი ხალხის წინაშე“.

სინტაქსის ელემენტარული წესების სრული უცოდინარობით უნდა აიხსნას ის უთვალავი პუნქტუაციური შეცდომა, რომლებიც ნაწერებში გვხვდება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენს სკოლებში თითქოს სულაც აღარ ასწავლიან, სად დასვან წერტილი, მძიმე, ორწერტილი: „იგი ბრძოლაში მიმავალ შვილს ავალებს რომ იბრძოლოს ისე როგორც ვაჟკაცს შეეფერება, თუ სიკვდილი აუცილებელია მოკვდეს ისე რომ ხევს მისი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“. (აკლია ოთხი მძიმე, სადაც მძიმე წერია, უნდა იყოს წერტილი).



არც თუ ისე იშვიათად შეხვდებით წერით ნაშრომებს, სადაც 20–30 პუნქტუაციური შეცდომაა დაშვებული. ერთ–ერთი მოსწავლე თავისებურ „რეკორდსაც“ ამყარებს: 3<sup>1/2</sup> გვერდზე დაშვებული აქვს 50–მდე პუნქტუაციური შეცდომა.

ზოგიერთმა მოსწავლემ ისიც არ იცის, ნაწარმოების სათაური უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, თუ პერსონაჟის სახელი: „ელგუჯას დაუჭკნობელი სტრიქონები შთამაგონებლად გვიხატავს სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა სახეებს“; „ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ კონცენტრირებულია ადამიანის საუკეთესო თვისებები“. „მართალია, სულიერად „არსენა“ მარცხდება, მაგრამ მორალურად იმარჯვებს“. „არსენამ“, „გაბრიელმა“, კაკომ და ზაქრომ“ დაგმეს უსამართლობა და სამშობლოს ბედნიერება მიანიჭეს“; „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ძალიან კარგად და ლამაზად არის აღწერილი კაცია ადამიანში „ლუარსაბ თათქარიშვილის“ სახლი და კარ–მიდამო“.

წერითი ნაშრომების ერთ–ერთი მეტად სუსტი და მტკივნეული ადგილია სტილი. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს თავისი აზრის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემას, ცუდად აგებს წინადადებებს, მიმართავს უსარგებლო და უადგილო განმეორებებს, არ შეუძლია საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევა. ამიტომაც, რომ წერითი ნაშრომები სავსეა სტილური შეცდომებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „სადღეგრძელოში“ გრ. ორბელიანი გვიხატავს საქართველოს წარსულ ადამიანებს, რომლებმაც თავი შესწირეს წარსულს“; „ასეთმა არაადამიანურმა ქცევამ მემამულეებისა და გლეხობის მიმართ ასახა სოციალური წინააღმდეგობა ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის მწერლობამ“; „პლატონი ძლიერ შეაშფოთა მამის ამ გადაწყვეტილებამ და აღფრთხვანებით მიმართავს მას: –მლუპავ, მამა? ოჯახს მინგრევ!“; „ამრიგად, გ. ტაბიძემ ამ ლექსში დაგვიხატა ალეგორიული სახე ღამისა, რომელიც მეგობრულად არის განწყობილი პოეტთან და იზიარებს მის აზრს, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ პოეზიაში, რადგანაც იგი განწყობილია ალეგორიულად“, „გაგი ელგუჯას მტრად დაედო“; „პლატონმა დიდი წვალბის შემდეგ შეძლო მამისათვის ახალი ცოლის შერთვა“; „ონისეს მოკვლის სცენა მდიდარია თავისი მხატვრული ელფერობით“;

ხშირად მოსწავლეებს არ ესმით ამა თუ იმ სიტყვის (განსაკუთრებით, უცხო სიტყვების) მნიშვნელობა და მათ უადგილო ადგილას ხმარებით წინადადებას ყოველგვარი აზრი ეკარგება: „ელგუჯა თავის თანამოაზრეებთან ერთად თავგანწირვით იბრძვის თავისი ხალხის თავისუფლების ხელყოფისათვის“; „საქართველოში მე–XX საუკუნის გამოსულ მწერლებს შორის, რომელთა ძირითადი მოტივი იყო ქართული პოეზია, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გ. ტაბიძე“; ამრიგად, გ. ტაბიძის „მე და ღამე“ შესანიშნავი მოტივია ქართულ მწერლობაში“; „თერგდალეულთა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას საქართველო რუსეთის ორიენტაციის ქვეშ იყო მოქცეული“;

ზოგჯერ კითხულობ მოსწავლეთა წერით ნაშრომებს და ვერ გაგიგია, საიდან იღებს სათავეს ასეთი უაზრობა: „IX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ეგნატე ნინოშვილი ერთ–ერთი ტრაგიკული პიროვნება იყო, რომელსაც არ უნახავს არც ყრმობა, არც ბავშვობა, არც მოწიფული ასაკი“. „ტარიელის ვეფხის ტყავი უბრალო ტყავი როდია. ეს არის სიმბოლო გმირობისა და მამაცობისა“.

ორიოდე სიტყვა ფაქტობრივ–შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებზედაც.

ნაშრომებში გამოვლინებულ ხარვეზებთან განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერის ჩვევების უკმარისობა, ცნობილი ლიტერატურული ძეგლების შინაარსის უცოდინარობა, ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრსა და დანიშნულებაში გაურკვევლობა, ტრაფარეტულობა, გაანალიზებული ხერხების არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ცუდად იცის მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი, საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა: „მზე ამოვიდა, მაგრამ სარკმელი არ გაანათა და განდევილმა იქვე განუტევა სული“. „ნაწარმოების თვალსაჩინო პერსონაჟია ლუხუმი, რომელიც დამარცხდება ზეზვასთან ბრძოლაში და დაჭრილი უპატრონობას განიცდის“. „პოეტს მოსწონს დაუდგრომელი თერგი“; „დალოცა ღმერთმა ისევ თავზეხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი თერგი. მასში იგი ხატავს ქვეყნის დაქცევის მიზეზს“. „როდესაც პლატონმა ეს ამბავი გაიგო, სულთმლად გადაირია.

იგი დედამთილისადმი მტრულად განეწყო. ერთხელ პლატონი ისე განერვიულდა რომ დედამთილს წიხლი ჩაცხო“.

ხშირად მოსწავლეები შეცდომით წერენ პერსონაჟთა სახელებსაც: ონისეს ნაცვლად უწერიათ ონისიმე, ბეკინას ნაცვლად – ბექია. „როდესაც დაინახა პლატონმა, რომ ბექიას ვერ გადაათქმევინებდა განზრახვას, გადაწყვიტა, თვითონ მოემბნა და შეერჩია საცოლე თავისი მამისათვის“. „ბახტრიონის“ გმირებს შორის უნდა მოვიხსენიოთ ბერი ლუხუმი და ხვეზდა გაბრინდაული“.

ზოგიერთმა მოსწავლემ ისიც არ იცის, თუ როდის მოღვაწეობდა ესა თუ ის მწერალი, რა ნაწარმოებები დაგვიწერა მან. ა. წერეთელი მოღვაწეობას იწყებს XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში“. „ალ. ყაზბეგის კალამს ეკუთვნის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა, „ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლელი“, „წიწილა“, „ელგუჯა“ და ბევრი სხვა“.

„ვაჟა-ფშაველას პოემა „განთიადში“ მაღალი იდეალებით პირველ რიგში გამოირჩევა ქართველი დედის სანათას სახე“.

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოსწავლეებმა როგორც წესი, არ იციან საზეპირო ადგილები მხატვრული ნაწარმოებებიდან. იშვიათად თუ შეხვდებით იმის მაგალითს, რომ მოსწავლე უშეცდომოდ წერდეს ნაწყვეტებს ლექსებიდან, პოემებიდან, პროზაული ნაწარმოებებიდან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეუბრალებლად არის დამახინჯებული ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები:

„მირბის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი

უკან მომჭყავის თვალბედითი შავი ყორანი.“

„ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,

ხელმეორედ ეკითხება მას გრძნობა“.

თუნდაც საზეპირო ადგილები პროზაული ნაწარმოებებიდან: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი. იმ მიწას გეკიდებიან, სადაც თქვენი მამა-პაპათა ძვლები არის დამარხული და ვანძლო არ დაანებო, აბა თქვენ იცით, რასაც იქთ“. „რას მიქვია ტკბილი სიტყვა, ამბობს ოთარაანთ ქვრივი, ტკბილი სიტყვა თავადთა საქმეა, რომელნიც ფეხის გულის ფხანას უნდებიან, რომ ძილი მოერიოთ“. „მართალი სიტყვა ჩანგალია, გულის მოსაკიდებელი, რომელიც გულს სამრაობას მისცემს. თუ არ გატოვდი, ცხოვრება ისე გაგთელავს, როგორც „დიდოელი ლეკი ნაზადსა“.

ანალოგიური შეცდომების ნუსხა, ცხადია, ზემოთქმულით ოდნავაც არ ამოიწურება. შეიძლება იგი კიდევ შეგვევსო და გაგვეზარდა, მაგრამ, ვფიქრობთ, საქმის ვითარება მაინც ასე თუ ისე ნათელია.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ამოცანა უნდა იყოს მისცეს მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნა ფონეტიკის, ლექსიკის, გრამატიკის, სტილისტიკისა და ორთოგრაფია-პუნქტუაციის საკითხებზე. ამაღლოს მოსწავლეთა წიგნიერების დონე, გამოუმუშაოს მათ დახვეწილი ზეპირი და წერიტი მეტყველება, განუვითაროს ლოგიკური აზროვნება. მდიდარი ქართული სალიტერატურო ენის დაუფლების საფუძველზე მოსწავლეებს აღუძრას ინტერესი ქართული სიტყვისადმი, ქართული ენის გამომსახველობითი საშუალებებისადმი.

თუ ამ ნაშრომში განხილულ და მოსწავლეთა ნაწერებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაშვებულ შეცდომებს მივიღებთ მხედველობაში, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლები ზემოხსენებულ ამოცანებს ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ ისე, როგორც ამას მოითხოვს მისგან ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ინტერესები. ყველამ, ვისაც კი ამ დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმის ხელმძღვანელობა და სწორი გზით წარმართვა ევალება, დროულად უნდა იზრუნოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს დაწყებით კლასებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ერთელიშვილი ფ. – რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, ტ. I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1963.
2. კვაჭაძე ლ.– თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977
3. შანიძე ა. – ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
4. ჩიქობავა არნ. – იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979

## რეზიუმე

მოსწავლეთა წერით ნაშრომებში დაშვებული ენობრივი შეცდომების ყოველმხრივ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაკლოვანებების გამომზეურებისა და აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას დღევანდელ სკოლებში.

თუ ამ ნაშრომში განხილულ და მოსწავლეთა ნაწერებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაშვებულ შეცდომებს მივიღებთ მხედველობაში, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ იმ ამოცანებს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისგან ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ინტერესები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორებას საფუძველი უნდა ჩაეყაროს დაწყებით კლასებში.

**Лейла Абзианидзе**- Государственный университет Акакия Церетели, профессор

## Ошибки в письменных работах учащихся

### Резюме

Большое значение придается всестороннему анализу языковых ошибок, допущенных в письменных работах учащихся, в деле выявления и искоренения недостатков, которые, к сожалению, еще характерны при обучении грузинскому языку и литературе в современной школе.

Если мы примем во внимание встречающиеся на каждом шагу ошибки, рассмотренные в данном труде и в письменных работах учащихся, прямо можно сказать, что наша школа пока не в состоянии решить те задачи, которые требуют от нее интересы обучения и воспитания грузинской молодежи.

Положить основание исправлению серьезных недостатков, пока еще существующих в обучении грузинского языка и литературы, необходимо в начальной школе.

**Leila Abzianidze** - Akaki Tsereteli State University, professor

## Students' Mistakes in Written Works

### Abstract

In students' written works are a lot of lingual mistakes. For this it is very important the comprehensive analysis of lingual mistakes in the publication of these mistakes and make the results why these mistakes are happened.

Unfortunately is still characterized by Georgian language learning is not unable.

If this work is discussed in the writing of the children in mind at every step of these mistakes we should we should say that our schools are still unable to perform the tasks required of this at the Youth Education interests.

Georgian language and literature teaching is still need of establishing a basis for corrector of series imperfections in the primary grades.

ჯამბუ ავალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### გამომეტყველებითი კითხვის პედაგოგიურ-მეთოდური ასპექტები (დაწყებითი სწავლების საფეხური)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შესასწავლი მხატვრულ-ესთეტიკური საგნე-ბიდან მხატვრული ლიტერატურა დომინირებული ფუნქციის მქონეა. უსაზღვროა მისი, როგორც ხელოვნების დარგის შესაძლებლობები მოზარდი თავის ესთეტიკური, ეთიკური და პატრიოტული აღზრდის საქმეში.

მხატვრული ლიტერატურის შესაძლებლობათა სრულყოფილი რეალიზებისათვის, დღის წესრიგში დგება მკითხველის აღზრდისა და ჩამოყალიბების საკითხი, რაშიაც გადამწყვეტი როლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ უნდა შეასრულოს. მოზარდი სკოლაში იძენს ლიტერატურის ჭეშმარიტ სიყვარულსა და დამოუკიდებელი კითხვის ჩვევებს.

მხატვრული ნაწარმოები არა მარტო უნდა გაიგოს მოსწავლემ, არამედ ღრმად განიცადოს, სხვანაირად ის ვერ ეზიარება მხატვრული ნაწარმოების იდუმალ სამყაროს. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, სხვა კომპონენტებთან ერთად, უაღრესად დიდია გამომეტყველებითი კითხვის როლი და ფუნქცია. მასწავლებლის (განსაკუთრებით ენისა და ლიტერატურის) მეტყველება შთამბეჭდავი უნდა იყოს, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ამისათვის კი საჭიროა, იგი კარგად დაეუფლოს მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის მეთოდებს, რათა მოსწავლეთათვის მისაწვდომი გახადოს მხატვრული ტექსტის შინაარსი და მისი ესთეტიკური ღირებულება.

გამომეტყველებითი კითხვა, ზოგადად კითხვის უმაღლესი დონეა და ყოველდღიურ შრომასა და ვარჯიშობას საჭიროებს. მხატვრულმა კითხვამ თავის მიზანს რომ მიაღწიოს, საჭიროა მისი დაგეგმვა, მართებული სტრატეგიების შერჩევა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებისა და საპროგრამო მასალის ხასიათის გათვალისწინება.

პედაგოგები და მეთოდისტები გამომეტყველებითი კითხვის სწავლებას საშუალო სკოლაში სამ ძირითად ეტაპად ყოფენ:

**I – გამომეტყველებითი კითხვის აუცილებელ, ელემენტარულ ნორმათა ათვისების პერიოდი.** აღნიშნულ პერიოდს შეიძლება მივაკუთნოთ დაწყებითი კლასები. ანბანის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები, გარდა იმისა, რომ სწორ, გამართულ კითხვას ეჩვევიან, გამომეტყველებით კითხვის ელემენტებსაც ეუფლებიან, ცდილობენ წაკითხულის გააზრებას და ა.შ.

**II – გამომეტყველებითი კითხვის სწავლების სრულყოფილი დაუფლების პერიოდი.** იგი მოიცავს, როგორც დაწყებით (IV-VI კლ), ისე საბაზო სკოლის პერიოდს (VII-IX კლ). შეიძლება ითქვას, რომ იგი გადამწყვეტი ეტაპია სასკოლო-გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების საქმეში.

**III-მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის სრულყოფილად დაუფლების პერიოდი.** მესამე პერიოდში საშუალო სკოლის (X-XII) დამამატარებელი კლასები შედის. ამ დროს გამომეტყველებითი კითხვა უფრო მრავალფეროვანი ხდება, თავს იჩენს სასცენო-აქტიორული (როლებში კითხვა) მხატვრული კითხვის ელემენტები, ხოლო კითხვა მომდინარეობს მხატვრული კითხვის ყველა კომპონენტის (პაუზა, მახვილი, ინტონაცია) დაცვითა და გამოყენებით.

**გამომეტყველებითი კითხვის I პერიოდი.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამომეტყველებითი კითხვის პირველი პერიოდი მოიცავს დაწყებითი სწავლების საფეხურს და მისი მიზანია, მოსწავლეები სწორი, გამართული კითხვის პარალელურად, დაეუფლონ გამომეტყველებითი კითხვის ელემენტებს – პაუზების, ინტონაციებისა და მახვილის გამოყენებას, რაც სწორი, გამართული კითხვის აუცილებელი ელემენტებია და რომელ-თა ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის გააზრებისათვის.

გამომეტყველებითი კითხვის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასვენი ნიშნების სწორად წაკითხვას, რადგანაც სასვენი ნიშნების ცოდნაზე დიდად არის დამოკიდებული პაუზებისა და ინტონაციების გამოყენება, რაც გამომეტყველებითი კითხვის სწორად



წარმართვის ერთ-ერთი პირობაა (სასვენ ნიშნებს მოსწავლე უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო წერითი, არამედ კითხვითი და ზეპირი მეტყველების დროსაც).

გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების საქმეში, ბუნებრივია, წამყვანი მასწავლე-ბელია. ამ კუთხით მასწავლებლის საქმიანობა სამ ძირითად ეტაპად უნდა გავყოთ:

1. ტექსტის მომზადების პერიოდი. 2. გამომეტყველებითი კითხვა გაკვეთილზე. 3. მოსწავლეთა ჩაბმა გამომეტყველებით კითხვაზე.

მასწავლებელმა თავიდანვე კარგად უნდა გამოკვეთოს და გაიაზროს გამომეტყველებითი კითხვის მიზანი და ამოცანები, კერძოდ, მან ხელი უნდა შეუწყოს:

ა) წასაკითხი მხატვრული ტექსტის დედააზრის გაგებას. მასწავლებელმა გამომეტყველებითი კითხვის დროს ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ დეტალებზე, რომლებიც უშალოდ ეხება ნაწარმოებში დასმულ პრობლემებს.

ბ) გამომეტყველებითი კითხვის მეშვეობით უფრო შესაძლებელი ხდება პოეტური ტექსტის მხატვრული და ენობრივ-გამომსახველობით საშუალებათა გააზრება და გაცნობიერება.

გ) გამომეტყველებითი კითხვის საშუალებით მოსწავლეს პოეტური ტექსტის განცდასა და გააზრებას ვუადვილებთ, რადგანაც კარგი მკითხველის საშუალებით მოსწავლე-თათვის თვალსაჩინო ხდება-ავტორისეული ნიუანსები, ქვეტექსტი, მთლიანად მხატვრული ტექსტის ემოციური მუხტი.

დ) გამომეტყველებითი კითხვისათვის გამოდგება თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები (მოთხრობა, ლექსი, ლეგენდა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ნარკვევი, თქმულება...), მაგრამ საკითხავი მასალის შერჩევისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები და სხვა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები. მაგალითად, არაერთი გამოკვლევა ადასტურებს, რომ 10-11 წლის მოზარდებს განსაკუთრებით აინტერესებთ საგმირო-სათავგადასავლო ხასიათის ლიტერატურა, გმირული სიუჟეტის ლეგენდების, ზღაპრებისა და სხვათა შინაარსი.

ე) საჭიროა წასაკითხი ტექსტის დოზირება, მასწავლებელი მოცემული კლასის შესაბამისად, ამოკლებს ან ავრცობს მას ზოგიერთი მომენტის გამოკლებით ან ჩართვით, ისე, რომ ტექსტის შინაარსი არ დაირღვეს, იდეა არ დამახინჯდეს.

ვ) მხატვრული კითხვისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ექცევა წასაკითხი ტექსტის ენობრივ მხარეს. ენა უნდა იქნეს სწორი, სადა, გასაგები, მხატვრული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, უარი ვთქვათ ისეთ ფრაზეოლოგიზმებსა და გამონათქვამებზე, რომლებიც ბავშვებისათვის შესაძლოა ახალი იყოს, მაგრამ კონტექსტში გასაგები და ასახსნელი. ყველა სახის კითხვის, და მათ შორის გამომეტყველებითის, მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ მოსწავლეთა პასიური ლექსიკონი. ეს მეტყველების განვითარებაზე მუშაობის აუცილებელი პირობაა.

ზ) მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის მეშვეობით ტექსტის აზრი უფრო შთამბეჭდავი და გასაგები ხდება მსმენელთათვის, მხატვრული კითხვისა და ძალა განსაკუთრებით ხელშესახებია ლექსის სწავლებისას. მხატვრულად წაკითხულ ლექსს უფრო ადვილად ითვისებს მსმენელი, ოღონდ საჭიროა, მეტი ყურადღება მიაქციოს სიტყვას, პოეტიკას, მხატვრულ საშუალებებს.

თ) თუ ჩვენ გვინდა მოსწავლეს ჩამოუყალიბოთ გემოვნება, შევაცვაროთ მხატვრული ლიტერატურა, ვაზიაროთ მხატვრული შემოქმედების ჯადოსნურ სამყაროს, ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დავალება – დაისწავლონ მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ზეპირად, საჭიროა დავაუფლოთ ის მხატვრულ კითხვას, მან გამომეტყველებითი კითხვის საშუალებით თვით განიცადოს ესთეტიკური სიამოვნება, (რადგანაც მხატვრული ნაწარმოების კარგად წაკითხვა აუცილებლად იწვევს ასეთ განცდას), და სხვასაც განაცდევინოს იგი.(3.11).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გამომეტყველებითი კითხვა – ეს არის კითხვის საშუალებით გადმოცემა იმ აზრების, განწყობის, გრძნობების, რომლებიც ტექსტშია მოცემული. ამავე დროს, გამომეტყველებითი კითხვა აუცილებლად გულისხმობს კითხვის სისწორეს, ნორმალურ სისწრაფესა და შეგნებულობას.

**გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების ფიზიოლოგიურ-მეთოდიკური ასპექტები.** დაწყებითი სწავლების საფეხურზე, ზოგადად კითხვის, განსაკუთრებით კი გამომეტყველებითი

კითხვის პირველივე გაკვეთილიდან საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ მთელ რიგ ფიზიოლოგიურ მომენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ზეპირ მეტყველებასთან. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა **სუნთქვის სწორად დაყენება**. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი დეფექტები ზეპირ მეტყველებასა და განსაკუთრებით გამომეტყველებით კითხვაში ხშირად სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ კითხვის პროცესში მოსწავლე ვერ ახერხებს წესიერად სუნთქვას, არადა, მეტყველებისათვის აუცილებელია საჭირო ჰაერნაკადი, რომელიც მომდინარეობს ფილტვებიდან ამოსუნთქვის სახით. (1.12-13).

მაშასადამე, კითხვის დროს საჭიროა მოვიმარაგოთ საკმაოდ დიდი რაოდენობა ჰაერისა, რომ საჭიროების დროს, ამა თუ იმ სიტყვის ან ბგერის მკვეთრად წარმოთქმაში ჰაერის მარაგის უქონლობამ ხელი არ შეგვიშალოს (ლეგუვე ამბობდა: "ცუდი ლექტორი ჩაისუნთქავს არა საკმაოდ და ამოისუნთქავს ბევრს, ე.ი. ხარჯავს თავის მარაგს უზომოდ და არასაჭიროდ").

თითოეული ბგერის სწორად წარმოთქმისათვის ზრუნვა პირველ კლასშივე იწყება, როცა ასოების შესწავლას იწყებს მოსწავლე. ბავშვები აქტიურად უნდა ვავარჯიშოთ არა მარტო სუნთქვის დაყენებაზე, არამედ უნდა ვიზრუნოთ მათი საარტიკულაციო ორგანოების მოქნილობაზე. ამ თვალსაზრისით მეტ ყურადღებას საჭიროებს ფონეტიკის ცოდნა, განსაკუთრებით IV-V კლასებში, როცა მოსწავლეები სწავლობენ ფონეტიკის საკითხებს. კითხვის დაუფლების პარალელურად მასწავლებელი აქტიურად უნდა მიმართავდეს სპეციალურ ვარჯიშს სუნთქვის დაუფლებისათვის, კერძოდ, ასეთს:

ა) დადექით სწორად, მშვიდად, თავისუფლად. ნუ იმოძრავებთ, ერთი ხელი დაიდეთ მუცლის ზედა კედელზე, მეორე-გვერდზე, წელის ზემოთ. (ეს კეთდება დიაფრაგმისა და ნეკნების მოძრაობის გასაკონტროლებლად);

ბ) მეორედ ამოისუნთქეთ. 1-5-მდე დათვლით ჩაისუნთქეთ(თვალეთ ჩუმად), ეცადეთ, არ მოხდეს ფილტვების გადატვირთვა;

გ) 1-3-მდე დათვლისას შეაჩერეთ ჰაერი კუნთების მოუშვებლად. (ეს ვარჯიში გათვალისწინებულია ეკონომიურად ამოსუნთქვის მომზადებისათვის);

დ) გააღეთ პირი, როგორც ბგერა ა-ს წარმოსათქმელად, ამოისუნთქეთ ნელ-ნელა, ბიძგების გარეშე 1-5 დათვლაზე;

ე) შემდეგ მოადუნეთ მუცლის ფარის კუნთები;

ვ) დაისვენეთ მეოთხედი წუთი.

საჭიროა ასეთი ვარჯიში განმეორდეს რამდენჯერმე(5.40).

ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლე ვერ გამოთქვამს ცალკეულ ბგერას, განსაკუთრებით ამა თუ იმ ბგერის მეზობლობაში, ასევე უჭირს მარცვლის წარმოთქმა და ა.შ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივმართოთ ლოგოპედთა რეკომენდაციებს, მაგალითად, ლოგოპედები ბგერა "პ" წარმოთქმისათვის ავარჯიშებენ ასეთი მარცვლების წაკითხვით: პა, პე, პო, პი, პუ, პაპა, პაპუნა, პიპა და სხვ. ასეთი ტიპის სავარჯიშო უნდა მიეცეს შერჩევით, მხოლოდ მათ, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს წარმოთქმაში.

1. ცალკეული ბგერისა თუ მარცვლის მართებულად წარმოთქმისა და დამატებითი სუნთქვის ტექნიკის დაუფლების მიზნით, შესაძლებელია ასეთი ტექსტები:

ა) ჩემი ჩიტი ჩობრა ჩიტი  
შენსა ჩიტსა, ჩობრა ჩიტსა,  
რას ერჩოდა, რას ებრძოდა?  
რას ეჩობრაჩიტებოდა?

ბ) შავი შაშვი შეეჯიბრა  
შვიდ შოშიას შაშიანში\_  
შვილობაში, ქალობაში,  
დედობაში, გალობაში.  
შეხეთ, დაშვრა შვიდი შველი  
შეფასება-მსაჯობაში...  
-ვამა, ტაში, შავი შაშვი  
პირველია შაშიანში.

2. ცალკეული ბგერისა თუ მარცვლის სწორად და ეფექტურად წარმოთქმისათვის ძალზე ეფექტურია ტექსტის ცალკე მარცვლებად წაკითხვა. მოსწავლეს ვაძლევთ ტექსტს და ვავალებთ თითოეული მარცვალი წაკითხოს ნათლად, ხმამაღლა, გარკვეულად; მაგ.,

მე პა-ტა-რა ქარ-თვე-ლი ვარ  
კავ-კა-სი-ის მთე-ბის შვი-ლი  
და გან-ცხრო- მით სხვა-გან ყოფ-ნას  
მირ-ჩევ-ნია აქ სიკ-ვდი-ლი.

1. განსაკუთრებული ვარჯიში შეიძლება ჩავატაროთ ერთად დაჯგუფებულ თანხმობანთა სწორად წარმოთქმისათვის (გამზრდელი, ახალგაზრდა, თრთვილი, წრფელი...).

2. არის შემთხვევა, როცა მოსწავლე ვერ გამოთქვას ამა თუ იმ ბგერას. მაგ. რ- ბგერის მაგივრად ამბობს ლ-ს (საქართველოს ზოგიერთი კუთხის მცხოვრებთათვის დამახა-სიათებელია ბგერა "ლ"-ს დაბოლოება) ასეთ შემთხვევაშიაც შეიძლება მიზეზი ფიზიოლოგიური ხასიათისა იყოს, რისი დაძლევაც ვარჯიშით შესაძლებელია, ოღონდ მიზნობრივი სავარჯიშოების შერჩევით, მაგალითად, შეიძლება მოსწავლეები ვავარ-ჯიშოთ ისეთი მარცვლების წარმოთქმაში, რომელშიაც შედის მოსწავლეთათვის ძნელად წარმოსათქმელი ბგერა ("რე, რა, რუ, არ, ირ, და სხვ.). ასევე ეფექტურია შესაბამისი სიტყვების შერჩევაც.

3. თავიდანვე ყურადღება უნდა მივაქციოთ გამომეტყველებითი კითხვის თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული ისეთი უარყოფითი მოვლენას, როგორცაა სიტყვების "ყლაპვა" – ნაწყვეტ-ნაწყვეტ კითხვა, რაც არცთუ იშვიათობაა ბავშვებში.

აღნიშნული დეფექტის აღმოსაფხვრელად ძალზე ეფექტურია ხმამაღალი კითხვა, თანაც აუჩქარებლად და დაყოფით. სავარჯიშო ტექსტს არჩევს მასწავლებელი (პირველ ეტაპზე უმჯობესია ლექსი) და მოსწავლეებს ავალებს, წაკითხონ ტექსტი ხმამაღლა, გამომეტყველებით, ოღონდ აუჩქარებლად.

6. პრაქტიკაში არცთუ იშვიათობაა ისეთი მკითხველები, რომლებიც ტექსტს კითხულობენ უღიმღამოდ, (მოდუნებულად) და გაჭიანურებულად. ამ შემთხვევაში სავარჯიშო მასალად უნდა შევარჩიოთ ისეთი მხატვრული ტექსტი, რომლის შინაარსი ჩქარ და ტემპით კითხვას მოითხოვს. კერძოდ, ამ თვალსაზრისით უფრო სასურველია სწრაფსათქმელებზე (გამოცანები, ანდაზები, ენის გასატეხები, მეტაგრამები, ანაგრამები) ვარჯიში.

ამრიგად, გამომეტყველებით კითხვაში წარმატების მისაღწევად საჭიროა, ბავშვს მცირე ასაკიდან სწორი სამეტყველო გარემო შევუქმნათ. ხმამაღლა წავიკითხოთ და წავაკითხოთ სხვადასხვა ჟანრისა და ზომის ტექსტები, მივცეთ სწორი მეტყველების მაგალითები, ვავარჯიშოთ ბგერათა წარმოთქმაზე, ხმაზე, დავძლიოთ კითხვაში (განსაკუთრებით ლექსის, მონოტონურობა, უნდა ვერიდოთ ტექსტის კითხვას ერთი ტონით, ამავე დროს, მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ საჭირო არ არის ხმაზე ძალის დატანება, ყვირილი, ხმის სიძლიერეს განსაზღვრავს თვით ტექსტის ფორმა და შინაარსი. რაც მთავარია, ყოველგვარი ვარჯიში უნდა ხდებოდეს პედაგოგის უშუალო ხელმძღვანელობით- ბავშვთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

**გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკა.** დაწყებითი სწავლების საფეხური გამომეტყველებითი კითხვის სწავლების სრულყოფის პერიოდია. სწორედ დაწყებით კლასებში უნდა გამოიმუშაოს მოსწავლემ კარგი კითხვის ძირითადი ჩვევები, რაც დიდ როლს შეასრულებს არა მარტო ლიტერატურის, არამედ ყველა სასწავლო დისციპლინის შესწავლაში.

გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევათა დაუფლება საჭიროებს მთელი რიგი თეორიული საკითხების შესწავლასა და პრაქტიკულ ვარჯიშობას; შეუძლებელია მოსწავლეს ჰქონდეს მეტყველების კულტურის მაღალი დონე, თუ იგი არ ფლობს მეტყველების ტექნიკას. ბგერათა სწორი წარმოთქმა, პაუზების და მახვილის ხმარება, ტემპის დაცვა არის ემოციური კითხვის წინა პირობა, გამომეტყველებითი კითხვის აუცილებელი ნიშანი. მოკლედ გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკის ელემენტებზე:

ა) **მახვილი (გრამატიკული და ლოგიკური მახვილი).** მეტყველების მელო-დიურობისა და სიტყვის აზრობრივი მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამომსახველობითი საშუალება მახვილია.



რა არის მახვილი?

ხშირად ტექსტში ამა თუ იმ გამოთქმას ან ამა თუ იმ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (მაგ., ტექსტის ის ადგილი, სადაც მთავარი აზრია გამოხატული ან რაიმე სენტენცია-აფორიზმი მოცემული). კითხვის დროს ასეთი ადგილების გამოყოფაა საჭირო. "მეტყველების პროცესში ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გამოვყოთ, მეტად გამოჩინების მიზნით, რომელიმე ელემენტი: ბგერა, მარცვალი, სიტყვა და შესიტყვება -საჭიროების მიხედვით. ეს შესაძლებლობა გამოიხატება ამ ელემენტების გაძლიერებულ, ამაღლებულ წარმოთქმაში... მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინებას ან მათს ერთმანეთთან დაპირისპირებას სიძლიერე-სიმაღლით და ამათი მოდულაციით ეწოდება მახვილი,, (2.127).

ამრიგად, სიტყვის აზრობრივი, ლოგიკური მხარე მოითხოვს ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის გამოყოფას. გამოყოფა ხდება ხმის შეცვლის საშუალებით, რასაც ლოგიკური მახვილი ეწოდება.

ქართულ ენაში მახვილის საკითხი არაერთი მეცნიერის კვლევისა და მსჯელობის საგანი გამხდარა. საქმე იმაშია, რომ ქართულში მახვილი მკვეთრი არ არის, მახვილი წინადადების შინაარსს ვერ ცვლის (ზოგიერთი მკვლევარი სრულიად უარყოფს ქართულში რაიმე მახვილის არსებობას), მაგრამ ფაქტია, რომ უმახვილო ფრაზა არ არსებობს, მახვილის ხმარება აუცილებელია.

აკად. არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, ქართულში მახვილი რამდენადმე დინამიურია, დაქტილური ბუნებისაა და სიტყვაში ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის. ცალკეულ სიტყვაში მახვილის ხმარება მარცვალთა რაოდენობით განისაზღვრება. (6).

გავრცელებული აზრით (ნ. მარი, ა. ახვლედიანი, ს. ჟღენტის, ს. გორგაძე და სხვ.), დღევანდელ ქართულში მახვილი ძირითადად შემდეგ წესს ემორჩილება:

1. ერთმარცვლიან სიტყვას მახვილი არ მოუდის; 2. ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალს დაესმის (დე-და, მი-წა, მა-მა, წი-გნი, მზე-ო...) მაგრამ არც ეს მახვილია მკვეთრი (ინტენსივობით სუსტია); 3. უფრო ძლიერია მახვილი სამმარცვლიან სიტყვებში. იგი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის: ა-მო-დი, სა-ზამ-თრო, სი-ზმა-რი, სი-ცი-ვეს, ა-რა-ზეთს, როს-ტე-ვანს, და სხვანი... 4. ოთხმარცვლიან სიტყვას მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის (შე-მო-დგო-მა, სა-ქა-რთვე-ლო, მარ-გა-ლი-ტი, სი-ხა-რუ-ლი და სხვა), მაგრამ თუ პირველი ორი ხმოვანი ერთმანეთს უშუალოდ მოსდევს, მახვილი წინაზე, ე. ი. ბოლოდან მეოთხე მარცვალზე დაისმის (გა-ი-შვი-რა). თუ ოთხმარცვლიანი სიტყვა კომპოზიტია, მახვილი ორივე სიტყვის პირველ ხმოვანზე ექნება(ნელა-ნელა). 5. ხუთი \_ ექვსმარცვლიანი სიტყვა დაქტილურ მახვილს მოიხრება (საშვილიშვილო, გადიდებული, გამადიდებელი). ზოგჯერ ხუთმარცვლიან სიტყვაში შეიძლება ორ ადგილას, ბოლოდან მესამე და მეხუთე მარცვალზე დაისვას მახვილი.

პროფ. ს. ჟღენტის დაკვირვებით, ხუთ და ექვსმარცვლიან სიტყვებში, ახალი ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით, არ დასტურდება ე.წ. მთავარი და თანამახვილის სისტემა. "მრავალმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე და შემდეგი მარცვლები თანაბარმახვილიანია, ისინი ერთი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმებიან". ამის გამო "ქართული აქცენტუაციის არსებით მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა, გარდა პირველი და მეორე მარცვლებისა"(4. 102).

ასეთია ძირითადად გრამატიკული (სამარცვლო) მახვილის არსი ქართულში, მაგრამ გარდა გრამატიკულისა, ზეპირ მეტყველებაში ვიყენებთ **ლოგიკურ მახვილს**. ლოგიკური მახვილი გვამცნობს მთქმელის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ. ლოგიკური მახვილის შემთხვევაში ხმის გაძლიერება და ამაღლება ხდება იმ სიტყვაზე, რომელსაც, მოლაპარაკის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხშირად ხაზგასასმელია მთელი ფრაზა. ასეთ შემთხვევაში ხმის გაძლიერება და ამაღლება ხდება მთელი ფრაზის მანძილზე. ლოგიკური მახვილის მართებულად გამოყენებისათვის, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოსწავლეებს უნდა მივცეთ ერთი წინადადება და წავაკითხოთ ეს წინადადება ისე, რომ ლოგიკური მახვილი ხან ერთ სიტყვაზე მოდიოდეს ხან მეორეზე (**საბამ** იყიდა წიგნი. **საბამ** იყიდა წიგნი. **საბამ** იყიდა წიგნი.)



2. ლოგიკური მახვილის ფუნქციის გარკვევაში დაგვეხმარება კითხვები. კითხვის საშუალებით მოსწავლე მიხვდება, თუ რომელ სიტყვაზე გაამახვილოს ყურადღება(ვინ იყიდა წიგნი? **საბამ** იყიდა წიგნი; **რა** იყიდა საბამ? საბამ იყიდა **წიგნი**. და ა.შ.)

3. IV კლასიდან მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტი (ლექსი, მოთხრობა) და დავავალოთ გაეცნონ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსს და ერთი ხაზის ქვეშ გასმით აღნიშნონ ლოგიკურმახვილიანი სიტყვები და ივარჯიშონ ლოგიკურმახვილიანი ენობრივი მასალების გამომეტყველებით წაკითხვისათვის.

4. მოსწავლეებს ვურჩევთ ლექსს და ვავალებთ, - ერთი ხაზის ქვეშ გასმით აღნიშნონ ლოგიკურმახვილიანი სიტყვა, ხოლო ორი ხაზის ქვეშ კი ლოგიკურმახვილიანი წინადადება და ამის შემდეგ თითოეული ლექსი წაკითხონ შესაფერისი ხმის მოძრაობით.

**პაუზა.** მხატვრულ-გამომხატველობითი კითხის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია პაუზა. რა არის პაუზა? **სიჩუმის მომენტს გაბმულ მეტყველებაში პაუზა ეწოდება.** უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პაუზა ეწოდება ხანმოკლე ან ხანგრძლივ შეჩერებას ლაპარაკისა თუ კითხვის დროს. პაუზა ორგვარია: ა) **გრამატიკული**; ბ) **ლოგიკური**.

გრამატიკული პაუზა ემთხვევა ტექსტში სასვენი ნიშნების ხმარებას, ლოგიკური- კი სასაუბრო მასალისა თუ მხატვრული ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარეობს. მხატვრულ-გამომხატველობითი კითხვის ძირითადი მოთხოვნები (ავტორის ჩანა-ფიქრი, ნაწარმოების დედააზრი და მკითხველის დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ) აუცილებლად საჭიროებს ლოგიკური პაუზების გამოყენებას. ლოგიკური პაუზა იმდენად მძლავრია, რომ ხშირად წერითი მეტყველების დროს ლოგიკური პაუზის ადგილს გრამატიკული ნიშნით-მძიმით აღნიშნავენ, მაგალითად, "შემოდგომა გაგვეპარა, მიიღია, მიიწურა"... სიტყვასთან"გაგვეპარა" მძიმე ზედმეტია, ის ლოგიკური პაუზის აღსანიშნავად არის დასმული. ასეთი ტიპის შეცდომის მითითებისას არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ფრაზით; -აქ მძიმე ზედმეტია! მოსწავლეებს უნდა მივცეთ განმარტება, რომ "გაგვეპარას" შემდეგ შეჩერება საჭიროა, რომ ეს არის სწორედ ლოგიკური პაუზა, რომელიც არ აღინიშნება არავითარი სასვენი ნიშნით. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ზეპირ მეტყველებაში გაცილებით მეტი რაოდენობის პაუზა იხმარება, ვიდრე სასვენი ნიშნები.

**ტემპი.** გამომეტყველებითი კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტემპი. ტემპი აღნიშნავს რაიმე მოვლენის მიმდინარეობას, რისამე განხორციელების სისწრაფეს. მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველის ყურადღება, ჩვეულებრივ რაიმე ამბავზე ან მასთან დაკავშირებულ რაიმე ეპიზოდზე მახვილდება, რაც ერთ შემთხვევაში შეიძლება უძრავ, სტატიურ მდგომარეობაში იყოს გადმოცემული( მაგალითად, პეიზაჟის ან სახე ნივთის აღწერა), ხოლო მეორე შემთხვევაში კი - მოძრაობასა და განვითარებაში. მხატვრულ ნაწარმოებში ასახული შინაარსის ასეთ სხვადასხვაობას შეესატყვისება კითხვის განსხვავებული ტემპი, ამის მიხედვით გამომეტყველებითი კითხვის ტემპი, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს: **1. შენელებული. 2. საშუალო. 3. აჩქარებული. 4.ჩქარი.**

ტემპის თავისებურებათა ნათელსაყოფად ეფექტური იქნება მოსწავლეებს წავაკითხოთ ხალხური "ლექსი ვეფხისა და მოყმისა". დაევალებათ, გაარკვიონ, როგორი ტემპით უნდა გადმოიცეს ნაწარმოების საექსპოზიციო ნაწილი, ვეფხისა დამოყმის შერკინების ამბის სხვადასხვა ეტაპი და დედის მოთქმა.

**ტონი.** ინტონაციის ცნებაში, მახვილის, ტემპისა და რიტმის გარდა, იგულისხმება აგრეთვე ტონი, ე. ი. ხმის მელოდიურობა. ხმის სხვადასხვა სიმაღლითა და სიძლიერით მოძრაობას მეტყველების მელოდიურობას უწოდებენ.

ძირითადად სპეციალისტების მიერ დადგენილია ხმის: 1.ამაღლება-დადაბლება; 2. გაძლიერება-შესუსტება; 3. აჩქარება-შენელება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ლექსში ამა თუ იმ იდეური შინაარსის გადმოცემი ინტონაცია უცვლელი რჩება, მაგრამ ხმის სიძლიერე-სისუსტის მიხედვით შეცვლა კი აუცილებელია, მაგალითად, აკაკი წერეთლის პოემაში "თორნიკე ერისთავი" ომის დამთავრების სურათი ძირითადად თხრობითი ინტონაციითა გადმოცემული, მაგრამ ომის შემდეგ საშინელებათა აღწერა ბუნებრივად მოითხოვს ხმის სხვადასხვა სიძლიერე-სისუსტის მიხედვით წაკითხვას.

ამგვარად, მასწავლებლის მუშაობა გამომეტყველებით კითხვაში შემდეგი თანამიმდევრობით წარიმართება: 1. მოსწავლეთა მეტყველების ტექნიკის დაუფლება; 2. ტექსტის ლოგიკური გააზრება; 3. მხატვრული ტექსტის გამომეტყველებითი წაკითხვა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1957.
3. ბარამიძე გრ., მხატვრული კითხვა საშუალო სკოლაში, თბ., 1947.
4. ჟღენტის ს., ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1955.
5. ქურდაძე შ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის პრაქტიკუმი, თბ., 1981.
6. ჩიქობავა არნ., მახვილის საკითხისათვის ქართულში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1942, #2-3.

#### რეზიუმე

გამომეტყველებით კითხვას აქტიურად მივმართავთ სწავლების ყველა ეტაპზე. კითხვის დაუფლების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხური, სადაც ხდება მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის ელემენტალური ჩვევების გამომუშავება და კითხვის უნარების ჩამოყალიბება.

შრომაში გაანალიზებულია გამომეტყველებითი კითხვის ფიზიოლოგიურ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მოცემულია რეკომენდაციები და მიზნობრივი სავარჯიშოები, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება მოსწავლეებს კითხვის ტექნიკის დაუფლებაში, წაკითხული ტექსტის დედაზრის გაგებასა და ენობრივ-გამომსახველობით საშუალებათა გააზრება-გაცნობიერებაში.

**ДЖАМБУ АВАЛИАНИ – ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. АК. ЦЕРЕТЕЛИ, АССОЦИИРОВАННЫЙ ПРОФЕССОР**

#### МЕТОДИКО-ПЕДАГОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ВОПРОСОВ ВЫРАЗИТЕЛЬНОГО ЧТЕНИЯ (СТУПЕНЬ НАЧАЛЬНОГО ОБУЧЕНИЯ)

#### РЕЗЮМЕ

Наше внимание на умение выразительно читать мы обращаем на любых этапах обучения учащихся. С точки зрения овладения навыками чтения особенно важна начальная ступень обучения, так как именно на этой ступени происходит выработка элементарных навыков декламации, формируются навыки чтения.

В труде проанализированы методические и физиологические аспекты чтения, даны рекомендации и целевые упражнения, использование которых поможет учащимся овладеть техникой чтения, понять основную мысль прочитанного, осмыслить и осознать языковые средства речевой выразительности.

**Jambu Avaliani – Akaki Tsereteli State University, Associate professor**

#### **Pedagogical - Methodological Aspects of Expressions Reading (Stage of Primary Teaching)**

#### **Resume**

We actively appeal expressive reading at all stages of learning. The primary stage is especially important from the standpoint of mastery reading skill, where happens artistic - expressional of elementary reading habits and formation of reading skills.

In the work is analyzed the methodological and physiological aspects of reading, where it is given recommendations and targeted exercises, which consideration will help the students to master the technique of reading, reading to understand the basic idea, to comprehend and recognize linguistic means of expression of language.

ონისე ზანძელაძე - სასულიერო აკადემიის პროფესორი

### „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სიტყვა-ტერმინის შესახებ

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენი ენა მთელი თავისი სიმდიდრითა და გამომსახველობითი საშუალებებით იმგვარი სრულყოფილებითაა წარმოჩენილი, შეიძლება ითქვას - პოემა ამ მხრივაც ნამდვილი საგანძურია. ცხადად ჩანს, რომ პოეტს იმდროინდელ მწიგნობრულ ქართულთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ცოცხალი სასაუბრო ენის მიმართაც და არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მრავალი სიტყვა-გამოთქმა სწორედ პოემაში მოხვედრის შემდეგ „გალიტერატურულდა“. მას შემდეგ განვლილმა ათწლეულებმა, ბუნებრივია, ენაშიც ბევრი რამ შეცვალა. რიგი სიტყვებისა არქაიზმებად იქცა, ზოგი დიალექტების არეალსდა შემორჩა და ა.შ. არც თუ იშვიათად მათი მნიშვნელობის დასადგენად უკვე მკვლევართა დიდი ძალისხმევას საჭირო. საინტერესოა, რომ ქართულ კილოებში ამ სიტყვებით პარალელების დაძებნისას თავად პოეტის ამა თუ იმ კუთხიდან წარმომავლობის დადგენაც კი უცდით. „დიალექტიზმების ანალიზს შეუძლია მიგვახვედროს, რომელი კუთხიდან იყო შოთა რუსთაველი“ - წერდა აკად. არნ. ჩიქობავა. ამგვარ მასალაზე დაყრდნობით გამოითქვა მოსაზრება, რომ პოემის ავტორი უნდა ყოფილიყო ჰერეთის რუსთავიდან (თეიმურაზ ბატონიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა), რაც თითქოსდა დასტურდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე ამ კილოს ძლიერი ზეგავლენით და რომ „ჰერეთიზმთა“ მთელი წყება დღემდე შემონახული ინგილოურში; ან კიდევ, მესხეთის რუსთავიდან (აკად. ნ. მარი), ტექსტში „მესხიზმების“, ასევე არაბულ-სპარსულ ტერმინთა „სიჭარბის“ გამო და ა.შ., თუმცა აქ ალბათ ამოსავალ დებულებად აკად. ვ. კეკელიძის მოსაზრება უნდა ჩაითვალოს: „განა ის გარემოებას რომ პოემის ზოგიერთი ლექსიკური ვარიანტი დღეს საინგილოშიც გვხვდება, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ პოემის ავტორი იყო ჰერეთის რუსთავიდან?... ისინი სპეციფიკურ „ჰერეთიზმებად“ ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთ სიტყვებს ადგილი აქვს სხვა ძველ ნაწარმოებებშიც, როგორც საეროში, ისე სასულიეროში... რა გარანტიაა იმისა, რომ ეს სიტყვები, მაშინ სხვაგანაც არ იხმარებოდა? ისინი დღესაც თურმე ხმარებაში არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ... ეს საკითხიც ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს“. თუმცა ეს „მკაცრი რეალობა“ სულაც არ ნიშნავს, რომ დიალექტებში შემონახულ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც პოემაში გვხვდება, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში კი აღარ ჩანან, არ გააჩნდეთ სხვა, მრავალმხრივი ღირებულებანი (თუნდაც ცალკეულ დეტალებში მეტი სიცხადის შეტანის თვალსაზრისით). ამიტომაც აქ ყურადღებას ვამახვილებთ რამდენიმე ასეთ ტერმინზე, რომლებიც ჩვენთვის ერთ-ერთ კარგად ნაცნობ კილოში - ლეჩხუმურში (სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ სხვაგანაც) დასტურდება.

**გაწლობილი.** როგორც პოემიდან გვახსოვს, მეგობრის დასახმარებლად აღძრული ავთანდილი ერთგან მნათობებს „შემღერის“, მათ უზიარებს თავის ვარამს. სხვა ციურ სხეულებთან ერთად, იგი ოტარიდსაც (მერკურს) „ესაუბრება“: „გთხოვ, ჩაიწერო ჩემი ამბავი, ამისათვის საჭირო მეღნად საკუთარ ცრემლებს შემოგაშველებ, ხოლო „კალმად გიკვეთ ტანსა ჩემსა, გაწლობილსა, ვითა თმასა“.

„გაწლობილი-გაწვრილებული, გალეული“ (ტერმინთა ახსნისას ვსარგებლობთ ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილი, სასწავლო სახელმძღვანელოდ დამტკიცებული გამოცემით: „ვეფხისტყაოსნის“ განათლება, თბ., 1980 წ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და განმარტებანი დაურთო ნ. ნათამემ).

ვერაფერს ვიტყვით, „გაწლობილში“ მკვლევარმაც „გაწვლებული“, „წვლებადქცეული“ ამოიკითხა (რასაც იქვემდგომი შედარებაც „ვითა თმასა“ ამაგრებს), თუ ამ სიტყვის შინაარსის დადგენისას, რაიმე სხვა საბუთსაც ეყრდნობა. ლეჩხუმურ დიალექტში კი ამჟამადაც ფართოდ გამოიყენება „გაწლობილისგან“ ფორმობრივად მცირეოდენად განსხვავებული ვარიანტები - გამწლეული, გამოძწლეული, გადამწლეული, რომელთა ფუძეშიც ასევე „წელი“ ისმის და ნიშნავს მართლაც მეტისმეტად გამზდარს, ვისაც ავადმყოფობის, შიმშილის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო „წვლებიც კი უჩანს“: ისეა გამწლეული, არ ვიცი, სული რანაირად უდგას; გადამწლეული

დავბრუნდი სახლში და ა.შ. ამდენად, ათასგვარი ხიფათისა და გასაჭირის გადამტანი ავთანდილის თმასავით „გაწლობა“ სრულიად ბუნებრივი ჩანს.

**მოლორება.** როცა ნესტანმა შეიტყო, რომ სამეფო თათბირს, რომელზეც მისთვის საქმროდ ხვარაზმშას ძის მოყვანა გადაწყდა, თურმე ტარიელიც ესწრებოდა და გულმშვიდადაც შეხვედრია ამ ამბავს, მყის იხმო მიჯნური, შერისხა: თურმე სულ ტყვილად გენდობოდი, „დიაცურად რად მოვლორდი, მე დაუფწვავ ამის ალსაო“.

**„მოლორება-მოტყუება“.** „მოლორება“ ამ მნიშვნელობით სხვა ძველ ძეგლებშიც დასტურდება, დღევანდელ ლიტერატურულ ქართულში კი თითქმის გამქრალია და რამდენადაც ვიცით, მხოლოდ ზოგ დიალექტშია შემორჩენილი, მათ შორის ლეჩხუმურშიც, თუმც აქტიურად უკვე მხოლოდ ხანდაზმულთა მეტყველებაში გამოიყენება: იცოდე, არ მომადლო: დავრჩი ასე მოლორებული და ა.შ.

**ნაცი.** ჭაშნაგირთან ანგარიშსწორების ეპიზოდში ფატმანი საკუთარ თავსაც ამუნათებს, დიდად ნანობს თავის საქციელს: რა მრჯიდა, რომ ჩემს საყვარელს ყველა საიდუმლოს ვანდობდი, ჩვენს შორის ხომ მხოლოდ ხორციელი ლტოლვა იყო.

„მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი,  
კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“.

როგორც ვიცით, მრავალგზისი კვლევა-ძიების მიუხედავად, რამდენიმე პოემისეული სიტყვა-ტერმინის ზუსტი მნიშვნელობა კვლავ დაუდგენელია. ჩვენს მიერ მითითებულ ნ. ნათამისეულ „განმარტებაშიც“ ზოგი მათგანის შესახებ მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული, ზოგსაც კითხვის ნიშანი უზის. „ნაცი“ კი ასახსნელ სიტყვათა რიგში საერთოდ ვერ მოხვედრილა (იქნებ ამის მიზეზი სიტყვის სპაზრეფული შინაარსიც იყო). „ნაცი“ აღნიშნული კუთხის მკვიდრთა მეტყველებაში არაიშვიათად გაისმის, მეტწილად - ბილწსიტყვაობისას, ადამიანის უკანალის მნიშვნელობით, გამოითქმის ან ზუსტად ასე, ან მცირეოდენი „ვარიაციებით“. ეჭვგარეშეა, ამავე აზრითაა გამოყენებული იგი პოემაშიც. ჭაშნაგირთან „მსუბუქ“ ურთიერთობაში მყოფი ფატმანი საკუთარ „ორგანოსაც“ სდებს ბრალს.

**საყე.** უცხო მოყმის მოსაძებნად დათქმული ვადა - სამი წელი უკვე იწურება, ავთანდილმა კი მის კვალს ჯერაც ვერსად მიაგნო, რაც ჭაბუკს გულს უკლავს, ლამის სიცოცხლე მოსძულდეს.

„გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია  
ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“.

„საყე“ - ჯოხი, სარი, სათიბში სამანად დასაყენებელი. ტაეპის აზრია: ავთანდილის მკრთალ სახეს (ბროლის ველს) შავი წამწამები ჰშვენოდა“.

„საყე“ ლეჩხუმური დიალექტის მიხედვითაც გულისხმობს სარს ადგილის მოსანიშნად, საზღვრის გასავლებად და ა.შ. საყე უნდა ჩაგესო და იოლად მიაგნებდი, საყეები მქონდა ჩარჭობილი და ვილაცას მოუძვრია...

ასე, რომ მიწაში ჩარჭობილი ჯოხების მწკრივი წამწამების აღსანიშნავად ნამდვილად მშვენიერი მეტაფორაა, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს „საყეს“ სხვაგვარი ახსნაც: „აქ მეტაფორულად აღინიშნება წამწამები თუ ულვაშები. საყე - „საყი“ ნიშნავს საზეიმო მაგიდასთან მდგომს, საროს მსგავსს, პირიმზე, პირ-მხიარულს, ლამაზსა და მოხდენილ ღვინის მწდეს, ან მიმრთმევს, რომელიც საზეიმო სუფრისა და გარემოს დამამშვენებელი იყო. მეტაფორული თქმის აზრი ასეთია: როგორც საყენი ან ღვინის მწდები ამშვენებენ ხოლმე საზეიმო სუფრას, რომლის გარშემო ისინი იდგნენ, ისე ამართული შავი (გიშრის) წამწამები და ულვაში ამშვენებდა ავთანდილს ბროლის ველს, ან ლოყას“ (ვ. კეკელიძე. „ვეფხისტყაოსანი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II).

ამ მომენტზე ყურადღებას ერთი მიზეზითაც ვამახვილებთ, რადგან „საყე“ ძველ ქართულ მწერლობაში არსად ჩანს, პატივცემული მეცნიერის მოსაზრებით იგი გაცილებით გვიან, აღორძინების ხანაში „შემოჰყოლია“ სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლებს. ამდენად, თავისთავად დგება იმ სტროფის ავთენტურობის საკითხი, რომელშიც იგია გამოყენებული (თანაც - რითმად) და სტროფი შემდეგი ხანის ინტერპოლატორს უნდა ეკუთვნოდეს. ქართული „საყეს“ არსებობა კი (საყენი, საყრდენი, დაყენება...) თავისთავად, სხვა რეალობას გვთავაზობს. ჩანს, მკვლევარისთვის



უცნობი იყო დიალექტურ არეალებში მოქმედი ამ სიტყვის შესახებ, თორემ უთუოდ გაითვალისწინებდა ამ საკითხზე მსჯელობისას.

**ტრამა//ტრამი.** ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის შემდეგ მამაჩემს შეუთვალე: მე ვერ მოვიტმენ ინდოეთში უცხოელთა გაბატონებას, ამ ქვეყნის ხელმწიფობა მემკვიდრეობით მეკუთვნის და თუ ამას არ შეეგუები, „არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვიტა ტრამასა“-ო - არიგებს ნესტანი ტარიელს.

„ვითა ტრამასა“ - როგორც ტრამალს. ტაეპის აზრია: თუ სამკვიდროს წართმევას მომინდომებ, შეგებრძოლები და დედაქალაქს ნაცარტუტად ვაქცევ“. მართლაც ზუსტი განმარტება ჩანს, კონტექსტის თვალსაზრისითაც ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ უდრის კი „ტრამა“ ნამდვილად ტრამალს და მართლაც ამ ფორმით გამოიყენებოდა იგი იმდროინდელ სასაუბრო ენაში? იქნებ ასეცაა და მკვლევარს მოემეცებოდეს სათანადო არგუმენტები. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „ტრამი“ დღესაც „ცოცხალია“ და ნიშნავს გაუბრალოებულს, ღირსებადაკარგულს, გაიაფებულს (ამგვარი რამ „გატრამებულია“): ტრამია მაგისი ფასი, ტრამათ ხვარ შეველევი და ა.შ.

„ტრამი“ ამავე მნიშვნელობით - „ძალიან იაფი“ დასტურდება ლექსიკონშიც: სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. შემდგენელი ვ. ბერიძე. ს. პეტერბურგი. 1912 წ. (ფოტოტიპური გამოცემა. თბ., 1986. გვ. 54). ამისდა მიხედვით, კი ტაეპის გაგება შეიძლება ასეთი იყოს: ისე მოგიქცევ საქმეს, შენი ქალაქი აღარაფრად ვარგოდეს, ყველაფერს ჩალის ფასი ედოსო.

ვიმეორებთ, ნ. ნათამისეული განმარტების საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვს, თუ „ტრამა“ მართლაც ტრამალია.

**წაკიდება.** ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდში ტარიელი ავთანდილს უყვება, რომ ამ მხეცების დანახვა პირველად გაუხარდა კიდევ, რადგან მიჯნურებს ჰგავდნენ, მაგრამ მერე კი ერთმანეთს შეებნენ, რამაც რაინდი გააგულია:

„პირველ ამაოდ ილალობეს, მერე მედგრად წაიკიდნეს“.

„წაიკიდნეს - წაევიდნენ ერთმანეთს, წაიჩხუბნენ“. „წაიკიდება“ ამავე მნიშვნელობით, ლექსუმურ კილოში ახლაც ხშირად ისმის (კაი ახლა, პატარა რამეზე ნუ წეიკიდებით; მაგენი თურმე წაკიდებული ყოფილან...). რასაკვირველია, „წაჩხუბების“ პარალელურად, ოღონდ ეს ორი სიტყვა მთლად ტოლფასი არ ჩანს. „წაკიდება“ უფრო კამათი, დავა, სიტყვიერი შეხლა-შემოხლაა და ფიზიკური დაპირისპირების, ცემის შემთხვევაში არ გამოიყენება (განსხვავებით პოემისეული გაგებისაგან).

**წატანა.** თავის განთქმულ ანდერძში ავთანდილი მეფეს ეხვეწება: შემინდევ და წამატანე მოწყალეობა ღმრთაებრისად“ (ასევე, პოემის პროლოგში თავად ავტორიც შესთხოვს უზენაესს საიქიოში „წასატანი“ ცოდვების შემსუბუქებას): „წამატანე - თან წამაყოლე; წასატანისა - თან წასაღებისა“.

„წატანა“ ამ გაგებით დღემდეა დაცული აღნიშნული კუთხის მეტყველებაში. (მანქანით თუ მიდიხარ, მეც წამიტანე; ერთი შენ გაზრდას ეს კალათი წამატანიე...). საერთოდ, იგი უძველესი სიტყვა ჩანს და მიუხედავად იმისა, რომ მისი ფუნქცია შემდგომში მოქმედების აღმნიშვნელ რამდენიმე სხვა ტერმინში გადანაწილდა (წაღება, წაყოლა, წაყვანა...), ჩანს ბოლომდე მაინც არ თმობს პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ აქ დასახელებულ (და მრავალ სხვა სიტყვას) ლიტერატურულ ენაში თითქოსდა თავისუფლად ენაცვლება სხვა ტერმინოლოგია, ისინი მაინც თავისთავადობის, განუმეორებლობის ელფერით არიან აღბეჭდილნი და იქნებ სამოქმედო არეალის კვლავ გაფართოების ღირსნიც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1980. ნ. ნათაძის საერთო რედაქციით
2. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ., 1981

**Onise Bandzeladze** - Doctor of Philological Sciences

### About Some Specific Words and Terms form “The Knight in the Panther’s Skin”

Despite Long-term research, the exact meaning of a number of words and expressions in “The Knight in the Panther’s Skin” has not been established yet (many of them have been termed into archaism, some are used only in dialects, etc.). That’s why often times researchers offer various definitions for these words. In this regard, searching for the parallels of these words in dialects is one of the most common and reliable ways which is also helpful to determine the poet’s origin.

While working on a very famous dialect that is Lechkhumian one, several words that are used in the poem but are no longer common in the literary Georgian today caught our attention. Our work introduces such word introduces such words with appropriate comments.

ლელა ემგვერაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### მსაზღვრელ-საზღვრულის სწავლების საკითხისათვის

მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკურ-ფორმოზომობრივი ურთიერთმიმართების მრავალფეროვნება სპეციფიკურ ამოცანებს წამოჭრის ამ საკითხის სწავლების პროცესში.

მსაზღვრელ-საზღვრულის ცნება აერთიანებს განსხვავებული სემანტიკური მიმართების სიტყვათა წყვილებს. მსაზღვრელად იწოდება არსებით სახელზე სინტაქსურად დაქვემდებარებული სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს არსებითს ნიშან-თვისების (წითელი ბურთი, დიდი კარადა, სუფთა წყალი, ნისლიანი მთები), წოდებისა და სტატუსის (თავადი დადიანი, გრაფი ვორონცოვი, პრეზიდენტი რუზველტი, ქლაქი თბილისი, სოფელი სხვიტორი), პროფესიის (ექიმი ფიფია, მოქანდაკე როდენი, რეჟისორი ჩხიძე, მსახიობი ზაქარიაძე), რაოდენობის (ორი ვაშლი, მრავალი სტუდენტი), რიგის (მეორე კურსი, მესამე რიგი), მასალის (ტყავის ბურთი, აბრეშუმის კაბა, ქვის მაგიდა), კუთვნილების (გიორგის ჩანთა, მეგობრის მანქანა, მეზობლის ეზო), დანიშნულების (ფეხბურთის ბურთი, დესერტის კოვზი, სასადილო ოთახი, საბავშვო წიგნი, სანადირო თოფი)... მიხედვით ან მიუთითებს საგანზე საუბრის პროცესში ჩართულ პირებთან სიმორე-სიახლოვის თვალსაზრისით (ეს წიგნი, ეგ წიგნი, ის წიგნი). სუბსტანტიურ მსაზღვრელთან ფორმოზომობრივი იდენტობის საფუძველზე მსაზღვრელის კვალიფიკაცია ეძლევა ნაზმნარ სახელებზე დაქვემდებარებულ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელებსაც, რომლებიც, ფაქტობრივად, მსაზღვრელის სემანტიკას არ გამოხატავენ. ისინი აღნიშნავენ საგანს, რომელიც მოქმედებს ( ყვავის ჩხავილი, ქარის ქროლა, ძაღლის ყეფა) ან განიცდის მოქმედებას (სახლის ამშენება, სახლის ამშენებელი, კაბის შეკერვა, კაბის შემკერავი, სურათის დახატვა).

შესაბამისად, არსებითი სახელი, რომელსაც ასეთი სიტყვა ექვემდებარება საზღვრულია. ფაქტობრივად, მსაზღვრელ-საზღვრულად მიიჩნევა ორი სახელისაგან შედგენილი ნებისმიერი წყვილი, რომელიც შედგება არსებითისა და მასზე სინტაქსურად დაქვემდებარებული სხვა სახელისაგან. საზღვრულის როლში თითქმის ყოველთვის არსებითი გვევლინება. გვაქვს არსებითისებრი ნაცვალსახელების საზღვრულის ფუნქციით გამოყენების ერთეული შემთხვევები (ისეთი ვინმე, ასეთი რამე). ასევე საზღვრულად მიიჩნევა მოქმედებითი გვარის მიმღობა ისეთ წყვილებში, როგორებიცაა: სახლის ამშენებელი, სურათის დამხატვა. მსაზღვრელის როლი შეიძლება შეასრულოს ყველა ჯგუფის სახელმა: ჭრელი ზღ.სახ. თავსაფარი, გამამხნევებელი მოქმ.გვ.მიმღ. შეძახილი, შეშინებული ვ.გ.მიმღ. ბავშვი, მდულარე სამ.გვ.მიმღ. წყალი, მეფე რს.სახ. ერეკლე, ორი რაოდ.რიცხ.სახ. სკამი, მეათე რიგ.რიცხ.სახ. მწკრივი, მესამედი რიგ.რიცხ.სახ. ნამცხვარი, ისევ.ნაცვალსახ. რეეული, ამგვარი რიგ.ნაცვალსახ. კაბა, ჩემი უფნ.ნაცვალ. ოთახი, ყველა განსაზღ.ნაცვალსახ. მოსწავლე, ვიღაც განუსაზღ.ნაცვალსახ. კაცი...

არანაკლებ ჭრელ სურათს ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულად მიჩნეულ წყვილთა ფორმოზომობრივი ურთიერთმიმართებაც. მსაზღვრელი ბრუნვის მიხედვით არის შეთანხმებული, მართული, ან კიდევ, - მართულ-შეთანხმებული საზღვრულის მიერ. ამასთან, არსებობს სამი სახის შეთანხმება: სრული - როდესაც მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს შენარჩუნებული (შეშინებული ბავშვი, შეშინებულმა ბავშვმა), ნაწილობრივი - როდესაც მსაზღვრელს შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი, ხოლო თანხმოვანი დაკარგული აქვს (შეშინებულ-ი(ს) ბავშვის, შეშინებულ-ი(თ) ბავშვით), უსრული - როდესაც მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი დაკარგული აქვს (შეშინებულ ბავშვს, შეშინებულ ბავშვად).

არაერთგვაროვანია მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციაც: წყობა პრეპოზიციურია, თუ მსაზღვრელი საზღვრულის წინ დგას (მწვანე ბალახს სიო აბიბინებს), თუ მსაზღვრელი მოსდევდეს საზღვრულს (ბალახს მწვანეს სიო აბიბინებს) გვაქვს პოსტპოზიციური წყობა, ხოლო თუ მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან (მწვანეს ეწვეება ბალახსა), წყობა არის გათიშული. პრეპოზიციური წყობის აღსანიშნავად ასევე იყენებენ ტერმინს პირდაპირი წყობა, ხოლო პოსტპოზიციურ წყობას აღნიშნავენ ტერმინებით: შებრუნებული წყობა, ინვერსიული წყობა.

ენათმეცნიერებაში მსაზღვრელის ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია მისი ფორმოზომობრივი მახასიათებელი. ამ ნიშნის მიხედვით, მსაზღვრელი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ატრიბუტული და სუბსტანტიური. ატრიბუტულ მსაზღვრელად მიიჩნევა ყველა შეთანხმებული მსაზღვრელი, რა სემანტიკასაც არ უნდა გამოხატავდეს და რომელი მეტყველების ნაწილითაც არ უნდა გადმოიცემოდეს იგი. სუბსტანტიური მსაზღვრელი მართული ან მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელია. იგი გადმოცემულია არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს არსებითს მასალის, კუთვნილების ან დანიშნულების მიხედვით.

მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკურ და ფორმოზრივ მახასიათებლებს შორის გარკვეული კოორდინაცია არსებობს, თუმცა პირდაპირი შესაბამისობა ყოველთვის არა გვაქვს. მაგალითად, დანიშნულება ან კუთვნილება შეიძლება გამოხატოს როგორც სუბსტანტიურმა (*ფეხბურთის ბურთი, დესერტის კოვზი, დათოს წიგნი*), ისე ატრიბუტულმა მსაზღვრელმა (*სასადილო ოთახი, სანადირო თოფი, ჩემი ჩანთა*).

მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილისათვის დამახასიათებელი სემანტიკურ-ფორმოზრივი სიჭრელე, რა თქმა უნდა, ართულებს ამ საკითხის სწავლებისათვის ოპტიმალური ლოგიკური ყალიბის შერჩევას. სწავლების პროცესში მსაზღვრელ-საზღვრულის სწავლება, როგორც წესი, მიზნულია ზედსართავ სახელთან, აქვე არის მოცემული არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელიც. ხოლო რიცხვითი და ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი შესაბამისი მეტყველების ნაწილების სწავლებისას განიხილება. არსებობს სხვაგვარი მიდგომაც. მეცნიერთა ნაწილს მსაზღვრელ-საზღვრულის შესწავლა მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ ყველა ჯგუფის სახელის გაცნობის შემდეგ.

ორივე მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარე. როცა მსაზღვრელ-საზღვრულის სწავლება ზედსართავ სახელთანაა მიზნული, ფაქტობრივად შეუძლებელია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმოზრივ-სემანტიკური ურთიერთობის სრულყოფილი სურათის ჩვენება. იგი შემდგომი სწავლების პროცესში ივსება. რაც შემსწავლელთათვის გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის და იწვევს მრავალ პრაქტიკული ხასიათის სირთულეს. თუმცა, მეორე მხრივ, ზედსართავი ან რიცხვითი სახელის შესწავლა მათი ძირითადი ფუნქციის განუხილველად მოცემულ მეტყველების ნაწილთა არასრულფასოვან გაცნობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ინფორმაცია სრულყოფილი მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის შესწავლის შემდეგ გახდება. რაც ასევე წარმოქმნის გარკვეულ უხერხულობას სწავლების პროცესში.

სწავლების ნებისმიერი თანმიმდევრობის არჩევის მიუხედავად, უნდა შევეცადოთ არ გამოვტოვოთ მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკური მიმართებისა და ფორმოზრივი ურთიერთობის არც ერთი ასპექტი, ვაჩვენოთ სხვადასხვა ჯგუფის სახელებით გამოხატულ მსაზღვრელთა საზღვრულთან ერთად ბრუნების თავისებურებანი, ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი ფაქტორები.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. არსებითად განსხვავებულ ბრუნების ყალიბს მიჰყვება, ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომლებიც სწორედ საზღვრულთან ფორმოზრივი ურთიერთობის საფუძველზეა დიფერენცირებული - ატრიბუტული მსაზღვრელი შეთანხმებულია, სუბსტანტიური - მართული. მეორე ძირითადი ფაქტორია მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა. ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელი, იმისდა მიხედვით წყობა პრეპოზიციურია თუ პოსტპოზიციური, ბრუნების განსხვავებულ სურათს აჩვენებს. ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნებაზე ასევე მოქმედებს ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება თუ თანხმოვანზე, რომელი მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული იგი და რა სემანტიკას გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნებაზე მხოლოდ ერთი ფაქტორი, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა, ახდენს გავლენას, ხოლო ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში ასეთ ფაქტორთა რიცხვი გაცილებით მეტია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წყობა, ფუძის დაბოლოება, რომელი მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული და რა სემანტიკას გამოხატავს მსაზღვრელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არსებითი სახელითა და სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულთან ერთად ბრუნების დროს ხშირად ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნების ძირითადი მოდელისაგან განსხვავებულ, არაერთგვაროვან სურათს ქმნის.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ფაქტობრივად, ბრუნების დროს თავისებურება მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობის შემთხვევაში ვლინდება, პოსტპოზიციურად განთავსებული ატრიბუტული მსაზღვრელი ყოველთვის სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანს, მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორისა.

სწავლებისას მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება გავამახვილოთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორზე. გავითვალისწინოთ ისინი საკითხის გადაცემის თანმიმდევრობის განსაზღვრისას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნების ძირითადი მოდელი, რომელსაც ზედსართავი და რიცხვითი სახელით გადმოცემული შეთანხმებული მსაზღვრელი გვიჩვენებს. თუმცა უმნიშვნელო განსხვავება ამ შემთხვევაშიც შეინიშნება. თუ მსაზღვრელი რიცხვითი სახელით არის გადმოცემული მსაზღვრელ-საზღვრული წოდებითი ბრუნვის ფორმას არ აწარმოებს. გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ პოეტური მეტყველების ნიმუშებში შეგვხვდეს. რაც მხატვრული ლიტერატურის ენის გარკვეული თავისებურებებითაა განპირობებული და სალიტერატურო ენის ნორმებს არ შეესაბამება.

სახელობითი	კეთილ-ი	კაც-ი	სუფთა კაბა	ორ-ი	ბავშვი	ცხრა ძმა
მოთხრობითი	კეთილ-მა	კაც-მა	სუფთა კაბა-მ	ორ-მა	ბავშვ-მა	ცხრა ძმა-მ
მიცემითი	კეთილ-	კაც-ს	სუფთა კაბა-ს	ორ-	ბავშვ-ს	ცხრა ძმა-ს
ნათესაობითი	კეთილ-ი	კაც-ის	სუფთა კაბ-ის	ორ-ი	ბავშვ-ის	ცხრა ძმ-ის
მოქმედებითი	კეთილ-ი	კაც-ით	სუფთა კაბ-ით	ორ-ი	ბავშვ-ით	ცხრა ძმ-ით
ვითარებითი	კეთილ-	კაც-ად	სუფთა კაბა-დ	ორ-	ბავშვ-ად	ცხრა ძმა-დ
წოდებითი	კეთილ-ო	კაც-ო	სუფთა კაბა-ვ	(ორ-ო	ბავშვ-ო)	(ცხრა-ო ძმა-ო)

რაც შეეხება არსებითი სახელით გადმოცემულ ატრიბუტულ მსაზღვრელს, აქ ბრუნების ყალიბი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მსაზღვრელის სემანტიკაზე. შესაბამისად, ყურადღება ამ ასპექტზე უნდა გავამახვილოთ.

არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი გვიჩვენებს საზღვრული წევრის **ზომა-ოდენობას** (*გლეჯი მიწა, მეტრი ქსოვილი, კალათა კვერცხი, კილოგრამი კარტოვილი, ბოთლი რძე*), **პროფესიას** (ექიმი ფიფია, რეჟისორი დანელია), **წოდებას, სტატუსსა და თანამდებობას** (*თავადი დადიანი, გრაფი ვორონცოვი, მეფე დავითი, პრეზიდენტი რუხველტი, პროფესორი ჩიქოვავა, ლედი ჯეინი, მისტერ ჩეინი, ბატონი დავითი, დეიდა თამარი, ძია გიორგი, ქალაქი თბილისი, სფფელი სხვიტორი*). ცალკე უნდა გამოვყოთ ადამიანის სახელისა და გვარის ერთად გამოყენების შემთხვევები, ასევე გვართან გათანაბრებული სახელები, რომლებიც ახლავს საკუთარ სახელს და პიროვნების მყარ მახასიათებელს გვიჩვენებენ: *დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, მაგრატ მელოხე, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი...*

არსებითი სახელი, რომელიც ზომა-ოდენობას განსაზღვრავს, ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი ან რიცხვითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი, ამდენად, მასზე ყურადღების გამახვილება არ არის საჭირო. აქ შეიძლება აღვნიშნოთ რომ ასეთი მსაზღვრელი რა ჯგუფის სახელებს ახლავს. მაგრამ აუცილებლად დაწვრილებით უნდა განვიხილოთ მეორე ჯგუფის მსაზღვრელები, რომლებიც ძირითადად ადამიანის აღმნიშვნელ საკუთარ სახელებთან გვხვდება და ბრუნების განსხვავებულ სურათს ქმნის. თუმცა ბოლოხმოვნის მსაზღვრელთან მიმართებაში იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ბრუნებისას იგი თავისებურებას არ ავლენს.

სახელობითი	ბატონ-ი	დავით-ი	პროფესორ-ი	შანიძე	ქალაქ-ი	გორ-ი	სერ ჯონ-ი
მოთხრობითი	ბატონ-მა	დავით-მა	პროფესორ-მა	შანიძე-მ	ქალაქ-მა	გორ-მა	სერ ჯონ-მა
მიცემითი	ბატონ	დავით-ს	პროფესორ	შანიძე-ს	ქალაქ	გორ-ს	სერ ჯონ-ს
ნათესაობითი	ბატონ-ი	დავით-ის	პროფესორ	შანიძ-ის	ქალაქ	გორ-ის	სერ ჯონ-ის
მოქმედებითი	ბატონ-ი	დავით-ით	პროფესორ	შანიძ-ით	ქალაქ	გორ-ით	სერ ჯონ-ით
ვითარებითი	ბატონ	დავით-ად	პროფესორ	შანიძე-დ	ქალაქ	გორ-ად	სერ ჯონ-ად
წოდებითი	ბატონ-ო	დავით	პროფესორ-ო	შანიძე	ქალაქ-ო	გორ-ო	სერ ჯონ

სახელობითი	რამაზ ჩხიკვაძე	გრიგოლ ხანძთელ-ი	დავით პირველ-ი
მოთხრობითი	რამაზ ჩხიკვაძე-მ	გრიგოლ ხანძთელ-მა	დავით პირველ-მა
მიცემითი	რამაზ ჩხიკვაძე-ს	გრიგოლ ხანძთელ-ს	დავით პირველ-ს
ნათესაობითი	რამაზ ჩხიკვაძე-ის	გრიგოლ ხანძთელ-ის	დავით პირველ-ის
მოქმედებითი	რამაზ ჩხიკვაძე-ით	გრიგოლ ხანძთელ-ით	დავით პირველ-ით
ვითარებითი	რამაზ ჩხიკვაძე-დ	გრიგოლ ხანძთელ-ად	დავით პირველ-ად
წოდებითი	რამაზ ჩხიკვაძე	გრიგოლ ხანძთელ-ო	დავით პირველ-ო

ბრუნების ნიმუშები სამ განსხვავებულ ვითარებას წარმოაჩენს: 1) ბრუნება ემთხვევა მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ძირითად მოდელს; 2) ბრუნებისას ოთხ ბრუნვაში (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) არასრული შეთანხმებაა; გ) შვიდივე ბრუნვაში არასრული შეთანხმებაა. ნიმუშებზე დაკვირვებით მოსწავლეები შეძლებენ დაასკვნან, რომ შვიდივე ბრუნვაში არასრულ შეთანხმებას გვიჩვენებს მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ადამიანის სახელი და სტატუსის განმსაზღვრელი უცხოური სიტყვები (*სერ ჯონი, მისტერ ჯორჯი, სენიორ ჯოვანი...*), სხვა შემთხვევაში ამგვარი მსაზღვრელი ძირითადად მეორე მოდელს მიჰყვება. გვაქვს ძირითად ყალიბთან თანხვედრის შემთხვევებიც.

ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა გამოვაცალკევოთ ნაცვალსახელთა ჯგუფები, რომლებსაც მეტყველებაში მსაზღვრელის ფუნქცია ეკისრება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელებს, რომლებიც მსაზღვრელის სხვა ტიპებისაგან განსხვავებულ სემანტიკას გამოხატავენ. ასეთია, მაგალითად, ეს, ეგ, ის ჩვენებითი ნაცვალსახელებით გადმოცემული მსაზღვრელი, რომელიც მიუთითებს საგანზე საუბრის პროცესში მონაწილე პირებთან სიშორე-სიახლოვის თვალსაზრისით (*ეს ჩიენი, ეგ ჩიენი, ის ჩიენი, ეს ბიჭი, ეგ ბიჭი, ის ბიჭი*) ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი (*ვიღაც კაცი, რაღაც ამბავი...*). მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ამ ტიპის მსაზღვრელის ამოცნობა. თუმცა გარკვეულწილად ეს პრობლემა სხვა ნაცვალსახელურ მსაზღვრელებთანაც იჩენს თავს.

ფორმათწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ აქცენტირებას საჭიროებს როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელებით, ისე კუთვნილებითი და ღაც(ა) ნაწილაკიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი.

სახელობითი	ეს ბიჭ-ი	ეგ ბიჭ-ი	ის ბიჭ-ი	ვიღაც(ა) კაც-ი	რაღაც(ა) ნივთ-ი
მოთხრობითი	ამ ბიჭ-მა	მაგ ბიჭ-მა	იმ ბიჭ-მა	ვიღაც(ა) კაც-მა	რაღაც(ა) ნივთ-მა
მიცემითი	ამ ბიჭ-ს	მაგ ბიჭ-ს	იმ ბიჭ-ს	ვიღაც(ა) კაც-ს	რაღაც(ა) ნივთ-ს
ნათესაობითი	ამ ბიჭ-ის	მაგ ბიჭ-ის	იმ ბიჭ-ის	ვიღაც(ა) კაც-ის	რაღაც(ა) ნივთ-ის
მოქმედებითი	ამ ბიჭ-ით	მაგ ბიჭ-ით	იმ ბიჭ-ით	ვიღაც(ა)კაც-ით	რაღაც(ა) ნივთ-ით
ვითარებითი	ამ ბიჭ-ად	მაგ ბიჭ-ად	იმ ბიჭ-ად	ვიღაც(ა) კაც-ად	რაღაც(ა) ნივთ-ად
წოდებითი	-----	-----	-----	ვიღაც(ა) კაც-ო	(რაღაც(ა) ნივთ-ო)

სახე	ჩემ-ი ძმა	შენ-ი ძმა	მისი ძმა	ჩვენ-ი ძმა	თქვენ-ი ძმა	მათ-ი ძმა
მოთხ.	ჩემ-მა ძმა-მ	შენ-მა ძმა-მ	მის-მა ძმა-მ	ჩვენ-მა ძმა-მ	თქვენ-მა ძმა-მ	მათ-მა ძმა-მ
მიცემ.	ჩემ-ს ძმა-ს	შენ-ს ძმა-ს	მის ძმა-ს	ჩვენ-ს ძმა-ს	თქვენ-ს ძმა-ს	მათ-(ს) ძმა-ს
ნათეს.	ჩემ-ი ძმ-ის	შენ-ი ძმ-ის	მის-ი ძმ-ის	ჩვენ-ი ძმ-ის	თქვენ-ი ძმ-ის	მათ-ი ძმ-ის
მოქმ.	ჩემ-ი ძმ-ით	შენ-ი ძმ-ით	მის-ი ძმ-ით	ჩვენ-ი ძმ	თქვენ-ი ძმ-ით	მათ-ი ძმა-ით
ვით.	ჩემ-ს ძმა-დ	შენ-ს ძმა-დ	მის ძმა-დ	ჩვენ-ს ძმა-დ	თქვენ-(ს)ძმა-დ	მათ- ძმა-დ
წოდ.	ჩემ-ო ძმა-ო	-----	-----	ჩვენ-ო ძმა-ო	-----	-----

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ჩვენებითი და ღაც(ა) ნაწილაკიანი ნაცვალსახელები გვიჩვენებენ არასრულ შეთანხმებას, ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელინ ყველა სხვა მსაზღვრელისაგან განსხვავებით, მიცემითსა და ვითარებით ბრუნებებში, დაირთავს ბრუნვის ნიშანს „-ს“.

დასკვნის სახით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრუნების ძირითად მოდელს ზედსართავი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი გვიჩვენებს. ამ მოდელისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება სხვა ჯგუფის სახელებით გადმოცემულ მსაზღვრელთა ბრუნება.

#### ლიტერატურა

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1986
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973
3. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, პირველი ნაწილი, თბილისი, 1981
4. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2005

#### რეზიუმე

მსაზღვრელ-საზღვრულის ცნება აერთიანებს განსხვავებული სემანტიკური მიმართების სიტყვათა წყვილებს. საკმაოდ მრავალფეროვანია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმოზრივი ურთიერთობაც. სტატიაში შევეცადეთ, გამოგვეკვეთა მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკური მიმართებისა და ფორმოზრივი ურთიერთობის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, გვეჩვენებინა სხვადასხვა ჯგუფის სახელებით გამოხატულ მსაზღვრელთა საზღვრულთან ერთად ბრუნების თავისებურებანი, ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი ფაქტორები.

**Lela edzveradze** – Akaki Tsereteli State University, Associate Professor

#### About noun-attribute relationship in Georgian language

#### Abstract

The article deals with the problem of noun-attribute relationship and the difficulties of its teaching. Noun-attribute relation in Georgian language forms complex system. There are many factors which affect the correlation between noun-attribute. First thing to mention is the variety of semantic and grammatical nature of words which play the role of attribute. The role of attribute can play adjective, pronoun, numeral and noun. Also, noun-attribute unit shows multiformity of declension. Therefore it is of great significance to make the learner realize all the important aspects of noun-attribute relation.

**Лела Едзгверадзе** – Государственный университет Акакия Церетели

#### По вопросу взаимоотношения между определяемыми и определяющими словами

#### Резюме

Взаимоотношения между определяемыми и определяющими словами в грузинском языке составляют довольно сложную систему, в которой взаимодействуют несколько факторов. В зависимости от того какая часть речи выступает в роли определяющего рознятся его семантические признаки и склонение. Цель статьи выделить все факторы, которые имеют значение во взаимоотношении между определяемым и определяющим и, следовательно, должны быть акцентированы в процессе обучения.

**მაგდა თხილავა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### **მ. დავითაშვილის როლი ბავშვთა მუსიკალური აღზრდის პროცესში**

„წურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა. და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“ (ვაჟა - ფშაველა).

საბავშვო მუსიკის განვითარებას განაპირობებს ეროვნული მუსიკის თვითმყოფადობა და კულტურის საერთო დონე. მწერლობის მსგავსად, საბავშვო მუსიკას სათავე უდევს ხალხურ შემოქმედებაში. ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლებმა - მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა, ზ. ფალიაშვილმა და სხვებმა. საბავშვო მუსიკა გამოირჩევა ჟანრული და თემატური მრავალფეროვნებით. იშვიათია ქართველი კომპოზიტორი, რომელიც არ შეეხო საბავშვო მუსიკის სფეროს: ოპერა (ვ. გოკიელის „დაუპატიჟებელი სტუმრები“, „წითელქუდა“, ა. ანდრიაშვილის „ჩხიკვათა ქორწილი“, თ. შავერზაშვილის „იავნანა“, ვ. ცაგარეიშვილის „ბრიყვი წრუწუნა“, მ. დავითაშვილის „ქაჯანა“, „ნაცარქექია“, დ. ჩხეიძის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“...), ოპერეტა (ლ. იაშვილის „ბაბაჯანას ქოშები“...), ბალეტი (ა. ბალანჩივაძის „მთების გული“. ს. ცინცაძე „ცისფერი მთის საუნჯე“...), კანტატა, ინსტრუმენტული კონცერტი (ა. ბალანჩივაძე, მ. დავითაშვილი, ს. ცინცაძე...), გუნდები... თითოეული მათგანი ეროვნული მუსიკალური მასალითა და მარტივი ფაქტურით, რიტმული ნაირსახეობით, ლამაზი მელოდიური ქარგით გამოირჩევიან და ადვილად დასამახსოვრებელია.

როდესაც ვსაუბრობთ საბავშვო მუსიკის განვითარებასა და ზოგადად, მუსიკის როლის შესახებ ბავშვთა აღზრდის პროცესში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კომპოზიტორი მერი დავითაშვილი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ბავშვებს მიუძღვნა. მან გააღრმავა საბავშვო მუსიკის თემატიკა და უფრო მრავალფეროვანი გახადა იგი. უბრალოება, უშუალოება, ეროვნულობა, მელოდიურობა, მაღალი გემოვნება - ასე შეიძლება დახასიათდეს კომპოზიტორის შემოქმედება.

მ. დავითაშვილის შემოქმედებაზე თაობები აღიზარდა და არცერთ დროში მას არ დაუკარგავს აქტუალობა. მისი სიმღერები გამოირჩევა დიდაქტიკური ხასიათით: „დილა მშვიდობისა“ ( ბავშვის შეხვედრა დილასთან და მისი დიალოგი ჩიტთან, მზესთან, ყვავილთან), „ბანაობა“ (ბავშვის მიერ სისუფთავისა და ბანაობის სასიამოვნო განცდა), „თქვენთან გვინდა თამაში“ (თოჯინებთან გასაუბრება), „საწყალი კურდღელი“ (დათუნას ავადმყოფობით გამოწვეული დარდი, ავადმყოფის მოვლა და მის გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა)... თითოეულ სიმღერას ახასიათებს უბრალოება, სისადავე, ბუნებრიობა. პატარები უმღერიან სინათლეს, სიკეთეს, დღესასწაულს, ასწავლის მათ კაცთმოყვარეობას, სიყვარულს, ბოროტის გმობას... საინტერესოა თითოეული სიმღერის საფორტეპიანო თანხლება ზოგან რწევადი, ზოგან აქტიური, საცეკვაო ან მარშის რიტმი, ოქტავური გადაძახილები, მონოტორული სვლები, სადღესასწაულო განწყობილება, წრფელი, უშუალო სტილი... კომპოზიტორი ხშირად იყენებს ხალხურ ინტონაციებს. იგი სიმღერების დიდ ნაწილში მიმართავს ვაჟა - ფშაველას, ხუტა ბერულავას, პეტრე გრუზინსკის, მაცვალა მრევილიშვილის, ანა კალანდაძის, ჯანსუღ კახიძისა და სხვათა პოეზიას.

მერი დავითაშვილმა ბავშვური მუსიკალური ენით აამეტყველა ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“ და ნიკო ლომოურის მოთხრობა „ქაჯანა“ ისეთ რთულ სინთეზურ ჟანრში, როგორცაა ოპერა.

მ. დავითაშვილის აზრით მოზარდი თაობის მუსიკალური აღზრდის საქმეში თეატრს მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული: „დიდია საბავშვო მუსიკალური სპექტაკლის როლი და დანიშნულება, პირველ რიგში, საბავშვო ოპერისა, რომელიც ზრდის მუსიკალური თეატრის მომავალ აუდიტორიას... იგი განსაზღვრავს მოზარდი თაობის დამოკიდებულებას ამ რთული, სინთეზური

„ქაჯანა“ საყოფაცხოვრებო სიუჟეტზე შექმნილი ლირიკულ - ჟანრული ოპერაა. მისი მუსიკალური ენა ღრმად ეროვნულია, გამოირჩევა რბილი მუსიკალური ტონით, გვისახავს



გლახური ცხოვრების მრავალფეროვნებას, უდარდელი და მხიარული ბავშვური განწყობილებების დრამატულ გარდასახვას და ნაწარმოების ბედნიერ დასასრულს.

საინტერესოა მ. დავითაშვილის მეორე საბავშვო ოპერა „ნაცარქექია“, რომელიც გამოირჩევა რბილი მუსიკალური იუმორითა და გროტესკული ელემენტებით, მისთვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი ქართულ სამუსიკო ფოლკლორთან, ჟანრული სცენების სიუხვე, მუსიკალური ენის მკაფიოება. ოპერა „ნაცარქექიაშიც“ , ისევე, როგორც ხალხურ ზღაპარში, კეთილი იმარჯვებს ბოროტზე. საავგადასავლო ხასიათი, დინამიური მომენტების კონტრასტები „ნაცარქექიას“ მიმზიდველობას ანიჭებს.

მ. დავითაშვილის მუსიკალური მეტყველება მრავალფეროვანი, მელოდიური, ბუნებრივი, ნათელი და მკაფიოა. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მდიდარი მუსიკალური ინტუიცია და მიზნის მიღწევის სადა ხერხები, რთული და სერიოზული თემების უბრალო ენით გადმოცემა, მისი შემოქმედება ძალიან ახლოსაა ბავშვის ბუნებასთან: გულუბრყვილობა, სისპეტაკე, უბრალოება... სწორედ ამიტომაც, რომ ბავშვებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი ინსტრუმენტული თუ ვოკალური ნაწარმოებები, საორკესტრო სუიტა „მზის ქორწილი“, საფორტეპიანო კონცერტები, რომანსები: „თქვი, ჭია - მარიავ, საით მიგიხარია“, „თუთა“ და სხვ. დიდი წარმატებით სარგებლობს მის მიერ მუსიკალურად გაფორმებული ქართული მულტიპლიკაციური ფილმები: „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრობა, წუნა და წრუწუნა“, „ნახევარწილი“, „ქორბუდა“, თოჯინური ფილმი „ნიკო და სიკო“, მხატვრული ფილმი „მანანა“...

მ. დავითაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები მეოცნებე, ლაღი და ხალისიანი ბავშვები არიან, რომლებიც უმდერინ სინათლეს, სიკეთეს, სიყვარულს, სილამაზეს. მისი მუსიკა სავსეა ნათელი ფერებით და შიანგანი სიტბოთი. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო ბავშვებთან. მან თავისი პროფესიონალიზმით და მაღალმხატვრული შემოქმედებით გაამდიდრა ქართული სამუსიკო ხელოვნება და მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეში.

### რეზიუმე

მ. დავითაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები მეოცნებე, ლაღი და ხალისიანი ბავშვები არიან, რომლებიც უმდერინ სინათლეს, სიკეთეს, სიყვარულს, სილამაზეს. მისი მუსიკა სავსეა ნათელი ფერებით და შიანგანი სიტბოთი. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო ბავშვებთან. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა დიდაქტიკური ხასიათით. მან თავისი პროფესიონალიზმით და მაღალმხატვრული შემოქმედებით გაამდიდრა ქართული სამუსიკო ხელოვნება და მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეში.

**Magda Tkhlava** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### **The role of Meri Davitashvili to process of child's musical education**

#### **Resume**

Children were more important in Meri Davitashvili's creation. She deepened themes of child's music and made it more various. Simplicity, frankness, nationality, melody, high taste – it's her creation's characteristic.

Generations educated with Meri Davitashvili's creation and it was actual every time. Her songs selected with didactic character. Each song is interesting for its accompaniment on the piano which is sometimes rocking, sometimes active, dance or march rhythm, mood of festal, frank, immediate style... Composar frequently use folk intonation.

Some georgian animated cartoons which are mounting with music by Meri Davitashvili enjoy wide popularity, for example „Jay wedding“, „Enemy“, fiction „Manana“,etc...

M.Davitashvili enriched georgian music art with her professionalism and high artistic creation and she told important word to musical education of child.

**Магда Тхилава** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **Роль М. Давиташвили в процессе музыкального воспитания детей**

#### **Резюме**

Мери Давиташвили всё своё творчество посвятила детям. Она углубила тематику детской музыки и сделала её более разнообразной. Простота, непосредственность, национальность, мелодичность, высокий вкус – именно так можно охарактеризовать творчество композитора.

На творчестве М. Давиташвили воспитывались целые поколения и никогда не потеряла свою актуальность. Её песни выделяются дидактическим характером. Композитор часто пользуется народными интонациями.

Своим профессионализмом и высоким художественным творчеством М. Давиташвили обогатила искусство грузинской музыки и значительное слово сказала в деле музыкального воспитания детей.

ნინო კოსტავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

### მოზარდთა კითხვის უნარების განვითარება

წიგნიერების ამოსავალი წერტილი კითხვის უნარის განვითარებაა, რომელიც მოიცავს გარკვეული აზროვნებითი პროცესების ერთობლიობას-წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების დეკოდირებითა და გაგებით დაწყებული, ტექსტის სიღრმისეული აღქმით დამთავრებული. კითხვის უნარის განვითარება მრავალი კომპონენტისგან შედგება, რომლებიც ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, სემანტიკურ, სინტაქსურ და მორფოლოგიურ ერთეულებს მოიცავს და აუცილებელ საფუძველს ქმნის გამართული და გააზრებული კითხვისათვის. თუ ეს უნარები სათანადოდაა განვითარებული, მკითხველი წიგნიერების მაღალ დონეს აღწევს და, შესაბამისად, წარმატებით შეუძლია ბეჭდვითი მასალის კითხვისას კრიტიკული აზროვნება, დასკვნების გამოტანა და სინთეზირება, ამასთან, წერის პროცესში სიზუსტის, ლოგიკურობისა და მკაფიობის გამოვლენა, ტექსტიდან მიღებული ინფორმაციისა და ამოცანების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ადეკვატური ქმედება.

უდავოა, რომ წიგნიერების განვითარებისათვის ადრეული ასაკიდანვე საჭიროა დიდი ძალისხმევა, რაც ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში კითხვის უნარების სტიმულირებას გულისხმობს. შესაბამისად, ამ საკითხზე მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მეცნიერთა ჯგუფები მუშაობენ და აპრობირებულ და შესწავლილ მეთოდებს თანამედროვე ინოვაციური მეთოდებით, მიდგომებითა და რესურსებით ამდიდრებენ. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხების შესწავლა და საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვა, რადგან ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა საკმაოდ არასახარბიელო რეალობა დაგვანახა; 2006 წელს წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში, რომელიც 9-10 წლის ბავშვთა კითხვის უნარის შეფასებას ისახავდა მიზნად, საქართველომ 45 მონაწილე ქვეყანას შორის ბოლოდან მე-9 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა წიგნიერების სწავლებას განათლების დაწყებით საფეხურზე, რაც უდავოდ პოზიტიური ცვლილებაა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.

განვიხილოთ ბავშვის კითხვის უნარების განვითარებისათვის გამიზნული ერთ-ერთი რესურსი-დონეებად დაყოფილი წიგნები, მისი მახასიათებლები, მიზნები, მნიშვნელობა. ასევე ის, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები, შესაძლებლობები და შეზღუდვები აქვს ამ რესურსს და რა თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო მისი ქართული ენის სპეციფიკაზე მორგებისათვის.

დონეებად დაყოფილი წიგნები სირთულის მიხედვით დახარისხებული პატარ-პატარა ტექსტების ერთობლიობაა, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი და მათი კითხვითი გამოცდილების საფეხურებრივ ზრდას უზრუნველყოფს. ამ ტექსტების საშუალებით წარმატებული მკითხველის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარები თანდათანობით, ეტაპობრივად ვითარდება.

დონეებად დაყოფილი მასალა უარყოფს „ერთ ყალიბში მოქცევის“ მიდგომას კითხვის უნარების განვითარებასთან მიმართებით და თითოეულ ბავშვს აძლევს საშუალებას, გააუმჯობესოს ეს უნარები ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. შესაბამისად, დონეებად დაყოფილ წიგნებს, მოზარდების კითხვის უნარების განვითარების გარდა, დიდი როლი ეკისრება სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დანერგვისთვისაც. „ენის კიბის“ უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ, ბავშვებისათვის განკუთვნილი სხვა წიგნებისგან განსხვავებით, საკითხავი მასალის დონეებად გადანაწილება სპეციალური ფორმულების საშუალებით ხდება. ის ითვალისწინებს სხვადასხვა ასპექტს, უპირველეს ყოვლისა კი, მკითხველის შესაძლებლობებს. ეს ასპექტები იმგვარად არის მოწესრიგებული, რომ მასალა მკითხველის კითხვის უნარს პატარ-პატარა, თანმიმდევრული ნაბიჯებით ავითარებს. ეს ფორმულა სხვადასხვა ავტორისა და გამომცემლობის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების ერთობლიობას წარმოადგენს.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლად კითხვისას პატარა მკითხველისათვის აუცილებელია მისი ასაკისა და ზოგადი განვითარების, ენისადმი მიდრეკილებისა და მოტივაციის შესაფერისი, კონკრეტული დონის შესატყვისი ტექსტის არჩევა, რომლის მთავარი დანიშნულება ნორჩი მკითხველის უნარების განვითარება და კითხვითი გამოცდილების გამრავალფეროვნებაა. შემთხვევითობის პრინციპით არჩეულმა ტექსტმა კი მკითხველის უსუსურობის განცდა და წაკითხული მასალის არასაკმარისი გააზრება შეიძლება გამოიწვიოს. ეს საზიანოა ბავშვისათვის და მყისიერი შედეგის (დემოტივაციისა და/ან ფრუსტრაციის) გარდა, უფრო ხანგრძლივი და სერიოზული-ფსიქიკური და ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დონეებად დაყოფილი წიგნების უმრავლესობის სამიზნე ჯგუფი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები არიან და წიგნები სკოლამდელი ასაკიდან დაწყებული (კითხვობანას თამაშით გატაცება) დაწყებითი სკოლის მოსწავლეებზეა გათვლილი. დონეებად დაყოფილი წიგნების სერიები მეტწილად კონტროლირებადი ლექსიკის (მაღალსიხშირული სიტყვები, იშვიათი სიტყვების შეზღუდული და მკაცრად კონტროლირებული რაოდენობა, კონკრეტული ფონეტიკური ერთეულები და ა.შ.) გამოყენებით არის შედგენილი. თუმცა, თანამედროვე წიგნებში დონეებად დაყოფის კრიტერიუმები ბევრად მრავალფეროვანია და მკაცრად კონტროლირებადი ლექსიკითა და კონცეპტუალური მახასიათებლების მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. ზოგადად, კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც წიგნების დაყოფა ხდება დონეებად, ტექსტური მახასიათებლების, კონტროლირებადი ლექსიკის, წინადადებების სიგრძისა და კომპლექსურობის, თემატიკისა და შინაარსის, შინაარსობრივი სტრუქტურისა და ენობრივი მახასიათებლების ერთობლიობას წარმოადგენს. ტექსტებს სამი განსხვავებული დონის სირთულის მიხედვით განიხილავენ. ესენია: სიტყვის, წინადადების და მონაკვეთის დონეები. სიტყვის დონე განიხილავს სიტყვების, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების ერთობლიობას გვერდზე და რომელთა ამოცნობა უნდა მოხდეს. წინადადების დონე ამ სიტყვებს სინტაქსური წესებისა და სემანტიკური სტრუქტურების საშუალებით აერთიანებს იმისთვის, რომ აზრობრივი ერთეულის ფორმირება მოხდეს. მონაკვეთის დონე იდეის / ცნებებისა და ჩანაფიქრების სისტემურ კავშირს წარმოადგენს. სამივე დონის ერთობლიობა ქმნის იმ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას იძლევა, დეტალურად განისაზღვროს დახმარების ხარისხი კონკრეტული დონის მასალაში. საგულისხმოა ისიც, რომ დონეებად დაყოფილი წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა პედაგოგის ჩარევას ითვალისწინებს და, შესაბამისად, მოიცავს: კითხვის წინა, კითხვისას და კითხვის შემდგომი ეტაპისათვის საჭირო რჩევებს, მოსწავლის სავარჯიშოებსა და დამხმარე მასალას, წინა და შუალედური ტესტირების ინსტრუმენტებს, ზოგად მეთოდურ და პედაგოგიურ ინსტრუქციებსა და განმარტებებს. წიგნების გამოყენება დამოუკიდებელი კითხვისთვისაცაა რეკომენდებული, თუმცა ამ შემთხვევაში მოსწავლეს სწორი მიდგომებისა და სტრატეგიების შესაბამისი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. დამოუკიდებელი კითხვისათვის წიგნების გადანაწილების პრინციპები დონეების მიხედვით განსხვავებულია. შესაბამისად, კითხვის დონეების მიხედვით დალაგებული წიგნების შერჩევისას გასათვალისწინებელია, რა ტიპის კითხვისთვისაა მასალა გათვალისწინებული. ეს ფაქტორი განაპირობებს ტექსტის სირთულის მახასიათებლების ერთობლიობას შემდეგი ზოგადი ფაქტორების გათვალისწინებით:

- სასწავლო კითხვის დონე-საშუალო, ზომიერი სირთულის დონის მასალა, რომლის წაკითხვასა და გაგებას მოსწავლე შეძლებს ადეკვატური დახმარების პირობებში;

- დამოუკიდებელი კითხვის დონე-მოსწავლე დამოუკიდებლად კითხვის შემთხვევაში შეძლებს ტექსტის წაკითხვას და გაგებას. დამოუკიდებელი კითხვის დონის დადგენა საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან, ტექსტი შეიძლება ბავშვისათვის:

- რთული აღმოჩნდეს, მოსწავლეს დამოუკიდებლად კითხვისას ტექსტის გააზრება უძნელდება. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა კი დამოუკიდებელი კითხვის პირობებში მოსწავლეში ნეგატიურ ემოციებსა და დემოტივაციას იწვევს.

- იმდენად მარტივი აღმოჩნდეს, რომ ბავშვის კითხვის მოტივაცია დააქვეითოს.

დონეებად დაყოფილი წიგნების ეფექტიანობა სწორედ ისაა, რომ ფორმულაში გაერთიანებული კრიტერიუმების მრავალფეროვნება აბალანსებს სირთულე-სიმარტივის საკითხებს.



მოსწავლისათვის კითხვის უნარების განვითარებასთან (დაბალანსებული სირთულეები, რომელთა გადალახვა მოსწავლის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი მიზნის მიღწევასთანარის დაკავშირებული) ერთად, მოტივაციის შესანარჩუნებელი სირთულის (მოსწავლე კმაყოფილია იმით, რომ მან ტექსტის წაკითხვისა და გააზრებისას გარკვეული სირთულე გადალახა) მასალას სთავაზობს.

მეცნიერები წიგნების დონეებად დაყოფას ნებისმიერ შემთხვევაში სასწავლო პროცესს უკავშირებენ. ეს პროცესი როგორც საგაკვეთილო, ასევე კლასგარეშე აქტივობებსა და სახლში მუშაობას შეიძლება უკავშირდებოდეს. შესაბამისად, ისინი მიიჩნევენ, რომ დონეებად დაყოფას სამი ძირითადი მიზეზი აქვს;

1. მასწავლებლის საჭიროება, არჩევანი სწავლებისა და სწავლის გამოცდილების შესაბამისად გააკეთოს.

2. საშიშროება, რომ ახალბედა მკითხველმა მისთვის შეუფერებლად რთული მასალით მიიღოს კითხვის პირველი გამოცდილება.

3. მასწავლებლის საჭიროება, კარგად განსაზღვროს სირთულეების ხარისხი, რომელთაც კონკრეტულ ტექსტთან მიმართებით აწყდება მკითხველი, დახმარების ფორმა, რომელიც ამ სირთულის გადალახვას უზრუნველყოფს და ეს მონაცემები სწავლების პროცესზე განაზოგადოს.

ამ დებულებების გათვალისწინებით ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი იმ აუცილებლობას, რომელიც საკითხავი მასალის ზედმიწევნით ზუსტ შერჩევასთან არის დაკავშირებული, სადაც თავად კითხვის პროცესი მუდმივი მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობს. საკითხავი მასალის შესაბამისობის დადგენის პროცესი რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება.

- მოსწავლის კითხვის წინარე უნარების შეფასება;
- ტექსტის კითხვადობის დადგენა, პილოტირება;
- დამოუკიდებელი კითხვისათვის შესაფერისი საკითხავი ზღვრის დადგენა.
- მუდმივი კონტროლი და საკითხავი მასალის საფეხურებრივი და ჟანრობრივი „მოწესრიგება“.

სხვადასხვა სერიის ტექსტებში სხვადასხვა ფორმულა და კრიტერიუმები გამოიყენება, საიდანაც ნაწილი კითხვადობის ფორმულის პრინციპს ეფუძნება, ხოლო ზოგი კი რამდენიმე კრიტერიუმის ერთობლიობას იყენებს, როგორცაა, მაგალითად, ენობრივი პროგნოზირება, ტექსტის ფორმატი და შინაარსი. სხვები კი ასო-ბგერის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპზეა აგებული.

კითხვის ადრეულ საფეხურზე მასალების უმეტესობა მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსის გარშემო ტრიალებს, როგორებიცაა, ოჯახი, სკოლა, ყოველდღიური ცხოვრება... თემატიკა და იდეები მარტივია. მაგალითისთვის, დახმარების აღმოჩენა, მეგობრობა და ა.შ. მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებასთან ერთად შინაარსი, თემატიკა და იდეები უფრო და უფრო კომპლექსური ხდება. უდავოა, რომ დონეების დაყოფის დროს აუცილებლობას წარმოადგენს კითხვის განვითარების საფეხურების ცოდნა, რომელიც განმარტავს, თუ რა უნარების ერთობლიობას ფლობს მკითხველი და კითხვის რა გამოცდილება აქვს. ეს საფეხურები მოსწავლის გამოცდილებაზეა დამოკიდებული და არაა მისი ასაკით ან სწავლის ხანგრძლივობით (კლასით) განპირობებული. სწორედ კითხვის უნარები განსაზღვრავს მოსწავლის კითხვის კომპეტენციებს და სხვადასხვა ტიპის მკითხველად აქცევს მას. მკითხველის განვითარების საფეხური წარმოადგენს დონეებად დაყოფილი წიგნების შერჩევისას მკითხველის ინდივიდუალურ საჭიროებებზე აგებული მასალის „შესატყვისობის“ ათვლის წერტილს.

საგულისხმოა, რომ რიგი გამოცემებისა დონეებად დაყოფილ წიგნებს კითხვის საფეხურების, ასაკის ან კლასის მიხედვით შეუსაბამებს ფერებს. თუმცა არსებობს კრიტიკული მოსაზრებებიც დონეების ამგვარად დაყოფასთან დაკავშირებით, რადგან ფერებად დაყოფილი საკითხავი მასალები დონეების შეცვლის თანდათანობით, შეუმჩნეველი ნაბიჯებით განვითარების პრინციპს უგულვებელყოფს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩეულმა წიგნმა დახმარება უნდა გაუწიოს პატარა მკითხველს როგორც საკლასო ოთახში, პედაგოგის მიერ მართული კითხვისას, ასევე დამოუკიდებელი კითხვის შემთხვევაშიც. მისი მიზანი კითხვის უნარის განვითარებაა. ამავდროულად, მოსწავლე ტექსტებთან ურთიერთობით იღებს სიამოვნებასაც და გამოცდილებასაც.

როცა ტექსტების დონეები ფერების საშუალებით თვალსაჩინოა, მოსწავლე საკუთარი კითხვის საფეხურს მკაფიოდ აცნობიერებს და ტექსტს არა ინტერესისა და მიზნის, არამედ საფეხურის შესაბამისად არჩევს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მაღალი მოტივაციისა და კოგნიტური უნარების კარგად განვითარების შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია, კითხვის მაღალ საფეხურს ასაკობრივი მონაცემისგან დამოუკიდებლად მიაღწიოს და მისი დონისათვის ბევრად რთულ ტექსტსაც გაუმკლავდეს.

დონეებად დაყოფილ მასალაზე ერთობ დამოკიდებული მასწავლებლები მოსწავლეებისაგან თავისი საფეხურისათვის შესაფერისი დონის წიგნის არჩევას მოითხოვენ. თუმცა, თუ მოსწავლის კითხვის უნარის, განვითარების ინტენსივობის, ინტერესებისა და სტილის შეფასება რეგულარულად არ ხდება, დიდია იმის ალბათობა, რომ დონეებად დაყოფილი წიგნები არა მოსწავლეზე, არამედ საფეხურზე იქნება ორიენტირებული. დონეებად დაყოფის მრავალი კონცეპტუალური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური კრიტერიუმი და კომპლექსური სისტემა გვაძლევს საბაზს დავასკვნათ, რომ წიგნების დონეებად დაყოფის დროს უამრავი ფაქტორის გათვალისწინება და ანალიზია საჭირო, რაც ტექსტების დაყოფას ურთულეს ამოცანად აქცევს.

თითოეული დონისათვის კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი, წარმოვადგენთ ერთ ნიმუშს :

**მე-3 დონე:** 3-8 სიტყვა თითო წინადადებაში, 5-6 სიტყვა საშუალოდ; 1-2 სტრიქონი თითო გვერდზე; 50-80 სიტყვა სულ; დასრულებული წინადადებები; მარტივი თანდებულები და შესავალი ნაწილი; მაქს. 2-3 მაღალსიხშირული ახალი სიტყვა 103 სიტყვის განმეორებითი სტურქტურით; ენობრივი სტურქტურა შეიძლება განსხვავებული იყოს პირველ და ბოლო გვერდებზე; პროგნოზირებადი ენა; მარტივი დიალოგები შესაძლებელია; ნაცნობი თემატიკა; თანამიმდევრული ტექსტური წყობა; სულ 8 გვერდი;

**მე-7 დონე:** 130-180 სიტყვა სულ; 3-8 სტრიქონი თითო წინადადებაში; 2-12 სიტყვა წინადადებაში; ტექსტური განლაგება ცვალებადია; პროგნოზირებადი ენა და ენობრივი კოსტრუქციები; 2-4 სიტყვის ცვლილება ტექსტის შუაში, რომელიც სტრუქტურულ ერთობლიობაშია; დასაწყისი და ბოლო გვერდები განსხვავებული სტრუქტურითაა მოცემული; ტექსტის გარკვეული ნაწილის განმეორება შესაძლებელია წინა გვერდებიდან; მკაფიო თანამიმდევრობა; ილუსტრაციებზე ნაკლები დამოკიდებულება; 8-10 გვერდი საშუალოდ;

**მე-13 საფეხური:** 420-600 სიტყვა სულ; 8-10 სიტყვა საშუალოდ წინადადებაში; ტექსტით სრული გვერდი; მცირე ილუსტრაციული მხარდაჭერა; რთული წინადადებები; უფრო სტანდარტიზირებული ლექსიკონი; ილუსტრაციები მხოლოდ მნიშვნელობის გაძლიერებისთვის გამოიყენება; სარჩევი, მინაწერები, ინდექსი, ლექსიკონი (გლოსარი); შეიძლება დიალოგებად იყოს დაყოფილი; 16-20 გვერდი;

**მე-16 საფეხური:** 920-1200 სიტყვა სულ; 9,5-11,5 სიტყვა საშუალოდ წინადადებაში; ძალიანშემცირებული ილუსტრაციული მხარდაჭერა; რთული წინადადებები; უფრო სტანდარტიზირებული ლექსიკონი; სარჩევი, მინაწერები, ინდექსი, ლექსიკონი (გლოსარი); ცხრილები და ჩარტები; შეიძლება დიალოგებად იყოს დაყოფილი; 20-24 გვერდი;

ცხადია, დონეებად დაყოფილი წიგნები ვერ იქნება ერთადერთი სასწავლო საშუალება, რომელმაც სწავლების დაწყებით საფეხურზე ქართულის კითხვის უნარების განვითარების რთული ამოცანა შეიძლება შეასრულოს. თუმცა სხვა მასალებთან ერთად ის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს წიგნიერებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვისა და გაძლიერებისათვის.

## რეზიუმე

წიგნიერების ამოსავალი წერტილი კითხვის უნარის განვითარებაა, რომელიც მოიცავს გარკვეული აზროვნებითი პროცესების ერთობლიობას-წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების დეკოდირებითა და გაგებით დაწყებული, ტექსტის სიღრმისეული აღქმით დამთავრებული. კითხვის უნარის განვითარება მრავალი კომპონენტისგან შედგება, რომლებიც ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, სემანტიკურ, სინტაქსურ და მორფოლოგიურ ერთეულებს მოიცავს და აუცილებელ საფუძველს ქმნის გამართული და გააზრებული კითხვისათვის. თუ ეს უნარები სათანადოდაა განვითარებული, მკითხველი წიგნიერების მაღალ დონეს აღწევს და, შესაბამისად, წარმატებით შეუძლია ბეჭდვითი მასალის კითხვისას კრიტიკული აზროვნება, დასკვნების გამოტანა და სინთეზირება. წიგნიერების განვითარებისათვის ადრეული ასაკიდანვე საჭიროა დიდი ძალისხმევა, რაც ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში კითხვის უნარების სტიმულირებას გულისხმობს.

სტატიაში განვიხილულია ბავშვის კითხვის უნარების განვითარებისათვის დონეებად დაყოფილი წიგნები, მისი მახასიათებლები, მიზნები, მნიშვნელობა. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები, შესაძლებლობები და შეზღუდვები აქვს ამ რესურსს და რა თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო მისი ქართული ენის სპეციფიკაზე მორგებისათვის.

**Нино Костава** - Государственный университет Акакия Церетели

### **Развитие навыка чтения подростков**

#### Резюме

Исходной точкой книжности является развитие навыка чтения, которая включает единство определенных мыслительных процессов -начиная с декодирования и понимания произнесенных и написанных слов, заканчивая глубинным восприятием текста. Развитие навыка чтения состоит из многих компонентов, которые включают фонологические, орфографические, семантические, синтаксические и морфологические единицы и создает необходимую основу для осмысленного и беглого чтения. Если эти навыки развиты соответственно, читатель достигает высокого уровня книжности и, соответственно, может при чтении печатного материала критически мыслить, делать выводы и синтезировать. Для развития книжности с раннего возраста необходимы большие усилия, которая подразумевает стимулирование навыка чтения в дошкольном возрасте.

В статье рассмотрены разделенные по уровням книги для развития уровня чтения ребенка, его характеристики, цели, значение, положительные и отрицательные стороны, возможности и ограничения, которые имеет этот ресурс и какие особенности необходимо учитывать для его адаптации их для специфики грузинского языка.

**Nino Kostava** - Akaki Tsereteli State University

### **The development of adolescent reading skills**

#### Abstract

The starting point for the development of literacy skills in reading, which includes some combination of thinking processes-starting from the understanding of spoken and written words, ending with text depth perception. The development of reading skills composed with many components, which includes phonological, orthographic, semantic, syntactic and morphological units and creates essential basis for the smooth and thoughtful reading. If these skills are properly developed, the reader reaches the high level of literacy and therefore, can successfully use critical thinking in reading print materials, draw conclusions and synthesizing. For literacy development much effort is needed from an early age that means to stimulate reading skills in the pre-school period.

The article deals the books that are divided into levels for children's reading skills development, its characteristics, purposes, and meanings. What are the advantages and disadvantages, possibilities and limitations of this resource and what are the features to be weighed to fit on the specificity of the Georgian language.

თამარ მამარდაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### ნამყო დროის საობიექტო მიმღებების მაწარმოებელთა დისტრიბუციის სწავლებისათვის

ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღება სუფიქსიანის გარდა არის ასევე პრეფიქსიანიც, მაწარმოებელია ნა- თავსართი. ორთემიანი ზმნებიდან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღება ძირითადად ამოსავლად იყენებს ზმნის აწმყოს (ე.ი. თემის ნიშნით გავრცობილ) ფუძეს:

- |  |                               |
|--|-------------------------------|
| <b>იბ:</b> ბრძან-ებ-ს - ნა-ბრძან-ებ-ი              | ა-შენ-ებ-ს - ნა-შენ-ებ-ი      |
| ა-ლაგ-ებ-ს - და-ნა-ლაგ-ებ-ი                        | ა-ზარ-ებ-ს - და-ნა-ზარ-ებ-ი   |
| ა-ქ-ებ-ს - ნა-ქ-ებ-ი                               | ა-ჩვენ-ებ-ს - ნა-ჩვენ-ებ-ი... |
| <b>ობ:</b> ა-წყ-ობ-ს - და-ნა-წყ-ობ-ი               | გმ-ობ-ს - ნა-გმ-ობ-ი          |
| სპ-ობ-ს - მო-ნა-სპ-ობ-ი                            | ა-ცხ-ობ-ს - და-ნა-ცხ-ობ-ი     |
| ა-პ-ობ-ს - და-ნა-პ-ობ-ი                            | ა-მკ-ობ-ს - ნა-მკ-ობ-ი...     |
| <b>ამ:</b> სვ-ამ-ს - ნა-სვ-ამ-ი                    | ა-ბ-ამ-ს - ნა-ბ-ამ-ი          |
| დგ-ამ-ს - ნა-დგ-ამ-ი                               | იცვ-ამ-ს - ჩა-ნა-ცვ-ამ-ი      |
| ურტყ-ამ-ს - მო-ნა-რტყ-ამ-ი ...                     |                               |
| <b>ემ:</b> სც-ემ-ს - ნა-ც-ემ-ი                     | გა-სც-ემ-ს - გა-ნა-ც-ემ-ი     |
| მი-სც-ემ-ს - მი-ნა-ც-ემ-ი ...                      |                               |
| <b>ევ:</b> ა-ბნ-ევ-ს - და-ნა-ბნ-ევ-ი               | ა-ხვ-ევ-ს - შე-ნა-ხვ-ევ-ი     |
| ა-თრ-ევ-ს - ნა-თრ-ევ-ი                             | ა-კმ-ევ-ს - ჩა-ნა-კმ-ევ-ი     |
| ა-ფრქვ-ევ-ს - ნა-ფრქვ-ევ-ი                         | ა-რბ-ევ-ს - ნა-რბ-ევ-ი...     |
| <b>ოფ:</b> ყ-ოფ-ს - გა-ნა-ყ-ოფ-ი, და-ნა-ყ-ოფ-ი ... |                               |

-ავ თემისნიშნითა ზმნათა მიმღებებიდან ზოგი ეყრდნობა I, ზოგიც II სერიის თემას:

- |  |                          |
|--|--------------------------|
| რწყ-ავ-ს - მო-ნა-რწყ-ავ-ი                    | ფქვ-ავ-ს - ნა-ფქვ-ავ-ი   |
| კლ-ავ-ს - მო-ნა-კლ-ავ-ი                      | ხრ-ავ-ს - ნა-ხრ-ავ-ი     |
| რგ-ავ-ს - და-ნა-რგ-ავ-ი                      | ხნ-ავ-ს - ნა-ხნ-ავ-ი ... |
| შდრ.: ხარშ-ავ-ს - მო-ხარშ-ა - მო-ნა-ხარშ-ი   |                          |
| ჭიმ-ავ-ს - და-ჭიმ-ა - და-ნა-ჭიმ-ი            |                          |
| ბამ-ავ-ს - მი-ბამ-ა - მი-ნა-ბამ-ი            |                          |
| კარგ-ავ-ს - და-კარგ-ა - და-ნა-კარგ-ი         |                          |
| კიცხ-ავ-ს - გა-კიცხ-ა - გა-ნა-კიცხ-ი და სხვ. |                          |

დადასტურდა ერთეული შემთხვევები, სადაც გამოვლინდა პარალელური წარმოება. კერძოდ, წარსულდროიანი პრეფიქსიანი მიმღების საწარმოებლად გამოყენებულია -ავ და -ებ თემისნიშნითა ზმნათა უთემისნიშნო და თემისნიშნითა (I და II სერიის) ფორმები:

- |                            |                               |
|----------------------------|-------------------------------|
| ნა-პარ-ავ-ი - ნა-პარი      | ნა-ბრუნ-ებ-ი - ნა-ბრუნ-ი      |
| ნა-გვალ-ავ-ი - ნა-გვალ-ი   | და-ნა-გუბ-ებ-ი - და-ნა-გუბ-ი  |
| ნა-მალ-ავ-ი - ნა-მალ-ი     | ნა-კეთ-ებ-ი - ნა-კეთ-ი        |
| ნა-მუსრ-ავ-ი - ნა-მუსრ-ი   | ნა-მზად-ებ-ი - ნა-მზად-ი      |
| ნა-მარცვ-ავ-ი - ნა-მარცვ-ი | ნა-შენ-ებ-ი - ნა-შენ-ი .. (1) |

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ძველ ქართულში -ავ და -ამ თემის ნიშნითა ზმნათა ერთი ნაწილი ნა- პრეფიქსის დართვისას ერთგვარ თავისებურებას აჩენდა: -ავ და -ამ იცვლებოდა -ევ-ად და -ემ-ად: ნა-მალ-ევ-ი, ნა-მარხ-ევ-ი, ნა-მუსრ-ევ-ი, ნა-პარ-ევ-ი, აღ-ნა-თქუ-ემ-ი და მისთ. [5, გვ.575; 2, გვ.77-81]. ასეთი წარმოების სიტყვები თანამედროვე ქართულში იშვიათად არის შემორჩენილი: ნა-თვალ-ევ-ი („ნათვალევის ლოცვა“). ა. შანიძის აზრით, ამგვარად ნაწარმოები მიმღებანი არსებით სახელებს ეკედლებიან. ამ გზითაა მიღებული „მგელ“ სიტყვისაგან ნა-მგლ-ევ-ი (მგლისაგან კბილ-გაკრული) [5, გვ.140].



ივ. იმნაიშვილის აზრით, ავიანი და ამიანი ზმნებისაგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოებ მიმდებარებში საქმე გვაქვს დისიმილაციის განსაკუთრებულ სახეობასთან: ნამარხევი (←ნამარხავი), ნამუსრევი (←ნამუსრავი), ნაპარევი (←ნაპარავი), აღნათქუემი (←აღნათქუამი), ნაზორევი და მისთ. [2, გვ. 77]. ავტორი ამ პროცესს ამგვარად ხსნის: „აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს რეგრესულ დისიმილაციასთან. ზემოთ მოყვანილი მაგალითების ერთ ნაწილს ფუძის მარცვალში აქვს ა (მალ, მარხ, პარ, მარცუ), სხვებს - ო (ზორ) ან უ (მუსრ, ხუთ), ზოგჯერ ფუძე უმარცვლოა (თქუ, სხლ). -ავ, -ამ სუფიქსების დართვისას პირველი წყების მაგალითებს, სულ მცირე, სამსავე მარცვალში ა ექნებოდათ: ნა-მალ-ავ, ნა-მარხ-ავ, ნა-პარ-ავ, ნა-მარცუ-ავ, ხოლო თუ ფორმის წინ სათანადო ან-იანი ზმნისწინი დაემატებოდა, ახალ ფუძეში ოთხივე (ხუთივე) მარცვალი ან-იანი იქნებოდა: და-ნა-მალ-ავ, და-ნა-მარხ-ავ... სწორედ ანების ამგვარი თავმოყრის ასაცილებლად უკანასკნელი მათგანი განემსგავსება პირველთ და ე-დ იქცევა (ნა-მალ-ევ, ნა-მარხ-ევ, ნა-პარ-ევ, ნა-მარცუ-ევ). არსებითად ამავე მიზეზის გამო ხდება დისიმილაცია ზემოთ აღნიშნულ სხვა შემთხვევებშიც. ო და უ ხმოვნები ვერ აკავებს ამ პროცესს, პირველსა და უკანასკნელ მარცვლებში მაინც ანები აღმოჩნდებოდა [2, გვ. 81].

ავტორს სათანადო მასალებზე დაყრდნობით მოყვას ისეთი მაგალითებიც, სადაც -ავ და -ამ თემისნიშნთან მიმდებარებს დისიმილაცია არ მოსვლიათ: ნა-თეს-ავ-ი (სთესავს ზმნისაგან ნაწარმოები), ნა-ლეს-ავ-ი, ნა-ტყუენ-ავ-ი, ნა-ღელ-ავ-ი და ამ ფორმებში დისიმილაციის არქონას საწარმოებელ ფუძეში ე ხმოვნის არსებობით ხსნის, შენაცვლებისას უკვე ორი ე იქნებოდა სიტყვაში (იქვე).

განსხვავებულ ვითარებას უჩვენებს ი- თემისნიშნთან ზმნები, რომელთაც ფუძე ეკუმშებათ I სერიაში, ხოლო II სერიაში გაშლილი ფუძით გვევლინებიან (ზრდ-ი-ს - გა-ზარდ-ა). ასეთი ზმნების მიმდებარები II სერიის (გაშლილ) ფუძეს იყენებენ (ნა-ზარდ-ი და არა ნა-ზრდ-ი). მაგ.:

თლ-ი-ს - გა-თალ-ა - გა-ნა-თალ-ი [1, გვ. 71]

ღვრ-ი-ს - და-ღვარ-ა - და-ნა-ღვარ-ი (იქვე, გვ. 275)

თხრ-ი-ს - გა-თხარ-ა - გა-ნა-თხარ-ი (გვ. 85)

ყრ-ი-ს - გადა-ყარ-ა - გადა-ნა-ყარ-ი (გვ. 281)

ცვლ-ი-ს - გამო-ცვალ-ა - გამო-ნა-ცვალ-ი (გვ. 323) და ა. შ.

ამ წესს მისდევს აგრეთვე „დაგვა“: გვ-ი-ს - და-გავ-ა - ნა-გავ-ი.

აქ, -ავ, რასაკვირველია, ძირის კუთვნილებაა და არა თემის ნიშანი, მაგრამ რაკი II სერიაში ფუძის ბოლოს -ავ აღმოჩნდა, ძველ ქართულში მან -ავ-იანი ზმნების ბედი გაიზიარა და დისიმილაციის კანონს დაემორჩილა. როგორც ივ. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ მოყვანილი სათანადო მაგალითები მოწმობს, ძველ ქართულში „ნაგავი“ ფორმის გვერდით გვხვდებოდა ამგვარი (დისიმილაციანი) ფორმებიც: ნა-გევ-ი, გარდა-ნა-გევ-ი [2, გვ.83-84].

ი- თემისნიშნთან ზმნათა ერთი ნაწილი წარსულდროიან მიმდებარებს ნა- პრეფიქსით ვერ აწარმოებს და მხოლოდ სუფიქსურ წარმოებას იყენებს:

სჯ-ი-ს - და-საჯ-ა - და-სჯ-ილ-ი (და არა და-ნა-საჯ-ი)

ხრ-ი-ს - და-ხარ-ა - და-ხრ-ილ-ი (და არა და-ნა-ხარ-ი)

სვრ-ი-ს - და-სვარ-ა - და-სვრ-ილ-ი ( და არა და-ნა-სვარ-ი) ...

ნა-პრეფიქსის საშუალებით მიმდებარე ერთთემიანი ზმნებიდანაც იწარმოება:

წერ-ს - ნა-წერ-ი

ფხან-ს - ნა-ფხან-ი

ბან-ს - ნა-ბან-ი (და-ნა-ბან-ი)

ქსოვ-ს - ნა-ქსოვ-ი

ჩეხ-ს - ნა-ჩეხ-ი

ძოვ-ს - ნა-ძოვ-ი (მო-ნა-ძოვ-ი)

კვეც-ს - მო-ნა-კვეც-ი

ჭამ-ს - ნა-ჭამ-ი...

თ. სანიკიძე ნა- პრეფიქსიან მიმდებარებზე მსჯელობისას შენიშნავს: „ნ-ით დაწყებულ ძირებს ჩვეულებრივ ნა- პრეფიქსიანი მიმდებარე არ ეწარმოებათ“ [3, გვ. 41]. გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიასა და დ. შენგელიას „ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში“ შეტანილია ნ-ით დაწყებული ძირებისაგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმდებარე ფუძეები: ნა-ნთ-ებ, ნა-ნათლ, ნა-ნდობ, ნა-ნდ-ომ, ნა-ნათ, ნა-ნადგურ-ევ, ნა-ნაზღაურ-ებ, ნა-ნამ, ნა-ნატრ, ნა-ნახ, ნა-ნგრ-ევ, ჩამო-ნა-ნგრ-ევ, ნა-ნიშნ, ჩა-ნა-ნიშნ, ნა-ნუგემ (გვ. 119-171).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ნა- პრეფიქსიანი მიმდებარე ყველაზე ძველია მიმდებარათა შორის“ [6, გვ. 184], თუმცა, ძველ ქართულშივე ხშირია ნამყოფ მიმდებარათა წარ-

მოება -ილ, -ულ სუფიქსებით. გამოითქვა მოსაზრება: ამ ფაქტს შესაძლოა განაპირობებდეს ის ფაქტი, რომ ძველ სალიტერატურო ქართულზე იმ კილოს გავლენა, სადაც ნა- პრეფიქსი იყო პროდუქტიული, შემცირებულია (ნა- პრეფიქსის ხვედრითი წონა თითქოს გაცილებით დიდია დასავლურ დიალექტებში) (ე. ოსიძე).

ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობის მაწარმოებელი ნა-, -ილ და -ულ აფიქსთა გამოყენება განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება. კერძოდ, ზმნისწინიანი მიმღეობებში დასტურდება როგორც პრეფიქსიანი, ისე სუფიქსიანი წარმოება: ა-ნა-შენ-ებ-ი - ა-შენ-ებ-ულ-ი, და-ნა-მზად-ებ-ი - და-მზად-ებ-ულ-ი, და-ნა-წერ-ი - და-წერ-ილ-ი, გა-ნა-კეთ-ებ-ი - გა-კეთ-ებ-ულ-ი, და-ნა-ბეჭდ-ი - და-ბეჭდ-ილ-ი და მისთ. უზმნისწინო ფორმებისათვის უმეტესწილად პრეფიქსიანი წარმოებაა დამახასიათებელი: ნა-ბეჭდ-ი, ნა-წერ-ი, ნა-კეთ-ებ-ი, ნა-შენ-ებ-ი და სხვა [5, გვ. 571].

ამასთანავე დაკავშირებული, რომ ის ზმნები, რომლებიც საზოგადოდ უზმნისწინოდ იხმარება, ვნებითი გვარის მიმღეობას უმეტესად ნა-თი აწარმოებენ: იყიდა - ნაყიდი, იპოვნა - ნაპოვნი, იკისრა - ნაკისრი, ითხოვა - ნათხოვი, თქვა - ნათქვამი (შდრ.: თქმ-ულ-ი).

იშვიათად გვხვდება -ილ/-ულ მაწარმოებლიანი მიმღეობა უზმნისწინოდ „და გზა უვალი, შენგან თელილი...“), ითქმის გა-ფიც-ულ-ი, შე-ფიც-ულ-ი, მაგრამ ნა-ფიც-ი და მისთ. ნა- პრეფიქსიანი მიმღეობები ხშირად სუბსტანტივდება.

შდრ.: ნაგლეჯი - დაგლეჯილი, ნაწნავი - დაწნული, ნატეხი - გატეხილი, ნაჭერი - მოჭრილი და სხვანი.

მიმღეობის -ილ სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება სუბსტანტივებად, მაგრამ პრევერბის გარეშე. საკმარისია ზმნისწინი დავურთოთ, რომ ეს ფორმა ნაზმნარ ზედსართავ სახელად მოგვევლინოს: ფქვილი - დაფქვილი, თხრილი - გათხრილი, ბორკილი - შებორკილი და მისთ.

მიუხედავად წარსულდროიანი მიმღეობების პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების დისტრიბუციისა, მონაცვლეობა მათ შორის მაინც ხდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მონაცვლეობა შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. კერძოდ, ნა- პრეფიქსი და -ილ სუფიქსი ერთმანეთს ჩაენაცვლება, როცა მიმღეობა ნაწარმოებია ფუძედრეკადი, ასევე -ი, -ობ, -ოფ თემისნიშნისა ზმნებისაგან:

და-ნა-გრებ-ი - და-გრებ-ილ-ი	გა-ნა-პ-ობ-ი - გა-პ-ობ-ილ-ი
მო-ნა-ტებ-ი - მო-ტებ-ილ-ი	შე-ნა-ტყ-ობ-ი - შე-ტყ-ობ-ილ-ი
მო-ნა-ცვეთ-ი - მო-ცვეთ-ილ-ი	და-ნა-მხ-ობ-ი - და-მხ-ობ-ილ-ი
გა-ნა-ჩხრეკ-ი - გა-ჩხრეკ-ილ-ი	გა-ნა-ყოფ-ი - გა-ყოფ-ილ-ი...

ხოლო ნა- პრეფიქსისა და -ულ სუფიქსის მონაცვლეობა ხდება მაშინ როცა მიმღეობა ნაწარმოებია -ავ, -ებ, -ამ, -ევ თემისნიშნისა ზმნათაგან. მაგ.:

მო-ნა-კლ-ავ-ი - მო-კლ-ულ-ი	ჩა-ნა-ცვ-ამ-ი - ჩა-ც-მ-ულ-ი
და-ნა-ხატ-ავ-ი - და-ხატ-ულ-ი	გა-ნა-თ-ევ-ი - გა-თ-ე-ულ-ი
ა-ნა-შენ-ე-ბი - ა-შენ-ებ-ულ-ი	და-ნა-ბნ-ევ-ი - და-ბნ-ე-ულ-ი და სხვ. [3, გვ. 47].
გა-ნა-კეთ-ებ-ი - გა-კეთ-ებ-ულ-ი	

მკვლევარს მიაჩნია, რომ სალიტერატურო ენაში არსებულმა ზმნის თემატურმა სუფიქსებმა გამოიწვიეს მიმღეობის საწარმოებელ საშუალებათა სიმრავლე და მათი მონაცვლეობაც სწორედ ამოსავალი ფუძეების სხვადასხვაობითვე უნდა აიხსნას და არა მაწარმოებელ აფიქსთა სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობით (იქვე).

გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით განსხვავება -ილ/-ულ სუფიქსითა და ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობების უმეტეს ნაწილში ამჟამად არ არსებობს ანუ ამგვარი ფორმები ერთსა და იმავე ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავენ. ამდენად, ისინი ერთმანეთის მიმართ სინონიმებს წარმოადგენენ. ეს კარგად ჩანს მათი განმარტებებიდანაც. ქვემოთ მოცემული გვაქვს ნა-/ულ და ნა-/ილ აფიქსებიანი ფორმები:

**დაგებული** - რაც დააგეს, დაიგეს ან დაუგეს; დ. ლოგინი//დ. ხაფანგი [4, გვ. 359]

**დანაგები** - რაც დააგეს, დაგებული (გვ. 400)

**წაკითხული** - რაც წაკითხეს; წ. წიგნი (გვ. 1191)

**წანაკითხი** - იგივეა, რაც წაკითხული (გვ. 1202)

**განაწვალები** - იგივეა, რაც გაწვალებული (გვ. 266)

**გაწვალებული** - ვინც, რაც გაწვალდა (გვ. 312)

**მინატანი** - იგივეა, რაც მიტანილი (გვ. 660)

**მიტანილი** - რაც მიიტანეს (გვ. 662)

**განაცვენი** - რაც გასცვივდა რასმე, ვისმე (გვ. 266)

**გაცვენილი** - რაც გასცვივდა ვისმე, რასმე; გ. თმა (გვ. 309)

**ამონახეთქი** - რამაც ამოხეთქა, ამოხეთქილი (გვ. 56)

**ამოხეთქილი** - რამაც ამოხეთქა; ა. ნავთობის შადრევანი (გვ. 64)

თუმცა იმთავითვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმღეობათა მნიშვნელობები ყოველთვის არ არის აბსოლუტურად იდენტური და, შესაბამისად, მონაცვლეობაც ყოველთვის ვერ ხერხდება:

**დაკარგული** - რაც დაკარგეს ან დაიკარგა; ვინც დაიკარგა (გვ. 387)

**დანაკარგი** - 1. რაც დაკარგეს - დაკარგული.

2. უყაირათობის შედეგად გაჩენილი უსარგებლო ნარჩენები წარმოებაში, მოსავლის დაუდევრად აღებისას გაბნეული მარცვლეული (გვ. 400)

მეორე მნიშვნელობით ვერ გამოვიყენებთ სუფიქსიან ფორმას. ითქმის: მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა და არა დაკარგული განიცადა.

ასევე: **ჩაწერილი** - ვინც, რაც ჩაწერეს. დავთარში ჩ. გვარები (გვ. 1149)

**ჩანაწერი** - 1. რაც ჩაწერეს, ჩაწერილი

2. ჩაწერილი რამ. მეცნიერული ჩანაწერები (გვ. 1135)

არ ვამბობთ - მეცნიერული ჩაწერილები.

ზოგ შემთხვევაში ნა- პრეფიქსიანი უზმნისწინო მიმღეობები სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავენ სუფიქსურთან შედარებით. შესაძლოა იმიტომაც, რომ პრევერბის დაურთველობის გამო ისინი გასუბსტანტივებისაკენ იჩენენ მიდრეკილებას. მაგ.:

**დაგლეჯილი** - რაც დაგლიჯეს ან დაიგლიჯა; დ. ფარდაგი//დ. ცხვარი (გვ. 360)

**ნაგლეჯი** - რისამე მოგლეჯილი ნაწილი, ნაფლეთი (გვ. 766)

**ჩაცმული** - 1. ვისაც ჩააცვეს ან ვინც ჩაიცვა, ვისაც ტანზე აცვია რამე

2. რაც ჩააცვეს ვისმე, რაც ჩაიცვეს (გვ. 1149)

**ნაცვამი** - ის, რაც ვისმე უკვე ეცვა; ნახმარი, ნ. კაბა (გვ. 779)

**გატეხილი** - 1. რაც გატეხეს ან გატყდა; გ. ფანჯარა

2. რაც გაუტეხეს ან გაუტყდათ; გ. ცხვირი

3. გადატ. აღიარებული, გულახდილად ნათქვამი, ცოცვა გ. ჯობიაო (გვ. 285)

**ნატეხი** - 1. რაც მოატეხეს ან მოტყდა რასმე; პურის ნ.

2. ადგილი, საიდანაც მოატეხეს ან მოტყდა რამე. კიდის გამოშვერილი ნატეხები

3. გატეხილი, დამტვრეული, ნ. სტვირი (გვ. 775)

ამდენად, წარსულდროიან მიმღეობათა პრეფიქსულ და სუფიქსურ წარმოებას შორის მონაცვლეობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მიმღეობათა პარალელური ფორმების უმეტესობა ერთმანეთის მიმართ მორფოლოგიურ სინონიმებს წარმოადგენს.

## ლიტერატურა

1. გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ., ქართული ენის სახელწმინდური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1991
2. იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1982
3. სანიკიძე თ., მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის, თსუ შრომები, 164, თბ., 1975
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას რედაქციით), ტ. I (1950) – ტ. VIII (1964)
5. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
6. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942

## რეზიუმე

ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღობა სუფიქსიანის გარდა არის ასევე პრეფიქსიანიც, მაწარმოებელია ნა- თავსართი. ამგვარი წარმოება მიმღობისა ყოველთვის საობიექტოა და საწარმოებლად იყენებს ზმნის თემისნიშნიან ან უთემისნიშნო ფუძეს. ნა- პრეფიქსი და -ილ, -ულ სუფიქსები არსებითად ერთსა და იმავე გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, თუმცა მათი გამოყენება განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება. კერძოდ, ზმნისწინიანი მიმღობებისათვის ჩვეულებრივია როგორც პრეფიქსიანი, ისე სუფიქსიანი წარმოება, უზმნისწინო ფორმები კი უმეტესწილად ნა- პრეფიქსს დაირთავენ, დასტურდება გამონაკლისი შემთხვევებიც. ხშირია მაწარმოებლებს შორის მონაცვლეობაც, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მიმღობათა პარალელური ფორმების უმეტესობა ერთმანეთის მიმართ მორფოლოგიურ სინონიმებს წარმოადგენს. იმთავითვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმღობათა მნიშვნელობები ყოველთვის არ არის აბსოლუტურად იდენტური და, შესაბამისად, მონაცვლეობაც ვერ ხერხდება..

**Тамара Мамардашвили** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### К вопросу изучения дистрибуции производящих морфем объектных причастий прошедшего времени

#### Резюме

Причастия страдательного залога прошедшего времени образуются как с помощью суффиксов, так и префиксов. Образование такого типа использует основы глаголов I-ой и II-ой серий. Несмотря на то, что префикс *ნა-(на-)* и суффиксы *-ილ, -ულ (-ил, -ул)* по существу выполняют одну и ту же грамматическую функцию, их использование происходит в определенных случаях. В частности, причастия с глагольными приставками характеризуют как префиксальное, так и суффиксальное образование, а причастие без глагольной приставки образуется в большинстве случаев с помощью префикса *ნა-(на-)*, хотя бывали и исключения. Часто бывают случаи чередования между производящими, способствующее тому факту, что большинство параллельных форм причастия являются морфологическими синонимами. Хотя, значения причастий не всегда абсолютно идентичны и, соответственно, не всегда взаимозаменяются.

**Tamar Mamardashvili** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### Teaching Distribution of Forming Morphemes of the Object Past Participles

#### Summary

The Past Participle of the passive voice is not only suffixal but also prefixal, the formative being *ნა-(na-)* prefix. Such formation of the Participle is always for the object and uses a verbal stem with and without a theme sign.

Although *ნა-(na-)* prefix and *-ილ, -ულ(-il, -ul)* suffixes mainly perform the same grammatical function, their usage is restricted to certain cases. For example, both the prefixal and suffixal formations are common to the prefixal Participle. As for non-prefixal Forms, they mostly take *ნა-(na-)* prefix, though there are some exceptions. The formatives often interchange which results in the fact that most parallel forms of the Participles represent morphological synonyms. However, it should be taken into account that the meanings of the Participles are not always absolutely identical and accordingly, the interchange is not always possible. This paper provides proper samples from lexical material as well as from works of fiction.



**თამარ მამარდაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### **დროისა და გვარის საკითხისათვის მიმღობათა წარმოებაში**

მიმღობას, როგორც სახელწმინის ერთ-ერთ სახეს, თანაბრად ახასიათებს როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები. მას ის მორფოლოგიური კატეგორიები აქვს, რაც ქართულში სახელებს მოეპოვება, ამავდროულად, რიგი ზმნური კატეგორიების გამოხატვაც შეუძლია. მათგან გეზი, ორიენტაცია და ასპექტი ახლანდელი გაგებით ზმნისწინით გამოიხატება და თვით მიმღობაში არ აღინიშნება, კონტაქტი კი ზმნის ფუძეშია გამოხატული, მაგრამ ზმნის კაუზატიური ფორმიდან მიმღობა ჩვეულებრივ არ იწარმოება. ზმნური კატეგორიებიდან მიმღობას შეუძლია დროის გამოხატვაც. ა. შანიძის აზრით, მიმღობის დრო დამოუკიდებელი დრო კი არ არის (როგორც ეს პირიან ფორმებშია), არამედ მიმართებითი. პირიან ფორმებში დროის გაგება ემყარება იმას, თუ როგორია ურთიერთობა ზმნით აღნიშნული მოქმედების დროსა და საუბრის მომენტს შორის. მიმღობის დროის გაგება კი „მიმართება იმ დროს, რომელიც წინადადებაში ნახმარ პირიან ზმნას აქვს. არსებითად ეს არის არა დროის კატეგორია, არამედ თანამდევრობისა, ამიტომ არა წარსული და მომავალი, არამედ უწინარესი და შემდგომი“ [2, გვ. 568-569].

მიმღობათა წარმოებაში დროისა და გვარის საკითხის განხილვის დროს ირკვევა, რომ მიმღობის მაწარმოებელი აფიქსები უშუალოდ დროს ან გვარს არ გამოხატავდა, არც მიმღობის საწარმოებლად აღებული ზმნის ფუძე მიაწინებს მათზე. ამდენად, გვარისა და დროის გამოხატვა მიმღობებში გვიანდელი მოვლენაა და მეორეულია. მაშასადამე, ზმნის ფუძიდან ნაწარმოები მიმღობა ისტორიულად არც ერთი ზმნური ნიშნის მატარებელი არ იყო.

თანამედროვე ქართულში მიმღობას აწარმოებს ოდენ პრეფიქსი, ოდენ სუფიქსი ან პრეფიქს-სუფიქსი. პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი მიუთითებს გვარსა და დროზე (მ- პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარისა და აწმყო დროისაა, ნ- და ს- პრეფიქსიანი ვნებითი გვარისა, აქედან ნ-იანი ნამყო დროის, ს-იანი კი მყოფადი დროის). ოდენ სუფიქსურ წარმოებაში კი სუფიქსია დროისა და გვარის გამოხატველი (-ილ, -ულ სუფიქსიანი წარმოება ვნებითი გვარისაა და ნამყო დროისა), პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებაში სუფიქსი უფუნქციო ჩანს და დროსა და გვარს პრეფიქსი გამოხატავს.

ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა და ამ პრინციპის საფუძველზე ყოველ აფიქსს ერთი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. რადგან ოდენ პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი გამოდის დროისა და გვარის გამოხატველი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ისტორიულად ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. იგივე ითქმის პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებაში მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსის შესახებ, ხოლო სუფიქსს, რომელიც ამჟამად უფუნქციო ჩანს, არ შეიძლება ისტორიულად ფუნქცია არ ჰქონოდა.

გამოირკვა, რომ იმ ორი ფუნქციიდან, რომელიც მიმღობის მაწარმოებელ აფიქსებს აქვს დაკისრებული, არც დროისა და არც გვარის აღნიშვნა პირველადი არ არის, მაშ რა ფუნქცია ჰქონდათ მათ ისტორიულად? პრეფიქსები ახლაც ამჟამად შესაბამისი ზმნის სუბიექტის ან ობიექტის მაჩვენებელი ჩანს: მ- მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა მიმღობებში, ს- და ნ- პირდაპირ ობიექტზე. ამიტომ მოსალოდნელი იყო მიმღობაშიც სუბიექტისა და ობიექტის იგივე მაჩვენებლები გვექნოდა, რაც ზმნაში გვაქვს, სადაც გარჩევა პირის მიხედვითაა. მიმღობაში პრეფიქსი იმავე სუბიექტსა და ობიექტს აღნიშნავს, მაგრამ პირის განურჩევლად. ამავე დროს ზმნაში მ- სუბიექტის ნიშნად არა გვაქვს (ის ობიექტის მაჩვენებელია), ნ- და ს- კი ობიექტს არ აღნიშნავს.

ცხადია, მ-,ნ-,ს- მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირის მაჩვენებლები არ არიან. სპეციალურ ლიტერატურაში ისინი გრამატიკული კლასის მაჩვენებლად არის მიჩნეული. იგივე ელემენტები მარტივ არსებით და ზედსართავ სახელთა ფუძეებშიც იქნა შედარების გზით გამოყოფილი და ამით ქართულში (ქართველურ ენებში) დადასტურდა გრამატიკული კლასის კატეგორიის ოდინდელი არსებობა [3]. გაირჩეოდა ადამიანისა და ნივთის კატეგორია. ადამიანის კლას-კატეგორიის ნიშანია მ-, ნივთის კატეგორიის კი რამდენიმე

მაწარმოებელი აქვს: ს, ნ, ბ, ლ, რ. მიმღეობებში ნივთის კატეგორიის მაჩვენებლებიდან მხოლოდ ნ და ს გვხვდება.

გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდაუვალ ზმნას სუბიექტური მიმღეობის სამი ფორმა უნდა უნდა ჰქონოდა, რომელთაგან მ- პრეფიქსით ნაწარმოები აღნიშნავდა სუბიექტ-ადამიანს, ნ-, ს- პრეფიქსიანი კი სუბიექტ-ნივთს.

გარდამავალ ზმნას აქვს სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობის ფორმები. თუ გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდშიც ამავე ვითარებას ვიგულისხმებთ, გარდამავალ ზმნას მ, ს, ნ პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობაც უნდა ჰქონოდა და მ, ს, ნ პრეფიქსიანი საობიექტო მიმღეობაც: მ-ცემ-ელ-ი იქნებოდა ვინც სცემს, სა-ცემ-ელ-ი და ნა-ცემ-ი - რაც სცემს, ხოლო ობიექტის გამოსახატავად მიმღეობის იგივე ფორმები იქნებოდა: მცემელი - ვისაც სცემენ, საცემელი, ნაცემი - რასაც სცემენ.

რამდენად შესაძლებელია, მიმღეობის ერთმა და იმავე ფორმამ მოქმედების სუბიექტსა და ობიექტზე მიუთითოს? თეორიულად ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამის დაშვების შესაძლებლობას მთის კავკასიურ ენათა მონაცემები იძლევა. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ენისა და მთის კავკასიური ენების მასალათა შეპირისპირების გზით იგივე პრეფიქსები გამოყო ქართულ ფუძეებში, ოღონდ ისინი გრამატიკული სქესის მაჩვენებლებად მიიჩნია [6].

მიმღეობის ერთ ფორმას შინაარსობრივად შეიძლება გარდამავალი ზმნის სუბიექტზედაც მოეცა მითითება და ობიექტზედაც, მაგრამ მორფოლოგიურად მიმღეობაში მხოლოდ ერთი აფიქსია წარმოდგენილი. რისი აღნიშვნელი იყო იგი, სუბიექტის თუ ობიექტის კლასისა? მაგ.: ბაცბურის გარდამავალი ზმნის მიმღეობაში (უპირველეს ყოვლისა კი ზმნაში), მიუხედავად იმისა, სუბიექტზე მიუთითებს მიმღეობა თუ პირდაპირ ობიექტზე, პირდაპირი ობიექტის კლასია მორფოლოგიურად აღნიშნული. სხვა მთის კავკასიურ ენებშიც მსგავს წარმოებას აქვს ადგილი, აფხაზურ აბსოლუტივში პირდაპირი ობიექტია გამოხატული, სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, მაგრამ სუბიექტზე კი არის მითითება. ასევეა ხუნძურ მიმღეობაშიც, მართალია იქ მიმღეობა პოლიპერსონალურია და მასში სუბიექტის ნიშანიც არის წარმოდგენილი, მაგრამ პირდაპირ ობიექტზე პრეფიქსი მიუთითებს. სუბიექტის მაჩვენებელი სუფიქსია და მისი დართვა მიმღეობის ფუძეზე გვიანდელი მოვლენაა (იქვე).

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულის მიმართაც ამ ვითარებას მიიჩნევენ ამოსავლად. არნ. ჩიქობავა მიუთითებს „ვინ კატეგორიისა და რა კატეგორიის მიხედვით ცვლისას გარდაუვალ ზმნა სუბიექტური უღვლილებისა იყო, გარდამავალი - მხოლოდ ობიექტურისა. სუბიექტიცა და ობიექტიც ორ-ორ ფორმას იძლეოდა: ვინ კლასისას და რა კლასისას“ [3].

რადგან გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის კლასი აღინიშნებოდა, ასეთი ზმნის მიმღეობასაც ზმნის ობიექტი უნდა აღენიშნა, გარდაუვალისას - სუბიექტი. „პრეფიქსები გრამატიკულ კლასებს აღნიშნავდნენ, რეალური სუბიექტისის - თუ ზმნა გარდაუვალი იყო და რეალური ობიექტისის - თუ გარდამავალი“ [4].

ამ ვარაუდს ქართულში მიმღეობათა წარმოებაც უჭერს მხარს. ამ მხრივ მიმღეობათა წარმოების ერთი ტიპი იქცევა ყურადღებას. მოქმედებითი გვარის მიმღეობა არ შეიძლება იყოს ნამყო დროისა, ამ შინაარსის გამოსახატად ენა სხვა საშუალებას მიმართავს: საობიექტო მიმღეობის წინ დაისმის პირდაპირი ობიექტი და ამ საშუალებით გამოიხატება გარდამავალი ზმნის სასუბიექტო მიმღეობა ნამყო დროისა: ხმალამოწვდილი, ხელაღებული... პრინციპი ამგვარი წარმოებისა ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში, ფართოდაა გავრცელებული ახალ ქართულში და დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, ამიტომ წარმოების ეს ტიპი არ შეიძლება ძველი არ იყოს.

ამავე ტიპისაა ნაცარქექია, ენატანია და მისთ., რომლებშიც მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი არა გვაქვს, თუმცა მისი ადგილი შესაბამისი ზმნის პირდაპირ ობიექტს უჭირავს. მიმღეობის ამ ფორმებში პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი, მაგრამ მთლიანად მიმღეობა სასუბიექტოა, მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს, ნაცარქექია ისაა, ვინც ნაცარს ქექავს. ანალოგიური წარმოება ხმალამოწვდილის ტიპის მიმღეობებში. თუ პირდაპირი ობიექტი წინ უძღვის მიმღეობის ფორმას, მიმღეობა სასუბიექტოა; ხმალამოწვდილია ის, ვინც ხმალი ამოიწვავდა. თუ იმავე ფორმას

მიმღებებისა მოსდევს ამოსავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი, მიმღობა საობიექტო - ამოწვდილი ხმალი.

ქართულში გრამატიკული კლას-კატეგორიის არსებობის პერიოდში გარდამავალი ზმნის მიმღობაში ობიექტის კლასის ნიშანი იყო წარმოდგენილი, ხოლო მიმღობა შეიძლება სასუბიექტოც ყოფილიყო. რადგან პირდაპირი ობიექტი რა- კატეგორიისაა ჩვეულებრივ, მ- პრეფიქსიანი ფორმა მიმღობისა გარდამავალ ზმნას იშვიათად ექნებოდა.

მიმღობის ერთსა და იმავე ფორმას რომ შეეძლო ამოსავალი ზმნის სუბიექტიცა და ობიექტიც გამოეხატა, ამას უარყოფითი მიმღობებიც უჭერს მხარს, რადგან ისინი ჩვეულებრივ ნამყო დროის საობიექტო მიმღობას უპირისპირდებიან შინაარსით. მაგრამ გვაქვს ისეთი ფორმებიც უარყოფითი მიმღობებისა, რომელნიც სასუბიექტო მიმღობებს წარმოადგენენ. ე.ი. წარმოების მხრივ ერთნაირი ფორმა უარყოფითი მიმღობისა ერთ შემთხვევაში სასუბიექტოა, მეორე შემთხვევაში - საობიექტო.

მაგრამ თუ მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები გრამატიკული კლას-კატეგორიის მაჩვენებლებია, როგორღა იკისრეს მათ გვარისა და დროის გამოხატვა? ან რატომ არა გვაქვს გარდაუვალი ზმნის ს- და ნ- პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღობები და გარდამავალი ზმნის მ- პრეფიქსიანი საობიექტო მიმღობა? როგორც მიუთითებენ, ცვლილებები მიმღობათა წარმოებაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ უნდა ვიგულისხმოთ. კერძოდ, მაწარმოებელი პრეფიქსები - გრამატიკული კლას-კატეგორიის მაჩვენებლები - მისი მოშლის შემდეგ დარჩნენ, მაგრამ ფუნქცია იცვალეს. სუფიქსებიც დარჩნენ, მაგრამ უფუნქციოდ გამოიყურებიან [1, გვ. 210-211]. ე.ი. გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდაუვალ (ერთპირიან) ზმნას ჰქონდა სამი (ორი ძირითადი) ფორმა სასუბიექტო მიმღობისა. მ- იანი სუბიექტ-ადამიანს გამოხატავდა, ნ- და ს- სუბიექტ-ნივთს. მ- თავსართიანი ფორმები მიმღობისა დღესაც გვაქვს, ნ- და ს- პრეფიქსიანი ფორმები ძველ ქართულშიც არ გვხვდება სასუბიექტო მიმღობის შინაარსით.

გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ (როცა ადამიანი და ნივთი აღარ არის დაპირისპირებული), ბუნებრივია, სუბიექტის გამოსახატავად უნდა დარჩენილიყო მიმღობის ერთი ფორმა. მ- თავსართიანი ფორმა აქტიურს აღნიშნავს, ვინ კლასის სახელია, ამიტომ დარჩა იგი სასუბიექტო მიმღობის გადმოსაცემად.

იშვიათად გვხვდება ერთპირიანი ზმნის მიმღობა სა- პრეფიქსითაც. მაგ.: მ-დგ-ურ-ი და სა-დგ-ურ-ი. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა სუბიექტის აღნიშვნის თვალსაზრისით იგივე იყო, რაც მდგურისა. მდგური - ვინც დგა, სადგური - რაც დგა. ბუნებრივია, მოხდა მნიშვნელობის დიფერენციაცა და სემანტიკა ს- პრეფიქსიანმა ფორმამ იცვალა, სადგური ახლა გამოხატავს ადგილს.

რაც შეეხება გარდამავალ ზმნას, მას დღესაც მიმღობის სამი ფორმა აქვს, მ- პრეფიქსიანი მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს, ს- და ნ- პრეფიქსი მოქმედების ობიექტს აღნიშნავს, რამდენადაც იგი პასიურს, უმოქმედოს წარმოადგენს და შესაბამისად ნივთის კლასის ნიშანი განეკუთვნა. სუბიექტზე მითითება მიმღობაში ზმნის ფუძის გააქტივების, ე.ი. აწმყოს წყების დრო-კილოთა ჩამოყალიბების შემდეგ უნდა დაწყებულიყო, როცა ზმნა პოლიპერსონალური გახდა და მასში სუბიექტის აღნიშვნაც დაიწყო. საინტერესოა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა გარდამავალი ზმნის მიმღობის მ- პრეფიქსიანი ფორმებისა ამოსავლად იყენებს ზმნის აწმყოს ფუძეს, მაგრამ რატომ იკისრა ნ- პრეფიქსიანმა მიმღობამ ნამყო დროის გამოხატვა, ხოლო ს- პრეფიქსიანმა მყოფადი დროისა? ნ- პრეფიქსიან მიმღობაში ნ დარჩა ობიექტის მაჩვენებლად. პრეფიქსი აღნიშნავდა ისეთ პირდაპირ ობიექტს, რომელიც სახელობითში იდგა. რადგან გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი სახელობითში ნამყო დროშია, წყვეტილში მიმღობაც ნამყო დროისა მივიღეთ.

ს- პრეფიქსიანი მიმღობაც სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტს აღნიშნავდა. ძველ ქართულში მყოფადი დროის ფუნქციას II კავშირებითი ასრულებდა, სადაც პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, ამიტომ იკისრა ს- პრეფიქსიანმა მიმღობამ მყოფადი დროის გამოხატვა [1].

ამგვარად, მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსები გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნებს წარმოადგენდნენ ისტორიულად. ისინი ზმნის სუბიექტისა თუ ობიექტის კლასის მაჩვენებლები იყვნენ მიმღობათა წარმოებაში. მათი ამგვარი კვალიფიკაციით აიხსნება ის თავისებურებანიც,



რასაც მიმღობათა წარმოებაში აქვს ადგილი. ცხადია, მიმღობათა წარმოების ჩამოყალიბების დროს ქართულში გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედებდა.

რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა ისტორიულად სუფიქსებს? როგორც აღინიშნა, დროსა და გვარზე ისინი არ მიუთითებდნენ, თუმცა შეუძლებელია მათ გარკვეული ფუნქცია არ ჰქონოდათ. ქართველურ ენათა მასალის შედარებისა და ფუძეთა ანალიზის გზით გამოირკვა, რომ ერთი შეხედვით მარტივი არსებითი და ზედსართავი სახელების ფუძეები ისტორიულად ნაწარმოებია. საწარმოებელი სუფიქსები ამჟამად უფუნქციო არიან და ამიტომაც მწელი მათი ფუნქციის დადგენა. როგორც ჩანს, ისინი არსებით სახელთა ფუძის საწარმოებელი აფიქსები უნდა ყოფილიყვნენ და ერთვოდნენ ძირს, რომ სახელის ფუძის კონკრეტიზაცია მოეხდინათ. ამ სუფიქსთა სხვაგვარი გენეზისით შეუძლებელი იქნებოდა მათი არსებობის ახსნა არსებით სახელებში [5].

ასეთი კვალიფიკაცია გასაგებს ხდის, თუ რატომ გვაქვს იგივე ელემენტები (ე.ი. სახელის ფუძის დეტერმინანტები) მიმღობათა წარმოებაშიც. რადგან მიმღობა ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელია, იმისთვის, რომ ზმნისაგან სახელი მიგვეღო, ბუნებრივია, სახელის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა გამოეყენებინა ენას. პრეფიქსს, რომელიც მიმღობათა წარმოებაში იღებს მონაწილეობას, არ შეეძლო ზმნური ფუძე სახელად ექცია. პრეფიქსი გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანი იყო და თანაბრად დამახასიათებელი როგორც ზმნის, ისე სახელისათვის. ზმნურ ფუძეს სახელად სწორედ მიმღობის მაწარმოებელი სუფიქსი აქცევდა.

მაშასადამე, მიმღობის მაწარმოებელი აფიქსებიდან პრეფიქსი გრამატიკული კლასის მაჩვენებელი იყო ისტორიულად, ხოლო სუფიქსი – სახელის ფუძის დეტერმინანტი.

რამდენადაც საწარმოებლად აღებულ ზმნის ფუძეში არ გამოიხატება ზმნის გვარი და დრო, მიმღობისათვის ამოსავალი ყოფილა დროისა და გვარის მიხედვით განუსაზღვრელი ფუძე ზმნისა, რომელიც ზმნის პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით ყალიბდებოდა ნაზმნარ სახელად, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ისტორიულად არც მიმღობის მაწარმოებელი აფიქსები მიუთითებდნენ დროსა და გვარზე. მაშასადამე, ენაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების დროს მიმღობა არც გვარს და არც დროს არ აღნიშნავდა ანუ ზმნურობის არც ერთი ნიშნის მატარებელი არ ყოფილა.

ამდენად, ქართულში შეიძლება მიმღობათა ჩამოყალიბების შემდეგი გზა ვივარაუდოთ: ჯერ გვექონდა ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი, რომელიც დროისა და გვარის მიხედვით არ განირჩეოდა და მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის კლასს აღნიშნავდა. გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლისა და ზმნის უღვლილებად დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელი მიმღობად ჩამოყალიბდა და კლასის ნიშნებმა დროისა და გვარის გამოხატვა იკისრეს.

### ლიტერატურა

1. ე. ოსიძე, მიმღობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
3. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1954
4. არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953
5. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937



### რეზიუმე

მიმდებარება წარმოებაში დროისა და გვარის საკითხის განხილვის დროს ირკვევა, რომ მიმდებარების მაწარმოებელი აფიქსები უშუალოდ დროს ან გვარს არ გამოხატავდა, არც მიმდებარების საწარმოებლად აღებული ზმნის ფუძე მიაწინებს მათზე. ისინი ისტორიულად ზმნის სუბიექტისა თუ ობიექტის კლასის მაჩვენებლებლად იქნა გამოყოფილი. იგივე ელემენტებია მარტივ არსებით და ზედსართავ სახელთა ფუძეებშიც, რითაც ქართულში (ქართველურ ენებში) დასტურდება გრამატიკული კლას-კატეგორიის ოდინდელი არსებობა, რაც საფუძველს გვაძლევს მიმდებარება ჩამოყალიბების შემდეგი გზა ვივარაუდოთ: ჯერ გვქონდა ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი, რომელიც დროისა და გვარის მიხედვით არ განირჩეოდა და მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის კლასს აღნიშნავდა. გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლისა და ზმნის უღვლილებებაში დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ იგი მიმდებარედ ჩამოყალიბდა და კლასის ნიშნებმა დროისა და გვარის გამოხატვა იკისრეს.

**Тамар Мамардашвили** - Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### К вопросу производства времени и вида в образовании причастия

#### Резюме

При рассмотрении вопросов времени и вида в связи с производством причастий обнаруживается, что аффиксы, образующие причастия, не выражают непосредственно значения времени или вида. На них не указывает и основа глагола, взятая для производства причастия. Исторически эти аффиксы выделены в качестве указателей классов субъекта или объекта глагола. Те же элементы наблюдаются и в основах простых имен существительных и прилагательных, чем подтверждается давнее существование грамматического класса-категории в грузинском языке (в картвельских языках), что дает нам основание предположить следующий путь формирования причастий: сначала у нас было имя, образованное от основы глагола, которое не выделялось грамматическими категориями вида и времени и указывало лишь на класс субъекта или объекта. После исчезновения грамматического класса-категории и формирования категории времени в спряжении глагола оно образовалось как причастие, а указатели классов взяли на себя выражение значений времени и вида.

**Tamar Mamardashvili** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### On the Issue of Tense and Voice in Participle Formation

#### Summary

As is known, the participle is a verbal noun formed from the stem of a verb. It has nominal as well as verbal categories. However, the diachronic study of the tense and voice formation of Georgian participle has shown that neither the participle forming affixes nor the verb stem indicate the expression of the tense and voice. Hence the expression of tense and voice by the participle is of later origin and of secondary nature. The paper presents the following stages in the evolution of the Georgian participle: primarily, a verbal noun formed from a verb stem indicated only subject and object classes.

Later, after the disappearance of the grammatical class-category and the emergence of the voice and tense the verbal noun formed from a verb stem turned into a participle and was able to express tense and voice.

**ელისო მაწკებლაძე** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

**ასმათ დათიაშვილი** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

### საინფორმაციო ტექნოლოგიები და წარმატებული სასწავლო პროცესი

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სლაიდებით, ვიზუალური მასალით, დოკუმენტური ფილმებით გამდიდრებული გაკვეთილები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, რაც კარგად აისახება შედეგზე. მათი გამოყენება ცვლის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას, უფრო სახალისოს, შთამბეჭდავს ხდის გაკვეთილს... გაცილებით უკეთესად სწავლობენ მოსწავლეები, როდესაც მასწავლებლები სისტემატიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. დაგვეთანხმებით ალბათ, რომ მხოლოდ ცარცი, დაფა და მასწავლებლის ხანგრძლივი საუბარი არ გვაძლევს კარგ შედეგს.

ისტ-ის გამოყენება ხელს გვიწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებაში, გვებმარება საინტერესო რესურსების შექმნასა და გამოყენებაში, ახალი მასალის წარმატებით ათვისებასა და ყველა იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც რეალურად სჭირდება 21-ე საუკუნის მოქალაქეს.

თანამედროვე ტექნოლოგია მოსწავლის მენტალურ და კოგნიტურ განვითარებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. სწორედ ამიტომ 2003-04 სასწავლო წლიდან ამერიკის სკოლებში დაინერგა ელექტრონული რესურსების შექმნისა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების პროგრამა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 7 მილიონამდე დოლარი დახარჯა იმისათვის, რომ სკოლები თანამედროვე მოწყობილობებით აღეჭურვა. ამერიკის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი ქოლინ რუჯიერი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებს I-Pod-ებს. ის აცხადებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები მას და მის მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ მრავალფეროვან ჭრილში განიხილონ თითოეული საკითხი, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან ერთ საგანმანათლებლო რგოლად, სადაც ხდება მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, საგნის სიღრმისეული წვდომა. ეს ყველაფერი კი სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით დიდი ინტერესითა და ხალისით მიმდინარეობს. მოსწავლეები მეტად მოტივირებულნი არიან, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ახსნილ და დასასწავლ მასალას, პრაქტიკულად თავად განახორციელებენ ამ მასალასთან დაკავშირებულ დავალებებს. რუჯიერი ლიტერატურის ახსნისას ასეთ ხერხსაც მიმართავს: მოსწავლეებს ავალებს, ამ მასალას შეუსაბამონ თანამედროვე ჰანგები. ასევე ხშირად იყენებს ელექტრონულ ლექსიკონსაც, რისი დახმარებითაც მოსწავლეები სწრაფად ხსნიან მათვის უცხო სიტყვებსა თუ ტერმინებს.

თანამედროვე მოწყობილობებთან ერთად აუცილებელია, მასწავლებლის პროფესიული ზრდა - განვითარება ისეთივე ტემპით მიმდინარეობდეს, როგორც ვითარდება თავად ციფრული ტექნოლოგიები. ვირტუალურ სივრცეში ბევრი პროგრამა/ვებ-გვერდია (google.ge, powtoon.com, prezi.com, PowerPoint-ი, Movie Maker, Pro Show Gold...), რომელიც გვებმარება, შევქმნათ ახალი რესურსები, საპრეზენტაციო მასალები, თამაშები, სახალისო ტესტები... მასწავლებელი შეიძლება მივამსგავსოთ დიზაინერს, რომელიც უკეთესი შედეგების მისაღწევად თავისი სურვილის შესაბამისად აკეთებს არჩევანს ისე, რომ გაითვალისწინოს არა მარტო საკუთარი, არამედ მის წინ მჯდომი მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. აქვეა ბევრი ციფრული რესურსი, რომლებიც ჩვენმა კოლეგებმა შექმნეს და შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლა/სწავლების პროცესში.

მასწავლებლებმა წინასწარ უნდა დავგეგმოთ, თუ რისთვის, რატომ და როგორ გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს გაკვეთილზე, დასახულ მიზნებთან შესაბამისად რა სარგებელსა და შედეგს მოგვცემს ციფრული რესურსები. მნიშვნელოვანია, მის გამოყენებამდე დავრწმუნდეთ, რომ

ის ხელმისაწვდომი და გასაგებია მოსწავლეებისათვის, როგორ ავითარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გამჭოლ კომპეტენციებს.

ჩვენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნისათვის ვიყენებთ:

1. **ვაჩვენებთ მულტიმედიურ ტექსტებს ამათუიმ თემასთან დაკავშირებით, რომლებიც ერთდროულად მოიცავს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს.** (მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ნაწარმოებების საკვანძო, გრამატიკასთან, ლიტერატურის თეორიასთან დაკავშირებული საკითხები). მოსწავლეებს შეუძლიათ მრავალგვარი ფორმის მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება, ინფორმაციის „გაფილტვრა“ და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. მათ უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება.

✓ ქართულ ენაში ჩვენ თვითონ ვქმნით ციფრულ რესურსებს. მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ ანიმაციური ფილმები. თანდებულების შესახებ powtoon.com-ის დახმარებით გავაკეთე ანიმაციური რესურსი. მოსწავლეები ხალისით ადევნებდნენ თვალს პაწაწინა კაცუნებს, რომლებთაც „მიჰქონდათ და მოჰქონდათ“ თანდებულები და თავიანთ ადგილას „ამაგრებდნენ“. ანიმაციის შემდეგ მათ მივეცი წინადადებები, რომლებშიც სწორად უნდა გამოეყენებინათ თანდებულიანი სახელები... დავალებას მოსწავლეთა უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი...

✓ ინგლისურ ენაში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში მეხუთე კლასში ასახსნელი მასალა გახლდათ წინდებულები (Prepositions), მოსწავლეებს ამასთან დაკავშირებით აქვთ წინარე ცოდნა. ინტერნეტში მოვიძიე მასალა - მულტიმედიური დიალოგი (<http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/grammar-videos/heros-adventure>), სადაც წინდებულებთან დაკავშირებით იყო საინტერესო სავარჯიშოები. მიზნად დავისახე მოსწავლეთათვის ამ რესურსის ჩვენება. ეს რესურსი მეტად სახალისო, საინტერესო და გასაგები იყო მათთვის. ანიმაციური ფილმის პერსონაჟი მოქმედებებით მიუთითებდა შესაბამის წინდებულს (მაგ. თუ იტყოდა წინდებულს - „წინ“, დგებოდა რაიმე საგნის წინ, თუ იტყოდა „უკან“ - გადაინაცვლებდა უკანა მხარეს და ა.შ.) მოსწავლეებს ანიმაციის ჩვენების შემდეგ მივეცი ინდივიდუალური სამუშაო, ჩაენიშნათ ყველა წინდებული, რასაც პერსონაჟი ამბობდა, მიეწერათ მათთვის სავარაუდო ქართული ვერსიები. ამ დავალებას მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი.

2. **მოსწავლეები პროექტზე მუშაობის დროს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იძიებენ ქსელებში ინფორმაციას, ელექტრონულად ამუშავებენ ტექსტებს, უვითარდებათ შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომები.** ახერხებენ მოძიებული მასალების გამთლიანება-კონსტრუირებას, უკეთ წარმოჩენას. (კლასგარეშე მუშაობის დროს ისინი აქტიურად არჩევენ მასალებს, ფოტოებს, სლაიდების ვიზუალურ მხარეს, რაც ხელს უწყობს გუნდური აზროვნების ჩამოყალიბებას, თანამშრომლობასა და ახალი ცოდნის კონსტრუირებას).

3. **ვიყენებთ აგრეთვე თამაშებს, რომლის დროსაც მოსწავლეს უმდიდრდება ლექსიკური მარაგი, სწავლობს გრამატიკულ წესებს...** სახალისო თამაშებზე დაყრდნობით მოსწავლე ეუფლება კონკრეტულ ცოდნას.

4. **მოსწავლეები ნახულობენ ფილმებს, გამოკვეთენ პრობლემებს, წარმართავენ დისკუსიებს, დამოუკიდებლად აკეთებენ პრეზენტაციებს** (ამ მეთოდის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია, ადვილად შევაფასოთ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები, საჭიროებები ამათუიმ თემასთან დაკავშირებით)

✓ 2013-14 სასწავლო წლის ოქტომბრის თვეში მეოთხე კლასში გავიარეთ თემა- “Jack and the beanstalk“- ჯეკი და ლობიოს ღერო. <http://learnenglishkids.britishcouncil.org/en/word-games/order-the-sentences/jack-and-the-beanstalk> ლინკზე მოვიძიე არსებული ანიმაციური ტექსტი და გადავწყვიტე ბავშვებისათვის ახალი მასალა სწორედ ამ ანიმაციის საშუალებით ამეხსნა. ეს ერთი სტრატეგია სრულყოფილად მოერგებოდა მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რადგან ხმოვანი ანიმაცია ტიტრებად მოცემული იმავე ტექსტით მისაწვდომი იქნებოდა მოსწავლეთათვის, რომელთაც მეტ-ნაკლებად აქვთ განვითარებული

როგორც ვიზუალური, ასევე ვერბალური და სმენითი სწავლების უნარები. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვუჩვენე ანიმაციური ფილმი და წავაკითხე აქვე მოცემული ტექსტი, შემდეგ მივეცი დავალება – ემუშავათ ჯგუფებში, ამოეწერათ უცხო სიტყვები და კონტექსტის მიხედვით მიეწერათ სავარაუდო თარგმანები. მიღებული შედეგი გასაოცარი იყო – სიტყვების უმრავლესობა ზუსტად გამოიფრეს (10–დან 9 სიტყვას შესატყვისი ქართული ვერსიები სწორად დაუწერეს).

საგანმანათლებლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას გვაძლევს სწავლება უფრო ეფექტური გავხადოთ, მოვახდინოთ თემასთან დაკავშირებული რესურსებისა და თვალსაჩინოების სრულყოფილი გამოყენება, სისტემაში მოვიყვანოთ მიღებული ცოდნა და განვაკვიტოთ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

ხალისით ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას სკოლის მასწავლებლებს. ხშირად ვხვდებით, ერთმანეთს, ვთავაზობთ ჩვენ მიერ შექმნილ ელექტრონულ რესურსებს, ვესწრებით საგაკვეთილო პროცესებზე და რეკომენდაციებს ვაწვდით ერთმანეთს.

### რეზიუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სლაიდებით, ვიზუალური მასალით, დოკუმენტური ფილმებით გამდიდრებული გაკვეთილები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, რაც კარგად აისახება შედეგზე. მათი გამოყენება ცვლის საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას, უფრო სახალისოს, შთამბეჭდავს ხდის გაკვეთილს... გაცილებით უკეთესად სწავლობენ მოსწავლეები, როდესაც მასწავლებლები სისტემატიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. დაგვეთანხმებით ალბათ, რომ მხოლოდ ცარცი, დაფა და მასწავლებლის ხანგრძლივი საუბარი არ გვაძლევს კარგ შედეგს.

ისტ-ის გამოყენება ხელს გვიწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებაში, გვეხმარება საინტერესო რესურსების შექმნასა და გამოყენებაში, ახალი მასალის წარმატებით ათვისებასა და ყველა იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც რეალურად სჭირდება 21-ე საუკუნის მოქალაქეს.

თანამედროვე მოწყობილობებთან ერთად აუცილებელია, მასწავლებლის პროფესიული ზრდა - განვითარება ისეთივე ტემპით მიმდინარეობდეს, როგორც ვითარდება თავად ციფრული ტექნოლოგიები. ვირტუალურ სივრცეში ბევრი პროგრამა/ვებ-გვერდია (powtoon.com, prezi.com, PowerPoint-ი...), რომელიც გვეხმარება, შევქმნათ ახალი რესურსები, საპრეზენტაციო მასალები, თამაშები, სახალისო ტესტები... მასწავლებელი შეიძლება მივამსგავსოთ დიზაინერს, რომელიც უკეთესი შედეგების მისაღწევად თავისი სურვილის შესაბამისად აკეთებს არჩევანს ისე, რომ გაითვალისწინოს არა მარტო საკუთარი, არამედ მის წინ მჯდომი მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. აქვეა ბევრი ციფრული რესურსი, რომლებიც ჩვენმა კოლეგებმა შექმნეს და შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლა/სწავლების პროცესში.

საგანმანათლებლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას გვაძლევს სწავლება უფრო ეფექტური გავხადოთ, მოვახდინოთ თემასთან დაკავშირებული რესურსებისა და თვალსაჩინოების სრულყოფილი გამოყენება, სისტემაში მოვიყვანოთ მიღებული ცოდნა და განვაკვიტოთ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

ხალისით ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას სკოლის მასწავლებლებს. ხშირად ვხვდებით, ერთმანეთს, ვთავაზობთ ჩვენ მიერ შექმნილ ელექტრონულ რესურსებს, ვესწრებით საგაკვეთილო პროცესებზე და რეკომენდაციებს ვაწვდით ერთმანეთს.



**Eliso Matskepladze** - Tkibuli Region, village Gelati Public School. A Certified Teacher of Georgian language and literature. (involved in the scheme )

**Asmat Datiashvili** - Tkibuli Region, village Gelati Public School. A Certified Teacher of English language and literature. (involved in the scheme )

#### Abstract

Informational technologies, slides, visual materials and animations help teachers to increase students' motivation, which is reflected on the outcome. It makes the teaching process more enjoyable, impressive and interesting ... Learning management is better and easier. It's agreeable that only piece of chalk, blackboard and teacher's long conversation do not give good results.

ICT helps us to gain creative and innovative approaches and to develop different, useful and necessary skills in our student, that are essential in the 21<sup>st</sup> century.

The process of using modern equipments demands teachers' professional growth – we should develop our professional skills as fast as digital technology develops itself. Virtual space with its web - pages (powtoon.com, prezi.com, PowerPoint ...) helps us to create new resources, make presentation materials, games, fun quizzes ... A good teacher can be compared to the designer who makes the best choice in order to achieve his/her desire not only for himself or herself, but for those who have different individual abilities and needs. There are also a lot of digital resources that are created by our colleagues and we can use them in our learning / teaching process.

Information technology helps us to make teaching more effective, and gives us chance to plan each lesson better. Different digital resources or visual aids encourage our students to use their skills in practice.

We are happy to share our experiences with other teachers. We often meet and offer our electronic resources to each other. We also attend lessons and give or receive recommendations to have better planned lessons with appropriate results.

**Елисо Мацкепладзе** - Область Ткибули, деревенская Государственная школа Джелати. Дипломированный учитель грузинского языка и литературы. (включенный в схему)

**Асमत Датиашвили** - Область Ткибули, деревенская Государственная школа Джелати. Дипломированный учитель английского языка и литературы. (включенный в схему)

#### Резюме

Информационные технологии, слайды, визуальные материалы и мультипликации помогают учителям увеличить мотивацию студентов, которая отражена на результате. Это делает учебный процесс более приятным, впечатляющим и интересным... Учащееся управление лучше и легче. Приятно, что только кусок мела, доска и долгий разговор учителя не дают хорошие результаты.

ICT помогает нам получить творческие и инновационные подходы и развить различные, полезные и необходимые навыки в нашем студенте, которые важны в 21-м веке.

Процесс использования современного оборудования требует профессиональный рост учителей – мы должны развить наши профессиональные навыки с такой скоростью, как цифровая технология развивает себя. Действительное пространство с его сетью - страницы (powtoon.com, prezi.com, PowerPoint...) помогают нам создать новые ресурсы, сделать материалы представления, игры, забавные контрольные опросы... Хороший учитель может быть по сравнению с проектировщиком, который делает лучший выбор, чтобы достигнуть его/ее желания не только для себя или ее, но и для тех, у кого есть различные отдельные способности и потребности. Есть также много цифровых ресурсов, которые созданы нашими коллегами, и мы можем использовать их в нашем приобретении знаний / учебный процесс. Информационные технологии помогают нам сделать обучение более эффективным, и дают нам шанс запланировать каждый урок лучше. Различные цифровые ресурсы или визуальные пособия поощряют наших студентов использовать свои навыки на практике.

Мы рады разделить наши события с другими учителями. Мы часто встречаем и предлагаем наши электронные ресурсы друг другу. Мы также посещаем уроки и даем или получаем рекомендации иметь лучше настроенные уроки с соответствующими результатами.

**ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### ხალხური „ნაცარქექიასა“ და „გვადი ბიგვას“ შედარებითი დახასიათება

ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ხალხური სიტყვიერება მწერლის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი წყაროთაგანია.

ცნობილი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი შენიშნავდა: „მწერლის მხატვრული სიმართლე მაშინაა უცდომელი, როცა იგი უშუალოდ ხალხური სიბრძნისაგან გამომდინარეობს; მის პოეტურ ენას მაშინ აქვს მძლავრი ზემოქმედების ძალა, როცა იგი ისეთივე ზუსტია, ხატოვანი, ნათელი და მახვილი, როგორც ხალხური მეტყველება“ (ლ.ქიაჩელი, თხზ.ტ.V, 1964, გვ. 60) მისივე აზრით, ფოლკლორი მხატვრის შემოქმედებითი გამარჯვების საწინდარი მაშინ ხდება, როცა მას ახალ, „ცხოველმყოფელურ სულს“ ჩაჰბერავ.

ლეო ქიაჩელმა თავის მოთხრობებსა და რომანებში ზეპირსიტყვიერების მრავალი მოტივი, სიუჟეტი, ჟანრი, სახე და ტიპი შემოიტანა. ხალხური პროზაული ჟანრებიდან იგი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ზღაპარს. უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერება (ნიმუში, მოტივი, სახე) ხან მთლიანი ნაწარმოების საფენელია, ხანაც ცალკეულ პერსონაჟთა ხასიათს განსაზღვრავს. ლ.ქიაჩელის ნაწარმოებებში ამ უკანასკნელის მხრივ საინტერესო მოვლენაა რომან „გვადი ბიგვას“ მთავარი გმირი – „გვადი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნაცარქექიას ლიტერატურული ორეულია, შემოქმედებითად გარდასახული. მაგრამ თვით ნაცარქექია ვინ არის?

ნაცარქექია ზარმაცი, უქნარა პიროვნებაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნაცარს ქექავს, სხვას არაფერს აკეთებს. იგი იმისათვისაც არ წუხდება, რომ ადგეს, ბანზე შემოდებული ხაჭაპურის ნაჭერი ჩამოიღოს და შეჭამოს. ასე ამბობს: „თუ ღმერთს უნდა, აქაც მომცემსო“ (პ.უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1964, გვ. 269). სიზარმაცის გამო მას ოჯახიდან აგდებენ. იგი არაფერზე დარდობს, გულს არაფერს აკარებს, როდესაც ეუბნებიან, ადექი, იმუშავე, ხელი გაანძრიეო, ან ნაცრის ქექვით ირთობს თავს, ან უდარდელად ძინავს და ხვრინავს. ნაცრის ქექვის დროს, კიდეც ღიღინებს:

„ვექე, ვექე ნაცარიო,  
ნავხე სამი მარცვალიო,  
დავთესე და ამოვიდა  
ოცდახუთი მარცვალიო.

ნაცარქექია ალალი და გულუბრყვილოა, მას ატყუებენ ღმერთმა ხაჭაპურები ჩამოგიყარა და შემოიტანეო. ის მართლა გადის გარეთ ხაჭაპურების შემოსატანად, კარებს ჩაუკეტავენ და გარეთ დატოვებენ. ასევე სახლიდან გაგდებული ვიღაც მგზავრს მიენდობა, რომელიც მას მოტყუებით საგზალს შეუჭამს. (ფოლკ.არქივი, № 22 ა(66): საქ. № 157).

ნაცარქექია არის მხდალი, მშიშარა. იგი როცა დევს შეხვდა, კანკალი დააწყებინა, დევის ცხვირის დაცემინებაზე ისე შეხტა, რომ დირუზე ჩამოეკონწიალა, დათვის დანახვაზე ზღავილი მორთო. ამავე დროს, ძალიან სუსტი და უძლურია. არ შეუძლია კეცი გადადგას, ქვევრიდან ღვინო ამოიღოს, ცეცხლზე ქვაბი შემოდვას და ა. შ. ნაცარქექია ცრუ და მატყუარაა. ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტყუება. კეცი იმიტომ მადევს მუცელზე, რომ მუცლის ტკივილს გამიყურებსო, ჭერზე იმიტომ შევხტი, რომ, როგორ გაბედეთ ჩემთან ცხვირის დაცემინებაო.

ნაცარქექიას თავგადასავალში მთავარი ადგილი მის მოხერხებულობას უჭირავს. მას გონიერება, საზრიანობა და ჭკუამახვილობა ახასიათებს. სწორედ ამ თვისებებით გადალახავს იგი ხოლმე ყოველგვარ დაბრკოლებას და გამარჯვებული გამოდის. ასევე ის ტრაბახა და ბაქიაა. დათვზე ამბობს: გავიქნიე ხელი და თავვი შემომაკვდაო. ტყვიების შესახებ ამბობს: რწყილებმა დამკბინესო... უზარმაზარ ლოდებს კენჭებს უწოდებს: დევებს მიმართავს: ნუ აგორებთ მაგ კენჭებს, თორემ გავწყვეტო. (იქვე, № 375).

ნაცარქექია უბოროტო, კეთილი პერსონაჟია, ის არსად ამჟღავნებს ადამიანებისადმი სიძულვილს, ამიტომაც ხალხი მის მიმართ სიმპათიით არის განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ

მას ახასიათებს ზემოთჩამოთვლილი უარყოფითი თვისებები. მისი კეთილი ბუნება განსაკუთრებით მჟღავნდება იმ მომენტში, როდესაც სიზარმაცის გამო ოჯახიდან გამოგდებული ნაცარქექია მრავალი სახიფათო დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ გამდიდრდება, შეუძლია დამოუკიდებლად ბედნიერად იცხოვროს, მაინც ოჯახში ბრუნდება ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჯორ-აქლემებით და თავის სიმდიდრეს თავისიანებს უზიარებს. მან ბოროტებას ბოროტებით არ უპასუხა.

ხალხურ ნაცარქექიასა და ლეო ქიაჩელის „გვადი-ბიგვას“ პერსონაჟს-გვადის ბევრი საერთო თვისება აქვთ. ისევე როგორც ნაცარქექია ხასიათდება უქნარობით, სიზარმაცითა და ფლეგმატიზმით (უდარდელობით) ასეთივეა გვადიც. რომანში საკმაოდაა ასეთი მაგალითები. გვადის არაფრად ენაღვლება სოფლის აღმშენებლობითი საქმიანობა, უდარდელობის საუკეთესო ნიმუშია მისი ლაქლაქი ბაზარში, ან კიდევ გოჩასა და კოლმეურნეებს შორის შეხლა-შემოხლა. იგი ამ უკანასკნელის დროს ფეხიფეხშემოდებული დანას ათამაშებს ხელში. (ლ.ქიაჩელი, ტ. II. თბ. 1962).

გვადი ადამიანებთან (გოჩასა და არჩილ ფორიასთან) ურთიერთობაში მეტად გულუბრყვილო, უემპათიო, მიმნდობ ადამიანად გამოიყურება.

გვადი ბეჩავი და ფიზიკურად სუსტი არსებაა, ალბათ ამიტომაცაა იგი მხდალი და ზარმაცი. გავიხსენოთ ის მომენტი, როცა იგი კოლექტივზე გულმოსულ გოჩას სამუშაოდ წასვლას შესთავაზებს და გოჩა ისე დაღრიალებს, რომ გვადი ძლივს მოასწრებს ქუდის აღებას და იქიდან მოკურცხლავს. მწერალი აღნიშნავს: „გვადის გულს კიდევაც რომ გაეძლო ამ სანახაობისათვის, მისი ფეხები მაინც ვერ დადგებოდნენ იმ არემარეს“. (ლ.ქიაჩელი, ტ. II. თბ. 1962, გვ. 28).

ასევე, როგორია მისი შიში და განცდები, როდესაც არჩილ ფორიასაგან გამონატანები ხურჯინით ტყისმჭრელებთან მოხვდება და გრგვინვა-ქუხილი დაიწყება (იქვე, გვ. 41).

გვადის ნაცარქექიას მსგავსად, საოცრად ემარჯვება ტყუილები, რომელიც მისი ერთადერთი თავდაცვის საშუალებაა და ამით მალავს თავის უბადრუკობას. ის ტყუილს ეუბნება შვილებს, მარიამს, გოჩას, ბერას, არჩილ ფორიას.

რომანში ხშირად ვხვდებით გვადის მახვილგონიერებისა და ენამახვილობის მაგალითებს: „ქალაქში თავმოყრილ გლეხებსაც დიდად უყვარდათ მასთან გასაუბრება, მოსწონდათ გვადის ენამხვილობა და მის უცნაურ აზრებს ინტერესით ისმენდნენ“ – ვკითხულობთ ნაწარმოებში (იქვე, გვ. 34). „ღონე თუ არა, ენა ხომ მოგცა ღმერთმა, ჩემო ბიძია“ – ეუბნება ონისე გვადის.

გვადის და ნაცარქექიას მოხერხების მხრივაც აქვთ საერთო, თუმცა გვადი ამ მხრივ, ნაცარქექიასგან განსხვავებით, ხან შემტევი, ხან უკანდამხევი და ხანაც მლიქვნელიურია.

ისე როგორც ნაცარქექია გვადიც ტრაბახაა. ამის მაგალითები მრავლადაა. იგი ტრაბახობს სანარიელებთან, ბაზარში, მარიამზე ოცნებისას, შვილებთან: „რომ გაჭირდეს, ჩხუბსაც არ გაექცევა გვადი, ისე კი არ არის საქმე, აქაო-და, გვადი პატარა კაცია, ტყირპიანი, გლახაკი და ადვილად მოვერევიო, ჰე, ფრთხილად! პატარა იყო ნაცარქექიაც, მაგრამ უზარმაზარ მდევებს კუდიტ ქვა ასროლინა“ – ამბობს ორკეთელი გმირი (იქვე, გვ. 30).

მამასადამე, სიზარმაცე, მატყუარობა, სიბეჩავე, ტრაბახი, ენაგაქნილობა, ცბიერება, მლიქვნელობა, ქურდობა გვადის ნიშან-თვისებებია, რაც მორალური თვალსაზრისით მიუტევებელია, თუმცა მან კარგად იცის, რომ ეს თვისებები ნეგატიურია და საზოგადოებისაგან მიუღებელი. ცრუ და ქურდი გვადი ცდილობს მისმა შვილებმა არ იცოდნენ ქურდობა, ტყუილის თქმა: „არ გამაგონო, ბაბაია, თქვენი ქურდობა და ტყუილის თქმა, არამც და არამც, გულშიც კი არ უნდა გაივლოთ... თუ არა, გლახა და ცუდი კაცის სახელი დაგერქმევათ“ (იქვე, გვ. 96). სიკეთისადმი სამსახური უდევს საფუძვლად გვადის ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ ნაბიჯს – არჩილ ფორიას წინააღმდეგ მახვილის აღმართვას. ერთი სიტყვით, გვადიც, ნაცარქექიას მსგავსად, ძირითადად კეთილი საწყისებით ცხოვრობს.

კრიტიკოს დიმიტრი ბენაშვილის აზრით, გარდა მსგავსებისა, ნაცარქექიასა და გვადის შორის შეიმჩნევა არსებითი განსხვავებაც, ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ გვადის მოხერხებულობაში, გარდა თავის მოკატუნებისა, მან იცის „პირში წყლის დაგუბება“, იცის, „საცა არ სჯობს, გაცლა სჯობს“ და ასე შემდეგ, რაც არ იცის ნაცარქექიამ (დ. ბენაშვილი, ლეო ქიაჩელი, კრიტიკული ნარკვევები, I, თბ. 1967, გვ. 373).

გვადისა და ნაცარქექიას ხასიათების მსგავსება – განსხვავებაზე საუბრისას იმასაც აღნიშნავენ, რომ გვადის ხასიათის პირველწყარო ნაცარქექია არ არის. ნაცარქექიას და გვადის ერთი საერთო წყარო აქვთ. ეს წყარო სინამდვილეა და მხოლოდ ამ კუთხით ხედავენ ზღაპრისა და რომანის პერსონაჟების ხასიათთა მსგავსებას (შ.ჩიჩუა, ლეო ქიაჩელი, თბ. 1965, გვ. 84).

ჩვენი აზრით, ლეო ქიაჩელმა გვადის სახეში გააერთიანა ნაცარქექიას, როგორც მხატვრული სახის, ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი და მოგვცა ახალი, ორიგინალური ტიპი. რაკი გვადი ცხოვრებისეული ტიპია, ბუნებრივია, ნაცარქექიასეული ხასიათის გარდა შეიცავს სხვადასხვა წყაროებიდან (სინამდვილე, მწერლის ფანტაზია, ლიტერატურული ტრადიცია) მომდინარე უამრავ ფერსა და ნიშანს; მაგრამ ნაცარქექია რჩება იმ მთავარ ფაქტორად, რომელმაც მწერალს გვადის ხასიათის ძირითადი გასაღები მისცა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ.ბენაშვილი, ლეო ქიაჩელი, კრიტიკული ნარკვევები, I, თბ. 1967
2. შ.რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის  
1. ფოლკლორული არქივი, № 22 ა (66): საქ: № 157
2. პ.უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, II გამოც.
3. პროფ.მ.ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1964.
4. ლ.ქიაჩელი, თხზულებანი. ტ. II. თბ. 1962.
5. ლ.ქიაჩელი, თხზულებანი, ტომი V, თბ. 1964.
6. შ.ჩიჩუა, ლეო ქიაჩელი, თბ. 1965

#### რ ე ზ ი უ მ ე

ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ხალხური სიტყვიერება მწერლის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი წყაროთაგანია.

ცნობილი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი შენიშნავდა: „მწერლის მხატვრული სიმართლე მაშინაა უცდომელი, როცა იგი უშუალოდ ხალხური სიბრძნისაგან გამომდინარეობს, მის პოეტურ ენას მაშინ აქვს მძლავრი ზემოქმედების ძალა, როცა იგი ისეთივე ზუსტია, ხატოვანი, ნათელი და მახვილი, როგორც ხალხური მეტყველება“.

ლეო ქიაჩელმა თავის მოთხრობებსა და რომანებში ზეპირსიტყვიერების მრავალი მოტივი, სიუჟეტი, ჟანრი, სახე და ტიპი შემოიტანა.

ხალხური პროზაული ჟანრებიდან იგი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ზღაპარს. უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერება ხან მთლიანი ნაწარმოების საფენელია, ხანაც ცალკეულ პერსონაჟთა ხასიათს განსაზღვრავს. მწერლის ნაწარმოებებში ამ უკანასკნელის მხრივ, საინტერესო მოვლენაა რომან „გვადი ბიგვას“ მთავარი გმირი „გვადი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, „ნაცარქექიას“ ლიტერატურული ორეულია, შემოქმედებითად გარდასახული. სამეცნიერო ნაშრომში მოგვყავს სათანადო ნიმუშები „ნაცარქექიასა“ და „გვადის“ მსგავსი ნიშან-თვისებებისა და ვასკვნით, რომ ლეო ქიაჩელმა „გვადის“ სახეში გააერთიანა „ნაცარქექიას“, როგორც მხატვრული სახის, ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი და მოგვცა ახალი, ორიგინალური ტიპი. რაკი „გვადი“ ცხოვრებისეული ტიპია, ბუნებრივია, „ნაცარქექიასეული“ ხასიათის გარდა შეიცავს სხვადასხვა წყაროებიდან (სინამდვილე, მწერლის ფანტაზია, ლიტერატურული ტრადიცია) მომდინარე უამრავ ფერსა და ნიშანს; მაგრამ „ნაცარქექია“ რჩება იმ მთავარ ფაქტორად, რომელმაც მწერალს „გვადის“ ხასიათის ძირითადი გასაღები მისცა.



**Nora Nikoladze-Lomsianidze** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of Philology, Associate Professor

### **Comparison between 'Natsarkekia' and 'Gvadi Bigva'**

There has been a long-term connection between literature and folklore. Folk-poetry is one of the main sources of an author's artistic thinking.

An outstanding Georgian writer Leo Kiacheli remarked: 'Writer's artistic truth is definite when it comes from folk wisdom, his poetry does have a great influence when it is as precise and obvious as folk poetry'.

L. Kiacheli introduced plenty of folk plots, motives, genres, characters and types in his stories and novels. Among genres he mainly concentrates on fairy-tales. It's remarkable that folk poetry is not only the basis of his creative work, but also the determinant of his characters. The main character Gvadi from 'Gvadi Bigva', Natsarkekia's literal transformation, is a perfect example. This scientific work reveals similarities between Natsarkekia and Gvadi. As a result, we make a conclusion that L. Kiacheli used Natsarkekia's individuality in order to create Gvadi's new and original character. As Gvadi resembles a real person, it's natural that besides Natsarkekia's features, it also includes plenty of colourful characteristic qualities from different sources (reality, author's imagination, literal tradition). Despite this fact, Natsarkekia remains to be a main factor affecting the formation of Gvadi's character.

**Нора Николадзе - Ломсианидзе** - Государственный университет им. Ак.Церетели, академический доктор филологии, ассоциированный профессор

### **Сравнительная характеристика «Гвади Бигва» и народного «Нацаркекия» («Золодува»).**

История взаимоотношений литературы и фольклора имеет глубокие корни. Устное народное творчество представляет собой один из источников художественного мышления и вдохновения писателя. Как отмечал известный грузинский писатель Лео Киачели «художественная правдивость писателя приобретает исключительную искренность, когда ее основой является народная мудрость, когда она также правдива, ясна и красноречива, как фольклор». В свои произведения Лео Киачели внес множество мотивов, сюжетов, жанров, художественных образов и типов устного народного творчества. Среди народных прозаических жанров особое внимание он уделяет сказке. Должно быть отмечено, что в творчестве Киачели устное народное творчество представляет собой то основу целого произведения, то определяет характер отдельных персонажей. В свете отображения последнего утверждения интересное явление представляет собой «Гвади» - главный герой романа «Гвади Бигва». Этот персонаж, можно сказать, творчески перевоплощенный литературный двойник «Нацаркекия - Золодува» (персонажа грузинского фольклора). Рассматривая в научном труде нужные образцы общих черт «Золодува» и «Гвади», мы приходим к выводу, что в образе «Гвади» Лео Киачели обобщил индивидуальные черты «Золодува», как художественного образа и на его основании создал оригинальный тип. Так как «Гвади» жизненный реальный тип, естественно, кроме фольклорного характера «Золодува», он в себя включает происходящие из других источников (реальность, фантазия писателя, литературная традиция) множество отличительных черт и оттенков. Тем не менее именно фольклорный «Золодув» остается тем главным фактом, основным ключом, посредством которого писатель передал образ «Гвади».

тип, естественно, кроме фольклорного характера «Золодува», он в себя включает происходящие из других источников (реальность, фантазия писателя, литературная традиция) множество отличительных черт и оттенков. Тем не менее именно фольклорный «Золодув» остается тем главным фактом, основным ключом, посредством которого писатель передал образ «Гвади».

**მალვინა შანიძე** - განათლების აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### კრიტიკული აზროვნების განვითარების საკითხები ქართული ენის გაკვეთილებზე

ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, კრიტიკული აზროვნება ცნობისმოყვარეობას, გამოკითხვის სტრატეგიების გამოყენებას, შეკითხვების ჩამოყალიბებასა და მათზე პასუხის მიებას ნიშნავს. ის მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას.

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი სააზროვნო უნარია. უცხოეთში, ამ კუთხით, საგანმანათლებლო სფეროს უდიდესი ექსპერტები მუშაობენ, ტარდება მეცნიერული კვლევები, ებულობენ შედეგების ანალიზს. ქართველი მასწავლებლები რთულ ამოცანას უკვე შეჭიდებულნი არიან, თუმცა ფუნდამენტური კვლევა აღნიშნული თვალსაზრისით ჯერ არ ჩატარებულა. ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ის ახლა მკვიდრდება.

ცნობილი მკვლევარი დ. კლუსტერი კრიტიკულ აზროვნებას ხუთი ძირითადი პრინციპით განსაზღვრავს:

1. კრიტიკული აზროვნება არის **დამოუკიდებელი აზროვნება**. ამგვარად, აზროვნება შეიძლება იყოს კრიტიკული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია;

2. **ინფორმაცია** წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყის და არა საბოლოო პუნქტს. ცოდნა აჩენს მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად;

3. კრიტიკული აზროვნება იწყება **საკითხის წამოჭრითა** და გადასაჭრელი **პრობლემის გააზრებით**;

4. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის **სარწმუნო არგუმენტაციისკენ**. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ გადაწყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით, საფუძვლიანი მოსაზრებებით.

არგუმენტაციის სტრუქტურული ელემენტებია: **მოსაზრება, მტკიცებულება, დასაბუთება და საფუძველი**. ეს უკანასკნელი ყველა დანარჩენი ელემენტის ათვლის წერტილია. **საფუძველი** – ეს ის წინაპირობაა, რომელიც საერთოა ორატორის ან მწერლის და მათი აუდიტორიისათვის.

5. კრიტიკული აზროვნება **სოციალური მოვლენაა**, რადგანაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს, ან როგორც ფილოსოფოსი ჰანა არენდტი წერს: "სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ცოცხალ ურთიერთობაში, ვისიმე თანდასწრებით".

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ პედაგოგს, რ. ენისს. მან პირველმა დაამუშავა კრიტიკული აზროვნებისათვის მზაობის, განწყობის ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაგანი მოტივაციების სისტემა, რომელიც აზროვნების "ხარისხს" განაპირობებს. რ. ენისის კონცეფციის თანახმად, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი უნდა:

1. ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადაწყვეტილებები იყოს **დასაბუთებული**. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- წყაროებისა და დასკვნების ალტერნატიული განმარტებების, ახალი ჰიპოთეზების მოძიების უნარი;
- ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი;
- საკუთარისაგან განსხვავებული თვალსაზრისების განხილვის უნარი;
- მისწრაფება საკუთარი თვალსაწიერისა და მრავალმხრივი ცოდნის მუდმივი გაფართოებისაკენ.

2. ფლობდეს როგორც საკუთარი, ასევე სხვისი **პოზიციის** ნათლად წარმოდგენის უნარს:

- ნათლად და ზუსტად ესმოდეს ნათქვამის არსი - სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით;
- ახერხებდეს კონცენტრაციას საკითხსა და დასკვნებზე, ცდილობდეს, არ ასცდეს ძირითად თემას;
- ეძებდეს და წარმოადგენდეს დასაბუთებულ მოსაზრებებს;
- სიტუაციას ითვალისწინებდეს მთლიანობაში;

- კარგად იაზრებდეს საკუთარ პოზიციას.

3. პატივს უნდა სცემდეს *თანამოსაუბრის მოსაზრებას*, ე.ი. შეეძლოს სხვების მოსმენა და გაგება.

მოცემული უნარების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ხდება დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. კრიტიკული აზროვნება არის თავისებური "აზროვნება ცოდნაზე", რომელიც საშუალებას იძლევა "შეიქმნას რაღაც ახალი, გამოყენებულ იქნას ადრე მიღებული ცოდნა". ამასთან, ცნება "ცოდნა" გამოიყენება ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნება *გაკვეთილზე*, სასწავლო გეგმაში *ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენდეს*.

კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით (მეთოდის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები: ჯ. სტილი, კ. მერედიტი, ჩ. ტემპლი, მის საფუძველს კი წარმოადგენს დ. იუის და ჟ. პიაჟეს ნაშრომები) თანხმობაშია სწავლების ტრადიციულ ფორმებთანაც. იგი გულისხმობს, რომ:

- კრიტიკული აზროვნების ზოგიერთ ელემენტს კარგად იცნობენ პედაგოგები;
- მეთოდის გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება ურთიერთობას „სუბიექტი/სუბიექტი“;
- ურთიერთობის ხასიათი და სტილი დემოკრატიულია, დიალოგის ფორმისაა და გამოირჩევა ღიაობით, რეფლექსურობით;
- საქმიანობის წამყვანი ტიპია: პროდუქტიულობა, შემოქმედებითობა, პრობლემატურობა;
- მეთოდის ათვისების საშუალებებია: მაძიებლობა, რეფლექსია;
- გაკვეთილის ორგანიზების ფორმებია: ინდივიდუალური და ჯგუფური;
- სწავლის მეთოდებია: პრობლემური, ნაწილობრივ-მაძიებლობითი, კვლევითი, რეფლექსური;

მეთოდი ხელს უწყობს აზროვნების მოქნილობის ფორმირებას, მიზანსწრაფულობას, შეცდომების გამოსასწორებლად მზადყოფნას, ერთი იდეის მეორით ჩანაცვლებას.

კითხვის საშუალებით კრიტიკული აზროვნების განვითარების სტრატეგია მოიცავს სამ სტადიას: *გამოწვევას, გააზრებასა და რეფლექსიას*.

I სტადია *გამოწვევა/ მოტივაცია*. მისი გამოყენება ყოველ გაკვეთილზეა აუცილებელი. იგი საშუალებას გვაძლევს: მოვახდინოთ მოცემულ თემაზე ან პრობლემაზე მოსწავლის ცოდნის აქტუალიზაცია და განზოგადება; გამოვიწვიოთ შესასწავლი თემის მიმართ მოსწავლის ინტერესი; გავზარდოთ სასწავლო მოღვაწეობისადმი მისი მოტივაცია; გავუღვივოთ მოსწავლეს აქტიური მუშაობის სურვილი არა მარტო გაკვეთილზე, არამედ - შინაც.

II სტადია - *გააზრება* - საშუალებას აძლევს მოსწავლეს: მიიღოს ახალი ინფორმაცია, გაიაზროს იგი, შეუთანხმოს უკვე არსებულ ცოდნას.

III ფაზა - *რეფლექსია*. აქ მთავარია: მიზანმიმართული გააზრება, მიღებული ინფორმაციის განზოგადება; ახალი ცოდნის, ახალი ინფორმაციის ათვისება; თითოეული მოსწავლის მიერ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება შესასწავლი მასალის მიმართ.

*ტექსტის გაგება-გააზრება* კითხვის (ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე) ძირითადი კომპონენტია, ამიტომ, პირველ რიგში, განვმარტავთ, თუ რა არის გაგება-გააზრება. *გაგება* გულისხმობს ტექსტში გადმოცემული აზრებისა და იდეების მკითხველის გონებაში კონსტრუირებას. ტექსტის წაკითხვისა და გაგების ეფექტურობა დამოკიდებულია მკითხველის გამოცდილებაზე, მის ზოგად ცოდნაზე, კონკრეტულ თემატურ ცოდნაზე, ლექსიკურ მარაგზე, სინტაქსის ცოდნაზე, სიტყვის ამოცნობის ჩვევებზე, კითხვის გაწაფულობაზე, მოტივაციაზე და ა.შ.

წაკითხულის *გააზრება* სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი: ა) სიტყვასიტყვით გაგების დონეზე, ბ) დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონეზე და გ) *კრიტიკული შეფასების დონეზე*.

შესაბამისად, **გაგება-გააზრებისათვის** მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მოითხოვს:

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას;
- უცნობი სიტყვების სწრაფად დეკოდირებას (ამოკითხვას, გაშიფვრას, ამოცნობას) და მათი მნიშვნელობის დადგენას;
- კონტექსტური თვალსაზრისით ამოცნობასა და გამოყენებას;
- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;
- წაკითხულის გასააზრებლად ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორცაა: ვიზუალიზება, წაკითხულის რეზიუმირება, მთავარი იდეის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, **სხვადასხვა დონის კითხვების დასმა**, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა, შეფასება და სხვ.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რიგ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში. ამიტომ, საჭიროა, მიმოვიხილოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიძინოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად.

**წაკითხულის გააზრება.** შეფასების სუსტი უნარის მქონე მკითხველებს არ გააჩნიათ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ის თვისება, რითაც კარგი მკითხველები ხასიათდებიან. სუსტ მკითხველს უჭირს ტექსტის სხვადასხვა ადგილას გადმოცემული აზრების დაკავშირება. შეიძლება დავასკვნათ, რომ სუსტი მკითხველი არ ფლობს ბევრ ისეთ სტრატეგიას, რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებაში დაეხმარება. **გააზრების პრობლემის** ყველაზე გავრცელებულ **რვა მიზეზს** გამოყოფენ: 1. შეზღუდული ლექსიკური მარაგი; 2. კითხვის დაქვეითებული მოქნილობა (გაუმართავი კითხვა); 3. უცნობი საკითხავი თემა; 4. ტექსტის სირთულე; 5. კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება; 6. მსჯელობის სუსტი უნარი; 7. ინფორმაციის გადამუშავებისა და 8. წაკითხული ინფორმაციის მეხსიერებაში აღდგენის პრობლემები.

სასწავლო მეთოდები და აქტივობებიც ამ მიზეზების აღმოფხვრაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

თუმცა, არსებობს ფაქტორები, რომლებიც პატარა მკითხველს ტექსტის გააზრებაში ეხმარება. კვლევა ცხადყოფს, რომ წაკითხულის შინაარსის გასააზრებლად, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ასევე უნდა ესმოდეთ წინადადებების, აზრებისა და მთლიანი ტექსტის სტრუქტურა. ყველაზე რთული და, ამავე დროს, **ყველაზე მნიშვნელოვანი წაკითხულის გააზრებისათვის არის ის, რომ მოსწავლემ შეძლოს ტექსტის მიღმა იმის ჩაწვდომა, თუ რისი თქმა უნდაა ავტორს.** ამ შემთხვევაში პატარა მკითხველებს უნდა შეეძლოთ **აქტიური სწავლის სტრატეგიების** გამოყენება, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს დაწყებით კლასებში.

გააზრება აქტიური პროცესია. იმისათვის, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა საგანში კითხვისას აზრის გამოტანა, მათ მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ, რა უნდა იცოდეს მკითხველმა გააზრების სტრატეგიების შესახებ, როგორ ასახავს ტექსტის სტრუქტურა მის შინაარსს და რა გავლენას ახდენს ტექსტთან ინტერაქციაზე ისეთი ფაქტორი, როგორცაა კითხვის მიზანი. დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მომზადება ისეთ საკითხებში, როგორცაა მოსწავლეებისთვის წაკითხულის გააზრების სტრატეგიების სწავლება და გამოყენება, პირდაპირ აუმაჯობებს მოსწავლეთა სწავლის შედეგებს სხვადასხვა საგანში.

კითხვის მეთოდები/სტრატეგიები (მაგალითად, მართული კითხვის აქტივობა, კითხვები და პასუხები) ხშირად მოითხოვს მასწავლებლის მიერ ე. წ. **მაღალი სააზროვნო დონის (ანალიზზე, წვდომასა და შეფასებაზე ორიენტირებული) შეკითხვების დასმას.** ასეთი შეკითხვების მომზადება ხშირად წინასწარ არის საჭირო. შეკითხვები ღრმა აზროვნებას მოითხოვს მოსწავლისაგან. წაკითხული ნაწარმოების გარშემო მიგნებული შეკითხვები ყველა დონის სააზროვნო პროცესების გააქტიურებაზეა გათვლილი. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი არ შემოიფარგლოს მხოლოდ შინაარსის ზედაპირზე მოცემულ, ე. წ. ექსპლიციტური, სიტყვა-სიტყვითი ინფორმაციის აღქმაზე ორიენტირებული კითხვა-პასუხით.



კითხვის საშუალებით კრიტიკული აზროვნების განვითარება მოიცავს სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს გააზრებულად სწავლებას და აღზრდას, აზროვნების სისხარტეს, ლოგიკურობას, კრიტიკულ გააზრებას, საკუთარი და სხვისი აზრისადმი პატივისცემას, რომელთა გამოყენებით გაკვეთილი გაცილებით სასიამოვნო, საინტერესო, მრავალგვარი და ცოცხალი იქნება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

7. ენციკლოპედიური ლექსიკონი, Google.ge
8. მათა ფირჩხაძე, კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია, ინტერნეტგაზეთი "მასწავლებელი", 2013.
9. თ. ტალიაშვილის "რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება", ინტერნეტგაზეთი "მასწავლებელი", 2013.
10. კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები), USAID/G-PriEd, 2013.

#### რ ე ზ ი უ მ ე

შრომაში ყურადღება გამახვილებული ცნობილი მკვლევარის, დ. კლუსტერის კრიტიკული აზროვნების ხუთ ძირითად პრინციპზე, რ. ენისის კონცეფციაზე, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი.

მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე, სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენს. კითხვის საშუალებით კრიტიკული აზროვნების განვითარების სტრატეგია მოიცავს სამ სტადიას: გამოწვევას, გააზრებასა და რეფლექსიას.

წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი: სიტყვასიტყვით გაგების, დასკვნების (ჩაწვდომა) და კრიტიკული შეფასების დონეზე. ყველაზე მნიშვნელოვანი წაკითხულის გააზრებისათვის არის ის, რომ მოსწავლემ შეძლოს ტექსტის მიღმა იმის გარკვევა, თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს. ეს კი მოხდება მაღალი სააზროვნო დონის კითხვების (ანალიზი, წვდომა, შეფასება) დასმით.

**Мальвина Шанидзе** – Государственный университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **Вопросы развития критического мышления на уроках грузинского языка**

#### **РЕЗЮМЕ**

В работе внимание заострено на пяти основных принципах критического мышления известного исследователя Д. Клустера, на концепции Р. Энниса о том, каким должен быть критически мыслящий человек.

Примечательно, что критическое мышление на уроке представляет собой интегрированный в учебный план компонент. Стратегия развития критического мышления через чтение охватывает три стадии: вызов, осмысление и рефлексия.

Осмысление прочитанного возможно на трёх различных уровнях: на уровне дословного понимания, заключений (вникание в суть) и критической оценки. Наиболее важным для осмысления прочитанного является то, чтобы учащийся между строк текста смог определить, о чём хотел сказать автор. Это же произойдет при постановке вопросов высокого мыслительного уровня (анализ, вникание в суть, оценка).

**Malvina Shanidze** - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

### **Questions of development of critical thinking at Georgian Language lessons**

#### **Summary**

In the work the attention is focused on five key principles of critical thinking of the famous researcher D. Cluster, R. Ennis's conception, what the critically minded person should be like.

It's important that the critical thinking at the lesson is the integrated component in the curriculum. By help of reading the strategy of development of critical thinking covers three stages as are: provocation, comprehension and reflexion.

Reading comprehension is able at three different levels: word-by-word comprehension, conclusions (understanding of essence) and critical assessment. The most important for comprehension of reading is the student to have ability finding out what the author wished to say beyond the text. This will be happened by putting the highly comprehending questions (analysis, understanding the essence, assessment).

**ქეთევან შოთაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიურ მეცნიერებთა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

### სხვადასხვა ტიპის კომენტარის მნიშვნელობა მხატვრული ტექსტის სწავლებისას

ლიტერატურული ტექსტის საფუძვლიანად შესწავლა რთული და საინტერესო პროცესია. რთულია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს ადამიანური ცხოვრების, ადამიანური ხასიათებისა და ურთიერთობის ისტორიასთან, მრავალფეროვან საზოგადოებრივ ინტერესებთან, ხალხის სხვადასხვაგვარ მიდრეკილებებთან და იდეალებთან. ადამიანი, საზოგადოება, ხალხი თავისთავად ყველაზე რთული ცოცხალი მექანიზმია, ის არის ბუნებაში ყველაზე უკეთილშობილესი და უდიადესი ქმნილება. ამ ურთულესი მექანიზმისა და უდიადესი ქმნილების სწორად შესაცნობად კი მოსწავლე წინასწარ როდია ყოველმხრივ მომზადებული.

ვასწავლით რა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების თუ კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ლიტერატურული კითხვის პირველხარისხოვანი ამოცანაა განავითაროს მოსწავლეებში ცხოვრების შემეცნების გარკვეული უნარი, აღძრას ცოცხალი გრძნობები და ემოციები და ყოველივე ეს წარმართოს ლოგიკური მეტყველებისა და აზროვნების კულტურის ასამაღლებლად.

ამისათვის კი აუცილებელია მოსწავლეები, პირველ რიგში შევიაარალოთ მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებელი კითხვის, ტექსტის იდეური შინაარსის გააზრებულად ათვისებისა, წაკითხულისა და შესწავლის გარშემო საკუთარი დასკვნების გაკეთების, ტექსტზე ყოველმხრივ მუშაობის, მისი იდეურ-მხატვრული ანალიზის პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით.

ხშირ შემთხვევაში ცალკეული ნაწარმოებების შესწავლა წინა პლანზე აყენებს ყოველი ლიტერატურული ფაქტის ფართო ისტორიულ ასპექტში გააზრებას, ამიტომ მხატვრული ტექსტის სწავლებისას აუცილებელია გავაფართოოთ მოსწავლეთა წარმოდგენები იმ დროისა და ეპოქის, იმ სოციალური და საზოგადოებრივ ყოფითი ურთიერთობის შესახებ, რომელიც გამოსახულია ნაწარმოებში. ამას ისტორიულ-ყოფითი კომენტარი ეწოდება. იგი უშუალოდ ნაწარმოების შექმნის ისტორიულ პერიოდთან და პირობებთან, მწერლის ვინაობასთან არის დაკავშირებული, რომელსაც გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების შინაარსის გაგებასთან.

მაგალითად, როცა ვხსნით კოლაუ ნადირაძის ლექსს „25 თებერვალი, 1921 წელი“ აუცილებელია გავაკეთოთ ისტორიული კომენტარი და ვისაუბროთ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაზე და ამ კონკრეტულ, ქართველთათვის საბედისწერო, ისტორიულ თარიღზე.

მსოფლიო რუსული ბოლშევიზმის შიშით ცახცახებდა; განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ რუსეთის ყოფილი პატარა პროვინციები, მათ შორის ცარიზმის უღლიდან ძლივს განთავისუფლებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა... ჩვენს თანამემამულეებს შიში თავზარდამცემი სიზმარივით აუხდათ, როდესაც მეთერთმეტე წითელი არმია შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელსაც წინ მოღალატე ქართველები მოუძღოდნენ. მათ არ დაინდეს სამშობლო და წამებისათვის გასწირეს იგი.

მე-11 არმიას მედგრად ებრძოდნენ გენერალ კვინიტაძის შენაერთები, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გაიმართა ვაზიანში, კოჯორსა და ტაბახმელაში. მრავალტანჯული ქართული მიწა კიდევ ერთხელ შეიღება პატრიოტთა სისხლით, კიდევ ერთხელ გაითხარა სამშო საფლავები. გმირულად დაღუპულთა შორის ერთ-ერთი 17 წლის მარო მაცაშვილიც იყო, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაცაშვილის ასული, თავადაც მწერლობის მადლს ნაზიარები ქალიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, მოხალისედ ჩაეწერა სახალხო არმიამი და დედაქალაქის დასაცავად მიმავალ მებრძოლებს თან გაჰყვა კოჯორისაკენ, სადაც და დაიღუპა კიდევ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, იმ დღიდან მოყოლებული, ყოველი ჭეშმარიტი ქართველისთვის განუშორებლად თანმხლებ ტკივილად იქცა. ეს ტკივილი იმთავითვე გააცნობიერა ჩვენმა მწერლობამ და ამ ტრაგიკული ფაქტის გამოხატვას

არაერთი შთამბეჭდავი ნაწარმოები მიუძღვნა. ამ სატკივარის გამოხატულებაა კოლაუ ნადირაძის აღნიშნული ლექსი. „25 თებერვალი, 1921 წელი“ ყოველი თბილისელის ტკივილის მოზიარისა და თანაგანმცდელის, იმ საშინელების თვითმხილველის დაწერილია, რომელიც საქართველოს „სისხლის ზღვაში ბანაობით“ გასაბჭოებას მოჰყვა.

სასურველია აღნიშნულ ისტორიულ ფაქტებსა და პიროვნებებზე საუბრის დროს მასწავლებელმა შესაბამისი საილუსტრაციო მასალა მოამზადოს და დაიმოწმოს ისტორიული კომენტარის დროს, რათა უფრო შთამბეჭდავი გახადოს თხრობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას აღნიშნული საკითხებით. (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბავშვებს შესაბამისი დოკუმენტური კადრები ვაჩვენოთ, სადაც ასახულია საქართველოს გასაბჭოების ფაქტები, თხრობისას წარვადგინოთ შესაბამისად ისტორიულ პირთა პორტრეტები, და ზოგადად, ვიზუალური მასალა, რაც გაუჩენს მოსწავლეებს სურვილს უფრო ვრცლად გაეცნონ ამ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს. საშინაო დავალებად კი ვავალებთ მოიძიონ უფრო მეტი ინფორმაცია და წარმოადგინონ საპრეზენტაციოდ მოცემულ ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებების შესახებ.)

მხატვრული ტექსტის სწავლებისას მასწავლებელს საგანგებო ყურადღების გამახვილება მართებს სალექსიკონო მუშაობაზე, რომელიც ისე უნდა განისაზღვროს, რომ მოსწავლეები თვითონვე აყენებდნენ მოთხოვნას ამა თუ იმ ტერმინის, უცნობი და ბუნდოვანი სიტყვის განმარტების შესახებ. დასმული კითხვის გარშემო მსჯელობა და კვლევა-ძიებითი მუშაობა პირველად თვით მოსწავლეთა შორის უნდა იმლედოდეს და მხოლოდ მას შემდეგ ჩაერიოს მასწავლებელი, როცა კლასის საერთო ძალ-ღონე უძლური აღმოჩნდება. მას წინასწარვე უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველი სიტყვა, რომელიც ტექსტის მოცემულ მონაკვეთში მოსწავლეთათვის შეიძლება ბუნდოვანი იყოს. უდავო ჭეშმარიტებად უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ არც ერთი უცნობი სიტყვა თუ ფრაზა გაუგებარი არ უნდა დარჩეს. მაგრამ როდის მოვახდინოთ ამ სიტყვების განმარტება? დასაწყისში, პროცესში თუ ბოლოს? ამ საკითხზე არ შეიძლება ერთიანი სავალდებულო რეცეპტის შემუშავება. ტექსტი გვიჩვენებს გზას, რამდენადაც მრავალფეროვანია შესასწავლი მხატვრული ნაწარმოები ენობრივი და ჟანრობრივი თვალსაზრისით, იმდენად მრავალფეროვანია სალექსიკონო მუშაობის ფორმები. იგი შეიძლება მოვაქციოთ შესავალ სიტყვაში, წაკითხვის შემდეგ, გეგმის შედგენაზე მუშაობისას და ნაწარმოების ანალიზის დროს გმირთა დახასიათებაზე მუშაობისას, მოსწავლეთა სამეტყველო პრაქტიკის განმტკიცებისთვის გამოყოფილ ვაკვეთილებზე.

მეთოდისტთა ერთი ნაწილი საერთოდ უპირატესობას ანიჭებს უცნობი სიტყვების ტექსტის წაკითხვის წინ განმარტებას. ამით მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ მასწავლებლის კითხვის პროცესში ყოველი გაუგებარი სიტყვის ადგილას გონებით უმაღვე ჩასვან მონაცვლე გასაგები სიტყვა და ამით უფრო სრულყოფილი შთაბეჭდილება მიიღონ ნაწარმოების პირველი კითხვისაგან. ლიტერატურული კითხვის ვაკვეთილზე საერთოდ სალექსიკონო მუშაობის ყველაზე მისაღებ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ უცნობი სიტყვების განმარტება კითხვის პროცესში, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს ტექსტის აღქმა და გააზრება.

ნაწარმოებებში ხშირად არის გამოყენებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დაშორებული არიან თანამედროვე ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ნორმებს. (დიალექტიზმები, არქაული სიტყვები, ნეოლოგიზმები, ჟარგონები).

შესაძლებელია მოსწავლეთათვის მისახვედრი იყოს გარკვეული ნაწილი ამ ლექსიკიდან, მაგრამ ეს გარემოება მაინც გვავალდებულებს ყურადღება მივაქციოთ ნაწარმოებთა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ენობრივ-ლექსიკურ ანალიზს. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ამისათვის სალექსიკონო რვეულები, შესაბამისი სწორი ლიტერატურული ფორმები. ასეთმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ნორმების დამკვიდრებას, მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებას და სწორ ლიტერატურულ ფორმებში მის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურული კითხვის ეტაპზე სალექსიკონო მუშაობის მთავარი მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს ნაწარმოების მდიდარი იდეურ-მხატვრული შინაარსის საფუძვლიანად გაგებასა



და სამეტყველო მარაგის გამდიდრებაში, რაც ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიღრმით ვაგრძნობინებთ მოსწავლეებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, გამომსახველობით ძალას, მოქნილობას, ელასტიკურობას. ესა თუ ის ლექსიკური ერთეული მაწარმოებელი პრეფიქსებისა და სუფიქსების მეშვეობით მრავალჯერ იცვლის მნიშვნელობას. იგი გამოიყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობებითაც, მას აქვს სხვადასხვაგვარი ფრაზეოლოგიური ნიუანსების მიღების უნარი, რაც მოსწავლემ თვალნათლივ უნდა დაინახოს მხატვრულ ნაწარმოებზე თანმიმდევრული, დეტალური მუშაობის დროს.

ამიტომ სალექსიკონო მუშაობისას არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მარტოდენ გაუგებარი და უცნობი სიტყვების განმარტების ფუნქციით, მასთან მჭიდრო კავშირშია პოეტური სახეების - მხატვრული ხერხებისა და საშუალებების აზრობრივი, ემოციური, ფრაზეოლოგიური და სხვა სახის ანალიზი. ლექსიკური კომენტარისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სამი საშუალება:

- 1) სიტყვების ახსნა სინონიმური შენაცვლებების ხერხით;
- 2) სიტყვების აღწერილობითი ახსნა;
- 3) სიტყვების ახსნა თვალსაჩინოების გამოყენებით.

აქედან ყველაზე მეტად გამოიყენება სინონიმური ჩანაცვლების ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა გზადაგზა, ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში შევცვალოთ მისი მონაცვლე სინონიმური სიტყვით. სასურველად უნდა მივიჩნიოთ მოსწავლეების მიერ სპეციალური თემატური ლექსიკონების შედგენა. თემატური ლექსიკონის ფორმად შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი სქემები:

**ს ქ ე მ ა I.**

სიტყვა	რა მნიშვნელობითაა გამოყენებული ნაწარმოებში	რა მნიშვნელობით გამოიყენება დღეს

**ს ქ ე მ ა II.**

სიტყვა	განმარტება	ფრაზა/წინადადება	კომენტარი

მოსწავლეები სისტემატურად უნდა აკეთებდნენ მასწავლებლის მითითებითა და ხელმძღვანელობით ჩანაწერებს რვეულებში, თვითონ ეძებდნენ დამოუკიდებელი კითხვის დროს ტექსტში გაუგებარი სიტყვების განმარტებას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში აქციონ მსჯელობის საგნად კლასის წინაშე. მუშაობის ასეთი ფორმა მოსწავლეებში დამოუკიდებელი ძიებითი უნარის, მათი შემოქმედებითი ინტუიციის განვითარების მეტად ქმედითი საშუალებაა.

ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სინელები გვხვდება მაშინ, როცა მოსწავლეებს ვასწავლით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. მათთვის რთულად გასაგებია ამ ძეგლების ენა, რადგან მათი უმრავლესობა მოსწავლეთათვის გაუგებარია. ამიტომ ამ ნაწარმოებების შესწავლა მასწავლებლისაგან დიდ ძალისხმევასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ

შესაბამისი კომენტარების გარეშე მათი გაგება მოსწავლეთათვის ფაქტიურად შეუძლებელია. ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტზე მუშაობა, უპირველესად ენობრივი ბარიერის გადალახვას მოითხოვს, აუცილებელია მოსწავლეთათვის არქაიზმების, უცხო სიტყვებისა და რელიგიურ-ბიბლიურ სახეთა თუ იგავთა ახსნა განმარტება.

ამრიგად, ისტორიულ თუ ლექსიკურ კომენტარს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის იდეური შინაარსის გააზრების დროს, ამიტომ მათზე ყურადღების გამახვილება მასწავლებელს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს. მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ ამ ნიუანსების გათვალისწინება უადვილებს მათ არა მარტო მხატვრული ტექსტის მთავარი სათქმელის ამოცნობას, არამედ ისინი ამდიდრებენ ლექსიკას, რაც ესოდენ აუცილებელია მათი მეტყველების განვითარებისათვის.

### რეზიუმე

მხატვრულ ტექსტზე მუშაობა ერთი მთლიანი, თანმიმდევრული და შინაგანად მჭიდრო პროცესია, რომელიც გარკვეული გეგმადასახული გზით მიმდინარეობს. ხშირ შემთხვევაში ცალკეული ნაწარმოებების შესწავლა წინა პლანზე აყენებს ყოველი ლიტერატურული ფაქტის ფართო ისტორიულ ასპექტში გააზრებას, ამიტომ მხატვრული ტექსტის სწავლებისას აუცილებელია გავაფართოოთ მოსწავლეთა წარმოდგენები იმ დროისა და ეპოქის, იმ სოციალური და საზოგადოებრივ ყოფითი ურთიერთობის შესახებ, რომელიც გამოსახულია ნაწარმოებში. ამას ისტორიული კომენტარი ეწოდება. იგი უშუალოდ ნაწარმოების შექმნის ისტორიულ პერიოდთან და პირობებთან, მწერლის ვინაობასთან არის დაკავშირებული, რომელსაც გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების შინაარსისა და მთავარი გაგებასთან.

მხატვრულ ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია აგრეთვე ლექსიკური კომენტარი. სალექსიკონო მუშაობის ფორმები მრავალფეროვანია, რომელიც სასურველია გაკეთდეს ტექსტის კითხვის პარალელურად, თუმცა ის არ გულისხმობს მხოლოდ გაუგებარი და უცხო სიტყვების განმარტებას. მასთან უშუალო კავშირშია პოეტური სახეების - მხატვრული ხერხებისა და საშუალებების აზრობრივი, ემოციური, ფრაზეოლოგიური და სხვა სახის ანალიზი. მნიშვნელოვანია სპეციალური თემატური ლექსიკონების შედგენა და სხვადასხვა ტიპის სქემების გამოყენება.

**Ketevan Shotadze** - Batumi Shota Rustaveli State University, Department of Pedagogical Sciences, Assistant Professor

### **Commentaries and its Significance on Teaching Fiction**

Working on fiction text is one whole, consecutive and dense process, that goes according to the plan. Studying separate work often brings up historical consideration of every literal fact. That is why in teaching fiction it is important to broaden students' knowledge about that time and epoch, social life and relations that is presented in the works. This is called historical commentary. It is directly connected with the historical period of the work creation, conditions and author. All mentioned has certain cognitive significance on the text plot and understanding.

One of the most important part of working on fiction text is lexical commentary. Forms of working on a lexical part is diverse, and it is desirable to work on this part while reading the text, although it considers interpretation of unknown words only. It is also important to create thematic dictionary and use different types of schemes.

**Кетеван Шотадзе** – ассистент профессор факультета образования Батумского государственного университета

### **О ВАЖНОСТИ РАЗЛИЧНОГО ТИПА КОММЕНТАРИЯ ПРИ ПРЕПОДАВАНИИ ХУДОЖЕСТВЕННОГО ТЕКСТА**

Работа над художественным текстом представляет единый, последовательный и внутренне прочный процесс, протекающий целенаправленно.

Во многих случаях изучение отдельных литературных произведений ставит на первый план осмысление в широком историческом аспекте каждого литературного факта, поэтому при изучении художественного текста необходимо расширить представления учеников по отношению тех времен и эпох, отражающих социальные и общественные отношения. Именно такой комментарий и известен под названием исторический комментарий. Он связан непосредственно с историческим периодом и с условиями создания произведения, с личностью писателя, имеющий определенное познавательное значение, чтобы понять и воспринять всю глубину содержания текста

Лексический комментарий - один из наиболее важных частей в работе над художественным текстом. Разнообразны лексические формы работы, которые предпочтительно сделать параллельно во время чтения текста, хотя это не подразумевает определение иностранных и непонятных слов. Это напрямую связано с поэтическими образами - художественными методами и средствами, смысловым, эмоциональным, фразеологическим и другим видов анализа. Важным является создание специальных тематических словарей и использование различных типов схем.

ეკა ცხადაია - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი.

### სიმულაციის გამოყენება ვრცელი ტექსტის სწავლებისას

სწავლების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა გულისხმობს სწავლა-სწავლების ახლებურ მეთოდოლოგიას, სრულ შესაბამისობას სწავლების მიზნებს, მეთოდებსა და ფორმებს შორის.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსწავლე გაცილებით იოლად ინტერესდება საგნით, როცა ინფორმაციის მიწოდების ლექციური ფორმის ნაცვლად, ინტერაქციისთვის ინოვაციური მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ არა მარტო სააზროვნო უნარების გააქტიურებას, არამედ ცვლიან სასწავლო სამუშაოსაც, ხდება სასწავლო პარადიგმის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და გამრავალფეროვნება. ამიტომ სწავლების შინაარსის გარდა მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეებს უფრო ადვილად და ხალისით აათვისებინებს შინაარსს. მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად მათ ადეკვატურ შერჩევაზე დამოკიდებულია. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-10 კლასიდან იწყება ვრცელ ტექსტებზე მუშაობა. ამავე კლასში ისწავლება მშობლიური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - „ვეფხისტყაოსანი“. ვრცელი ტექსტები ღლიან მოსწავლეებს. უჭირთ რთული სიუჟეტური სტრუქტურის აღქმა, არსებითის გამოყოფა, დეტალების დამახსოვრება, კონტექსტიდან პერსონაჟის სახასიათო თვისებების სწორად ამოცნობა, მით უფრო, ამ ყველაფრის წერით გადმოცემა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო სტრატეგიის არჩევა, რათა მათ გაუიოლდეთ ინფორმაციის აღქმა, გადამუშავება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, განუვითარდეთ მაღალი სააზროვნო, ტრანსფერის, ანალიტიკურ, შემოქმედებითი უნარები და კრიტიკული აზროვნება.

„პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები.

- ✓ განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)
- ✓ გამოუმუშავოს წერითი და ზეპირი მეტყველება. აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმის და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი.
- ✓ ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნება.“ (ესგ)

ამ მიზნების მისაღწევად მრავალი ეფექტური, ინოვაციური ხერხი არსებობს, მათ შორისაა სიმულაციური სიტუაცია. სიმულაცია გულისხმობს რეალობასთან იდენტური ხელოვნური სიტუაციის შექმნას, ის რეალობის გათამაშებაა. სიმულაციას ადამიანის მონაწილეობით როლური თამაში ეწოდება და საუკეთესოა რთული, პრობლემური თემების დამუშავებისას. მინდა გაგაცნოთ საკუთარი გამოცდილება პრესკონფერენციის მეთოდით დაგეგმილი, სიმულაციური გაკვეთილის შესახებ.

**თემა.** რომელსაც მივუსადაგეთ სიმულაცია „პრესკონფერენცია“, გახლდათ ავთანდილისაგან ჭაშნაგირის მოკვლა („ვეფხისტყაოსანი“)

**მიზანი:** ზეპირი და წერითი მეტყველების გავითარება.

#### ესგთან კავშირი

ქართ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია.

✓ ამოკრებს ტექსტიდან ფაქტობრივ ინფორმაციას (ანუ ინფორმაციას მოქმედების ადგილის, დროის, მონაწილეების შესახებ; საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის შესახებ);



ქართ. XI. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეს დაწერა.

- ✓ წერს ესეს, რომელშიც პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს მოცემული თემის, პრობლემების შესახებ (ამტკიცებს / უარყოფს, გამოთქვამს ვარაუდს, ადარებს, ავლებს პარალელებს);
- ✓ განიხილავს პერსონაჟის ხასიათს, ქცევის მოტივს, ღირებულებებსა და ფასეულობებს (ფსიქოლოგიური პორტრეტი);

**დავგეგმვა:** გაკვეთილი-პრესკონფერენციის იდეა დაიბადა ჟურნალ „მასწავლებელში“ გამოქვეყნებული სტატიაზე დაყრდნობით, თუმცა, კლასის სპეციფიკიდან (მცირერიცხოვანი კლასია) გამომდინარე, რამდენადმე განსხვავებული ფორმატით, საკუთარი ინტერპრეტაციით ჩატარდა. მოსწავლეებმა ეს იდეა მიიღეს ენთუზიაზმით. თემის შესწავლისას მოსწავლეებს ვთხოვე წარმოედინათ, რომ ისინი არიან ჟურნალისტები და გახმაურებული მკვლევარების შესახებ ინფორმაცია უნდა მოეპოვებინათ „შინაგან საქმეთა მინისტრისგან,“ მოეფიქრებინათ და დაესვათ კითხვები, დაემუშაებინათ მიღებული პასუხები, გამოეთქვათ ვარაუდები და მასალა წარმოედგინათ საგაზეთო სტატიის სახით. კონფერენცია-გაკვეთილი დავგეგმეთ პარასკევ დღეს, რათა შაბათ-კვირას შეძლებოდათ გაანალიზება და სტატიებად წარმოდგენა.

თემის შესწავლის შემდეგ კლასი დაიყო შემდეგ სიმულაციურ ჯგუფებად: 1. ჟურნალისტები (კრიტიკული ჟურნალისტები და ანალიტიკოსები) 2. კორესპონდენტი 3. ფოტოგრაფი, 4. პროდიუსერი. 5. მოპასუხე (სიმულაციურად გულანშაროს შინაგან საქმეთა მინისტრი).

კითხვები და ამოცანები, რომელიც მაინტერესებდა გაკვეთილის ასე დავგეგმვისას გახლდათ შემდეგი:

- ✓ რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული გაკვეთილი ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას?
- ✓ არის თუ არა დავალებები ისე განაწილებული, თითოეული მოსწავლის ძლიერი მხარე წარმოჩინდეს?
- ✓ რამდენად მოტივირებული იქნებიან სასწავლო პროცესისთვის?
- ✓ რამდენად მოახერხებენ კითხვების დასმას, საუბრის დაგეგმვას, წერილობით თხრობას, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებასაც და საკითხის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენას.
- ✓ რამდენად ვალიდურია დრო საბოლოო შედეგის მისაღწევად?

კრიტიკოსმა ჟურნალისტებმა ბევრი და სხვადასხვანაირი კითხვა მოამზადეს. ანალიტიკოსმა შეაფასა შეაფასა მოპასუხის მუშაობა. (წერილობით). კორესპონდენტმა წერილობით შეაჯამა ჩატარებული პრესკონფერენცია. ფოტოგრაფმა დაამზადა პრესკონფერენცია ფოტოსლაიდები.

**პრესკონფერენცია-გაკვეთილის მსვლელობა** - მოსწავლეებმა გაითავისეს როლები, მასწავლებელი პროდიუსერის როლს ასრულებდა. გადავწყვიტე, მოპასუხის როლი კოლეგისთვის შემეთავაზებინა. ეს სიურპრიზი იყო მისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. ამით კიდევ უფრო მიემსგავსა იმიტირებული პრესკონფერენცია რეალურს. მოსწავლეებმა მოიფიქრეს და დასვეს კითხვები. მუშაობდნენ ენთუზიაზმითა და ხალისით. გააკეთეს ჩანაწერები. საკუთარი შეხედულებები გაამყარეს არგუმენტებით. მოპოვებული ინფორმაცია მეორე დღეს წარმოადგინეს სტატიის სახით. გამოსცეს ჟურნალი „გულანშაროს მაცნე“.

**შეფასება:** მოხდა გაკვეთილის შეჯამება. მოსწავლეებმა თვითონ დაასახელეს ყველაზე საინტერესო კითხვის ავტორი. წერთი ნამუშევრები კი შეფასდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე დამტკიცებული წერთი დავალების შეფასების სქემის მიხედვით.

**შედეგი:** მოსწავლეებმა დაამუშავეს ტექსტი, ამოკრიბეს ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაცია,

- ✓ ინფორმაციას მოქმედების ადგილის, დროის, მონაწილეების შესახებ; საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის შესახებ;

- ✓ წარმოადგინეს სტატიები, რომელშიც პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობდნენ მოცემული თემისა და პრობლემაზე (დაამტკიცეს და უარყვეს, გამოთქვეს ვარაუდი, შეადარეს, გაავლეს პარალელები);
- ✓ განიხილეს პერსონაჟის ხასიათი, ქცევის მოტივი, ღირებულებები და ფასეულობები,
- ✓ შექმნეს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი.

შესაბამისად, მასწავლებლის დასახული ამოცანა, გაეაზრებინათ ტექსტი. განევიტარებინათ ზეპირი და წერითი მეტყველების უნარები, მიღწეულ იქნა. კლასი იყო მოტივირებული, ენთუზიაზმით დამუხტული.

კოლეგათა ურთიერთანამშრომლობა, ერთობლივი გაკვეთილები სწორი პედაგოგიური მიდგომებისა და ჯანსაღი სასწავლო კლიმატის საწინდარია, რაც, ასევე, ამ გაკვეთილის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

#### **დასკვნა:**

პრაქტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრესკონფერენცია, როგორც საგაკვეთილო ინოვაციის ფორმა, სწავლების ეფექტური საშუალებაა. სწავლის პროცესს აძლევს მუხტსა და ენერჯიას და მოსწავლეს დადებით განწყობას უქმნის შესასწავლი საკითხისადმი. მეთოდი ზოგადად, ყველა საგანში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაზე ეფექტურია ვრცელი ტექსტების, პრობლემური საკითხების, ბიოგრაფიების შესასწავლისას. ვრცელი მასალის ცალკეული პასაჟების გაგებისთვის სიმულაციური სიტუაციები უფრო აიოლებს ტექსტის შესწავლას. მოსწავლე არ იღლება, ხალისით მონაწილეობს სწავლის პროცესში და ითავისებს როლს. უფრო მეტად უკვირდება დეტალებს.

ამ ტიპის სიმულაციური გაკვეთილის დროს არ ხდება მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირება, არამედ მოსწავლე იყენებს ამ ცოდნას. გამოთქვამს ვარაუდებს, აკეთებს ანალიზს, აფასებს, რაც არის კიდევაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ამოცანა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები-სოფიკო ლობჯანიძე ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=43](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=43)
3. პრესკონფერენცია, როგორც გაკვეთილის ფორმა-ირმა კახურაშვილი. ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“  
[www.mastsavlebeli.ge/?action=news&npid=2034](http://www.mastsavlebeli.ge/?action=news&npid=2034)
4. თამაშით სწავლება- უპირატესობები, გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა ინტერნეტჟურნალი „განათლება“ <http://news.edu.aris.ge/eduworld/6777-TamaSiT-swavleba-upiratesobebi-gamowvevebi-dasaukeTeso-praqtika.html>

## რეზიუმე

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ ტექსტზე მუშაობისას სიმულაციური აქტივობის გამოყენებას. განხილულია სქელტანინი ნაწარმოების სწავლებისას აღქმა-გაგებასთან დაკავშირებული პრობლემები. აღწერილია კონკრეტული სიმულაცია - „პრესკონფერენცია“, რომელიც გამოყენებულია ძირითადი სამეტყველო უნარების ( წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი), ასევე, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების გასავითარებლად.

აღწერილია გაკვეთილის მსვლელობა, კითხვები, რომელსაც ითვისებისწინებს მასწავლებელი დაგეგმვისას. მიღწეული შედეგები და პრაქტიკოსი მასწავლებლის რეკომენდაციები თუ რა ტიპის სამუშაოს შეიძლება მიესადაგოს წარმოდგენილი სიმულაცია-პრესკონფერენცია, როგორც საგაკვეთილო ინოვაცია და როგორც სწავლების ეფექტური საშუალება.

**Эка Цхაдаია** – Хобский муниципалитет. №2 публичная школа село Ноджихеви. Учительница Грузинского языка и литературию

### Резюме

Наш труд представляет собой работу над объемном текстом с применением симуляционных активностей и проблем при учебе подобных текстов.

Описана конкретная симуляция „Пресконференция“ которая применяется для развития навыков письма, чтения, говорения, слушания.

Описан ход урока и советы учителя- практика.

Эта симуляция представляет собой эффективное средство обучения.

**Eka Tskhadaia** - Khobi. Nojikhivi public school #2. The Techer of Georgian language and literature.

### Resiume

The Theme is about description of inovative methods in teaching large texts.

This method helps to develop following abilities: reading, writing, listing and speacing. The is discretion of lesson possession and there are recomends of practical teachers too.

This inovative method is an effective means of teaching.

ლევან ჯინჯიხაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე დაწყებით სკოლაში

საგანმანათლებლო დაწესებულების, სკოლის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს ის, რომ დაწყებით საფეხურზე საფუძველშივე უნდა ჩაიდოს მოსწავლის წიგნიერება, მისი სწრაფვა ცოდნისაკენ, რასაც ემსახურება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი. იგი განსაკუთრებული გაკვეთილია, რომელიც ემსახურება მოსწავლის როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდასა და განვითარებას.

სწავლება პირველ კლასში იწყება ინტეგრირებული კურსით – წერა-კითხვის სწავლებით, რომლის დასრულების შემდეგ მოდის ლიტერატურული კითხვა და ქართული ენის (გრამატიკის ელემენტარული კურსის) სწავლება. მოსწავლის პიროვნების განვითარება და ფორმირება, როგორც მკითხველისა, ძირითადად წარმოებს პირველივე კლასიდან კითხვის გაკვეთილებზე. ნ. მალაკელიძის მითითებით I-IV კლასებში მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკას ტრადიციულად „ახსნითი კითხვა“ ეწოდება, ხოლო რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკა V-VI კლასებში. აქ ამ მიზნით ძირითადად ე. წ. „ლიტერატურული კითხვა“ გამოიყენება. მისივე აღნიშვნით, დღეს არსებითი განსხვავება ამ ტერმინებს შორის „ახსნითი კითხვა“ და „ლიტერატურული კითხვა“ თითქმის დაკარგულია და განსხვავებას ძირითადად აქ სასწავლო მასალა ქმნის [1, 80].

დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მკითხველის კომპეტენტურობის ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები: კითხვის ტექნიკის, აღქმის უნარებისა და ტექსტის ანალიზის ფორმირება; კითხვის პროცესის, კითხვისადმი მოთხოვნილების ინტერესის გაღვივება და განვითარება; პიროვნების თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნების აღზრდა; ესთეტიკურ-ზნეობრივი ფასეულობების წინ წამოწევა; ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარება; მეტყველებითი და კომუნიკაციური კულტურის დაუფლება; შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება; მოსწავლეთა მიმართება ლიტერატურასთან, როგორც სიტყვის ხელოვნებასთან; გამომეტყველებითი საშუალებების გამოყენებით ტექსტის ანალიზი და ცალკეული თეორიული ლიტერატურული ცნებების გაცნობა.

ყოველივე ამის ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე სხვა მეთოდებთან ერთად გამოვიყენოთ სწავლების ისეთი საშუალება, როგორცაა **ანტიციპაცია**. **ანტიციპაცია (anticipatio)** ლათინური სიტყვაა და გააჩნია ორი მნიშვნელობა: „1. რისამე წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გამოცნობა; 2. რაიმე მოვლენის სავარაუდო დროზე ადრე დადგომა; რისამე ვადაზე ადრე შესრულება“ [2, 44].

თანამედროვე პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ანტიციპაცია დაკავშირებულია კითხვის ჩვევის ფორმირებასთან. იგი განიხილება როგორც უნარი ან შესაძლებლობა შესასწავლი ტექსტის შინაარსისა და ელემენტების წინასწარ გამოცნობა, წინასწარ განსაზღვრა, წინასწარ განჭვრეტა. პედაგოგიკის სპეციალისტები გამოყოფენ ანტიციპაციის სამ ძირითად ფუნქციას: რეგულატორულს, კოგნიტურს და კომუნიკაციურს. ანტიციპაციის რეგულატორული ფუნქცია გამოიხატება წინასწარი მომზადების პროცესში, როდესაც ხდება მოქმედების შედეგების წინასწარი პროგნოზირება. ეს კი განსაზღვრავს შექმნილი სიტუაციის მიმართულებასა და ქმედების ხასიათს. ანტიციპაციურ პროცესებს მიეკუთვნება მთავარი როლი უმცროსკლასელთა საქმიანობის რეგულირებისას, მიზნის დასახვისა და ფორმირებისას, საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისა და პროგრამირებისას, გადაჭრის მიღებისას, კონტროლის განხორციელებისას. ანტიციპაციის კოგნიტური ფუნქცია დაკავშირებულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესების განხორციელებასთან, რომლებშიც ყოველთვის გვაქვს მომენტი, და რომელიც მომავალს ეხება. ანტიციპაციურ პროცესებთან უმჭიდროეს კავშირშია კოგნიტივიზმის ისეთი უმთავრესი სტრატეგიები, როგორცაა **აზროვნება** და **მეხსიერება**.



მ. ჯაფარიძე და ნ. თომამე განიხილავენ რა პედაგოგიურ სწავლებაში კოგნიტიური მიდგომის თავისებურებებს, მიუთითებენ, რომ „კოგნიტივიზმი სვამს კითხვას - როგორ ხდებიან ბავშვები მოაზროვნენი და როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ იყვნენ უფრო პროდუქტულები, პრაქტიკულები და შემოქმედებითები. ...მოსწავლემ, ერთის მხრივ, საკუთარი თავი უნდა გააცნობიეროს, როგორც შემეცნებელმა სუბიექტმა, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას, მეორეს მხრივ, მან უნდა განავითაროს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც მონაწილეობენ კრიტიკული, შემოქმედებითი, ეფექტური აზროვნების ამოცანის გადაჭრის პროცესში“ [3, 95-96].

ანტიციპაციის **კომუნიკაციური ფუნქციას** ვლინდება მოსწავლეთა ნებისმიერი ურთიერთქმედება. პროგნოზირების თუ წინასწარი ჭვრეტის პროცესში ადგილი აქვს როგორც სხვისი მეტყველების გაგებასა და აღქმას, ასევე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას. ასეთ დროს საკითხის, თემის, ფაქტის თუ მოვლენის პროგნოზირება, წინასწარ გამოცნობა ძირითადად ხდება ინტუიციის ხარჯზე.

დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე წამყვანია მიზანმიმართული მკითხველის საქმიანობის ფორმირების ტექნოლოგია, ანუ **შემოქმედებითი კითხვის ტექნოლოგია**, რომელიც აყალიბებს უმცროსკლასელთა კითხვის კომპეტენტურობას. ეს ტექნოლოგია საკუთარ თავში რთავს ტექსტზე მუშაობის სამ ეტაპს:

**პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვამდე.**

- ანტიციპაცია (მოსალოდნელი საკითხავი მასალის წინასწარ გათვალისწინება, გამოცნობა); ტექსტის აზრობრივი, თემატური და ემოციონალური მიმართულების განსაზღვრა; დასახელებულ ნაწარმოებში გმირების გამოყოფა; ავტორის დასახელება; საკვანძო სიტყვები; მოსალოდნელი ტექსტის ილუსტრირება მკითხველის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

- გაკვეთილის მიზნების დადგენა საერთო (სასწავლო, მოტივაციური, ემოციონალური, ფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო საქმიანობისათვის.

**მეორე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის პროცესში.**

- **ტექსტის პირველადი წაკითხვა.** დამოუკიდებელი კითხვა ან კითხვა-მოსმენა, პაუზებით კითხვა, ან კომბინირებული კითხვა (მასწავლებლის არჩევით) ტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; პირველადი აღქმის გამოვლენა დიალოგის გზით; პირველადი შთაბეჭდილების (შთაბეჭდილებების) ფიქსირება; ვარაუდების გამოთქმა და სქემის შედგენა; მოსწავლეთა მიერ პირველადი წინადადებების შედარება მხატვრული ნაწარმოების შინაარსთან და ამ შედარების გამოვლენა; წაკითხული ტექსტის ემოციურად გამოხატვა.

- **ტექსტის ხელახალი წაკითხვა.** მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ნაწილების განმეორებითი დაკვირვებული კითხვა; ტექსტის ანალიზი – კომენტარებული კითხვა, საუბარი წაკითხულთან დაკავშირებით; საკვანძო სიტყვების გამოყოფა და ა. შ.

- **მსჯელობა ტექსტის შინაარსზე.** წაკითხულის განზოგადება; ტექსტის გარშემო განზოგადებული კითხვების დასმა; საჭიროების შემთხვევაში ტექსტის ცალკეული ნაწილების წაკითხვა გამომეტყველებით.

**მესამე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის შემდეგ.**

- **კონცეპტუალური (აზრობრივი) საუბარი ტექსტის მიხედვით.** წაკითხულის გუნდური განხილვა, დისკუსია; მკითხველის ინტერპრეტაციის (განმარტებითი, შემფასებლური) შეფარდება მწერლის ნაწარმოების პოზიციებთან; ტექსტის ძირითადი იდეების გამოვლენა და მისი ჩამოყალიბება.

- **მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა.** საუბარი მის პიროვნულობაზე; მუშაობა საკითხავ მასალაზე დამატებითი წყაროების გამოყენებით.

- **მუშაობა სათაურზე, ილუსტრაციებზე.** სათაურის გააზრება და მისი განხილვა; მოსწავლეთა მიმართება მზა ილუსტრაციებზე; მხატვრის ხედვისა და მკითხველის წარმოდგენის ერთმანეთთან შედარება.

• **შემოქმედებითი დავალება**, რომელიც დაეყრდნობა მოსწავლეთა მკითხველობითი საქმიანობის რომელიმე სფეროს – ემოციებს, წარმოსახვას, შინაარსის გააზრებასა თუ სხვა მხატვრულ ფორმებს.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი თავისთავად ცხადია ითვალისწინებს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის საქმიანობასაც, აქედან გამომდინარე მისი ტექნოლოგიური სქემა შეიძლება ასეთი იყოს:

**პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვამდე.**

**შინაარსობრივი მხარე:** მოსწავლეთა საერთო მზადყოფნა გაკვეთილისათვის; მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება; მოქმედების საერთო გეგმა; საშინაო დავალების შემოწმება; არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანა, პრობლემების წინ წამოწევა; ტექსტის შინაარსის წინასწარი პროგნოზირება (ანტიციპაცია); გაკვეთილის მიზნების წარმოჩენა.

**მასწავლებლის საქმიანობა:** მოსწავლეთა მზადყოფნის შემოწმება; მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისათვის ეფექტური ხერხის შერჩევა; მოსწავლეთა შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა: შემოწმების აუცილებლობა, შესაძლებლობების გააქტიურება, თემისა და გაკვეთილის ტიპის თავსებადობა, თვითშეფასებისა და თვითკონტროლის უნარ-ჩვევის გამომუშავება; შერჩეული სავარჯიშოების სიზუსტე და მისი კავშირი ახალ საგაკვეთილო მასალასთან. გაკვეთილზე პრობლემური საკითხების დაყენება; მოსწავლეთა მომზადება ტექსტის წასაკითხად, ტექსტის შინაარსის წინასწარი პროგნოზირება (ანტიციპაცია), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; გაკვეთილის მიზნების დადგენა საერთო (სასწავლო, მოტივაციური, ემოციონალური, ფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო საქმიანობისათვის.

**მოსწავლეთა საქმიანობა:** მზადყოფნის თვითკონტროლი; ყურადღების მობილიზება; თვითგანსაზღვრა: „ვიცი რაც უნდა ვაკეთო“...; „ვფიქრობ, რომ შემიძლია გავაკეთო“...; განვლილი მასალის თავისუფალი ფლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარის გამოვლენა ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის პროცესში; გაკვეთილის თემის დამოუკიდებლად ფორმულირება, ტექსტის სათაურისა და ავტორის ვინაობის გამოცნობა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა ტექსტის წინმსწრები ილუსტრაციის მიხედვით, ტექსტის მიმართულების განსაზღვრა აზრობრივი, თემატური და ემოციურობის თვალსაზრისით, ტექსტის გმირების გამოცნობა და გამოყოფა.

**შესაძლო მეთოდები და ხერხები:** გონებრივი იერიში, ვარაუდები საკვანძო სიტყვების გამოყენებით, სწორი და არასწორი მტკიცებები, კითხვების დასმის სწავლება.

**მეორე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის პროცესში.**

**შინაარსობრივი მხარე:** ტექსტის პირველადი წაკითხვა; ტექსტის ხელახალი წაკითხვა; ტექსტის შინაარსზე მსჯელობა.

**მასწავლებლის საქმიანობა:** ტექსტის პირველადი წაკითხვის სახის შერჩევა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე: ინდივიდუალური, კომბინირებული, პაუზებით კითხვა, ხმამაღალი ან ჩუმი, მასწავლებლის მიერ; მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, საგაკვეთილო მასალის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და დადგენა. პირველადი აღქმის გამოვლინებისათვის შესაბამისი მიდგომების (საუბარი, პირველადი შთაბეჭდილებების ფიქსირება, კითხვებზე პასუხის გაცემა ვარაუდების (ანტიციპაციის) გზით, დასაშვებია წერილობითი ფორმითაც) შერჩევა როგორც ტექსტის, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე. მოსწავლეთა პირველადი აღქმის შესაბამისობა მოსალოდნელი მუშაობის შინაარსობრიობასთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტივების შეტანა. მეორე ეტაპის მიზნობრივი დასაბუთება და კავშირის დამყარება პირველადი აღქმის შედეგებთან. გააზრებული კითხვის ორგანიზაცია, ავტორთან დიალოგი ტექსტის მეშვეობით. სხვადასხვა აზრობრივი საკითხების დასმა ტექსტთან მიმართებაში. ტექსტის პაუზებით კითხვა და თითოეული ნაწილისადმი შესაბამისი კითხვების დასმა. ტექსტის მოკლე და მკაფიო კომენტირება, სალექსიკონო მუშაობის წარმართვა. წაკითხულის განზოგადება. ტექსტის გარშემო განზოგადებული კითხვების დასმა. საჭიროების შემთხვევაში ტექსტიდან ცალკეული ფრაგმენტების მოხმობა და მისი გამომეტყველებით წაკითხვა.

**მოსწავლეთა საქმიანობა:** დამოუკიდებელი კითხვა. ტექსტთან მიმართებაში მისი ემოციური დამოკიდებულება. საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოხატვის უნარი. საკუთარი ვარაუდის გადამოწმება ტექსტის შინაარსთან და პერსონაჟებთან მიმართებაში. რეფლექსია: რატომ გამოდგა მისი პროგნოზი სწორი? არასწორი? რომელი ინფორმაცია აღმოჩნდა საკმარისი? არასაკმარისი? მასწავლებლის კითხვებზე პასუხის გაცემა ტექსტზე დაყრდნობით, საკუთარი თვალსაზრისის (მოსაზრების) დასაბუთება. სწრაფვა მონახოს და გამოიცნოს ავტორისეული მინიშნებები ტექსტში. თხრობისა და გამომეტყველებითი კითხვის გამოყენების გზით პასუხის გაშლის უნარი, ტექსტის თემის განსაზღვრის უნარი.

**შესაძლო მეთოდები და ხერხები:** გონებრივი იერიში, გონებრივი რუკა, პაუზებით კითხვა, ვარაუდების სქემა, თავისუფალი წერა „დამიტოვებ სათქმელი“.

**მესამე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის შემდეგ.**

**შინაარსობრივი მხარე:** კონცეპტუალური (აზრობრივი) საუბარი ტექსტის ირგვლივ. მწერლის (ავტორის) გაცნობა. მუშაობა სათაურზე, ილუსტრაციებზე. შემოქმედებითი დავალება.

**მასწავლებლის საქმიანობა:** აზრობრივი კითხვების დასმა ტექსტთან მიმართებაში (სასურველია პრობლემურობის თვალსაზრისით). კოლექტიური დისკუსიის ორგანიზება. მონაწილეთა მიყვანა კოლექტიურ გადაწყვეტილებამდე ავტორის პოზიციის გათვალისწინებით. ტექსტის ძირითადი იდეების ფორმულირება. საუბარი მწერალზე, მის ბიოგრაფიაზე. დამატებითი საინფორმაციო წყაროების მოძიება და მუშაობა საკითხავ მასალაზე. ტექსტის სათაურის განხილვის ორგანიზება და განხილვის ფორმების შერჩევა. მოსწავლეთა მიმართება მზა ილუსტრაციებზე. შემოქმედებითი დავალების შერჩევა, რომელიც დაეყრდნობა მოსწავლეთა მკითხველობითი საქმიანობის რომელიმე სფეროს – ემოციებს, წარმოსახვას, შინაარსის გააზრებასა თუ სხვა მხატვრულ ფორმებს. მოსწავლეთა ლიტერატურული თავისებურებების განვითარება. დავალების შესრულების ორგანიზაციული ფორმების შერჩევა. მოსწავლეთა მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა. შედეგების შეჯამება.

**მოსწავლეთა საქმიანობა:** დისკუსიაში მონაწილეობა. ჰიპოთეზების წინ წამოწევა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოყალიბება. საკუთარი მოსაზრების შეცვლა და კორექტირების უნარი. ტექსტიდან ძირითადი საკითხების დამოუკიდებლად გამოყოფა. წაკითხული ტექსტის საფუძველზე მწერლის პიროვნების დახასიათების უნარის გამომუშავება. მწერალზე საწყისი წარმოდგენის გადაფასება და მისი შესაბამისად კორექტირება. დამატებითი საინფორმაციო წყაროების მოძიება და მათზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარება. ნაწარმოების სათაურის განსაზღვრა. მხატვრული ტექსტისა და ილუსტრაციების ურთიერთმიმართება, წაკითხულიდან გამოტანილი შეხედულების შედარება-შეპირისპირება მხატვრის ხედვასთან. როლებად გათამაშება (მოსწავლეთა მიერ როლების - ავტორის, პერსონაჟების - მორგება). შემოქმედებითი დავალების შესრულება დამოუკიდებლად (წყვილებში, ჯგუფებში) როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით. საკუთარი და კოლექტიური საქმიანობის შეფასება და რეფლექსია. მთავარი შედეგის დემონსტრირება: გამომეტყველებითი კითხვა, ტექსტის ინტერპრეტაცია, პასუხები პრობლემურ კითხვებზე და სხვ.

**შესაძლო მეთოდები და ხერხები:** კვლევითი და ევრისტიკული საუბრები, ინფორმაციულ ბლოკებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება; საკვანძო სიტყვებთან და სწორ და არასწორ მტკიცებებთან დაბრუნება, პასუხები დასმულ კითხვებზე, სხვადასხვა სახის დისკუსიის ორგანიზება და სხვ.

იმისათვის, რომ ახალი ნაწარმოები თითოეული მოსწავლისათვის იყოს საინტერესოდ აღსაქმელი და გასააზრებელი, მასწავლებელი ხშირად უნდა ქმნიდეს ისეთ განსაკუთრებულ პრობლემურ სიტუაციას (სიტუაციებს), რომ მოსწავლეებმა თვითონ შეძლონ გამოცნობა, გარკვევა ტექსტში, ანუ შეძლონ დაიჭირონ მწერლის ნააზრევი. ასეთი პრობლემური სიტუაცია შეიძლება შევქმნათ იმ მხატვრულ ტექსტზე დაყრდნობით, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ წაკითხვისათვის, არამედ კვლევისთვისაც.

### ლიტერატურა:

1. ნ. მაღლაკელიძე. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა. თბილისი, 2013.
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგ. მ. ჭაბაშვილი. თბილისი, 1964.
3. მ. ჯაფარიძე, ნ. თომამე. აზროვნება და მეხსიერება - კოგნიტური სტრატეგიები. კრებ. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005. გვ. 90-101.

### რეზიუმე

თანამედროვე სკოლის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს დაწყებით საფეხურზე საფუძველშივე ჩაიდოს მოსწავლის წიგნიერება, მისი სწრაფვა ცოდნისაკენ, რასაც ემსახურება ლიტერატურული კითხვა, რომლის ძირითადი ორიენტირია მოსწავლე ლიტერატურული კითხვის გზით დაეუფლოს სრულყოფილ კითხვას, განუვითარდეს შემოქმედებითი და კომუნიკაციური შესაძლებლობები, ტექსტის აღქმის გზით ჩამოუყალიბდეს აღმზრდელი-ესთეტიკური ფასეულობები, მოახდინოს მოსწავლის სტიმულირება შემოქმედებითი კითხვის დროს. ამ მიზნით სტატიაში განხილულია სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელი ამოცანების გადაჭრას.

**Леван Джинджихадзе**

**Применение современных подходов к обучению на уроках литературного чтения**

**Резюме**

Приоритетную цель современной школы составляет – в основу первой же ступен обучения вложить грамотность ученика, его стремления к знанию, чему служит литературное чтение, основным ориентиром которого является овладение учеником развитым чтением, развить у него творческие и коммуникативные возможности, посредством восприятия текста формировать воспитательно-эстетические ценности, стимулировать его к творческому чтению. С этой целью в статье рассмотрено применение современных подходов к обучению на уроках литературного чтения, которые служат решению образовательных, развивающих и воспитательных задач.

**Levan Jinjikhadze**

**Organization and Approaches of Literary Reading Lesson in Elementary Classes**

**Summary**

The main goal of modern school is putting pupil's literacy, his/her strive for knowledge profoundly at elementary level. Literal reading serves to it, its major orienting point is mastering the pupil perfect reading through literal reading, developing creative and communicative capabilities, forming educational - aesthetic values through text comprehension, cause the student's motivation during the creative reading. For this purpose the article discusses the usage of interactive approaches at literary reading lessons, which serves to solve the educational, development and training tasks.



## უცხო ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია METHODOLOGY OF TEACHING FOREIGN LANGUAGE AND LITERATURE

Ә. Ә. МАНСУРОВА - Докторант Бакинского славянского университета

### ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕКСТ КАК ОСНОВА ОБУЧЕНИЯ ЯЗЫКУ

В основе современного понимания единицы обучения языку лежит представление о тексте. Следует отметить, что эта категория понимается по-разному. Причем за множеством определений стоит не только и не столько аморфность научной рефлексии, сколько сложность и неоднозначность самого объекта. Так, под определение текста подпадает пространство значительных по объему романов, часто издаваемых в нескольких томах. Но текстом является и высказывание в форме так называемого назывного предложения, т.е. состоящее из одного слова. Мы говорим о текстах реклам, также состоящих из одного слова, причем такими словами-текстами могут быть и междометия, сопровождающие рекламный рисунок.

Высказывание соотносится с деятельностью, оно является разновидностью деятельности. Следовательно, язык, изучаемый на основе текста, ориентирован на два аспекта: деятельностный и лексико-грамматический. Оба аспекта предполагают когнитивный анализ. В первом случае анализ языковых единиц может проводиться в чисто прагматическом плане. Во втором – в плане раскрытия национально-культурного содержания. Необходимо также отметить, что национально-культурное содержание языковых единиц представляет собой довольно растяжимое понятие. Более того, оно присутствовало всегда. Например, этимологический или обычный семантический анализ экзотизмов на уроках иностранного языка предполагает раскрытие культурного или культурно-исторического содержания. В условиях актуализации когнитивной проблематики внимание исследователей и преподавателей фиксируется уже не просто на культурном содержании языковой единицы, а на национально-языковой картине мира, характеризующей ментальность народа. Иными словами, мало отметить, что такое блинчики, необходимо раскрыть конкретное содержание фрагмента кулинарной и бытовой культуры русского народа, связанный с приготовлением мучных изделий. Поскольку когнитивный анализ нацелен на определение границ картины мира и тем самым диапазона и характера постижение смысла событий, он носит подлинно системный характер. Современная лингводидактика должна учитывать этот важнейший фактор.

Такое понимание задач современной лингводидактики сближает когнитивный анализ с анализом лексико-фразеологических средств языка по семантическим полям. И в том, и в другом случае мы имеем взаимосвязанное изучение и соответственно представление знаков, накладывающихся на определенное поле смысла, адекватно покрывающих его. Однако существует и значительное отличие. Когнитивный анализ носит концептуальный характер, он нацелен на раскрытие концептуального содержания как отдельных компонентов текста, так и текста в целом.

Следует отметить, что относительно термина *концепт* в современной лингводидактике не существует единого мнения. Вместе с тем можно выделить какие-то существенные признаки, дающие возможность понять, что понимают исследователи под такими терминами, как *концепт* и *концептуальное содержание*. Принято считать, что, во-первых, термин *концепт* этимологически ничем не отличается от логико-философского термина *понятие* (1, 28). Во-вторых, концепт в современной филологии (как в лингвистике, так и в литературоведении) наполняется историко-культурным и историко-культурологическим содержанием (3, 30-38). Наконец, в-третьих, именно на концептуальном уровне структурируется своеобразие национально-языковой картины мира. На наш взгляд, тот феномен, который принято определять как национальный менталитет, непосредственно связан с языковой картиной мира. Отсюда можно сделать два существенных вывода, первый из которых отражает специфику национального менталитета, второй – особенности успешного обучения иностранным языкам. Первый вывод предполагает, что невозможно быть подлинным носителем

национального менталитета вне глубинного усвоения этнического языка, поскольку невозможно дифференцировать национально-языковую картину мира, язык как систему знаков и национальный менталитет.

По первому пункту, относительно корреляции терминов понятие и концепт, можно отметить следующее. Для языковой коммуникации, конечно же, важнейшим признаком является понятийная соотнесенность отдельных предметов, что собственно говоря и позволяет называть их одним словом. Иными словами, интенционал объединяет на уровне существенных признаков бесчисленное количество единичных предметов. Каким бы безграничным ни был бы экстенционал, все составляющие его предметы должны обнаруживать те существенные черты, которые только и позволяют им подпадать под данный интенционал и, что существенно для носителей языка, обозначаться одним и тем же словом.

Интенционал соответствует логическому понятию, он включает в себя универсальные признаки предметов и не зависит от национального мировидения. В отличие от него концепт наполняется культурным и культурологическим содержанием. Первое подразумевает, что концепт связывает универсальное содержание интенционала с конкретной культурой и, шире, сферой существования конкретного народа. Например, в Словаре Д. Н. Ушакова значение слова гость определяется следующим образом: «ГОСТЬ 1. Посетитель, по-дружески навещающий кого-н. 2. Приглашенное или допущенное на какое-н. собрание, заседание и т.п. постороннее лицо» (6, 254).

Основное номинативное значение слова гость позволяет выделить такие признаки, как «посещение» и «дружески». Эти признаки носят универсальный характер и не зависят от национальной культуры. Они и составляют понятие о госте, составляющее ядро лексического значения слова *гость* в русском языке. Концепт «гость» не может носить универсальный характер, поскольку он как раз включает в себя национально-культурные представления о госте, его статусе, особенностях приема гостей и т.п. У каждого народа свои представления о том, что каковы права и обязанности гостя и как его следует принимать. Таким образом, концепт отличается от понятия наслоением культурных представлений на универсальные характеристики.

Выше, наряду с культурным содержанием, мы отметили и культурологическое (5). Под культурным содержанием понимаются явления, носящие характер своеобразия. Под культурологическим – элементы осмысления такого своеобразия, рефлексия по поводу собственного своеобразия. На наш взгляд, концептуальное содержание включает в себя и культурное, и культурологическое.

Национальный менталитет так или иначе вербализуется, иначе мы просто не можем иметь о нем какое-либо представление. Следовательно, он должен соответствовать языковой картине мира. Иными словами, мир дан нам не непосредственно, а опосредованно – через язык. Но, говоря о языке, мы должны иметь в виду не просто условные знаки, а знаки превращенные, т.е. отражающие мировидение народа. Таким образом, картина, отраженная в языке, не есть последовательность от знака до знака, за которыми стоят понятия, а последовательность от концепта до концепта. Это обеспечивает системность восприятия мира, а также его специфичность.

Деятельностный подход к языку как к системе потенциальных реализаций различных действий также осмыслен в аспекте когнитивизма. Оптимальным пространством манифестации этнопсихолингвистических ценностей, позволяющих реально приблизиться к национальной духовности, вне всякого сомнения, является пространство художественного текста. Необходимо отметить, что оптимальность художественного текста как лингводидактического материала непосредственно связана с категорией художественности. Художественность, с одной стороны, обеспечивает прагматическую полноценность текста. С другой стороны, в художественном тексте, как правило, представлены все субкоды национального языка. Разумеется, представленность субкодов зависит от тематики и фабулы конкретного произведения, но важно то, что в этих рамках кодовых ограничений нет.

Важнейшей характеристикой языка, по мнению исследователей, является его дискретность. Однако, несмотря на то, что мы говорим о дискретности языка, на самом деле дискретен текст. Фактически все, что мы знаем о кодовой системе, черпается из текста. Само представление о ярусах языка обусловлено эмпирическими знаниями о текстовых уровнях анализа.

Особой значимостью для целей лингводидактики обладают классические тексты. В лингводидактическом контексте актуализируется внутренняя форма определения *классический*. Под классическими текстами понимаются образцовые тексты, т.е. те тексты, которые могут изучаться в классе. Лингводидактическая значимость классических текстов заключается в том, что на их основе оптимально изучается язык. Они полностью оправдывают собственное название, поскольку отвечают требованиям класса, места, где изучается язык.

Перед вузовскими преподавателями русского языка стоит прежде всего задача определения круга произведений, которые они могут расценивать как классические. Конечно, лингводидактическое понимание классики может отличаться от историко-литературного. Иными словами, русское литературоведение может составить актуальный на сегодняшний день список классических произведений, который будет во многом отличаться от списка, составленного преподавателями русского языка в Азербайджане. Важен критерий отнесения текста к классике. Здесь уместно вспомнить критерий архаизации, выдвинутый в свое время при составлении Толкового словаря под редакцией Д. Н. Ушакова. Как известно, для нормативного словаря критерием включения архаической лексики сочли встречаемость в языке классики. Соответственно встал другой вопрос: какую литературу считать классической, где проходят границы классики. Для начала XX века литературно-художественной классикой сочли литературу от Пушкина до наших дней, т.е. до 20-30-х гг. прошлого столетия. Классическая значимость произведений А. С. Пушкина не может быть поставлена под сомнение и сегодня, однако, чем больше мы отдаляемся от эпохи великого поэта, тем более значителен разрыв между требованиями практического владения языком и знанием классического наследия. Отсюда общее требование к тщательному подбору текстов. Относительная сложность пушкинских текстов на современном этапе вполне может оказаться подспорьем при изучении языка. Дело в том, что анализ этого материала может служить также прекрасным введением в этническую психологию русского народа, которая может изучаться параллельно с русским языком.

Прежде чем приступить к собственно изучению классического текста полезно подвергнуть его фоновому анализу. Следует исходить из того, что лексические знаки, на которые подсознательно расчлняет текст неопытный читатель, с точки зрения текстовой семантики являются всего лишь сигналами внешней информации. Иными словами, значения слов, элементарной суммой которых студент вполне может располагать, ему фактически ничего не дают. Необходимо выявить тот пласт фоновой информации, которая только и делает реальным понимание текста. Причем под фоновой информацией нужно понимать тот минимум, который необходим для адекватного восприятия текста. Сама по себе фоновая информация, как правило, имеет чрезвычайно широкий объем. За каждым описываемым событием стоит разнохарактерная информация, которую проще всего назвать пространственно-временной, поскольку она разворачивается во времени и в пространстве. Как время, так и пространство характеризуют национальную культуру. Текст привязан к времени и пространству. Анализ фоновой информации последовательно ведет к когнитивному анализу, в центре которого находится осмысление нарратором изображаемого информационного пространства. Кстати, в этом плане очень полезно изучать тексты пушкинских писем.

Помимо собственно фоновой информации, в тексте классических произведений представлен тот контекст, который в лингвистике принято называть *глобальным вертикальным контекстом* (2). Конечно, понятие «фоновая информация» в связи с внутренней формой определения *фоновая* может рассматриваться и как общее понятие по отношению к вертикальному контексту, однако представляется, что это все же не одно и то же. Например, фоновая информация, стоящая за словом *лесня*, в русской культуре фактически безгранична. Она включает в себя всю информацию о песне, всю систему песенных ассоциаций, характеризующих русскую ментальность, историческую память

народа и языковую картину мира. В предложении же *Уж очень задушевно она спела эту песню*, наряду с горизонтальным контекстом как условиями реализации значения слова *песня* (*Уж очень задушевно она спела эту...*), присутствует и горизонтальный контекст, включающий в себя представления о песне и таком стандарте ее исполнения, как «задушевность».

Глобальный вертикальный контекст включает в себя не просто обычные представления о явлении, но представления концептуального характера. Так, то же предложение *Уж очень задушевно она спела эту песню* приобретает совсем другой оттенок, если речь идет не о русской, а о грузинской культуре. Кроме того, парадигма числа способна фундаментальным образом изменить глобальный контекст. Например, *Уж очень задушевно спели они эту песню* актуализирует совсем иные представления в контексте русской и грузинской культуры. В случае грузинского контекста оживляются представления о многоголосице, что совершенно особенным образом насыщает текст экспрессией. Важно еще раз подчеркнуть, что в самом тексте отсутствуют какие бы то ни было эксплицитные ориентиры.

Когнитивный анализ на занятиях по русскому языку предполагает раскрытие концептуального содержания конститuentов текста. Однако раскрытие содержания концепта должно быть логически точным. Для этого необходимо обнаружение конкретного когнитивного признака, определяющего не просто содержание концепта, но реализующегося в контексте содержания. Дело в том, что один и тот же концепт в сознании народа способен ассоциироваться с самыми разными когнитивными признаками, нередко и противоречащими. Например, в пословице *У бабы волос долог, ум – короток* реализуется такой когнитивный признак концепта «женщина», как «глупость». Напротив, в пословице *Где сатана не сможет, туда бабу пошлет*, пусть имплицитно, но представлены такие признаки, как «ум», «изворотливость», «ловкость», «хитрость», «умение» и т.д. Данная пословица, конечно, имеет отрицательную коннотацию, однако характер коннотации не влияет на суть когнитивных признаков.

Когнитивный анализ удачно может сочетаться на занятиях по русскому языку с системно-структурным. Это прежде всего проявляется в своеобразной языковой игре, состоящей из парадигмального варьирования представленных в тексте высказываний по роду, числу, времени, а также использования синонимов, антонимов, паронимов, гиперонимов и гипонимов. Каждый анализ полезно доводить до структурного предела, или предела парадигмальных возможностей текста.

Когнитивный анализ художественного текста может ставить себе как общие, так и частные задачи. Так, можно фиксировать внимание студентов на систематизации русских стереотипов, стандартов мышления, различных фреймов. Особое значение в контексте когнитивного анализа художественного текста на занятиях по русскому языку приобретает выявление существенных для русского национального мышления архетипов. Здесь необходимо тщательно дифференцировать действительно архетипическое от устойчивых образов автора анализируемого текста.

Когнитивный анализ художественного текста имеет большие перспективы в процессе обучения иностранным языкам, в том числе и русскому. Важно помнить, что он носит разносторонний характер. Кроме того, когнитивный анализ не исключает, а, напротив, предполагает системно-структурный анализ текста. Конечно, если когнитивная лингвистика находится в стадии формирования, то когнитивная лингводидактика тем более еще только нащупывает собственные пути. Это означает, что здесь не может быть никаких ограничений, эксперименту открыт широкий доступ в аудиторию.



#### ЛИТЕРАТУРА

1. Аскольдов С.А. Концепт и слово // Русская речь. Сборник под редакцией Л.В.Щербы. Л.: ACADEMIA, 1928, с. 28-44.
  2. Гюббенет И.В. К вопросу о «глобальном» вертикальном контексте // ВЯ, 1980, №6, с.97-102.
  3. Маслова В.А. Когнитивная лингвистика. Минск: ТетраСистемс, 2005.
  4. Маслова В.А. Лингвокультурология. М.: ACADEMIA, 2001.
  5. Прохоров Ю.Е. Лингвострановедение. Культуроведение. Страноведение. М.: Институт русского языка им. А.С.Пушкина, 1998.
  6. Ушаков Д. Н. Толковый словарь русского языка. Том 1. М.: Вече. Мир книги, 2001.
- РЕЗЮМЕ

**Э. Э. МАНСУРОВА** - Докторант Бакинского славянского университета

#### ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕКСТ КАК ОСНОВА ОБУЧЕНИЯ ЯЗЫКУ


აცეტილენში ოთხივე ატომი ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული. თითოეული ნახშირბადი ორი  $SP$  ორბიტალით წარმოქმნის ორ  $\sigma$  ბმას წყალბადთან და ნახშირბადის მეორე ატომთან, ორი წყვილი არაჰიბრიდული  $P$  – ორბიტალები კი გადაიფარება მოლეკულის ღერძების ორივე მხარეს ერთ-ერთ მართობულ სიბრტყეში და წარმოქმნის ორ  $\pi$  ბმას. სამმაგი ბმის არსებობის გამო ნახშირბადის ატომები უახლოვდება ერთმანეთს და მათ შორის მანძილი აცეტილენში ტოლია  $0,120$  ნმ.  $BeCl_2$ -ის მოლეკულაში ბერილიუმის ატომი განიცდის  $sp$  ჰიბრიდიზაციას. სავალენტო კუთხე  $180^\circ$ -ს უდრის. ამ სახის ჰიბრიდიზაციის შედეგად ჰიბრიდული ღრუბლები ლაგდება სწორ ხაზზე. ბერილიუმის ატომის თითოეული ჰიბრიდული ორბიტალი ქლორის  $P$  ორბიტალებთან გადაფარვის შედეგად წარმოქმნის  $BeCl_2$ -ის მოლეკულას.

თუ ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობს ერთი  $S$  და ორი  $P$  ელექტრონული ღრუბელი მიიღება სამი ერთნაირი ე.წ.  $SP^2$  ჰიბრიდული ორბიტალი, რომლებიც მოთავსებულია ერთ სიბრტყეში ერთმანეთის მიმართ  $120^\circ$  კუთხით.  $SP^2$  ჰიბრიდიზაციას აქვს ადგილი ეთილენის მოლეკულაში  $H_2C=CH_2$ . ნახშირბად ატომებს შორის ორმაგი ბმაა. ნახშირბადი იმყოფრბა  $SP^2$  ჰიბრიდულ მდგომარეობაში. მეოთხე  $P$  ორბიტალი რჩება უცვლელი და თავსდება  $SP^2$  ჰიბრიდულ ორბიტალების სიბრტყის პერპენდიკულარულად (ნახ.2). თითოეული ნახშირბადის სამი  $SP^2$  ორბიტალი წარმოქმნის სამ  $\sigma$  ბმას ორ წყალბადის ატომთან, ერთს კი – მეორე ნახშირბადის ატომთან. ნახშირბადის ორივე და წყალბადის ოთხივე ატომი მოთავსებულია ერთ სიბრტყეში მათ შორის  $120^\circ$ -იანი სავალენტო კუთხით.






ნახ. 2.  $\pi$  ბმები ეთილენის მოლეკულაში


არაჰიბრიდული P ორბიტალები, გადაფარავს ერთმანეთს ამ სიბრტყის ორივე მხარეს და წარმოქმნის  $\pi$  ბმას. ორმაგი ბმის არსებობის გამო ნახშირბადის ატომებს შორის მანძილი ეთილენში ტოლია 0,134 ნმ.  $\text{BCl}_3$ -ის მოლეკულაში ბორის ატომი განიცდის  $\text{SP}^2$  ჰიბრიდიზაციას. ორბიტალებს შორის კუთხე შეადგენს  $120^\circ$ .  $\text{BCl}_3$ -ის მოლეკულას ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმა აქვს.

თუ ჰიბრიდიზაციას განიცდის ერთი S და სამი P ელექტრონული ღრუბელი, მაშინ გვაქვს  $\text{SP}^3$  ჰიბრიდიზაცია. ასეთ შემთხვევაში ოთხი ერთნაირი ე.წ.  $\text{SP}^3$  ჰიბრიდული ორბიტალები მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ მათ შორის  $109^\circ 28'$  კუთხით (ნახ. 3). ნაჯერ ნახშირწყალბადში ნახშირბად ატომებს შორის მარტივი ბმებია. ამ შემთხვევაში ნახშირბადი იმყოფება  $\text{SP}^3$  ჰიბრიდულ მდგომარეობაში.



ნახ. 3.  $\sigma$  ბმები მეთანის მოლეკულაში


მეთანს აქვს სწორი ტეტრაედრის ფორმა. მეთანში ოთხი  $\sigma$  ბმა, რომელთა შორის კუთხე შეადგენს  $109^\circ 28'$ . ეთანის მოლეკულის გრაფიკული ფორმულა:



ეთანში შვიდი  $\sigma$  ბმაა, ნახშირბად ატომებს შორის მანძილი 0,154 ნმ. ტოლია.

ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც გაუწყვილებელ, ისე გაწყვილებულ ელექტრონულ ღრუბლებს.

ჰიბრიდიზაციით აიხსნება, ის ფაქტი რომ სავალენტო კუთხე წყლის მოლეკულაში, ამიაკსა და ამონიუმის იონში არ არის  $90^\circ$ . ჟანგბადი წყლის მოლეკულაში იმყოფება  $\text{SP}^3$  ჰიბრიდულ მდგომარეობაში. ორი  $\sigma$  ბმა წარმოიქმნება წყალბადის S ორბიტალებისა და ჟანგბადის  $\text{SP}^3$  ორბიტალების გადაფარვით, რომლებიც მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ (ნახ. 4).




ნახ. 4. წყლის მოლეკულა

ამგვარად სინამდვილეში წყლის მოლეკულაში გვაქვს S- $\text{SP}^3$  გადაფარვა და არა S-P გადაფარვა.

ანალოგიური მდგომარეობაა ამიაკში და ამონიუმის იონში. ორივე ნაერთში აზოტი იმყოფება  $\text{SP}^3$  ჰიბრიდულ მდგომარეობაში. ამიაკში სამი S- $\text{SP}^3$  გადაფარვის შედეგად მიიღება სამი  $\sigma$  (ჰეიტლერ-

ლონდონის) ბმა. ამონიუმის იონში ხორციელდება ოთხი S-SP<sup>3</sup> გადაფარვა. წარმოქმნილი ოთხი σ ბმიდან სამია ჰეიტლერ-ლონდონის, ერთი კი დონირებულ-აქცეპტორული (ნახ. 5).



ნახ. 5. ამიაკის მოლეკულა და ამონიუმის იონი

ჰალოგენწყალბადების მოლეკულაში ჰალოგენის ატომები განიცდიან ჰიბრიდიზაციას. ამ სახის ჰიბრიდიზაციის გეომეტრიული მოდელი ტეტრაედრია, რომლის ერთ წვეროს იკავებს წყალბადის ატომი, ხოლო დანარჩენი სამი წვერო უკავია სამ ერთნაირ ჰიბრიდულ ორბიტალს.

სავალენტო კუთხეების მნიშვნელობა შეიძლება წინასწარ ვიწინასწარმეტყველოთ სავალენტო ელექტრონული წყვილების განზიდვის თეორიის საფუძველზე, რომელიც შეიმუშავეს ინგლისელებმა რ. გილესპიმ და რ. ნაიპოლმმა. ამ თეორიის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოლეკულის გეომეტრიაზე გავლენის თვალსაზრისით ერთნაირად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური ატომის გარშემო არსებულ ნებისმიერ ელექტრონულ წყვილს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს ეს ელექტრონული წყვილი ქიმიური ბმების წარმოქმნაში თუ არა. ასეთ ელექტრონულ წყვილებს სტერეოაქტიურ ელექტრონულ წყვილებს უწოდებენ. რადგან ისინი განსაზღვრავს მოლეკულაში ატომების სტერილურ (სივრცობრივ) განლაგებას. სტერეოაქტიური წყვილები ცენტრალური ატომის გარშემო განლაგდება ისეთნაირად, რომ მათ შორის მოქმედი განზიდვის ძალები მინიმალური იყოს.

ელექტრონული ღრუბლები ურთიერთგანზიდვის გამო სივრცეში განლაგდება სიმეტრიულად. პირველ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა ელექტრონული ღრუბლების განზიდვა ერთნაირად ხდება. მაშინ ელექტრონული ღრუბლები მათი რიცხვის მიხედვით შემდეგნაირად განლაგდება: ორი ორბიტალი განლაგდება ერთ სწორ ხაზზე; სამი ორბიტალი მიმართულია სამკუთხედის წვეროებისაკენ; ოთხი ორბიტალი მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ, ხუთი ორბიტალი წარმოქმნის ტრიგონალურ ბიპირამიდას. ექვსი ორბიტალი ოქტაედრს; და შვიდი ორბიტალი – პენტაგონალურ ბიპირამიდას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ მოლეკულაში ცენტრალურ ატომს არა აქვს გამოუყენებელი ელექტრონული წყვილი, მაშინ ორბიტალების სივრცეში მიმართულებით შექმნილი გეომეტრიული სხეულისა და მოლეკულის ფორმა იქნება ერთნაირი. თუ კი მოლეკულაში ცენტრალურ ატომს აქვს გამოუყენებელი ელექტრონული წყვილი, მაშინ გასაგები უნდა იყოს, რომ სივრცეში ელექტრონული ღრუბლების განლაგება და მოლეკულის ფორმა ერთნაირი არ იქნება.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ მეთანის, ამიაკის და წყლის მოლეკულები. მეთანში ნახშირბადის აქვს ოთხი სტერეოაქტიური ელექტრონული ღრუბელი, რომლებიც ზემოთ ფორმულირებული მაქსიმალური განზიდვის პრინციპის შესაბამისად მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ (მეთანში ნახშირბადი იმყოფება SP<sup>3</sup> ჰიბრიდულ მდგომარეობაში). ნახშირბადის ოთხივე ღრუბელი მონაწილეობს ქიმიური ბმების წარმოქმნაში. ისინი გადაფარულია წყალბადის S-ორბიტალებით. ამიტომ მეთანის მოლეკულასაც აქვს ტეტრაედრის ფორმა.

ამიაკის მოლეკულაში აზოტს ასევე ოთხი სტერეოაქტიური ორბიტალი აქვს. ამიტომ ისინი მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ. ამიაკში აზოტი იმყოფება SP<sup>3</sup> ჰიბრიდულ მდგომარეობაში. მაგრამ აზოტის ოთხი ორბიტალიდან ქიმიური ბმის წარმოქმნაში მონაწილეობს მხოლოდ სამი. ამიტომ ამიაკის მოლეკულას ექნება პირამიდის ფორმა. რადგან ტეტრაედრის ერთ წვეროში გვაქვს არა ატომი, არამედ გამოუყენებელი ელექტრონული წყვილი. მაგრამ თუ ამიაკში გამოუყენებელ ორბიტალზე მოვათავსებთ პროტონს. მივიღებთ ამონიუმის იონს, რომელსაც უკვე ტეტრაედრის ფორმა ექნება.

რაც შეეხება წყლის მოლეკულას აქ ჟანგბადს, ნახშირბადსა და აზოტის მსგავსად, აქვს ოთხი სტერეოაქტიური ელექტრონული ღრუბელი, რომლებიც მიმართულია ტეტრაედრის წვეროებისაკენ.

წყლის მოლეკულაში ჟანგბადი იმყოფება  $SP^3$  ჰიბრიდულ მდგომარეობაში. ამ ოთხი ღრუბლიდან ქიმიური ბმის წარმოქმნაში მონაწილეობს მხოლოდ ორი. ამიტომ წვეროები არის არა ატომები არამედ გამოუყენებელი ელექტრონული წყვილები.

ჩვენ ზემოთ პირველ მოახლოებაში დავუშვით რომ ყველა ელექტრონული ღრუბლის განზიდვა ერთნაირად ხორციელდება ეს მთლად ზუსტად არა. გამოუყენებელი ელექტრონული წყვილის ღრუბელი იკავებს უფრო მეტ სივრცეს, ვიდრე ქიმიურ ბმის წარმოქმნაში მონაწილე ღრუბელი, რადგან ეს უკანასკნელი ძირითადად ლოკალიზებულია შეკავშირებულ ატომებს შორის. ამიტომ ყველაზე ძლიერი განზიდვა ხორციელდება გამოუყენებელ ელექტრონულ ღრუბლებს შორის. შედარებით ნაკლებად განზიდვა გამოუყენებელი და კავშირწარმომქმნელი ორბიტალები და ბოლოს ყველაზე სუსტი განზიდვა შეინიშნება კავშირწარმომქმნელ ორბიტალებს შორის.

ამ მოსაზრების საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ სავალენტო კუთხის ცვლილება ჩვენ მიერ განხილულ ნაერთთა რიგში – მეთანში, ამონიუმის იონში ამიაკში და წყალში. მეთანში და ამონიუმის იონში, რომელთაც სწორი ტეტრაედრის ფორმა აქვს სავალენტო კუთხე ტოლია  $109^{\circ}28'$ . ამიაკში გამოუყენებელი ელექტრონული წყვილის განზიდვის გამო სავალენტო კუთხე ტეტრაედრულზე ნაკლებია და  $107^{\circ}3'$  შეადგენს. წყლის მოლეკულაში ორი გამოუყენებელი ორბიტალის განზიდვა კიდევ უფრო ამცირებს სავალენტო კუთხეს. აქ  $\angle HOH=104^{\circ}28'$ .

ამრიგად, თუ მოლეკულაში ცენტრალურ ატომს არა აქვს გამოუყენებელი ორბიტალები, მაშინ მოლეკულის ფორმა მთლიანად განისაზღვრება სტერეოაქტიურ ორბიტალების რიცხვით ბინალური ნაერთებისათვის. ამ შემთხვევაში ზუსტად გამოითვლება სავალენტო კუთხეებიც. მაგრამ თუ მოლეკულა შედგება ორზე მეტი ელემენტის ატომებისაგან, მაშინ მხედველობაში უნდა მივიტოთ მათი ელექტროუარყოფითობა, რაც გავლენას მოახდენს სავალენტო კუთხის სიდიდეზე.

თუ მოლეკულაში გვაქვს გამოუყენებელი და არაშემკავშირებელი ორბიტალები, ე. ი. როცა სტერეოაქტიური ელექტრონული ღრუბლების რიცხვი არ თანხვდება ცენტრალური ატომის კოორდინაციულ რიცხვს, მაშინ მოლეკულის გეომეტრიის დასადგენად მხედველობაში უნდა მივიტოთ არაშემკავშირებელი ორბიტალების რიცხვი და მათი არსებობით გამოწვეული ორბიტალების განზიდვის ეფექტი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. წივწივაძე, ზოგადი ქიმია. თბ. 1992.
2. ო. გაბრიჩიძე, ზოგადი ქიმია. თბ. 1998.
3. Н. Ахметов. Общая химия и неорганическая химия. М. 1988.
4. Н. Глинка. Общая химия. Л. 1987.
5. В. Спицин, Л. Мартиненко. Неорганическая химия. 1991.

## რეზიუმე

წარმოდგენილია ატომური ორბიტალების ჰიბრიდიზაციის შედეგად კოვალენტური ბმების სივრცეში მიმართულება. სავალენტო კუთხის მნიშვნელობა დამოკიდებულია სტერეოაქტიური წყვილების რაოდენობაზე. ელექტრონული ღრუბლები ურთიერთგანზიდვის გამო სივრცეში განლაგდებიან სიმეტრიულად. გამოუყენებელი ელექტრონული წყვილის ღრუბელი იკავებს უფრო მეტ სივრცეს, ვიდრე ქიმიური ბმის წარმოქმნაში მონაწილე ღრუბელი. თუ მოლეკულაში ცენტრალურ ატომს არა აქვს გამოუყენებელი ელექტრონული წყვილი, მაშინ ორბიტალების სივრცეში მიმართულებით შექმნილი გეომეტრიული სხეულისა და მოლეკულის ფორმა ერთნაირი იქნება, თუ მოლეკულაში ცენტრალურ ატომს აქვს გამოუყენებელი წყვილი, მაშინ სივრცეში ელექტრონული ღრუბლების განლაგება და მოლეკულის ფორმა არ იქნება ერთნაირი.

**Манучар Кикалишвили** - Государственный Университет Акакия Церетели

### Направленность ковалентной связи в пространстве

#### Резюме

Представлена направленность ковалентных связей в пространстве, обусловленная гибридизацией атомных орбиталей. Величина валентного угла зависит от количества стереоактивных пар. Вследствие отталкивания электронных пар, орбитали располагаются симметрично. Орбиталь свободной электронной пары занимает больше пространства, чем облако принимающее участие в образовании химической связи. Если у центрального атома в молекуле нет свободной электронной пары, то геометрическая форма обусловленная направлением орбиталей в пространстве и форма молекулы будут идентичны. При наличии свободной пары, расположение электронных орбиталей в пространстве и форма молекулы будут различаться.

**Manuchar Kikalishvili** - Akaki Tsereteli State University

### Orientation of covalent bond in the space

#### Summary

Presented is the orientation of covalent bonds in the space due to hybridization of atomic orbitals. The bond angles are determined by the number of stereo active pairs. The orbitals are arranged symmetrically due to mutual repulsion of electron pairs. In addition, the orbital of a lone pair occupies more space than one of a bond pair. In case the central atom lacks the lone pair, the geometric shape of electron orbitals and the shape of the molecule are identical. On the contrary, in the presence of nonbonding pair the orientation of the electron orbitals and the shape of the molecule will differ.



**მზია კუბეცია** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მორენა ტყემალაძე** - მრავაპროფილიანი ცენტრ-კომპლექსი „გონი“-ს ბუნებისმეტყველების პედაგოგი/მენტორ-მასწავლებელი, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

### არაფორმალური განათლება დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნის სწავლებაში

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება“ მოიცავს შესაძლებლობას, რომ ნებისმიერმა მოზარდმა და ზრდასრულმა გარემოში არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების საფუძველზე გამოიმუშავოს უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, რათა უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და მოერგოს გარემოში მიმდინარე ცვლილებებს. / ავტ.: პატრიცია ბრანდერი, რუი გომესი, ელლი კინი და სხვ.; [მთარგმნ.: მავა წულუკიძე, ტატა პატარაია ; რედ.: პატრიცია ბრანდერი და სხვ., ქართ. გამოც. რედ.: გიორგი კენჭოშვილი]; მხატვ.: პანჩო - [თბ.], 2004/

ანდრაგოგია - წარმოადგება ბერძნული aner, andros-სა (ზრდასრული / მოწიფული კაცი) და agio-სგან (გადლოლა). აღნიშნავს პედაგოგიური მეცნიერების ნაწილს, რომელიც მოიცავს ზრდასრული ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს; ამასთან, ხსნის ათვისების პროცესის კანონზომიერებებს და პროფესიონალი პედაგოგის მხრიდან ამ პროცესის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულობას. ტერმინი პირველად გამოიყენა გერმანელმა ისტორიკოსმა კ. კაპმა (1833).

ანდრაგოგია განსხვავდება პედაგოგიისაგან, რომელიც მოზარდთა განათლებაზეა ორიენტირებული, ხოლო ზრდასრულთა განათლება მოზარდთა დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაზე. მეორე განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზრდასრულები ყოველთვის ელიან, რომ ახალი ცოდნა მათ გამოადგებათ უკვე დასახული მიზნების მიღწევაში.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ მოიცავს ფორმალური, არაფორმალური და სპონტანური სწავლების ყველა დონეს.

არაფორმალური განათლება-გულისხმობს ორგანიზებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ფორმალური განათლების (მაგ.: სკოლა, უნივერსიტეტი) მიღმა. ასეთი ღონისძიებებია მაგ.: ტრენინგები, კონფერენციები, მრგვალი მაგიდა, ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებები, ექსკურსიები და

სხვადასხვა კურსი სურვილისა და უნარების მიხედვით. არაფორმალური განათლების პროცესში ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული.

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ სკოლებში კლასგარეშე მუშაობა, როგორც არაფორმალური სწავლების ერთ-ერთი სახე ხელს უწყობს მოზარდის პიროვნული თვისებების განვითარებასა და ფორმირებას. კარგად ორგანიზებული კლასგარეშე მუშაობა შეიძლება გავხადოთ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო წყაროდ, რადგან იქმნება ისეთი პირობები, რომლის დროსაც უკეთ შეიძლება დავინახოთ მოსწავლის ინდივიდუალური თვისებები, მისი შინაგანი სამყარო.

არაფორმალური სასწავლო მუშაობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ექსკურსია.

ექსკურსიები თავისი ამოცანებით და მონაწილეებზე ზემოქმედებით წარმოადგენს პედაგოგიურ პროცესს. როგორც ყველა პედაგოგიურ პროცესში, ექსკურსიაშიც მონაწილეობს ორი მხარე: მასწავლებელი (ექსკურსიამძღვარი), რომელიც ასწავლის და ექსკურსანტები, რომლებიც სწავლობენ. მასწავლებელი-ექსკურსიამძღვარი გადასცემს ცოდნას განსაზღვრულ თემაზე, ექსკურსანტები კი ამ ცოდნას ითვისებენ. ამ ორი მხარის ურთიერთქმედება არის პედაგოგიური პროცესის საფუძველი.

სიტყვა „ექსკურსია“ ლათინური წარმოშობისაა და გასვლას, გასეირნებას, რომელიმე კონკრეტული ადგილის დათვალიერებას ნიშნავს. სასწავლო ექსკურსია კი მის შესწავლას ან შესწავლილის თვალნათლივ მონახულებას გულისხმობს. სასწავლო ექსკურსია განიხილება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უკეთ წარმართვის ფორმად, რომლის საშუალებითაც მოსწავლე აკვირდება სხვადასხვა საგანს და მოვლენას, რის შედეგად იძენს ახალ ცოდნას. სასწავლო ექსკურსიების ჩატარება ისეთ ადგილებში, როგორებიცაა: მუზეუმი, ისტორიული ძეგლი, წარმოება,

ბუნების განსაკუთრებული ადგილი და სხვა, ყოველთვის ასრულებენ ისეთ დიდაქტიკურ ფუნქციებს, რომელთა მემკობითაც მასწავლებელს შეუძლია საგანგებო კორექტივი შეიტანოს თავის მუშაობაში. ასეთი ექსკურსიები საჭირო დოზირებით და დანიშნულებით შეტანილია სასწავლო პროგრამებში, როგორც სწავლების სისტემის გარკვეული სავალდებულო ნაწილი, მაგრამ სკოლები ჯერ კიდევ სრულად ვერ უზრუნველყოფენ არაფორმალური აქტივობების განხორციელებას.

ნებისმიერი ექსკურსია აძლევს ადამიანს ახალ ცოდნას ბუნებაზე, საზოგადოებასა და ისტორიულ მოვლენებზე. ურთიერთობა მასწავლებელთან, მისი რეკომენდაციები, შენიშვნები ახდენენ აღზრდით ზეგავლენას ექსკურსანტებზე. თვით შესასწავლი მასალა ზნეობრივად და ესთეტიკურად მოქმედებს ბავშვების ცნობიერებაზე. აქედან გამომდინარე, ექსკურსია ხდება პედაგოგიური პროცესის ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის შემეცნებითი განათლებისა და აღზრდის ფუნქციებს, მისი მსოფლმხედველობის ფორმირებას. პედაგოგიური საექსკურსიო პროცესი დაფუძნებულია დიდაქტიკურ პრინციპებზე, რომლებიც განსაზღვრავენ შინაარსს, ექსკურსანტების სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდები, რომლებიც მეცნიერული დონის ამბლებას ემსახურება და მიღებულ ცოდნას უკავშირებს ცხოვრებისეულ პრაქტიკას. საექსკურსიო მასალა ისე უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული, რომ მან განავითაროს ექსკურსიის მონაწილეთა შემეცნებითი შესაძლებლობები, აღზარდოს მათში მაღალი მორალური ღირსებები - სამშობლოს სიყვარული, ტოლერანტულობა, თანამშრომლობის უნარი და ა. შ.

ექსკურსიის, როგორც პედაგოგიური პროცესის, მეორე ამოცანაა აღჭურვოს ექსკურსანტები პრაქტიკული ჩვევებით ობიექტზე დამოუკიდებელი დაკვირვებისათვის.

ექსკურსია თავისი თვალსაჩინოებით, მეთოდური ხერხების ჩვენებით, თხრობის ფორმებით ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მასწავლებელი მისწრაფვის ჩაუნერგოს ბავშვებს განსაზღვრული „საექსკურსიო წიგნიერება“, პირველ ყოვლისა, უნარი, დაინახოს ობიექტი. მასწავლებელი განახორციელებს ორ პედაგოგიურ ამოცანას: დიდაქტიკურს - ექსკურსანტების შეიარაღება ცოდნით და აღზრდით - მსოფლმხედველობის და ქცევის ნორმების ჩამოყალიბება. ჩატარების ფორმის მიხედვით ექსკურსია შეიძლება იყოს:

- მასობრივი (მისი მონაწილეები გადაადგილდებიან რამდენიმე ავტობუსით);
- ექსკურსია-გასეირნება (აერთიანებს შემეცნების და დასვენების ელემენტებს, ტარდება ტყეში, პარკში, ზღვაზე და ა. შ.);
- ექსკურსია-ლექცია (თხრობა ჭარბობს ჩვენებას);
- ექსკურსია-კონცერტი (ემდგვნება მუსიკალურ თემას);
- ექსკურსია-სპექტაკლი (ლიტერატურულ-მხატვრული ექსკურსიის ფორმა, მომზადებული მხატვრული ლიტერატურის კონკრეტული ნაწარმოების საფუძველზე) და სხვა.
- ექსკურსია შეიძლება განიხილოს როგორც სასწავლო მუშაობის ფორმა;
- ექსკურსია-კონსულტაცია, რომელიც აძლევს ექსკურსანტებს თვალსაჩინო პასუხებს კითხვებზე;
- ექსკურსია-დემონსტრაცია - ყველაზე გავრცელებული ფორმაა ბუნებრივი მოვლენების, საწარმოო პროცესების და ა. შ. გასაცნობად;
- ექსკურსია-გაკვეთილი, რომელიც წარმოადგენს ცოდნის გადაცემის ფორმას სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

სასწავლო ექსკურსიები თავისი დანიშნულებითა და შინაარსით პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე სახეობად, კერძოდ: საბუნებისმეტყველო, საწარმოო, ისტორიულ-ლიტერატურული, სამხარეთმცოდნეო და ზოგადი.

სასწავლო ექსკურსიების კლასიფიკაციას საფუძველად ისიც უდევს, თუ რა დიდაქტიკური მიზნის გადაწყვეტას ემსახურება მისი ჩატარება: ახალი მასალის გაცნობას თუ უკვე შესწავლილის განმტკიცებას. ორივე შემთხვევაში მასწავლებელი ისახავს და წყვეტს კონკრეტულ ამოცანას, რომლის გადაჭრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკი და ინდივიდუალური თავისებურებები.

დაწყებით კლასებში ბუნებისმეტყველების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებსა და თემატურ ექსპედიციებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ ბუნების ობიექტებისა და მოვლენების მრავალფეროვნება, დაადგინონ ორგანიზმებსა და გარემო-პირობებს შორის არსებული კავშირები. სწორედ ექსკურსიებისა და ექსპედიციების დროს უვითარდებათ მოსწავლეებს ემოციურად პოზიტიური დამოკიდებულება გარემოს მიმართ და შესაძლებლობა ეძლევათ გაკვეთილზე ნასწავლი უშუალოდ დააკავშირონ რეალობასთან. აღიქვან გარემომცველი სამყარო, როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც ყველა კომპონენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

მასწავლებლის, როგორც ექსკურსიამძღვლის, პედაგოგიურ საქმიანობაში განასხვავებენ შემდეგ ეტაპებს:

- მასწავლებლის და ჯგუფის მომზადება ექსკურსიისათვის;
- თვით ექსკურსიის ჩატარება;
- ექსკურსიის შემდგომი სამუშაო, რომელიც განამტკიცებს საექსკურსიო მასალას.

სასწავლო ექსკურსიის ჩატარების წარმატება დამოკიდებულია მისი წინა სამზადისის სწორ გააზრებაზე, საექსკურსიო ადგილის შერჩევასა და დაგეგმვაზე, თვით მასწავლებლის კომპეტენტურობაზე, იქ დამხვდურთა მომზადებაზე და სხვა ცნობილი თუ მოულოდნელი ვითარების სწორ მართვაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სურვილისა და განწყობის გათვალისწინება, სასწავლო ექსკურსიის ჩატარება და შედეგების შეჯამება.

სამივე დასახელებული ეტაპი განაპირობებს ურთიერთწარმატებას. თუ ექსკურსია სწორად მომზადდა და ჩატარდა, მაშინ წარმატებაც მისი შედეგების შეჯამების დროს იჩენს თავს. შედეგები შეიძლება შეჯამდეს წერითი სამუშაოს შესრულებით შეჯამება შეიძლება ჩატარდეს წერითი სამუშაოს შესრულებით, გამოფენის მოწყობით, დისკუსიით, კონფერენციით და სხვა. სკოლაში ექსკურსიების ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს მიმოხილვითი ექსკურსია, რომელსაც აქვს დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ის იყოფა ორ ტიპად: მრავალჯერად და ერთჯერად ექსკურსიად. თითოეულ ტიპს აქვს მომზადების და ჩატარების თავისი სპეციფიკა.

საერთო მიზნის გარდა, მიმოხილვით ექსკურსიებს აქვს თავისი კონკრეტული მიზნები. მაგ.: მრავალჯერადი დამათვალისწინებელი ექსკურსიის მიზანია მისცეს ექსკურსანტებს წარმოადგენა ქალაქზე, მის ღირშესანიშნაობებზე, არქიტექტურაზე, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე.

გვსურს შევჩერდეთ ექსკურსიის ჩატარების სპეციფიკაზე, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ გარემოსთან ზიარების ეფექტურ და პოპულარულ ფორმას.

ამ ექსკურსიებზე მსმენელები იღრმავებენ ცოდნას გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. მსჯელობენ და გამოთქვამენ აზრს ბუნების დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობაზე და შეუძლიათ შეაფასონ ეს აქტივობები, რომელთაც ბევრად მეტი ძალა აქვს, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შეთვისებას. ბუნებაში ექსკურსია ააქტიურებს ექსკურსანტების შემოქმედებით წარმოსახვას და საფუძველი ხდება შემდეგი უნარების განვითარებისა:

- ბუნების ობიექტებისა და მოვლენათა შესახებ ცნებების ჩამოყალიბება;
- ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების, შედარების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარის ჩამოყალიბება-განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაცია, ინტერესი, პასუხისმგებლობა, მაძიებლობა, დამოუკიდებლობა, აღმოჩენა.

ვფიქრობთ, სტატიაში განხილული ექსკურსიის მომზადების და ჩატარების ეტაპები ხელს შეუწყობს დამწყებ მასწავლებელთა პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

არაფორმალური სწავლების მიზნით ექსპერიმენტული კვლევა ვაწარმოეთ ასაკობრივად და შეხედულებებით განსხვავებული ჯგუფების (სტუდენტი და მოსწავლე) თანამშრომლობაზე საგანმანათლებლო პროექტის „უნივერსიტეტი სკოლას, სკოლა უნივერსიტეტს, მეცნიერი სკოლაში“ ფარგლებში.

ქ. ქუთაისის კერძო სკოლა „გონის“ ეკოკლუბის მოსწავლეებმა (პედაგოგი: შ. ტყემალაძე) განახორციელეს დასწრება 2014 წლის 14 მაისს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გეოგრაფიის

სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებთან ღია ლექციაზე (ლექტორები ასოც.პროფ. მ.კუბეცია; ე. ბასილაძე). ორი აკადემიური საათის განმავლობაში თემატიკა ეხებოდა ენერგეტიკული პრობლემების გეოგრაფიას, რომელიც ორიენტირებული იყო ენერგორესურსების არეალების გავრცელებასა და ფუნქციური გამოყენების სქემების შექმნაზე. ენერგორესურსების დადებითი და უარყოფითი სახეებზე, ალტერნატიულ რესურსებზე, ენერჯის დაზოგვასა და მოხმარების კანონზომიერებებზე.

ლექციის მსვლელობა მოიცავდა :

- სტუდენტთა და მოსწავლეთა ჩართულობას გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით;
- ცოდნის მიწოდებას ვერბალური და ვიდეო მასალებით;
- ჯგუფებში დავალების მომზადება;
- პრეზენტაცია შერეული ჯგუფების მიერ;
- დისკუსია;
- უკუკავშირი/შეჯამება.

მოსწავლეები სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ პრობლემის აღმოჩენაში, ვარაუდის (ჰიპოთეზის) გამოთქმაში და დასკვნების გამოტანაში.

აგრეთვე შეხვდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელს (ასოც.პროფ. დ. მიქაუტაძეს). მრგვალი მაგიდის ფარგლებში ისაუბრეს გეოგრაფიის დარგის აუცილებლობასა და პერსპექტივებზე. დიალოგის ფარგლებში შეეცადნენ მათთვის საინტერესი საკითხების ამოწურვას.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს და გააცნეს მონაწილეებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, მათი კვლევის შედეგები არაფორმალური განათლების შესახებ, გადაიღეს ვიდეო ფილმები და ფოტოები, რომელიც ასახავდა არაფორმალურ განათლებაში ჩართული წარმატებული მოსწავლის ერთ დღეს.

#### ლიტერატურა:

8. მ. ბლიაძე- ექსკურსიები ბუნებისმეტყველებაში-სატრენინგო მასალები-თბილისი 2011 წელი.
9. პატრიცია ბრანდერი, რუი გომესი, ელლი კინი და სხვ.; -- „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება - [თბ.], 2004/
10. Б.В. Емельянов, Экскурсоведение. М., 2007

#### რეზიუმე

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება“ მოიცავს შესაძლებლობას, რომ ნებისმიერმა მოზარდმა და ზრდასრულმა გარემოში არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების საფუძველზე გამოიმუშავოს უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, რათა უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და მოერგოს გარემოში მიმდინარე ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ სკოლებში კლასგარეშე მუშაობა, როგორც არაფორმალური სწავლების ერთ-ერთი სახე ხელს უწყობს მოზარდის პიროვნული თვისებების განვითარებას.



**Mzia kubetsia** - Akaki Tsereteli State University, Department of Geographical Sciences Ph.D., Associate Professor .

**Shorena Tkhemaladze** - mravapropiliani center - complex , Goni "- a natural teacher / mentor - a teacher, Head of Quality Assurance Non-formal education at the primary level natural

The object of the exercise of 'Lifelong learning ' includes the possibility that any adolescent and adult environment in the daily experience of generating resources and skills - a wide range , in order to respond to public demands and adapt to changes in the environment . Therefore , we believe that extracurricular activities in schools , held for informal learning - one of the face contributes to the development of the child's personality .

**Мзия kubetsia** - Акакий Церетели государственный университет, кафедра географических наук К.т.н., доцент .

**Шорена Tkhemaladze** - mravarpropiliani центр - комплекс , Гони " - естественный учитель / наставник - учитель , руководитель отдела контроля качества

Неформальное образование на уровне начальной школы естественного Объектом осуществления" Непрерывное обучение » включает в себя возможность , что любой подросток и взрослый среды в повседневной жизни генерирующих ресурсов и навыков - широкий ассортимент , для того, чтобы реагировать на требования общественности и адаптироваться к изменениям в окружающей среде . Таким образом, мы считаем, что внеклассные мероприятия в школах, предназначенных для неформального обучения - один из самых лице способствует развитию личности ребенка .

**დალი მიქაუტაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მაგდა კვამბერიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი, გეოგრაფიის დეპარტამენტის სპეციალისტი

### **ბუნებრივი კატასტროფები და განათლების როლი მათი პრევენციის საქმეში**

კაცობრიობის წინაშე გამოკვეთილ სამ გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთია ეკოლოგიური პრობლემა. ეკოლოგიური პრობლემები ისეთი კომპონენტებისაგან შედგება როგორცაა: ატმოსფერო, ნიადაგი, ჰიდროსფერო, ლითოსფერო, კლიმატი, ფლორისა და ფაუნის დაცვა, კოსმოსისა და მსოფლიო ოკეანის დაცვა და ათვისება, სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილება. ეს კომპონენტები იმდენად ურთიერთკავშირშია, რომ ერთ რგოლში გაწყვეტამ შეიძლება მიგვიყვანოს უამრავ ჯაჭვურ რეაქციამდე. ამიტომაც, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ადამიანმა გარემო იმაზე მეტად შეცვალა, ვიდრე ის იცვლებოდა კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. გარემოს დეგრადაციამ, კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ, დაუგეგმავმა ურბანიზაციამ, დეფიციტური რესურსებისათვის არაგონივრულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო და გლობალური ხასიათი მისცა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების გააქტიურებას, რაც იწვევს ყოველწლიურად ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის მკვეთრად ზრდას.

გრანდიოზული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, კაცობრიობა უძლურია სტიქიის წინაშე. ამის დასადასტურებლად აშშ-ის 2005 წლის ტროპიკული ციკლონის „ქეთრინის“ მაგალითიც კი კმარა, როდესაც აშშ - ის პრეზიდენტი ტელევიზიით გამოდის და მოსახლეობას ასე მიმართავს „მე ეკლესიაში ვიყავი და ღმერთს შევევედრე - „ღმერთო არ გამოუშვა ჩვენსკენ რიტაო“ (ახალი ტორნადო).

სტიქია ხშირად უტევს ასევე ისეთ უძლიერეს სახელმწიფოს, როგორცაა იაპონია. აქ, რომ არაფერი ვთქვათ ციკლონებსა და ცუნამებზე, წელიწადში 600-ჯერ მარტო სხვადასხვა სიძლიერის მიწისძვრა ფიქსირდება (იაპონიაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც ე.წ. ცეცხლოვანი რკალის ზოლშია მოქცეული).

სწორედ ეს ქვეყნები გახდნენ ინიციატორები იმისა, რომ 2005 წელს იაპონიაში ქალაქ კობეში, ჰიოგოს პრეფექტურის დედაქალაქში, გაიმართა კატასტროფების შემცირების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. სადაც, მსოფლიოს 168 ქვეყნის მთავრობამ მიიღო ჰიოგოს სამოქმედო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა მეთოდებით სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზიანის, ადამიანთა მსხვერპლისა და ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური რესურსების განადგურების რისკის მნიშვნელოვნად შემცირებას.

ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების შესახებ მსოფლიოში და განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მოსახლეობის შემეცნების დონე ჯერ კიდევ დაბალია ამიტომ, სტიქიასთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად სწორედ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ითვლება. რაც სათანადო სისტემური კურსების შემოღებას გულისხმობს განათლების სისტემის ყველა დონეზე. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასებიდან უნივერსიტეტების ჩათვლით, ასევე მიზნობრივი საინფორმაციო სამუშაოების ჩატარება მასმედიის ფართო სპექტრის გამოყენებით მოსახლეობის ყველა ფენის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევების 90%-ზე მეტი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, სადაც დაღუპულთა რიცხვი, დაახლოებით 13-ჯერ აღემატება ასეთ მსხვერპლთა რიცხვს, განვითარებულ სახელმწიფოებში. ასეთი განვითარებადი ქვეყნების რიცხვში მოიაზრება საქართველოც, რომელიც თავისი რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო პოლიკლიმატური ქვეყნის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია, ამიტომ აქ პრობლემა „ადამიანი და კლიმატი“ ძალზე მძაფრად დგას და მისი ცვლილება საქართველოს პატარა ტერიტორიაზე უფრო მტკივნეულად მიმდინარეობს, ვიდრე დიდი ტერიტორიის მქონე ზოგიერთ რეგიონში.

მაგ. საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში სტიქიით მიყენებული ზარალი სამჯერ და მეტად აღემატება სომხეთსა და აზერბაიჯანში შესაბამის ინდექსებს. სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა ზარალმა **2358.5** მლნ ლარს გადააჭარბა, დაიღუპა **152** ადამიანი.

წლები	უარყოფითი ეფექტი (ზარალი)	
	მილიონი ლარი	მსხვერპლის რაოდენობა
1995	234.4	21
1996	177.6	17
1997	250.2	9
1998	170.9	19
1999	54.70	3
2000	321.1	2
2001	47.6	1
2002	96.5	3
2003	30.8	7
2004	200.3	8
2005	189.5	12
2006	102	2
2007	80.3	3
2008	102.9	21
2009	126.8	19
2010	68.1	5
<b>სულ</b>	<b>2253.7</b>	<b>152</b>

ჰიოგოს სამოქმედო პროგრამის გარდა, საქართველო 1994 წლიდან მონაწილეობს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესში. რამეთუ თანამედროვე მეცნიერება სწორედ კლიმატის მიმდინარე გლობალურ დათბობას უკავშირებს გახშირებულ სტიქიურ უბედურებებს, წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე საქართველოში უკვე გამოიცა პირველი (1999 წ.) და მეორე (2009 წ.) ეროვნული შეტყობინებები და მიღებულ იქნა რიგი საადაპტაციო ღონისძიებები, რომელთა შორის ერთ-ერთ პუნქტად მიჩნეულია განათლება, კადრების მომზადება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მიღებულ პროგრამებში, გლობალური და მათ შორის ეკოლოგიური პრობლემებიც ისწავლება საჯარო და კერძო სკოლების XI კლასებში. ჩვენი აზრით აღნიშნული სახელმძღვანელო ენციკლოპედიური ხასიათისაა და ინფორმაციის უდიდეს მასალას მოიცავს. თუმცა ნაკლები ყურადღება ეთმობა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების დაუფლებას, საქართველოსათვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენების დახასიათება-შესწავლას.

რაც შეეხება V და IX კლასებს, მათთვის გამოცემულ იქნა ე.წ. დამრიგებლის წიგნი, რომელიც შეიქმნა პროექტის - „კატასტროფების რისკის შემცირების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის დაუცველ თემებსა და ინსტიტუტებს შორის“- ფარგლებში. აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში დეტალურად განხილულია, როგორც ბუნებრივი კატასტროფული მოვლენები, ასევე მათი რისკების შემცირების სწავლების ინტერაქტიული მეთოდები. ყოველივე ეს მოსწავლეებს უვითარებს

სხვადასხვა უნარ-ჩვევებს თავდაცვის მიზნით, ქცევის წესებს კატასტროფების დროს და მის შემდეგ. მოთხოვნილებებს გარემოს დაცვის და შენარჩუნების მიმართულებით.

რაც შეეხება უმაღლეს სკოლებს, რამდენადაც ცნობილია აღნიშნული საკითხები საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე თითქმის ყველა უნივერსიტეტში ისწავლება. მაგრამ ჩვენი აზრით არათუ სასურველი, სავალდებულოც კი არის ეს საკითხები ისწავლებოდეს პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთანაც, რამეთუ სწორედ მათ უხდებათ სწავლების პირველ საფეხურზე მოსწავლეების ამ კუთხით ცოდნის ამაღლება და სხვადასხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს განათლებასთან ერთად წარმოადგენს ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. აღნიშნული დარგები უშუალო კავშირშია რეგიონის კლიმატურ პირობებთან, რომლის ცვლილება იწვევს უამრავ კლიმატურ რისკებს, როგორებიცაა: გვალვა, მეწყერი, წყალდიდობა, ღვარცოფი, თოვლის ზევაები და სხვა. ბუნების სტიქიური მოვლენების მასშტაბების და განმეორებადობის ზრდა XX საუკუნის შუა წლებიდან საკმაოდ გახშირდა, გაიზარდა მსხვერპლთა რაოდენობა და ეკონომიკური ზარალი.

ამიტომ დასკვნის სახით შეიძლება მივუთითოთ, რომ მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა, საქართველოში სამთავრობო პოლიტიკაში გარემოზე ზემოქმედება ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. ამიტომაც, რომ ქვეყანაში ამ სფეროში მოსახლეობის შემეცნების დონე ჯერ კიდევ დაბალია და ამნელებს გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან სათანადო ღონისძიებათა მხარდაჭრას. შესაბამისად ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის საქმეში პრიორიტეტად კვლავ შემეცნებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდა რჩება, რაც თავისთავად სათანადო განათლების სისტემის შემოღებას გულისხმობს.

### ლიტერატურა

1. ბ.ბერიტაშვილი, ნ.კაპანაძე, ი.ჩოგოვაძე - გლობალურ დათბობაზე საქართველოში კლიმატის რეაგირების შეფასება. თბილისი 2010.
2. კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო პოლიტიკის საფუძვლები - საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების მოსამზადებელი ჯგუფი. თბილისი 2006.

### რეზიუმე

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ადამიანის გარემოზე არაგონივრულმა ზემოქმედებამ ხელი შეუწყო და გლობალური ხასიათი მისცა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების გააქტიურებას. დღეს გრანდიოზული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის საქმეში პრიორიტეტად მოსახლეობის შემეცნების დონისა და ინფორმირებულობის გაზრდა რჩება, რაც თავისთავად სათანადო განათლების სისტემის შემოღებას გულისხმობს.



**Дали Микаутадзе** - Государственный Университет Акакия Церетели, академический доктор географии, ассоциированный профессор.

**Магда Квабзиридзе** - Государственный Университет Акакия Церетели, докторант, специалист отделения географии.

### **Роль образования в предотвращении природных бедствий и катастроф**

#### *Резюме*

В течении последних 50 лет в следствии бездумного обращения с природой различные природные катастрофы и бедствия приняли глобальный, угрожающий масштаб. Несмотря на современный научно-технический прогрес главную и наиважнейшую роль в предотвращении бедствий играет повышение образованности и информирование населения, что в свою очередь означает введение определённых образовательных систем.

**Dali Mikautadze** - Akaki Tsereteli State University, Geography Science Doctor, Associate Professor.

**Magda Kvabziridze** - Akaki Tsereteli State University, Doctorant, The specialist of Geography department.

### **Natural Disasters and the Role of Education in their Preventions**

#### *Summary*

In recent 50 years the unthinkable human pressing upon the nature gives the global nature to different disasters. Today inspite of the vast science- technological development the education and the growing information gaps stay the main points in preventions of natural disasters, so all the mention items means to develop the special models of education.

**ბაკურ ონიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი


### **ჟანგვისა და ფოსფორილირების პროცესების შეუღლების მექანიზმების სწავლების შესახებ**

სწავლების დროს ცნების განვითარებისათვის სასარგებლოა ცნების აგება, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს ეხმარება სწავლების პროცესში მოვლენებისა და ცნებების დაკავშირებაში. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ცნების გადატანა ერთი თემიდან მეორეში, მათ შორის კავშირის მოსწავლისათვის გასაგებად ახსნა, ცნების განვითარება საჭირო შინაარსით. აქ მნიშვნელოვანია არ მოხდეს ცნების შესწავლის პროცესის გადატვირთვა "უსარგებლო" თვისებებით და შინაარსით, რაც არ უწყობს ხელს მოსწავლეების მიერ ცნების შინაარსის სწორად გათავისებას და მათ ერთმანეთთან დაკავშირებას. სწავლების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად ყოვლისმომცველი, მზა რეცეპტი არ არსებობს. შესასწავლი საკითხის შინაარსი განაპირობებს სასწავლო მეთოდებისა და აქტივობის ფორმებს. ახალი სახელმძღვანელოების სიმრავლის მიუხედავად სწავლების მეთოდების დივერსიფიცირებისათვის საჭირო რესურსები არასაკმარისია. სახელმძღვანელოებში მოყვანილი ცნებების შინაარსის უკეთ გაგება-გააზრებისათვის სასურველია დამატებითი ინფორმაციის მოძიება-დამუშავება (თუმცა, როგორც ავლნიშნეთ ცნება არ უნდა გადავტვირთოთ ზედმეტი ინფორმაციით).

ბიოლოგია, ისევე როგორც სხვა დისციპლინები, მოიცავს უამრავ ცნებას და მათ შორის ურთიერთმიმართებას. სწავლების პროცესში ცნება თანდათან ვითარდება და რთულდება. თავიდან ცნება ყალიბდება მარტივ, ბავშვის გონებისათვის იოლად აღსაქმელ ფორმაში. შემდგომში ის ვითარდება, იღებს უფრო სრულ სახეს და მოსწავლეს მიეწოდება სხვა ცნებებთან, სქემებთან, სცენარებთან და ცოდნის ორგანიზების სხვა გზებთან კავშირში. საგნის ცოდნა მიიღწევა ცნებათა მნიშვნელობის სწორი გაგება-გააზრებით რთულ ბიოლოგიურ პროცესებში. ხშირად მოსწავლეებს ცნებებს შორის კავშირის აღმოჩენა შეუძლიათ დამოუკიდებლად. ზოგჯერ კავშირების აღმოჩენა მასწავლებლის დახმარებითაც ძნელდება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამხმარე სასწავლო საშუალებების, მათ შორის დამატებითი ინფორმაციის გამოყენებას ცოდნის უკეთესი ორგანიზებისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი, დამუშავებული სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდება ისეთ მნიშვნელოვან ბიოლოგიურ პროცესზე, როგორიცაა მიტოქონდრიების და ქლოროპლასტების მემბრანებზე მიმდინარე სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესებში ელექტრონების ტრანსპორტირების შედეგად გენერირებული პროტონული გრადიენტისა და ატფ-ის სინთეზის შეუღლება. პროცესი ბავშვებისათვის უცნობია და შესაბამისად წინარე ცოდნა და გამოცდილება ამ თემაზე ნაკლებად აქვთ. უჯრედულ სუნთქვას და ფოტოსინთეზს ბავშვები სწავლობენ X კლასში, პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის კონტექსტში. ფოტოსინთეზის გაცნობას ბავშვები ფაქტიურად იწყებენ IX კლასში, სადაც სწავლობენ, რომ ამ პროცესში მზის ენერგია გარდაიქმნება ქიმიური ბმების ენერგიად და ინახება გლუკოზის მოლეკულაში. არაფერია ნათქვამი ელექტროტრანსპორტულ ჯაჭვში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესისა და ატფ-ის სინთეზის შეუღლების მექანიზმების შესახებ. ჩვენი მიზანია, ამ თემაზე უფრო სრული ინფორმაციის მიწოდებით და მისი ინტეგრირებით სასკოლო მასალასთან, ხელი შევუწყოთ ამ პროცესის უკეთ გაგება-გააზრებას.


უჯრედული სუნთქვის გამარტივებული შემაჯამებელი განტოლება გამოიყურება შემდეგნაირად:



ამსახველი რეაქციის ჯამური განტოლება, რომლის შედეგად 38 მოლეკულა ატფ მიიღება. ამ ურთულეს პროცესში სხვადასხვა უჯრედული სტრუქტურა და უამრავი ფერმენტია ჩართული და შედგება 3 ძირითადი სტადიისაგან: გლიკოლიზი, კრემის ციკლი და ელექტრონების ტრანსპორტი. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ელექტრონების ტრანსპორტის სტადია, კერძოდ მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანაზე მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესის ატფ-ის სინთეზთან შეუღლების პროცესი, რომელიც ჟანგვითი ფოსფორილირების სახელითაა ცნობილი. აქ მასწავლებელმა

მოსწავლეებს უნდა გაახსენოს წინარე (არსებული) ცოდნა მიტოქონდრიების აგებულებისა და ჟანგვა-აღდგენითი ანუ დონორულ-აქცეპტორული რეაქციების შესახებ (ქიმიურ რეაქციებს, რომლებშიც ხდება ერთი მოლეკულიდან მეორეზე ელექტრონების გადაცემა-ჟანგვა-აღდგენითი ანუ დონორულ აქცეპტორული რეაქციები ეწოდება). მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანაზე მოთავსებულია ელექტრონების გადამტანები და ფერმენტები. ეს ფერმენტები აკატალიზებენ ატფ-ის სინთეზს ადფ-ისა და ფოსფორმჟავასგან. მემბრანაში ჟანგვა-აღდგენითი პროცესის გასაგრძელებლად აუცილებელია ელექტრონებისა და პროტონების სპეციალური გადამტანების – დონორ-აქცეპტორების არსებობა. მათი ერთობლიობა ელექტროტრანსპორტულ ჯაჭვს ქმნის. ამ ჯაჭვში გადამტანები იმ პრინციპითაა ჩალაგებული, რომ ყოველი მომდევნო გადამტანი წინაზე უფრო ძლიერად იკავშირებს ჟანგბადს.

ატფ სინთეზდება და ჰიდროლიზდება (იშლება) მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანის – მატრიქსის მხარეზე. ატფ სინთეტაზა ფუნქციონირებს, როგორც შექცევადი სისტემა. ის ახდენს ატფ-ის სინთეზს ადფ და ფოსფორმჟავასაგან წყალბადის იონების -  $H^+$  (პროტონების) კონცენტრაციული და ელექტრული გრადიენტის (ანუ ელექტროქიმიური გრადიენტის) ხარჯზე. აგრეთვე ახდენს ატფ-ის დაშლას და გამოყოფილი ენერჯის ხარჯზე პროტონები გადაიტანება მემბრანის გავლით. აქვე კარგი იქნება თუ მასწავლებელი მოკლედ აღწერს ატფ სინთეტაზურ კომპლექსს. ეს კომპლექსი, რომლის მთავარი ბიოლოგიური ფუნქციაა ადფ და ფოსფორმჟავასაგან ატფ-ის სინთეზი, შედგება ორი:  $F_0$  და  $F_1$  კომპონენტისაგან.



ატფ სინთეტაზაში სუბერთეულთა განლაგების სქემა

$F_1$  – კატალიზური კომპონენტი (მიტოქონდრული შემადგენელი ფაქტორი)

$F_0$  – პროტონული არხი

$\alpha, \beta, \gamma, \delta, \epsilon$  – ატფ სინთეტაზის სუბერთეულები

OSCP – ოლიგომიცინისადმი მგრძობიარე სუბერთეული (ცილა)

$F_0$  კომპონენტი ჩამენებულია მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანაში, შედგება ჰიდროფობური ცილებისგან და ფაქტიურად წარმოადგენს პროტონების გამტარ არხს.  $F_1$  კომპონენტთან დაკავშირებულია ელექტროტრანსპორტული ჯაჭვის კომპონენტები.  $F_1$  კომპონენტი მემბრანიდან გაშვებულია მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანის მატრიქსის მხარეზე სფერული თავის სახით.  $F_1$  ფაქტორს

ფოსფორილირებს ფაქტორსაც უწოდებენ.  $F_1$  ფაქტორი (კომპონენტი) მრავალფუნქციური ცილაა და 9 სუბერთეულისაგან შედგება. ანუ გააჩნია მეოთხეული სტრუქტურა.

ატფ სინთეტაზის სტრუქტურაზე მოსწავლეებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების წინ აუცილებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს კითხვების დასმით გაახსენოს არსებული ცოდნა ცილის მეოთხეული სტრუქტურის შესახებ.  $F_0$  და  $F_1$  კომპონენტებს აკავშირებს OSCP სუბერთეული (ოლიგომიცინისადმი მგრძობიარე სუბერთეული). ოლიგომიცინი უკავშირდება OSCP სუბერთეულს და  $F_0$ -ში პროტონების ტრანსპორტი იბლოკება. შედეგად ატფ-ის სინთეზი წყდება. H ატფ-აზას შემადგენლობაში 3 ფუნქციური კომპლექსი შედის: 1) ენერჯის ტრანსფორმერი (3  $\alpha$ ; 3 $\beta$ ), რომელიც უშუალოდ გარდაქმნის პროტონის კინეტიკურ ენერჯიას ქიმიურ ბმის ენერჯიად ატფ-ში. 2) ჭიშკარი ( $\gamma, \delta, \epsilon$ ) და მესამე პროტონული არხი ანუ  $F_0$  არხი. ის უკავშირდება უშუალოდ ჭიშკარს, რომლის დახურული მდგომარეობიდან ღიაში გადასვლა რეგულირდება პროტონების კონცენტრაციით მემბრანათშორის არეში ან ატფ-ის ჰიდროლიზით ტრანსფორმერში. როცა მემბრანათშორის არეში პროტონების კონცენტრაცია მიაღწევს გარკვეულ სიდიდეს, მაშინ არხი ( $F_0$ ) იწყებს პროტონების გატარებას.

იზოლირებული სახით  $F_1$  კომპონენტს არ შეუძლია ატფ-ის სინთეზი, მაგრამ შეუძლია ატფ-ის ჰიდროლიზი. სწორედ მას შეუძლია მთავარი "სასწავლის" მოხდენა, ანუ შეუძლია წყალბადის ვარდნის კინეტიკური ენერგია მოახმაროს ადფ-ისა და ფოსფორმჟავასაგან ატფ-ის სინთეზს. ეს მექანიზმი 1961 წელს ახსნა ბრიტანელმა ბიოქიმიკოსმა მიტჩელმა თავისი ქემიოსმოსური თეორიით, რისთვისაც ნობელის პრემია დაიმსახურა. ამ თეორიის თანახმად ელექტროტრანსპორტულ ჯაჭვში გადაადგილების დროს ელექტონები მემბრანას სამჯერ გადაკვეთენ. როგორც სახელმძღვანელოშიც არის აღნიშნული. ელექტრონების გადაადგილების დროს პორციებად გამოთავისუფლებული ენერგია ხმარდება პროტონების გადაქაჩვას მატრიქსიდან მემბრანათშორის არეში. ელექტრული გრადიენტის წარმოქმნას ხელს უწყობს  $O_2^-$ . იონები, რომლებიც გროვდება მემბრანის მატრიქსის მხარეზე. შედეგად ჩნდება პროტონთა ელექტროქიმიური გრადიენტი, რომელიც წარმოადგენს კონცენტრაციულ და ელექტრულ გრადიენტთა ჯამს. კონცენტრაციული და ელექტრული გრადიენტი პროტონს ( $H^+$ ) მემბრანათშორისი არედან მატრიქსის მიმართულებით აბრუნებს სპეციფიკური არხის გავლით. სწორედ ეს არხი შეიცავს ატფ სინთეტაზურ კომპლექსს, რომელიც  $F_0$  და  $F_1$  კომპონენტისაგან შედგება. სქემაზე  $F_1$  ფაქტორი ჩანს ბურთისმაგვარი ჩანაზარდვით მატრიქსში. პროტონებს, რომლებიც მოძრაობენ ტრანსმემბრანულად ელექტროქიმიური გრადიენტის მიმართულებით, გააჩნიათ კინეტიკური ენერგია, რომელსაც  $F_1$  ფაქტორი იყენებს ატფ-ის სინთეზისათვის.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უჯრედში ხორციელდება ჟანგვითი ფოსფორილირების კონტროლი. თუ მიტოქონდრიაში არის ადფ (ადენოზინდიფოსფატი), მაშინ ელექტონები აგრძელებენ მოძრაობას ელექტროსატრანსპორტო ჯაჭვში, ხოლო როცა უჯრედში მცირდება ენერგეტიკული მოთხოვნები და იხარჯება ატფ-ის ნაკლები რაოდენობა და თავისუფლდება ნაკლები რაოდენობის ადფ, მაშინ ელექტრონების ნაკადი მცირდება შესაბამისად ატფ-ის სინთეზი მცირდება.

აქ საჭიროა მასწავლებელმა გააკეთოს მცირე ინფორმაცია (რომელიც მოსწავლემ უნდა ჩაინიშნოს) მატრიქსში ატფ-ის სინთეზისათვის საჭირო კომპონენტების ტრანსპორტის და სინთეზირებული ატფ-ის მატრიქსიდან უჯრედში გადატანის მექანიზმების შესახებ. მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანის შიგნითა მხარეს ატფ-ის სინთეზისათვის საჭირო ადფ-ის შეტანა აგრეთვე სინთეზირებული ატფ-ის მატრიქსიდან გამოტანა ხდება ცილა გადამტანების – ტრანსლოკაზების საშუალებით, რომლებიც მუშაობენ ანტიპორტის პრინციპით. ანტიპორტი ახალი ცნებაა მოსწავლისათვის და ნიშნავს ცილა გადამტანის მიერ სუბსტრატის ერთდროულად ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით გადატანას. მას გადაქვს 1 ადფ მატრიქსში 1 ატფ-ის იმავდროული გადატანით უჯრედის ციტოპლაზმაში – იქ სადაც ატფ არის საჭირო უჯრედისათვის. ატფ-ის სინთეზისათვის საჭირო ფოსფატიც მატრიქსში შეიტანება ცილა გადამტანის მიერ ანტიპორტის პრინციპით. ამ დროს ფოსფორმჟავა იცვლება  $OH^-$  ზე.

ფოტოსინთეზის დროს ელექტროტრანსპორტულ ჯაჭვში ელექტრონების გადაადგილებისას გამოყოფილი ენერგიის ატფ-ის სინთეზისათვის გამოყენება ხდება იმავე პრინციპით. ეს პროცესი მცენარეული უჯრედის ქლოროპლასტში, თილაკოიდების მემბრანაში ხდება სინათლის ზემოქმედებით (ამიტომ მას ფოტოფოსფორილირებასაც უწოდებენ) ქემიოსმოსური შეუღლების თანახმად პროტონები გადაიქაჩება გარემოდან (სტრომადან) თილაკოიდის შიგნით, ელექტრონების გადამტანების საშუალებით, რომლებიც თილაკოიდის მემბრანაშია ჩართული. გარდა ამისა პროტონები თილაკოიდის შიგნით თავისუფლდება წყლის ფოტოლიზის შედეგად. როდესაც პროტონები გადაადგილდებიან ატფ სინთეტაზაში თილაკოიდური არედან სტრომაში ელექტროქიმიური გრადიენტის მიმართულებით, მათი გადაადგილების თავისუფალი ენერგიის (კინეტიკურ ენერგიის) ხარჯზე ხდება ადფ-ის ფოსფორილირება და ატფ-ის წარმოქმნა. თითოეულ 3 პროტონზე, რომელიც ატფ სინთეტაზაში გაივლის, სინთეზდება 1 მოლეკულა ატფ.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზურაბ ქომეთიანი – მემბრანოლოგიის შესავალი. თბ. 2004.
2. ვ.მ. კორსუნსკაია – ზოგადი ბიოლოგიის გაკვეთილები. თბ. 1974.
3. ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა. თბ. 1974.
4. Костюк П. Г. Био-физика. Киев. 1988.

### რეზიუმე

სწავლების პროცესში ცნება თანდათან ვითარდება და რთულდება. ცოდნა მიიღწევა ცნებათა მნიშვნელობის სწორი გაგება გააზრებით რთულ პროცესებში. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცნების გადატანა ერთი პროცესიდან მეორეში. მე-10 კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ფოტოსინთეზურ და მიტოქონდრიის მემბრანებზე მიმდინარე პროცესების შესწავლის პირველი მცდელობაა. ამ თემაზე მოსწავლეებს წინარე ცოდნა არა აქვთ. ჩვენი მიზანია თილაკოიდისა და მიტოქონდრიის მემბრანებზე მიმდინარე ჟანგვა აღდგენითი და ფოსფორილირების პროცესების შეუღლებაზე დამატებითი, დამუშავებული მასალის მიწოდებით ხელი შევუწყოთ ჟანგვითი და ფოტოფოსფორილირების პროცესების უკეთ გაგება გააზრებას.

**Bakur Oniani** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor

### About Further Learning in the Coupling Mechanisms of Oxidation and Phosphorylation Processes Resume

During the learning process a concept is gradually evolving and getting more complex. Knowledge is acquired through the correct understanding and interpreting of the meaning of concepts in difficult processes. A student should be able to transfer one concept into another. The 10<sup>th</sup> grade biology textbook is the first attempt to study processes on photosynthetic and mitochondrial membranes. The students have no previous knowledge on this topic. Our goal is to promote better apprehension of the processes of oxidation and photophosphorylation by providing additional and processed materials about the oxidation and restoration processes on tylakoid and mitochondrial membranes and the coupling of phosphorylation processes.

**Бакур Ониани** - академический доктор Государственного университета Акакия Церетели

### Об обучении механизмов сопряжения процессов окисления и фосфорирования Резюме

В процессе учебы понятие постепенно развивается и усложняется. Знание достигается правильным пониманием и осмыслением значения понятия в сложных процессах.

Ученик должен суметь перенести понятие из одного процесса в другой. В учебнике X класса есть первая попытка изучения процессов, происходящих на фотосинтетических и митохондриальных мембранах. По этой теме у них нет предварительных знаний.

Нашей целью является - путем предоставления дополнительного, обработанного материала о сопряжении окислительно-восстановительных процессов и фосфорилирования, происходящих на мембранах тилакоидов и митохондрий способствовать лучшему пониманию и осмыслению этих процессов.

მაგდანა ჯიქია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის დოქტორი

### თამბაქოს კვამლში შემავალი ზოგიერთი კომპონენტის აღმოჩენა სასწავლო ცდების საშუალებით

სასწავლო ცდები ხელს უწყობს არა მარტო სასწავლო კურსის საპროგრამო მასალის კარგად ათვისებას, არამედ მეცნიერული დონის დაუფლებას და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებას. ამ მიზნით განვიხილოთ ცდები და დემონსტრაციები ნიკოტინის მავნე ზემოქმედების შესახებ. ამ ცდებით დადასტურება სტუდენტებზე კარგ ეფექტს მოახდენს, ერთი მხრივ, გაუადვილებათ შესასწავლი საკითხის გაგება და, მეორე მხრივ, შეექმნებათ წარმოდგენა ნიკოტინის გამუდმებით მიღების შედეგად გამოწვეულ უარყოფით მოქმედებაზე, რომელიც იწვევს სხვადასხვა ორგანოს და ორგანოთა სისტემების მოწამვლას, მიჰყავს ადამიანი სრულ გამოფიტვამდე და ადრეულ ასაკში დაღუპვამდე.

ჩვენს პლანეტაზე იშვიათად მოინახება თამბაქოს გარდა სხვა მცენარე, რომელშიაც თავმოყრილი იყოს ჯანმრთელობისათვის მავნე ამდენი კომპონენტი. ორგანიზმისათვის უცხო წარმოშობის ნივთიერებებს ქსენობიოტიკებს უწოდებენ (ქსენოს-უცხო, ბიოს-სიცოცხლეს). 60000 სხვადასხვა ქსენობიოტიკია დღეისათვის ცნობილი, მათგან თამბაქოს ბოლზე მოდის თითქმის 10% (6000), თამბაქოს ქსენობიოტიკებიდან 30 კომპონენტი ბუნებრივი, ნატურალური სახისაა, რომელთაც მიეკუთვნება - ნიკოტინი, ნახშირორჟანგი, ამიაკი, კანცეროგენული ნივთიერებები, რადიოაქტიური ელემენტები და მათი იზოტოპები, მძიმე მეტალები [1,2].

ლექციის მიზანი: დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე მთელი სიმწვავეთ დაისვა თამბაქოს წევასთან ბრძოლის საკითხი. სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ფაქტია სიგარეტს სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ეტანება. განსაკუთრებით შემფოთებას ის იწვევს, რომ თამბაქოს ეწევიან ახალგაზრდები და ბავშვები [3,4]. საჭიროა, რომ ყველა ადამიანმა თამბაქოს მწველმაც, არამწველმაც იცოდეს, რა ზიანი მოაქვს ჯანმრთელობისათვის თამბაქოს წევას. ნიკოტინის საზიანო მოქმედებას ვადასტურებთ ზოგიერთი ცდის საშუალებით. ლექციაში ვრთავთ აღმზრდელითი ხასიათის საუბარს.

ლექციის გეგმა: 1. ინფორმაცია ნიკოტინის მავნეობაზე; 2. სტუდენტთა მიერ ცდების ჩატარება და დასკვნების გამოტანა; ცდა: №1 მჟავებისა და ფისების აღმოჩენა თამბაქოს კვამლში (ორი ვარიანტი), №2 ნახშირორჟანგის შემცველობა თამბაქოს კვამლში, №3 თამბაქოს კვამლის დალექვა ფილტვებში.

მეთოდები და ხერხები: სიტყვიერი მეთოდიდან - თხრობა, საუბარი; თვალსაჩინოებიდან - ცდების დემონსტრირება; პრაქტიკული მეთოდიდან - ცდებზე დაკვირვება; მეთოდური ხერხიდან - ლოგიკური - პრობლემის დაყენება; ორგანიზაციული - ცდების და დასკვნების ჩაწერა; ტექნიკური - ხელსაწყოების აწყობა.

მეთოდური ლიტერატურა.

ლექციის ჩატარება: ლექციის ახსნის დასაწყისში მასწავლებელი მოკლე ინფორმაციას გააკეთებს ნიკოტინის მავნე ზემოქმედების შესახებ, შემდეგ მიმართავს ცდების დემონსტრირებას.

ცდა №1 (ვარიანტი I). მჟავების, ფისების და ნიკოტინის აღმოჩენა თამბაქოს კვამლში.

ცდისათვის საჭიროა: ავაწყოთ ხელსაწყო (ნახ.1). ავილოთ მოზრდილი სინჯარა და კარგად მოვარგოთ საცობი, რომელშიც გაყრილი იქნება ორი მინის მოხრილი მილი. გრძელი მილი სინჯარის ფსკერამდე უნდა აღწევდეს, ხოლო მოკლე მილი საცობს ოდნავ უნდა სცილდებოდეს. სინჯარაში ჩავასხათ სასმელი სოდის ხსნარი და ფენოლფტალეინით შეფეროთ ვარდისფრად. პირველად გრძელი მოხრილი მილის საშუალებით ჩაგბეროთ სინჯარაში ამონასუნთქი ჰაერი და სტუდენტები დავაკვიროთ მოვლენას. ხსნარი ფერს არ შეიცვლის, ხოლო შემდეგ 3-4-ჯერ ჩაგბერავთ თამბაქოს კვამლს (ჩაბერვა შეიძლება მოხდეს ადამიანის მიერ, ან რეზინის ბალონში დაგროვილი კვამლით). სტუდენტები შენიშნავენ, რომ ხსნარი გაუფერულდება და გააკეთებენ დასკვნას, რომ თამბაქოს კვამლი შეიცავს ორგანულ მჟავებს. აქ მასწავლებელი მიმართავს საგანთაშორის კავშირს და სტუდენტებს მოაგონებს

ქიმიის კურსიდან ნეიტრალიზაციის რეაქციას. თამბაქოს კვამლი, რომელიც შეიცავს ორგანულ მჟავებს, ხსნარში ანეიტრალურს ტუტე რეაქციას, თამბაქოს კვამლში არის ჭიანჭველას მჟავა, ძმარმჟავა, ნახშირმჟავა, პროპიონის მჟავა და სხვ. ისინი ვნებენ ადამიანის ორგანიზმს და იწვევენ ზედა სასუნთქი გზებისა და ფილტვების ანთებას. სტუდენტები შენიშნავენ, რომ ხსნარის ზედაპირზე გაჩნდება მოყავისფრო ზეთისებრი აპკი. ეს ეთერზეთებია, რომლებიც წარმოადგენენ გულის შხამებს. ფისებსა და ნიკოტინს შევამჩნევთ მკვეთრი არასასიამოვნო სუნითაც. ასეთი სუნი აქვს პირში მწვევლებს. ნიკოტინი ადვილად შეიწოვება პირისა და ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსით. შემდეგ გადადის სისხლში და იქედან კი მთელ ორგანიზმში.

## ვარიანტი II

გავხსნათ მოუწვევლი და მოწეული სიგარეტების ფილტრები, სტუდენტები დაინახავენ, რომ მოწეული სიგარეტის ფილტრს აქვს მუქი - ყავისფერი, რადგან მასში რჩება ფისებისა და ნიკოტინის ნაწილი, რაც მოწევის პროცესში გამოიყოფა. ამ ნივთიერებათა უმეტესი ნაწილი გადადის მწვევლის ფილტვებში დაილექება ალვეოლების კედლებზე. შემდეგ მოწეული სიგარეტის ფილტრები ჩავყაროთ კოლბაში და დავასხათ მცირე რაოდენობით ფენოლფტალეინით შეფერილი სოდიანი წყალი, წითელი შეფერილობა გაქრება.

დასკვნა: თამბაქოს კვამლი შეიცავს: ფისებს, ნიკოტინს და ნახშირის ნაწილაკებს, მჟავებს.

ცდა №2. ნახშირორჟანგის შემცველობა თამბაქოს კვამლში.


ორ სინჯარაში ჩავასხათ კირიანი წყალი და მინის მილით ერთში ჩავბეროთ თამბაქოს კვამლი, ხოლო მეორეში ამონასუნთქი ჰაერი. ხსნარი ორივეში აიძვრება, მაგრამ უფრო ინტენსიურად აიძვრება იქ, სადაც თამბაქოს კვამლი ჩავბერეთ. აქ მასწავლებელი მოახდენს შედარებას და დასძენს, რომ თამბაქოს კვამლი შეიცავს 6-9% ნახშირორჟანგს, რაც 60-90-ჯერ აღემატება ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობას. გარდა ნახშირორჟანგისა თამბაქოს კვამლი შეიცავს: გოგირდწყალბადს, ამიაკს, მეთანს, მხუთავ გაზს და სხვ.

დასკვნა: თამბაქოს კვამლში დიდი რაოდენობითაა ნახშირორჟანგი.


ცდა №3. წვის დროს თამბაქოს კვამლის დალექვა ფილტვებში.

ავილოთ დონდერისის მოდელი, რომელიც წარმოადგენს გულმკერდისა და ფილტვების ანალოგს. ჩავბეროთ შიგ თამბაქოს კვამლი და ვაწარმოთ სუნთქვითი მოძრაობანი. სტუდენტები დაინახავენ, რომ კვამლი გამოდის ნელა. 10-15 სუნთქვითი მოძრაობისას ვერ ხერხდება კვამლის რაოდენობის სრულიად განდევნა ფილტვებიდან და ამიტომ ის დიდი ხნით ილექება ფილტვებში. ნივთიერებები კი, რომლებსაც ის შეიცავს - ნიკოტინი, ჭვარტლი, ფისი ილექება ალვეოლების კედლებზე.

დასკვნა: თამბაქოს კვამლი ნელ-ნელა ამოდის ფილტვებიდან. თუ მასწავლებელს ქარხნული წესით დამზადებული დონდერისის მოდელი არა აქვს, შეიძლება ააწყოს შემდეგნაირად (ნახ.2): ვიღებთ განიერყელიან ბოთლს, შემოვაჭრით ფსკერს, შემოჭრილი მინის ნაპირები გაიქლიბოს კარგად და გადავჭრათ რეზინის ხელთათმანის ნაჭერი, ყელში კარგად მოვარგებთ რეზინის საცობს. რომელშიც გაყრილი იქნება მოხრილი სამკაპა მილი და მოხრილ ბოლოებზე მიმაგრებული იქნება რეზინის ხელთათმანის თითები (ფილტვების ანალოგი); როცა ბოთლის ბოლოზე გადაჭიმულ რეზინის აპკს ძირს დავწევთ (ის დიაფრაგმის ანალოგია) მოხდება სუნთქვის პროცესი და „ფილტვები“ გაიბერება, ზევით აწევით კი დაიჩუტება.



ნახაზი 1.



ნახაზი 2.

ბოლოს გავაკეთებთ ლექციის დასკვნას. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ტარდება შეზღუდვითი ღონისძიებები თამბაქოს წვევისა და მისი გავრცელების საწინააღმდეგოდ. მათი მიზანია შემცირდეს თამბაქოს წვევა, და ისიც, რომ თამბაქოს ბოლისაგან დაცული იყოს არამწვეველი ხალხი.

ამრიგად, განათლების ძირფესვიანი გარდაქმნის პირობებში, თითოეული მასწავლებელი უნდა აზროვნებდეს და მუშაობდეს ახლებურად; შემოქმედებითად უნდა მიუდგეს თავის საქმეს, ეძებოს ახალი რეზერვები და შესაძლებლობები სწავლების ეფექტურობის ამაღლებისათვის, შეიარაღდეს პედაგოგიური მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი სიახლით, ჩაატაროს ექსპერიმენტები და მიღებულ შედეგებს გაუკეთოს ღრმა მეცნიერული ანალიზი.

#### ლიტერატურა:

1. ალადაშვილი ვ., კანდელაკი გ. - რა ზიანი მოაქვს თამბაქოს წვევას. თბილისი. 1980 წ.
2. გაგუა ა., გაგუა კ. - თამბაქოს მავნე გავლენა ორგანიზმზე. თბილისი. ჟ. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1988 წ. №3.
3. ყიფიანი ე., ჯიქია მ. - როგორ ვიცხოვროთ დიდხანს და ჯანსაღად. ქუთაისი. 2010 წ.
4. Казьмин В. Д. - Курение, мы и наше потомство. М. „Сов. Россия“. 1989 г.



### რეზიუმე

სასწავლო ცდები ხელს უწყობს არა მარტო სასწავლო კურსის საპროგრამო მასალის კარგად ათვისებას, არამედ მეცნიერული დონის დაუფლებას და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებას. ამ მიზნით განვიხილოთ ცდები და დემონსტრაციები ნიკოტინის მავნე ზემოქმედების შესახებ. ამ ცდებით დადასტურება სტუდენტებზე კარგ ეფექტს მოახდენს, ერთი მხრივ, გაუადვილებათ შესასწავლი საკითხის გაგება და, მეორე მხრივ, შეექმნებათ წარმოდგენა ნიკოტინის გამუდმებით მიღების შედეგად გამოწვეულ უარყოფით მოქმედებაზე, რომელიც იწვევს სხვადასხვა ორგანოს და ორგანოთა სისტემების მოწამვლას, მიჰყავს ადამიანი სრულ გამოფიტვამდე და ადრეულ ასაკში დაღუპვამდე.

**Magdana Jikia** - Akaki Tsereteli State University, Doctor of Medicine

### **Detecting Some Components of Tobacco Smoke through Learning Experiments**

#### **Abstract**

The learning experiments contribute not only to mastering the course material of the programme but they help students to reach a certain scientific level and develop the skills required for an independent work. For this purpose, experiments and demonstrations about the harmful effects of nicotine have been discussed. The results of the experiments will have a positive effect on learners. On the one hand, they will simplify understanding the issues to be studied and on the other hand, they will help students to form the opinion about the negative effects caused by constant nicotine intake which causes poisoning of separate organs and organ systems and leads to a full exhaustion of a human body and early death.

**Магдана Джикия** - доктор медицины, Государственный университет Ак. Церетели

### **Выявление некоторых входящих в табачный дым компонентов посредством учебных опытов**

#### **Резюме**

Учебные опыты способствуют не только хорошему усвоению программного материала учебного курса, но и овладению научного уровня и развитию самостоятельной работы студентов. С этой целью рассмотрим опыты и демонстрации о вредном воздействии никотина. Подтверждение этими опытами произведёт на студентов хороший эффект. С одной стороны, будет облегчено понимание изучаемого вопроса, и, с другой стороны, создастся представление об отрицательном действии, вызванном постоянным приёмом никотина, обуславливающим отравление различных органов и систем органов, доводит человека до полного истощения и гибели в раннем возрасте.

## განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია Philosophy and psychology of education

**მანანა ზანძელაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

### პროგრესი და ზნეობრივი ფენომენი

პროგრესის საკითხი გლობალურია და იგი მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. იგი ეხება ზნეობრივ ცნობიერებასაც. სამყაროში ყველაფერი ცვალებადია, მოძრავია, განვითარებადია. ეს პროცესი ძნელად შესამჩნევია. თუმცა მოიცავს ცვალებადობის ყველა ფორმას, მათ შორის უკუსვლასაც. ცვალებადობის ყველა საფეხურზე რეგრესიული ელემენტები ქრებიან, ხოლო დადებითი მომენტები გადადიან ერთი საფეხურიდან მეორეში.

პროგრესი და ზნეობა ერთ-ერთი დაკავშირებული ცნებებია ზნეობაშიც. ხშირად დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა, ანუ ის რაც განვითარების ერთ საფეხურზე ზნეობრივად ითვლება, შემდეგ საფეხურზე უარყოფით ზნეობრივ ნორმად განიხილება და ა.შ. ამ ცვალებადობაში გზას იკაფავს დადებითი ზნეობრივი ტენდენციები, რომლებიც გადაეცემიან თაობიდან თაობას და ბოლოს რაფინირებული სახით ყალიბდებიან მორალურ კოდექსში.

ზნეობა მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფენომენია. ანთროპოლოგია, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური დისციპლინა, იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩავწვდეთ ზნეობის წარმოშობისა და განვითარების არსებით ნიშან-თვისებებს.

ადამიანები მოქმედების სპეციფიკა იწყება იქ, სადაც ადამიანი იწყებს შრომით საქმიანობას. შრომის პროცესი და ზნეობის განვითარება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც უფრო იხვეწება შრომის პროცესი და ფორმები, ადამიანები მით მეტად გრძნობენ ურთიერთდახმარების აუცილებლობას. ამ ფონზე ვითარდება ზნეობრივ ფენომენიც. ამდენად, ისტორიულად ზნეობა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროდუქტია, მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებელი პირობაა.

ჯერ კიდევ ადამიანის არსებობის პირველ საფეხურზევე გაჩნდა პირველი სათნოება და პირველი მანკიერება. შესაბამისად პირველი ზნეობრივ ნორმები პირველი სათნოება ეს იყო სამართლიანობა და პირველი მანკიერება - უსამართლობა.

მანკიერებათა და სათნოებათა მრავალფეროვნებას ხელს უწყობს ეკონომიკური პირობების განვითარება. პირველ ეტაპზე ყალიბდება თანაგრძნობის, გულწრფელობის, სიმამაცის განცდა. პარალელურად ყალიბდება პირველი ამკრძალავი ნორმები: „არ წაართვა“, „არ მოკლა“, „არ იცრო“.

ჩვენ დღევანდელი ფორმატით ვერ განვიხილავთ თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის ზნეობას. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ისტორიულად არსებობდა უკლასო და კლასობრივი საზოგადოების ზნეობა საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად სიკეთისა და ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების, ჰუმანიზმისა და მიზანტროპიის ფონზე გზას იკაფავდა ზნეობის დადებითი ტენდენციები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაისვა საკითხი ზნეობრივი პროგრესის კრიტერიუმის შესახებ.

ზნეობრივი პროგრესის ზოგად კრიტერიუმს განსაზღვრავენ როგორც ჰუმანიზმს. ჰუმანიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ადამიანურს“. ჰუმანიზმის არსი სწორედ ისაა, რომ გულისხმობს ადამიანის სიყვარულს.

ჰუმანიზმი აერთიანებს ყველა იმ ღირსებას, რომელიც ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებს მიეწერება. მასში შემოდის შრომის სიყვარული, კეთილსინდისიერება, ღირებულებებისადმი პატივისცემა და არა ნივთების მონად ქცევა. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „ვერცხლის მოყვარეობა არს ძირი ყოვლისა ბოროტებისა და გაქანებისა ყოველისა ღონიერებისა, თუ რომლისა ძალით მოიხვეჭოს იგი, ხოლო მას შეუდგების ანგარების, მერე ამპარტავნება, პატივმოყვარეობა და ოდესმე მკვლელობაცა“ (ქ.პ.ტ. 6, გვ. 40).

ზნეობრივი ნორმები იცვლებიან, მაგრამ ზოგჯერ ათასწლეულებით არსებობენ და ადატაციის სახეს იღებენ. მათი დამლევა ძალიან ძნელია, რადგან ღრმად აქვთ ფესვები ადამიანთა ცნობიერებაში. თუმცა პერიოდულად იძულებულნი ხდებიან გზა დაუთმონ ახალს. ტრადიციებს ქმნის ხალხი. ამიტომ მათში ჩადებული ზოგი რამ რაც დღეს მიუღებელია, ისევ და ისევ მიგნების საფუძველზე უნდა შეიცვალოს. ზნეობრივი შეგნება მოგვწონს თუ არ მოგვწონს დეტერმინირებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით, ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს ზნეობრივს. პროგრესულ მატერიალურ გარემოს შეესაბამება პროგრესულ-ზნეობრივი შეგნება შეიძლება ერთი-ორი საპირისპირო შედეგების მოტანაც, მაგრამ ეს არ ცვლის კანონზომიერებას.

ზნეობა ისტორიული კატეგორიაა. თანამედროვე ეპოქა ადასტურებს, რომ შეუძლებელია არსებობდეს მონისა და მონათმფლობელის, ფეოდალისა და ყმის, კაპიტალისტისა და მუშის ზნეობა. იგი ერთნაირია ყველა ადამიანისთვის. მასში თავმოყრილია დადებითი ზოგადსაკაცობრიო ელემენტები, რომელთაც საყოველთაო ხასიათი აქვთ. მათი დაცვა აუცილებელია საზოგადოების ყველა წევრისთვის, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა. საყოველთაო ზნეობრივი ელემენტების დამკვიდრებაში უდიდესი როლი შეასრულა რელიგიურმა რწმენამ. მას უდიდესი სოციალური ფუნქცია ეკისრება. რწმენის ერთიანობა ხელს უწყობს ზნეობის ერთიან ელემენტთა სრულყოფას.

საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად შეიმჩნეოდა ზნეობის როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ელემენტებიც. საზოგადოების განვითარების ყოველი ეტაპი პიროვნების განვითარების ბრძოლის ისტორიაა. ადამიანს ჭირდება არა მხოლოდ ფორმალური. არამედ იურიდიული თავისუფლებაც. ამის განხორციელება მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოშია შესაძლებელი ყველა საზოგადოების განვითარება საბოლოოდ აქეთვე მოდის, რადგანაც სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლების და ზნეობრივი პროგრესის საფუძველია. თავისუფლება აუცილებლობისადმი შეგნებული დაქვემდებარებაა. მხოლოდ ის პიროვნებაა თავისუფალი. ვინც ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და მასში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს.

როგორ ხდებოდა ისტორიულად ზნეობის თანდათანობით განვითარება და მისი განწმენდა ეროზიული ელემენტებისაგან. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ზნეობრივი შეგნების ამაღლება, სულიერი ვაკუუმის შევსება. ამის დეფიციტი დღეს არა მხოლოდ საგრძნობია, არამედ თავის გამანადგურებელ ძალას სულ უფრო და უფრო ავლენს.

თავისუფლების გზაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული ელემენტების დანერგვა. ისინი ყველაზე ნაკლებად სწორედ ზნეობის სფეროში იჭრებიან. მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფო უზრუნველყოფს ზნეობის სრულყოფას.

ეპოქებს ახსოვთ კეთილისა და ბოროტის ბრძოლის კონკრეტული პერიპეტეები. ისტორიულად სიკეთეს ყოველთვის მეტი ძალა აქვს. ზნეობის ფენომენის პროგრესი საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობაა. ამ კუთხით საქმე არც საქართველოშია კარგად. უჭირს დღეს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თვალსაზრისით. უჭირს ეთიკის, ზნეობის სფეროშიც. განვითარების პროცესმა კარგად დაგვანახა ყველა ის ნაკლი, რომელიც მოაქვს ბიუროკრატიულ, ადმინისტრაციულ, ტოტალურ მეთოდებს მართვაში. ეროვნული ცნობიერება ახალ ფორმას ეძებს. ეს საკმაოდ რთული პროცესია. ვინაიდან ქართული საზოგადოება სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც მიუხედავად მათი წარსულისა, ზნეობრივი „სენტენციებით ცდილობენ ქართული ცნობიერების სიმპათიის მოპოვებას. პარალელურად ზნეობრივ ადამიანს თითქმის „ზედმეტი ადამიანის“ სტატუსი აქვს მინიჭებული. .ერ კიდევ ბატონობს საზოგადოებაში ნეპოტიზმი, სამსახურებრივი პრივილეგია, ქონებრივი ცენზი. სწორედ ამის შედეგია ქვემო ქართლისა და აფხაზეთის ამბები, ათასობით უმუშევარი, გადატაკებული მოსახლეობა.

ზნეობრივი ფენომენის არსი ისაა, რომ დავიბრუნოთ პიროვნება. იგი უნდა ამოქმედდეს, შექმნას ახალი აზროვნება, ზნეობრივი ფასეულობანი. სწორედ ზნეობრივი ფენომენი უნდა კვებავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. სწორედ მისი საშუალებით უნდა დაიმსხვრეს წარსულის რუტინა.

ზნეობრივი ფენომენი უნდა შეიჭრას ცხოვრების ყველა სფეროში და გზა მისცეს ახალ, პროგრესულ განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე . დიდი ეთიკა. თბ., 1994
2. აკ. ბაქრაძე. სულის ზრდა. თბ., 1996
3. გ. ბანძელაძე. ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა. თბ., 1982
4. ზ. კაკაბაძე. ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988
5. მ. ბანძელაძე. ეთიკა. ქუთ., 2010

**Manana Bandzeladze** - Associate Professor of the Department of Philosophy and Psychology at Akaki Tsereteli State University

### Progress and Moral Phenomenon

Harsh events around us require theoretical reasoning, on the one hand and practical and moral action, on the other hand. Courageous theoretical ideas need to be put into practice on time so that we can eventually get economic and spiritual recovery of our country.

Moral values gradually lose their formal outfit. Dry propaganda of moral values is confronted by the real picture of the modern social life.

The current process of development forwarded the phenomenon of morality. This is what determines the success of the already started political and economic movement.



## ელენე გაგეშიძე - ქუთაისის უნივერსიტეტი

### კულტურათა შორის დიალოგის როლი და აუცილებლობა

კაცობრიობის მთელი ისტორია დიალოგია. დიალოგის პრობლემას ჯერ კიდევ ძველბერძენი ფილოსოფოსები - სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ელინიზმის ეპოქის ფილოსოფოსები შეისწავლიდნენ. დიალოგის სივრცე მათ სულიერი კულტურის საფუძველზე შექმნეს, სულიერი კულტურა კი დაფუძნებულია თვალსაზრისთა თანასწორუფლებიანობაზე, ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, პიროვნებისა და, მთლიანად საზოგადოების თავისუფლებისა და ფასეულობათა აღიარებაზე.

დიალოგი, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმა, უძველესი დროიდან არსებობს, შუა საუკუნეებში დიალოგი უპირატესად ზნეობრივი მიზნებით გამოიყენებოდა. მაგალითად, შინაგანად დიალოგურია ამ პერიოდის მოაზროვნის აბელიარის ფილოსოფიური ტრაქტატი „კი და არა“ (1122 წ), ხოლო მისი მეორე თხზულება „დიალოგი ფილოსოფოსს, იუდეველსა და ქრისტიანს შორის“, ვფიქრობ, კულტურათა დიალოგსაც აღემატება. მაგრამ დიალოგური ურთიერთობების პრობლემათა საფუძვლიანად შესწავლა მოგვიანებით გერმანელმა ფილოსოფოსებმა ი. კანტმა, ი. ფიხტემ, ფ. შელინგმა დაიწყეს დაახლოებით 200 წლის წინ, როცა ისინი სუბიექტის პრობლემებსა და მის შემეცნებით შესაძლებლობებს, სუბიექტურ და სუბიექტთა შორის ურთიერთობებს შეისწავლიდნენ. შემდგომში, „მე“-სა და „სხვა“-ს სხვადასხვაობასა და ურთიერთგაპირობებულობაზე ფიხტეს იდეის განვითარებისას, ლ. ფოიერბახი XX საუკუნის დასაწყისის დიალოგის კვლევას აძლევს დასაბამს. ი. ჰერდერი კულტურათა ურთიერთმოქმედებას კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების საშუალებად მიიჩნევდა, რადგან კულტურული კარჩაკეტილობა კულტურის დაღუპვას იწვევს. თუმცა, მისი აზრით, ცვლილებები კულტურის „ბირთვის“ არ უნდა შეეხოს. თანამედროვე კულტურები ჩამოყალიბებულია მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ურთიერთმოქმედებების შედეგად.

ისტორიულად, დიალოგისადმი მიმართვა ყოველთვის მოწმობს მეცნიერული პარადიგმის ცვლას. ანტიკურ ხანაში დიალოგის წარმოშობა გვიჩვენებდა, რომ მითიურ აზროვნებას ფილოსოფიურ-დისკუსიური, კრიტიკული აზროვნება ენაცვლებოდა. აღორძინების ეპოქის დიალოგებში თვალნათლივ ჩანს, რომ ყალიბდება ახალი პარადიგმა, აზროვნების ახალი ტიპი. თანამედროვე კულტურაც იწყებს ადამიანის კულტურაში ყოფის ახალ ტიპზე გადასვლას. XX საუკუნეში კულტურა ადამიანის ყოფის ეპიცენტრში ინაცვლებს, ეს ცხოვრების ყველა სფეროში ხდება. კულტურათა დიალოგი, ეს არის ბევრი უნიკალურ-საყოველთაო პიროვნების ურთიერთობა, და ამ ურთიერთობის დომინანტს წარმოადგენს არა შემეცნება, არამედ ურთიერთგაგება.

დიალოგი კულტურის გაგების უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური, უნივერსალური პრინციპია, რომელიც კულტურის თვითგანვითარებას უზრუნველყოფს, კულტურის არსობრივი მახასიათებლები სწორედ დიალოგში გამოვლინდება. ყველა კულტურული და ისტორიული მოვლენა ურთიერთქმედების, ურთიერთობათა პროდუქტია. ადამიანთა და კულტურათა დიალოგის მსვლელობის პროცესში ყალიბდებოდა ენობრივი ფორმები, ვითარდებოდა შემოქმედებითი აზრი. დიალოგი დროსა და სივრცეში ვრცელდება, ის კულტურის სიღრმეებში ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად აღწევს.

თანამედროვე სამყაროში კულტურათა დიალოგი უფრო გართულდა გარკვეულ გარემოებათა გამო. სხვადასხვა ხალხების კულტურათა ურთიერთქმედებას უკავშირდება აგრეთვე ფუნდამენტალური პრობლემების თანამედროვე გამოვლინებანი. ამ პრობლემათა გადაწყვეტის თავისებურება მდგომარეობს არა ერთ რომელიმე, თუნდაც წარმატებულ კულტურასთან დიალოგში, არამედ კულტურათა სისტემატური დიალოგის ჩარჩოებში, „ამ პრობლემათა გადაწყვეტა გულისხმობს კულტურათა ურთიერთქმედების ისეთ გლობალიზაციას დროსა და სივრცეში, რომლის დროსაც რეალური ხდება ყველა და თითოეული კულტურის თვითრეალიზაცია ყველას თითოეულთან და თითოეულის ყველასთან ურთიერთმოქმედების მეშვეობით. ამ გზაზე

პრობლემატიზირდება თავად მექანიზმი კულტურათა ურთიერთქმედებისა“ (Гордиенко А.А. 1998:76).

კულტურათა ურთიერთმოქმედების, კერძოდ, დიალოგის კულტურის მეთოდოლოგია თავის შრომებში შემუშავებული აქვს მ. ბახტინს, რომლის მიხედვითაც დიალოგი, ეს არის ამ პროცესში მონაწილეთა ურთიერთგაგება, ამავე დროს, თავისი აზრის, თავისი სხვაში შენარჩუნება (მასთან შერწყმა) და დისტანციის შენარჩუნება (თავისი ადგილის შენარჩუნება). დიალოგი ყოველთვის განვითარება და ურთიერთმოქმედებაა. ეს არის გაერთიანება და არა დაშლა. დიალოგი საზოგადოების საერთო კულტურის მაჩვენებელია. „დიალოგი თვითმიზანია და არა საშუალება. ყოფნა უკვე ნიშნავს დიალოგურ ურთიერთობას. როცა დიალოგი მთავრდება, ყველაფერი მთავრდება“ (Бахтин М.М. 1986:48). მ. ბახტინის მიხედვით, თითოეული კულტურა სხვა კულტურასთან თანაარსებობს და კულტურაში დიადი მოვლენები მხოლოდ სხვადასხვა კულტურათა დიალოგში, მათი გადაკვეთის წერტილში იბადება. ერთი კულტურის უნარი აითვისოს მეორის მიღწევები, მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი წყაროა. „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში იხსნება მთელი სისრულით და სიღრმით... ერთის აზრი თავის სიღრმეებს ავლენს სხვა, უცხო აზრთან შეხვედრისას, მასთან შეხებისას..., მათ შორის თითქოსდა დიალოგი იწყება, რომელიც გადალახავს ამ აზრთა, ამ კულტურათა ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... ორი კულტურის ასეთი დიალოგური შეხვედრისას ისინი ერთმანეთს არ ერწყმიან და არ ერევიან, მაგრამ ურთიერთმიდრდება“ (Бахтин М.М. 1986:49). ორი კულტურის დიალოგი ორივე მხარისთვის ნაყოფიერია. „ჩვენ უცხო კულტურას ახალ კითხვებს ვუსვამთ, ისეთს, რომელიც მას თავისი თავისთვის არ დაუსვამს, ვეძებთ მასთან პასუხებს ამ ჩვენს კითხვებზე, და უცხო კულტურა გვაპასუხობს, ხსნის ჩვენს წინაშე თავის ახალ მხარეებს, ახალ ზნეობრივ სივრცეებს“ (Бахтин М.М. 1986:49).

კულტურათა დიალოგი გვევლინება როგორც ობიექტური აუცილებლობა და პირობა კულტურათა განვითარებისა. იგი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთგაგების საფუძველზე, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ და მხოლოდ თითოეული კულტურის ინდივიდუალობაზე დაყრდნობით. „ასწლეულებისა და ათასწლეულების ხალხთა, ეროვნებათა და კულტურათა ურთიერთგაგებას უზრუნველყოფს მთელი კაცობრიობის, ყველა საკაცობრიო კულტურათა ერთიანობა“. არ არსებობს ერთიანი მსოფლიო კულტურა, მაგრამ არსებობს საკაცობრიო კულტურათა ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს „მთელი კაცობრიობის რთულ ერთიანობას“ - ჰუმანურ საწყისს.

კულტურათა დიალოგის იდეა დაფუძნებულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტზე. კულტურა ვერ გუობს ერთ აზრსა და ერთ შეხედულებას, ის დიალოგურია თავისი ბუნებითა და არსით. ცნობილია, კ. ლევი-სტროსი მუდამ უყოყმანოდ ილაშქრებდა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ადამიანებსა თუ კულტურებს შორის არსებული განსხვავების განადგურებამდე მიყვანა, მათი მრავალფეროვნებისა და განუმეორებლობის წაშლა. ის თითოეული ცალკე აღებული კულტურის უნიკალურ თავისებურებათა შენარჩუნების მომხრე იყო. ლევი-სტროსი წიგნში „რასა და კულტურა“ ამტკიცებს, რომ სხვა კულტურასთან ინტეგრალური ურთიერთობა კლავს ორივე მხარის შემოქმედებით ორიგინალობას“. მ. ბახტინმა დასახა ჰუმანიტარული ცოდნის ახალი მეთოდოლოგია, დაამტკიცა კულტურაში დიალოგის, კულტურათა მრავალმნიშვნელობის მნიშვნელობა, ხელი შეუწყო კულტურათა დიალოგის რიგი გამოკვლევების მკვლევართა წარმოჩენას. შეიქმნა „კულტურათა დიალოგის სკოლა“ (ვ. ბიბლერი). ვ. ბიბლერის შრომებში დიალოგის თემა განმარტებულია როგორც საპირისპიროსთან ურთიერთობაზე განწყობა. ხაბერმასის კომუნიკაციური ეთიკა მიიჩნევდა, რომ დიალოგში ჭეშმარიტება იბადება, რომელიც გაგების საფუძველი ხდება.

არცერთ ქვეყანას არ ძალუძს იარსებოს და განვითარდეს თავისი მეზობლებისგან იზოლირებულად. კულტურათა დიალოგი კაცობრიობის განვითარებაში ყოველთვის მთავარი ფაქტორი იყო და ასეთივეა დღესაც. საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ხდებოდა კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რომლისგანაც კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური მოზაიკა ლაგდებოდა. კულტურათა ურთიერთხემოქმედების, დიალოგის პროცესს რთული და არათანაბარი ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია კულტურის განვითარების

სტადიათა თანაფარდობაზე, დაგროვილ გამოცდილებაზე. თითოეული ნაციონალური კულტურის სიღრმეში დიფერენცირებულად ვითარდება კულტურის სხვადასხვა კომპონენტი.

გლობალიზაციის ჩარჩოებში იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგი. საერთაშორისო კულტურული დიალოგი აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და საკუთარი ნაციონალური სახის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას იძლევა. თუ ადრე ეგონათ, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურები ერთმანეთს არ გადაკვეთდნენ, დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეხებისა და ურთიერთგავლენის წერტილები. საუბარია არა მხოლოდ ურთიერთმოქმედებაზე, არამედ ურთიერთშეხებასა და გამდიდრებაზე. დიალოგური განვითარება ისეთი ცნებისა როგორცაა „კულტურა“, კულტურათა საერთაშორისო დიალოგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. აქვე მინდა მოკლედ შევეხო ქართული კულტურის სიახლოვეს სხვა ერების კულტურასთან.

ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის. ჩვენი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისება ის არის, რომ ქართული საზოგადოება არასოდეს იყო ჩაკეტილი საზოგადოება. მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“, იგი არ არის კარჩაკეტილი ქვეყნის წიაღიდან აღმოცენებული. ესაა გახსნილი ქვეყნის ფართო თვალსაწიერის წიაღში დაბადებული ქმნილება. საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს, მუდმივად ჰქონდა ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები მაღალი კულტურის მქონე დიდ ერებთან. არა ერთი გამოკვლევა და ლიტერატურული სახის წერილი მიემდგვნა ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც.

ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ, რომელშიც მრავლადაა სინამდვილის ელემენტები.

ქართველობა, სულ ცოტა საბას დროიდან, აქტიურად, სრული შეგნებით ისწრაფვის ევროპასთან კავშირისაკენ, მისი სულიერი პროფილი ძირითადად ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით ჩამოიქნა და ამდენად ჩვენთვის მუდამ მნიშვნელოვანია ევროპულ კულტურასთან სიახლოვე.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში (და არა მარტო) საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე. დრო, როდესაც შემოვიდა ქრისტიანობა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. იგი იქცა დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. დასავლეთთან კულტურული ურთიერთობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგი მესხი, (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამერიკული განათლების სისტემით იყო აღფრთოვანებული) ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა). ისინი მხარს უბამდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას, უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან, რათა ამ სინთეზის შედეგად მიღებული ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო.,

დასკვნის სახით კი მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ კულტურათა დიალოგი აუცილებელია, როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის პირობა. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა დიალოგი რთული, და ხანდახან მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელია ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველყოფა, ხალხთა და კულტურათა დიალოგი უნდა ხდებოდეს ამ ურთიერთქმედების მონაწილე თითოეული მხარის ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესესთა გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. ბუაჩიძე თ. თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან. ფილოსოფიური ნარკვევები. ტომი 1, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა 2003.
2. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, ანტიკური სამყაროს კულტურები თბილისი, გამომცემლობა „მერანი“ 1998.
3. Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. – Москва, издательство „Планета“ 1986.
4. Гордиенко А.А. Антропологические и культурологические предпосылки коэволюции человека и природы: философско-антропологическая модель коэволюционного развития. – Новосибирск 1998.
5. Яценко Е. Восток и запад: взаимодействие культур // Культура в современном мире: опыт. проблемы. решения. Вып. 1. – Москва, 1999.
6. Философский словарь – Минск, 1999.

### რეზიუმე

კაცობრიობის დიალოგი გვევლინება როგორც ობიექტური აუცილებლობა და პირობა კულტურათა განვითარებისა. საერთაშორისო კულტურული დიალოგი აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და საკუთარი ნაციონალური სახის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას იძლევა. მთელი ისტორია კულტურათა დიალოგია. ამიტომ ნაშრომში კულტურათა შორის დიალოგის როლზე და აუცილებლობაზეა საუბარი, როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის ერთ-ერთ პირობაზე.

ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის.. ამდენად, ნაშრომში ასევე განვიხილავთ ქართული კულტურის სხვა ერების კულტურასთან კავშირების საკვანძო მომენტებს.

### Рол и необходимость диалога между культурами

#### Резюме

История человечества представляет собой диалог. Диалог между культурами представляется нам, как объективная и необходимая и условие развития разных культур. Международный, межкультурный диалог усиливает взаимопонимание между народами и дает возможность лучше познать собственное национальное лицо. Именно поэтому в данной работе мы рассматриваем межкультурный диалог как одно из условий самосохранения человечества. Также мы рассматриваем узловые моменты связей Грузинской культуры, учитывая, что Грузинская культура принадлежит к тем древнейшим культурам, которые являются основополагающими для мировой цивилизации.

Elene Gegeshidze

### The Role and Necessity of intercultural Dialogue

#### Resume

The whole history of human race is a dialogue. It is an essential condition for further development of different cultures. International cultural dialogue intensifies mutual understanding of diverse cultures and provides opportunity for better perceiving of national identity. That is why we consider intercultural dialogue as a means of self-preservation of the entire human race. The paper covers issues concerning Georgian culture since it is in the list of those cultures that made contribution of crucial importance to formation of world civilization.



**ნინო გელენიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

### **სერგი დანელია - ფილოსოფოსი და პედაგოგი**

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ლიტერატურათმცოდნის, მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წელი შესრულდა.

„მცირე საქმენი ხიდებია დიდ საქმეთათვის, დიდი საქმენი მცირეთაგან შედგება, უდიდესი და საზეიმო - ყოველდღიურისაგან. ცხოვრება გაბმული ალღუმი კი არ არის, არამედ წვრილმანი, საჯახირო შეუპოვარი შრომა“, - წერდა სერგი დანელია და სწორედ შეუპოვარი, მუხლჩაუხრელი შრომითა და გამუდმებული ბრძოლით შეძლო მან, საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა XX საუკუნის ისეთ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, როგორებიც იყვნენ შ. ნუცუბიძე და დ. უზნაძე.

ს. დანელია დაიბადა 1888 წლის ოქტომბერში მარტვილის რაიონის სოფ. ნაჯახაოში მრავალშვილიან ოჯახში. ბანძის ოთხკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სერგიმ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში გააგრძელა, ხოლო 1906 წელს ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1907 წელს კი გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოსოფიის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1911 წელს. 1911-1912 წლებში მასწავლებლის წოდების მისაღებად დამატებითი გამოცდები ჩააბარა ჯერ მოსკოვის, შემდეგ ხარკოვის და ბოლოს ნოვოროსისისკის უნივერსიტეტებში.

პედაგოგიური მოღვაწეობა სერგი დანელიამ ძალიან ადრე, ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო, როგორც რეპეტიტორმა, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტის გასრულების შემდეგ, 1911-1917 წლებში, მუშაობდა რუსული ენის მასწავლებლად ხერსონის, ფოთისა და სხვა ქალაქების სასწავლებლებსა და გიმნაზიებში, 1917-1921 წლებში იყო საქართველოს განათლების სამინისტროში უმაღლესი და საშუალო სასწავლებელთა გამგე. იგი იყო ძალიან კარგი მასწავლებელი, რომელიც თავის მოსწავლეებს ცოდნასთან ერთად პროგრესულ აზრებს, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, ცარიზმისადმი სიძულვილს უწერავდა. ამის გამო ფოთის გიმნაზიიდან დაითხოვეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძის მხარდაჭერით სერგი დანელია გიმნაზიის დირექტორად დააბრუნეს. ფოთში მოღვაწეობის პერიოდში იგი ძალიან პოპულარული გახდა როგორც მოსწავლეებს, ისე მათ მშობლებს შორის. მისი განათლება და დაუხარელი შრომა აღფრთოვანებას იწვევდა. რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, მას გიმნაზიის ყველა კლასში შეეძლო ჩაეტარებინა საუკეთესო და საინტერესო გაკვეთილი ბევრ საგანში.

ს. დანელიას ბრწყინვალედ ჰქონდა შესწავლილი პედაგოგ-კლასიკოსების მემკვიდრეობაც, რაც ძალიან კარგად ჩანს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, საერთოდ მეთოდის აქტუალურ საკითხებზე მის მიერ დაწერილ შრომებში, როგორიცაა: „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საკითხისათვის“, „რევოლუცია და სკოლა“, „საქართველოს სკოლის ორგანიზაციის საკითხი“, „ჩვენი საშუალო სკოლის რეფორმისათვის“.

ს. დანელია ქვეყნისა და ერის განვითარებაში სწორად აფასებდა სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობას. იგი ერთმანეთს ადარებს ძველ და ახალ სკოლას, აჩვენებს ამ უკანასკნელის უპირატესობას და მშობლიურ ენაზე სწავლება მიაჩნია სკოლის სახალხო ხასიათის გამოვლენად, ქართული უნივერსიტეტის არსებობა კი - განსაკუთრებულ მოვლენად, რადგან უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველივე ქართულის კვლევას თვით ქართველების მიერ: „ქართველებს რევოლუციამ ეროვნული სასკოლო სისტემა შეუქმნა. თბილისის უნივერსიტეტი ისტორიული ძეგლია ამ გაეროვნებისა... უნივერსიტეტში ქართული მეცნიერული კვლევა უნდა ავიდეს იმ დონეზე, რომ მან გასცეს პასუხი ქართველი კაცის წინაშე წამოჭრილ საკითხებს... შეიტანოს ქართველ ერში ჭეშმარიტების ძიების სული, უნივერსიტეტი არის ქართველი ერის ლოგიკის მწვრთნელი". (4:34) და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში კლასიკური უნივერსიტეტისაგან განსხვავებით, ფილოსოფია საუნივერსიტეტო სწავლებიდან ამოღებულია, მხოლოდ არჩევით საგანთა ჩამონათვალშია საქართველოს ისტორია, ხოლო საქართველოს გეოგრაფია აქაც ვერ მოხვდა.

1922 წლიდან შ. ნუცუბიძესა და დ. უზნაძესთან ერთად იწყებს მოღვაწეობას ს. დანელია ფილოსოფიური დისციპლინების ლექტორად თბილისის უნივერსიტეტში. საცდელი ლექციის ჩატარებისას, რომლის თემა იყო „არისტოტელე ფილოსოფიის ისტორიკოსი“, მან არა მარტო ღრმა განსწავლულობა წარმოაჩინა, არამედ მყარი მეცნიერული მრწამსიც და დაასაბუთა, რომ არისტოტელე არ იყო ფილოსოფიის ისტორიკოსი.

მრავალმხრივი იყო სერგი დანელიას, როგორც კვლევის არეალი, ისე პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართულებები და კითხულობდა ისეთ დისციპლინებს, როგორცაა: 1. ანტიკური ფილოსოფიის ისტორია. 2. ახალი ფილოსოფიის ისტორია. 3. პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია. 4. პედაგოგიკა. 5. დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზრის ისტორია. 6. რუსული ლიტერატურის ისტორია. გარდა ამისა მიჰყავდა სპეცკურსები.

სერგი დანელიას შრომები, წერილები და გამოსვლები შეიძლება მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუშად და საზომად ჩაითვალოს. „მისი როგორც მონოგრაფია, ისე პატარა წერილიც მუდამ აგებული იყო ხოლმე მთელი ლიტერატურის კეთილსინდისიერი დამუშავების ბაზაზე“. (4:36).

ყოველი პოლემიკის დროს ს. დანელია იცავდა მეცნიერულ ობიექტურობას. მას მწვავე უთანხმოება ჰქონდა პროფ. შ. ნუცუბიძესთან არეოპაგიზმის პრობლემებზე, მაგრამ როცა დასავლეთში ჰონიგმანისეულმა ვერსიამ დიდი ხმაური გამოიწვია და შ. ნუცუბიძის ღვაწლი სათანადოდ არ დაფასდა, ს. დანელიამ გაილაშქრა ამ უსამართლობის წინააღმდეგ და ვრცელი წერილიც გამოაქვეყნა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ს. დანელია განსაკუთრებით პრინციპული იყო მეცნიერულ დისკუსიებში, რაშიც დარწმუნებული იყო, არ დათმობდა. როგორც მისი მკვლევარი ე. კოდუა აღნიშნავს, კრიტიკოსებისადმი ორი ტენდენცია ახასიათებს: ერთ ნაწილს უგულვებელყოფს, რადგან არ თვლის მათ კომპეტენტურად და არ ეხმაურება, მეორე ჯგუფის მიმართ კი მკაცრი და კუმპრომისოა. „იგი ძირითადად ეკამათებოდა შ. ნუცუბიძეს, დ. უზნაძეს, მ. გოგიბერიძეს და კ. ბაქრაძეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრით, მათი ნააზრევი ამ შეპასუხებას იწვევდა. კიდევ მეტი, მისთვის ისინი იყვნენ არა მარტო ღირსეული მეტოქეები, არამედ ღირსეული თანამოაზრენიც (4:40).

სერგი დანელიას გამორჩეულ ნიჭიერებასა და მეცნიერულ ღირსებაზე მეტყველებს ის, რომ მისი სახელი ბევრ თემასთან კავშირში პირველობს.

პირველი დოქტორი ფილოსოფიაში თბილისის უნივერსიტეტში დაცულ ქართველ მეცნიერთა შორის.

სერგი დანელია პირველი ქართველია, რომელმაც როგორც მეცნიერული გამოკვლევები, ასევე მაღალი დონის, დიდი მეცნიერული ღირებულების სახელმძღვანელოები შექმნა ბერძნული ფილოსოფიის ისტორიასა და მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

„იოანე პეტრიწის შემდეგ, - წერს პროფ. გ. თევზაძე, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას არ ჰყოლია მკვლევარი, რომელიც ასე მასშტაბურად იკვლევდეს ორიგინალში ბერძენ, ლათინურენოვან, ფრანგულ, ინგლისელ, გერმანელ და რუს მოაზროვნეთა შრომებს“ (3:20).

სერგი დანელიას ეკუთვნის ალ. გრიბოედოვისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფილოსოფიური ანალიზის პირველი ცდა.

ერთ-ერთი პირველთაგანია სერგი დანელია კლასიკური პედაგოგიური აზრის კვლევაშიც. საყურადღებოა მისი შრომა ნ. დობროლიუბოვის პედაგოგიური შეხედულებების შესახებ, ხოლო ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი“ ჯერ თარგმნა ივ. კვაჭაძესა და ერ. აბაშიძესთან ერთად, ხოლო შემდეგ სერიოზული გამოკვლევა გამოაქვეყნა „ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტემა“. სერგი დანელიას აზრით, არ იქნებოდა სწორი, რუსოს „ემილში“ მხოლოდ ვიწრო პედაგოგიური ტრექტატი დაგვეჩვენა, ვინაიდან აღზრდის პრობლემას რუსო უდგებოდა არა როგორც პროფესიული პედაგოგი, არამედ როგორც სოციალური რეფორმატორი, როგორც ფილოსოფოსი, რომელსაც სურს აღზრდა აქციოს საზოგადოების გარდასაქმნელ იარაღად.

წიგნი ორი თავისაგან შედგება. პირველ თავში - რუსოს ცხოვრება - არა მარტო ბიოგრაფიული ცნობებია მოცემული, არამედ ვრცლადაა გაანალიზებული რუსოს შეხედულებები, მრწამსი,

დამოკიდებულებები. „დიდი იყო რუსოს გავლენა შთამომავლობაზე, პოლიტიკა, მორალი, ხელოვნება, ფილოსოფია, პედაგოგიკა, - აი, ის სფეროები, სადაც რუსომ წარუშლელი კვალი დატოვა ევროპული საზოგადოების ისტორიაში. საფრანგეთის დიდი რევოლუცია რუსოს იდეების ღრმა გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. მხატვრულ ლიტერატურაში რუსომ დაამარცხა კლასიციზმი და გზა გაუკაფა რომანტიზმს. რუსომ ენერგიული იერიში მიიტანა რაციონალიზმის წინააღმდეგ, რათა დაეცვა გრძნობის უფლებები და გზა გაეკაფა XIX საუკუნის პირველი მესამედის კლასიკური ფილოსოფიისათვის“, - დაასკვნის ბოლოს ს. დანელია.

წიგნის მეორე თავი ხუთი პარაგრაფისაგან შედგება:

1. ბუნება და კულტურა რუსოს მოძღვრებაში;
2. აისტორიზმი, როგორც რეფორმატორული მისწრაფების შედეგი რუსოს პედაგოგიკაში;
3. აღზრდის მთავარი პერიოდები;
4. ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა;
5. ქალის აღზრდა.

თვით პარაგრაფების ჩამოთვლაც ნათლად წარმოაჩენს, რამდენად ღრმად არის შესწავლილი და განხილული რუსოს შეხედულებანი, რასაც ს. დანელია „პედაგოგიურ სისტემას“ უწოდებს.

რუსო არის მე-18 საუკუნის ჰუმანისტი, ხოლო მისი პედაგოგიური თეორია, აღზრდის შესახებ არის ჰუმანისტური თეორია, მაგრამ რუსო მისი წინამორბედებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არ კმაყოფილდება აღზრდის განთავისუფლებით ეკლესიის ავტორიტეტისაგან, არამედ მოითხოვს, რომ „აღზრდა თავისუფალი იყოს საზოგადოებრივი ცხოვროების ისტორიულ პროცესში აღმოცენებული ყოველი სხვა დაწესებულების ავტორიტეტისაგან, რომელიც ადამიანის მიერ არის შექმნილი ხელოვნურად. ასეთი ხელოვნური ან ჭკუის მიერ შექმნილი დაწესებულებაა რუსოსთვის არა მარტო ეკლესია, არამედ სახელმწიფოც, და ამიტომ არ შეიძლება აღზრდის მიზნად სახელმწიფო იქნეს გამოცხადებულიო“ (2:398).

ს. დანელია სწორად და მართებულად აფასებს რუსოს დამოკიდებულებას როგორც სახელმწიფოსადმი და ხელოვნურად შექმნილი ინსტიტუტებისადმი, რაც ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების პროცესში შეიქმნებოდა, წერს, რომ „ადამიანის არსება რუსოსათვის ლოგიკურად ყოველი ისტორიულის გარეშე იმყოფება და ადამიანი, როგორც ასეთი არის მისთვის არა ისტორიის, არამედ ბუნების მოვლენა“ (1:50). და იქვე დასძენს, რომ ჰუმანიზმი რუსოს თეორიაში იღებს ნატურალიზმის სახეს, ხოლო რუსოს პედაგოგიური თეორია აისტორიზმის უკიდურეს რგოლად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ საბოლოოდ ს. დანელია დასკვნასაც მართებულად აკეთებს: ერთი რამ უდავოა: რუსოს აისტორიზმი კარგი იარაღი იყო მე-18 საუკუნის ფრანგული საზოგადოების წოდებრივი დანაწილების, ძველი რეჟიმის დესპოტიზმის, კათოლიციზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამაში იყო რუსოს პედაგოგიური სისტემის მთავარი ძალაც, მაგრამ რამდენადაც რუსოს პედაგოგიური თეორია ძლიერი იყო აღზრდის ძველი სჩისტემის უარყოფაში, იმდენად სუსტი აღმოჩნდა იგი აღზრდის ახალი სისტემის პოზიტიური შენებისათვის.

რუსოს აზრით, წერს დანელია, საჭიროა ბუნება აღდგენილ იქნეს მის უფლებებში: საჭიროა, რომ ადამიანი, რომელიც ბუნებისაგან ბუნდნიერებისათვის არის გაჩენილი, არ იქნეს საზოგადოების მიერ დაჩაგრული და გაუბედურებული. ამიტომ ემილი ქლაჟიდან სოფელში მიჰყავთ ინდივიდუალური ფორმით აღსაზრდელად.

რუსოს პედაგოგიურ სისტემაში ს. დანელიას მიერ განხილულია აღზრდის ოთხი პერიოდი, რაზედაც შენიშნავს, რომ „მექანიკურად აპობს აღზრდის ჰასაკს ისეთ ნაწილებზე, რომლებსაც არა აქვთ ურთიერთშორის შინაგანი კავშირი (1:58). ბავშვზე ზრუნვა იწყება დაბადებიდან და გრძელდება სრულწლოვანებამდე, ანუ მანამ სანამ საკუთარ ოჯახს არ შექმნის. აღზრდის ოთხივე პერიოდში რუსოს მიერ არჩეულია ინდივიდუალური აღზრდა.

აფასებს რა რუსოს პედაგოგიურ სისტემას, ს. დანელია წერს, რომ აღზრდის ინდივიდუალური ხასიათი განპირობებულია ბუნებრივი აღზრდის კანონიდან გამომდინარე. ასე ხდება ყველგან ბიოლოგიურ სამყაროში, სადაც ყოველი ცხოველი თვითონ ზრდის თავის შვილს. ბავშვის აღზრდელიც პირველ წლებში უნდა იყოს დედა, შემდეგ კი მამა, მაგრამ ამ ბუნებრივ კანონს,



რომელიც საერთო აქვს ყველა ხალხსა ჟა ეპოქას, არღვევს მხოლოდ განათლებული საზოგადოება იმის გამო, რომ დაშორდა ბუნებას და გაირყვნა, ნასწავლმა კაცმა დაარღვია ბუნების წესები.

ს. დანელიას უყურადღებოდ არ რჩება განათლებულ საზოგადოებაში გაძიძავების წესისადმი რუსოს უარყოფითი დამოკიდებულება და აღნიშნავს, რომ ასეთი მოვლენა ხშირი იყო არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ კავკასიის მთიელთა შორის და აგრეთვე საქართველოშიც. „სამწუხაროდ, საქართველოში ამ ჩვეულებას არამც თუ არ ჰყოლია ლიტერატურული მოწინააღმდეგე, არამედ ზოგიერთი ჩვენი მწერალი სერიოზულად იცავდა მას და ამტკიცებდა, რომ თავადიშვილის ბავშვის აღზრდა ყმების მიერ დემოკრატიული წესი იყო" (1:55), - წერს ს. დანელია.

რაც შეეხება ქალის აღზრდას, ს. დანელიას მიაჩნია, რომ რუსოს „ემილი არ არის ჩვენი ეპოქისათვის დამაკმაყოფილებელი". და ბოლოს დაასკვნის, რომ რუსოს პედაგოგიური იდეების გავლენა დიდი იყო, როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

უსიხარულო ცხოვრება, ხელისუფლების ინტრიგები, ბარიერები სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებისას და პოლიტიკური ნიშნით ფორმულირებული დაუმსახურებელი კრიტიკა იყო სერგი დანელიას მოღვაწეობის თანმდევი. ორჯერ იყო იგი საბჭოთა ხელისუფლების პატიმარი (5:70), ხოლო 1927 წელს, როგორც ხელისუფლებისათვის არაკეთილსაიმედო, უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და მხოლოდ 3 წლის შემდეგ აღადგინეს. კოსმოპოლიტიზმის ბრალდებით 1949 წ. გაათავისუფლეს კათედრის გამგის მოვალეობისაგან და მხოლოდ 1953 წელს აღადგინეს აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში.

დიდია ს. დანელიას დამსახურება ასპირანტების აღზრდაში, სამწუხაროდ არა ფილოსოფიაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - უნივერსიტეტში ჯერ ფილოსოფიის განყოფილება დაიხურა და როცა აღდგა, იგი რუსული ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ს. დანელია იყო თბილისის უნივერსიტეტში 1918 წლის 26 მაისს დაარსებული პირველი ქართული ფილოსოფიური საზოგადოების პირველი შემადგენლობის წევრი, შემდეგ საბჭოს წევრი დ. უზნაძესთან, შ. ნუცუბიძესა და გ. ქიქოძესთან ერთად.

1934 წელს ს. დანელია აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად ლიტერატურული კრიტიკის სექციაში, 1936 წელს უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრად, 1944 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სერგი დანელია 1963 წლის 20 მარტს 75 წლის ასაკში გარდაიცვალა საბრძოლო პოსტზე, მოკვდა იქ, სადაც მისი ნამდვილი ადგილი იყო, კათედრაზე ოპონენტობის დროს. თავის უკანასკნელ სიტყვებში მან ახალგაზრდა ქართველი მკვლევარებისაგან უპირველეს ყოვლისა ქართულად დაბეჭდილი შრომების აუცილებელი მოხსენიება მოითხოვა. ამ დროს გულმა შეუტია და ს. დანელიამ ჩვეული ვაჟკაცური შემართებით ბოდიში მოიხადა, მიშველებაზეც უარი განაცხადა, კათედრიდან ჩამოსული კარებამდე მივიდა და იქ შეეგება სიკვდილს" (4:44).

სერგი დანელია მრავალგზის წერდა ნაკლოვანებებისა და სამომავლოდ საკეთებელი საქმეების შესახებ. იგი გამოეხმაურა ფრანგი კუტანის არასწორ, ზერელე შეფასებებს ქართველი ხალხის შესახებ: „ჩვენი მასულდგმულელებელი რწმენა ამოუწურავია, თქვენი აზრით, ეს ნაკლია, ჩემი აზრით კი დიდი ძალაა. ჩვენ გვსურს უპირობოდ... ძალუმად, ვნებით და მივალწევთ კიდევ ჩვენი ლტოლვის საგანს: გავხდებით ის, ვინც გვინდა ვიყოთ, რადგან ჩვენშია სურვილის... უზარზმარი ენერგია, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მიღწევებს" (4:16). ასე სჯეროდა სერგი დანელიას და ეს განსაკუთრებით ღირებულია გზა-გასაყარზე მდგომი დღევანდელი საქართველოსათვის, რადგან თანამედროვე პრობლემების დამუშავებისათვის მნიშვნელოვანი სწორედ ორიგინალური და ღრმა მოაზროვნეთა მემკვიდრეობაა. მათ რიგში კი უდავოდ დგას სერგი დანელია.



## ლიტერატურა

1. ს. დანელია, ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტემა, თბილისი, 1947 წ.
2. ს. დანელია, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, 1978 წ.
3. ბ. ურიდია, სერგი დანელია, თბილისი, 1990 წ.
4. ედ. კოდუა, სერგი დანელია, თბილისი, 1989 წ.
5. სერგი დანელია - 120, რედაქტორი ი. კეკელია, თბილისი, 2008 წ.

## რეზიუმე

XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსს და პედაგოგს სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდა. ნაშრომში განხილულია მისი პედაგოგიური შეხედულებანი და დამსახურება ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

**Nino Gelenidze - Associate Professor Department of Education ATSU**

**Sergi Danelia - Philosopher and Educator**

**Resume**

This year we celebrate 125 years anniversary of Sergi Danelia, prominent philosophos and educator of XX century. The paper reviews his - educational views and his contribution to the development of pedagogical thought in Georgia.

**Нино Геленидзе – ГУАЦ, Департамент педагогики, Ассоциированный профессор**

**Серги Дanelия - философ и педагог**

**Резюме**

Выдающимся философу и педагогу XX века Серги Дanelия исполнилось 125 лет со дня рождения. В работе рассматриваются его педагогические взгляды и его вклад в развитие истории грузинской педагогической науки.

რობერტ გოლეთიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

### კ. კაპანელის „სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი“, გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ გარემოთა როლის ღირებულებათა შესახებ

კონსტანტინე კაპანელის „ორგანოტროპიზმის“ თეორია განსაკუთრებულად საყურადღებოა მეოცე საუკუნის ოციანი წლების საქართველოში, რაც გამოიხატება მის ორიგინალობასა, თეორიულ სიღრმესა თუ პრობლემათა გააზრებაში ევროპული კრიტერიუმების გამოყენებაში.

კ. კაპანელის ორგანოტროპიული თეორიის ზოგიერთი პუნქტი შეიძლება არ მოგვეჩვენოს სარწმუნოდ, დასაბუთებულად და არ იყოს ბოლომდე მისაღები. მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს მისი კონცეფციის საერთო მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს კ. კაპანელი -თვალსაჩინო ფილოსოფოსი, სოციოლოგი, მწერალი და კრიტიკოსი, ანტიმარქსისტად, კოსმოპოლიტად შერაცხეს, რის გამოც მისი სახელი ათწლეულობით მიეცა შეგნებულ დავიწყებას და მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოხერხდა მისი ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნაწარმოებების ხელახალი გამოცემა. მკვლევარები კი გაბედულად ალაპარაკდნენ მისი დამსახურების შესახებ. მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდში მთელი რიგი გამოკვლევებისა მიემდვნა კ. კაპანელის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებების ანალიზს, გაირკვა ამ შეხედულებათა კავშირი დასავლეთის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ აზროვნებასთან, დაადგინა მისი მსოფმხედველობის მნიშვნელობა გამოყენებითი აქსპექტით.

კ. კაპანელი არაერთგზის უსვამს ხაზს თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისის სისტემურ და ნოვატორულ ხასიათს. ორგანოტროპიზმი, როგორც იდეოლოგიის და აზროვნების სისტემა პირველად ჩვენ შემოგვაქვს ლიტერატურაში – წერდა იგი 1923 წელს გამოცემულ თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „სული და იდეა“, ამასთან მიუთითებდა მის მიერ შემოთავაზებული ფილოსოფიური კონცეფციის შინაარსობრივ სიახლეზე არა მხოლოდ ქართულ ფილოსოფიასთან მიმართებით.

მისი სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი ემყარება და ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ფილოსოფიური ორგანოტროპიზმიდან, რომლის ამოსავალ პრინციპებსაც ემყარება, მათგან უმთავრესია: ა) სამყაროს მოვლენების, პროცესების, ისტორიული თანამედროვე ფაქტების უნივერსალური ურთიერთკავშირის და ურთიერთშემოქმედების პრინციპი; ბ) საყოველთაო მოძრაობის და ცვალებადობის პრინციპი; გ) რელატივიზმის ფარდობითობის პრინციპი და ბიოლოგიზმის პრინციპი.

ფილოსოფიური ორგანოტროპიზმის ყველა პრინციპი კ. კაპანელმა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განავრცო, რითაც საფუძველი ჩაეყარა თავის სოციოლოგიურ ორგანოტროპიზმს.

მისი მტკიცებით ყველაფერი იცვლება, იცვლებიან ადამიანებიც, იცვლება მათი სული, განცდები, საყოფაცხოვრებო ნორმები. გამომდინარე აქედან არც უცვლელი მარადიული აზრები და ღირებულებანი არსებობს. „საზოგადოებაშიც, ისევე როგორც მთელ სამყაროში ყველაფერი იცვლება. ამასთან ყველაფერი ტროპიული შეფარდებულია კუთხურ გარემო პირობებთან, მათ ბაზაზე ჩამოყალიბებულ ბიოლოგიურ საჭიროებებთან. „ჩვენი მსოფლმხედველობა კუთხური ტერიტორიული და ტროპიულია. ჩვენი მომავალი პრინციპები, ჩვენი მოკვეთილება და სტილი – ყველაფერი შეფარდებულია იმ მდგომარეობასთან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით“ – აღინიშნა 1989 წელს გამოცემულ „ფილოსოფიურ შრომებში“. საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია არსისა და მდგომარეობის მცნებების საზოგადოებისადმი მიყენება. მდგომარეობაში იგულისხმება არსებობის ყოველგვარი ანტურაჟი – მიწა, წყალი, ჰაერი, კლიმატური თავისებურებებით, გეოლოგიური ფორმების, მდგომარეობის, მინერალების, მცენარეების და ცხოველების სამყარო - მიუთითებდა კ. კაპანელი 1925 წელს გამოცემულ ნაშრომში „ორგანოტროპიზმი“.

აქვე დასძენს , რომ მდგომარეობის დიდმნიშვნელოვანი კომპონენტი გეოგრაფიული, კლიმატური, ტემპერატურული, გეოლოგიური და სხვა ბუნებრივი ფაქტორები თავის დაღს ასმევენ

ადამიანის ფიზიოლოგიურ ორგანიზაციასაც, იწვევენ მისი სხეულის შეცვლას სრულყოფის მიმართულებით, რათა მან უკეთ უპასუხოს მოცემულ და ცვალებად პირობებს.

ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, გეოლოგიური, რელიეფური, ატმოსფერული, ტემპერატურული, „კუთხურ-ტროპილი“ თავისებურებანი მიმართულებას აძლევენ ადამიანის შრომით საქმიანობას, განაპირობებენ მათ პროფესიულ ორიენტაციას და დახელოვნებას, ისინი გვაძულებენ ვეძებოთ და მივაგნოთ ბუნების გარდაქმნის ხერხებს, განვავითაროთ უნარმიდრეკილებანი, სულ უფრო ღრმად შევიცნოთ გარემომცველი საგნებისა და მოვლენების თავისებურებანი და კანონზომიერებანი, რათა დავიკმაყოფილოთ საარსებო საჭიროებანი და მოთხოვნილებები.

გეოგრაფიული გარემო, ადგილობრივი ტერიტორიული პირობები, ადგილმდებარეობა მძლავრ ბიძგს აძლევენ ადამიანთა სულიერი სამყაროს განვითარებას, გამოცდილების დაგროვებას და განზოგადებას.

ადამიანური ყოფიერების, პრაქტიკული საქმიანობის, მთელი კუტურის, შემოქმედებითი მოღვაწეობის, ნებისყოფის, ისევე როგორც ხალხის ფსიქოლოგიის, ეროვნული სულის, მორალური და ესთეტიური იდეალების ახსნა შეუძლებელი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ობიექტურად არსებულ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იქმნებიან და იცვლებიან და რომლის ერთ-ერთ ძირითად და განმსაზღვრელ კომპონენტს გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს. გეოგრაფიული გარემოებების უდიდესი მნიშვნელობა გამოხატულია კ. კაპანელის დებულებით: „სხვადასხვა მიწა-წყალი სხვადასხვა ფლორითა და ფაუნით ათავისუფლებდა ყოველი ტომის ფსიქოლოგიას, ყოველი ხალხის სულსა და ტემპერამენტს, ნებისყოფისა და აზროვნების მიმართულებას“. (1, გვ.53)

თუ ერთმანეთს ემსგავსებიან ადამიანთა გრძნობები, იდეები, ჩვევები, თვით ცნობებიც კი და ა.შ. – ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ყოველ განზოგადებას საფუძვლად უდევს მსგავსი მდგომარეობა კუთხეთა შორის, მათი საერთო ნიშნები, ადამიანთა საჭიროებანი და ინტერესები. „მცნებები და იდეები, გრძნობები და ზრახვები იმდენად იძენენ ზოგად დახასიათებას, რაოდენაც ერთმანეთს ემსგავსებიან სხვადასხვა კუთხეთა ინტერესები და ჩვეულებათა“ (1, გვ.53). გეოგრაფიულ მდგომარეობას კ. კაპანელი ხალხის სულისა და ტემპერამენტის თერძს ადარებს. გარემოება ძერწავს ხალხის კულტურას, ხოლო განსხვავებული გარემოება განსხვავებულ კულტურას „სამყარო წარმოადგენს დიდ ლაბორატორიას, რომლის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საშუალებებით მზადდება, იქმნება სხვადასხვაობა ორგანულ-მატერიალურ და სულიერ-იდეური ცხოვრებისა“ (3, გვ.32).

აუცილებელი კავშირი ადამიანთა ცხოვრების გეოგრაფიულ-ტროპიულ პირობებსა და მათს მატერიალურ და სულიერ მოღვაწეობას შორის მყარდება არა უშუალოდ და პირდაპირ, არამედ მათივე ბიოლოგიურ-ანატომიურ მექანიზმზე გავლენით და ამ მექანიზმის შემწეობით. რამდენადაც სამყაროს ყოველი სფერო ტროპიული და კუთხურია, ასევე ტროპიული და კუთხურია მათზე დაშვებული ბიოლოგიური მოთხოვნილებანი, შესაბამისად ადამიანის სული და მისი გამოვლენის ფორმები თვით ადამიანის სული სხვა არაფერია, თუ არა რეფლექსი, რომელიც ორგანიზმში გარკვეულ სახეს იღებს კუთხური, ტროპიული საჭიროების შესაბამად. ადამიანის აზროვნება აღმოცენდება ბიოლოგიურ საფუძველზე, როგორც შედეგი ნერვიული სისტემის მოქმედებისა, ხოლო იდეები ისეთივე ორგანული წარმონაქმნებია, როგორც სხვა ყველაფერი გარემომცველ სამყაროში, „ცხოვრება ორგანულ-ფსიქიკურ ჩვევათა კომპლექსურ და ინტელექტის უმაღლესი ფორმა ისეთივე პროდუქტია, ბიოსერულ ურთიერთობათა, როგორც შაქარი და ქინაქინი“ (3, გვ.32) – აღნიშნავდა იგი.

მაშასადამე, ადამიანის ყოფიერების, მისი სულის აზროვნების, კულტურის საფუძველში ძვეს გარემოსთან მისი ორგანულ-ბიოლოგიური შეგუების, არსებობის შენარჩუნების მოთხოვნილებანი.

ბიოლოგიური ფაქტორი გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად საზოგადოების და ადამიანის არსებობა-ცვალებადობის განმსაზღვრელი მდგომარეობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია, გარემოების, ვითარების ცვალებადობა თავის თავში მოიცავს ორგანიზმის ბიოლოგიურ ცვალებადობასაც, რაც თავის მხრივ ადამიანთა აზრების, გრძნობების, მისი სულის შეცვლის წყაროდ იქცევა. გარემოს გავლენა ასახვას პოვებს ჯერ ორგანიზმში, ხოლო მისი შემწეობით ადამიანის

აზროვნებაში, მთელ მის სულიერ სამყაროში. ტროპიულ ნიადაგზე წარმოშობილი ბიოლოგიური რეფლექსები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერების მარეგულირებელი ძალის ფუნქციებს ასრულებენ. ისინი ზემოქმედების მიღმა არ ტოვებენ ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის ისეთ სფეროებსაც, როგორცაა ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია, ზნეობა და სხვა. კუთხოვრივი და ბიოსფერული ორგანიზაცია თავისებურად იხედება თითოეულ მათგანში, ჩვენი აზრით, თეორიები, იდეოლოგია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ისევე როგორც საქმიანობის ნებისმიერი სახეობა – მეურნეობა, ტექნიკა, მრეწველობა, ინდუსტრია და ა.შ. მხოლოდ ძალაა, რომელიც ესაჭიროება ადამიანებს თავიანთი ბიოლოგიური არსებობისათვის ბრძოლაში, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ადამიანებმა ყველაფერი უნდა შეაგუონ გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ პირობებს, რომლებიც ყოველთვის ტროპიულობით ხასიათდებიან და ფარდობითობის დამდას ასვამენ მთელ მათ მატერიალურ და სულიერ მოღვაწეობას, თვით ჭეშმარიტებასაც კი. კ. კაპანელის მიხედვით ის, რაც ერთგან და ერთ პირობებში სარწმუნოა და ჭეშმარიტი, მეორეგან განსხვავება გეო და ბიო გარემოში მცდარია და უკუსაგდება. თავისის თვალსაზრისის განსამტკიცებლად მას მოჰკავს პასკალის სიტყვები, რომ „აღპებს იქეთ რაც ჭეშმარიტებაა ის აღპებს აქეთ სიცრუეა“. იგი მოურიდებლად აკრიტიკებს ავტორიტეტს – კანტი იქნება ეს, ჰუსერლი, კოპენი, ბოლცანო, შუპე თუ მათი ქართველი მიმდევრები, რომლებსაც ლოგიკა თავისი სილოგიზმებით ან ზნეობრივი იმპერატივები ზედროული და უპირობო ჭეშმარიტების დონემდე აჰყავთ. კ. კაპანელის შეხედულებით სოციოლოგია ბიოლოგიის დახმარებით უარყოფს ყოველგვარი „მოცულობებისა“ და „უნივერსალობის“ პრობლემას. იგი აცხადებს, რომ მისი კონცეფცია „სოციოლოგიური რელატივიზმია“ და მიემართება მატერიალიზმისა და ორგანოტროპიზმისაკენ.

გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც საზოგადოების და მისი სულიერი სამყაროს ტროპიულ საფუძვლებს შეადგენენ, კ. კაპანელი მდგომარეობის მესამე კომპონენტად ეკონომიკურ, სოციალურ ფაქტორებს ასახელებს. მეტიც, საზოგადოების განვითარების სხვა ფაქტორთა შორის ამ მხრივ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ზოგჯერ განმსაზღვრელ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს. ეს ჩანს მისი დებულებებიდან „არსის არსებობა ისაზღვრება მდგომარეობით, მდგომარეობა, გეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური – ან სპობს, ან საშუალებას აძლევს ბუნების ფორმებს ვითარებისა და გაშლისათვის, ხოლო ადამიანის ურთიერთობა – ორგანიზაცია საზოგადოებრივი ხასიათისა გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მდგომარეობას ხშირად ცვლის თავის შემოქმედებით და ეკონომიური ფაქტორებით“(1,გვ.169) და შემდეგ, „სოციალური ურთიერთობა, დამყარებული ეკონომიკურ ინდუსტრიულ საჭიროებაზე გაცილებით უფრო აქტიურად მოქმედებს ადამიანებზე, მათ ფსიქო-იდეოლოგიურ ფორმებზე, ვიდრე გეოლოგიურ-გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პირობები“(იქვე).

ეკონომიკური ფაქტორიც ისევე ტროპიული, კუთხოვრივი, ფარდობითია, როგორც გეოგრაფიული და ბიოლოგიური ფაქტორები. საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი პროგრესი, ისევე, ხოლო ზოგჯერ უფრო მეტად არის დამოკიდებული ეკონომიკურ ცვლილებებზე, ვიდრე ვითარებათა ცვლაზე ბუნებრივ-გეოგრაფიულ და ბიოლოგიურ გარემოში.

საბოლოოდ ერთად აღებული, გეოგრაფიული, ბიოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები, კ. კაპანელის თვალსაზრისით „მდგომარეობის“ კატეგორიით აღინიშნება, ამ ზოგად კატეგორიაში ერთიანდება. მდგომარეობით განისაზღვრება საზოგადოების სულიერი იერ-სახე, ცალკეული ადამიანების და მათი სოციალური ჯგუფების, ხალხების, ერების სული, იდეები, ჩვევები, მიზანდასახულობანი.

ყურადღებას იმსახურებს კაპანელის კონცეფციის მარქსისტულ ყაიდაზე ინტერპრეტირება, რომელიც, როგორც ჩანს, განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ მის თხზულებებში ოცინი წლების შუა პერიოდიდან ხშირად ვხვდებით მარქსისტული თეორიის მაღალ შეფასებას, ამ დროისათვის სულ უფრო მძლავრობდა მარქსიზმის სახელმწიფო იდეოლოგიად დამკვიდრების ტენდენცია უნდა განსაზღვრონდა ბუნებრივია, კაპანელს ანგარიში უნდა გაეწია ამ ფაქტისათვის. მითუმეტეს იმის გამოც, რომ 1923 წელს გამოქვეყნებული შრომისათვის – „სული და იდეა“ კომუნისტურმა კრიტიკამ იგი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიად შერაცხა, მას „სასიკვდილოდ განწირული



ბურჟუაზიული კულტურის“ ზეგავლენაში მოქცევა, პროლეტარიატის ოპტიმისტური რწმენისა და რევოლუციური ბრძოლის პოზიციიდან განდგომა დასდო ბრალად (4,გვ.166) ამ უსაფუძვლო ბრალდებათა გასაბათილებლად კაპანელი იძულებული გახდა აშკარად გამოეხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება მარქსიზმისადმი, დაერწმუნებინა მისი თავგამოდებული კრიტიკოსები იმაში, რომ აბსოლიტურად არ ამოდრავებდა ანტიმარქსისტული ზრახვები, ეს მართლაც ასე იყო, რასაც მოწმობს გულწრფელად გამოთქმული მისი დებულებები: „აზროვნება სწორია და ჭეშმარიტი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეთანხმება პროლეტარული იდეოლოგიის ძირითად პრინციპებს, მარქსისტული ფილოსოფიის დიალექტიკურ მეთოდოლოგიას... სამყაროსა და არსებობის ჭეშმარიტი და სწორი გაგება არის მარქსიზმი – მარქსისტული სოციოლოგია“(1, გვ.207). „ჩვენი საუკუნე გარკვევით და კატეგორიულად ამბობს: აზროვნება უნდა ეწყობოდეს მარქსიზმის მიხედვით“ (იქვე) და სხვა.

სხვა საკითხია გამოიყენა თუ არა კაპანელმა მარქსიზმის პრინციპები საკუთარი ორგანოტროპიული თეორიის ასაგებად. სინამდვილეში მან თავისი კონცეფცია შეიმუშავა არა მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპებზე დაყრდნობით, არამედ პირიქით, მარქსიზმის სამყაროს და საზოგადოების ორგანოტროპიულ გაგებას მიუსადაგა. კერძოდ მან მარქსისტული სოციოლოგიიდან ღირებულად ჩათვალა იმ იდეების გამოყენება, რომლებიც მის საკუთარ მსოფლმხედველობას ამართლებდა და განამტკიცებდა. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება მარქსისტული სოციოლოგიის საფუძველმდებელ პრინციპს, წარმოების ეკონომიკური ფაქტორის განმსაზღვრელ როლს საზოგადოების ცხოვრებაში. კაპანელი ცდილობს ორგანოტროპიზმის თეორიის შევსებას ეკონომიკური ფაქტორის და მისი როლის თავისებური გაგებით.

იგი ცდილობს მარქსის ზოგადმსოფლმხედველობრივი და ეკონომიკურ– დეტერმინისტული თეორია საკუთარ ორგანოტროპიზმს, მის პრინციპებსა და მოთხოვნებს შეაგლოს, რაც ჩანს მისი დებულებიდან: „მარქსიზმი თავისთავად იდეოლოგიის და მდგომარეობის ურთიერთობის მოძღვრებაა, არ არის მარქსის და ენგელსის ნაწერებში არსად ისეთი ადგილი, რომელიც იდეოლოგიისა და მდგომარეობის ორგანოტროპიულ ურთიერთობას არ იღებდეს მთლად. ადამიანები წარმოებასთან ერთად იცვლიან იდეებს – ამბობს მარქსიზმი, აქედან იდეა არის წარმოების რეფლექსი და სული, რეფლექსების აქტიური დაჯგუფება მოქმედებისა და ბრძოლისათვის“(3, გვ.38).

კაპანელს მიაჩნია, რომ მისი ორგანოტროპიზმი, მარქსის თეორიის მსგავსად ადგენს ორგანული კავშირსა და ურთიერთქმედების არსებობას წარმოებასა და იდეოლოგიას, ეკონომიკურ და სულიერ ცვლილებებს შორის.

ამასთან საჭიროა ითქვას, რომ კ. კაპანელი სიტყვიერად მართლაც ცნობს ეკონომიკური ფაქტორის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის აქტიურ ზეგავლენას ადამიანთა იდეებზე, იდეოლოგიაზე, მიზნებზე და ა.შ. მის თხზულებაში „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები ორგანოტროპიზმში“ (1925წ.) აგრეთვე შემდგომ დროინდელ შრომებში ხშირად ვხვდებით ტერმინებს: „ეკონომიკური ფაქტორი“, „წარმოება“, „წარმოების ვითარება“, ინდუსტრიის ფორმები“, „შრომის წარმოების იარაღები“ და სხვა. აგრეთვე დებულებებს მათ როლზე ადამიანის ცხოვრებაში.

ყოველივე ამან კ. კაპანელის შეხედულებათა ზოგიერთ მკვლევარს საბაზი მისცა მტკიცებისათვის, რომ იგი დაუახლოვდა მარქსისტულ სოციოლოგიას (4,გვ.160), რომ იგი ცდილობს „მარქსიზმი გაიხადოს კვლევა–ძიების მეთოდოლოგიურ პრინციპად“(5,გვ.17), მაგრამ სინამდვილეში თვით ეკონომიკური ფაქტორის წარმოების, შრომის მისეულ გაგებას მხოლოდ სიტყვიერი მსგავსება თუ აქვს ეკონომიკური ფენომენის მარქსისტულ გაგებასთან.

კაპანელისათვის მატერიალური დოვლათის წარმოება, შრომის იარაღები, ეკონომიკა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საშუალებას, რომლის გარეშეც ადამიანები ვერ დაიკმაყოფილებენ თავიანთ ბიოლოგიურ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. ეკონომიკა განიხილება, როგორც სასიცოცხლო მოთხოვნილება ადამიანის და საერთოდ საზოგადოების არსებობის ერთ–ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა. ეკონომიკას მართლაც აქვს ეს ფუნქცია, რასაც მარქსიზმიც ცნობს, მაგრამ მას მატერიალური წარმოება არ დაჰყავს საარსებო საშუალებათა შექმნის აუცილებელ პირობაზე. მარქსიზმის მიხედვით მატერიალური დოვლათის წარმოება ამასთანავე

არის საზოგადოების ცვალებადობისა და განვითარების განმსაზღვრელი ძალა, როგორცაა მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა, ე.ი. საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი ისეთივეა მასზე აღმართული პოლიტიკური ზედნაშენი, ადამიანთა ფილოსოფიური, რელიგიური, ზნეობრივი, სამართლებრივი, მხატვრული და სხვა შეხედულებანი, საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, ისეთივე საზოგადოება საერთოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე არ ვიქნებით სწორი თუ ვერ დავინახავთ ძირეულ განსხვავებას ეკონომიკური ფაქტორის მარქსისტულ და ორგანოტროპიულ გაგებებს შორის.

კაპანელმა თავის ნაშრომში „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“ და სხვა ორგანოტროპიზის მსოფლმხედველობრივი თვალთკუთხით გაანალიზა ქართული ლიტერატურის შედეგები: შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ამავე სოციალური აზრის ანალიზის ფონზე გვიჩვენა მე-19 საუკუნის ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების – ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ა. წერეთლის ვ. ფშაველას და სხვათა შემოქმედების ღირებულება. მან დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ქართული ეროვნული სულის, მისი კულტურის დიდმნიშვნელოვანი გამოხატულება – ლიტერატურა, ქართული სოციალური, ტროპიული, კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის პროდუქტია, რომელიც თავის მხრივ ყოველთვის ქმედით უკუზეგავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის სოციალურ ყოფაზე, მის შეგნებაზე, ეროვნულ ცნობიერებაზე, ჩვევებსა და ტრადიციებზე.

ქართული ლიტერატურისა და სოციალური სინამდვილის ორგანოტროპიული კავშირის დასაბუთებისა და ჩვენების ნიადაგზე კაპანელმა საფუძველი ჩაუყარა ახალ დარგს – ლიტერატურის, ხელოვნების სოციოლოგიას საქართველოში.

და ბოლოს, საჭიროა ითქვას რამდენიმე სიტყვა თვით ტერმინ ორგანოტროპიზმის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ტერმინი „ორგანოტროპიზმი“ კაპანელმა შემოიღო სამეცნიერო სიტყვათა ხმარებაში. ტერმინის – „ორგანიზმის“ და „ტროპიზმის“ გაერთიანების ბაზაზე და მასში განსაკუთრებული შინაარსი იგულისხმება. იგი მიუთითებდა, რომ აზროვნების სისტემის მიმართ „არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში სიტყვა „ორგანოტროპიზმი ჯერ არავის უხმარია“ (1.გვ.180).

ტერმინი „ორგანოტროპიზმი „გამოხატავს აუცილებელ, უნივერსალურ, კორელაციურ კავშირს სამყაროს, საზოგადოების მოვლენებს შორის, რომლებიც არსებობენ, გარკვეულ თანაფარდობაში იმყოფებიან, იცვლებიან და გარდაიქმნებიან ერთმანეთთან მიმართების საფუძველზე. ამდენად ორგანოტროპიული ურთიერთობა მოვლენათა არსებობის წესია, რომლის მოქმედება გარდაუვალად ვლინდება როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სამყაროში.

## ლიტერატურა

1. კ. კაპანელი, სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, ორგანოტროპიზმი თბ. 1925 წ.
2. კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები. თბ. 1989 წ.
3. კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში თბ. 1996 წ.
4. ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან. XX ს. 10-30-იანი წლები. თბ.1986წ.
5. ე. კოდუა, კ. კაპანელის მსოფლმხედველობის საკითხისათვის. კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები, თბ. 1989წ.
6. ე. კოდუა, რედაქტორისაგან, კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკის სახეებში, თბ. 1996წ.

## რეზიუმე

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს კ. კაპანელი თვალსაჩინო ფილოსოფოსი, სოციოლოგი, მწერალი და კრიტიკოსი, ანტიმარქსისტულად, კოსმოპოლიტად შერაცხეს, რის გამოც მისი სახელი ათასწლეულობით მიეცა შეგნებულ დავიწყებას და მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს 10-15 წლის მანძილზე მოხერხდა მისი ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნაწარმოებების ხელახალი გამოცემა.

მისი მტკიცებით ყველაფერი იცვლება, იცვლებიან ადამიანებიც, იცვლება მათი სული, განცდები, საყოფაცხოვრებო ნორმები. გამომდინარე აქედან არც უცვლელი მარადიული აზრები და ღირებულებანი არსებობს. ბიოლოგიური ფაქტორი გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად საზოგადოების ადამიანის არსებობა-ცვალებალობის განმსაზღვრელი მდგომარეობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.

**Robert Goletiani** - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of Education, Associated Professor

### **K. Kapaneli's "Sociological Organtropism", about the value of Geographical and Biological Environments**

#### **Resume**

It should be noted, that during the communist regime K.Kapaneli, one of the prominent philosophers, sociologists, writers and critics was nominated as an antimarksisist and cosmopolit. Due to this fact his name was forgotten during the decades and only at the end of the 20 th century it became possible to publish his works in philosophy and sociology.

According to his statements, nothing is permanent. Humans also change. Their souls, feelings and living standard also change. Judging from this eternal ideas and values are not everlasting.

Biological factor with geographical one, society and existence of humans – are the important elements of the determination of these changes.

**სალომე ლომთაძე** – განათლების და მეცნიერების სამინისტროს ფსიქოლოგიური ცენტრის ფსიქოლოგი, მაგისტრი

**იაგორ ბალანჩივაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### რთული ქცევის მოზარდები და პედაგოგების მუშაობის სირთულეები ჩვენს რეალობაში

მოზარდობის ასაკი ერთ-ერთი კრიზისული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. მოზარდის ირგვლივ საუკეთესო სოციალური გარემოს არსებობის მიუხედავად შესაძლებელია აღენიშნებოდეს აგრესიული ქცევა. ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ჰორმონალური ცვლილებები, გავლენას ახდენს მოზარდის ნერვიულ სისტემაზე და შესაბამისად ემოციებზე. კონკრეტულ აზროვნებას ანაცვლებს ლოგიკური აზროვნება, შესაბამისად უჩნდება კრიტიკული შეხედულება საყაროს მიმართ, მის ირგვლივ არსებული გარემოს მიმართ, ამას ემატება თვითდამკვიდრების, საკუთარი "მე" – ს ინდივიდუალიზმის, გარემოსგან აღიარების მძაფრი სურვილი, რაც რა თქმა უნდა რთულ განცდებთანაა დაკავშირებული. საერთოდ მოზარდობის ასაკისათვის ნეგატივიზმი ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი.

ბიოლოგიურ და ფსიქიკურ დონეზე მიმართულ ამ რთულ პროცესებს სამწუხაროდ ჩვენი რეალობა ვერ უქმნის შესაბამის გარემოს. მძიმე სოციალური ფონის გამო გახშირდა მიტოვებული ბავშვების რაოდენობა, რომელთა მეურვეობა ახლო ან შორეულ ნათესავებს ევალებათ, ან ხდება მათი გადამისამართება სკოლა-პანსიონებსა თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. მშობლების მზრუნველობასა და სიტბოს მოკლებული მოზარდები მართლსაუბრად აღიქვამენ თავს, ამას ემატება საზოგადოებაში გავრცელებული აგრესიული ფონი, ტელევიზიისა და კომპიუტერული თამაშების ნეგატიური გავლენა, სადაც დიდია საფრთხე მოზარდი გახდეს აგრესიაზე დამოკიდებული და მისი ქცევის ერთადერთი მოტივი იყოს არა არაჰუმანური გარემოს ან დაბალი თვითშეფასების მიმართ პროტესტი, არამედ აგრესიული ქცევის განხორციელების ისეთივე მოთხოვნილება, როგორც ნარკოდამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანები, ვისაც ყოველდღიური შეხება აქვთ ასეთ მოზარდებთან – კერძოდ კი პედაგოგები, რთული ამოცანის წინეშე დგანან. რამდენად რჩებიან ისინი პროფესიული ეთიკის ფარგლებში როცა ასეთი რთული ქცევის აღსაზრდელებისაგან ხშირია ბილწსიტყვაობის შემთხვევები მათ მიმართ, ან ხორციელდება კი ანალოგიური ქცევა ყველა პედაგოგის მიმართ და თუ არა, მაშინ რა არის გამოწვევი მიზეზი? რამდენად მზადაა პედაგოგი მოახდინოს სწორი რეაგირება, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელობით, ქცევის შეცვლაზე ორიენტირებულ მიდგომას, რა სირთულეების წინაშე დგას თავად პედაგოგი ჩვენს რეალობაში?!

ამ პრობლემის ანალიზისათვის განვიხილავ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც ეხება სამტრედიის #15 საჯარო სკოლა-პანსიონის მოზარდს – გ.ნ. 15 წლის. მოზარდი 6 წლის ასაკიდან იზრდებოდა სხვადასხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ოჯახურ გარემოში ყოფნის პერიოდში, უმეტესად ბებია უწევდა მზრუნველობას. ოჯახში ხშირი იყო მშობლებს შორის კონფლიქტი. მამა ახორციელებდა ფიზიკურ ძალადობას დედაზე, რის გამოც მშობლები დაშორდნენ. დედის მხრიდან მიღებული ინფორმაციით, მატერიალური პირობების გამო იგი იძულებული გახდა ბავშვი მიეზარებინა საოჯახო ტიპის სახლს. ამის შემდეგ დედამ გარკვეული პერიოდით ბავშვი დააბრუნა სახლში, მაგრამ მალევე განაცხადა რომ არ შეეძლო მისი აღზრდა, რადგან თვლიდა რომ თავიდანვე იყო რთული ქცევის ბავშვი, აყენებდა დედას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცყოფას, რის გამოც კვლავ ჩააბარა საოჯახო ტიპის სახლს. მას შემდეგ დედა თითქმის აღარ ნახულობდა ბავშვს. ასეთივე პასიური დამოკიდებულება იყო ნათესავების მხრიდან. მიუხედავად საოჯახო ტიპის სახლის ფსიქოლოგების ჩარევისა და რეკომენდაციებისა, რომელიც გულისხმობდა ბავშვის დედასთან დაბრუნებას, საპასუხოდ უარი მიიღეს. ფსიქოლოგები კი თვლიდნენ რომ რთული ქცევის მოწესრიგების აუცილებელი პირობა იყო დედასთან ხშირი ურთიერთობა. ბავშვი ხშირად ემუქრებოდა დედას, რომ ის აუცილებლად გადაუხდოდა სამაგიეროს, იმის გამო რომ საოჯახო ტიპის სახლს ჩააბარა.



გ. ნ. რთული ქცევა ვლინდება: კონფლიქტური ურთიერთობებში თანატოლებთან, ცინიზმი, ძალადობა, ლიდერობის მოთხოვნილება, ნივთების დაზიანება, ბილწისტიყვაობა უფროსების მიმართ, ხშირად არის ბულინგის გამტარებელი. სამტრედიის სკოლაში ჩარიცხვამდე ჩაუტარდა მკურნალობა ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც დაუდგინდა "ქცევისა და ემოციური სხვა შერეული აშლილობანი". ფსიქოზური სიმპტომები არ აღენიშნებოდა. მტრული დამოკიდებულება ქალების მიმართ რომელიც განპირობებულია დედასთან მათი გაიგივებით.

გამოვყოთ გ. ნ.-ს ინდივიდუალური და ოჯახური დამცავი და რისკ ფაქტორები:

- ინდივიდუალური რისკფაქტორია: გენეტიკური ფაქტორი (მამა იყო მოძალადე), თანატოლებთან ცუდი ურთიერთობა, სტრესისა და სიმძნელების დაძლევის არასწორი სტრატეგია
- ინდივიდუალური დამცავი ფაქტორები: დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა, განსაკუთრებული ინტერესი (მუსიკა), ოპტიმიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ჯანმრთელობა ოჯახური რისკფაქტორი:
- ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის შემსწრე, სტრესით სავსე ცხოვრება (განიცდიდა სხვადასხვა საოჯახო ტიპის სახლებში გადასვლას)
- ოჯახური დამცავი ფაქტორი: ბებია (მამის მხრიდან) გამოთქვა მეურვეობის სურვილი.

ქცევითი აშლილობებს განსხვავებული თეორიებით, სხვადასხვა ინტერპრეტაციებით ხსნიან. გ.ნ.-ს შემთხვევაში, ვხდებით გენეტიკური ფაქტორს (ბიოლოგიური თეორია, მამა იყო მოძალადე) როგორც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, რადგან აგრესიის მიმართ პრედისპოზიცია მემკვიდრეობითი ხასიათისაა, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქცევითი აშლილობის აღმოცენებაში. აღნიშნული მოზარდის შემთხვევაში ხვდებით მიჯაჭვულობის პრობლემას (მიჯაჭვულობის თეორია ჯ.ბოულბი, დედამ უარი თქვა ბავშვთან სიახლოვეზე), ასევე სუპერ-ეგოს დეფიციტი პრობლემას (სუპერ-ეგოს დეფიციტის თეორია, ა. აიხორნი), რომლის მიხედვით "ანტისოციალური ქცევის პროვოცირებას ახდენენ აბუჩად ამგდები, უგუვებელმყოფელი ან ყოვლად შემწყნარებელი მშობლები. უგულვებელყოფა ხდება მიზეზი მშობლების აგრესიის სტილის გაშინაგების" (თ. გაგოშიძე გვ.291), რაც ვლინდება გ.ნ.-ს შემთხვევაში.

მიჯაჭვულობის თეორიის მიხედვით მშობლების საიხლოვე ბავშვთან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით კი დედის სიახლოვე. მიჯაჭვულობის ბიოლოგიური ფუნქცია მდგომარეობს უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, რომელიც გარემოსგან ემუქრება ბავშვს. ბავშვები რომლებიც სიცოცხლის პირვე თვეებში გარკვეულ პერიოდით შორდებიან მშობლებს ნაკლებად უვითარდებათ უსაფრთხო მიჯაჭვულობა, მოგვიანებით არ გააჩნიათ შინაგანი ცხოვრებისეული ზნეობრივი მოდულები სოციალური ურთიერთობების წარსამართად. ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვები მტრულ განწყობას სხვებს მიაწერენ და სამაგიერო აგრესიით პასუხობენ. ასეთ ბავშვებს არ აქვთ სოციალური პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტისა და განხორციელების ჩვევები, ამიტომ ისინი აგრესიას იყენებენ.

ესე იგი გ.ნ.-ს შემთხვევაში გამოვყავით შემდეგი რთული ქცევის გამომწვევი მიზეზები: გენეტიკა, სუპერ-ეგოს დეფიციტი და არასაიმედო მიჯაჭვულობა.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს რომ გ.ნ.-ს შემთხვევაში რთული ამოცანის წინაშე დგას პედაგოგი, რა რესურსია პედაგოგის მხრიდან საჭირო, როგორ უნდა შეხვდეს ის მსგავს სირთულეებს, რამდენად მზად არიან მის დასაძლევად?

სასწავლო პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პედაგოგის საქმიანობაში არის მისი ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობს მოსწავლეების მხრიდან. პედაგოგები და ფსიქოლოგები ავტორიტეტს მიიჩნევენ განსაკუთრებულ რესურსად სასწავლო პროცესში. ი. ო. პიროგოვი თვლის, რომ ურთიერთობა პედაგოგსა და მოსწავლეს შორის უნდა იყოს ნდობასა პატივისცემაზე დამყარებული და არა შიშსა და დასჯაზე. მოსწავლემ უნდა დაინახოს ზნეობის მაგალითი და თუ მათ არ დავანახებთ ზნეობის იდეალს ვთანხმდებით, რომ ისინი ვერ იქნებიან უფროსებზე უკეთესები ამ კუთხით. ავტორიტეტული პედაგოგი არასოდეს გამოხატავს უდიერებას. რა თვისებებია საჭირო პედაგოგისათვის ავტორიტეტის შესაქმნელად? \_ პირველ რიგში ეს არის – სიყვარული ბავშვების მიმართ, სიყვარული საკუთარი პროფესიის მიმართ, ნდობა და პატივისცემა. ა.ს. მაკარენკო თვლის რომ პედაგოგს რომელსაც არ აქვს ავტორიტეტი არ შეიძლება იყოს პედაგოგი.

საგაკვეთილო პროცესში იკვეთება რომ ზოგიერთ პედაგოგთან გ.ნ. ამყარებს კონსტრუქციულ ურთიერთობას, ზოგიერთთან კი ცდილობს ჩამალოს გაკვეთილის მიმდინარეობა, დასცინის პედაგოგს, აყენებს სიტყვიერ შეურაცყოფას. რით არის განპირობებული გასხვავებული ქცევა, რა ფაქტორია განმსაზღვრელი მოზარდისა და პედაგოგს შორის ურთიერთობაში, რომელიც შესაძლებელს ხდის გ.ნ.–თან კონსტრუქციულ ურთიერთობას პედაგოგის მხრიდან. ამ საკითხის განსახილველად შედგა ფოკუსჯგუფი რომლის მიზანი იყო გამკლავების მექანიზმების ურთიერთგაზიარება პედაგოგებს შორის. ფოკუსჯგუფი შედგებოდა ექვსი პედაგოგისაგან, ამათაგან ერთი პედაგოგი იყო წარმატებული გ.ნ.–ს ქცევის მართვაში, ორი პედაგოგი იყო რომელსაც განსაკუთრებით უჭირდათ მოზარდთან ურთიერთობა. ჯგუფის შეხვედრაზე განხილული იქნა კონკრეტული რთული სიტუაციები განხორციელებულ გ. ნ.–ს მიერ სხვადასხვა პედაგოგის მიმართ. ცალკე გამოვყავით რეაგირების ნიშნები თითოეული პედაგოგის მხრიდან. პედაგოგთა რეაგირების ნიშნების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ის ვინც წარმატებული იყო გ.ნ.–სთან ურთიერთობაში, სიმშვიდით რეაგირებდა მოზარდის პროვოკაციულ ქცევაზე, ხშირად ავლენდა მის მიმართ სითბოსა და მზრუნველობას, მიუხედავად, საგაკვეთილო მასალის არადაძველებელი მომზადებისა ის აღნიშნავდა მოსწავლის ძლიერ მხარეებს და ცდილობდა გაკვეთილზევე განემტკიცებინა მასალა. ის პედაგოგები ვისაც ურთულდებოდა მოზარდთან ურთიერთობა ახასიათებდათ აგრესიული საპასუხო რეაქციები, სითბოს გამოხატვის ნაკლებობა, ყვირილით რეაგირება, დასჯით დამუქრება, რაც ქცევის მართვის მეთოდოლოგიაში შეცდომას წარმოადგენს.

ერთის მხრივ რთულია შეურაცმყოფელ ქცევაზე სიმშვიდის შენარჩუნება და მეთოდურად სწორი რეაგირების განხორციელება, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს რთული ქცევის მოზარდებთან ურთიერთობის ამოცანა.

დღეისათვის მრავალი ღონისძიება ხორციელდება საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესებლად. სკოლებში, მიმდინარეობს ინტენსიური ტრენინგები ქცევის მართვის, მოზარდის ფსიქო–ემოციური დარღვევების ამოცნობისა და ინდივიდუალური გეგმების შექმნის, სპეცმასწავლებლების რგოლის გაძლიერებით, მაგრამ რეალური სურათი აჩვენებს რომ დღემდე არსებული მცდელობა არასაკმარისია, საჭიროა პედაგოგის ფუნქციის გაძლიერება. მაგალითად გერმანიის სკოლებში გაჩნდა ახალი ტიპის პედაგოგი: პედაგოგი–თერაპევტი, პედაგოგი ეტიმოლოგი, პედაგოგი–ეკოლოგი და სხვა.

საჭიროა პედაგოგი–თერაპევტის ფუნქციის გაძლიერება, პედაგოგთა შორის თანამშრომლობა, აზრთა გაცვლა–გამოცლა, პედაგოგთა ფსიქოლოგიური ცოდნის ამაღლება თეორიულ და განსაკუთრებით პრაქტიკული მიმართულებით. მნიშვნელოვანია რომ ერთ თემაზე მაგალითად "ქცევის მართვაზე" ჩატარებული ტრენინგი არ ამოიწუროს მხოლოდ რამდენიმე დღით, და ყოველკვირეულად მოხდეს განხილვა პედაგოგებს შორის, როგორ გაუმკლავდა, რა სრტატეგია გამოიყენა, როგორი უკუკავშირი მიიღო. აღნიშნული რეკომენდაცია განაპირობებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გახორციელების ხშირ მცდელობას, ეს უკანასკნელი კი უკვე პროფესიული ჩვევის ჩამოყალიბებას, შეგნებას იმისას რომ პედაგოგი, რომელიც რთული ქცევის მოზარდებთან ურთიერთობს არის არა მხოლოდ კონკრეტული საგნის მასწავლებელი არამედ მისი გენეტიკური აგრესიულობის, სითბოს და სიყვარულის ნაკლებობის, არასანდო მიჯაჭვულობის, სუპერ–ეგოს დეფიციტის პრობლემის გამო გამოვლენილი რთული ქცევა მიიღოს როგორც ჩვენება ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა და საკუთარ თავზე აიღოს თერაპიული, ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული რეაგირება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ გაგომიძე, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბილისი 2007 წ
2. Общая редакция и вступительная статья кандидата психологических наук Г.В.Бурменской – Джон Боулби. Привязанность– МОСКВА 2003–<http://nkozlov.ru/library/psychology/d4590/>
3. <http://education.ge/index.php?do=definition%2Fview&id=1395> – ფსიქოლოგია და პედაგოგია

### რეზიუმე

საგანმანათლებლო სისტემაში მიდმინარე რეფორმები, საჭიროებს უფრო მეტ ძალისხმევას იმისათვის, რომ ამაღლდეს თითოეული პედაგოგის პროფესიული ცოდნა აღზრდელობითი მიმართულებით, არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ კონკრეტული საგნის სპეციალიზაციით და გავაძლიეროთ პედაგოგის თერაპიული როლი. განსაკუთრებით ჩვენს რეალობაში, როცა გახშირად დედის მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა რაოდენობა და იმატა აგრესიამ ბავშვებში. ამან კი რთული ამოცანის წინაშე დააყენა პედაგოგები, რომლებსაც ჭირდებათ გამკლავების მექანიზმების ცოდნა და დახმარება სპეციალისტების მხრიდან.

**Саломе Ломтадзе** - психолог Министерство образования и научного центра

**Ягор Баланчивадзе** – академический доктор образования, ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

### Вызывающее поведение у взрослых и Трудности учителей в работе в нашей реальности

#### резюме

Проводимые реформы в системе образования должна быть ориентивно улучшение профессиональные знания каждого учителя в функции воспитателя, Мы не должны ограничиться только к конкретной теме специализации и нужна усилить терапевтическая роль учителя. Особенно в нашей реальности, Когда увеличилось количество подростков без матери и Увеличить агрессия у детей. а это трудная задача для учителяю, и ани нуждаются знания а преодоленье механизме и помощи от экспертов.

**Salome lomtadze** - Psychologist of Ministry of Education and Science Center

**Iagor Balanchivadze** – Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of Education, Associated Professor

### Violence in Adults and diffiulties in reality of teachers working

Recent reforms of Educational system need more efford to in crease the professional knowledge of every teacher in adopting question. Not lock only in concrete subject but strengthen the therapeutic role of a teacher aspeceially in our reality, when we often meet the careless children and aggression in children.This difficult problem make teachers to get knowledge and support from specialist

**მერაბ მადრაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### სწავლის პოლიმოტივაციური მოდელი

პოლიმოტივაციის მოვლენა ყოველთვის იპყრობდა ქცევის ფსიქოლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღებას. მოტივის ცნების და ქცევაში მისი ფუნქციის უამრავი განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქცევის განხორციელებაში მოტივი გადამწყვეტ როლს ასრულებს: ქცევა მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუ სუბიექტი სათანადოადაა მოტივირებული მოცემული ქცევითი ამოცანის გადასაჭრელად. თავის მხრივ, მოტივი უმჭიდროესადაა დაკავშირებული მოთხოვნილებასთან. ყოველგვარ ქცევას, რა სახისაც (შრომა, გართობა, სწავლა, სპორტი, თამაში და სხვ.) და ფსიქიკური რეგულაციის რა დონისაც (დაბალი თუ მაღალი, იმპულსური თუ ნებისმიერი და სხვ.) არ უნდა იგი, საბოლოო ჯამში ყოველთვის ესა თუ ის ადამიანური მოთხოვნილება აქვს მხედველობაში. ეს იმდენად თვალსაჩინო ფაქტია, რომ მკვლევართა ნაწილი მოტივს სულაც მოთხოვნილებასთან აიგივებს.

ქცევის პოლიმოტივაციის პრობლემაც სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება და ასე ფორმულირდება: ქცევა, როგორც კონკრეტული ფსიქო-ფიზიკური ფაქტი, ყოველთვის მხოლოდ ერთი მოტივით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, თუ შესაძლებელია რომ იგი ერთდროულად მრავალ მოტივსაც ემყარებოდეს? რაკი მოტივი მნიშვნელოვანწილად მოთხოვნილების განცდის ფორმითაა მოცემული, ხოლო სპეციფიკურ-ადამიანური ქცევის დონეზე პრაქტიკულად იშვიათად გვხვდება აქტივობა, რომელიც მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას პასუხობდეს, უფრო მართებული ჩანს, რომ მოცემული საკითხი პოლიმოტივაციის იდეის სასარგებლოდ გადაწყდეს. როგორც ამ თვალსაზრისის აქტიური დამცველი **ი.იმედაძე** მიუთითებს, ამ შემთხვევაში ალბათ ქცევის პოლიმოთხოვნილებისეულ ბუნებაზე საუბარი უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით, ავტორი ისევ პოლიმოტივაციის ტერმინის ძალაში დატოვებას მიიჩნევს უმჯობესად [2; 33]. წინამდებარე სტატიის მიზანია სასწავლო აქტივობის მოტივაციური შინაარსის დახასიათება ქცევის პოლიმოტივაციის ზოგადი მოდელის გათვალისწინებით.

ქართულ ფსიქოლოგიაში დიდხანს ერიდებოდნენ ქცევის პოლიმოტივაციაზე საუბარს, რადგან, ერთი შეხედვით, იგი წინააღმდეგობაში მოდის ნებელობითი ქცევის უზნაძისეულ ანალიზთან, რომლის მიხედვითაც ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება გააჩნდეს და ქცევა იმდენია, რამდენიცაა მოტივი [3]. ეს წინააღმდეგობა მოიხსნება თუ გავითვალისწინებთ ორ ასეთ გარემოებას: 1) ქცევის პოლიმოტივაცია უნდა გავიგოთ, როგორც მრავალი მოთხოვნილების ერთდროული მონაწილეობა ქცევის ორგანიზებაში, ანუ მისი განწყობის ფორმირებაში; 2) მოტივის და მოთხოვნილების ცნებები ერთმანეთის სინონიმებად მხოლოდ პირობითად (მსჯელობის სიმარტივისათვის) შეიძლება ვიხმართ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოთხოვნილება, რომელიც ქცევის დინამიკურ ასპექტს გამოხატავს, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი კომპონენტია მოტივის შინაარსში, რომელიც, როგორც ქცევის საერთო ღირებულების გამომხატველი ფსიქოლოგიური კონსტრუქცია, მასთან ერთად ქცევის ყველა ასპექტს უკავშირდება [2; 33]. აქედან გამომდინარე, იმის მიუხედავად, რომ ადამიანის ყოველი კონკრეტული საქმიანობა უმეტესწილად ერთდროულად მრავალ მოთხოვნილებას პასუხობს (პოლიმოტივაციურია), ყველა შემთხვევაში იგი სრულად შეესაბამება თავის მოტივს. ე.ი. პოლიმოტივაცია (პოლიმოთხოვნილებისეულობის მნიშვნელობით) არ მოდის წინააღმდეგობაში იმის მტკიცებასთან, რომ ქცევას ყოველთვის ერთი მოტივი გააჩნია.

ამ ბოლო დებულების (ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი აქვს) დაცვას კარდინალური მნიშვნელობა აქვს განწყობის ფსიქოლოგიისთვის, რადგან ქცევის აქტების (უზნაძის ტერმინოლოგიით, ფიზიკური ქცევის) უშუალო მიზეზია მათ შესასრულებლად განწყობილი (შეცვლილი) სუბიექტი. განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანობითი მოდიფიკაცია, ჩნდება სუბიექტური (მოთხოვნილებითი) და ობიექტური (სიტუაციური) ფაქტორების გავლენით და მათ შესატყვისად. ზემოთ უკვე მოგვიხდა იმაზე მითითება, რომ მოთხოვნილება ქცევის დინამიკას



უზრუნველყოფს. პოლიმოტივაციურ ქცევაში მრავალი მოთხოვნილების მონაწილეობა იმით ხდება შესაძლებელი, რომ განწყობაში მათი დინამიკური მუხტი ერთმანეთს ერწყმის, რაც ქცევის ენერგეტიკას ამდიდრებს. რაც შეეხება თვითონ მოთხოვნილებებს, ისინი ცალკე ავტონომიებად რჩებიან და ასე ერთიანდებიან მოცემული ქცევის საერთო მოტივში, რომელიც დინამიკის გარდა ქცევის სხვა ასპექტებსაც მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სუბიექტი ყველა იმ მოთხოვნილების შესატყვის განწყობებად იშლება, რომლებსაც კი მოცემული ქცევა პასუხობს. გარდა იმისა, რომ ასეთი დაშვებისთვის არავითარი ემპირიული საბუთი არ მოიპოვება, იგი თეორიულადაც სრულიად მიუღებელია, რადგან ლოგიკურად შეუთავსებელია განწყობის ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპებთან: განწყობა სუბიექტის, როგორც ორგანიზებული მთლიანობის, მოდუსია აქტივობის მომენტში და შეუძლებელია იგი ერთდროულად მრავალი იყოს<sup>1</sup>.

ამრიგად, ქცევას ყოველთვის ერთი მოტივი აქვს, თუმცა მის შემადგენლობაში მრავალი მოთხოვნილება შეიძლება იყოს მოცემული. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ყველაზე მკაფიოდ ადამიანური ქცევის ფორმების უზნადისეული კლასიფიკაცია აჩვენებს, სადაც სწავლა ისეთ ქცევად არის დახასიათებული, რომელსაც ერთდროულად ორი სხვადასხვა ბუნების მქონე მოთხოვნილება უდევს საფუძვლად [4]. ნუ დავკარგავთ დროს ამ ყველასათვის ცნობილი კლასიფიკაციის განხილვაზე და პირდაპირ მისგან გამომდინარე კითხვა დავაყენოთ: რაკი სასწავლო აქტივობა სწავლის ქცევად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება თუ ერთდროულად ფუნქციონალურ მოთხოვნილებებსაც პასუხობს და სუბსტანციონალურსაც, სწავლა, როგორც ქცევა, მონომოტივაციურია თუ პოლიმოტივაციური?

ზემოთმოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე, ამ შეკითხვას ასეთი პასუხი გაცემს: მოტივი, როგორც სუბიექტისათვის ქცევის საერთო ღირებულების გამომხატველი ფსიქოლოგიური კონსტრუქცია ყოველთვის ერთია და ამ თვალსაზრისით სწავლა, ისევე როგორც ყოველგვარი ადამიანური ქცევა (შრომა, თამში და სხვ.) მონომოტივაციურია. სწავლის პოლიმოტივაცია იმას ნიშნავს, რომ მისი განწყობის სუბიექტურ ფაქტორში მრავალი მოთხოვნილებაა ინტეგრირებული, რომლებიც მოთხოვნილებათა ორ სხვადასხვა კატეგორიაში შედიან. ამ თვალსაზრისით სწავლა არა მხოლოდ პოლიმოტივაციური, არამედ აგრეთვე ორბუნებოვანი ქცევაა. უზნადისეულ კლასიფიკაციაში მას გარდამავალი ადგილი უჭირავს ქცევის ინტროგენურ (კერძოდ, თამაშს) და ექსტროგენურ (კერძოდ, შრომას) ფორმებს შორის.

თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა სწავლის მოტივების დაჯგუფება ორ ძირითად კატეგორიად: გარეგან მოტივებად და შინაგან მოტივებად. პირველში იგულისხმება გარემოდან, უფრო ზუსტად, სპეციალურად ორგანიზებული პედაგოგიური გარემოდან, მომდინარე სტიმულაცია, რომელიც დასჯისა და დაჯილდოების (წახალისების) ნაირფეროვან ფორმებს ითვალისწინებს. მეორე კატეგორიაში (შინაგან მოტივებში) შედის შინაგანი სწრაფვა სწავლისაკენ, რაც ახლის გაგების და აღმოჩენის წყურვილის სახითაა მოცემული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველგვარი სასწავლო აქტივობა უმეტესწილად ერთდროულად ორივე კატეგორიის მოტივებს პასუხობს, სრულიად ნათელია, რომ სწავლის სახით ნამდვილად ქცევის პოლიმოტივაციის ფაქტთან გვაქვს საქმე. სწავლის მოტივთა ეს კლასიფიკაცია თავისებურ უნისონშია სწავლის ბუნების შემქმნელ მოთხოვნილებათა უზნადისეულ კლასიფიკაციასთან. მათ შორის არსებულ განსხვავებას ქვემოთ შევხებით, ჯერ კი მხოლოდ მსგავსებაზე შევჩერდეთ.

რამდენადაც სუბსტანციონალურ მოთხოვნილებას საგნობრივი (გარეგანი) ინტენცია ახასიათებს, ფუნქციონალურს კი პროცესუალური (შინაგანი), ამდენად პირველი გარეგან მოტივს შეიძლება გავუთანაბროთ, მეორე შინაგანს. გარეგანი (სუბსტანციონალური) მოთხოვნილებებით მოტივირებული სწავლა უზრუნველყოფს ცოდნის მიღებას, შინაგანი (ფუნქციონალური) მოთხოვნილებებით მოტივირებული სწავლა კი სწავლაში ჩართული ფუნქციების განვითარებას. როცა სწავლა მხოლოდ პირველი რიგის (გარეგანი) მოტივებს ემყარება, იგი სასწავლო აქტივობის

<sup>1</sup> სხვა საქმეა ფიქსირებული განწყობები, რომლებიც ინდივიდუალურ დისპოზიციათა სისტემას ქმნიან, მაგრამ აქ ამაზე არ ვსაუბრობთ.

ფორმაში მიმდინარე შრომაა. ასევე, მხოლოდ ფუნქციონალური მოთხოვნებიდან მოტივირებული სწავლა არის სასწავლო აქტივობის ფორმით მიმდინარე თამაში. ნამდვილი სწავლა, როდესაც მხედველობაში გვაქვს არა მისი ფორმა, არამედ ფსიქოლოგიური შინაარსი, ორივე ტიპის მოთხოვნებიდან შეესაბამება და ასრულებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე განმავითარებელ (იგულისხმება ფსიქო-ფიზიკურ ძალთა განვითარება) ფუნქციას.

რაც შეეხება მისი განწყობის სუბიექტურ ფაქტორს, იგი შეიძლება ერთკომპონენტური იყოს და მრავალკომპონენტურიც. სასწავლო აქტივობა, როგორც კონკრეტული ფაქტი, შეიძლება იყოს მხოლოდ ექსტროგენურიც და ფსიქოლოგიური შინაარსით სწავლის ფორმით მიმდინარე შრომას წარმოადგენდეს, შეიძლება იყოს მხოლოდ ინტროგენურიც და სწავლის ფორმით მიმდინარე თამაშს წარმოადგენდეს და შეიძლება გააჩნდეს ორივეს ბუნებაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი, არა მარტო გარეგანი ფორმით, არამედ ფსიქოლოგიური შინაარსითაც სწავლად ჩაითვლება. განვიხილოთ ეს ვარიანტები უფრო დაწვრილებით:

1) **სწავლის ფორმით მიმდინარე შრომა:** ასეთ სწავლასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი განწყობის სუბიექტური ფაქტორი მხოლოდ სუბსტანციონალურ მოთხოვნებებს შეიცავს. მოთხოვნების სუბსტანციონალურობა იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია გარეგანი (საგნობრივი) ინტენცია. სწავლის ასეთ დეტერმინანტებს, როგორც ითქვამს, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში, რომელიც სწავლის დასავლურ (ძირითადად ამერიკულ) თეორიებს ემყარება, გარეგან მოტივებს უწოდებენ. ასეთ მოტივებზე აგებული სწავლა, როგორც ქცევის ექსტროგენური ფორმა, შეიძლება მონომოტივირებული იყოს და პოლიმოტივირებულიც. პირველ შემთხვევაში მისი განწყობის სუბიექტური ფაქტორი მხოლოდ ერთი გარე მოტივით, მაგალითად, ჯილდოს მიღების სურვილით, იქნება წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი მრავალი ასეთი მოტივის ერთიანობის სახით, მაგალითად ჯილდოს მიღების და სასჯელის აცილების სურვილით, იქნება მოცემული. ამით მისი ბუნება არ იცვლება. სწავლა, თუ მისი განწყობის სუბიექტურ ფაქტორში მხოლოდ გარე მოტივებია მოცემული, მათი სიმრავლის მიუხედავად, რჩება ერთბუნებოვანი ქცევად: სწავლის ფორმით მიმდინარე შრომად. ასეთი სწავლის საინტერესო ანალიზი აქვს მოცემული **ნ.ბარამიძეს**, რომელიც, მხოლოდ მისი გათვალისწინებით, სწავლას გონებრივი შრომის ნაირსახეობად მიიჩნევს [1].

2) **სწავლის ფორმით მიმდინარე თამაში:** აქ არ იგულისხმება არც ე.წ. ლატენტური სწავლა, როდესაც თამაშს თავისთავად მოსდევს სწავლის ეფექტი, ყოველგვარი სასწავლო მიზანდასახულობის გარეშე და არც დიდაქტიკური თამაში, როდესაც სასწავლო მიზანს მხოლოდ პედაგოგიური გარემო ითვალისწინებს. აქ სწავლის იმ ნაირსახეობაზე გვაქვს საუბარი, როდესაც სუბიექტი სრულიად განსაზღვრული სასწავლო მიზნის მიღწევას ითვალისწინებს, მაგრამ ამისათვის მას გარედან მომდინარე სტიმულები კი არ განაწყობს, არამედ ამ საქმეს აქტივობის შინაგანი ტენდენცია, ანუ ფუნქციონალური მოთხოვნა (ან მოთხოვნები) აკეთებს. როგორც ვიცით, შინაგანი (ინტროგენური) წარმომავლობის მოტივებს, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში შინაგან მოტივებს უწოდებენ. მხოლოდ ასეთ მოტივებზე აგებული სწავლაც, იმის მიუხედავად მონომოტივირებული იქნება იგი, თუ პოლიმოტივირებული, არის მხოლოდ ერთბუნებოვანი ქცევა: სწავლის ფორმით მიმდინარე თამაში.

3) **სწავლა, როგორც ქცევის განსაკუთრებული (დამოუკიდებელი) ფორმა:** საწავლა მის კონკრეტულ გამოვლინებებში, როგორც აღინიშნა, უმეტესწილად პოლიმოტივაციურია. როდესაც სწავლის განწყობის სუბიექტურ ფაქტორში ინტეგრირებულია სუბსტანციონალური და ფუნქციონალური მოთხოვნები, საქმე გვაქვს თამაშისა და შრომისაგან განსხვავებულ ქცევასთან, რომელიც სწავლაა, როგორც გარეგანი ფორმით, ისე ფსიქოლოგიური შინაარსით. მოსწავლე მხოლოდ ასეთი სწავლის სუბიექტს შეიძლება ეწოდოს, თუმცა, ნომინალურად, ვინაც სასწავლო ტიპის აქტივობაშია ჩართული, ყველა მოსწავლედ ითვლება. ასეთი სწავლის განწყობა, ქცევის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, როგორც სიტუაციური, ისე მოტივაციური ფაქტორების ცვალებადობის გავლენით. სიტუაციური ფაქტორის ცვალებადობის კვალობაზე განწყობის ასეთ ცვალებადობას ითვალისწინებს **შ.ჩხარტიშვილის** მიერ შემოტანილი „დინამიკური მოდელები“ [5]. მისი გათვალისწინებით, განწყობის ისეთი ცვლილება, რომელიც

მოტივაციური ფაქტორის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, საინტერესოდ გააანალიზა ი.იმედაძემ [2]. სწავლასთან მიმართებით, ეს ანალიზი ასეთ სურათს გვამღვეს: სწავლის განწყობის დინამიკური მუხტი სასწავლო აქტივობის განმავლობაში ხან სუსტდება და ხან ძლიერდება. შესუსტება იმას უკავშირდება, რომ სწავლის მოტივაციურ კომპონენტში შემავალი ზოგიერთი მოთხოვნილების ფუნქციონირება რაიმე მიზეზით (დაკმაყოფილება, ფრუსტრაცია და სხვ.) წყდება, გაძლიერება კი მაშინ ხდება, როდესაც საქმეში გზადაგზა ახალი მოთხოვნილებები ერთვებიან.

რამდენადაც სწავლის მოტივების შინაგან და გარეგან მოტივებად დაყოფამ ჩვენში ძალზე მოიკიდა ფეხი, საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რამდენად შეესაბამება იგი სწავლის განწყობის განმსაზღვრელ მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის უზნადისეულ მოდელს. აქამდე, მსჯელობის გამარტივების მიზნით, ჩვენ ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს შინაგან მოტივებთან ვაიგივებდით, სუბსტანციონალური კი გარეგანთან. მაგრამ რაკი ორივე კლასიფიკაცია განსხვავებულ პრინციპზეა დამყარებული, მათში შემავალ მოთხოვნილებათა რომელობები ერთმანეთს ცალსახად არ ემთხვევა. გვხვდება მოტივები, რომლებიც შინაგანად ითვლებიან, მაგრამ ფუნქციონალური ხასიათი არ აქვთ, ან პირიქით, ყველა სუბსტანციონალური მოთხოვნილება არ განიხილება როგორც გარეგანი.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო მაგალითს სწავლასთან ბუნებრივად დაკავშირებულ ისეთ მოთხოვნილებათა ჯგუფი წარმოადგენს, რომლებიც თეორიული მოთხოვნილების სახელით ერთიანდებიან. მისი ისეთი ნაირსახეობა, როგორც შემეცნებითი ინტერესია სუბსტანციონალური მოთხოვნილების მკაფიო ნიმუშია. ამ მოთხოვნილების შესატყვისი აქტივობა ცნობისმოყვარეობის ფორმით გვეძლევა და ცალსახად ექსტროგენურ ქცევას წარმოადგენს. დღევანდელი კლასიფიკაციით, რომელიც მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფორმების განსხვავებას ითვალისწინებს, შემეცნებითი მოთხოვნილება სწავლის შინაგან მოტივად განიხილება. იმის გათვალისწინებით, რომ მოტივაცია სუბიექტის შინაგანი მდგომარეობაა, გარეგან მოტივზე (მოტივებზე) საუბარი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ მის შინაარსში მართლა მოტივს კი არა, მოტივის შემქნელ (მოტივაციურ) ფაქტორს (ფაქტორებს) ვიგულისხმებთ. ამ მხრივ უზნადისეული კლასიფიკაცია გაცილებით ადექვატურად გამოხატავს საქმის ვითარებას, რადგან მოთხოვნილებათა ორივე ფორმა შინაგანი მოცემულობით ხასიათდება და მათ მხოლოდ ის განასხვავებს ერთმანეთისგან, საგანი მოითხოვება თუ აქტივობის პროცესი.

თუ მოთხოვნილებათა აღნიშნულ ჯგუფში (თეორიულ მოთხოვნილებებში) შემავალი შემეცნებითი მოთხოვნილება, მკაფიოდ გამოხატული სუბსტანციონალური მოთხოვნილებაა, რადგან მხოლოდ გარკვეული საგნის (ცოდნის, ინფორმაციის და სხვ.) მიღებით შეიძლება დაკმაყოფილდეს, ამავე ჯგუფში შემავალი მოთხოვნილება ინტელექტის აქტივობაზე, რაც კოგნიტური აქტივობის ინტროგენურ ფორმებს გვამღვეს, უკვე მკაფიოდ გამოხატული ფუნქციონალური მოთხოვნილებაა, რადგან მას მხოლოდ ინტელექტუალურ ძალთა ფუნქციონირება აკმაყოფილებს. იგი, ინტენციონალობის თვალსაზრისით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს სწავლის შინაგან მოტივად.

ეს ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ სწავლის მოტივთა დასავლეთიდან შემოტანილი კლასიფიკაცია დამყარებულია არა მოტივაციის პროცესის ფსიქოლოგიური ბუნების ანალიზზე, არამედ მოტივის (უფრო სწორად, მოტივაციური ფაქტორის) სახეობის მექანიკურ შეფასებაზე. საჭიროა განწყობის თეორიის პოზიციებიდან ამ მოდელის კრიტიკულად განხილვა და დაზუსტება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამჯერად, სტატისის მოცულობის განსაზღვრულობის გამო, გვერდი ავუარეთ აქ განხილული საკითხების სწავლის მოტივაციური ფორმების ჩხარტიშვილისეული სქემის მიხედვით გააზრებას [6]. ამ სქემაში სწავლის ორბუნებოვან ქცევად განხილვა, მოთხოვნილებათა თავისებურებებთან (შინაგანი-გარეგანი, ფუნქციონალური-სუბსტანციონალური) ერთად დაკავშირებულია ქცევის იმპულსურობა-ნებისმიერობის ასპექტთანაც, რასაც სწავლის მოტივაციის დასავლური მოდელი საერთოდ არ ითვალისწინებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათუმი, 1995
2. ი. იმედაძე, გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ., 2013
3. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998
4. დ. უზნაძე, შრომები, ტ. V., თბ., 1967
5. შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ. 1975
6. შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N12, 1975

### რეზიუმე

პოლიმოტივაციაში იგულისხმება ქცევის განწყობის შექმნაში ერთდროულად რამოდენიმე მოთხოვნილების მონაწილეობა. სწავლაც ერთდროულად მრავალ მოთხოვნილებას შეესაბამება. ისინი ქართულ ფსიქოლოგიაში ფუნქციონალურ და სუბსტანციონალურ მოთხოვნილებებად იყოფიან, დასავლურ ფსიქოლოგიაში კი შინაგან და გარეგან მოტივებად. სტატიაში, მოტივაციის ამ მოდელთა შედარებითი განხილვის გზით, ნაცადია სწავლის პოლიმოტივაციური მოდელის შესაძლო ვარიანტების კლასიფიკაცია.

**Мераб Магдадзе** - Государственный Университет Акакия Церетели, Доктор психологии, ассоциированный профессор

### Полимотивационный модел обучения

#### Резюме

Полимотивация подразумевает участие одновременно нескольких потребностей в создании установки поведения. Обучение также соответствует нескольким потребностям. В Грузинской психологии они делятся на функциональные и субстациональные потребности, а в западной психологии они делятся на внутренние и внешние мотивы. В статье, на основе сравнительного обзора этих моделей мотивации, предпринимается попытка классификации возможных вариантов полимотивационного модела обучения.

**Merab Maghradze** - Akaki Tsereteli State University Doctor of Psychology, associate professor

### Polimotivation Model of Learning

#### Resume

Polimotivation means involvement of several requirements during creation of behavior set. The learning also corresponds to several requirements at one time. These requirements in Georgian psychology are divided into functional and substational requirements, while in western psychology they are divided to internal and external motives. The article, through the comparative description of these motivation models, makes attempts to classify possible variants of polimotivation model of learning.



**მარინე სირბილაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### **ბილინგვიზმი და ლინგვისტური უნარის განვითარების ტენდენციები უფროს სკოლამდელ ასაკში**

გლობალიზაციის ეპოქაში არნახულად აქტუალური გახდა ბილინგვიური განათლება. ბილინგვიზმი კულტურული, უფრო კი სოციალური, ცხოვრების პირობებში მონოფენომენს არ წარმოადგენს. მას, როგორც მოვლენას თავისთავად, მეცნიერებაში ბევრი პრობლემური საკითხი უკავშირდება, დაწყებული თვითონ ცნების განსაზღვრებიდან, დამთავრებული იმით, თუ როდის შეიძლება ადამიანმა დაიწყოს მეორე ენის შესწავლა.

შვეიცერიისა და ნიკოლსკის (1978) განმარტებით, ბილინგვიზმი – ესაა ორი ენის თანაარსებობა ერთი ენობრივი კოლექტივის ყოფაში, რომელიც ამ ენებს იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციურ სფეროში იმის მიხედვით, თუ როგორი სოციალური თუ სხვა პარამეტრი ახლავს კომუნიკაციის აქტს. კომუნიკაცია ენობრივი სისტემების მეშვეობით ადამიანებს შორის ურთიერთობის აქტს ნიშნავს და სოციალური ურთიერთქმედების აზრობრივ ასპექტს წარმოადგენს. აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას თანამედროვე ადამიანისაგან 21-ე საუკუნე მთელი სიმწვავით მოითხოვს.

დღეს ლაპარაკობენ დადებით და უარყოფით ბილინგვიზმზე. უარყოფითი ბილინგვიზმი გულისხმობს სიტუაციას, როცა მეორე ენის შესწავლას ზოგადი უარყოფითი ეფექტი ახლავს და ხშირად ვლინდება, როგორც ორი ენის ცუდი ფლობა. დადებითი ბილინგვიზმი კი აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც მეორე ენის შესწავლა დადებით გავლენას ახდენს მშობლიური ენის შესწავლაზე და ზოგად ფსიქიკურ განვითარებაზე.

ბილინგვიზმის თემა არის მეტად მრავალმხრივი, რომელზეც დღეს ცალსახა და ყოვლისმომცველი დეფინიციები არ არსებობს. თანამედროვე მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ბილინგვიზმი უფრო მეტია, ვიდრე ორი ენის ცოდნა, აქცენტი კეთდება იმ პრეფერენსიებზე, რაც ორენოვნებას გააჩნია არა მხოლოდ ადამიანის კოგნიტური სფეროს განვითარებაზე, არამედ ისეთი მოვლენის პრევენციული ეფექტების მისაღწევად კი, როგორიცაა ხანდაზმულობის დემენცია.

როგორც არ უნდა განიხილებოდეს ბილინგვიზმთან დაკავშირებული საკითხები, ფაქტი ერთია – ბილინგვიზმი მშობლიური ენის ცოდნასთან ერთად, განსხვავებული საკომუნიკაციო ენის ფლობასაც გულისხმობს – კომუნიკაციის პროცესი ამას მოითხოვს. უდავოა ისიც, რომ ენების მცოდნე ადამიანი გაცილებით უფრო მოთხოვნიდა შრომის ბაზარზე სწრაფად განვითარებული ინტერნეტტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამყაროში ხომ კომუნიკაციის უნარი წარმატების უმთავრესი პირობაა.

როგორც რ. ჯვარშიევილი (1985) მიუთითებს, ორენიანობის საკითხებით დაინტერესებული ფსიქოლოგებისათვის ცენტრალურს მაინც შემეცნებასა და ბილინგვის ენებს შორის დამოკიდებულება წარმოადგენს. სწორედ ამის გამო, მისი აზრით, დგება საკითხი ბილინგვის და მონოლინგვის შემეცნებითი შესაძლებლობების დაპირისპირების შესახებ.

როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში წარმოებული გამოკვლევები ამტკიცებს ბილინგვიზმის განსაკუთრებულ უპირატესობას ამ თვალსაზრისით – სინამდვილის შემეცნებისა და ინტერპრეტირების უნარების განვითარებაში, ისევე როგორც მრავალ ფსიქიკურ აქტივობაში და, პირველ რიგში, ენობრივ უნარებში. ერთ-ერთი ასეთი უნარის მაჩვენებლად ითვლება ენობრივი რელატივობა. ამას ადასტურებს იანკო – უორელის გამოკვლევა, სადაც ნაჩვენებია, რომ ბილინგვიზმთან ადგილი აქვს უფრო ადრეულ ფონეტიკურ და სემანტიკურ ასპექტთა დაყოფას მონოლინგვიზმთან შედარებით, რაც ენობრივი აბსტრაგირების უნარის უფრო ადრეულ განვითარებას ნიშნავს. ასევე, რ. ჯვარშიევილმა (1985) ჩაატარა ექსპერიმენტი ენობრივი რელატივიზმის საკვლევად ზრდასრულ სუბიექტებთან. მიღებული პასუხების განაწილება იძლევა საკმაოდ ნათელ სურათს, საიდანაც ვლინდება, თუ როგორ ხდება ენობრივი რელატივიზმის სრულყოფა მეორე ენის

დაუფლებასთან ერთად. ორენოვანი ადამიანი უკეთ გრძნობს ენის ძირითად ფუნქციას, რაც შინაარსის შემოტანაში მდგომარეობს.

ნ. იმედაძემ (1960) გამოთქვა მოსაზრება, რომ, როცა ორენოვანი ბავშვი პირველად ხვდება საგნის ორმაგი დასახელების ფაქტიურ შესაძლებლობას, იწყება საგნისა და სახელის განსხვავება. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ ორენიანობა შეიძლება გახდეს მეტყველების გაცნობიერების პირობა, თუ ბავშვს მოუხდება დროის მცირე მონაკვეთში ორი ენის ეკვივალენტური საშუალებებით ორი კომუნიკაციური ამოცანის გადაწყვეტა.

ბენზივი (1972) და ბალკანი (1979) უჩვენებენ, რომ ბილინგვიზმის პირობებში, მონოლინგვებთან შედარებით, ბავშვები ავლენენ მეტ ვერბალურ მოქნილობას და ლინგვისტური ანალიზის უნარს. ისინი თვლიან, რომ ენის დაუფლება ასტიმულირებს სიტყვის, როგორც მნიშვნელობის მქონე ფორმის, ობიექტივაციის პროცესს, რაც მეტალინგვისტური უნარის განვითარებას ნიშნავს.

მოგვიანებით ნ. იმედაძის (1998) მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში როცა მან გაიმეორა პიაჟეს კლასიკური ექსპერიმენტი „ნომინალური რეალიზმის“ შესახებ, გამოვლინდა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება 4–6 წლიანი ბილინგვ და მონოლინგვ ბავშვებს შორის. ამიტომ, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, უბრალოდ ფაქტი, ორი ენის გამოყენებისა ცალკე კომუნიკაციურ სიტუაციებში, არ არის საკმარისი ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთობის სადისკუსიოდ, თუმცა ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფასილიტაციის პირობა ბავშვის მეტალინგვისტური უნარის განვითარებისათვის.

თუმცა ნ. იმედაძის შემდგომმა ექსპერიმენტებმა უჩვენა 5–6 წლიანი ბილინგვების უპირატესობა სემანტიკური სინონიმების წვდომაში, სივრცითი და დროითი მიმართებების გარკვევაში და სხვ.

ანალოგიური შინაარსის გამოკვლევა ჰქონდა ჩატარებული დ. ჰეიქსს (1980) 4–დან 8 წლამდე ასაკის ბავშვებთან, რომლებთანაც ასაკის მატებასთან ერთად ვითარდებოდა პიაჟესული ამოცანების გადაწყვეტა, როცა მასალა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ანალიზი გაკეთებულიყო ორი სახის მეტალინგვისტური უნარის განვითარების თაობაზე: კერძოდ, წყვილი წინადადებების სინონიმურობის განსჯის და წინადადების შესაბამისობის (მისაღებობის) უნარების შესახებ. ყველა ამოცანის შესრულებებს შორის დამოკიდებულების მოდელი მკაცრად უშვებს, რომ ზოგადი განვითარება საფუძვლად უდევს მეტალინგვისტური უნარის, ასევე ოპერაციონალური აზროვნების წარმოშობას და გამოაშკარავებს. ეს განვითარება – აღნიშნავს დ. ჰეიქსი – არის კონტროლირებად საინფორმაციო პროცესში ჩაბმის უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, ენობრივი და სხვა იმპულსებისაგან მენტალურად უკან დაიხიოს და წინასწარ განსაჯოს ისინი.

შვეიცარიელი ფსიქოლინგვისტის ფ. გროსჟანის წიგნში დასაბუთებულია, რომ ბილინგვიზმი, უპირველესად, ბავშვის გონებრივ განვითარებას ემსახურება და რაც უფრო ადრე შეისწავლის ბავშვი უცხო (მეორე) ენას, მით უფრო მრავალმხრივად განვითარებული, ბავშვი ადრეულ ასაკში, მშობლიურთან ერთად სხვა ენასაც როცა ეუფლება, ის მხოლოდ თვალსაწიერს როდი იფართოებს, არამედ უვითარდება სააზროვნო უნარები, უმჯობესდება მისი მეხსიერება, ყურადღება და ინფორმაციის ათვისების უნარი. ავტორის აზრით, ბილინგვიზმი ასტიმულირებს ტვინის კოგნიტურ ფუნქციებს, ხვეწს ე.წ. აღმასრულებელ (executive) ფუნქციას, რომელიც პასუხისმგებელია ისეთ სააზროვნო აქტივობებზე, როგორიცაა ყურადღების ფოკუსირება, სემანტიკური და ეპიზოდური მეხსიერება, კოგნიტური მოქნილობა და სხვ. გარდა ამისა, ბილინგვი ბავშვები მეტად კრეატიულები არიან და გამოირჩევიან ინდივიდუალიზმით. აქედან გამომდინარე, ფ. გროსჟანი უსაფუძვლოდ მიიჩნევს იმ მითებს, რაც ბავშვის ორენოვნებასთან და მის ნეგატიურ გავლენებთან არის დაკავშირებული. (გროსჟანი, ბლექველი, 2013).

ქართულ ფსიქოლოგიაში მეორე ენის შესწავლის და დაუფლების პროცესის ყველა ასპექტის ზოგადფსიქოლოგიური საფუძვლის შემუშავების სქემად განწყობის ცნება მოიაზრება.

ნ. იმედაძე აღნიშნავს, რომ ორი ენის ერთდროული დაუფლების პროცესში საქმე გვაქვს ერთი, დიფუზური, საერთოდ მეტყველების განწყობის თანდათანობით დიფერენციაციასთან, რის შედეგადაც მუშავდება და სულ უფრო ფიქსირდება მშობლიური და მეორე ენაზე მეტყველების განწყობა. ამ ორი განწყობის ალტერნატიული აქტუალიზაცია უზრუნველყოფს ბავშვის მიერ ენების შეურეველ ხმარებას. ნ. იმედაძე აჩვენებს, რომ ორ ენაზე მოლაპარაკე ბავშვი (3 წლის ასაკში)

მართლაც განიცდის საკუთარ ორენიანობას, ორენიანობის ცნობიერება გაივლის გარკვეულ საფეხურებს, რაც მას მეტყველების პრაქტიკული დაუფლების გარკვეული დონის მიღწევის შედეგად მიაჩნია და არა საფუძვლად. ორენიანობის ცნობიერების განვითარება კი ნიშნავს საგულისხმო ფაქტს: ორ ენაზე მოლაპარაკე ბავშვი არა მხოლოდ პრაქტიკულად ეუფლება მეტყველებას ორ ენაზე, არამედ თავისი ყურადღების საგნად იხდის მეტყველების ენობრივ შემადგენლობას. ეს ხდომილება, ნ. იმედაძის მიხედვით, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქმე გვაქვს მეტყველების მეორადი ცნობიერების ანუ ობიექტივაციის ჩანასახთან, მისი მონაცემების თანახმად, ორენიანობა, თავისი ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ასრულებას ამ პროცესში მნიშვნელოვან დადებით როლს.

როგორც ვხედავთ, ქართულ და უცხოურ ფსიქოლოგიაში, კვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა თვალსაზრისი ბილინგვიზმის დადებითი ეფექტების შესახებ ადამიანის, კერძოდ, ბავშვის ზოგადინტელექტუალურ განვითარებაში, რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი მეტალინგვისტური უნარის ანუ ენობრივი ცნობიერების განვითარების თაობაზე.

ამ კონტექსტიდან გამომდინარე, უპრიანია, ლინგვისტური უნარის, როგორც ბილინგვიზმის მსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, გამოვლინების თავისებურებების შესწავლა, მით უფრო, ადრეულ ასაკში. ამ უნარის გათვალისწინება კი აუცილებელია ენის შესწავლის მიმდინარეობის როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ პირობებში.

ლინგვისტური უნარი ინტეგრალური ერთიანობის მქონე ფენომენია, სადაც სპეციფიკურ კომპონენტად ჩვენ მიერ განიხილება სიტყვის გრძნობის უნარი. ამ უნარის სპეციფიკურობის სტატუსი იმით არის განპირობებული, რომ როგორც მხოლოდ ენობრივი მასალისთვის დამახასიათებელი ფენომენი, განსაზღვრავს ფონეტიკურ კოდირებას და ვერბალურ მეხსიერებას – ეს ექსპერიმენტულად არის დადასტურებული. (ნ. ბარამიძე, ნ. ბაინდურაშვილი, მ. სირბილაძე).

ნიშანი-მნიშვნელობის შესატყვისობის განცდის ანუ სიტყვის გრძნობის უნარი, როგორც ინდივიდუალური თავისებურება, რომელიც ახასიათებთ სუბიექტებს და ამის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ჩვენი კვლევის თანახმად, პირდაპირ კორელაციაშია ენაში მიღწეულ წარმატებებთან, ასევე მშობლიურ ენაში და ზოგად ინტელექტუალურ განვითარებაში მიღწეულ შედეგებთან (მ. სირბილაძე, 2008) შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული უნარის გამოვლინების ტენდენციები, მით უფრო ადრეულ ასაკში, უნდა განვიხილოთ, როგორც მეორე ენის დაუფლების შესაძლებლობები.

ასაკობრივი განვითარების ჭრილში ამჯერად სიტყვის გრძნობის, როგორც ლინგვისტური უნარის სპეციფიკური კომპონენტის, გამოვლინების ტენდენციები შევისწავლეთ უფროს სკოლამდელ ასაკში. ამ ასაკობრივი პერიოდის თავისებურებების (ბავშვებმა არ იციან წერა-კითხვა, წამყვანი ქცევის ფორმა – თამაში და ა.შ.) გათვალისწინებით ჩავატარეთ კვლევა: ექსპერიმენტის ფორმატი, მეთოდის გამოყენება და ყველა დეტალი, რასაც გულისხმობდა ექსპერიმენტი, მაქსიმალურად შეესაბამებოდა ამ ასაკის ფსიქიკურ თავისებურებებს. წარმოვადგინეთ მხოლოდ იმ ტენდენციებს, რაც ამ პერიოდში სიტყვის გრძნობის უნარის კვლევის შედეგად გამოვლინდა, კერძოდ: უცხო სიტყვების გამოცნობას განსაზღვრავს ურთიერთშესატყვისობის განცდა ბგერათა კომპლექსსა და მნიშვნელობას შორის; ურთიერთშესატყვისის სიტყვები გამოცნობილია მეტი რაოდენობის ცდისპირების მიერ, ვიდრე არაშესატყვისის სიტყვა-წყვილები: ურთიერთშესატყვისის სიტყვები გამოცნობილია მეტი რაოდენობის ცდისპირების მიერ, ვიდრე არაშესატყვისის სიტყვები; თითოეულმა ცდისპირმა უფრო მეტი რაოდენობით შესატყვისი სიტყვები გამოიცნო, ვიდრე არაშესატყვისის სიტყვა-წყვილები; დარწმუნებულობა უფრო ხშირ შემთხვევაში თან ახლავს გამოცნობის სისწორეს, ვიდრე არაშესატყვისის სიტყვები შეფასებას; მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის არ გამოიკვეთა გამოცნობის თვალსაზრისით; განსხვავება შესამჩნევია აღდგენაში – გოგონებმა აჯობეს ბიჭებს; გამოცნობა და აღდგენა პირდაპირ კავშირშია – ვინც მეტი გამოიცნო, მან მეტი აღადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვის გრძნობის უნარი პირდაპირ კავშირშია ლინგვისტურ მეხსიერებასთან; გამოიკვეთა ინდივიდუალური განსხვავებები როგორც გამოცნობის, ისე აღდგენის თვალსაზრისით, რაც ლინგვისტური უნარის განმასხვავებელ მაჩვენებლად შეიძლება იყოს მიჩნეული.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ასაკში ნაჩვენებ სიდიდეებს აქვთ პროგნოსტიკული ღირებულება, ისევე როგორც ეს დადასტურდა ჩვენ მიერ ადრე წარმოებული კვლევის შედეგად. (მ. სირბილაძე, 2008).

უფროს სკოლამდელ ასაკში სიტყვის გრძნობის უნარის გამოვლინების ტენდენციები, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა საფუძვლად დაედოს იმას, რომ თამაშის სიტუაცია, როგორც ამ პერიოდში ბავშვის განვითარების წამყვანი ქცევის სიტუაცია, გამოყენებულ იქნას მეორე ენის დაუფლების რეზერვების ასამოქმედებლად, როგორც ენის შესწავლისათვის მეტად ხელსაყრელი ხელოვნური პირობა, სადაც, ისევე როგორც ბუნებრივ პირობებში, მეორე ენის განწყობის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სირბილაძე მ. – სიტყვის გრძნობას, როგორც ლინგვისტური უნარის, განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში – ქუთაისი, 2008.
2. ჯვარშიევილი ს. – ენობრივი რელატივიზმი და ორენიანობის პრობლემა „მაცნე“. № 2, 1985.
3. Швейцер А.Никольский Л. – Введение в социолингвистику. М.1978
4. Имелалзе Н. Эспериментальные исследования владения и овладения вторым языком, Тб. 1978
5. Grosjean F. Blackwell P.- The psycholinguistics of bilingualism, New-Lok, 2013.
6. Hakes D.-Development of metalinguistic abilities in children. Heidelberg-New-York, 1980.
7. Imedadze N. – The developmeut of metalinguistic ability in bilingual condition –VIII-th international congress for the study of child language. July,1999-San-Sebastian Asque-Country

### რეზიუმე

ბილინგვიზმი, მშობლიური ენის ცოდნასთან ერთად, განსხვავებული საკომუნიკაციო ენის ფლობასაც გულისხმობს. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის პროცესი არნახული სიმძაფრით მოითხოვს ამას. თანამედროვე მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ბილინგვიზმი უფრო მეტია, ვიდრე ორი ენის ცოდნა. აქცენტები კეთდება იმ პრეფერენსიებზე, რაც ორენოვნებას გააჩნია ადამიანის როგორც ლინგვისტური ცნობიერების, ისე ზოგადი კოგნიტური სფეროს განვითარებაზე.

ამ კონტექსტში უპრიანია ბილინგვიზმის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის–ლინგვისტური უნარის გამოვლინების თავისებურებათა შესწავლა, მით უფრო, ადრეულ ასაკში, რადგან, უახლესი მონაცემებით, რაც უფრო ადრე იწყებს ბავშვი მეორე ენის შესწავლას, მით უფრო მრავალმხრივადაა განვითარებული და ხვეწს ე.წ. აღმასრულებელ ფუნქციას, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივ აქტივობებზე.



**Маринэ Сирбиладзе** – Государственный Университет Акакия Церетели, Доктор психологии, ассоциированный профессор

**Билингвизм и тенденции выявления лингвистической способности в старшем дошкольном возрасте**

**Резюме**

Билингвизм предполагается как знание иностранного языка вместе с знанием родного языка - в современной эпохе процесс коммуникации резко требует этого. Современные исследователи утверждают, что билингвизм больше, чем знание двух языков. Акценты сделаны на преимуществах билингвизма как в развитии лингвистического сознания, так и общей когнитивной сферы.

В этом контексте значительно исследовать особенности лингвистической способности, тем более, в раннем возрасте, так как новейшие данные свидетельствуют о том, что изучение второго языка в этом возрасте способствует всестороннему развитию ребенка и совершенствованию т.н. исполнительной функции, которая отвечает за мыслительных активностей.

**Marine Sirbiladze** – Akaki Tsereteli State University Doctor of Psychology, associate professor

**Bilingualism and the Tendencies of Linguistic Aptitude Revealing in the Elder Junior Under School Age**

**Summary**

Bilingualism considers knowing the different communicative language with knowing the native language - modern century demands this with whole firmness, Contemporary investigators assert, that bilingualism is more than knowing two languages. The accents are done on the preferences having bilingualism not only on the improving process of the metalinguistic ability, but on the general cognitive sphere.

In this context it is actual and important to study the revealing peculiarities of linguistic aptitude, more over in the junior age, because according to the newest findings, foreign language

learning in the junior age facilitates many-sided development of the child and perfect the so called executive function responsible for the thinking activities.

**თეა ფანჩულიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტი

**იაგორ ბალანჩივაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### მოზარდთა აგრესია და უახლოესი პერიოდის საგანმანათლებლო პოლიტიკა

#### საკითხის დაყენება

დღეს ხშირად ვსაუბრობთ, რომ ჭარბი ინფორმაციისა და სტიმულაციის, მზარდი ძალადობის, მშობლების უკიდურესი მოუცლევლობის, საზღვარგარეთ წასული მშობლების და ოჯახური ტრადიციების რღვევის პირობებში სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ხდება საზოგადოებრივი რესურსებისა და ძალების კონსოლიდაცია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მიზნით, რაც მოსწავლის პიროვნების განვითარებასა და მის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას აუცილებლად გულისხმობს. საგანმანათლებლო მიზნების აღნიშნული ფოკუსი ძალიან კომპლექსურია და ამდენად მასზე პასუხისმგებლობის აღება დიდი გამოწვევაა როგორც პედაგოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით ასე სასკოლო კულტურისთვის ზოგადად [3].

ბოლო წლებში კი თვალში საცემი გახდა აგრესიული ქცევების გახშირება მოზარდებში, მათი უმეტესობა პრობლემების მოგვარებას და საკუთარი თავის დამკვიდრებას თანატოლთა საზოგადოებაში ცდილობს აგრესიული და ძალადობრივი გზებით.

მასწავლებლები ძალიან ხშირად კლასში წესრიგის დასამყარებლად მიმართავენ დასჯასა და მუქარას, რამაც შეიძლება უფრო გაზარდოს მოზარდის მიდრეკილება ანტისოციალური ქცევებისადმი. ხშირ შემთხვევაში კი დასჯა იწვევს აგრესიას, მისი წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზიც, შეიძლება იყოს. ამ რთულ ვითარებაში სკოლას არა მარტო არა აქვს აგრესიული ქცევის აცილების მექანიზმები, არამედ ზოგჯერ თვითონ ხდება ხოლმე აგრესიული და ძალადობრივი ქცევის მაპროვოცირებელი.

2009 წელს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ჩატარდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მოზარდების 56,74 %-მა (80 მოსწავლე) გამოიცვალა სკოლა და სკოლის გამოცვლის მიზეზებად მიუთითეს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა 38,27%. რიგით მეორე მიზეზად დასახელდა "სხვა" 33,33%, სადაც რესპოდენტებმა დაასახელეს შემდეგი მიზეზები: გარიცხვა, მაგდებდნენ, ცუდი ყოფაქცევა, სიცელქე, კონფლიქტი პედაგოგებთან, ადმინისტრაციამ გამრიცხა, ცუდი ყოფაქცევისა და ცუდი მოსწრების გამო, კონფლიქტი კლასელთან, კონფლიქტი მასწავლებელთან, უსწავლელობა.

ფაქტია, რომ სკოლა გარიცხვას იყენებდა-როგორც სადამსჯელო სანქციას. მართალია პასუხთა ამ კატეგორიაში, ისიც ჩანს, თუ რატომ იღებდა სკოლა ამ გადაწყვეტილებას (კონფლიქტი თანაკლასელთან, კონფლიქტი პედაგოგთან, ცუდი ყოფაქცევა, დაბალი აკადემიური მაჩვენებლები), მაგრამ საინტერესოა რამდენად დადებითად აისახა ეს ყველაფერი ამ მოზარდების პირად ბიოგრაფიაზე?[7]

#### მოზარდობის პერიოდის ასაკობრივი თავისებურებები

მოზარდობის პერიოდი განიხილება, როგორც შუალედური საფეხური ბავშვობასა და მოწიფულობას შორის ამ ასაკში აქტიურად ვითარდება მოზარდის ფიზიკური, სოციალური, კოგნიტური, ემოციური, სქესობრივი მომწიფება და უამრავი ფიქოლოგიური, ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ახდენს მასზე გავლენას.

ა) გარდამავლობის ასაკი ახალ განცდათა სიჭარბით გამოირჩევა. ამ განცდებს ორი ძირითადი ფოკუსი გააჩნია. პირველ ყოვლისა აქ ხაზგასასმელია რევოლუციური სხეულებრივ-ფიზიოლოგიური ცვლილებები. გარდატეხის ასაკს ახასიათებენ, როგორც გარდამავალს, კრიტიკულს, მაგრამ ყველაზე ხშირად, როგორც სქესობრივი მომწიფების ასაკს. [3]

ბ) მეორე მნიშვნელოვანი ახალ წარმონაქმნი, **შემეცნების სფეროს** განეკუთვნება. ჟ. პიაჟეს კონცეფციის მიხედვით 11-დან 12 და 14-15 წლამდე ასაკში ხდება უკანასკნელი ფუნდამენტალური დეცენტრაცია – ბავშვი თავისუფლდება იმ კონკრეტული მიდრეკილებისგან, რომელსაც იგი განიცდის მისი აღქმის ფარგლებში მყოფი ობიექტის მიმართ. ამ ახალ ეტაპზე იგი სამყაროსა და საკუთარ თავს ცვლილების, აბსტრაქტულ მიმართებათა თვალსაზრისით განიხილავს [4].

გ) **მოზრდილის ემოციური ცხოვრება ამ პერიოდში იცვლება, ეცვლებათ ემოციური განწყობილებაც** საკუთარი სხეულის თავისებური კონსტრუქციის განცდისას. რასაც იწვევს პუბერტეტული დისჰარმონია. ამ ასაკში აღნიშნებათ აგზნებისა და გაღიზიანების მაღალი, აწეული დონე, მოზარდის მოქმედება გრძნობების ძლიერი სიცხოველით მიმდინარეობს, ცნობიერებას მთლიანად იკავებენ და სწრაფად ცვალებადობენ ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ამ თავისებურებას ამჟღავნებს სხვადასხვა აქტიობებშიც. გვარდამავალი ასაკის ბოლოს ასეთი კონტრასტულად ცვლადი ემოციური განწყობილებებს, თანდათან ენაცვლება მყარი და პოზიტიური სახის ემოციური განწყობილებები, წინა ასაკისთვის უცხო გრძნობები და ემოციები ჩნდება.

დ) **სოციოგენური მოთხოვნილებები** პროცესიც აქტივობის მოთხოვნილებით აქტივირდება, თავისუფლების მოთხოვნილება მეორე დამიანთან ურთიერთობის გარეშე ჩანს და აქტივობის თავისუფლებას გულისხმობს, დამოუკიდებლობა კი ძირითადად გადაწყვეტილების გამოტანაში ვლინდება. მოზარდი სხვებზე დამოკიდებული და ქცევის არჩევანს რომელიც თვითონ უნდა განახორციელოს სხვები ახდენენ, არ აძლევს პიროვნებად განცდის საშუალებას ამ უკანასკნელის განვითარება კი ამ ასაკში მაღალი ტემპით მიმდინარეობს. მოზარდს, ახლა თვითონ სწყურია დამოუკიდაბელი, თავისუფალი ქცევის აქტები თავის პიროვნებად განსაცდელად. აგრეთვე აქტუალურია პრესტიჟის მოთხოვნილება, რომელიც თავის მხრივ, მაღალი ღირებულებების პიროვნული თვისებების კატეგორიაა, მოზარდებს სურთ საპატიო ადგილი საზოგადოებაში და მისი ღირებულებების გათავისება, მასში შეზრდა თავისი პიროვნების ფორმირებისათვის.

#### **საგანმანათლებლო სივრცის სტრატეგიები**

ახლო წარსულში საგანმანათლებლო პოლიტიკა გვთავაზობდა ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან დაკავშირებით პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზას, კერძოდ ძნელად აღსაზრდელთა სპეციალურ სკოლებს, თუმცა შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეიცვალა მოსწავლეზე ორიანტირებული მიდგომით, მაგრამ ამის დანერგვა არის ძალიან რთული, რადგან ეს საჭიროებს მასწავლებელთა კომპეტენციას. 2008წელს ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა საქართველოს ყველა რეგიონში, აღმოჩნდა რომ გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი აღიარებს ჩვენს ქვეყანაში მოზარდთა აგრესიისა და ძალადობის პრობლემების სიმწვავეს, მაგრამ როდესაც დაისვა კითხვა თუ რომელი ინსტიტუტი შეძლებს მოზარდთა აგრესიისა და ძალადობის პრობლემების მოგვარებას, სკოლას მხოლოდ 4,5% ერგო, ანუ საზოგადოების ნდობა ამ ინსტიტუტის მიმართ ძალიან დაბალია.

რამოდენიმე წლის წინ კი საგანმანათლებლო პოლიტიკა პრობლემის მოგვარების ალტერნატივას მანდატურის ინსტიტუტის დანერგვასა და განვითარებაში ხედავდა, რამაც შესაძლოა მართლაც შეამცირა კრიმინალი სკოლებში, მაგრამ მუდმივად ჩნდებოდა კითხვა რამდენად შესწევს უნარი მანდატურის ინსტიტუტს შეცვალოს მოზარდთა საზოგადოების კულტურა და სუბკულტურა, რის ხარჯზე ხდება სკოლებში დანაშაულის შემცირება და რამდენად ეთმობა ყურადღება საგანმანათლებლო სივრცეში მოზარდთა ფსიქიკურ ჯამრთელობას. ასევე მნიშვნელოვანი კითხვაა, რა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს მოზარდი ძნელად აღსაზრდელად, ვინ უნდა მოახდინოს ამ კრიტერიუმებისა და რეალური ფაქტების შეპირისპირება და როგორია პედაგოგთა და მანდატურთა კომპეტენცია ამ საკითხებთან მიმართებაში. შესაბამისად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სკოლის ფსიქოლოგის ჩართულობა მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობისათვის.

2013წ. საგანმანათლებლო პოლიტიკამ აღნიშნული პრობლემის მოვლის მიზნით მანდატურის სამსახურის ქუდქვეშ შექმნა ფსიქოლოგიური ცენტრები სხვადასხვა რეგიონებში, რომლიც უწევს ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და მასწავლებლებს.

### დასკვნა/რეკომენდაციები:

- ბავშვებთან/მოზარდებთან დაკავშირებულ ფსიქო-სოციალური ხასიათის სხვადასხვა სახის კვლევების განხორციელება, რადგან მოხდეს ადექვატური და მოზარდთა საჭიროებაზე დაფუძნებული ზრუნვის გეგმის შემუშავება.
- შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები და შეიქმნას ტრენინგ მოდულები, რომელიც დაეხმარება პედაგოგს რთული ქცევის მოზარდებთან მუშაობაში.
- მოზარდობის პერიოდი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში და მათ ჭირდებათ თავრძნობა და მხარდაჭერა ცხოვრების ამ რთულ ეტაპზე.
- სკოლიდან გარიცხვა-როგორც სადამსჯელო ღონისძიება ზრდის რისკებს მოზარდი ჩამოყალიბდეს ანტისოციალურ პიროვნებად.
- მნიშვნელოვანია რთულ სიტუაციებში გაერთიანდეს პედაგოგი, მანდატური, მშობელი და სკოლამ მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების მიხედვით.

### ბიბლიოგრაფია

1. (ნ. დურგლიშვილი) აგრესიისა და ძალადობის გამომწვევ ფაქტორთა კვლევა 2008წ.GIP
2. თამარ გაგომიძე “ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები” (2007წ.)
3. მოზარდობის ხანის თავისებურებები და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრობლემები საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე 2007 №1-ქეთევან მაყაშვილი
4. Грейс Крайг – Психология р азвития. 7-е международ. издание.Питер. 2000
5. შოთა ჩხარტიშვილი განვითარების ფსიქოლოგია
6. Е. Ериксон – Детство и Общество. университетская книга 1996. Петербург.
7. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევის პროექტი,პროექტის ექსპერტი და კვლევის შედეგების ანალიზის ავტორი: მია ცირამუა. (2009წ.)
8. D. Ford, John F. Chapman, Josephine Hawke, and David Albert.**Trauma Among Youth in the Juvenile Justice System:Critical Issues and New Directions.**(2007)Julian
9. Rtkdby C {jk Ufhlyth Kbylctb\_ Ntjhbfb Kbyxjcnb \_Vjcrdf RCG 1997



### რეზიუმე

მოზარდობის პერიოდი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი მოზარდის ცხოვრებაში, ამ პერიოდში ყველაზე მეტ სირთულეებს სწორედ სკოლაში ავლენენ. ხშირდება დესტრუქციული და ანტისოციალური ქცევები, უტევენ პედაგოგებს, შლიან გაკვეთილებს, ხშირდება აგრესიული ქცევები თანატოლთა შორის. უახლოეს წარსულში კი საგანმანათლებლო პოლიტიკა პრობლემის მოგვარებას მანდატურის სამსახურში ხედავდა, რომლის წყალობითაც შესაძლოა მართლაც შემცირდა ძალადობის ფაქტები სკოლაში, თუმცა ეს არ იყო საკმარისი რთული ქცევის მოზარდებთან წარმატებული მუშაობისათვის და 2013 წ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრები, რომლის მიზანიცაა ფსიქო-სოციალურ მომსახურება, ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირების, მათი ოჯახის წევრების და მასწავლებლების.

**Tea Panchulidze** – ССИП докторант факультета науки и искусства

**Iagor Balanchivadze** – академический доктор образования, ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

### Агрессия подростков, политика образования ближайшего периода

#### РЕЗЮМЕ

Подростковый период – один из самых сложных периодов в жизни подростка. Наибольшие трудности в этот период проявляются именно в школе. Учащаются деструктивные и антисоциальные поведения, ополчение на педагогов, срыв уроков, вплоть до агрессивности напрягаются отношения между сверстниками. В ближайшем прошлом образовательная политика представляла урегулирование проблемы посредством мандатной службы, благодаря которой, возможно, в школе и впрямь сократились факты насилия, однако этого было явно недостаточно для успешной работы с подростками со сложным поведением. И в 2013 году в различных регионах Грузии были созданы психологические службы мандатной службы, цель которых заключается в психо-социальном обслуживании лиц, страдающих психологическими проблемами и поведенческим нарушением, членов их семей и преподавателей.

**Tea Panchulidze** - PHD student at the Ilia state university Faculty of Sciences and Art.

**Iagor Balanchivadze** – Akaki Tsereteli State University Academic Doctor of Education, Associated Professor

### Agrressive behavior in juvenile and the contemporary aducation policy

#### SUMMARY

Adolescence is one of the most difficult periods in the life of a teenager. The greatest difficulties in this period is displayed at school. Destructive and antisocial behavior, the militia on teachers, frustrating lessons and aggressive tense relationship between peers frequently takes place. In the recent past educational policy thought that the problems can be solved by the officers of the education resource officers, perhaps at school really reduced the facts of violence, but it was not enough to successfully work with children with challenging behavior and in 2013 in different regions of Georgia were established psychological services of the office of the resource officers, which aims to psycho- social services for persons suffering from psychological problems and behavioral disorder, their families and teachers.

**ბადრი ფორჩხიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ფილოსოფიის აკად. დოქტორი.

### ცოდნის, გაგებისა და განათლების ფუნქციური თავსებადობის პრობლემა

ცოდნას, გაგებასა და განათლებას, ზოგად-ფილოსოფიური განსაზღვრულობისა და დადგენის თვალსაზრისით, არაერთმნიშვნელოვანი დანიშნულება და ფუნქცია გააჩნია. მართალია, შინაგანი სტრუქტურული წყობისა და მიზანდასახულობის საერთო მახასიათებლების გარეშე, ისინი უბრალოდ აზრს კარგავენ, თუმცა განსხვავებული სპეციფიკის ფარგლებში მოიპოვება არაერთი ისეთი ნიშანდობლივი მიზეზი, რის გამოც უშუალოდ შემეცნების (შესწავლის), სწავლების, შედარებითი ანალიზის, სინთეზური შეჯ. ერებისა და შეფასების პროცესში, თავს იჩენს სერიოზული ანტინომიური წინააღმდეგობანი, რომელთა პრობლემური დასმისა და გადაწყვეტის რაციონალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები უფრო მეტი რელიეფურობით და დამაჯერებლობით წარმოაჩენს საერთოდ სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აღზრდის სისტემაში არსებულ სიმწიფეს, ნაკლოვანებებს, რაც ადეკვატურ, ეფექტურ და ქმედით ღონისძიებათა დასახვის წინაპირობაა.

ჯერ კიდევ, ძველი ბერძნული ფილოსოფიის კლასიკოსების სწავლების მიხედვით, ცოდნა გახლავთ, რაიმეს შესახებ, სავარაუდო შეხედულებისაგან განსხვავებული, სარწმუნო, ჭეშმარიტი წარმოდგენა. ასეთი განსაზღვრება შემუშავებულ იქნა პარმენიდეს მიერ (ბერძ. შეხედულება\_დოქსა, ცოდნა\_ეპისტემე). არისტოტელეს თანახმად, ცოდნას შეიძლება გააჩნდეს იტუიციური (უშუალო), ან დისკურსიული, გამოუალელებული დასკვნისა და ლოგიკური დასაბუთების სახე. თავის მხრივ, ცოდნისა და რწმენის პრობლემა ფუნდამენტურად დადგა შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და თეოლოგიაში, სადაც სქოლასტიკის მიერ ერთმანეთისგან გაიმიჯნა აპრიორული (ცდისგან დამოუკიდებელი) და აპოსტერიორული (ცდაზე დამოკიდებული ცოდნა). ახალ დროში, ცოდნის თეორიამ განვითარება ჰპოვა კანტის გნოსეოლოგიურ კონცეფციაში, ცალმხრივი რაციონალიზმისა და ემპირიზმის მიერ შემოთავაზებულ ცოდნის წყაროთა საპირისპიროდ. ჰეგელთან ობიექტური და ჭეშმარიტი ცოდნა დგინდება, აბსოლუტური იდეის მიერ განხორციელებული თვითშემეცნების ლოგიკურად გაცხადებული თანმიმდევრობის ისტორიულ პროცესში, რასაც გლობალური მასშტაბი ენიჭება. მარქსისტულ ფილოსოფიაში ცოდნა\_პრაქტიკაში განხორციელებული სინამდვილის შემეცნების გადამოწმებული შედეგია, რომელშიც ასახულია ადამიანის აზროვნების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი; გაგებისა და გამოცდილების ფლობის უნარი, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს სათანადო მსჯელობისა და საკვანძო დასკვნების მეშვეობით, მივაკვლიოთ სრულყოფილ ცოდნას (Философский энциклопедический словарь. 1998. 576). მაქს შელერის ანთროპოსოციალური კონცეფციის მიხედვით, ცოდნა წარმოადგენს არსებულის კონკრეტული ყოფიერების გამოვლინების შიგნით მონაწილეობას, რომლის წანამდვარიც გახლავთ ასევე მონაწილეობა ტრანსცენდენციურად ნამდვილ ყოფიერებაში. ფორმალური კუთხით, ეს მონაწილეობა წარმოადგენილია სიყვარულის სახით, როგორც საკუთარი თავის სხვისთვის მიძღვნა და გადაცემა. შელერი თვლის, რომ პირველ რიგში, ცოდნა უნდა ემსახურებოდეს პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასეთ შემთხვევაში ცოდნას გააჩნია განმანათლებლური ხასიათი; მეორე რიგში, მსოფლმხედველობის გამომუშავება, ანუ სავარაუდოდ, უმაღლესი პრინციპებისა და ღირებულებების გათვითცნობიერება, როგორც კონკრეტული (Sosein), ისე უნივერსალური ყოფიერების მასშტაბით. ეს პრინციპები აღწევენ ადამიანური და ყოველგვარი იდეალური არსების შინაგან გარკვეულობამდე, რასაც ეწოდება ღვთიურობასთან წილნაყარი ცოდნა. და ბოლოს, მესამე რიგში, გვიჩნდება სამყაროზე გაბატონებისა და არსებულ სინამდვილის გარდაქმნის მიზანი, რათა იგი დაფუძვემდებაროთ საკაცობრიო იტერესებს. „ეს არის ცოდნა პოზიტიურ მეცნიერებათა; ცოდნა-მოქმედებისა და ბატონობისა“ (Sheller. M. 1926. 156.).

ჩვენის მხრივ, ცოდნის სპეციფიკის გარკვევისა და ნათელყოფის მიზნით, საჭიროდ მივიჩნევთ ცოდნის უმთავრეს საფუძვლად ვაღიაროთ შინაგანი, ბუნებრივად თანდაყოლილი მისწრაფება ყოველივე არსებულის წარმომავლობის წვდომისა და გაგებისაკენ, რაც არავითარი მოტივაციითა და

საბაბით არაა დაკავშირებული ადამიანის პრაქტიკული სარგებლიანობით განპირობებულ პრაგმატულ იტერესებთან. უფრო მეტიც, ჭეშმარიტი ცოდნის მიღების ქვეცნობიერი ლტოლვა გარკვეული სახის თავგანწირვადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, იმდენად, რამდენადაც ნებადართული და სავალდებულო სწავლება-შემეცნების გვერდით, ან სულაც მის საპირისპიროდ, იგი ერთგვარი აკრძალული ხილის იდუმალი და გრძნეული სიტკბოების გასინჯვის წყურვილის მძაფრი, მგზნებარე განცდაა; სწორედ ამავ საკვანძო პუნქტში უნდა განვიხილოთ გაგების ცნების ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობისა, თუ საზრისისეული ფუნქციების თავისებურებანი.

გაგების პრობლემა, გადამერის მიხედვით, წარმოადგენს ნებისმიერ ტექსტთან დამოკიდებულებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გააზრების გამოცდილებას, გააზრებისა, რომელიც ენის საშუალებით წარმოებული თვითგამოხატვის პროცესის განუწყვეტელი გაგრძელების აქტა ერთობლიობაა. ეს პროცესი არასოდეს არ იწყება ნულიდან და არასოდეს არ უერთდება უსასრულობას (Гадамер X. 1991. 15). ყოველ იტერპრეტატორს გადამერი არა მხოლოდ უტოვებს ტექსტის ინდივიდუალური წაკითხვის შესაძლებლობას, არამედ კიდევ ავალდებულებს მის ხელახალ კვლავ გააზრებასა და გადაფასებას, თუნდაც „გადაწერას“. ტექსტის ინტერპრეტაციაში ის არა პირველადი ავტორისეული ვარიანტის აღდგენას გულისხმობს, არამედ საკუთარი ავტორისეული ტექსტის შედგენას, რომლის წყაროდ გადამერი ასახელებს ინტერპრეტატორის საკუთარ ჰერმენევტიკულ გამოცდილებას. ეს გამოცდილება გვანიჭებს გაგების ერთგვარ ალგორითმს. ამდენად, „მე“-ს გამოცდილების შედეგად, ყალიბდება გაგების ჰორიზონტის ფორმირების წარმართველი ვექტორი. გადამერის შეხედულებით, გაგება მდგომარეობს არა ტექსტის სავალდებულო ინტერპრეტაციაში, არა იდეის რეკონსტრუქციასა და ინტერპრეტირებულ თვალსაზრისში, არამედ საკუთარ სააზროვნო პროცესთა აქტივაციაში, კითხვა-პასუხის სისტემაში მოქცეულ დიალოგთა გაფორმების გზით. ტექსტის ინტერპრეტაცია პროდუქტიული ხდება მხოლოდ ჰერმენევტიკული გამოცდილების შემოქმედებითი ძალისხმევით. სოციალური კონფორმიზმის სტერეოტიპთა რაკურსით პროეცირებული გაგება კი გვევლინება მარტოდენ ურთიერთობათა ინსტრუმენტად, რომლის ფარგლებში შეზღუდული ცხოვრებაც არის ფსევდო-ცხოვრება, სუროგატი. ეს სხვა არაფერია, თუ არა სოციოკულტურულ პირობებში, ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის ჩამოწერის მექანიზმი. აქ იგი სავსებით იზიარებს არსებობისა და არსის ურთიერთგაიგივების უარყოფის მ. ჰაიდეგერისეულ თეზისს და წარმოგვიდგება ექსისტენციალისტად.

გადამერის აზრით, გაგება არაა აზროვნებითი ანალიზის აქტი, ის ტექსტზე მოაზრების რაღაც საბაბია, რომლის მსვლელობაშიც, ინტერპრეტატორი აღწევს თვითდამკვიდრებას. სხვებთან შეხვედრისას (ონტოლოგიური მნიშვნელობით), „მე“-ს გამოცდილების პარალელურად ყალიბდება „შენ“-გამოცდილება. ასეთნაირი გაგება ადამიანური მოღვაწეობის ბაზისად გვესახება, რამდენადაც ნამდვილი საზრისის ჩამოყალიბება ხდება „მე“-სა და „შენ“-ს შორის დიალოგით. საზრისის დაბადება გაგების ინიციატორის ფუნქციას ასრულებს, შეიძლება ითქვას, საზრისი ჩატნეულია სიცოცხლის მთელ სისქესა და სიმჭიდროვეში. ყველაზე საინტერესო და ანგარიშგასაწევი, გაგებასთან დაკავშირებით, გახლავთ გადამერის მოძღვრება ცრურწმენების შესახებ. იგი ილაშქრებს ცრურწმენათა ტრადიციული შეხედულების წინააღმდეგ, რომელსაც ეს ესმის, როგორც ჩვეულებრივი სიყალბე და იგი ასოცირდება რაღაც სუბიექტურთან, დრომოჭმულთან და უაზრობასთან. აღორძინების ეპოქისა და განმანათლებლობის ლოზუნგიც იყო: „გაწმინდოთ გონება ცრუ-რწმენებისაგან“, პირველ ყოვლისა, რელიგიური ცრურწმენებისგან (Гадамер X. 1977. 59-67).

ცრურწმენა გვევლინება გაგების წინასწარ მოსამზადებელ პირობად, რომელიც ხელდასმულია კულტურაში ფესვგადგმული ტრადიციის, სოციალური ნორმებისა და ამა თუ იმ სტანდარტული ცხოვრების სტილის მიერ. ამიტომაც არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ძალუმს თავი დააღწიოს ცრურწმენათა ზეგავლენას. მოცემულ კონტექსტში ცრურწმენა წამოყენებულია ადამიანური ცხოვრების წანამძღვრის რანგში, რასაც ექვემდებარება მთელი აზროვნება და გაგება. რამდენადაც არ არსებობს უწანამძღვრო აზროვნება, იმდენად არ არსებობს ცრურწმენებისგან თავისუფალი და დაზღვეული გაგება. პრობლემის განხილვისას ნათლად იკვეთება, თუ როგორი კვალი დაამჩნია გადამერის შეხედულებებზე კარლ გუსტავ იუნგის მოძღვრებამ კოლექტიური არაცნობიერის



შესახებ. პრობლემის აქტუალობაც სწორედ თავს იჩენს ცოდნისა და გაგების იმ ქვეშეცნულ „მანკიერებებსა“, თუ კლასიკური სწავლა-აღზრდისთვის შეუსაბამო ნეგატიური ფაქტორების კანონზომიერი როლისა და მოქმედი ფუნქციების განსაზღვრულობაში, რომლის აღმოფხვრის მიზნითაც მიმდინარეობს მთელი პედაგოგიური მოღვაწეობისა და განმანათლებლობის ისტორიულად დამკვიდრებული პროცესი. თუ ერთ შემთხვევაში, ცოდნის წარმომავლობას ვაფუძნებთ „აკრძალული ხილის“ იდეაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, გაგების უნარ-შესაძლებლობის წანამდგრად ვაცხადებთ „ცრურწმენას“, გამოდის, რომ ორივე ვითარებაში ადგილი აქვს იმ ძირეულ მიზანდასახულობასთან დაპირისპირებასა და წინააღმდეგობას, რისთვისაცაა ისინი საყოველთაოდ მისაღები გამართლებული. ცოდნისა და გაგების ფუნქციათა თავსებადობის პრობლემასთან მიმართებაში მეტ სიცხადეს და გარკვეულობას შეიტანს განათლების პროცესისთვის დამახასიათებელი ფუნქციების მიმოხილვა, რისთვისაც ინტერესმოკლებული არ იქნება ჯ. დიუის თვალსაზრისის გათვალისწინება.

დიუის განათლების კონცეფციის ძირითადი პოსტულატის არსი განისაზღვრება იმით, რომ ერთი მხრივ, განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას თუ სამსახურისთვის მოსამზადებელ წვრთნას. მეორე მხრივ, განათლების სოციალური ფუნქცია სხვა დანარჩენ ფუნქციებზე მაღლა დგას. დიუის კონცეფცია პოპულარულს ხდის პროგრესივისტული განათლების მიმდინარეობას. პროგრესივიზმის მიხედვით, წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და სოციალურ ინტერაქციით ცოდნის მიღება. პროგრესივიზმის მთავარი სლოგანია „სწავლა კეთებით“. საკუთარი იდეების პრაქტიკული რეალიზაციისთვის, დიუი ექსპერიმენტულ სკოლებს აარსებს, სადაც მოსწავლეები დილის ერბოკვერცხის მომზადებისას საბუნებისმეტყველო საგნებს სწავლობენ (Дьюи Дж. 2000. 72-75). დიუი, თავის ნაშრომში, განათლება და გამოცდილება (1938) ემიჯნება პროგრესივიზმის ერთერთ მთავარ მოტივს, რომ მაქსიმალური თავისუფლება მოსწავლეებს მაქსიმალური თვითრეალიზებისა და შეცნობის საშუალებას აძლევს. მისი აზრით აქ ირღვევა გამოცდილების მიღების მთავარი პრინციპი. განათლება დიუის აზრით, მთავარი მექანიზმია სოციალური პროგრესისთვის. განათლების ერთერთი უმთავრესი ამოცანაა იდეების და გამოცდილების გაზიარება იქამდე, სანამ ის სოციალური კუთვნილება არ გახდება. განათლება დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტია და საზოგადოების ზრუნვის უმთავრესი საგანია. ინდივიდუალური და სოციალური მიზნები ერთია, ისევე როგორც განათლების მიზანი და პროცესი. ინდივიდუალური გამოცდილების რეკონსტრუირება მხოლოდ სოციალური, კოლექტიური შეგნების ფარგლებშია შესაძლებელი. განათლება დიუის მიხედვით, სწორედამ რომ ამ ორი შემადგენლის ორგანიზებული ურთიერთობაა. „ჩემი პედაგოგიური კრედიო დემოკრატია და განათლება“ (იქვე. 127). დიუის საზოგადოებრივი საქმიანობიდან უმნიშვნელოვანესია აკადემიური თავისუფლების დაცვისთვის ბრძოლა. სწორედ ამ მიზნით 1915 წელს მისი თაოსნობით დაარსდა უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაცია. დიუი აქტიურად იცავდა ფილოსოფოს ბერტრან რასელს, რომელიც ამორალური აზროვნებისთვის 1940 წელს ნიუ იორკის ქალაქის კოლეჯის პროფესორობიდან დაითხოვეს. დიუის პრაგმატიზმის ფილოსოფიის გავლენა ყველაზე უფრო თანამედროვე ამერიკელ ფილოსოფოსს, რიჩარდ რორტს ემჩნევა, რომელმაც თითქოსდა მივიწყებული პრაგმატიზმის იდეები კვლავ გააცოცხლა. განათლებაში დიუის გავლენამ პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა გამოცდილებითი განათლების კონცეფციაში და ე.წ. Outward Bound („გარეგან მიმართული“) სკოლების გაერთიანებაში (Smith M. J. 1939. 15-19). გამოცდილებითი განათლების მაგალითებია დღეს ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორცაა სწავლა თავგადასავლებით, სწავლა სერვისით და სხვ. პროგრესივისტული განათლების ერთერთი უმთავრესი გაერთიანება ამერიკაში ტ. საიზერის თაოსნობით დაარსებული ძირეული სკოლების კოალიცია (Coalition of Essential Schools).

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული ნიმუშები მხოლოდ ნაწილობრივ ართმევს თავს ჩვენს წინაშე დასახულ პრობლემას, ამის გარდა, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ყველა ეპოქისა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული კონცეფცია, რათა თანამედროვე განათლების სისტემა დიფერენცირებულად და სპეციფიკურად



უდგებოდეს სახვადსხვა სოციალური ურთიერთობის წარმონაქმნებს და ითვალისწინებდეს თითოეული მათგანის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

#### ლიტერატურა:

1. Гадамер Х.-Г. Актуальность прекрасного. – М.: Прогресс, 1991.
2. Гадамер Х.-Г. Истина и метод. – М.: Прогресс, 1977.
3. Дьюи Дж. Демократия и образование / Пер. с англ. — Москва: Педагогика-пресс, 2000.
4. Философский энциклопедический словарь. – М.: Инфра-М. – 1998.
5. Sheller. M. «Erkenntnis and Arbeit», в «Die Wissensformen und die Gesellschaft», Berlin., 1926.
6. Smith M. J. Dewey and moral education. Wash., 1939.

#### რეზიუმე

ცოდნას, გაგებასა და განათლებას, ზოგად-ფილოსოფიური განსაზღვრულობისა და დადგენის თვალსაზრისით, არაერთმნიშვნელოვანი დანიშნულება და ფუნქცია გააჩნიათ. უშუალო შემეცნების (შესწავლა), სწავლების, შედარებითი ანალიზის, სინთეზური შეჯერებისა და შეფასების პროცესში, თავს იჩენენ სერიოზული ანტინომიური წინააღმდეგობანი, რომელთა პრობლემური დასმისა და გადაწყვეტის რაციონალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები რელიეფურობით და დამაჯერებლობით წარმოაჩენენ საერთოდ სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აღზრდის სისტემაში არსებულ ძირითად სიმწელებებს.

**BADRI PORCHKHIDZE** - Associative professor; The academic doctor of the philosophy and Psychology Department of Kutaisi ATS University.

#### The functional conciliation problem of knowledge, comprehension and education

##### Summary

The knowledge, comprehension and education have complicated engagement and function to point of view general-philosophical determination and establishment. In the process of immediate cognition (study), teach comparative analysis, synthetically summation and estimation, are appearance serious antonymous resistances, which rational-methodological approaches of statement and work out the problems performance essential existed difficulties in system of education and pedagogical training.

**БАДРИ ПОРЧХИДЗЕ** - Ассоциированный профессор; академический доктор Департамента философии и психологии, Кутаисского АЦГ Университета

#### Проблема функционального совмещения знания, понимания и образования

##### Резюме

С точки зрения общепедагогического определения знание, понимание и образование имеют неоднозначную функцию и назначение. В процессе непосредственного познания (изучения), учения относительного анализа синтетического суммирования и переоценки возникает целый ряд серьезных антиномических препятствий, в котором рационально-методологические отношения проблемного постановления и решительностей продвигаются во всей рельефности и убедительности существенных основных трудностей в системах образования и педагогического воспитания.

**ლილი ქორიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების დოქტორანტი

### ცვლილებების ინოვაციური ფორმულა განათლებაში

21-ე საუკუნე მოითხოვს განათლების შესახებ დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ფუნდამენტურ ცვლილებებს. განათლება აღარ შეიძლება იყოს მოქცეული ერთი ქვეყნის ან ერთი ერის პერსპექტივის ჩარჩოებში. განათლება დამყარებული უნდა იყოს მსოფლიოს ღირებულებებზე, რომლებიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროს გლობალურ კონტექსტში ანალიზისა და შესწავლის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე განათლების ფილოსოფიის ფუძემდებელი, პედაგოგი და ფილოსოფოსი ჯ. დიუი ამბობს: „ყოველი თაობა ცდილობს ისეთი ცოდნა მისცეს ახალგაზრდობას, რომ მათ შეძლონ თანამედროვე სამყაროში ცხოვრება, და არა ისეთი, სადაც გათვალისწინებული იქნება განათლების საბოლოო მიზანი: ხელი შეუწყოს უმაღლესი ჰუმანურობის განხორციელებას საუკეთესო საშუალებებით“. (დიუი, განათლება და დემოკრატია, გვ 99). მართლაც, სამყარო გამუდმებით იცვლება. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. სამყარო, რომელიც გვაქვს დღეს ძალიან ცოტათი თუ ჰგავს იმ სამყაროს, როდესაც ჩამოყალიბდა ამჟამინდელი საგანმანათლებლო ხედვა. გლობალური ცვლილებები მოითხოვს ხალხისაგან ახალ, ძლიერ და კარგად განვითარებულ კომპეტენციებს, ინოვაციურ და შემოქმედებით, პრობლემაზე ორიენტირებულ, თანამშრომლობით სწავლებასა და მუშაობას. ისმის კითხვა: არის თუ არა ჩვენს მიერ გამოყენებული პედაგოგიკა ეფექტური? ემსახურება თუ არა ის მიზანს? არის თუ არა სწავლა ადვილი? ჩვენი პედაგოგიკა და მეთოდიკა უნდა ასახავდეს იმ ღირებულებებს, პრინციპებსა და ორიენტაციას, რისკენაც ჩვენ მივიღებთ, რაც გვინდა, რომ გადავცეთ და განვახორციელოთ შემსწავლელელებში.

ვართ თუ არა მზად ჩვენ იმისათვის, რომ შევიცვალოთ? ამ კითხვაზე პასუხი რთულია. დ. გლეიქერის ფორმულა დაგვეხმარება გავერკვიოთ იმაში, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ ვართ თუ არა მზად ცვლილებებისთვის:  $C=(ABD)>X$ ; სადაც C არის ცვლილება, A არის არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, B არის სასურველი მდგომარეობა, D არის პრაქტიკული ნაბიჯები სასურველი მდგომარეობისაკენ, ხოლო X არის ცვლილებების ღირებულება, ფასი.

არსებული მდგომარეობის არადამაკმაყოფილებელი(A) დონე ეჭვგარეშეა, რომ მაღალია, თუკი ჩვენ მოვუსმენთ მშობლებს, შემსწავლელებს, დასაქმებულებს და ფართო საზოგადოებას იმის შესახებ თუ რას ამბობენ განათლებაზე. ევროსაბჭოსა და პესტალოცის პროგრამის წარმომადგენლებმა 2014 წლის 24 მარტს სტრასბურგში გამართულ კონფერენციაზე: „მასწავლებლის პროფესიული იმიჯი და კულტურა“, განიხილეს 21-ე საუკუნის მასწავლებლის მანიფესტი, სადაც გარკვევით არის საუბარი თუ როგორია სასურველი მდგომარეობა განათლებაში(B) და რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ შეიცვალოს განათლების სისტემა(D).

ქვემოთ წარმოგიდგენთ ევროსაბჭოს წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებს:

#### ა) იმუშავეთ მოტივაციის ამაღლებაზე:

- მოიაზრეთ სწავლება, როგორც მოგზაურობა, გაითვალისწინეთ რა მოხდა ადრე, რა ხდება ეხლა და რა მოხდება მომავალში;
- მოსწავლეებთან ერთად ჩამოაყალიბეთ შეფასებისა და წარმატების ფუნქციები და კრიტერიუმები;
- წახალისეთ მოსწავლეები ურთიერთობებისთვის, თითოეული მოსწავლე თავს უნდა გრძნობდეს ჯგუფის წევრად, გაითვალისწინეთ, რომ ურთიერთობები დიდ როლს თამაშობენ მოსწავლეთა იდენტურობის კონსტრუქციაში.
- დააბალანსეთ კლასში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოყენება.

ბ) შექმენით მზრუნველობითი და კითხვა-პასუხის ხელისშემწყობი ურთიერთობები, ცოდნის გაზიარების ხალისი კლასში:

- ხელახლა მოიფიქრეთ კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნის გაზიარებას(ვინ რა იცის?);

- გამოიყენეთ თანამშრომლობითი პრინციპები და სტრუქტურები და არაკონკურენტული მიდგომები და აქტივობები, ყურადღება გაამახვილეთ კოლექტიურ ინტელიგენციაზე;

**გ) სკოლა მოიაზრეთ, როგორც ერთი მთლიანი(კლასები, სპორტული მოედნები, ბუფეტი, ადმინისტრაცია) და როგორც სოციალური ცხოვრება:**

- გამოყავით დრო და რესურსები ურთიერთობების აგებისათვის, ტოლერანტობისა და პატივისცემის დამყარებისათვის;
- ხელი შეუწყვეთ სკოლაში კონფლიქტების მოგვარებას და მათ დროულად აღმოფხვრას;
- სცადეთ განავითაროთ ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა;
- შექმენით სკოლაში დემოკრატიული გარემო, სადაც მოსწავლეთა თვალსაზრისები იქნება მოსმენილი და გათვალისწინებული;
- დაგეგმეთ პროექტები, სადაც მოზარდები ერთად უხელმძღვანელებენ ურთიერთშეთანხმებულ სასწავლო მოქმედებებს;
- ხელი შეუწყვეთ სკოლის ურთიერთობას გარე სამყაროსთან;
- შექმენით ისეთი სასკოლო გარემო სადაც პასუხისმგებლობას იზიარებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, მუნიციპალიტეტი, მოქალაქეები და ა.შ.

**დ) დაამყარეთ ცოდნასთან სხვა ურთიერთობები, გადადით ცოდნის უბრალო გადაცემიდან ცოდნის კონსტრუქციაზე, ცოდნის შექმნაზე, თვით-შეფასებასა და ვალიდობაზე:**

- წახალისეთ მოსწავლეები ფიქრისა და კვლევისათვის, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სწავლების პროცესში;
- დაუთმეთ დრო მეტაკოგნიციას;
- ხელი შეუწყვეთ სკოლაში ავტონომიის დამყარებას;
- შექმენით ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კრიტიკულ ანალიზსა და არჩევანის გაკეთებას;
- ხელი შეუწყვეთ თანამშრომლობით მუშაობას.

**ე) ხელი შეუწყვეთ ცოდნის მრავალფეროვან გადაცემას:**

- თვალყური ადევნეთ და პროფესიონალურად განიხილეთ ცოდნის შექმნის ცვალებადი წყაროები, აირჩიეთ ყველაზე უფრო ვალიდური ცოდნის შექმნის წყარო;
- იმუშავეთ მოტივაციის ამაღლებაზე, სწავლებისას გამოიყენეთ საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომუნიკაციის წყაროები, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ციფრული სივრცე არის დამხმარე წყარო და არა თვით სწავლების მიზანი;
- ეფექტურად მართეთ დრო და შექმენით სწავლისათვის შესაბამისი გარემო(საკლასო ოთახი, დრო, დისციპლინა), რეგულარულად გამოიყენეთ საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- ხელი შეუწყვეთ სკოლაში არაფორმალურ სწავლებას;
- აამაღლეთ სასწავლო დისციპლინებს შორის კავშირი და შექმენით მაკავშირებელი რგოლები მათ შორის, ჩამოაყალიბეთ ინტერდისციპლინარული პროგრამა;
- აუხსენით მოსწავლეებს სხვადასხვა საგნებს შორის კავშირის მნიშვნელობა;
- დროულად გაარკვიეთ არის თუ არა მოსწავლეთა ცოდნა რელევანტური და რეალურ გამოცდილებაზე დამყარებული;
- გამოიყენეთ ისეთი პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები, რომლებიც ჩართავენ ცოდნასა და უნარებს სხვადასხვა დისციპლინებიდან;

**ვ) შექმენით პერსონალური და კოლექტიური ექსპერტიზა:**

- ხელი შეუწყვეთ მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ჩაერთეთ კვლევაში, დისკუსიაში და დაკვირვებაში;
- ხელი შეუწყვეთ თანამშრომლობით მუშაობას სკოლაში;
- იმუშავეთ მასწავლებელთა ავტონომიასა(აკადემიურ თავისუფლებასა) და გუნდურ მუშაობას შორის დაძაბულობის აღმოფხვრაზე.

**ზ) გაარკვიეთ რას ელოდება საზოგადოება სკოლისაგან:**

- დაიწყეთ დებატები სკოლის სოციალური პრიორიტეტების შესახებ;

- თვალყური ადევნეთ სკოლის მრავალფეროვან მისიებს: მეცნიერული მისია(ფართო ცოდნის ბაზის განვითარება), სამოქალაქო მისია(თანასწორუფლებიანობის წახალისება და აქტიური მოქალაქის აღზრდა), ეკონომიკური მისია(პროფესიული პროექტების განვითარება და სამყაროს ინტეგრაცია), პირადი განვითარების მისია(პერსონალური განვითარების ხელისშეწყობა).
- მოიფიქრეთ სკოლის სპეციალური სტატუსი( მაგალითად: სწავლების ადგილი, სადაც ყველას აქვს უფლება დაუშვას შეცდომა).

#### თ) შექმენით საერთო რეგიონალური პროექტები:

- უზრუნველყავით მდგრადი და ჰარმონიული ურთიერთობები სხვადასხვა პარტნიორებთან;
- მოიაზრეთ სკოლა, როგორც რეგიონალური განვითარების წამყვანი კულტურული ელემენტი.

ამრიგად, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სწავლების მეთოდები და მიდგომები, რომელიც დაეხმარება მომავალ თაობას ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში, როგორც დემოკრატიულ პროცესებში ჩართულმა მოქალაქეებმა. სკოლა უნდა ვაქციოთ ეფექტურ დაწესებულებად, სადაც ასპარეზი ეძლევა შემოქმედებითობას. დემოკრატიულ გზაზე დადგომა სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისაკენ წინ გადადგმული პრაგმატული ნაბიჯია, რისი საშუალებითაც სკოლაში მიმდინარე სწავლის პროცესი სასიამოვნო და უფრო ეფექტური ხდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. ბრეტი, პ. მომპონტ-გელარდი, მ. სალემა - „რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“. ევროსაბჭოს გამოცემა, თარგმანი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
2. ჯ. დიუი - „დემოკრატია და განათლება“, თბილისი, 2010.
3. “Proposal for a Teacher Manifesto for the 21<sup>st</sup> Century”- Council of Europe and Pestalozzi Program conference: The professional image and ethos of Teacher. Strasbourg, 2014.
4. J. Huber – Teacher Education for change, Publishing Editions Council of Europe , Strasbourg, 2010.
5. J. Huber, C. Reynolds – Developing intercultural competence through education, Publishing Editions Council of Europe, Strasbourg, 2014.

#### რეზიუმე

21-ე საუკუნე მოითხოვს განათლების შესახებ დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ფუნდამენტურ ცვლილებებს. განათლება აღარ შეიძლება იყოს მოქცეული ერთი ქვეყნის ან ერთი ერის პერსპექტივის ჩარჩოებში. განათლება დამყარებული უნდა იყოს მსოფლიო ღირებულებებზე, რომლებიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროს გლობალურ კონტექსტში ანალიზისა და შესწავლის საშუალებას იძლევა.

**Lili Koridze** – Batumi Shota Rustaveli State University – PhD student

#### The innovative formula of changes in Education

##### Abstract

In the 21<sup>st</sup> century there is a need for a fundamental change of mind-sets and beliefs regarding education. Education cannot be framed in one country or one national perspective. The world we live in is a global world, so Education Should be based on global values, in order to analyze and study people’s work in global context.

**Коридзе Лили** -Батумский государственный университет имени Шота Руставели, Докторант просвещения

##### Резюме

XXI-й век требует фундаментальных изменений и пересмотра отношений в области просвещения. Просвещение не может быть ограничено рамками одной страны или одной перспективы. Просвещение должно основываться на мировых ценностях, дающих возможность анализа в глобальном контексте любой сферы деятельности человека и ее изучения.



**დავით შავიანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### **სვანთა წეს-ტრადიციების ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ (ლაშხეთის თემის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

ლენტეხის რაიონში, ლაშხეთის თემში მოძიებული ახალი ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას: რომ სინამდვილისადმი ცნობიერი დამოკიდებულება აძლევს ადამიანს საშუალებას, იგი წარმოიდგინოს, როგორც კონკრეტულ სიტუაციასთან ერთიანობაში მყოფი შესაძლებლობათა მთელი სისტემა; რომ განწყობის სუბიექტი თავად ადამიანია საკუთარი მოთხოვნილებებითა და უნარებით.

ისე, როგორც ყველგან, ეთნოსის ფსიქოლოგიური ერთობა გამოხატულია. ენაში, რელიგიაში, ცხოვრების წესში, სოციალურ-კულტურული სინამდვილე და რწმენა-წარმოდგენები, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რწმენებში, აღზრდის მეთოდებში...

#### **ეთნოსის ენაში გამოხატული ფსიქოლოგია:**

სვანური სამეტყველო ენის მატარებელთაგან სვანეთში მშობლიურ ქართულზე ურთიერთობების და რიტუალური ტექსტების ქართულად შესრულების საფუძველად, ქართველთა დედაენით შექმნილი ფსიქოლოგია მიგვაჩნია. **“უშგულლებმა დაკლეს ხარი და, რადგან მღვდელი არ მოვიდა გზად მომავალი რაჭველი ხურო აიძულეს ეწირა, რადგან იგი ქართულად სწირვდა. სვანურად დაილოცავდა, მაგრამ არ თქვეს მიტო, რო ქართულია სვანის ენა, სხვანაირად არ შეიძლება... ლეკვი ლომისა სწორია გადათარგმნილია, მაგრამ ამას მე ვერსად ვიხმარ, მხოლოდ გულში... საქართველოს კუთხეების ერთობას ენა გვანარჩუნებინებდა”**...

#### **რელიგიით შექმნილი და მასთან მიმართებით გამოხატული ფსიქოლოგია:**

ქართული ეთნოფსიქოლოგიის გამოხატველია სვანთა რელიგიასთან დამოკიდებულების, რწმენის თავისებურებები. ისინი თანაბრად უსმენენ მღვდელსაც და თემის მიერ არჩეულ ხატის მსახურს/მოღვაწეს, რომელსაც “უფროსს, მორიგეს/გამრიგეს” ეტყვიან: სვანი კაცის წარმოდგენით ღმერთის **“დახმარება შენ უნდა დაიმსახურო რწმენით, რომელიც წინააღმდეგობისთვის თავის გართმევის ძალას გაძლევს. შემთხვევითი არაა, რომ სვანი კაცი სუფრას ღმერთისა და წმინდანების რამდენიმე სადღეგრძელოთი იწყებს. მოღვაწის დალოცვას გუნდი ადასტურებს. ეს დადებითად განგაწყობს და ამიტოვ ჯერ კიდევ ჩვენგან მოღვაწის დალოცვა ურჩევნიათ. აქაურმა იცის თავის სოფლელი ვინაა, უღალატოა, ყველას მოყვარეა, თან მრწმენია და განეწყობა კეთილად. ჰგონია, რომ მისი ლოცვა მიუვა”**.

რწმენის აღნიშნული თავისებურებების გამო სვანების ათეისტებად, ან წარმართებად მიჩნევა მიუღებელია, რადგან უფალი/ღმერთი, წმინდა გიორგი და “ლამარია“ მათთვის ცხოვრების გზის მიმანიშნებელია, სვანისთვის წინააღმდეგობათა დაძლევის გარანტია. ჩვენი მოსაზრების დასტურად მიგვაჩნია სვანეთში ქრისტიანული ფსიქოლოგიით შეპირობებული თვითშეგნება, რომელიც იყო საფუძველი ნათლის განსაკუთრებული პატივებისა. ხელოვნური ნათესაობის ამ ფორმას, იმდენად პატივს სცემდნენ, რომ **“ძველი წარმოდგენების არსებობის, კომუნისტობის მიერ ყოველივე ქრისტიანულის დევნის მიუხედავად”** შეასახელებდნენ ნათლიას. ნათლიობის მიზანი სვანეთში იყო სარწმუნოებისა და ქართველობის, ცხოვრების ტრადიციული წესის შენარჩუნება.

#### **ცხოვრების წესით გამოხატული ეთნოფსიქოლოგია:**

საოჯახო და სათემო ურთიერთობები (დიდი ენერჯის მატარებელ მაჩუბიან სახლში)<sup>3</sup> ერთ დიდ ოჯახად ცხოვრების წესი; ოჯახის და თემის/გვარის უფროსის არჩევის, მისი ნდობის

<sup>2</sup> შდრ.: ივანე მარგიანის ჩანაწერი, სადაც იგი სვანურ ენას ქართულს უწოდებს სვანურ სალექსიკონო ერთეულების ქართულობის გამო (ივ. მარგიანი, ეთნოგრაფიუი წერილები სვანეთზე 1973, გვ.131)

<sup>3</sup> “ძველთა გადმოცემებზე დაყრდნობით გეუბნებიან, რომ მაჩუბის ჩუქურთმა თითქოს საქართველოს საზღვარს, ქვეყანას და სვანეთის სოფლის აღმნიშვნელი იყო

ტრადიცია; ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემა ქართული ეთნოფსიქოლოგიის გამომხატულებაა.

**სოციალურ-კულტურული სინამდვილით, რწმენა-წარმოდგენებით გადმოცემული ეთნოფსიქოლოგია:**

შემეცნების ცვალებადობის განმსაზღვრელი არის კონკრეტულ ეთნოსში შესული განსხვავებული სოციალურ-კულტურული სინამდვილე. კვლევით მოწმდება ტრადიციული რიტუალების შესრულების ახლით ჩანაცვლება: „ავი სულების რწმენა უმეცრების ბრალი იყო. შიში გიშვებოდა, გიქმნიდა ავი სულების წარმოდგენას. აგერ „დუნიას ხიდი“, ახლაც ნამძრახი ადგილია. ავის გასაიარაღებლად, ჯადოს მოსახსნელად სხვა ღონისძიებებთან ერთად წყალს აკურებდნენ“<sup>4</sup>; ზოგადად ქართველთა და მათ შორის სვანთა ფსიქოლოგიიდან მომდინარეა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული, „ხელმომართულობის გარანტი“ წარმოდგენები და წეს-რიტუალები, რომლებიც ისევ არსებობენ სვანეთში: „თანაფის ხუთშაბათი არის ოჯახის ავისაგან დაცვის და განწმენდა-განახლების რიტუალი. მდინარის წყლით, უბრად ჩაატარებს განწმენდით და სიუხვე-დოვლათის შენარჩუნების განმაპირობებელ, ეშმაკეულისაგან დაცვის რიტუალს“<sup>5</sup>; „ბერიკაობა“ იცოდნენ. ნაყოფიერების იყო „მურყვამობაც“. ხვავის და ძლიერების სიმბოლო კომპს თუ შენკენ წააქცევდი ძლიერი იქნებოდი და შენ კარგ ცხოვრებას უზრუნველყოფდი. თავის მსახურებით რწმენას იქმნიდა ადამიანი“.

**მიცვალებულის კულტი და მასთან დაკავშირებული რწმენითი ფსიქოლოგია:**

განწყობის ფსიქოლოგიის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიცვალებულის სულის პატივსაცემად გამართულ „ლიფანალის“/წილის მიცემის (ლიფანე - საკურთხის სუფრის წადგმა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000, გვ. 451) დღესასწაულს<sup>6</sup>.

დიმიტრი უხანაძის მიხედვით განწყობა მოთხოვნილების და მონაცემების შესატყვისი ორგანიზებული სუბიექტია. ამ ფაქტორით იქმნება და ხორციელდება ქცევა. თუ სიტუაცია არ იძლევა მოთხოვნილების შესატყვისი ქცევის განხორციელების საშუალებას, ადამიანი განიცდის ფსიქოლოგიური ტრამვის მომტან ფრუსტრაციას. შინაგან დისკომფორტთან ერთად ქვეითდება მისი სოციალური სტატუსიც. საქართველოს ყველა კუთხეში და შესაბამისად სვანეთშიც რწმენა-წარმოდგენები მიგვანიშნებენ ეთნოსის ფსიქოლოგიაზე. ამა თუ იმ რიტუალის შესრულება წრმენით კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანსა თუ საზოგადოებას. ამით იხსნება ისეთი ტრადიციის უცილობელი შესრულება, რომელსაც შეუძლია ეკონომიური ზარალიც კი მოუტანოს ოჯახს<sup>7</sup>. ვერა ბარდაველიძე წერდა, რომ მიცვალებულებს „ამ ძლიერსა და საიდუმლო არსებებს“ შეუძლიათ სვანის ოჯახს მიწის მოსავალი გაუმდიდრონ, საქონელი გაუმრავლონ, წველის ბარაქა მიანიჭონ, იგი შვილიერებითა და სხვა მრავალი სიკეთით გააძლიერონ, ან პირიქით (ვ.ბარდაველიძე). ჩვენი მასალებით „გარდაცვლილს (თუნდაც თვითმკვლელობით სიცოცხლედასრულებულს) სჭირდება პატივისცემა. შენ მას საიქიოდან ვერ გამოიხსნი, თუმცა აქეთ არავის მოითხოვს. მიცვალებულის საჭიროებების

<sup>4</sup> მსგავს მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ ლაზარე დადუანის მიერ აღწერილი საშობა-საახალწლო, სამონადირეო ბუნებრივი მოვლენებისადმი მიძღვნილი რწმენები (ლაზარე დადუანი, „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1973, გვ. 25, 59).

<sup>5</sup> მსგავსი, რწმენით ჩატარებული რიტუალების შესახებ მოგვითხრობს ბესარიონ ნიჭარაძე (ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1973, გვ. 76, 77, 81, 83, 84)

<sup>6</sup> „იმერეთში ვცხოვრობ, სვანების დასახლებაში. ბავშვები ვიყავით. სულების პერიოდი იყო. რო შევედით სახლში ქარი იყო და კარი დაკვებე. დერეფნის შიდა კარი თავისით გაიღო. შემეშინდა. დავაკავშირე სულებთან, რაღაცასთან. მერე დედაჩემმა ამიხსნა, რომ აფხაზეთში დაკარგული ბიძის სული ითხოვსო ხსენებას, პატივისცემას“

<sup>7</sup> მსჯელობისთვის იხილე ლაზარე დადუანი, სვანეთის ჩვეულებანი, „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, 1973, გვ. 15).

არდაკმაყოფილების შემთხვევაში უარყოფით შეგრძნებებსა და განცდებს მოგივლენს, როგორც ღმერთებთან ახლო მდგომი, შენზე გაცილებით მეტი ძალის და შესაძლებლობების მქონე სული“.

ეთნოფსიქოლოგიის კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია სვანური “ზარი”: “ზარი მწუხარების სიმღერაა. ჟრუანტელს გგვრის, ჰიშნითაა ნათქმი. ჩვენთან იტყვიან შენზე ზარი გამეგოსო. ეს გარკვეულად წყევლაა, მაგრამ ზარი თქვესო რომ იტყვიან, ესეიგი გარდაცვლილის ამ ქვეყნად ნაკეთები კაცობა უფრო მკვეთრად, ხმამაღლა გათქვეს. გაფიქრებს, ზარით თქვან შენზეც როცა გარდაიცვლები. მოზარეთა გუნდს მოჰქონდა დიდი კელაპტარი, სიცოცხლის ხის სიმბოლო. უკან სიცოცხლე უნდა დარჩენილიყო“. მოზარეებისათვის საზღაურის გადახდა ძვირი უჯდებოდა სვან კაცს, მაგრამ ტრადიციის შეუსრულებლობა, მისი რწმენით, შეიძლება უფრო ძვირი გამხდარიყო. აქაც მოქმედების საფუძველი განწყობაა.

ფსიქოლოგების კვლევის თანახმად ცრემლის დენა და ტირილი კრიზისის დამღვევის, ემოციების გულწრფელად გამოხატვის, ურთიერთობის უნივერსალური საშუალებაა (<http://www.marao.ge/janmrtheloba/rchevebi/2011-rith-aris-tirili-sasargeblo.html>;[http://old.janmrteblobainfo.ge/index.php?cmd=show\\_info&ct=false&show\\_id=9&det\\_show\\_info=513](http://old.janmrteblobainfo.ge/index.php?cmd=show_info&ct=false&show_id=9&det_show_info=513)). ჩვენი მასალებითაც “ჭირისთვის დამახასიათებელი ტირილი ტანჯვის შემსუბუქებაა. ტირილი არის არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ ჭირისუფლის მიცვალებულთან სიკვდილის შემდეგი ურთიერთობი საშუალებაც. იტირე, გული მოიხე და შეძელი შენი მიცვალებულის პატრონობა“.

ეთნოსის ფსიქოლოგია და აღზრდის მეთოდები:

ცნობიერი დამოკიდებულება ადამიანს აძლევს საშუალებას, სინამდვილე წარმოიდგინოს კონკრეტულ სიტუაციასთან ერთიანობაში მყოფ შესაძლებლობათა მთელ სისტემად. ჩვენი რესპოდენტი გვიამბობს: “ჩემ შვილისშვილს ბავშვობაში ვუყვებოდი ამბავს, როგორ მოიტაცა დევმა მეზობლის ბავშვი. ვინაიდან დევს ბავშვი თავისთვის უნდოდა დათმო ბოროტება და გაზარდა ძლიერ, გონიერ და მოყვარე, ქვეყნისთვის თავდადებულ ადამიანად. ვეუბნებოდი, რომ სხვათაგან ამიტომაც მხოლოდ ეს დევი დარჩა დაუმარცხებელი და საკუთარი სიკვდილით მოკვდა. ასეთ დევთან გაზრდილი კაცი შემდეგში საჭიროების დროს აჩენდა შესაძლებლობებს, უზრუნველყოფდა ქვეყნის და მოყვასის წარმატებულ ყოფნას. ბავშვი თანდათან მიეჩვია იმას, რომ სიკეთესთან და სიყვარულთან ერთადაა ძალა ძლიერი. და ეს ყველაფერი ახლაც ჯერა. მეუბნება, რომ ეს ყველაფერი აძლევს ძალას წინააღმდეგობის დაძლევისას“.

2013 წლის სვანეთის ექსპედიციის დროს მიკვლეული, ლოკალურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლებით გამორჩეული ეთნოგრაფიული მასალები ის წყაროა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ქართული ეთნოსის ეთნოფსიქოლოგიური კვლევის საქმეში.

#### ლიტერატურა

1. <http://www.marao.ge/janmrtheloba/rchevebi/2011-rith-aris-tirili-sasargeblo.html>
2. [http://old.janmrteblobainfo.ge/index.php?cmd=show\\_info&ct=false&show\\_id=9&det\\_show\\_info=513](http://old.janmrteblobainfo.ge/index.php?cmd=show_info&ct=false&show_id=9&det_show_info=513)
3. [www.antidepressanti.ge/.../dimitri-uznadze/dimitri-uznadze-theory-of-attitude.html](http://www.antidepressanti.ge/.../dimitri-uznadze/dimitri-uznadze-theory-of-attitude.html)
4. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, 1973
5. ვ. თოფურია, მ. ქალდან, სვანური ლექსიკონი, 2000

#### რეზიუმე

ლენტეხის რაიონში, ლაშხეთის თემში მოძიებული ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სინამდვილისადმი ცნობიერი დამოკიდებულება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური დამოკიდებულებაა, რომ განწყობის სუბიექტი თავად ადამიანია საკუთარი მოთხოვნილებებითა და უნარებით.

წარმოვადგენთ რამდენიმე თეზისს: ა). სვანთა გამორჩეული რწმენის, ინდივიდუალობის, მათი სულიერი მდგომარეობის, პიროვნული არჩევანის განმსაზღვრელი უფალი/ღმერთი, წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი/“ლამარიაა“. “ისინი სვანთა ცხოვრების გზის სწორად მიმანიშნებლად, წინააღმდეგობათა დაძლევის გარანტად გვევლინებიან“. აღნიშნული, ფსიქოლოგიით



შეპირობებული მდგომარეობა თანაბრადაა გამოხატული "უფლის ნების აღსრულებაში" ("სვანთა კაცის თვითშეგნებით პატივების ღირსი იყო ზეციური, მიწაზე კი კაცობა და ნათლია") და რელიგიასთან ურთიერთობის თავისებურებაში (სვანები თანაბრად უსმენენ თემის მიერ არჩეულ "უფროსს, მორიგეს/გამრიგეს, მღვწე-ს" და ღმერთს); ბ).ზოგადად ქართველთა და მათ შორის სვანთა ფსიქოლოგიიდან მომდინარეა რწმენა იმისა, რომ შენი შესრულებული რიტუალი "ზედნიერი მომავლის" გარანტია. სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული, "ხელმომართულობის გარანტი" რწმენა-წარმოდგენები და წეს-რიტუალები მეტ-ნაკლებად ისევ აგრძელებენ არსებობას სვანეთში; გ).მნიშვნელოვანია მიცვალებულის სულის პატივსაცემად გამართულ "ლიფანალის" დღესასწაული და სვანური "ზარი"; დ).საოჯახო და სათემო ურთიერთობები: დიდი ენერჯის მატარებელ მამუბიან სახლში ერთ დიდ ოჯახად ცხოვრების წესი; ოჯახის და თემის/გვარის უფროსის არჩევის, მისი ნდობის და მორჩილების ტრადიცია; ქალისა და მამაკაცის ოჯახში და მის გარეთ ურთიერთობა ("ქალის პატივისცემა და სიყვარული სვანის ფსიქოლოგიაა. ამიტომაც არის ქალი მამაკაცის გვერდით მდგომი, მეგობარი და მეუღლე") ქართული ეთნოფსიქოლოგიის გამოხატულებაა.

კვლევით მოწმდება ტრადიციული ("მტკიცენი უნდა იყვნენ ყველაფერი ქართულის სიყვარულში, რომ ცხოვრება კაცურად, ქრისტიანულად ცხოვრებას ნიშნავს) და ახალი სინამდვილე რიტუალების შესრულებასა და დამოკიდებულებაში. შემეცნების ცვალებადობის განმსაზღვრელი არის კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში შესული განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარებულობის პირობები.

ამდენად, ეთნოკულტურული საკითხების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ და სხვა საკითხებს, ცხოვრების წესის ტრანსფორმაციაზე დაკვირვებას, აზროვნების საფეხურების დადგენას.

**Davit Shavianidze** – Academic doctor of history. Ethnologist. Associated professor of Akaki Tsereteli State University. Associated professor of Kutaisi University.

#### Resume

#### About Psychological Basis of Svanetians Custom - traditions

#### (According to the new ethnographic material of Lashkheti topic)

Our ethnographic findings in Lentekhi region, Lashkheti community, confirm the views expressed in science that the human conscious attitude to the reality, is one of the main specific attitude, the subject of the mood are persons themselves, with their needs and abilities.

We represent some of the thesis:

a) Svanetians ' Distinctive beliefs, identity, their spiritual condition, determining of the personal choice in God is St. George and the Virgin / "lamaria." **"They are correctly pointing a way of life and overcoming contradictions of Svanetians"** The Psychology is equally expressed in beleaving in God" (**"According Svanetians 'consciousness, worthy of respect was heavenly and the godfather on the ground "**) and **in the peculiarity of the relations with religion**, Svanetians equally listen to the elected head of community's and the God. b) In general the belief of the performed ritual as the guarantee of "happy future," comes from psychology of the Georgian people and Svanetians among. Guarantee of success related to agricultural life, depends on faith, ceremonies - rituals more - or less will continue to exist in the region of Svaneti. c) Very Important holidays are "lipaanalis" and Svanetian "zari" held to honor the souls of the dead. d) Family and Community Relations: a great family lifestyle; in a great energy in the house. The rule of election of family and community head, his trust and obedience to tradition; relationships of women and men within the family and outside (**"A woman's respect and love is Svanetians ' Psychology, therefore, it is the woman standing next to a man is a friend and a wife "**)is the expression of Georgian ethno psychology.

Research is verified traditional ("should be firm to the love of everything is Georgian that means Christian life) and the new reality in attitude and performing of rituals. Determining of cognition variability is different socio - economic and cultural conditions of development logged in particular geographical environment.

Thus, it is essential to the study of ethno-cultural issues, the observation on the lifestyle transformation, establishment of thought levels.



**გული შერვაშიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი

**ია ბერიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი

### კალიგრაფიის ესთეტიკა

კალიგრაფიის ესთეტიკური მხარე ყოველთვის იყო ფილოსოფოსთა და პედაგოგთა ზრუნვისა და ყურადღების საგანი, ამავდროულად “ნიშანი ერის წარმატებისა და განვითარებისა”(ილია). კალიგრაფიის შესწავლის პროცესში უვითარდება ბავშვს მშვენიერების აღქმისა და შექმნის უნარები, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიფაქიზე, დედაენის სიყვარული.....”შობლები ბავშვებს კალიგრაფიული ხელოვნების სკოლებში აბარებდნენ, ხელწერის ასპარეზობებზე და შეჯიბრებებზე გზავნიდნენ, მართო იმისთვის კი არა, რომ ბავშვმა მშვენიერების შეგრძნება არ დაკარგოს, -მისი ფსიქომოტორული გაწაფულობისთვისაც”- წერს იტალიელი ფილოსოფოსი უმბერტო ეკო და სინანულს გამოთქვამს კალიგრაფიის დაკარგული ხელოვნების გამო. მისი აზრით აღნიშნული ტრაგედია კომპიუტერისა და ფიჭური ტელეფონების გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი თაობის ბავშვებს საგანგებოდ წვრთნიდნენ, რათა უნაკლო ხელწერა ჰქონოდათ და სკოლაში შესულები პირველი რამდენიმე თვე ასოების კოხტად გამოყვანას სწავლობდნენ.

ქართულ კალიგრაფიულ სკოლას მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს. ღრმა მეცნიერულ საფუძველზეა აგებული იაკობ გოგებაშვილის კალიგრაფიის სწავლების სისტემა:” ნუ დავივიწყებთ, რომ წერა ერთ-ერთი დედა-ბოძია განათლებისა და ამ დედა-ბოძის გამრუდება უვნებლად ვერ ჩაივლის. ერის განათლებისათვის ქართული ხელის ხასიათის შეცვლა და დამახინჯება ჭეშმარიტის საუნჯის გათახსირება და და გაფუჭება იქნება. ხელი პიროვნების ინდივიდუალური ბუნების, ხასიათის გამომჟღავნებელ- ამსახველია, ეროვნული ფსიქიკის თავისებურების ღრმად აღმბეჭდავი და შემნახველია, ხალხის სულიერი კულტურის ძვირფასი მონაპოვარი და განძია. ესთეტიკურ მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს-წერს ი. გოგებაშვილი. ქართველი მწიგნობრებიც გულმოდგინედ ზრუნავდნენ ქართული დამწერლობის სილამაზის დაცვისათვის და საგანგებოდ სწავლობდნენ ქართულ კალიგრაფიას .,

ძველ საქართველოში ეკლესია მონასტრები გადამწერთა და მწიგნობართა კადრების სამჭედლო იყო. მონასტრის ძმობაში გადამწერლობა - “ხელი მწიგნობრობისაი” ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა საქმიანობა. ამასთან გადამწერის ანუ “წიგნის წერის ხელოვნება” საპატიო და საამაყო პროფესიად ითვლებოდა . ძველად აღნიშნული პროფესიით არაერთი გადამწერი ამაყობდა. მეთოთხმეტე საუკუნის ქართველი მწიგნობარი ავგაროზ ბანდაისძე იკვებნიდა ხუცური წერის ხელოვნებით. ადამიანს შეეძლო თავისთვის რომელიმე წიგნი დაეწერა ან გადაეწერა, მაგრამ ყველას არ ჰქონდა ამისათვის საჭირო მოცლილობა და არც ლამაზი” ხელი”, რათა საკითხავი წიგნისათვის შესაფერისი ყოფილიყო. ქართველთა მონასტრებში შეიქმნა და განვითარდა განსაკუთრებული კალიგრაფიული სკოლები. სწორედ ამ საქმიანობის შედეგია უკვდავება ვეფხისტყაოსნისა და მრავალი სხვა გადარჩენილი კულტურის უნიკალური ძეგლი.

კალიგრაფია თანამედროვე სკოლებშიც ისწავლება, მაგრამ ცხადია, არა იმ დატვირთვით როგორც ეს ტრადიციულად იყო, და თანამედროვე ტექნიკურ პირობებში ეს ბუნებრივიც არის, მაგრამ სტატის მიზანია ავხსნათ კალიგრაფიის არსი და მნიშვნელობა ადამიანის აღზრდა - განვითარებისა და ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში და არ გადავაქციოთ უნაკლო ხელწერისათვის საგანგებო წვრთნა “დამთრგუნველ და უგუნურ საქმიანობად”(უმბერტო ეკო).

ხელწერის კულტურის დაკარგვა თითქოს დასანანი არ უნდა იყოს, როცა კლავიატურაზე ასოების სწორად და სწრაფად აკრეფა სწრაფად აზროვნებას უწყობს ხელს, საგანგებო პროგრამა კი გრამატიკული შეცდომებისაგან დაგვიცავს, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ კალიგრაფიის ხელოვნება ხელის სიმტკიცესა და თვალისა და ხელის შეთანხმებულ გამოყენებას გვაჩვენებს. ამ პრობლემის მცოდნენი კი იმასაც ამბობენ, რომ ხელით წერა აზრის გამოქანდაკებას მისი ქალაქზე

გადატანამდე გვასწავლის, ხოლო ქაღალდთან გაჯიუტებული კალმის წყალობით ადამიანი წერისას სიდინჯეს და დაფიქრებას ეჩვევა. იმასაც აღნიშნავენ, რომ კომპიუტერთან გამინაურებულ ბევრ მწერალსაც კი ხანდახან წერილის წერა ხელით ურჩევნია, ალბათ ხვდებიან, რომ მშვიდი განსჯისათვის ასე სჯობს. არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ბავშვებს სატელეფონო გზავნილებისა და კომპიუტერის გამოყენებას ვერაფერს აუკრძალავს, მაგრამ კაცობრიობა სპორტს, ესთეტიკურ სიამოვნებებს, ცივილიზაციის მიერ არასავალდებულოდ მიჩნეულ ზოგ საქმიანობას ვერ შეეღობა.

ამ მოსაზრებების გაცნობის შემდეგ უმბერტო ეკოს ასეთი აზრი ჩამოუყალიბდა: "დიდი ხანია, ადამიანები ცხენზე ამხედრებულები აღარ მოგზაურობენ, მაგრამ ზოგი საცხენოსნო სკოლაში დადის; მართალია, მოტორიანი იახტები გვაქვს, მაგრამ ისეთი რამდენია, ვისაც ნიჩბის მოსმა სიამოვნებას ანიჭებს" (უ. ეკო; 10)

პროფესორი ნათელა მალაყელიძე წიგნში "ქართული ენის სწავლების მეთოდიკა" მეცნიერულად დამტკიცებულ ხელით წერის შემდეგ უპირატესობებს ასახელებს:

- ხელით წერისას უფრო ადვილია დაწერილის დამახსოვრება;

საქმე ისაა, რომ ფურცელზე წერისას თავის ტვინის იმ ნაწილის სტიმულირება ხდება, რომელსაც სისტემის რეტიკულარული აქტივირებადი სისტემა ეწოდება. სპეციალისტების განმარტებით, ეს არის ერთგვარი ფილტრი ყველაფრისათვის, რასაც ტვინის მიერ დამუშავება სჭირდება.....

- ხელით წერა ბევრად ადვილია მოსაზრების ფორმულირებისათვის;

- ხელით წერისას ყურადღების გაფანტვა უფრო იშვიათად ხდება;

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ხელით წერისას საჭირო აზრები უფრო სწრაფად ჩნდება და ასევე ბევრად ადვილია მათი გადმოცემა. წერის სიჩქარე დაახლოებით შეესაბამება ტვინში აზრების გაჩენის სიჩქარეს.

- ხელით წერა ტვინის დაბერების პროცესსაც აფერხებს.

ხელით წერა არის არა მხოლოდ ვარჯიში მაჯისთვის, არამედ ტვინისთვისაც. ხელით წერა ავითარებს ადამიანის მოტორულ ჩვევებსა და მეხსიერებას.

თანამედროვე სკოლაში კალიგრაფიის სწავლების მიზანია მოსწავლემ შეძლოს გარკვეული, მართებული და სწრაფი წერის ჩვევების დაუფლება. დამლიოს ტოტალური გაუცხოების სენი, რაც აქრობს ადამიანში ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას ცოდნისადმი. ცოდნის მიღების პროცესი გადააქციოს ესთეტიკური და ინტელექტუალური სიამოვნების წყაროდ. ეს საკმაოდ რთული პროცესია, მაგრამ ქართული დამწერლობა ამის საშუალებას გვაძლევს მისი თავისთავადი და თავისებური ხასიათის გამო.. ქართული ასოები რთულია. ქართული ანბანი ოთხი განზომილებისაა: 27 ასო იწერება ხაზზევით და ხაზქვევით, 4 შუა ხაზში და 2 მთელ სიგრძეზე. ასევე გასათვალისწინებელია ქართული წარმოთქმისა და წერის იშვიათი სიახლოვე, რაც საშუალებას გვაძლევს ქართული ბგერა მხოლოდ ერთი გრაფიკული ნიშნით გამოვსახოთ. ეს ანბანის სრულყოფილების ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა. ქართული ანბანის გრაფიკული მოხაზულობისადმი ფრთხილმა და ფაქიზმა დამოკიდებულებამ ბევრად განსაზღვრა ქართული ეროვნული სულიერი კულტურის სიძლიერე. დღეს ამ თემის წამოწევა და საგანმანათლებლო სივრცეში "კალიგრაფიის სკოლების" ქსელის გაფართოება საშურ საქმედ მიმაჩნია: "რა კარგი იქნება, კალიგრაფიის სკოლა..... ჩემს მშობლებს ოდნავ დახრილი ხელწერა ჰქონდათ...მათი წერილები ხელოვნების მცირე ნიმუშები იყო. ამგვარი სკოლები უკვე არსებობს; სცადეთ, დაძებნეთ ინტერნეტში "კალიგრაფიის სკოლები". ვინ იცის, იქნებ კარგი სამსახურის უქონელმა, მაგრამ ხელგაწაფულმა ადამიანებმა შემდეგ ამ ხელოვნებას სხვები აზიარონ, თან თავის გასატანად მშვენიერ საქმესაც მიაგნონ"- წერს უმბერტო ეკო. საბედნიეროდ საქართველოში იდეა "ხელით წერის კულტურის განვითარება კომპიუტერულ ეპოქაში" უკვე კალიგრაფთა კონკურსის სახით ხორციელდება. კონკურსის გამარჯვებული დათო მაისურაძის ნამუშევრები კალიგრაფიის საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნება. ის რუსთავის სკოლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ლამაზად წერის ხელოვნებას ასწავლის და ფიქრობს, რომ ხელით ნაწერს კომპიუტერით აკრეფილი ტექსტი ვერ შეცვლის, რადგანაც ეს უკვე ხელოვნებაა(ნ. თარხნიშვილი). ხელოვნება კი ყველაზე

ეფექტური საშუალებაა მოზარდის მშვენიერების სამყაროსთან ზიარებისათვის. ეს ხელს შეუწყობს მოზარდის შემოქმედებით-აქტიური პოზიციის ამოქმედებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმბერტო ეკო, კალიგრაფიის დაკარგული ხელოვნება, ჟურნალი „ლიტერატურა“, N 29, 2009;
2. ნათელა მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 2013;
3. ნ. თარხნიშვილი, კალიგრაფია თუ ფონტი?. [www.radiotavisufleba.ge](http://www.radiotavisufleba.ge)

#### რეზიუმე

კალიგრაფიის სწავლება და კალიგრაფიული სკოლების გახსნა ხელს შეუწყობს მოზარდებში შემოქმედებით აქტიური პოზიციის ამოქმედებას, ტექნიკური გაუცხოების დაძლევის და ცოდნის მიღების პროცესს ესთეტიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისით სასიამოვნოდ აქცევს.

**Guli Shervashdze** - Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Faculty of Education

**Ia beridze** - Batumi Shota Rustaveli State University, PhD student, Faculty of Education

#### Aesthetics of calligraphy

#### Abstract

Teaching calligraphy and establishing calligraphic schools will help to enhance pupils' creative active state, to overcome the technical alienation. It will turn the learning process into pleasant activity from aesthetic and intellectual view point.

**Гули Шервашидзе** - профессор факультета образования Батумского государственного университета

**Ия Беридзе** - докторантка факультета образования Батумского государственного университета

#### Эстетика каллиграфии

#### Резюме

Обучение каллиграфии и открытие каллиграфических художественных школ поможет подросткам задействовать творчески активную позицию, преодолеть техническое отчуждение и тем самым процесс получения знаний с эстетической и интеллектуальной точки зрения станет наиболее приятным.

**მანანა ჩიტეიშვილი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### განმანათლებლობის რეკონსტრუქცია - ჯონ დიუი

ჯონ დიუისათვის განმანათლებლობაში მთავარია არა რაიმეს ცოდნა, არამედ, ცოდნის საშუალებით ბუნებაზე გაბატონება. მან შემოიტანა ტერმინი – „ახალი ინდივიდუალიზმი. მის თეორიას „ინსტრუმენტალიზმსაც“ უწოდებენ. ბეკონისეული ფორმულა – „ცოდნა ძალაა“, ჯონ დიუისათვის, ჭეშმარიტებად მიიჩნევა. მისთვის კვლევის პროცესი არაა პასიური დაკვირვება, ასახვა, არამედ საკვლევის შეცვლის პროცესია. უარყოფს აზროვნების თავისთავად ღირებულებას, შედეგიდან ითხოვს მის შეფასებას. თუმცა, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ობიექტური რეალობის არსებობას არ უარყოფს. ჯონ დიუისათვის მსჯელობის ამოსავალი წერტილი ცდაა. „ცდა“ არის მთელი ცხოვრება, მისი ყველა სპექტი. ცალკე სუბიექტი და ცალკე ობიექტი არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ ცდის ფარგლებშია. შემეცნების პროცესში სუბიექტი ნამდვილად უპირისპირდება ობიექტს. ეს გამოყოფა ხელოვნურია და გარკვეული მიზნითაა, სუბიექტი ცხოვრობს არა გარემოში, არამედ – გარემოთი.

დიუის აზრით, იდეა თავისთავად არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, ან მცდარი. ერთ სიტუაციაში, ის ხდება ჭეშმარიტი, მეორეში მცდარი (ვინაიდან, ადამიანი ყოველთვის კონკრეტულ სიტუაციათა ეპიცენტრში. იდეა, რომელიც წინათ ჭეშმარიტი აღმოჩნდა და ეს სიტუაცია გარდაქმნა დადებით სიტუაციად, მეორე სიტუაციაში, შეიძლება, ჭეშმარიტება არ აღმოჩნდეს. იდეას „ემართება“ ჭეშმარიტება სხვადასხვა სიტუაციაში. იდეა ინსტრუმენტია. ის არც ჭეშმარიტია, არც მცდარი. თუ რაიმესათვის გამოდგება, მას „ემართება“ ჭეშმარიტება, თუ არა და „არ ემართება“. ჭეშმარიტება არის არა იდეა, არამედ ქცევა, როგორც ეფექტური, ან არა ეფექტური.

საერთო მოქმედება და საჯარო გამოცდილება აუცილებელია ინდივიდის ქმედითი თავისუფლებისათვის, იმის გასაგებად, თუ როგორაა დაკავშირებული მე-სა და სხვისი ინტერესები და მოთხოვნილებები ერთმანეთთან.

ფილოსოფიის დანიშნულებას დიუი ხედავს იმაში, რომ უპასუხოს ეპოქის, საზოგადოების მორალურ თუ ფსიქოლოგიურ საჭიროებას. ფილოსოფია მასთან არ არის თეორიულ პრობლემებზე, თეორიული რეფლექსიის განხორციელება. დიუისთან ფილოსოფოსობა პრაქტიკულად განათლების თეორიას, უფრო ზუსტად, განმანათლებლობას ემთხვევა, ფილოსოფიის საქმეა გაწმინდოს მიზნები, ნორმები, იდეალები, რომლებიც განათლების სამსახურში ჩადგებიან და ამგვარად წარმართავენ საზოგადოების სწორი გზით სვლას.

რეკონსტრუირებულმა ფილოსოფიამ უნდა შეიძინოს მოქმედი ინტელექტუალური იარაღის სტატუსი. მეცნიერების ხატი „არაფორმალურია“. იგი ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის, დარვინიზმის, სოციალური მეცნიერებისა და ექსპერიმენტულ დისციპლინათა გავლენითაა გამოკვეთილი და კულტუროლოგიური საზრისის მატერებელია. „მეცნიერების“ ცნების ქვეშ, დიუი გულისხმობს თეორიული მოღვაწეობის ნებისმიერ სახეობას, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებისა და ექსპერიმენტის თანამედროვე მეთოდებს. ნეოპოზიტივიზმისაგან განსხვავებით, თვლის, რომ ფილოსოფია მეცნიერულობის სტატუსს შეიძენს მაშინ, როცა ღირებულებითი მორალური დატვირთვები, ფილოსოფიური რეფლექსის შედეგად, მიზანმიმართულად პირველ პლანზე გადაინაცვლებს.

ეთიკურის გახსნის ერთადერთი არეალი სოციალური კონტექსტია. დიუის შემოაქვს სოციალური სიკეთის ცნება. არ არსებობს სიკეთეთა კატალოგი. „მორალი არც ქცევათა კატალოგია და არც წესების კრებული“. დიუი მას ადარებს კულინარული რეცენტების წიგნს და მიიჩნევს, რომ მორალის შინაარსი სწორედ ამგვარადაა გახსნილი ტრადიციულ მიდგომაში. სიამოვნება, როგორც უმაღლესი ინდივიდუალური, თუ სოციალური სიკეთე, აბსტრაქციაა. ფილოსოფიას არ ევალება ფიქსირებული სიკეთის პოვნა. მან უნდა შეძლოს ზნეობრივად სწორი ფორმის მოკვლევა, რომელიც გარკვეული მოდელის მიხედვით უნდა განხორციელდეს. მოდელის კონსტრუქცია დამოკიდებულია საზოგადოებაზე. საბოლოო მიზანი, ჰიპოთეზად ჩაითვლება მანამდე, ვიდრე, მის სისწორეს, შედეგი



არ დაგვიდასტურებს. შეცდომა, დიუის მიხედვით, არც აუცილებელი შემთხვევითობაა, არც მორალური ცოდვა. მას დიუი, ინტელექტის არასწორად გამოყენების მაგალითს უწოდებს. მორალურად არასწორი ქცევის, ანუ, შეცდომის მიზეზად, დიუი ასახელებს განწყობის დაბალ დონეს, სიმპათიის არარსებობასა და ცალმხრივობას. მიზნების გამრავლებასთან ერთად, იხვეწება შეფასების სტანდარტები. ადამიანი ვალდებულია, მოწინავე სტანდარტებისა და იდეალების განვითარებასთან ერთად, გონივრულად გამოიყენოს უკვე არსებული ნორმები. მორალური ცხოვრება და ფორმალიზმი შეუთავსებელია. ინდივიდის, ან ჯგუფის მორალური შეფასება უნდა განხორციელდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესატყვისება მისი ქცევა, ფიქსირებულ მიზანს.

მორალურ კონცეფციათა რეკონსტრუქცია დიუისთან გულმისხმობს „ვალდებულების ეთიკიდან“, „თვითრეალიზაციის ეთიკაზე“ გადასვლას. დიუის შემოაქვს ტერმინი „მოქმედი თავისუფლება“, რაც მასთან იხსნება, როგორც ადამიანის შინაგანი პოტენციალის გახსნის შეუზღუდავი შესაძლებლობების არსებობა. მისი არეალი მხოლოდ „თვითრეალიზაციის ეთიკის“ ფარგლებშია შესაძლებელი.

ჯონ დიუი განათლების ფილოსოფიის ნოვატორად გვევლინება. ის, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრების მანძილზე ამუშავებდა და ხვეწდა განათლების სისტემის ახალ პარადიგმას. განათლების პროცესი ადექვატურად უნდა რეაგირებდეს იმ სიახლეებზე, რომელსაც უყენებს ადამიანს. მუდმივად ცვლადი გარემო. დიუის კონცეფციის სამიზნეა, დემოკრატიული საზოგადოების სკოლის მოდელის აგება. განსაკუთრებული ინტერესის საგანი, ამ ტიპის საზოგადოებაში, განათლების სოციალური როლის განსაზღვრაა. ის ეძებს და პოულობს განათლების ახალ საზრისსა და დანიშნულებას. კერძოდ, განათლება განმარტებულ უნდა იქნას, როგორც ადაპტაციური უნარების დახვეწის პროცესი. ესაა, ავტონომიური ველი, სადაც, განათლების პროცესს, მიზანი საკუთარ თავში აქვს. მას არ სჭირდება გარეთ გასვლა საკუთარი ღირებულებების მოსაპოვებლად. ეს პროცესი გულისხმობს: მუდმივ რეორგანიზაციაში, რეკონსტრუქციაში, ტრანსფორმაციაში მყოფობას.

დიუის შემოაქვს ცნება „უნივერსალური განათლება“. ცნება ფართო საზრისის მატარებელია და მხოლოდ შესაძლებლობათა დემოკრატიის ტერმინებში ვერ ეტყვა. იგი შინაგანად დაკავშირებულია ააშ-ს კონსტიტუციის მთავარ ამოსავალ პრინციპთან – „ყველა ადამიანის თანასწორობის შესახებ“.

კონცეპტი, „უნივერსალური განათლება“, მოიცავს საყოველთაობას და გლობალურად, მთელი ხალხის, ერის, საბოლოო ჯამში, ეპოქის განათლებას გულისხმობს.

პრაგმატისტულად ორიენტირებული, დიუისეული განათლების სისტემის პარადიგმა, უპირველეს მიზნად ისახავს მოქალაქეთა ახალი თაობის მომზადებას იმგვარად, რომ ისინი მაქსიმალურად წარმატებულად იყვნენ ინტეგრირებული თანამედროვეობის მოთხოვნებზე. განათლების ვექტორი მიმართული უნდა იყოს შიგნიდან გარეთ, ორიენტაციით – აწმყოსა და მომავალზე. აქცენტები უნდა გადაინაწილდეს აზრობრივი პოტენციალის გახსნაზე, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე იმ მიმართულებით, რომ მოსწავლემ, მომავალში, შეძლოს წარმატებით გაართვას თავი ურთულეს ამოცანებს, რომლის წინაშეც, ის აუცილებლად აღმოჩნდება. დიუი რეალურად აფასებს აწმყოსა და მომავალს და მთავარ საფრთხეს ხედავს იმაში, რომ სწრაფად ცვლადი სამყაროს გამოწვევების წინაშე მდგომი ახალგაზრდა, თუ ის, ტრადიციული კლასიკური განათლების დისკურსის ველზე დარჩება, სადაც მთავარი სამიზნე, წინა თაობებით დაგროვილი ცოდნისა და პრინციპებით მოზარდის გონების სავარაუდო ვაკუუმის ამოვსებაა, დაითრგუნება, გარემოში მიმდინარე ცვლილებების მდინარებით, ვერას გაუგებს მის კავშირებსა და მნიშვნელობებს, ჩაიკარგება დილემათა ლაბირინთებში. დემოკრატია და აღზრდა სინონიმებია.

დიუისეულ განათლების პარადიგმაში, ინტელექტუალური და მორალური ასპექტების მოწყვეტა დაუშვებელია. კვლევის უნარების გამომუშავება საჭიროა ორივე მიმართულებით. მაგალითად, ზნეობრივად სწორი ქცევის განსაზღვრისათვის „აბსოლუტური სიკეთისაკენ“ და „საყოველთაო ღირებულებებისაკენ“ აპელირება, შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან, ყველა სიტუაცია, კონკრეტული და უნიკალურია და შესაბამის პასუხს მოელის და არა მზამზარეულ რეცეპტს. აქცენტი, გადატანილი უნდა იქნას, მსჯელობის უნარის მქონე ინტელექტის განვითარებაზე, რომელიც კვლევას მიმართავს, სიტუაციის მაკონსტრუირებელი ფაქტორების კონტექსტუალურ ანალიზზე.

ფაქტობრივად, ესაა მოდელი, რომელიც, საფუძვლად დაედო, თანამედროვე ლიბერალური განათლების პარადიგმას. რიგი მოსაზრებისა მასში გასათვალისწინებელი და მისაღებია. მაგ., გასაზიარებელია სკოლის როლის შესახებ მორსაზრება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიუი ამუშავებს სკოლის, როგორც კომუნალური თანაცხოვრების მოდელის სქემას. იკვეთება მის მიერ სკოლის მთავარი ფუნქციაც – მოზარდის შემოქმედებითი პოტენციალის გამოთავისუფლება, დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარება, კოლექტიურ ცდაში, მოზარდის ჩართვის მოსამზადებელი საფეხური. ესაა სკოლის ძირითადი მისია, დიუის მიხედვით. ასევე მისაღებია, რომ განათლება მთავარი იარაღია საზოგადოების სრულყოფის გზაზე, დემოკრატიზაციის პროცესის, მოქალაქეთა თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით. აქ ისახება სოციალური ინიციატივების ყველაზე ფართო ასპარეზი. მასთან ასევე საყურადღებოა იდეა უნივერსალური, უწყვეტი განათლების თაობაზე. განათლების პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა ასაკობრივ კატეგორიას. მთელი საზოგადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი სწავლებისა და გადამზადების უწყვეტ რეჟიმში.

წინააღმდეგობრივად გვეჩვენება ტრადიციული განათლების სისტემის მთლიანად უგულვებელყოფა, პოზიტიური ელემენტები, ამ ვარიანტიდან, ვფიქრობთ, შენარჩუნებულ უნდა იქნან.

დიუი გვაფრთხილებს, რომ არსებობს ფაქტობრივი, ანუ მყისიერად მოთხოვნილი ღირებულებები. მეცნიერება არ არის გულგრილი იმის მიმართ, თუ რა მიზნებით ხდება მისი მიღწევების გამოყენება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, თუ ვინ „აკეთებს“ მეცნიერებას და რა მიზნებით ამოძრავებს მას. მიღწეული მიზანი საშუალებაა სხვა მიზნების მისაღწევად.

დიუის მიხედვით, თანამედროვე ადამიანის დევიზია: ჩემი თავისუფლება ვლინდება იმაში, რომ ის სხვებისთვის ვამრავლო. დიუისათვის ნებისმიერი ფორმით წარმოჩენილი ტოტალიტარიზმი, მიუღებელია. აბსოლუტური მიზანი, მეცნიერული დისკუსიის ბლოკირებას ახდენს. დემოკრატიის პირობებში, ღირებულებების ფორმირებაში, მონაწილეობას იღებს ყველა ზრდასრული ადამიანი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგობერიძე ვ. – პრაგმატიზმის ფილოსოფია, თბ., 1966.
2. თევზაძე გ. – XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002.
3. პოპერი კ.რ. – ღია სამყარო. ინდეტერმინიზმის არგუმენტი. თბ., 2000.
4. Jon Dewey –My Pedagogic Creed 1897.
5. Reconstruction in Philosophy – 1919.

## რეზიუმე

ჯონ დიუი განათლების ფილოსოფიის ნოვატორია. ის, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრების მანძილზე ამუშავებდა და ხვეწდა განათლების სისტემის ახალ პარადიგმას. მისი აზრით, განათლების პროცესი ადექვატურად უნდა რეაგირებდეს იმ სიახლეებზე, რომელსაც უყენებს ადამიანს, მუდმივად ცვლადი გარემო. დიუის კონცეფციის მიზანია დემოკრატიული საზოგადოების სკოლის მოდელის შექმნა. განსაკუთრებული ინტერესის საგანი, ამ ტიპის საზოგადოებაში, განათლების სოციალური როლის განსაზღვრაა. ის ეძებს და პოულობს განათლების ახალ საზრისსა და დანიშნულებას. განათლების პროცესს, მიზანი საკუთარ თავში აქვს. მას არ სჭირდება გარეთ გასვლა, საკუთარი ღირებულებების მოსაპოვებლად. იკვეთება მის მიერ სკოლის მთავარი ფუნქციაც – მოზარდის შემოქმედებითი პოტენციალის გამოთავისუფლება, დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარება. განათლების პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა ასაკობრივ კატეგორიას, მთელი საზოგადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი სწავლებისა და გადამზადების უწყვეტ რეჟიმში.

**Читеишвили Манана** - Государственный Университет им. Ак. Церетели, доктор философских наук, ассоциированный профессор

## Джон Дьюи «Реконструкция просвещения»

### РЕЗЮМЕ

Джон Дьюи – новатор в философии образования. Он, практически на протяжении всей своей жизни, разрабатывал и совершенствовал новые парадигмы в системе образования. Он считает, что образовательный процесс должен адекватно реагировать на те новшества, которые представляет человеку постоянно меняющаяся среда. Цель концепции Дьюи – создание демократической модели школы. Предмет особого интереса в обществе такого типа – определение социальной роли образования. Он ищет и находит новые идеи и назначения в системе образования. Цель образовательного процесса в самом себе. Она не выходит за рамки для достижения собственных ценностей. Выделяется и основная функция школы – высвобождение творческого потенциала у подростка, развитие навыков самостоятельного мышления. Образовательный процесс должен включать все возрастные категории, общество в целом должно находиться в непрерывном режиме постоянного учения и переподготовки.

**Manana Chiteishvili** – Akaki Tsereteli State University, Doctor of Philosophical Sciences, Associate Professor

## Reconstruction of Enlightenment - Jon Dewey

### Resume

Jon Dewey is an innovator of philosophy of education. He, practically throughout his life has developed and improved the new paradigm of education system. In his opinion, education process must adequately respond to these innovations, that gives a person constantly changing environment. Dewey's concept aims are - creating a democratic model of school. The subject of particular interest in this type of society - definition of social role of education. He searches and finds new ideas and purpose in the education system. The aim of the educational process in itself. It does not need to go out to achieve its own values. It is revealed the main function of the school by it –the release of creativity in adolescents, development of independent thinking skills. The educational process should include of all age categories, the whole society must be continuously learning and constant retraining.

**რამაზ ხაჭაპურიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

**„ფერთა გამა“ ხალხური მკურნალობის ტრადიციებში და „ბავშვთა აზროვნებითი სამყარო“ (ოკრიბის თემის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე ხალხური მკურნალობის მეთოდები შეიმუშავა, კერძოდ სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვების სახით, რომლის თანხვედრი პროცესია ფერთა აქტიური ხსენება. დასავლეთ საქართველოში დაავადებების დროს ითქმებოდა შელოცვები, ხოლო ამ შელოცვებში დაფიქსირებული იყო სხვადასხვა ფერთა კომპოზიციები. ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი ადგილი უჭირავს მაგიურ-რელიგიურ მკურნალობას, ამულეტებს, თილისმებს, ავგაროზებს (წარწერიანი დამცავი საშუალებების ქრისტიანული სახესხვაობა). ფართოდ იყო გავრცელებული შელოცვებით მკურნალობა (რ. თოფჩიშვილი, 2006, გვ. 143).

აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მიერ დასავლეთ საქართველოში ჩატარებული ექსპედიციების დროს მოპოვებულ შელოცვებში კი მოხსენიებულია სხვადასხვა ფერები, რომელსაც ამა თუ იმ ავადმყოფობის დროს ხშირად ახსენებდნენ. (გააჩნდა თვით ავადმყოფობას). მაგიურ-რელიგიურ მკურნალობას განსაკუთრებული ეფექტი ფსიქიკურ ავადმყოფობაზე ჰქონდა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ფოლკლორში, ეთნოლოგიაში და ანთროპოლოგიაში ფერების-წითელი, თეთრი და შავი შესწავლისათვის გარკვეული ნაბიჯები არის გადადგმული. თუმცა საკვლევი მაინც ბევრია დარჩენილი, როგორც შელოცვების მხრივ, ასევე თვით შელოცვებში დაფიქსირებულ ფერებზე. `ფერი პირველშობილი მოვლენაა და ღმერთს უკავშირდება. იგი ისევე მიღმა საუკუნეებიდან იღებს სათავეს, ვითარცა ამბავი სამყაროს დაბადების შესახებ; ფერის პირველი ნიშანი ხილვადობაა; ამავე დროს იგი სრულ ჰარმონიაშია საგნისა თუ მოვლენის შინაგან თვისებებთან" (ქუთაისური საუბრები-X, 2003).

**თეთრი, შავი და წითელი** ფერების კომპოზიციური წარმოსახვა შელოცვების (როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო) უმრავლესობის აუცილებელი ნაწილია, რომელთა ხსენების დროს ბავშვის ყურადღებიათა შერევის მიმართ უფრო იზრდება და სწორედ ეს არის ბავშვთა ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა ამა თუ იმ დაავადებებსა თუ ბატონებში.

**შიშის შელოცვა**

`შიშის შელოცვა': `აშინაო, მაშინაო, გულო რამ შეგანიშნა, თეთრი ქორი ქანდარასა, დედალი საბუდარასა; გულო, გულთან, სულო, სულთან; ფერო ფერთან; ხორცო, ხორცთან..." (ფაცა ჩხიკვაძე, ორპირი, 1994);

**ნათვალის შელოცვა:**

`...გასკტა თეთრი კლდე, გამოყვა თეთრი გველი და ბაყაყი. ჩეესია ამ პატარა თვალთ შემხედვარეს, გამოჭამა ენა, თვალეი გული; გასკდა წითელი კდე, გამოყვა წითელი გველი და ბაყაყი, შეესია ამ პატარას ავი თვალთ შემხედვარეს, გამოჭამა ენა, თვალეი, გული. გასკდა შავი კლდე, გამოყვა შავი გველი და ბაყაყი, ჩეესია ამ პატარას ავი თვალთ შემხედვარეს, გამოჭამა ენა, თვალეი, გული. ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი და ბრძანება შენი". გაიმეორეთ სამჯერ (მთქ. ლამარა ბოჭორიშვილი-შავიანიძე. სოფ. ორპირი, 1993წ. 28 მარტი).

ფერს, საზოგადოდ, რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: ა) ფერი არის არსი; ბ) ფერი აღნიშნავს ჯანმრთელობას; გ) ფერი მსგავსება-განსხვავება, შეფერება; დ) ფერი მატარებელია სილამაზის, ჰაეროვნების მნიშვნელობისაც; ე) ფერი კომპოზიტი - პირფერი, პირფერობა - ტყუილმაქებრობას, ქებით მომადლიერების მცდელობას, მლიქვნელობას, ფლიდობასაც ნიშნავს...



პირველი ფერები, რომლებიც ადამიანმა შეიქცნო, იყო თეთრი და შავი, ორი საწინააღმდეგო ფერი სარწმუნოებასა და ცხოვრებაში და მნიშვნელობაც, უპირატესად, ამ ორ ფერს ჰქონდა.

დროთა განმავლობაში თეთრი და შავი ფერების გარდა დანარჩენმა ფერებმაც მიიღო რელიგიური, სამკურნალო მაგიური ხასიათი.

ჩვენი განხილვის ობიექტია სიტყვა „თეთრი“. ვნახოთ, თუ როგორ განმარტავს მას სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“. „თეთრი“–ესე არს სპეტაკი, იაგუნდი ტოპაზიონი“. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი აღნიშნავს ღია ფერს შავთან დაპირისპირებაში. (თეთრი პური–შავი პური, „თეთრები“–„შავები“, თეთრკანიანი–შავკანიანი და ა. შ.) ტრადიციულად საქართველოში შავი სამგლოვიარო და ცუდი ფერია, ხოლო თეთრი კი სადღესასწაულო ცერემონიალის განუყოფელი ატრიბუტია. თეთრი გაიგივებულია სუფთა საქმესთან, სისუფთავესთან, შავი კი–ჭუჭყიანთან. საინტერესოა თეთრი ფერის ფიზიკური თვისებაც. იგი კეთელშობილი ფერია იმდენად, რამდენადაც თეთრი შუქს გასცემს, ხოლო შავი კი, პირიქით შთანტყავს მას.

„ყველა ფერს აქვს დიდი ძალა, როცა ის აბრეშუმზე ან ლითონზეა გადატანილი; სამოსელი შეღებილია ან ფერი ისეთ საგნებზეა, რომელთაც ციურთან მსგავსება აქვთ ან პატიოსანი (ძვირფასი) თვლების ფერებია“ (ვ.ნოზაძე; 1954; გვ. 77)

გასაანალიზებელი და საილუსტრაციო მასალად ავარჩიეთ ქდსკი-ის მიერ მოპოვებული შელოცვებში ასახული ფერები:

### შავი ფერი:

შავი ფერით გამოქვეყნებულ ქართულ შელოცვებში „უჟმური“, „თვალცემა“ ანუ „გათვალვა“, „ავსულის დაცემა“, ქალის მკერდის (ძუძუს ტკივილია) დახასიათებული.

სულ სხვა სურათია ქდსკმ-ის მოპოვებულ მასალებში:

„გასკტა შავი კტე, გამოვიდა შავი ცხენი, შავი კაცი: სა მიდიხარ? - რავა სა მივდივარო, ნინას სახლში მივდივარი, იმის შესაჭმელათო, გულის გასახეთქათო, მერე თეთრი კტე გასკტა, თეთრი კაცი გამოვიდა. სა მიდიხარ? - რავა სა მივდივარო, ნინას სახლში მითვდივარო, იმის შესაჭმელათო, გულის გასახეთქათო, მერე წითელი კტე გასკტა, წითელი კაცი გამოვიდა. სა მიდიხარ? - რავა სა მივდივარო, ნინას სახლში მივდივარი, იმის შესაჭმელათო, გულის გასახეთქათო (მთქ.ფაცა ჩხიკვაძე, სოფ. ორპირი, 1994 წ. 6 ნოემბერი).

შემინებულის შელოცვებში გვხვდება შავი, თეთრი და წითელი ფერები; ხოლო მოფურჩხულის (ანუ უჟმურის) შელოცვაში შავი და წითელი ფერი შემდეგნაირად დომინირებს: „... აქანა შავდანიანი ხალხი არიენ, ძაღლებიანი ხალხი არიენ. შექქამენ, დაქჩეხავენ, დაქკეპავენ, ლობეყორეს მიქკიდებენ... წითელი მოზვერი დაუკლავსყენ, თავფეხი თქვენთვინ შეუნახავსყენ, ადრე მიხვალთ დაგიხვთებათ, გვიან მიხვალთ წაგიხვთებათ...“ (ელენე ლაფერაძე-ხუჯაძე. ორპირი, 1994წ. 25 იანვარი).

ჩვენ მიერ მოყვანილ შელოცვებიდან ირკვევა, რომ `შემინებულის“-ა და `უჟმურის" (ციებ-ცხელება) შელოცვაში უფლის მხედარი მიქაელ მთავარანგელოზი იბრძვის მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით და ამარცხებს კიდევ ავადმყოფობებს. შავები არიან ქაჯები, ავი სულები, რომლებიც დაეძებენ ქრისტიანებს, თავს ესხმიან და სნების შეყრით ცდილობენ, დაიმორჩილონ, უფალს ჩამოაშორონ. ამ შემთხვევაში ურიელ მთავარანგელოზი (გამოსახება ხმლით ხელში) უსწორდება მათ და მუქარით დევნის ავადმყოფობას, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავადმყოფობასთან ბრძოლის იარაღი ყველაზე ხშირად შავტარიანი დანაა, რომელსაც მეცნიერული ახსნა მოემდებება. როგორც ვიცით, რკინას უარყოფითი ენერგია-დაავადება გამოაქვს ადამიანის სხეულიდან და გადასცემს შავი ფერის ტარს, რომელიც შთანთქავს ყოველივეს. ამიტომაც მოუხმობს შემლოცველი მიქაელ და ურიელ მთავარანგელოზებს, როგორც შუბოსან და ხმლით შეიარაღებულ მხედრებს და წმინდა გიორგის. ამავე დანიშნულების უნდა იყოს ნახშირიც, რომელსაც შავტარიან დანასთან ერთად იყენებენ, და წყალი, რომელიც განახლებისა და განწმენდის სიმბოლოა

რელიგიაში. შეშინებულსა და თვაცემულს შელოცვის შემდეგ ნახშირიან წყალს ასხურებენ და ასმევენ ავადმყოფს.

როგორც გამოქვეყნებულ ლიტერატურაში, ასევე ჩვენ მიერ მოპოვებულ შელოცვებში მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი გამოყენებული. განსაკუთრებულ მასალას ამ მხრივ გვამღვებს ხონის მომძიებელთა ჯგუფის მიერ მოპოვებული შელოცვები და მასთან დაკავშირებული სარიტუალო ქმედებანი.

### **შეშინებულის შელოცვა:**

„შელოცვისას სამი სხვადასხვა ფერის ძაფს აიღებ და გულს უზომავ შეშინებულს და თან იწყებ ლოცვას: აშინა-მაშინა, აშინა-მაშინა, გულო რამ შეგაშინა, გულო ჩადექ საგულესა... (მთქმ. კაკაბაძე ადნელი სოფ. კუხი).

აღნიშნული შელოცვისას მთქმელის მიერ არის გამოყენებული მუქარა, იარაღით ბრძოლა, მოფერება, შეთანხმება, დათმობა და ყველაფერი ეს მოქმედებას ახლავს თან.

გვაქვს თეთრი ფერისა და შავი ფერის კომბინირებული ნათვალევის შელოცვაც `...გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი ცხენი, შეჯდა კაცი შავი, შემოუარა თეთრსა ქვასა, შემოუქნია მათრახი, ის ქვა სკდება, ის ქვა გჯება, ისე გული გოუსკტება შენ ავღ გულზე შემომხედავს" (ქეთი ტვილდიანი-ლიპარტელიანისა, 1997 წ. 1 ივნისი).

შელოცვებში ნახსენები ფერთა სიმბოლიკის შინაარსი პირდაპირ კავშირშია სულეთთან დაკავშირებულ საკითხებთან. გასაანალიზებელი და საილუსტრაციო მასალიდან ავარჩიეთ სვანური სინამდვილე.

ბ.ნიჟარაძის წერილი `სვანების საიქიო", ვფიქრობთ, ერთ-ერთ საგულისხმო მასალას იძლევა ამ მიმართულებით. აღნიშნული წერილის მიხედვით, სვანებს სწამთ, რომ სულეთი არის ტრიალი მინდორი, რომლის შუაში ზის ქრისტე. ... იქაურობას მზე ანათებს, სადაც ქრისტე ბრძანდება, იქ უფრო გაბრწყინებულია მზით და ამიტომაც ხალხი ეძახის `მჟარს" (მზიანი). ქრისტეზე მოშორებულ ადგილები სამოთხისა მკრთოალად არის განათებული, თითქოს იქ მზე ღრუბლებიდან იყურებოდეს და ამიტომ იმ ადგილს ჰქვია `მულირ რიჰარ" (მკრთალი სინათლე)...

კარგი სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადი სუფევს (მუშვირ-უტკვინ). აქ არის, სხვათა შორის, ფისის ტბა (ფისემიგვიბ). ეს არის გლახა სასულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუწ). იგია სამყოფი წაწყმედილ სულეებისა: იგინი ვერა ჰხედავენ, ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნთელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს. ხოლო, `მადლიანებო" მიცვალებულთა სამყაროში სულეთის ღვთაების ახლოს იმყოფებიან ნათელ ნაწილში. ხალხურ პოეზიაში სულეთი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

**“შაგშეთს რო თეთრი ციხეა,**

**რა ტურფა მშვენიერიო,**

**გვერდით რო წყარო ჩაუდის,**

**სასმელად გემრიელიო.**

**ბევრი ცხენ-ჯორი მოდგება,**

**მხედარი მწყურიალიო"...**

**(ქზპ, II, #98, გვ.152).**

თეთრი ხე და თეთრი ციხე, არა მარტო სიწმინდის ნიშანია, იგი ღვთაების სადგურიცაა, რასაც თეთრი ფერის სიმბოლიკაც ხაზგასმით ადასტურებს. თეთრი ფერი ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, ღვთაებრიობის, სიწმინდის სიმბოლოა. იგი სხვა შინაარსობრივ ასპექტებსაც უკავშირდება. თეთრი ფერი ხილული სამყაროს, სინათლის ნიშნავს იყო. ხოლო ზოგჯერ მზეს

გამოხატავდა („ბადრი მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა, გავედი გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე ვითა“)...

ქდსკი-ის მიერ სვანეთში ჩატარებული ექსპედიციის დროს მოპოვებულ შელოცვებში განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელი და შავი ფერები. კვლავ შავტარიანი დანით და ნახშირით იმუქრება შემლოცველი, მსგავსად სხვა მასალებისა, მაგრამ ვხვდებით გამონაკლის ფერებსაც, რომელიც არ დაგვიფიქსირებია ჩვენს მიერ სხვა რეგიონებში ჩაწერილ ტექსტებსა თუ გამოქვეყნებულ ლიტერატურაში. ეს ფერებია ლურჯი და ყვითელი ფერი:

„იშლი-მიშლი ფხა გამოდი გამოშარე, გამოყარე. ტახტზე იჯდა ლურჯი გველი. შავი გველი, ახლო გველი, ჰეერვიასა, ცვეერ იასა, შავი ხესდა გვისადა, გამოდი, გამოდი პასი-პარსალე“ (მთქმ. სონია გულედანი-მეშველიანი. ლენჯერი, 1995 წ.).

შეშინებულისა შელოცვა: „გული გულისა, გული მოდისა, გული მოდისა, გული წითელი, გული ყვითელი, არამ და რამ...“ (მთქმ. დავით ფირცხელანი. სოფ. ლატალი, 2004 წელი 29 ივლისი).

ქდსკი-ის მასალებში წითელი ფერი აქტიურია. წითელი ფერთაა წარმოსახული „მუცლის ტკივილი“ და „წითელი ქარი“:

„მოვიდა წითელი ქარი,

წითელი კაბით,

წითელი თავშლით

წითელი ჩექმით“

(„ქართველური მემკვიდრეობა“ - ტ. VIII)

ქართულ ხალხურ შელოცვებში, რომლის ავტორია თ. შიოშვილი წითელი ქარის ნაცვლად მოხსენიებულია ავი ქარები, სადაც ყველა ფერია ნაჩვენები, მათ შორის წითელი ფერიც:

„ უფალმა ხარი დაკლა, მათესა და მელიას.

სატკივარმა სატკივარსა შეუთვალა:

\_ შენ რათ არ მეწვევი?

შენ მით არ გეწვევი? შენ შეხვალ კაცისასა,

სისხლის სასმელად, ბილის საჭმელად.

არ შეგიშვან კაცისასა, ნუ სვამ სისხლს, ნუ სჭამ ბილს!

გავიტან ქედს მოგორონყვებს, ამხვალ ვარდის ყვავსა.

სამი და-ძმანი დადიან ქალაქის ქალაქამდის.

კრეფენ წამალს თეთრი ქარისა, შავი ქარისა,

წითელი ქარისა, გამოსავალისა, გასაპარავისა“...

(თ. შიოშვილი, 1994, გვ. 135)

ჩვენ მიერ მოპოვებულ და გამოქვეყნებულ შელოცვებში დაავადების აღკაზმულობა, პორტრეტი, ისეა დახატული, რომ უფრო სრულყოფილი დახასიათება, როგორც ზნეობრივად, ასევე მხატვრულობის თვალსარისითაც იშვიათია.

ზოგ შელოცვაში ეს დაავადებები „ტყაოსან შუბოსანია, წითლოსანია“, ზოგან კი „ფეხწითელი ძაღლია“, რომლის წამალი წითელი ფერის შალის ნაჭერი და კანაფია და საშველადაც წითელ ხატს უხმობს შემლოცველი:

„წითელი ხატო უშველე

## წითელი მუცლის ტკივილისაგან

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა გაჯიუტდება, შავი ფერით, წითელთან ერთად შეუთავსებელი კონტრასტული ფერით ემუქრებიან:

**„გამო, თორემ გამოგიყვან შავი ცხენის ჭყვილითა,  
შავი ხარის ყვირილითა, შავი ღორის ჟღმულითა,  
შავი ძაღლის ყმულითა, შავი მამლის ყივილითა,  
შავი გველის წივილითა (აქცენტი კეთდება ხმაზე)  
ღვთითა და ღვთისმშობელითა.“**

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში და გამოქვეყნებულ ლიტერატურაშიც შავი, წითელი და თეთრი, ესე იგი, სამი ფერის სიმბოლიკით აღჭურვილი მოვლენისა თუ საგნების ერთიანობაში ჩვენების ძლიერი ტრადიცია გვაფიქრებინებს, რომ ზოგჯერ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ცალ-ცალკე ან სუსტად არიან წამოდგენილნი, მათ ერთად გამოყენებას სიტყვიერების განვითარების არქაულ საფეხურზე.

ჩვენ მიერ მოპოვებულ შელოცვებში, კერძოდ შეშინებულის, უჟმურის, წითელი ქარის შელოცვებში გვხვდება სხვადასხვა ფერები:

### 1) სიმსივნის ლოცვა:

„...წითელმა ბატონებმა უთხრა, მე რათ არ მაწვიე. თეთრმა ბატონებმა უთხრა, მე რათ არ მაწვიე, ლურჯმა ბატონებმა უთხრა, მე რათ არ მაწვიე. შენ მათ არ გაწვიე, ჩასულხარ იმ სხეულში ვისაც არ სტკიოდეს... უფალმა ხარი დაკლა, ყოველი სული მას ეწვია, თეთრმა ბატონებმა უთხრა, მე რატო არ მაწვიე, შავმა ბატონებმა უთხრა, მე რატო არ მაწვიე.. შენ იმიტომ არ გაწვიე, ჩასულხარ ირინეს (პირობითი სახელია) სხეულში სიმსივნელათ, სამტკივნელათ, ძვალის სახრავათ, ბილის საჭმელათ, გამოვცურდები ცვარივითა, გამოვდინდები წყალივითა და გავიპარები მამლის ყივილზედა" (მთქმ. ნანი გაბრიადე-ბოგვერაძე. სოფ. ცუცხვათი, 1993წ. 4.08)...

**ბატონების მოზოდინება:** `ბატონებს უნდა წითლად შეღებილი კვერცხი, ხაჭაპურები, წითელი კაი ნაჭრები, სუყველაფერი თეთრი და წითელი. შავი არაფერი არ შეიძლება. ყველაფერი მხიარული ფერის, სულ ფერად-ფერადი (ნინა გელაძე-ლომიძე. სოფ. ჯონია, 1993წ. 25.07)...

ჩვენ მიერ მოპოვებულ შელოცვებში და გამოქვეყნებულ მასალებში ძნელია ფერის სიმბოლური დანიშნულების კანონზომიერებაზე საუბარი (თუ ერთგან ფერადია საჭირო, მეორეგან აუცილებელი ატრიბუტი შავი ფერია); თუმცადა ფერს ქართულ შელოცვებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

ქართულ მასალაზე დაკვირვებამ და კულტურის ისტორიის გაცნობამ გვიჩვენა, რომ **თეთრი, წითელი და შავი** ეს ის „ფერთა გამა“, რომელთაც უძველესი ხანიდან იცნობდა კაცობრიობა და მათ შორის ქართველთა წინაპრებიც. ამ ფერთა სიმბოლური გამით გამოხატავდა როგორც სულიერ, ისე სოციალურ სფეროში სხვადასხვა ურთიერთობებსა და მიმართებებს, რაც, როგორც ჩანს, კანონზომიერ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა ხალხთა ისტორიული განვითარების სინამდვილეში სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით ვლინდება. ქართულ ფოლკლორს ამ მხრივაც ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს, რადგან მისი შესწავლა სცილდება ქართველოლოგიურ საკითხთა გარკვევის ინტერესებს. საინტერესოა, ფერთა გამას მიმართება ერთმანეთთან, როგორც ზეპირსიტყვიერებათა გააზრებით, ასევე ენის თვისობრივი ბუნებითაც, რაც მომავლის საკვლევი საკითხია.

ასეთია მოკლედ შთამომავლობაზე ან საიმედო ახლობელზე გადასული მკურნალობის ხალხური წესები, რომელშიც დომინირებს ფერები, „ფერთა გამა“ და ამა თუ იმ ფერის ლოცვაში დაფიქსირებისას მოსაუბრე მთხრობელი გვარწმუნებს იმას, რომ ასეთი „პრიმიტიული წესით“



ნათქვამი ესა თუ ის ლოცვა აუცილებლად იქნება „შესარგი და გამოსადეგი“, რადგან „ბავშვთა აზროვნებითი სამყარო“ თითოეულ ფერის ხსენებისას უფრო ააქტიურდება და ამ დროს უნდა თავისთავად თვით ფერის შეცნობა, აღქმა, რითაც შეიგრძნობს „ფერთა გამის“, ესე იგი, ამა თუ იმ ფერების პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობას.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

1. ი. გაგულაშვილი, 1986 - ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ; 1986
2. რ. თოფჩიშვილი, 2006 - რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ; 2006
3. ვ. ნოზაძე, 1954 - ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1954
4. დ. შავიანიძე, 2005 - დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქუთაისი, 2005
5. თ. შიოშვილი, 1994 - თ. შიოშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, თბ; 1994
6. მ. ჩიქოვანი, 1952 - მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ; 1952

#### რეზიუმე

სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარი თუ მოიძებნება, რომელიც ეხება ფერებს, ფერთა სიმბოლოებს, “ფერთა გამას” ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ფოლკლორში, ეთნოლოგიურ თუ ქართულ ტრადიციულ ტექსტებში.

ჩვეულებრივ ლიტერატურულ ტექსტებში, ისევე როგორც ფოლკლორში და სხვა მასალებში, რომლებიც დიალექტოლოგიის სამეცნიეროკვლევითი მიმართულების მიერ არის შეგროვებული დომინირებს **წითელი, შავი და თეთრი** ფერთა სიმბოლური ცნებები და მათი მიმართება ბავშვთა სამყაროს, ბავშვთა აზროვნების მიმართ ხალხური მკურნალობის, „ბატონებისა“ და შელოცვების დროს.

**ფერი** არის პირველად დაბადებული ფენომენი, რომელიც უკავშირდება ღმერთს. იგი ისეთივე ძველია, როგორც თვით სამყაროს დასაბამი. ფერის პირველი თვისება არის მისი ხილვადობა. იმავე დროს ის ჭეშმარიტ ჰარმონიაშია ფენომენისა და მნიშვნელობის შინაგან თვისებებთან.

**შავი, წითელი და თეთრი** ფერის სიმბოლური რეპრეზენტაცია არის აუცილებელი თვისება, რომელიც უკავშირდება ხალხურ მკურნალობას. ეს კარგად ჩანს ოკრიბის რეგიონში მოპოვებულ ფილკორულ და ეთნოლოგიურ მასალებში.

**Ramaz Khachapuridze** - Akaki Tsereteli State University; Academic doqtor of History; Scientific-Research Center

**“Colour Scale” in Folk Medicine and “Children’sthinkig World”  
( According to the Ethnographic Materials of Okriba Region)**

Hitherto only a small number of works are found in the specialist literature that features colour symbols of the texts of the Georgian oral traditions.

In the common literary texts, as well as in folklore and in the materials collected by Dialectology Scientific -- research Institute the symbolic conceptions of the colours of red black and white have dominating.

Colour is the first- born phenomenon related to god originating from the distant past as old as the story of the birth of the universe itself. The first quality of the colour is its visibility.

At the same time it is in perfect harmony with the innate qualities of the matter and the phenomenon.

The symbolic representations of the black, red and white colours are the necessary attributes to the vast number of the spells (healing or farming) of Okriba region.

**Рамаз Хачапуридзе** - Государственный университет Акакия Церетели; Научно-исследовательский центр

**«Цветовая гамма» в традициях народного лечения и «мыслительный мир детей»  
(По этнографическим материалам Окрибской общины)**

До сих пор в специальной литературе найдется лишь несколько работ посвященных цветам, цветовым символам, «цветовой гамме» в грузинской словесности, фольклоре, этнологических или традиционных текстах.

В литературных текстах, обычно, так же как в фольклоре и других материалах, которые собраны научно-исследовательским направлением диалектологии, доминируют символические понятия красного, черного и белого цвета и их направленность к детскому миру, детскому сознанию во время народного лечения, «батонеби» и заклинаний.

Цвет является первозданным феноменом, который связан с богом. Он такой же старый, как начало мира. Первым признаком цвета является его видимость. В то же время он находится в действительной гармонии с внутренними свойствами феномена и значения.

Символическая репрезентация черного, красного и белого цветов является необходимым свойством, который связан с народным лечением. Вышесказанное хорошо отражается в фольклорных и этнографических материалах, собранных в Окрибском регионе.

## განათლების მენეჯმენტი/ Education management

მირიან გიგოლაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

### განათლების სისტემა და გლობალიზაცია

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადება ხდება განათლების სისტემაში. ბევრმა ქვეყანამ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა სწორედ ამ გზით შეძლო. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ჩინეთი. მაოძედუნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა დე სიაოპინი, რომელმაც გადაწყვიტა რამდენიმე ასეული ატასი ახალგაზრდა სასწავლებლად გაეგზავნა სხვადასხვა ქვეყნებში. ჩინეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, იმდროინდელი ჩინეთის განათლების სისტემა კი მზად არ იყო სათანადო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად განათლების სისტემასაც ჭირდებოდა მოდერნიზაცია. ჩინეთის განვითარების დღევანდელ წარმატებას საფუძველი ჩაეყარა ზემოთ აღნიშნული პერიოდიდან. დღეს ჩინეთი ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. გასული წლის მონაცემებით მაღალტექნოლოგიური წარმოების მიხედვით, ჩინეთი თითქმის დაეწია აშშ-ს, ამის შესახებ იტყობინება ცნობილი გამოცემა science and engineering indicators.

2003 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში მაღალტექნოლოგიური წარმოება ჩინეთში ექვსჯერ გაიზარდა, რის შედეგადაც მსოფლიო ბაზარზე ამ ქვეყნის წილი რვიდან ოცდაოთხ პროცენტამდე ავიდა. შედარებისათვის, აშშ-სათვის ეს მაჩვენებელი 27 პროცენტია.

ჩინეთმა არსებითად გაუსწრო ამერიკას ალტერნატიული ენერჯეტიკის ინვესტირებით. დარგში დაბანდებული კაპიტალი 61 მილიარდ დოლარს აჭარბებს, აშშ-მა კი „მწვანე“ ენერჯის წყაროებზე მხოლოდ 29 მილიარდი დახარჯა. ტრადიციულად აშშ-ი მეცნიერებისა და ტექნოლოგიის აღიარებული ლიდერია, თუმცა 2013 წელს უკვე საგრძნობი გახდა, რომ ამ სფეროში ის პოზიციებს კარგავს. უმსხვილესი აზიური ეკონომიკები, ერთად აღებული, ახორციელებენ უფრო მეტ სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ვიდრე აშშ. პირველ რიგში, ამ სეგმენტში წინ არიან ჩინეთი და სამხრეთ კორეა. კონკრეტულად, 2001 წლიდან მოყოლებული, აშშ-ის წილი ამ სფეროში 37 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შემცირდა, ევროპისა და - 26-დან 22-მდე. ამასთან, მსხვილი აზიური ქვეყნების წილი, პირიქით 25-დან 34 პროცენტამდე გაიზარდა. კერძოდ, ჩინეთმა ეს მაჩვენებელი 4-დან 15 პროცენტამდე აიყვანა.

ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან მეცნიერები უნივერსიტეტებს განიხილავდნენ, როგორც სოციალურ და კულტურულ მოვლენას, რომლის მიზანია ცოდნის გავრცელება საზღვრებს გარეთ. იმავდროულად, XIX-XX საუკუნეებში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების უმრავლესობა ასრულებდა პროფესიული ჯგუფების და ადგილობრივი ელიტის ფორმირების ტრადიციულ ფუნქციებს, ასევე მათ ეკისრებოდათ ნაციონალურ გარემოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფუნქცია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან უმაღლესი სასწავლებლები ჩაებნენ საგანმანათლებლო ექსპანსიის და საგანმანათლებლო საშუალებების დემოკრატიზაციის მძლავრ მოძრაობაში. უმაღლესი განათლების მასიურ გავრცელებას განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის გარანტიას ახალ გლობალურ ეკონომიკაში. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მსოფლიოში დღემდე არ არსებობს უმაღლესი განათლების საერთაშორისო სისტემა, მაშინაც კი, როცა გარკვეულ მოდელს, მაგალითად ამერიკულს, ბრიტანულს ან ფრანგულს იყენებენ სხვა ქვეყნები საკუთარი საგანმანათლებლო სისტემის შექმნისათვის.

სწავლების როგორი ფორმაც და რომელი ადგილიც უნდა შეირჩიოს სტუდენტმა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ის ასრულებს რომელიმე ერთი უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებს, რომელიც თავის მხრივ, არის უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის ელემენტი. ეს სისტემა ხასიათდება სწავლების სხვადასხვა ხანგრძლივობით, საკვალიფიკაციო გამოცდების სისტემით, სასწავლო პროგრამებით, შეფასების სისტემით და ა.შ. ევროპის ქვეყნებმა შემოიღეს სტუდენტთა

დატვირთვის და შეფასების სისტემა ECTS, რომელიც იძლევა საზღვარგარეთ სწავლის პერიოდების გათვალისწინების საშუალებას. პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში გადავიდნენ უმაღლესი განათლების მსგავს სისტემაზე. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ შემოიღონ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების ერთიანი კრიტერიუმები.

ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებამ უმაღლესი განათლების წინაშე დასახა ისეთი პროფესიული კადრების მომზადების ამოცანა, რომელთაც შეეძლებათ ეფექტურად იმუშაონ გლობალური ბაზრის პირობებში. განათლების ინტერნაციონალიზაციას თან სდევს სხვადასხვა მიზნები: უცხოელი სტუდენტების ფასიანი სწავლების პროგრამებზე მოზიდვა; საკუთარი სტუდენტების სასწავლო პროგრამების მოდერნიზება და მათი საზღვარგარეთ სწავლების შესაძლებლობების გაფართოება; უმაღლესი სასწავლებლის რეგიონული ქსელის გაფართოება მისი რესურსის ეფექტური გამოყენებისათვის; განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება სტუდენტთა და მასწავლებელთა ცოდნის გაცვლის, საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობის ხარჯზე და ა.შ. უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა მოხდეს ერთობლივი საკვლევო პროექტების, სტუდენტთა და მასწავლებლებისათვის პროგრამების, უცხოელი სტუდენტებისათვის სპეციალური პროგრამების ორგანიზება.

ჯერ კიდევ პრობლემურია უმაღლესი განათლების მსოფლიო სისტემის ისტორიული განვითარების საკითხი, როცა უმაღლესი სასწავლებლების ეროვნული განკერძოებულობა სულ უფრო მეტად მოდის წინააღმდეგობაში ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის შედეგებთან და პერსპექტივებთან. ეს კონფლიქტი ვლინდება ისეთ საკითხებსა და პრობლემებში, როგორცაა უნივერსიტეტების დიპლომების, სპეციალობების და შეფასებების აღიარება, ხარისხის შეფასების საერთაშორისო ფორმების განვითარება და საერთაშორისო აკრედიტაცია.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე ცნობილი ფორმაა სტუდენტების მობილობა, რაც გულისხმობს იმ სტუდენტთა რიცხოვნობის ზრდას, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ. ბევრ ევროპულ ქვეყანას ჰყავს სტუდენტთა მუდმივი ნაკადი თავიანთი ყოფილი კოლონიებიდან. ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი მიისწრაფის მიიღოს განათლება აშშ-ში და კანადაში.

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვნად არის ჩართული საქართველო, მის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს მრავალი უცხოელი. იუნესკოს მონაცემებით სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის დონე ბოლო 25 წელიწადში გაიზარდა 300%-ით. ექსპერტთა მონაცემებით 2010 წელს საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფ სტუდენტთა რიცხვმა 2,8 მილიონს გადააჭარბა, ხოლო 2025 წლისათვის 4,9 მილიონი იქნება.

სტუდენტთა მობილობის ორგანიზებული სქემების გარდა არსებობს სტუდენტთა სპონტანური გადაადგილებაც. ნაციონალური განსხვავება განათლების ხელმისაწვდომობაში და განსაზღვრულ სპეციალობებზე სტუდენტთა რაოდენობრივი შეზღუდვა აიძულებს ზოგიერთი ქვეყნის სტუდენტებს ეძებოს საზღვარგარეთ სწავლების შესაძლებლობები.

ენობრივი და კულტურული მისწრაფებები იზიდავენ სტუდენტებს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში სწავლისკენ. თანამედროვე მეცნიერებებში ინგლისური ენის დომინირება, განაპირობებს ამ ქვეყნების სიაში მოწინავე ადგილებზე კანადისა და ავსტრალიის არსებობასაც.

სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა წარმოადგენს არა მარტო კონტინენტთაშორის, არამედ რეგიონულ მოვლენასაც. რეგიონული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესით სტუდენტთა მობილობის სტიმულირებას ახდენს სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებები.

თანამედროვე გლობალიზაცია ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალების ზემოქმედების მეშვეობით მსოფლიოს აქცევს ერთიან სოციალურ სივრცედ, ამიტომ მსოფლიოს ერთ რეგიონში მიმდინარე პროცესებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების ცხოვრებაზე დედამიწის სხვა რეგიონებში. დღევანდელი ქართული საზოგადოების გლობალურ კულტურაში მონაწილეობის ხარისხი და ამბიციუა დაბალია. გლობალიზაციის არსის სწორად გაგება დაგვეხმარება უმაღლესი განათლების განვითარების პერსპექტივების დახვეწაში.



გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ სამ სიბრტყეში: პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო. გლობალიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა 21-ე საუკუნის დასაწყისში, ხასიათდება შრომის საერთაშორისო ბაზრის ჩამოყალიბებით, ეკონომიკურ პროცესებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდით, გლობალიზაციის გარდაქმნით ცოდნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ პროცესებთან შედარებით გლობალიზაციის სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო ასპექტები ჩანს გაცილებით უმნიშვნელო და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი შეეხება უფრო ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, ვიდრე მთელს ერებსა და სახელმწიფოებს. მათ განიხილავენ როგორც დამხმარე და მეორე ხარისხოვან ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ და აძლიერებენ ეკონომიკურ პროცესებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის სწორედ სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო ასპექტები იძლევა საშუალებას შევარბილოთ ამ პროცესის ნეგატიური ზეგავლენა, გამოვიყენოთ მათი უპირატესობები და ამასთან შევინარჩუნოთ ეროვნული თავისებურებები და თვითმყოფადობა.

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენების შესასუსტებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებს. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია (ამის მაგალითია ჰონგ-კონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და სამხრეთ კორეა); მეორე მხრივ კი, ის ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდებიან უფრო ჩამორჩენილები. საზოგადოების უნარი, გადავიდეს „ინფორმაციულ ხანაში“, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში უკვე აქსიომად იქცა, რომ საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში.

გლობალიზაციამ უდიდესი ზემოქმედება მოახდინა და დღემდე ახდენს უმაღლეს განათლებაზე. ეს ზემოქმედება მოიცავს უმაღლეს სასწავლებლებს შორის კონკურენციის გამძაფრებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ბიზნეს-ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებას, საქმიანობის ეფექტურობასა და რენტაბელობაზე ორიენტაციას.

გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად, უმაღლესი განათლების წინაშე დადგა ახალი მიზნები - პროფესიული კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ გლობალური ბაზრის შეცვლილ პირობებში ეფექტურად მუშაობა. განათლების გლობალიზაცია ემსახურება სხვადასხვა მიზნებს, რომელთაგან აღსანიშნავია : მოთხოვნის დივერსიფიკაცია, ფასიან განყოფილებებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდა, სასწავლო გეგმების გაფართოება და საკუთარი სტუდენტების სწავლება უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვის გზით. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება უმაღლეს სასწავლებლებს შორის ხელს უწყობს ერთობლივი პროექტების, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების, უცხოელი სტუდენტებისათვის სოციალური პროგრამების განხორციელებას. უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ჩართულია საერთაშორისო საქმიანობაში, მაგრამ ეს ინტერნაციონალიზაციის უფრო მარტივი დონეა. უფრო მაღალ დონეზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთაშორისო შემადგენლის მუდმივი ინტეგრაცია სასწავლო დაწესებულებების სწავლების, კვლევებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში.

სტუდენტები განათლებას იღებენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, შემდეგ კი იყენებენ შეძენილ ცოდნას საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისას. ევროკავშირმა შეიმუშავა სპეციალური სტიპენდიები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტების სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრების სტიმულირებას.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე პოპულარული სპეციალობებიდან, სტუდენტთა უპირატესობების საერთაშორისო სკალაზე ყველაზე მაღლა დგას ბიზნეს-განათლება. მას იძენს სტუდენტთა მეოთხედი ნაწილი. ეს არის სპეციალობები, რომლებიც დაკავშირებულია

ეკონომიკასთან, მენეჯმენტთან, მარკეტინგთან, საქმიანი ინფორმაციის სისტემასთან და ა.შ. სტუდენტთა დაახლოებით 20%-ი შეისწავლის ტექნიკურ და საინჟინრო მეცნიერებებს, აქედან ნახევარი - მათემატიკას. პროფესიათა ჩამონათვალს ასრულებს სოციალური მეცნიერებები 7-8%, ხელოვნება -5-6%, მედიცინა 4-5%, სხვა დანარჩენ სპეციალობებზე მოდის 15-16%-ი.

ამრიგად, იმ სტუდენტთა რიცხოვნობის გაზრდის მიზნები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ, უფრო მეტად საბაზრო პროცესია და არა სახელმწიფო პოლიტიკა ან დახმარების აღმოჩენის სურვილი. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში ჩართვა. რამდენადაც სტაბილური იქნება უცხოელი ინვესტორისათვის სიტუაცია ქვეყანაში, იმდენად საინტერესო იქნება ადგილობრივი საგანმანათლებლო ბაზარი საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებისათვისაც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Образование в странах с переходной экономикой: задачи развития. Международный банк реконструкции и развития/ Всемирный Банк, 1818 I Street N.W. Washington, D.C. 20433, USA. 2000.
2. Панкрухин А.П. Маркетинг Образовательных услуг в высшем и дополнительном образовании: Учебное пособие. – М.: Интерпракс, 1995
3. Материалы Международного семинара «Факторы качества высшего образования и их влияние на формирование рейтинга вузов (опыт развитых стран Запада)», Вена, 2002.
4. Шевченко Д.А., маркетинговые исследования рынка образовательных услуг в России. Маркетинг в России и за рубежом №4/2003
5. Щетинин В. Рынок образовательных услуг в современной России. //Школа, 1997, №3
6. Научно-практический семинар Маркетинг образования. <http://www.marketologi.ru/Lib/mou02.html>
7. Сагинова О.В. Интернационализация высшего образования как фактор конкурентоспособности. <http://www.marketologi.ru/lib>.

### რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადება ხდება განათლების სისტემაში. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან უმაღლესი განათლების მასიურ გავრცელებას განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის გარანტიას ახალ გლობალურ ეკონომიკაში. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებამ უმაღლესი განათლების წინაშე დასახა ისეთი ამოცანები, რომელთაც შეეძლებათ ეფექტურად იმუშაონ გლობალური ბაზრის პირობებში. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე ცნობილი ფორმაა სტუდენტების მობილობა.

სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა წარმოადგენს არა მარტო კონტინენტაშორის, არამედ რეგიონალ მოვლენებსაც. რეგიონული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესით სტუდენტთა მობილობის სტიმულირებას ახდენს სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებები. თანამედროვე გლობალიზაცია ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალების ზემოქმედების მეშვეობით მსოფლიოს აქცევს ერთიან სოციალურ სივრცედ.

გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად, უმაღლესი განათლების წინაშე დადგა ახალი მიზნები – პროფესიული კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ გლობალური ბაზრის შეცვლილ პირობებში ეფექტურად მუშაობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში ჩართვა.

**Мирян Гиголашвили** - специалист ATSU

### **Система Образование и глобализация**

#### Резюме

Экономическое восхождение страны вместе с другими факторами обеспечивают высококвалифицированные кадры, подготовка которых происходит в системе просвещения. Со второй половины XX века массовое распространение высшего образования рассматривали как гарантию конкурентоспособности в новой глобальной экономике. Развитие процесса глобализации и интернационализации экономики и бизнеса поставило перед высшим образованием задачу подготовки таких профессиональных кадров, которые смогут эффективно работать в условиях глобального рынка. Самая известная форма интернационализации высшего образования – мобильность студентов.

Международная мобильность студентов представляет собой не только международное явление, но и региональное. Процессом интеграции региональной экономики стимулированию мобильности студентов способствуют различные международные соглашения. Современная глобализация с помощью влияния экономических и технологических сил превратит мир в единое социальное пространство. Вместе с развитием процессов глобализации перед высшим образованием поставлены новые цели – подготовка профессиональных кадров, которые смогут в измененных условиях глобального рынка эффективно работать. Считаем целесообразным включение в конкурентную борьбу вызов Грузии на международном образовательном рынке.

**Mirian Gigolashvili** - ATSU specialist

### **Education system and globalization**

#### The summary

The economic ascention of the country together with other factors is provided with the highly skilled staff, which preparation occurs in system of education. From second half XX of century mass distribution of maximum education considered(examined) as a guarantee of competitiveness in new global economy. The development of process globalization and internationalization of economy and business has put before maximum education a task of preparation of such professional staff, which can effectively work in conditions of the global market. The most known form internationalization of maximum education - mobility of the students.

The international mobility of the students represents not only international phenomenon, but also regional. By process of integration of regional economy the stimulation of mobility of the students is promoted by the various international agreements. Modern globalization with the help of influence of economic and technological forces will transform the world into uniform social space. Together with development of processes globalization before maximum education the new purposes - preparation of the professional staff are put which can in the changed conditions of the global market effectively to work. We consider(count) advisable inclusion in competitive struggle a call of Georgia in the international educational market.

**ვახტანგ გოგისვანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი ეკონომიკაში, მოწვეული სპეციალისტი

### ფინანსების ეფექტიანი მართვისა და სამართლიანი განაწილების პრობლემები უმაღლეს სკოლაში

განათლების სისტემის რაციონალური მართვის სქემაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს მის ფინანსირებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია: სწავლის საფასური, რომელიც ივარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე); გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები; საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები; სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

საუნივერსიტეტო სისტემაში ეკონომიკური საქმიანობის დამკვიდრებამ, რაც გამოიხატება ფასიანი სწავლების შემოღებაში, გადაჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც იდგას საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე. ეს სისტემა გულისხმობს დადგენილ ნორმატიულ ურთიერთკავშირს მმართველობის საბოლოო შედეგსა და უმაღლესი სასწავლებლის განკარგულებაში დარჩენილ შემოსავლის დონეს შორის. ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლებლის მაჩვენებლების ნორმატივებისა და ლიმიტების სისტემა განისაზღვრება „ზემოდან“ უმაღლესი განათლების მიზნებიდან და ამოცანებიდან, დაგეგმვის პრიორიტეტებისა და ზემდგომი ინსტანციების შეხედულებებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, უნდა გამომუშავდეს მაჩვენებელთა განსაზღვრული ნაკრები, რომელიც საშუალებას მოგვცემს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი განაწილდეს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის.

არსებულ სიტუაციაში ანუ სწავლებისათვის თანხებისა და ბაზრის მიერ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემოწმების არსებობის პირობებში შეუძლებელია ერთმანეთს დაუპირისპიროთ უმაღლეს სასწავლებლებში საქმიანობის შედეგი და მათ მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული საშუალებები. უმაღლეს სკოლას, სხვა მრავალი საბიუჯეტო ორგანიზაციის მსგავსად, აქვს სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც არ იძლევა საშუალებას ამ სფეროში პირდაპირ გადმოვიტანოთ კომერციულ სტრუქტურებში მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება:

1. აქ გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა განისაზღვრება ზუსტად, ხოლო მომზადების ხარისხის შეფასება ხანგრძლივი პროცესია და მას შრომის ბაზარი განსაზღვრავს. ეს გარემოება კი არსებით ზეგავლენას ახდენს უმაღლესი სასწავლებლის შიგნით საშუალებების განაწილებაზე, რადგანაც საქმიანობის შედეგი იმთავითვე არ ღებულობს ობიექტურ საბაზრო შეფასებას, ხოლო სწავლების მატერიალური ბაზის გაუარესება თანდათანობით აისახება სპეციალისტთა მომზადებაში, რის გამოც მატერიალური დანახარჯების ფონდის ხელფასის ფონდად გადაქცევა ქვეყნის უმაღლეს განათლებას სრულ დეგრადაციამდე მიიყვანს.

2. საქმიანობის შედეგების ხარისხობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია უშუალოდ სტუდენტებზე, მათ მიზნობრივ, საქმიან განწყობაზე, ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და ა.შ.

3. სპეციალისტების მომზადებაში უმაღლესი სკოლის ქვედანაყოფები საკმაოდ არსებითად განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციონირებითა და როლით: გამომშვები და საერთო საგანმანათლებლო კათედრები, სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესს - ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი და ა.შ. ამასთან, რთულია განსაზღვრო და შეაფასო თითოეული სტრუქტურული ერთეულის წილი საგანმანათლებლო პროცესში.

დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია მატერიალური დაინტერესების შექმნა კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის ამაღლებაში. ეს ფრიად რთულად მისაღწევია იმ პირობებში, რომელშიც დღეს იმყოფება უმაღლესი სკოლა. საბოლოო შედეგის ხარისხი შეიძლება



დადგინდეს მხოლოდ იმ საწარმოთა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ღებულობენ კურსდამთავრებულებს. შესაბამისად, მატერიალური დაინტერესება მომზადების გაუმჯობესებაში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საფუძველზე ამ საწარმოების მიერ გადახდილი იქნება თანხები სპეციალისტის მომზადებისთვის. სახელშეკრულებო ფასების შემოღება ნებას მოგვცემს სინამდვილეში დავადგინოთ, თუ როგორ ფასდება მოცემული უმაღლესი სასწავლებლის მუშაობა. ამ საშუალებების განაწილება უნდა განახორციელონ უმაღლესმა სასწავლებლებმა. ამასთან, წახალისონ ის კათედრები და ქვედანაყოფები, ის სპეციალისტები და პედაგოგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ეს სისტემა არასიცოცხლისუნარიანია, რადგან წარმოების დაცემა და დასაქმების შემცირება ქმნის დამაბულობას შრომის ბაზარზე და საწარმოებს დამატებითი დანახარჯების გარეშე შეუძლიათ იპოვონ საჭირო დონის სპეციალისტები. ეს სქემა საერთო ჯამში არ იმუშავებს იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს განათლების, მედიცინის, კულტურის დაწესებულებებისა და სხვა არაკომერციული სფეროსათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლის მიერ ეკონომიკური საქმიანობით მოზიდული სახსრების ეფექტიანი და სამართლიანი განაწილება. თანხები ხშირად გამოიყენება ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების დასაფინანსებლად ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. მათ განაწილებას მივეყვართ არაკონტროლირებად დანაკარგებთან. სახსრების სხვადასხვა დონის საუნივერსიტეტო სტრუქტურებზე (დეპარტამენტები, ფაკულტეტები და სხვა) განაწილება გვაძლავს შევცვალოთ პრიორიტეტები. იმ პირობებში, როცა ბიუჯეტური ფინანსირება უზრუნველყოფს მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება დეფიციტური რესურსების განაწილება, დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად ქვედანაყოფებს შორის, საბოლოო ჯამში, თითოეულის წვლილის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია განისაზღვროს და დადგინდეს მაჩვენებლები საქმიანობის მიხედვით, რომლის საფუძველზეც განხორციელდება განაწილება. ეს მაჩვენებლები დამოკიდებულია იმ სამუშაოს კონკრეტულ მოცულობაზე, რომელსაც ახორციელებენ ქვედანაყოფები. მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ განაწილება მოხდეს წინასწარ ცნობილი, ფიქსირებული კრიტერიუმებით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული თითოეული კათედრის თუ სხვა ქვედანაყოფის შრომით წვლილთან. ამასთან, უნდა გამოირიცხოს პირად კავშირებსა და სიმპათიებზე დაყრდნობილი ადმინისტრაციული გადანაწილება. ყველაზე მტკივნეულია ხელფასის ფონდის განაწილების პრობლემა. წარმოდგენილი სისტემა მოწოდებულია, რათა გამოირიცხოს ერთი კათედრის პედაგოგთა გადატვირთვა სხვა კათედრების პედაგოგთა არაჯეროვანი მუშაობის ხარჯზე. ხელფასის ფონდთან ერთად უნდა მოქმედებდეს სხვა სტიმულები. მაგალითად, ანარიცხები კათედრის განვითარების ფონდში.

განაწილების სქემა შეიძლება იყოს სტაბილური წლების განმავლობაში, ხოლო დამტკიცებული ნორმატივები მოითხოვს ყოველწლიურ განხილვას და დაზუსტებას.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულ სისტემაში გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის ქვედანაყოფები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საშემსრულებლო ფუნქციებით, მუშაობის ხასიათისა და დანახარჯების ფორმირებაში მონაწილეობით. რამდენადაც სამეურნეო ნაწილის ხარჯები დამოკიდებულია არა სტუდენტთა რაოდენობასა და მათი მომზადების ხარისხზე, იგი განისაზღვრება არსებული მატერიალური ბაზის მიხედვით, უფრო ზუსტად, ფაქტიური მოთხოვნილებისამებრ. სასწავლო დეპარტამენტის (კათედრის) ხელფასის ფონდის ფორმირება დამოკიდებულია სტუდენტთა რაოდენობასა და სასწავლო პროცესის დროზე. მატერიალური დანახარჯების ფონდი განისაზღვრება კათედრის ტიპისა და აუცილებელი ლაბორატორიული ბაზის მიხედვით. არსებულ პირობებში სახსრების გადანაწილება ფონდებს შორის დაუშვებელია.

მიღებული სახსრები ნაწილდება კათედრას, ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს შორის და კათედრას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ მოიხმაროს ისინი.

ქვედანაყოფების, სასწავლო პროცესის მომსახურე და მმართველობითი სტრუქტურის დაფინანსება განისაზღვრება ფაქტიური დანახარჯებით და უნივერსიტეტის ერთობლივი შემოსავლებით.

უმაღლეს სკოლაში ფინანსური სახსრების განაწილება უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ამოცანებს, როგორცაა:

1. მაქსიმალურად შესაძლებელი პირობების შექმნა პროფესორ-მასწავლებელთა (განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაციის) თანამშრომელთა შენარჩუნებისათვის;
2. ადმინისტრაციული და ეკონომიკური მმართველობითი სტრუქტურების (დონეების) ზუსტი განსაზღვრა და მათთვის სამეურნეო და ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭება;
3. ფინანსური რესურსების სამართლიანი განაწილება.

განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება მესამე დებულებაზე. ცალკეულ მმართველობით სტრუქტურაში ფინანსური რესურსების სამართლიანი განაწილება მოითხოვს შემდეგი თანმიმდევრობით საკითხების გადაჭრას: უმაღლესი სასწავლებლის შემოსავლების ფორმირებას; შემოსავლების განაწილებას მართვის დონეების მიხედვით; ფინანსური რესურსების განაწილებას თითოეული დონის ქვედანაყოფის მიხედვით.

უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლების განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო დეპარტამენტებს (კათედრებს), როგორც სწავლების ძირითადი ფუნქციის განმსაზღვრელ ქვედანაყოფებს. ამასთან, აუცილებელია ისეთი ფინანსური რესურსების გამოყოფა, რომლებიც საკმარისია სასწავლო პროცესის ხარისხიანი განხორციელებისათვის, განსაზღვრულ დამოუკიდებლობას მისცემს მათ და დაინტერესებს კათედრის თითოეულ წევრს სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კათედრებზე პროფესორ-მასწავლებელთა შორის შტატების მიხედვით სამუშაოთა განაწილების არსებული წესი აფერხებს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

კათედრის ხელფასის ფონდის განაწილებაში უნდა მონაწილეობდეს სამი ცვლადი:

- უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა ჯამური ხელფასის ფონდი;
- უმაღლესი სასწავლებლისა და კათედრის მიხედვით გათვალისწინებული დატვირთვა;
- კათედრის კვალიფიკაციის კოეფიციენტი.

კვალიფიკაციის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{კ.ი}} = \frac{\sum_{i=1}^n C_{T_{ij}} \cdot \Phi_{ij}}{C_{T_{\text{min}}} \cdot \Phi_{\Phi_j}}$$

სადაც  $\Phi_{ij}$  არის  $i$  კათედრაზე,  $j$  თანამდებობაზე მომუშავე მასწავლებელთა რაოდენობა;  $C_{T_{ij}}$  - თანამდებობის ხელფასი;  $n$  - თანამდებობათა რაოდენობა კათედრაზე;  $C_{T_{\text{min}}}$  - პედაგოგთა ხელფასის მინიმალური განაკვეთი საშტატო განრიგის მიხედვით;  $\Phi_{\Phi_j}$  - კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა ფაქტიური რაოდენობა.

კათედრის ხელფასის ფონდის ალგორითმი შემდეგია:

1. იანგარიშება თითოეულ კათედრაზე დატვირთვა კვალიფიკაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$H_{\text{ობი}} = H_{\text{ცყმი}} \cdot K_{K_{hi}}$$

სადაც  $H_{\text{ობი}}$  - კათედრის საერთო დატვირთვაა;

$H_{\text{ცყმი}}$  - კათედრის ჯამური დატვირთვა ყველა სახეობის სამუშაოს მიხედვით;

2. უმაღლესი სასწავლებლის მიხედვით საერთო დატვირთვა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$H_{\text{ონბყ}} = \sum_{i=1}^m H_{\text{ონბი}},$$

3. ერთ საათ საერთო დატვირთვაზე ხელფასი ( $C_{\text{ყაც}}$ ) განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$C_{\text{ყაც}} = \frac{\Phi_{\text{ჰი}}}{\Phi_{\text{ონბყ}}},$$

სადაც  $\Phi_{\text{ჰი}}$  - უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის ფონდია.

4. თითოეული კათედრის ხელფასის ფონდი შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\Phi_{\text{ჰიი}} = H_{\text{ონბი}} \cdot C_{\text{ყაცი}}.$$

ასეთი წესით გაანგარიშებული კათედრის ხელფასის ფონდს უნდა დაემატოს სასწავლო-დამხმარე პერსონალის ხელფასის ფონდი. უმაღლესი სასწავლებლის მიხედვით ხელფასის საერთო ფონდი მიზანშეწონილია დაიყოს: 80% პროფესორ-მასწავლებელთათვის და 20%-სასწავლო-დამხმარე პერსონალისთვის. თუმცა სხვადასხვა კათედრაზე შეიძლება იყოს განსხვავებული შეფარდება.

ქვედანაყოფებს შორის სახსრების განაწილების პრინციპი უნდა იყოს მისაღები ყველა თანამშრომლისათვის. მიღებული განაწილების პრინციპთან ერთად უნდა შეიქმნას აღრიცხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სახსრების გამოყენების კონტროლი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ., გოგისვანიძე ვ. განათლება, როგორც ინტელექტუალური დოვლათი და მისი როლი საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფაში. ქსტუ-ს შრომები № 8, -ქუთაისი: საქართველო. 2000. -გვ.150-158
2. Chevallier, Thierry; Eicher, J. Cl. Higher Education Funding: A Decade of Changes. In: Higher Education in Europe , 2002, Vol. 17, No. 1-2, 2002. - pp. 89-99.
3. European Commission (2008); Higher Education Governance in Europe: Policies, structures, funding and academic staff

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროები. გაანალიზებულია უმაღლესი სასწავლებლების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მოზიდული სახსრების ეფექტიანი განაწილების თავისებურებები. მოცემულია რეკომენდაციები უმაღლეს სკოლაში ფინანსური სახსრების სამართლიანი განაწილების შესახებ.

**Вахтанг Гогисванидзе** – Акакий Церетели государственный университет, академический доктор экономики, приглашённый специалист

### Проблемы Эффективного управления и справедливого распределения финансов в ВУЗ-ах

#### Аннотация

В статье рассматриваются источники финансирования высших учебных заведений. Анализируются особенности эффективного распределения средств, привлеченных хозяйственной деятельностью высших учебных заведений. Даны рекомендации справедливого распределения средств в высшей школе.

**Vakhtang Gogisvanidze** – Akaki Tsereteli State University, Academicals Doctor of Economics, The Invited Specialist

### Problems of Effective Management and Equitable Distribution of Finance in Universities

#### Summary

In article are considered financing sources higher educational institutions. Features of effective distribution of the funds, raised economic activity in higher educational institutions are analyzed. Recommendations of equitable distribution of means at the higher school are made.



აზა იფშირაძე - ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

### უნივერსიტეტი - რეგიონული ინოვაციური სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეეხო განათლების სისტემასაც და იგი სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. ამასთან, მით უფრო მეტ წარმატებას აღწევს ქვეყანა ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში, რაც უფრო ადექვატურად უპასუხებს იგი აღნიშნულ გამოწვევებს. თანამედროვე მსოფლიოსათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია განათლებისა და კვლევების ინტეგრაცია და ამის საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი გარდაქმნა. ინოვაციური მიდგომები საგანმანათლებლო პროცესში და მისი ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის, წარმატების მიღწევის ქვაკუთხედი ხდება. ყოველივე აღნიშნული, საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას მაქსიმალური მიახლოება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან და საფუძველი ჩაეყაროს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

ზოგადად, ინოვაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ახალი იდეების ფორმირებას, კვლევას, დაგეგმვას, განვითარებას, დიზაინერულ გადაწყვეტებს, საწარმოო პროცესს, დანერგვას, მარკეტინგს, გაყიდვების მართვას და ა.შ. საბოლოო ჯამში, იგი გვევლინება ახალ ცოდნად, გამოცდილებად, ტექნოლოგიად, სამომხმარებლო პროდუქტად თუ მომსახურებად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ინოვაცია განიხილება არა როგორც განყენებული აქტივობა, არამედ იგი წარმოადგენს ფაქტორების, პროცესების და მონაწილე სუბიექტების ურთიერთქმედების მრავალფეროვან სისტემას.“<sup>1</sup>

ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის ძირითადი არეალია რეგიონული კლასტერები, რომლებიც ემსახურებიან ინდუსტრიული და მეცნიერული პოტენციალის ამაღლებას, დასაქმების ზრდას, სიღარიბის დაძლევას და ა.შ. საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე, მსგავს პროცესებში მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციები და ინსტიტუციები ერთვება. თუმცა, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია კლასტერული განვითარებისადმი სისტემური მიდგომა, რაც რეალიზდება რეგიონული საინოვაციო სისტემის ფორმირებასა და განვითარებაში.

რეგიონის ინოვაციური სისტემა ეროვნული ინოვაციური სისტემის საფუძველს წარმოადგენს და იგი საკმაოდ რთული, მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომელიც მთლიანად ქვეყნის საინოვაციო პოტენციალს განსაზღვრავს.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სოციალური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს მის შემადგენლობაში მყოფი ძირითადი მოთამაშეების - კომპანიები, კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციები, რეგიონული მთავრობა, ტექნოლოგიური შუამავლები, სხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები - ურთიერთქმედების საფუძველზე. თავისი ფუნქციონირების პროცესში, რეგიონის ინოვაციური სისტემა იყენებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს: ადამიანურს, ფინანსურს, ინფრასტრუქტურულს, ინსტიტუციონალურს და სხვა,<sup>2</sup> რის შედეგადაც ის უზრუნველყოფს ცოდნის გენერაციას, გამოყენება-გავრცელებასა და ინოვაციებში ინტეგრირებას. ყოველივე აღნიშნული საბოლოოდ იძლევა შედეგებს, რომლებიც განაპირობებენ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებას, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და ა.შ.

სახელმწიფო თუ რეგიონული ინოვაციური სისტემების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სათანადო ინვესტიციების არსებობა კვლევასა და განვითარებაში (ე.წ. R&D – Research

<sup>1</sup> საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები, თბ., 2010, გვ. 67

<sup>2</sup> გოგომე ი., ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი, თბ., 2013, გვ. 105

and development) მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ამ მხრივ, საქართველოში არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა.

**დანახარჯები კვლევაზე, განვითარებასა და ინოვაციებზე ცალკეულ ქვეყნებში<sup>3</sup>**

	მოცულობაზე აქცენტირებით			მშპ-თან მიმართებაზე აქცენტირებით		
	ქვეყანა	ინვესტიციები კვლევაში, განვითარებასა და ინოვაციებში (მლრდ. აშშ დოლ.)	მშპ-თან მიმართებით, 2011 წ., %-ში	ქვეყანა	ინვესტიციები კვლევაში, განვითარებასა და ინოვაციებში (მლრდ. აშშ დოლ.)	მშპ-თან მიმართებით, 2011 წ., %-ში
	აშშ	405,000	2,70	იაპონია	160,000	3,67
	ჩინეთი	297,000	1,98	შვედეთი	11,900	3,30
	იაპონია	160,000	3,67	ფინეთი	6,300	3,10
	რუსეთი	23,800	1,16	აშშ	405,000	2,70
	შვედეთი	11,900	3,30	ჩინეთი	297,000	1,98
	ფინეთი	6,300	3,10	ჩეხეთი	3,800	1,40
	ჩეხეთი	3,800	1,40	რუსეთი	23,800	1,16
	უკრაინა	2,700	0,85	ესტონეთი	0,360	1,11
	ბელარუსი	1,200	0,96	ბელარუსი	1,200	0,96
0	ჩილე	1,020	0,53	უკრაინა	2,700	0,85
1	ესტონეთი	0,360	1,11	ჩილე	1,020	0,53
2	აზერბაიჯანი	0,202	0,22	მოლდოვა	0,049	0,40
3	კოსტა რიკა	0,150	0,32	სომხეთი	0,048	0,40
4	მოლდოვა	0,049	0,40	კოსტა რიკა	0,150	0,32
5	სომხეთი	0,048	0,40	აზერბაიჯანი	0,202	0,22
6	საქართველო	0,027	0,18	საქართველო	0,027	0,18

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველო ორივე შემთხვევაში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, როგორც ინვესტირებული თანხის მთლიანი მოცულობის, ისე მშპ-თან მიმართებით პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. რა თქმა უნდა, ქვეყნის მწირი ფინანსური რესურსები და სოციალური ვითარება ქვეყანაში, ერთობ ართულებს კვლევებსა და განვითარებაში თანხების ინვესტირებას, მაგრამ აღნიშნული პრობლემის დაძლევა შეიძლება ორი ძირითადი გზით:

1. უცხოური ინვესტიციური რესურსების მოზიდვა, კვლევებისა და ინოვაციების იმპორტი;

2. საკუთარი რესურსების მობილიზება და გადამწყვეტ უზნებზე კონცენტრირება, ადგილობრივი კომპანიების მოტივირება კვლევებსა და ინოვაციებში ინვესტირებით, უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალის გააქტიურების ხელშეწყობა.

<sup>3</sup> პრიგოჟინა ა., საქართველოს გარდაქმნა ინოვაციურ ჰაბად და ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკად: გამოწვევები და შესაძლებლობები, საქართველოს ინოვაციების კვირეული, 24-26.04.2014, თბილისი, საქართველო.

საერთაშორისო დონიდან R&D-ის იმპორტის ხელშემწყობი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. მათ შორის:

- დაბალი დანახარჯები;
- საჭირო კადრებზე ხელმისაწვდომობა (სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტები, მათემატიკოსები, ინჟინრები, დოქტორები და ა.შ.) და მათი მნიშვნელოვნება ინოვაციური ღირებულების შექმნის ყველა ეტაპზე: იდეის ფორმირებიდან კვლევამდე, პროდუქტის შექმნა და გამოცდამდე;
- ქვეყნის პოტენციალის და გარემო პირობების შესაბამისად, ბაზრის სპეციალური უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სეგმენტების ფორმირება და განვითარების უზრუნველყოფა (მაგ.: ავტო ინჟინერია ინდოეთში, ელექტრონიკა ჩინეთში და ა.შ.)
- ბაზრის სიღიავე და შეღწევადობა, სიახლოვე ბაზარსა და კლიენტებს შორის.

საკუთარი რესურსების კონცენტრაციისა და მიზნობრივი განაწილების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივი და მრავალწახნაგოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო სტრუქტურულ რეფორმებს საჭიროებს. უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, მწარმოებლურობისა და ექსპორტის დაბალი დონის პირობებში, განაპირობებს რეფორმების შემდგომის ეტაპის აუცილებლობას, რომლის მიზანი იქნება, ერთი მხრივ, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერა და პირობების შექმნა რათა საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლის ქვეყნიდან მაღალი საშუალო შემოსავლის ქვეყნად გადაიქცეს. როგორც ცალკეული პიროვნების შემოსავლის მოცულობა ბევრად არის დამოკიდებული მისი განათლების დონეზე, ისე მთლიანად ქვეყნის წარმატება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მთლიანად განათლების სისტემისა თუ მისი ცალკეული სუბიექტის ფუნქციონირებით.

ინოვაციური სისტემის განმარტებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდია მასში უნივერსიტეტების როლი. თანამედროვე უნივერსიტეტი წარმოგვიდგება, როგორც ცოდნის დაგროვების, შენახვისა და გავრცელების მექანიზმი, რომელიც ქმნის ინტელექტუალურ საფუძველს განვითარებისათვის როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისათვის. აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტებს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. აღნიშნულის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ტექნოლოგიური მოდერნიზაციის დაჩქარებისა და ინოვაციების გაზრდის უახლეს ტენდენციას წარმოადგენს განვითარება კვლევების გაფართოებაზე, სწავლებაზე და ჩვევების ფორმირებაზე, მეცნიერებატევადი პროდუქტების შექმნაზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული უნივერსიტეტი მონაწილეობს ინოვაციური სისტემის განვითარებაში იმის მიხედვით, თუ რა პოტენციალი და სტრატეგიული ხედვები გააჩნია. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ საკუთარი რესურსების (სამეცნიერო-ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და ა.შ.) კონცენტრირებას პრიორიტეტების მიხედვით და არ ახდენდნენ მათ დაქსაქსვას ყველა მიმართულებებით.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, სწორედ უნივერსიტეტი, როგორც სწავლებისა და კვლევების კონცენტრაციის ადგილი, წარმოადგენს საყრდენს ეროვნული თუ რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებისათვის. ინოვაციებზე აქცენტირება მისცემს ქვეყანას შესაძლებლობას, რათა გახდეს უფრო ინოვაციური, მოწინავე და მაღალკონკურენტუნარიანი სახელმწიფო და ხელი შეუწყოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ, უფრო მეტად, ხარისხობრივ ზრდა-განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს საკმაო პოტენციალი გააჩნია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი (ხშირ შემთხვევაში მივიწყებული) ასევე უნივერსიტეტებშია ძირითადად თავმოყრილი. კერძოდ:

- კარგი პატენტშემოქმედებითი საქმიანობა;
- მაღალხარისხიანი ექსპერტები;
- ძლიერი უცხოური კავშირები;
- ინოვაციურობისადმი მიდრეკილება და შესაბამისი აქტივობების არსებობა;
- ძლიერი ფუნდამენტური სამეცნიერო პოტენციალი და ა.შ.

აღნიშნული და სხვა აქტივები, რომლებიც ნაკლებად გააჩნია ინოვაციური სისტემის დანარჩენ სუბიექტებს, ქმნიან თანამედროვე საქართველოში ინოვაციური განვითარების წინაპირობებს და განაპირობებენ მაღალი შედეგების მიღების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ უნდა მისცეს ზომები ინვესტიციების ზრდას განათლებაში, კვლევებსა და განვითარებაში.

საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარება, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის უნარზე ხელი შეუწყოს საინოვაციო საქმიანობასა და გამოყენებით კვლევებს სხვადასხვა სექტორებსა და ტერიტორიულ ერთეულებში. შესაბამისად, რეგიონული საინოვაციო სისტემისა და კლასტერული განვითარების მოდელი, რომლის ცენტრში იქნება მაღალი დონის უნივერსიტეტი, გვესახება სახელმწიფოებრივი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ პირობად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოძე ი., ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი, თბ., 2013;
2. პრიგოჟინა ა., საქართველოს გარდაქმნა ინოვაციურ ჰაბად და ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკად: გამოწვევები და შესაძლებლობები, საქართველოს ინოვაციების კვირეული, 24-26.04.2014, თბილისი, საქართველო;
3. ღავთაძე გ., უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების თეორიული საფუძვლები, აწსუ და პედაგოგიური ფაკულტეტის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, ქუთაისი 01-02.06.2013;
4. Gvtdadze G., Interrelation between education and economy and their impact on regional development, Daugavpils University, Faculty of social science, 8-th International scientific conference "Social science for regional development 2013", Daugavpils, Latvia, October 10-12, 2013, Conference theses;
5. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები, თბ., 2010

### რეზიუმე

ზა იფშირაძე - ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

#### უნივერსიტეტი - რეგიონული ინოვაციური სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია განათლებისა და კვლევების ინტეგრაცია და სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი გარდაქმნა. ინოვაციური მიდგომები განათლებაში და მისი ხელმისაწვდომობა, წარმატების მიღწევის ქვაკუთხედი ხდება, რაც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას მაქსიმალური მიახლოება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ განვითარებასთან.

საქართველოს ეროვნული თუ რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირების საყრდენს წარმოადგენს უნივერსიტეტი, როგორც სწავლებისა და კვლევების კონცენტრაციის ადგილი. ინოვაციებზე აქცენტირება მისცემს ქვეყანას შესაძლებლობას, რათა გახდეს მოწინავე, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო და ხელი შეუწყოს საკუთარ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდა-განვითარებას.

სახელმწიფოს პროგრესი, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის უნარზე ხელი შეუწყოს საინოვაციო საქმიანობასა და გამოყენებით კვლევებს სხვადასხვა სექტორებსა და ტერიტორიულ ერთეულებში. შესაბამისად, რეგიონული საინოვაციო სისტემისა და კლასტერული განვითარების მოდელი, ძლიერი უნივერსიტეტით ცენტრში, სახელმწიფო განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ პირობად გვესახება.



## Summary

**Aza Ipshiradze** - Assistant-professor of Kutaisi University

### **University – as a most important unit of regional innovative system**

One of the most actual issues of modern world is the integration of education and research and modification of educational process. Innovative processes in education and its' openness become bases of success and help us to come closer to the best international practice and development of knowledge-based economy.

The formation of national or regional innovative systems in Georgia stands upon the University – a center of concentration of teaching and research. Orientation on innovation will create the opportunity for the country to become a foremost, competitive state and support its own quantitative and qualitative development.

The progress of the country, in long-term perspective, depends on its competence to support the innovative activities and research in different fields and territorial units. Therefore, the model of regional innovative system and cluster development, with the strong university in the center, becomes a compulsory condition for the development of the country and the rising of its competitiveness.

## Резюме

**Аза Ипширадзе** – Ассистент-професор Кутаисского Университета

### **Университет – как важнейшее звено региональной инновационной системы**

Одной из актуальных вопросов современного мира является интерация образования и исследования. Инновационные подходы в образовании и его доступность, становится основой успеха, что даёт возможность максимально приблизится к лучшему международному опыту и экономической развитию основанной на знание.

Опорой формироваиня национальной и региональной инновационных систем, Является университет – как место концентрации обучения и исследования. Ориентирование на инновации даст стране возмжность стать передовым, конкурентоспособным государством и способствовать собственному каличесственному и качественному развитию.

Прогресс государства, в долгосрочной перспективе, во многом зависит от его возможности поддержать инновационную деятельность и прикладные исследования в разных секторах и территориальных единицах. Соответственно, модель региональной инновационной системы и кластерного развития, с сильным университетом в центре, представляется обязательным условием развития государства и повышения её конкурентоспособности.

**მადონა მიქელაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

**დალი ფუტყარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი

### **ბავშვის აღზრდის სწორი პედაგოგიური ორგანიზება სკოლამდელ დაწესებულებებში**

ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკოლამდელ პერიოდს, როცა იწყება პიროვნების ფორმირების პროცესი, საფუძველი ეყრება მომავალი მოქალაქის ფსიქოლოგიისა და ხასიათის შემუშავებას, მისი მორალური სახის ჩამოყალიბებას.

XIX საუკუნეში შექმნილი სკოლამდელი აღზრდის სისტემა -- საბავშვო ბაღები თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვან აღმზრდელობით გარემოდ იქცა. უფრო მეტიც, საბავშვო ბაღების პედაგოგიური სისტემა გარკვეულწილად წარმოადგენს კარგ დაწყებით სკოლას, რადგან ეს სისტემა გულისხმობს სწავლასაც და აღზრდასაც ერთდროულად. საბავშვო ბაღის წინაშე დასახული თანამედროვე ამოცანები განაპირობებს გაზრდილ მოთხოვნებს მისი ხელმძღვანელისა და აღმზრდელების მიმართ. ამ მოთხოვნებზეა მსჯელობა ნაშრომში „ბავშვის აღზრდის სწორი პედაგოგიური ორგანიზება სკოლამდელ დაწესებულებებში“.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში აღზრდა ძირითადად უნდა წარიმართოს ესთეტიკური თვალსაზრისით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვს ჩამოვუყალიბოთ მშვენიერების აღქმის უნარი, გემოვნება, იდეალები, ყურადღება დაეთმოს ბავშვის შეგრძნებების, სულიერების, შინაგანი კულტურისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

„ბავშვის აღზრდის საკითხი ყველაზე რთული, შრომატევადი, საინტერესო და მიმზიდველია და აღმზრდელისაგან მოითხოვს დიდ ცოდნას, გამოცდილებას, ტაქტს, ნებისყოფას, კაცთმოყვარეობას, ხასიათის სიმტკიცეს (მენაბდე 1973:4). გულდასაწყვეტია, რომ აღზრდა-განვითარების მხრივ საქართველოს საბავშვო ბაღებში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია აღმოსაფხვრელი. არის შესაბამისი განათლების მქონე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ვინაიდან დღეს საქართველოს არც ერთ უნივერსიტეტს არა აქვს სპეციალობა, რომელიც მოამზადებს საბავშვო ბაღის მაღალკვალიფიციურ აღმზრდელს.

ბათუმში მოქმედ 27 საბავშვო ბაღში დასაქმებულია 370 აღმზრდელი. მათგან 83% სხვადასხვა სპეციალობისაა, მხოლოდ 17% -- დაწყებითი განათლების პედაგოგის კვალიფიკაციით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებულია საბავშვო ბაღის გამოსაშვები ჯგუფებში სპეციალური და არასპეციალური განათლების აღმზრდელთა მიერ გამოსაშვებ ჯგუფებში მომზადებული ბავშვების დონე, რაც კვალიფიციური კადრების ნაკლებობით არსებული პრობლემის უტყუარი დასტურია.

პრობლემიდან გამოსავალი ერთადერთია -- სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვის ესთეტიკური, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური აღზრდის სწორად წარმართვისათვის აღმზრდელი უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული. მას გაცნობიერებული უნდა ქონდეს პიროვნების ესთეტიკური ფორმირების ფსიქოლოგიური კანონები და მექანიზმები, უნდა ცდილობდეს იმ ცოდნის მიღებას, რაც მას ჭირდება აღმზრდელობით საქმიანობაში. ამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლებისა და ესთეტიკური აღზრდის მეთოდების დაუფლება“ (პედაგოგიური ფსიქოლოგია 1965:6).

საბავშვო ბაღის მთელი სისტემა განამტკიცებს და ავითარებს ბავშვის ფსიქიკას, მის შემოქმედებით უნარს. საყოველთაოდაა მიღებული აღზრდის მეთოდის აგება ისე, რომ იგი ბავშვის გონებისათვის იყოს მისაწვდომი. ეს კი, უპირველესად, თამაშს უნდა ეფუძნებოდეს, რადგან სწორედ თამაშია ბავშვის განვითარების ძირითადი, ცენტრალური ფორმა, თუმცა აღმზრდელმა ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს თამაში და გართობა., ვინაიდან თამაში გაცილებით სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, იგი ასწავლის ბავშვს ესთეტიკურ ღირებულებებს, უქმნის მას წარმოდგენას გარემომცველ სამყაროზე და ა.შ.

საბავშვო ბაღში თამაში სიმბოლური უნდა იყოს. სიმბოლოების გამოყენება ბავშვის ფსიქიკის განვითარებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან მომენტს, რადგან ერთი ობიექტის მეორეთი შეცვლის უნარი წარმოსახვაში უზრუნველყოფს შემდგომში სოციალური ნიშნების დაუფლებას, ინტელექტის ზრდას, გონივრულობას, რაშიც ბავშვს დახმარება უნდა გაუწიოს აღმზრდელმა. მან ისე უნდა წარმართოს თამაშის პროცესი, რომ უზრალოდ კი არ გაართოს ბავშვები, არამედ განავითაროს მათი გონება, წარმოსახვის უნარი, ემოცია, ესთეტიკა. ეს დიდ ფსიქოლოგიურ მუშაობასთან არის დაკავშირებული და აღმზრდელი მზად უნდა იყოს საამისოდ.

„თამაში გავლენას ახდენს ინტელექტუალურ განვითარებაზე. თამაშში ბავშვი სწავლობს საგნებისა და მოქმედებების განზოგადებას. თამაშის დროს ემოციური წახალისება თუ ურთიერთობის მოთხოვნილება ბავშვს აიძულებს განახორციელოს მიზანდასახული მოქმედებები და გამოიმუშაოს ყურადღებიანობა“ (ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია 1977:61). ყოველივე ზემოთქმული კი მხოლოდ შესაბამისი განათლების მქონე აღმზრდელს შეუძლია.

ერთგვარად სიახლეს წარმოადგენს. სკოლამდელი აღზრდის სფეროში რელიგიური აღზრდა და განათლება ფსიქოლოგთა ნაწილი; ხაზს უსვამს ბავშვებში რელიგიური ცხოვრების განვითარებისთვის საფუძვლის ჩაყრას საბავშვო ბაღიდანვე. ცხადია, ამ მიმართებითაც აღმზრდელი უნდა იყოს მომზადებული, ინფორმირებული, გათვითცნობიერებული, რათა შეძლოს პატარებში აღძრას მათი ასაკის შესატყვისი რელიგიურ-ესთეტიკური წარმოსახვები და განცდები.

„რა თქმა უნდა, საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს ქრისტიანულ დოგმატებს ღრმად ვერ შევასწავლით, მაგრამ მათ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საიმისოდ, რომ ელემენტარული ცოდნა ჰქონდეთ სარწმუნოების საფუძვლებზე“ (პედაგოგიკა 1996:96).

აღზრდის ქვაკუთხედად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთსიყვარულს, აღმზრდელის პასუხისმგებლობას და მის ვალდებულებას საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვაზე. იგი წერდა: „აღმზრდელმა აუცილებლად უნდა შეითვისოს ბევრი რამ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტ პედაგოგთაგან, რომელთაც უმომღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“ (ჭავჭავაძე, 1985:335).

ჩვენს ქვეყანას, რომელიც ილიასეულ გზას ადგას მამულის, ენისა და რწმენის დასაცავად, დღეს ძალიან ჭირდება ზნეობრივი, მორალურად სუფთა, ქრისტეს მცნებების დამცველი, ესთეტიკურ ღირებულებებზე აღზრდილი მომავალი თაობა. ამის საფუძველს კი, უპირველესად, ოჯახთან ერთად საბავშვო ბაღი ქმნის.

„საბავშვო ბაღმა უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, რაც გულისხმობს ბავშვისადმი ადამიანურ მიდგომას, მისდამი ჰუმანურ დამოკიდებულებას, მასში მთვლემარე შემოქმედებითი ნიჭის გაღვივებას, მისი ინტერესების გაფართოებას, მისი მორალური და ესთეტიკური სამყაროს აღზრდას“ (თავზიშვილი 1968:31).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღევანდელ საბავშვო-სააღმზრდელი დაწესებულებებში გაზრდილია მოთხოვნა აღმზრდელთა მიმართ, რადგან „ბავშვის აღზრდის პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია პიროვნების ესთეტიკური ფორმირების ფსიქოლოგიური კანონებისა და მექანიზმების გაცნობიერება და დაუფლება“ (გიორგაძე, 1997:34). ეს გაზრდილი მოთხოვნები გვავალდებულებს, ვიზრუნოთ კვალიფიციური, მაღალპროფესიული კადრების მომზადებისათვის.

ამრიგად, ნაშრომი „ბავშვის აღზრდის სწორი პედაგოგიური ორგანიზება სკოლამდელ დაწესებულებაში“, აქტუალურია და მოტივირებულია გაუწიოს მეთოდური დახმარება საბავშვო ბაღების აღმზრდელს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ასევე, დასმულია საბავშვო ბაღებში კვალიფიციური აღმზრდელ-პედაგოგების ნაკლებობით არსებული პრობლემის გადაწყვეტის საკითხი --საქართველოში მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნას სწავლება ისეთ სპეციალობაზე, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ., 1977
2. გიორგაძე ოთარ, ესთეტიკური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ბათუმი, 1997
3. დანილოვი მ., ესიპოვი ბ., დიდაქტიკა, მოსკოვი, 1967
4. თავიშვილი გ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ. 1968
5. მენაბდე ვ., აღზრდისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი“ თბ. 1973
6. პედაგოგიკა სასულიერო სემინარიის სტუდენტთათვის, ბათუმი, 1996
7. პედაგოგიური ფსიქოლოგია“, ნაწ. II, თბ. 1965
8. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1987

### რეზიუმე

ნაშრომში „ბავშვის აღზრდის სწორი პედაგოგიური ორგანიზება სკოლამდელ დაწესებულებებში“ განხილულია სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული სადღეისო პრობლემები ბავშვთა ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ აღზრდასთან დაკავშირებით.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში არსებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ხარვეზების გათვალისწინებით ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აღზრდა ძირითადად უნდა წარიმართოს სულიერ სფეროში, მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვის ესთეტიკური შეგრძნებების, სულიერების, შინაგანი კულტურისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

**Mikeladze Madona** - Associate Professor at The Department of Pedagogical Sciences, Batumi Shota Rustaveli State University

**Phutkaradze Dali** - Doctoral Student at the Faculty of Education, Batumi Shota Rustaveli State University

### Resume

#### **Aesthetic Training of proper pedagogical organization in pre-school educational institutions**

The paper of “Aesthetic Training of proper pedagogical organization in pre-school educational institutions” sets the aesthetic and psychological education of children in preschool institutions in the current set of problems and solutions to these problems.

In the preschool teaching system - educational gaps in mind, the work emphasizes that education should be basically the spiritual realm; more attention should be paid to the child's aesthetic senses, spirituality, culture and creativity of inner development.

**Микеладзе Мадона** - Ассоциированный профессор Департамента педагогических наук Батумского государственного университете им.Шота Руставели

**Путкарадзе Дали** - докторант факультета Образования Батуского государственного университета Им.Шота Руставели

### Резюме

#### **Организация правильное педагогическое воспитание детей в дошкольных образовательных учреждениях**

В докладе рассмотрена проблема педагогического воспитания детей в дошкольных образовательных учреждениях. Работа подчеркивает, что должное внимание нужно уделить духовному, эстетическому, культурному образованию детей дошкольного возраста.



**კონსტანტინე სირბილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

**ირმა გრძელიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

**ნატო ალაიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი

### **პროცესი თუ შედეგი: თვითშეფასება - ხარისხის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ელემენტი**

2005 წლის მაისიდან საქართველო ბოლონის პროცესის ნაწილი გახდა, რამაც მთელი რიგი ცვლილებების განხორციელება მოითხოვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში: დაინერგა ECTS შეფასების სისტემა, დამკვიდრდა სწავლების სამსაფეხურიანი მოდელი, შესაბამისი მოდერნიზაცია განიცადა სასწავლო პროგრამებმა, შეიქმნა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვანწილად გაადვილა სტუდენტთა მობილობა.

შესაბამისად, 2006 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სტრუქტურული ერთეული- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით, წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას და ეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ანხორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Reviewing and Improving - PIRI).

სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

- უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემატური შეფასება, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და განახლება;
- აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა, კრედიტების ტრანსფერის სისტემის ჩამოყალიბება და განხორციელება;
- უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარისხის, შიდა და გარე შეფასების პროცედურების თანამედროვე მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფა;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების და სხვა სპეციალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადება. სსიპ-განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრში წარსადგენი უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება;
- უნივერსიტეტში სწავლის ხარისხის მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების ათვისებისა და დანერგვის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ერთიანობის და სწავლისა და კვლევის თავისუფლებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- სწავლის შედეგების შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებისა და კრიტერიუმების საჯაროობის უზრუნველყოფა;

- საუნივერსიტეტო კონფერენციების, სადისკუსიო ფორუმების, სემინარების ორგანიზება და ღონისძიებების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილება;

- აკადემიური პროგრამების სექტორი
- პროფესიული პროგრამების სექტორი

ბ) მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების განყოფილება;


გ) ანალიტიკური განყოფილება;

- სტუდენტთა ანკეტირებისა და ანალიზის სექტორი

- პერსონალის ანკეტირებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის მონიტორინგის სექტორი;

ე) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას, ასევე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შემოღებას. უნივერსიტეტში მოქმედებს 134 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორისაა: 42 საბაკალავრო, 52 სამაგისტრო, 31 სადოქტორო, 3 - ერთსაფეხურიანი სამედიცინო, 4 „მაინორ“ პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და მასწავლებელი მომზადების ერთწლიანი პროგრამა, ასევე 53 პროფესიული პროგრამა. პროგრამების პერმანენტული მონიტორინგის შედეგად ხდება პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორება და შესაბამისად ამ პროგრამების დახვეწა, შესაბამისი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილება. პროცესი შეუქცევადი და როგორც ავლნიშნეთ, პერმანენტულია: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება, ეს ის ოთხი ძირითადი პრინციპია, რომელს უზრუნველყოფაც სწავლების, სწავლის, კვლევისა და ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესების გარანტია.



სწორედ ამიტომ, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგიც მუდმივი პროცესია. ანალიტიკური განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევებიც, შესაბამისად, პერმანენტულ ხასიათს ატარებს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა მიღებული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის შეფასების, სწავლების ხარისხის შეფასების, მათთვის წაკითხული ლექციების ხარისხის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის, სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის დადგენის მიზნით. ტარდება, ასევე, გამოკითხვები საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები საჯაროა და რეკომენდაციები განიხილება აკადემიურ საბჭოსა თუ ფაკულტეტის საბჭოების სხდომებზე, პრეზენტაციები განთავსდებოდა აწეს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკური განყოფილება ასევე ატარებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს. კვლევის მიზანია ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს რამდენად ახლოა გამოცდების შედეგები გაუსის ნორმალური განაწილებს მრუდთან, ხდება პრობლემების კლასიფიკაცია, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. კვლევების სფერო მოიცავს საუნივერსიტეტო განვითარების ისეთ ასპექტებს, როგორცაა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გენდერული და ასაკობრივი სტრუქტურა, რისკები და პერსპექტივები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის, კურიკულუმის და სილაბუსის შეფასების კითხვარები, რომლითაც ფასდება აღნიშნული კომპონენტების შესაბამისობა დასახულ მიზნებთან; შეფასებას აწარმოებს როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი.

კვლევებზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ტრენინგებს შემდეგ თემებზე: სწავლების მეთოდები; სწავლების შედეგების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები; სწავლის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები; საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები და სხვა.

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი, ბოლონის პროცესის მნიშვნელოვანი შენაძენია, ეს არის სტუდენტებისათვის უნიკალური შანსი ისარგებლონ მობილობის პროცესით. სასწავლო წლის განმავლობაში მობილობა ხორციელდება ორჯერ: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში გადმომსვლელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს გადასულ სტუდენტთა ოდენობას.

ინტერნაციონალიზაცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა; პერმანენტულად კეთდება საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებები, ხოლო TEMPUS -ის პროექტები ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით მუდმივი ზრუნვის საგანია.

მიუხედავად ჩატარებული სამუშაოსა და უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა და მენეჯმენტი ზოგიერთ ასპექტში (სამეცნიერო მუშაობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, დარგობრივ ასოციაციებთან მჭიდრო კავშირი, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის საზღვარგარეთის) მოითხოვს დახვეწას, რისთვისაც:

სასურველია დაიწყოს მზადება (შემუშავდეს სტრუქტურული ერთეულების თვითშეფასების ფორმები) ევროპული აკრედიტაციისათვის მოსამზადებლად ;

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, მათი „მიმზიდველობის“ მიზნით, როგორც სტუდენტის, ისე პოტენციური დამსაქმებლისთვის;

სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყოს საგანმანათლებლო პროგრამაში დეკლარირებული კომპეტენციების გარანტი, რათა უზრუნველყოფილი იქნას დასაქმების უფრო დიდი ალბათობა.

უფრო მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ თვითშეფასებისა და ზოგადად ხარისხის კულტურის ამაღლების მიზნით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა შეუძლებელია მივიჩნიოთ შედეგად, შედეგი მუდამ სასურველი და ამავე დროს მიუწვდომელია, პროცესი კი პერმანენტული და დაუსრულებელი, მტკივნეული, დამძლეული, თუმცა საჭირო, თითქმის აუცილებელი და ამიტომაც საინტერესო, ამ პროცესის გარეშე შეუძლებელია შესწვდეს იმ მწვერვალს, რასაც საერთო ევროპული სივრცე და ხარისხიანი განათლება ჰქვია.

### ლიტერატურა:

1. I.Grdzelidze, G. gavtadze, K.Sirbiladze, N. AlaviDze. Medical Education - Current Challenges and Needs. ICERI 2012 - International Conference of Education, Research and Innovation; Madrid; 19-21 November, 2012.
2. I.Grdzelidze, G. gavtadze, K.Sirbiladze, N. AlaviDze. Effective self - assessment and quality assurance. ICERI 2012 - International Conference of Education, Research and Innovation –2012; Madrid; 19-21 November, 2012.
3. I.Grdzelidze, G. gavtadze, K.Sirbiladze, N. AlaviDze. Curriculum Development – Challenges and Perspectives. INTED 2014 – 8<sup>th</sup> International Technology, Education and Development Conference – Valencia, 10-12 March,2014

**Konstantine Sirbiladze** - Akaki Tsereteli State University, Professor, Head of Quality Assurance Service

**Irma Grdzeliidze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Deputy Head of Quality Assurance Service

**Nato alavidze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Head of the Academic Program Department

### Process or Result: Self-assessment Key Point of Quality Assurance

#### Abstract

Georgia joined the Bologna process in May 2005, expressing its desire to become a member of the European community and be able to exchange students as well as specialists within the united European space.

Student-centred learning, establishing the Quality Assurance service, refining the curricula and syllabi based on learning outcomes in the form of competencies, implementing ECTS system were the main principles we had to face to

As a result we got Quality Assurance Service of Akaki Tsereteli State University which has to deal with quality assurance of the University, namely to plan and manage the process of

- preparing Bachelor, Master and Doctoral programs for accreditation;
- promoting the internal and external assessment of the programs;
- preparing annual self-assessment report to the National Centre for Educational Quality Enhancement;
- promoting the integration of our University into international education space;
- improving the quality of teaching, learning, managing and research by doing lots of enquiries, analyzing the data and giving the correspondent recommendations;
- organizing trainings for personal and professional development of the University staff and trying to have contacts with other educational Institutions and stakeholders.

We do permanent interviewing of our students, staff members and the administration, as well as stakeholders, alumni in order to improve the quality of teaching, studying and research at the University. 7 years ago it seemed a dream. We would tell you how this dream has come true.

Keywords: Bologna process, QA



**Константин Сирбиладзе** - Государственный университет Акакиа Церетели, профессор, руководитель службы обеспечения качества.

**Ирма Грдзелидзе** - Государственный университет Акакиа Церетели, асоц. профессор, заместитель руководителя службы обеспечения качества.

**Нато Алавидзе** - Государственный университет Акакиа Церетели, асоц. профессор, руководитель отдела развития академических программ.

### **Процесс или результат: самооценка - ключевой элемент обеспечения качества**

Грузия присоединилась к Болонскому процессу в мае 2005 года, что явилось подтверждением ее желания стать членом Европейского сообщества и включиться в процесс обмена студентов и специалистов в пределах объединенного европейского академического пространства.

Ориентированное на студента обучение обеспечивает высокое качество и подразумевает совершенствование учебных планов и программ; Новые программы ориентированы на результаты обучения и описаны в форме полученных студентами компетенций. Обучение, основанное на кредитной системе ECTS, является основным принципом, к которому мы должны были адаптироваться.

В результате мы создали службу обеспечения качества в Государственном университете Акакиа Церетели, цель которой являлась повышение качества образования, в частности -

- подготовка программ бакалавриата, магистратуры и докторантуры для аккредитации;
- внутренняя и внешняя оценка образовательных программ;
- подготовка ежегодной самооценки для представления в Национальный центр обеспечения качества;
- стимуляция интеграции университета в международное образовательное пространство;
- улучшение качества обучения, методов обучения;
- стимуляция личностного и профессионального роста академического персонала.

Мы проводим постоянное интервьюирование студентов, сотрудников и администрации, а также других заинтересованных сторон (работодателей, выпускников), с целью улучшения качества образования в университете.

Можно сказать, что 7 лет назад это казалось мечтой. Но сегодня – мы можем с уверенностью сказать, что эта мечта осуществилась.

Ключевые слова: Болонский процесс, обеспечение качества образования.

**მანანა ქარქაშაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის დირექტორი.

### **მოდერაცია, როგორც ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგია**

როგორც ცნობილია სწავლა-სწავლების პროცესში მრავალი ფაქტორი მოქმედებს. უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებულად განხორციელების ხელშემწყობი მასში თანამედროვე ეფექტური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებაა. სწავლების პროცესის ინოვაციური მეთოდებით დაპროექტება სპეციალურ მომზადებას და სწავლების აქტიურ მეთოდებზე გადასვლას მოითხოვს და შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის განვითარებასა და გამოყენებაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდებს, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი მუშაობას, ხელს უწყობს მთლიანი ცოდნის- სისტემად ჩამოყალიბებას, წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესისა და ძირითადი მეცნიერული საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილის აღძვრას, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის მხოლოდ ერთი მეთოდით შესწავლა შთამბეჭდავ შედეგებს ვერ იძლევა. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება ამაღლებს სტუდენტებისა და ლექტორების მოტივაციას. მინდა ყურადღება გავამახვილო სასწავლო პროცესში მოდერაციის ტექნოლოგიის გამოყენებაზე. მოდერაციის, როგორც სწავლების მეთოდის მიზანები, პრინციპები, შინაარსი მოიცავს პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ ასპექტებს და გულისხმობს შედეგების მისაღწევად მიზნების ფორმირებას, სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, მეცადინეობაზე სტუდენტთა მოტივირებას და ა.შ. თანამედროვე განმარტებით მოდერაცია გულისხმობს ინტერაქტიული ურთიერთობის ორგანიზების ტექნიკას, რომლის საშუალებითაც ჯგუფური მუშაობა მიზანდასახული და სტრუქტურირებულია, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება გარკვეული ღონისძიებების (მაგალითად, სემინარი, პრეზენტაცია, ინტერნეტ საიტზე რესურსების გაცვლა, ფორუმი) მართვა ან გაძღოლა. ამ პროცესს წარმართავს საგანგებოდ შერჩეული პირი ანუ მოდერატორი. იგი კონკრეტული გეგმის მიხედვით და წესების დაცვით ეფექტიანად უძღვება პროცესს. მოდერატორის მთავარი დანიშნულებაა, გაუძღვეს მომზადებული საკითხის წარდგენის პროცესს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც საკითხის წინასწარი შესწავლის და გამოკვლევის პროგრამის საფუძველზე იქნა შემუშავებული. მოდერატორის ოსტატობა იმაში გამოიხატება, რომ მან რაც შეიძლება მეტად უნდა ჩართოს მონაწილეები სამუშაო პროცესში. მოდერაცია, როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგია პირველად დამუშავებული იყო გასული საუკუნის 60-70 წლებში გერმანიაში. მას შემდეგ მრავალი სპეციალისტი, მეცნიერი და პედაგოგი აქტიურად ავითარებდა და იყენებდა მოდერაციის ტექნოლოგიას სასწავლო პრაქტიკაში. მოდერაციის ეფექტურობა განისაზღვრება იმით, რომ გამოყენებული შემეცნებითი პროცესის მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები მიმართულია სტუდენტთა ანალიტიკური, კვლევითი, პროექტზე მუშაობის, ჯგუფური მუშაობის, საკომუნიკაციო უნარების განვითარებისაკენ. მოდერაციის მეთოდები განსხვავდება სწავლების ავტოკრატიული, დიდაქტიკური მეთოდებისაგან. სტუდენტი წარმოადგენს არა პასიურ ობიექტს, რომელსაც უნდა ასწავლო, არამედ თვითონაა აქტიური მონაწილე, წარმმართველი პოზიცია უკავია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში. ასეთი მიდგომა სტუდენტში ახდენს დამოუკიდებლობის, გადაწყვეტილების მიღების, პასუხისმგებლობის, მიზანდასახულობისა და სხვა მნიშვნელოვანი თვისებებისა და უნარების ფორმირებას. ლექტორი ამ შემთხვევაში სტუდენტისათვის არის კონსულტანტი, მიმართულების მიმცემი, ფასილიტატორი, რაც პრინციპულად ცვლის სტუდენტთა დამოკიდებულებას ლექტორის მიმართ. მაკონტროლებელი

პირის ნაცვლად ლექტორი ხდება სტუდენტთა პროექტების განხორციელების გამოცდილი თანამონაწილე. იზრდება ლექტორის ავტორიტეტი და მისდამი ნდობა. შედეგებიდან გამომდინარე ვრწმუნდებით, რომ საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართვა დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომით ხდება სასწავლო პროცესში მონაწილეთა დროის, პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება. როგორც პრაქტიკამ აჩვენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის ისე ორგანიზება, რომ ყველა სტუდენტი ჩართული იყოს თემის განხილვაში, დავალების შესრულებასა და პრეზენტაციაში. ამის საშუალებას იძლევა მოდერაციის ტექნოლოგია, რომელიც მიმართულია სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად ჩართვისაკენ, მათ მიერ დასახული მიზნების შესრულებისაკენ.

მოდერაციის პრინციპებია:

- ✓ სტრუქტურირება (თემის რაციონალური დაყოფა მოდულებად)
- ✓ სისტემურობა (თემის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ლოგიკურად თანამიმდევრობით შეადგენს თემის მთელ, სრულფასოვან შინაარს)
- ✓ კომპლექსურობა (მოდულის შინაარსი და სწავლების ორგანიზება მიმართულია სტუდენტთა განვითარებაზე, სპეციალიზაციაზე)

- ✓ გამჭირვალობა

გამოვყოთ მოდერაციის ფაზები:

- ✓ ინიციაცია
- ✓ მიზანი
- ✓ სტუდენტთა მოლოდინის ფორმირება
- ✓ ინტერაქტიული ლექცია
- ✓ ჯგუფური მუშაობა
- ✓ შედეგების შეჯამება

ინტერაქცია მოდერაციის ძირითადი პროცესია. ეს არის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, სადაც მთავარი პრინციპია სწავლა კვლევით, საკუთარი გამოცდილებით. ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ეს არის *ორიენტაცია ცოდნის პრაქტიკულობაზე. ამ შემთხვევაში* მასწავლებელი არის ფასილიტატორი. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები თანამშრომლობის გზით ერთობლივი მიზნების, და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში. მოდერაციის ტექნოლოგიის გამოყენება აღიარებს სტუდენტის აქტიურ და სრულად ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა, საკუთარ საქმიანობაში შედეგებზე პასუხისმგებლობა სტუდენტებში ანვითარებს მოტივაციას, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, პროფესიულ კომპეტენციებს, ინტელექტუალურ, მორალურ, სოციალურ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. საგანმანათლებლო აქტივობას, რომელიც მოდერაციის გამოყენებითაა ორგანიზებული წარმატებით მიყვავართ განსაზღვრულ შედეგებამდე.

მოდერაციის პროცესის სრულყოფილად განხორციელება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ახალი ცოდნის ინტენსიურ და ხარისხიან ათვისებას, დარგობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ფორმირებას. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ განხილული ტექნოლოგია წარმოადგენს თანამედროვე ეფექტურ საგანმანათლებლო ტექნოლოგიას. მოდერაციის ტექნოლოგია ლექტორს საშუალებას აძლევს სწავლების პროცესი იყოს კონტროლირებადი, მდგრადი, მართვადი და შედეგიანი. საგნის ხელმძღვანელი ითავსებს კონსულტანტის, მენტორის როლს, რომელიც სტუდენტებთან ერთად აქტიურია საგანმანათლებლო პროცესში. ამ შემთხვევაში მათი დამოკიდებულება დამყარებულია თანამშრომლობისა და ნდობის პრინციპზე, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესს. მოდერაციის გამოყენება ლექტორს საშუალებას აძლევს მიზანდასახულად, მეთოდურად განხორციელოს სასწავლო მიზნები. მოდერაცია ეფექტური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავზარდოთ სასწავლო პროცესის შედეგიანობა და ხარისხი.

### ლიტერატურა:

1. Moderating Focus Groups. SAGE Publications, Jul 24, 1997 - Reference - 115 pages
2. Analyzing and Reporting Focus Group Results. SAGE Publications, 1998 - Medical - 139 pages
3. Moderating Focus Groups: A Practical Guide for Group Facilitation. SAGE Publications, 2000 - Business & Economics - 249 pages
4. Managing Training Projects: Managing the Learning Function. American Society for Training and Development, 2006 - Business & Economics - 16 pages
5. საგანმანათლებლო სტრუქტურების ხელშეწყობა ევროპაში. ხულია გონზალესი. რობერტ ვაგენარი. თბილისი 2008.
6. გენადი ტკაჩენკო. მოდერაციის ტექნოლოგია. <http://www.trainers-academy.com.ua>
7. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

### რეზიუმე

#### მოდერაცია, როგორც ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგია

უმადლესი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებულად განხორციელების ხელშეწყობი მასში თანამედროვე ეფექტური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებაა. სწავლების პროცესის ინოვაციური მეთოდებით დაპროექტება სპეციალურ მომზადებას და სწავლების აქტიურ მეთოდებზე გადასვლას მოითხოვს და შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის განვითარებასა და გამოყენებაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდებს, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი მუშაობას, ხელს უწყობს მთლიანი ცოდნის- სისტემად ჩამოყალიბებას, წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესისა და ძირითადი მეცნიერული საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილის აღძვრას, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის მხოლოდ ერთი მეთოდით შესწავლა შთამბეჭდავ შედეგებს ვერ იძლევა. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება ამაღლებს სტუდენტებისა და ლექტორების მოტივაციას. მინდა ყურადღება გავამახვილო სასწავლო პროცესში მოდერაციის ტექნოლოგიის გამოყენებაზე. მოდერაციის, როგორც სწავლების მეთოდის მიზანები, პრინციპები, შინაარსი მოიცავს პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ ასპექტებს და გულისხმობს შედეგების მისაღწევად მიზნების ფორმირებას, სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, მეცადინეობაზე სტუდენტთა მოტივირებას და ა.შ.



**Манана Каркашадзе** - профессор университета им. Акаки Церетели. Директор института повышения квалификации

### **Модерация как инновационная педагогическая технология резюме**

среди главных проблем профессиональной школы выделяют низкую мотивацию, как преподавателей, так и студентов. Одной из ключевых причин существования этой негативной ситуации является недостаточное использование в учебном процессе современных эффективных образовательных технологий. Сегодня модерация – это эффективная технология, которая позволяет значительно повысить результативность и качество образовательного процесса. Эффективность модерации определяется тем, что используемые приемы, методы и формы организации познавательной деятельности направлены на активизацию аналитической и рефлексивной деятельности обучающихся, развитие исследовательских и проектировочных умений, развитие коммуникативных способностей и навыков работы в команде. Как образовательная технология модерация была впервые разработана в 60-е - 70-е годы прошлого века в Германии. С тех пор многие ученые и специалисты, в том числе педагоги, активно развивали и применяли модерацию на практике, совершенствуя данную технологию. В основу разработки целей, принципов, содержания и методов модерации были положены педагогические, психологические и социологические аспекты, направленные на активное заинтересованное участие всех обучающихся в образовательном процессе, обеспечение комфортности на занятии каждого студента, на формирование нацеленности обучающихся на достижение результатов

**Manana karkashadze** - Kutaisi Akaki Tsereteli State University. Professor. Director of Teachers' Training Center.

### **Moderation, as an innovative educational technology**

The use of modern effective educational technologies helps the successful implementation of educational activities for high schools. Planning innovative teaching methods requires special training and transition to the active teaching methods. Process of creation is that, in with both student and lecturers are participating. Educational technologies should be focused on the development and use students' freethinking abilities. The methods which, provides independent work, contributes the formation of knowledge as a system, awake the interest toward books and other informational sources and awake wish to study major scientific questions independently, have a great important. The use of only one method in the process of teaching, does not give impressive results. Lectures use various methods in the process of teaching and in most cases; this is the combination of different methods.

It should be pointed out, that the use of modern innovative educational technologies, increase students and lecturers motivation. I want to focus on the use of moderation technologies in the educational process. Moderation, as the purpose, principles, contents of teaching method, covers pedagogical, psychological, and sociological aspect and means the formation of objectives in order to achieve goals, active involvement of students in the process of learning, students' motivation to learn, etc.

**ნუნუ ქიქოძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### **ქოუჩინგის როლი განათლების სისტემაში**

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მართვის თანამედროვე, ეფექტური სტრატეგიების დანერგვა. თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადი განათლების მართვის პროცესში ჩართული ყველა სუბიექტი აღჭურვილი უნდა იყოს მართვის თანამედროვე და ეფექტური უნარებით. სკოლის წარმატებულ მართვაში გადამწყვეტი როლი მართვის უნარებით აღჭურვილი ადამიანური რესურსის არსებობას ენიჭება, გარდა ამისა, აუცილებელია პასუხისმგებელი პერსონალი ფლობდეს კარგი ლიდერისთვის და მენეჯერისთვის საჭირო ყველა ცოდნასა და უნარებს, აცნობიერებდეს საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას, გავლენას ახდენდეს ორგანიზაციის სასიკეთო ცვლილებაზე.

განათლების სფეროში დღეს ხშირად გვესმის სიტყვები - შედეგზე ორიენტირებული სწავლება, შედეგების თვისობრივი ანალიზი, შედეგების რაოდენობრივი ანალიზი, შედეგზე ორიენტირებული მიზნები. რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები ცდილობენ ჰქონდეთ უკეთესი შედეგები. ნებისმიერი შედეგის მიღწევას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ძალისხმევა მოითხოვს დაზუსტებას, რადგან ამ ტერმინის დაკონკრეტება დამოკიდებულია - ვინ არის ის, ვინც შედეგს მიაღწია (მოსწავლე, კლასისდამრიგებელი, საგნობრივიკათედრა, სკოლისმასწავლებელი, სკოლი სადმინისტრაცია, სკოლისდირექტორი, სკოლაა...) და რაში მდგომარეობს მიღწეული შედეგი. განათლების სფეროს წარმატებულ ადამიანებთან საუბარში ისინი ყოველთვის აღნიშნავენ მათ წარმატებაში იმ პიროვნები როლს, რომელმაც ისინი: 1. დააფიქრა; 2. რჩევა მისცა; 3. გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა; 5. ასწავლა; 6. მის შესაძლებლობებში დაარწმუნა; 7. სირთულე დაამღვეინა; 8. კარიერულ ზრდაში ხელი შეუწყო; 9. საკუთარი ემოციის მართვა ასწავლა...

საქართველოს რეალობაში ამ ფუნქციის შემსრულებელი პიროვნება ხან სკოლის სასწავლო ნაწილია, ხან სკოლის დირექტორი, ხან ტრენერი, ხან განათლების სპეციალისტი ხან „ჭკვიანი ადამიანი" ხან შემთხვევითი ადამიანი და ამ ადამიანმა შესაძლოა სულაც არ იცოდეს რომ ასეთ საქმიანობას დასავლეთის წარმატებულ ქვეყნებში უწოდებენ ქოუჩინგს და ასეთ კადრს ქოუჩს. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტატიაში შევეცადები, თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ ახალი ტერმინი „ქოუჩინგი“, უფრო ნაცნობი გავხადო და მოხარული ვიქნები, თუ რომელიმე მკითხველი საკუთარ საქმიანობაში დანერგავს კი იფიქრებს.

ქოუჩინგი არის გამოცდილ ხელში ჯადოსნური ინსტრუმენტი. ეს არის ხელოვნება დაეხმარო მეორე ადამიანს სწავლასა და განვითარებაში, საკუთარ თავი შეიმეცნოს და იპოვოს მდიდარი შესაძლებლობები. ქოუჩი არ არის მონიტორინგი, შემფასებელი. ის უფრო მეგობარი და პარტნიორია. როგორც ინდივიდუალური ქოუჩინგი, ასევე ტრენინგი არის ქოუჩის (ტრენერის) კონსულტაცია "ერთიერთზე". ის თანაბარი პოზიციიდან ეხმარება მასწავლებელს. ქოუჩის ფუნქციებია:

- დროული და სათანადო რჩევითა თუ ტრენინგით უზრუნველყოფა.
- მასწავლებელთან ერთად სასწავლო აქტივობების თანა-დაგეგმვა.
- მასწავლებლებზე დაკვირვება და სასწავლო აქტივობებზე რეფლექსიის ხელშეწყობა.

აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ქოუჩინგი აღნიშნავს პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები პიროვნულად ვითარდებიან და შრომის უნარს იუმჯობესებენ. აღნიშნული მიმართულება გერმანიაში 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა ტერმინით - ხელმძღვანელი, როგორც ქოუჩი. მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი საკუთარი თანამშრომლების ქოუჩი იყოს, თავიდან გასაღების სფეროში ჩამოყალიბდა და შემდგომ სხვა სფეროებზეც გავრცელდა. ამის პარალელურად, 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, ქოუჩინგის ცნებამ ხელმძღვანელთა ორგანიზაციის გარეთა კონსულტირების მნიშვნელობა შეიძინა. თავიდან ქოუჩინგი უკავშირდებოდა მხოლოდ უმაღლესი დონის ხელმძღვანელების კონსულტირებას. დღესდღეობით კი ბევრ კომპანიაში ქოუჩინგი

პერსონალის განვითარების ღონისძიებების შემადგენელი ორგანული ნაწილია. ბევრ კომპანიაში პრესტიჟულადაც კი არის მიჩნეული პირადი ქოუჩის ყოლა. თუ ქოუჩინგი თავიდან ცალკეული ხელმძღვანელების სოციალური კომპეტენციების განვითარებას ეხებოდა, ბოლო ათწლეულში მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქოუჩინგი დღეს ბევრ ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა, როგორც საკვანძო პირებისა და ხელმძღვანელთა გუნდის სისტემატიური განვითარების გეგმა.

“დროა პედაგოგებიც ჩაერთონ სწავლაში ისევე, როგორც ამას სხვა სფეროს პროფესიონალების აკეთებენ: უწყვეტად, თანამშრომლობით და საქმის კეთების დროს, რათა განიხილონ სამუშაო ადგილას არსებული საერთო პრობლემები და მნიშვნელოვანი გამოწვევები“. ჯეიმს ჰანტი (Darling\_Hammond, 2009, გვ.2) მისი სურვილი იყო პედაგოგებს პროფესიული სწავლების ახალი მოდელი შემოეღოთ, რომელიც კონცენტრირებული იქნებოდა პროფესიულ განვითარებაზე.

პროფესიული განვითარების მოდელი შესაძლოა სრულყოფილი არ იყოს მაგრამ კვლევა და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროფესიული განვითარების მოდელი სწავლების ეფექტურობის მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა. იმისათვის, რომ მოსწავლეთა სწავლის პროცესი სისტემატურად გაუმჯობესდეს უპრიანია სწავლებისადმი თანამშრომლობითი მიდგომა, როცა მასწავლებლები საკლასო ოთახებში არსებული პრობლემების მოგვარებაზე ნდობით აღჭურვილ კოლეგებთან ყოველდღიურად თანამშრომლობენ.

მსოფლიოს საუკეთესო სკოლების მუშაობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი მასწავლებლებს ერთმანეთისაგან სწავლების საშუალებას აძლევენ. მათ დროს გამოუყოფენ და სასწავლო აქტივობების ერთად დაგეგმვაში ეხმარებიან, ხელს უწყობენ, რომ ერთმანეთს სწავლების დროს დააკვირდნენ და ნაწილზე იფიქრონ. “ყველა საუკეთესო სკოლის სისტემა აღიარებს, რომ „თუ კარგი მასწავლებლის ყოლა გასურთ, ისინი კარგ მასწავლებლებს უნდა გააწვრთვინოდ“, ამისათვის კი საკლასო ოთახში ინდივიდუალური კონცენტრირებული კონსულტირებაა საჭირო“, „როცა სკოლის ყველა მასწავლებელი ერთად სწავლობს, მაშინ სარგებელს სკოლის ყველა მოსწავლე იღებს“ (Barber Mourshed, 2007, გვ.28).

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პროფესიული განვითარების ეს ეფექტური პრინციპები პრაქტიკულადაც გამოვიყენოთ? საკლასო საჭიროებებზე კონცენტრირების მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა პედაგოგებისთვის ცოტა საშიშად ჟღერს. ისინი არ არიან სკოლის იმ კულტურის ნაწილი, რომელიც აქცენტს თანამშრომლობაზე აკეთებს. ეს კიდევ უფრო უცხოა მათთვის, ვისაც არა აქვს ისეთ საკითხებზე თანამშრომლობის რეალური გამოცდილება, რომლებიც სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესებაზეა მიმართული. დღეს მასწავლებლების უმეტესობა იზოლირებულად მუშაობს და არა აქვს თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. პროფესიული განვითარების ამ პრინციპების პრაქტიკული გამოყენება ნიშნავს, რომ მასწავლებლებს ჭირდებათ;

- კატალიზატორი, რომელიც მათ მოუმატებს მოტივაციას, სწავლის პროცესი გააუმჯობესონ.
- სტრუქტურა, რომელიც თანამშრომლობას ეფექტურს გახდის.
- კოლეგასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც ამ პროცესის გაგრძელების სურვილს აღუძრავს.

სკოლებში თანამშრომლობა ბევრ მასწავლებელს შეიძლება გაუგებარ, ლამის უცხო კონცეფციად მოეჩვენოს, მაგრამ კოლეგების კონსულტანტი ძალიან კონკრეტული, კონცენტრირებული კატალიზატორია, რომელიც თანამშრომლობის სტრუქტურის მოწესრიგებას იმგვარად ახდენს, რომ ყველა ცალკეული მასწავლებლის კონკრეტული კლასის საჭიროებებს მოერგოს. კონსულტირების ერთ-ერთი პირველი ეტაპია კონსულტანტებსა და მათ კოლეგებს შორის საჭიროებებისა და თანამშრომლობის შესახებ გამართული დისკუსია. საჭიროებები შეიძლება ეხებოდეს როგორც შინაარსსა და საგანმანათლებლო სტრატეგიებს ისე შეფასებას, სასწავლო აქტივობებში ტექნოლოგიების აქტიურ ჩართვასა და ინტეგრაციას.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მასწავლებელსა და კონსულტანტს შორის თანამშრომლობას მასწავლებლის საჭიროებები განსაზღვრავს და აყალიბებს. სწორედ ამ საჭიროებებზე გაცემული კონსულტანტის პასუხი ხდის პროცესს ზუსტ, ღირებულ გამოცდილებად და სავარაუდოდ აუმჯობესებს სწავლისა და სწავლების პროცესს.

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, უპირველესყოვლისა, მიმართულია ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისა და საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ პროფესიონალი მასწავლებლების გუნდით, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მუდმივად სრულყოფენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. თავად სკოლის შიგნით კვლევასა და საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის წარმატების აუცილებელი პირობაა. გარედან შეთავაზებულ პროგრამებში მასწავლებელთა ნაწილის ფრაგმენტული მონაწილეობა სკოლაში საგანმანათლებლო გარემოს ძნელად ცვლის, რუტინაში სიახლეების შეტანასა და სწავლა-სწავლების ხარისხის ზრდას დროში საგრძნობლად ახანგრძლივებს. მასწავლებლების პროფესიულ საჭიროებების დადგენა და მასზე ოპერატიული რეაგირება, უპირველეს ყოვლისა, სკოლაშივე უნდა მოხდეს. ამიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დეცენტრალიზებული მოდელი - სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ეს მოდელი გულისხმობს იმ საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთაც თავად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ამისათვის 2013 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამას, რომლის პილოტირებაც მიმდინარეობს საქართველოს ყველა რეგიონის 206 სკოლაში. სკოლებში შეიქმნა პროფესიული განვითარების ჯგუფები, რომლებიც ზრუნავდნენ როგორც საკუთარი, ასევე კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, ცდილობდნენ პედაგოგების ჩართვას პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებში, რათა ხელი შეუწყონ მათში თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის სურვილის, როგორც ღირებულების, ჩამოყალიბებას.

ამ კუთხით საქართველოში სხვადასხვა პროექტები გახორციელდა: კერძოდ პროგრამა „სწავლე საქართველოსთვის“, სადაც 2013-2014 სასწავლო წლისათვის შეირჩნენ და სკოლებში განაწილდნენ კონსულტანტ-მასწავლებლები. პროგრამამ მოიცვა 47 სკოლა, სადაც კონსულტირებას ახორციელებს 81 კონსულტანტ-მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ „მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის ფარგლებში 1,885 კონსულტანტია განხორციელდა პირველ კლასებში. პირველი კლასის დამრიგებლები ჩართული არიან მასწავლებელთა მხარდაჭერის - „ქოუჩინგის“ სისტემაში და კონსულტაციებს ღებულობენ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტური ინტეგრირების უზრუნველსაყოფად.

ინდივიდუალური კონსულტირების (პილოტური) პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს:

1. სპეციალური პროფილის მქონე სკოლების ადამიანური რესურსის გაძლიერება (პროგრამაში პედაგოგთა კონსულტირებას ეწვეიან სპეციალური პროფილის მქონე სკოლების პედაგოგები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას).

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა, სპეციალურ პედაგოგთა და ფსიქოლოგთა კომპეტენციების ზრდა სპეციალურ პედაგოგიკაში (ინდივიდუალური კონსულტირების შედეგად პედაგოგები ეცნობიან და პრაქტიკაში იყენებენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდებს).

3. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური შედეგების გაუმჯობესება (კონსულტირება ხდება კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებასთან დაკავშირებით, ეს პედაგოგს საშუალებას აძლევს შეარჩიოს მოსწავლისთვის ადექვატური და ეფექტური სწავლის სტრატეგიები, რაც ბუნებრივია, ზრდის მოსწავლის აკადემიურ მიღწევას).

4. პროგრამის პილოტირება განხორციელდა 34 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემთხვევასთან დაკავშირებით; ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია 100-ზე მეტ პედაგოგს.

კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც წარმატებით ხორციელდება ითვალისწინებს სკოლების 89%-ში აქტიურ ფაზაში შესული ჯგუფის წევრთა შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მიღწევები და პედაგოგიური გამოცდილება - „მე ვასწავლი და ვსწავლობ“ ასეთია უწყვეტი პროფესიული განვითარების დევიზი.



ამდენად, კონსულტანტებს, რომლებიც მოსწავლეების სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე მიმართულ უწყვეტ თანამშრომლობას წახალისებენ, ფართო სისტემური გავლენის მოხდენა შეუძლიათ. მათ შეუძლიათ სკოლებს შესაძლებლობების განვითარებაში დაეხმარონ და მასწავლებლების სწავლის საჭიროებები დააკმაყოფილონ.

კოლეგების კონსულტირება შეიძლება პროფესიული სწავლების ძლიერი მეთოდოლოგია და პროფესიული განვითარების ეკონომიური ფორმა იყოს. მაგრამ წარმატებულ კონსულტანტს ორი რამ ჭირდება: გულდასმით მომზადება და პროფესიული განვითარების მუდმივი შესაძლებლობები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barber, M. & Mourshed, M. (2007). *How the world's best-performing school systems come out on top*. McKinsey and Company.
2. Darling-Hammond, L., Wei, R., Andree, A., Richardson, N., Orphanos, S. (2009). *Professional Learning in the Learning Profession: A Status Report on Teacher Development in the United States and Abroad*. NSDC.
3. Elmore, R. (2004). *School Reform from the Inside Out*. Harvard Education Press, Cambridge MA.
4. Fullan, M. (2001). *Leading in a culture of change*. San Francisco, CA: Jossey-Bass.
5. Fullan, M. (2008). *The Six Secrets of Change*. San Francisco, CA: Jossey-Bass.
6. Literacy Collaborative. 2009. *The Positive Effects of Literacy Collaborative On Teaching and Student Learning: A Federally Funded Value-Added Study*.
7. National Education Association. (2008). *Access, Adequacy, and Equity in Education Technology*. Washington, DC.
8. Viadero, D. (2010). *Coaching of Teachers found to Boost Student Reading*. Education Week.

### რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მართვის თანამედროვე, ეფექტური სტრატეგიების დანერგვა. თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადი განათლების მართვის პროცესში ჩართული ყველა სუბიექტი აღჭურვილი უნდა იყოს მართვის თანამედროვე და ეფექტური უნარებით. სკოლის წარმატებულ მართვაში გადამწყვეტი როლი მართვის უნარებით აღჭურვილი ადამიანური რესურსის არსებობას ენიჭება. განათლების სფეროს წარმატებულ ადამიანებთან საუბარში ისინი ყოველთვის აღნიშნავენ მათ წარმატებაში იმ პიროვნების როლს, რომელმაც ისინი: 1. დააფიქრა 2. რჩევა მისცა 3. გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა 5. ასწავლა 6. მის შესაძლებლობებში დაარწმუნა 7. სირთულე დაამღვეინა 8. კარიერულ ზრდაში ხელი შეუწყო 9. საკუთარი ემოციის მართვა ასწავლა... საქართველოს რეალობაში ამ ფუნქციის შემსრულებელი პიროვნება ხან სკოლის სასწავლო ნაწილია, ხან სკოლის დირექტორი, ხან ტრენერი, ხან განათლების სპეციალისტი ხან „ჭკვიანი ადამიანი“ ხან შემთხვევითი ადამიანი და ამ ადამიანმა შესაძლოა სულაც არ იცოდეს რომ ასეთ საქმიანობას დასავლეთის წარმატებულ ქვეყნებში უწოდებენ ქოუჩინგს და ასეთ კადრს ქოუჩს.

აქედან გამომდინარე მოცემულ სტატიაში შევეცადები, თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ ახალი ტერმინი „ქოუჩინგი“ - უფრო ნაცნობი გახადო და მოხარული ვიქნები, თუ რომელიმე მკითხველი საკუთარ საქმიანობაში დანერგავზეც კი იფიქრებს.

**Nunu Kikodze** - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

### **Coaching role in the education system**

The current reform of education in our country - one of the highest priorities in the management of a modern education system, the implementation of effective strategies. Relevance is that the overall process of management education for all stakeholders should be equipped with modern management and effective skills. Successfully managed a crucial role in the management of qualified human resources assigned. Field of education successful people in the conversation they always celebrated their success as individuals they:

1. Started thinking 2. Advice given 3. Decision-making Helped 5. Taught 6. Their ability to convince 7. Complexity simplified, 8. Career growth has contributed, 9. Their emotions taught ... The reality of this feature performer 's personality after school training is part of sometimes, the school principal, or a trainer, or education specialist or "smart people " sometimes random people and these people may not be aware that such activities are successful in Western countries, and such people are called Coaching kouchs.

Therefore, this article will try to present educational space is still unfamiliar with the term "Coaching" - a little familiar, and I would be glad if any of the readers even think to use in their activities.

**Нуну Кикодзе** – Университет Акакия Церетели, ассоциированный профессор

### **Коучинг роль в системе образования**

Нынешняя реформа образования в нашей стране - один из самых высоких приоритетов в управлении современной системы образования , реализации эффективных стратегий . Релевантности в том, что общий процесс управления образования для всех заинтересованных сторон должны быть оборудованы современными средствами управления и эффективных навыков . Успешно удалось решающую роль в управлении квалифицированных человеческих ресурсов, назначенных . Области образования успешных людей в разговоре они всегда праздновали свой успех как личности они : 1. Думать, 2 . Совет, данный 3 . Принятие решений Помогал 5 . Преподавал 6 . Их способность убедить 7 . Сложность упрощена, 8 . Карьерный рост способствовал 9 . Их эмоции учил ...

Реальность личности эта функция исполнителя 'ы после школы обучение является частью иногда, директором школы , или тренер, или специалиста образования или "умных людей" иногда случайные люди и эти люди могут не знать , что такие мероприятия будут успешными в западных странах, и такие люди называются Коучинг.

Поэтому в данной статье постараемся представить образовательное пространство по-прежнему знакомы с термином " Коучинг " - знакомый немного, и я был бы рад, если любой из читателей даже думать, чтобы использовать в своей деятельности.

**გიორგი ღავთაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი  
**იმერი ბასილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი

### **უწყვეტი განათლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პედაგოგთა მომზადების თანამედროვე გამოწვევები**

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც შრომითი ბაზრისადმი წაყენებული მოთხოვნები მუდმივად ცვალებადი და მზარდია, განსაკუთრებული მიდგომები ჩნდება განათლების სისტემის მიმართ. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რომლის განვითარებასაც ცდილობენ თანამედროვე სახელმწიფოები, არის ცალკეული პიროვნებისათვის, მიუხედავად ასაკისა, მისთვის ხელსაყრელ დროსა და მინიმალურ ვადებში, საჭირო კვალიფიკაციის მიღების, მომზადების ან გადამზადების პირობების შექმნა. აღნიშნულს ემსახურება ე.წ. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, ანუ უწყვეტი განათლების სისტემა.

უწყვეტი განათლება - ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების ვრცელ შესაძლებლობებს, რასაც, როგორც წესი, სხვადასხვა პროგრამების ფართო სპექტრის არსებობა უზრუნველყოფს. ასეთი აქტივობები და პროგრამები შეიძლება იყოს შემდეგი:

- სასწავლო პროგრამები სხვადასხვა ხარისხის მოსაპოვებლად ნაწილობრივ განაკვეთზე მყოფი სტუდენტებისათვის;
- პროფესიული ცოდნის ამალღების კურსები, რომლებიც არ ითვალისწინებს რაიმე ხარისხის მოპოვებას;
- თანამშრომლების ტრენინგი;
- ოფიციალური კურსები პირადი განვითარებისათვის და სხვა.

ჯერ კიდევ 1972 წელს იუნესკოს III საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიემდგვნა უწყვეტი განათლების პრობლემებს, გამოითქვა აზრი, რომ იგი იქცევა განათლების სახელმძღვანელო კონცეფციად მსოფლოს ყველა ქვეყანაში. შემდგომ წლებში, რეგიონების ეკონომიკური გარდაქმნების საფუძველზე, შრომის შინაარსის პროგრესული ტენდენციების გათვალისწინებით, მისი შემოქმედებითი ორიენტაციის, პროფესიონალური მოქნილობის, კადრების მობილურობის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაინერგა და ჩამოყალიბდა უწყვეტი განათლების სისტემები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 70-90-იან წლებში საქართველოში შემუშავდა უწყვეტი განათლების განმავითარებელი რეკომენდაციები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული მსგავსი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში. სწორედ ამ მიზნით, 1988 წელს, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრასთან შეიქმნა დიდაქტიკის ლაბორატორია და ჩამოყალიბდა მასწავლებელთა გადამამზადებელი კურსები ფსიქოლოგიის მიმართულებით. შეიქმნა სასწავლო პროგრამა „პრაქტიკული ფსიქოლოგია სახალხო განათლების სისტემაში“. კურსების მიზანი იყო განათლების სისტემისათვის სკოლის ფსიქოლოგთა მომზადება. სწავლება მიმდინარეობდა ცხრა თვის განმავლობაში. კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია. ამავე ლაბორატორიის თანამშრომლები აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში მშრომელთა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განათლების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა ერთგვარად ხელი შეუშალეს უწყვეტი განათლების რეალურად შემოღებას და გავრცელებას, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობდა არამარტო შეენარჩუნებინა, არამედ განვითარებინა უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით.

აღნიშუნლის დასტურია ის ფაქტი, რომ 1999-2003 წლებში ეკონომიკურ ფაკულტეტთან ფუნქციონირებდა ექსპერტ-შემფასებელთა, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა გადამზადების სასწავლო-მეთოდური ცენტრი. იგი შეიქმნა ეკონომიკური ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებითა და საქართველოს განათლების სამინისტროს თანხმობით. ცენტრის დანიშნულება იყო ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დასაქმებული აღრიცხვის სფეროს მუშაკთა პერიოდული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. შექმნის დღიდან, ცენტრში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პროგრამით გადამზადებელი კურსები გაიარა 150-ზე მეტმა მსმენელმა, რომლებიც დასაქმებული არიან მრეწველობის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა დარგებში. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერის“ შესწავლის მიზნით მომზადდა 15 სპეციალისტი ქუთაისის საავტომობილო და ლითონფონის ქარხნებისათვის.

შემდგომ წლებში, უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის „ფინანსებისა და კრედიტის“ კათედრასთან ჩამოყალიბდა „სტუდენტთა პროფესიული უნარჩვევების განვითარების სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია“, რათა სწავლება უნივერსიტეტში გადაქცეულიყო სტუდენტზე ორიენტირებულ პროცესად. ლაბორატორიის შექმნის მიზანი იყო სწავლის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრება, რადგან რეგიონში არსებული საფინანსო-ეკონომიკური სამსახურები და საკრედიტო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფდნენ პრაქტიკის მაღალ დონეზე განხორციელებას და სტუდენტებისათვის სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს და კვლავ დადგა დღის წესრიგში უწყვეტი განათლების ინტენსიურად განხორციელების აუცილებლობა. შესაბამისად, უნივერსიტეტში დიდი ყურადღება მიექცა არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობებსა და უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებისათვის ზრუნვას. კერძოდ, 2011 წლიდან, უნივერსიტეტში, რექტორატის ინიციატივითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა „პროფესიული წვრთნის, გადამზადებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომელსაც 2012 წლის დეკემბერში ეწოდა „უწყვეტი განათლების ცენტრი“. განათლების რეფორმიდან გამომდინარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა შეიმუშავა უწყვეტი განათლების კონცეფცია, მომზადდა სატრენინგო ფორმატი და დებულება, რომლის მიხედვითაც ცენტრში წარმოდგენილი ტრენინგ-მოდული განიხილება დეპარტამენტის სხდომებსა და ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგაც მას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემა შემდგომი მსვლელობა. ამჟამად, ცენტრი ავითარებს 50-მდე პროგრამას და მისი მომსახურებით განვლილ პერიოდში ისარგებლა 1500 მსმენელმა.

უწყვეტი განათლების პროგრამები უნივერსიტეტში ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

1. შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება და
2. უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისათვის.

შიდა საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება მიზნად ისახავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ახალი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამის სატრენინგო ქმედებების განხორციელებას და ორგანიზებას. ხოლო, რაც შეეხება უწყვეტ განათლებას ფართო საზოგადოებისათვის, უნივერსიტეტი თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური გარემო პირობებიდან გამომდინარე დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ფართო სპექტრის დარგობრივი პროფესიული უნარების განმავითარებელ მოკლე და გრძელვადიან პროგრამებსა თუ სერთიფიცირებად კურსებს.

უნივერსიტეტში განსაზღვრულია უწყვეტი განათლების ცენტრის მიზანი:

- სწავლა-სწავლებისადმი ახალი მიდგომების ხელშეწყობა;
- საუნივერსიტეტო რესურსის გაძლიერება;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- ტრენინგ-პროგრამებისა და სასწავლო კურსების მომზადება-განხორციელება;
- სტუდენტების ჩართულობა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- მასტერ-კლასებისა და სემინარების ორგანიზება;



▪ საგანმანათლებლო, ბიზნეს სექტორთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

მართალია, ცენტრის საქმიანობის არეალი მრავალფეროვანია და მან მოიცვა ბიზნესის, ეკონომიკის, ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო და ა.შ. სფეროები, მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობით და მაღალი შედეგებით გამოირჩევა პედაგოგიკის მიმართულება. იგი აერთიანებს უნივერსიტეტისა და სკოლის ურთიერთობის, მშობელთა პედაგოგიზაციის, სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელთა და მასწავლებელთა მომზადების, ინკლუზიური განათლებისა და სხვა პროგრამებსა თუ ცალკეულ მოდულებს. სწავლება ხორციელდება მოკლევადიანი სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარების, საზაფხულო და საკვირაო სკოლების ორგანიზების საშუალებით, რაც დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ხელს უწყობს მასწავლებელთა და სუტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

უწყვეტი განათლების შინაარსიდან და უნივერსიტეტის ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ ცენტრი თავისი ქმედებებითა და საქმიანობით უნდა გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სწორედ პედაგოგების მომზადებას.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული სხვადასხვა მიმდევარ სოციალური და პოლიტიკური მოვლენების გამო, უნივერსიტეტი და სკოლა დაშორდა ერთმანეთს. აღნიშნულმა გამოიწვია სერიოზული პრობლემები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების ოპტიმალურად და მეცნიერულად წარმართვის საქმეში. უნივერსიტეტი ვეღარ აწვდის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს იმ რჩევა-დარიგებებს, რომელიც საჭიროა მომავალი თაობების აღზრდა განათლებისათვის. აღიმართა კედელი უნივერსიტეტს, სკოლასა და ოჯახს შორის.

აღნიშნულს ისიც დაემატა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კანონიდან გამომდინარე, აღარ ანიჭებენ კურსდამთავრებულებს მასწავლებლის კვალიფიკაციას. მაშინ, როდესაც მათ უფლება აქვთ მაგისტრებისა და დოქტორანტების მომზადების და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისა. არ გვეგულება ადამიანი ამას რომ არ აცნობიერებდეს, თუმცა პრობლემას ეს „გაცნობიერება“ ვერ შველის. განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ქართველ მასწავლებელს დღიდან სკოლაში შესვლისა, განვითარებისთვის შანსი ნაკლებად აქვს. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის მომავალი პროფესიულად მომზადებულ მასწავლებელზე ბევრადაა დამოკიდებული.

ამჟამად მიმდინარე სასწავლო რეფორმის ბედი, არსებითად, მასწავლებელზეა დამოკიდებული. კვალიფიციური, მაღალხეობრივი და აღზრდის საკითხებში კომპეტენტური პედაგოგების გარეშე დღევანდელი ჩვენი განათლების სისტემის ფეხზე დაყენება შეუძლებელია. ვერავითარი რეფორმა, რა გენიალურადაც არ უნდა იყოს დამუშავებული მისი საკანონმდებლო ბაზა, არსებულ მიმდევარ ვითარებას ვერ გამოასწორებს. ამის გაკეთება მხოლოდ ღირსეულ მასწავლებელს თუ შეუძლია. მან უნდა შექმნას სკოლაში ის ინტელექტუალური პედაგოგიური ატმოსფერო, სადაც მოსწავლე მარტო იძულებით კი არა, არამედ პატივისცემით და სიყვარულით მოეკიდება ცოდნის შეძენის საქმეს. ეს დიდი ეროვნული და სოციალური პრობლემაა. ამიტომ მის გადაჭრაში საუნივერსიტეტო განათლების როლის მნიშვნელობა შეუძლებელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად აღადგინოს ურთიერთობა სკოლასთან. მასწავლებლის განათლება ემყარება უწყვეტი განათლების პრინციპს: მუდმივი წვრთნა და განვითარება, რაც გულისხმობს, მასწავლებელთა მუდმივ გადამზადებას და სრულყოფას პროფესიული განვითარების პროგრამებით. უნივერსიტეტის სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაიარონ პედაგოგიური პრაქტიკა პედაგოგიური პროფესიის სრულყოფილად დაუფლების მიზნით, ხოლო მეცნიერ-მკვლევარებს - შეუფერხებლად განახორციელონ შესაბამისი კვლევები. ამ თვალსაზრისით შეირჩა ქუთაისის მეორე ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. კერძოდ:

1. მე-2 სკოლა, არა მარტო ქუთაისის, არამედ საქართველოს მასშტაბით დიდი წარსულისა და ისტორიის სკოლაა. ის არის პირველი სკოლა, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა. იგი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა იყო.

2. ის არის ისტორიული მემკვიდრე ქუთაისის ქართული გიმნაზიისა, რომელიც დაარსდა 1879 წლის 31 ივლისს (შესრულდა დაარსებიდან 135 წელი) და რომლის საკუთარი შენობის მშენებლობაც 1913 წელს დასრულდა. მას აშენებიდან 100 წელი შეუსრულდება. ეს იყო პირველი ქართული საშუალო სკოლა მთელ დასავლეთ საქართველოში.

3. 1958 წლის სექტემბერში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო და საფუძველი ჩაეყარა ახალ, დამოუკიდებელ დაწყებითი სწავლების მეთოდიკათა ფაკულტეტს. ამავე წლის ივლისიდან ლიკვიდირებულ იქნა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი და მისი შენობა (ყოფილი ქართული გიმნაზიის ნაწილი) და სხვა მატერიალური ფასეულობანი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს გადაეცა, რომლის სამართალმემკვიდრე ამჟამად არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტმა აღნიშნულ შენობაში დაჰყო 1962-63 სასწავლო წლამდე.

4. 1986-1988 წლებში უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრასა და მე-2 სკოლას შორის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობდა ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

5. დღეს ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეული სკოლაა, სადაც მიმდინარებს სწავლება თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უნივერსიტეტისა და სკოლის ურთიერთობის შედეგად შეიქმნა „სასკოლო პედაგოგიური კლინიკა“ (ასეთი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოში), რათა ხელი შეეწყოს მომავალი მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, მათთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სრულყოფას, უნივერსიტეტსა და სკოლას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

სასკოლო პედაგოგიური კლინიკის მიზანია:

- უნივერსიტეტის და სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-მოდულების, სასწავლო კურსების, საზაფხულო და საკვირაო სკოლის ფარგლებში მომზადებული პროგრამებით დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება.

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ოპტიმიზაცია და განვითარება.

- პედაგოგიკის, მეთოდიკის და ფსიქოლოგიის ჩართულობის გაღრმავება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

- განათლების მეცნიერების დოქტორანტთა ჩართვა სასწავლო პროცესში და კვლევების განხორციელება.

- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლის ერთობლივი ჩართულობის აღდგენა სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

მიგვაჩნია, რომ კლინიკამ უნდა განხორციელოს თავის საქმიანობა შემდეგი მიმართულებით: სწავლებისა და განვითარების თეორიები; სასწავლო პროცესის კვლევა და ოპტიმიზაცია; სტრესის ფსიქოლოგია; ქცევის მართვის სტრატეგია სკოლაში; პრაქტიკის კვლევა სკოლაში; ინკლუზიური განათლება სკოლაში; ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის პრობლემა; მშობელთა პედაგოგიზაცია; სასწავლო კურსის სილაბუსის დიზაინი და წერის ტექნოლოგია სკოლაში; მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება; განათლების მენეჯმენტი სკოლაში; დოქტორანტების ჩართვა სასწავლო პროცესში და კვლევა; მეტყველების თერაპია; სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები; საგანმანათლებლო სისტემის აგების სამართლებრივი საფუძვლები; სამოქალაქო განათლება და აღზრდა (მშვიდობის კულტურის სწავლება გენდერულ პერსპექტივებში-პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო); სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა.

სასკოლო პედაგოგიური კლინიკის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების მიღება: მასწავლებელთა ტრენინგები; სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); სტუდენტთა სტაჟირება; საგანმანათლებლო მასტერ-კლასებისა და აქტივობების ორგანიზება; სამოდულო-ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება.

აღნიშნული აქტივობები საშუალებას მისცემს სტუდენტებს და მასწავლებლებს აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო-საგაკვეთილო პროცესების დაკვირვებასა და განხორციელებაში, აწარმოონ კვლევები საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე, ჩაატარონ სამოდულო გაკვეთილები, მიიღონ ცოდნა და გამოცდილება სწავლების თანამედროვე მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებაში.

## რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც შრომითი ბაზრისადმი წაყენებული მოთხოვნები მუდმივად ცვალებადი და მზარდია, განსაკუთრებული მიდგომები ჩნდება განათლების სისტემის მიმართ. ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ნებისმიერი ასაკის პიროვნებისათვის, ნებისმიერ დროსა და მინიმალურ ვადებში საჭირო კვალიფიკაციის მიღების ან გადამზადების პირობების შექმნა.

ჩვენს სასწავლებელში, მსგავსი პროცესების განვითარების მიზნით, ჯერ კიდევ 1988 წელს, შეიქმნა დიდაქტიკის ლაბორატორია და ჩამოყალიბდა მასწავლებელთა გადამამზადებელი კურსები ფსიქოლოგიის მიმართულებით. 1999-2003 წ.წ. ფუნქციონირებდა ექსპერტ-შემფასებელთა, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა გადამზადების სასწავლო-მეთოდური ცენტრი.

2011 წელს შეიქმნა „უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის საქმიანობის არეალმა მოიცვა ბიზნესის, ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო და ა.შ. სფეროები. განსაკუთრებულად წარმატებულია პედაგოგიის მიმართულება. იგი აერთიანებს უნივერსიტეტისა და სკოლის ურთიერთობის, მშობელთა პედაგოგიზაციის, სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელთა და მასწავლებელთა მომზადების, ინკლუზიური განათლებისა და სხვა მოდულებს.

მიმართულების მხარდაჭერის მიზნით, შეიქმნა „სასკოლო პედაგოგიური კლინიკა“, რათა ხელი შევუწყოს პროფესიონალი მასწავლებლების მომზადებასა და გადამზადებას, სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებას, სასწავლო პროცესის მეცნიერულ კვლევასა და უნივერსიტეტსა და სკოლას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

**Akaki Tsereteli State University**  
**Professor George Gvartadze**  
**Professor Imeri Basiladze**

## Continuing Education at Akaki Tsereteli State University and Challenges of Teacher Education

### Abstract

In the modern world, with its changing and increasing demands for the labour market, special approaches are required in the system of education. Creating conditions for receiving a necessary qualification or training for people of all ages at any time and within restricted timeframe is one of the topical issues.

For the purpose of promoting these processes our university established a didactics lab and opened teacher training courses in psychology as early as in 1988. In 1999-2003 a training centre for expert examiners, professional accountants and auditors operated here.

In 2011 the centre of continuing education was founded whose activities cover a variety of areas including business, engineering, natural sciences, etc. Education studies is a particularly successful area and it covers modules in university and school relations, parent pedagogy, preschool teacher education and inclusive education among many others.

For the support of this direction a "School Pedagogy Clinic" was founded in order to promote pre-service and in-service teacher training, develop students' practical skills, encourage research into academic processes and reestablish links between university and school.

Государственный университет Акакия Церетели  
Профессор Гиორги Гавтадзе  
Профессор Имер Басиладзе

**Непрерывное образование в государственном университете Акакия Церетели и современные вызывания подготовки педагогов**

**Резюме**

В современном мире, когда предъявленные потребности к трудовому рынку являются постоянно меняющимися и растущими, особенные подходы возникают в отношении системы образования. Одним из актуальных вопросов является создание условия для личности любого возраста, в любое время и минимальные сроки получения нужной квалификации и переподготовки.

В нашем учебном заведении с целью развития аналогичных процессов еще в 1988 году была создана лаборатория дидактики и созданы курсы переподготовки педагогов в направлении психологии. В 1999-2003 годах функционировал методический центр эксперт-оценителей профессионалов-бухгалтеров и учебно-методический центр переподготовки аудиторов.

В 2011 году был создан «центр непрерывного образования», ареал деятельности которого охватывает сферы бизнеса, инженерии, естественных наук и др. Особенно успешно функционирует направление педагогики. Оно объединяет модули взаимоотношения университета и школы, педагогизации родителей, воспитателей и педагогов дошкольных учреждений, инклюзивного образования и других.

С целью поддержки направления была создана «школьная педагогическая клиника», чтобы оказать содействие подготовке и переподготовке педагогов – профессионалов, укреплению практических навыков, научному исследованию учебного процесса и восстановлению моста связи между университетом и школой.



**გიორგი ჭილაძე** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, ზიზნისის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი

### **სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის, სპორტის და სპორტული განათლების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში**

საქართველოს სპორტი და სპორტული განათლება საჭიროებს სისტემურ რეფორმას, რომელიც უნდა დაეფუძნოს სპორტის, როგორც ერთიანი სისტემის, მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის, ახლებურ გააზრებას. სპორტისა და სპორტული განათლების სახელმწიფო პოლიტიკა კი უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. იგი უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე პრიმა მუხლი ადგენს: "სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდათა ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას."

სპორტის სფეროში საქართველოს უცხო სახელმწიფოებთან დადებული აქვს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. საქართველო არის „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის წევრი სახელმწიფო; სხვადასხვა დროს იგი შეუერთდა გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას, ევროპის სპორტის ქარტიას და ეთიკის კოდექსს და სხვ.

კონსტიტუციის მითითებული მუხლი, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები და საერთაშორისო დონეზე მიღებული რეკომენდაციები სახელმწიფოს განუსაზღვრავს ფუნქციას შექმნას სპორტისა და სპორტული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები და უზრუნველყოს სპორტისა და სპორტული განათლების სფეროში გრძელვადიანი და დაგეგმილი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც მიღწეული იქნება ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტში ჩართვის ამოცანა.

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა კარდინალურად შეიცვალოს სახელმწიფოს მიერ სპორტისა და სპორტული განათლებისადმი არასისტემური მიდგომა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სახელმწიფო სახსრების არაეფექტიან გამოყენებას.

მწირი რესურსების პირობებში ორიენტაციის აღებამ მხოლოდ მაღალი მიღწევების სპორტულ შედეგებზე, უარყოფითად იმოქმედა მასობრივი და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებაზე, სპორტულ განათლებაზე.

აუცილებელია სპორტისადმი და სპორტული განათლებისადმი სისტემური მიდგომა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაეფუძნება ერთიან კონცეფციას, სახელმწიფო სახსრების უფრო შედეგიანი ხარჯვა და სპორტის ინსტიტუციური გრძელვადიანი და სისტემური განვითარება, რომ უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014 – 2020 ითვალისწინებს, რომ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზება უნდა მოხდეს სპორტის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის მეშვეობით. ამასთანავე, ქვეყნის განვითარების თითოეული ეტაპისათვის შემუშავებული იქნება კონკრეტული ამოცანების მისაღწევად საჭირო ყოველწლიური პროგრამები.

სამწუხაროდ, დოკუმენტი არ შეიცავს შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ჩამონათვალს, შესრულების ვადებსა და შემსრულებელ სუბიექტთა წრეს. არსებობს მხოლოდ მინიშნება იმაზე, რომ იგი მითითებული იქნება წინამდებარე დოკუმენტის სამოქმედო გეგმის ნაწილში. თუმცა, იმავდროულად, განსაზღვრულია სუბიექტი (თემატური ჯგუფები) და ვადა (2014 წელი).

კითხვებს ბადებს დოკუმენტის შემუშავებელთა ხედვა იმ ასპექტში, რომ რიგი საკითხების მოწესრიგება შესაძლებელი იქნება მოკლევადიან პერსპექტივაში. როგორც ზემოთ შევნიშნავდით, დოკუმენტი ზოგადად არ აკონკრეტებს ვადებს. ამიტომ, გაურკვეველია, თუ კონკრეტულად რომელი წლისთვის უნდა განხორციელდეს ისეთი საკითხები, როგორცაა: 1) თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში სპორტის ფუნქციის ახალი კონცეფციის დამკვიდრება, 2) სპორტის სისტემის სამართლებრივი ბაზის შექმნა, 3) ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტის მეთოდური პროგრამებისა და მასალების მომზადება, 4) სპორტის სისტემის ფუნქციონირების სტაბილური საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლების სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება. დოკუმენტში საუბარია, იმაზე, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით საჭიროა სპორტული ინფრასტრუქტურა შექმნა და განვითარება და

იგი საჭიროებს ხანგრძლივ პერიოდს. თუმცა, გაუგებარია, თუ დროის რა პერიოდია საჭირო აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამკარაა, რომ საკითხი საჭიროებს დეტალიზაციასა და კონკრეტიზაციას.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სპორტის მართვაში მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი, ხოლო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სპორტის პოპულარიზაციის, სპორტული განათლებისა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა და ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვადასხვა სამინისტროების ჩართვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

შევნიშნავ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული ორგანოების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მმართველობითი ფუნქციის განხორციელებას, მათ შორის სპორტის სფეროში. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა, თუკი დოკუმენტში შევიდოდა შესაბამისი ცვლილება. მოქმედი ნორმები, მაგალითად, ავალდებულებს მათ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნას და მოვლა-პატრონობა, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებაში მონაწილეობას და დაფინანსებას, შესაბამისი მუნიციპალური სპორტული კლუბის დაფინანსებას.

თუკი მთლიანობაში გავანალიზებთ სპორტის პოპულარიზაციის, სპორტული განათლებისა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სამინისტროთა ჩართულობის ასპექტებს, შეიძლება დავასკვნათ, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს საკითხთა დუბლირებას და კომპეტენციათა ურთიერთმეღწევას. თუკი შევეცდებით მათ კონცენტრაციასა და დაჯგუფებას, იგი გამოიხატება შემდეგში: 1) სპორტის სფეროში საერთაშორისო კავშირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასა და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებაზე მუშაობის კოორდინაცია და შესაბამისი პროცედურების გატარება, აგრეთვე ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და განვითარების ხელშეწყობა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან; 2) საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ეროვნული ნაკრები გუნდებისა და სპორტული კლუბებისთვის დახმარების გაწევა; 3) ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა; 4) სპორტის მასწავლებელთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; 5) საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება და ფინანსური უზრუნველყოფა; 6) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტში ჩართვა, მათი სოციალური ინტეგრაციისათვის მომზადება; 7) სასპორტო უმაღლესი განათლებისა და სპორტის ზოგადსაგანმანათლებლო ეროვნული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სპორტის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; 8) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია; 9) უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების ინტეგრაცია ქართულ სპორტში; 10) სპორტული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა; 11) სპორტის ჩართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური მომზადების სისტემაში; 12) უწყებრივი სამოყვარულო სპორტული კლუბების ორგანიზება და მასობრივ სპორტულ ფესტივალებში/შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება; 13) სპორტის სფეროში საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა 14) სპორტის, როგორც კულტურის ფენომენის წარმოჩენა, ეროვნული სპორტული ტრადიციებისა და ფასეულობების პოპულარიზაცია, დიდ საერთაშორისო სპორტულ ფორუმებზე კულტურული პროგრამების წარდგენა, ფესტივალებისა და შეჯიბრებების ორგანიზების ხელშეწყობა; 15) სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და ურბანული განვითარების პროცესში სპორტის კომპონენტის სავალდებულო გათვალისწინება, სპორტული ფუნქციის პრიორიტეტულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების, ან სარგებლობის უფლებით გაცემისას; 16) სპორტის, როგორც ტურიზმის ხელშეწყობი ფენომენის, გამოყენება და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, დიდ საერთაშორისო სპორტულ ფორუმებზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; 17) სპორტის მემკვიდრეობით მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის, ინტეგრაციისა და რესოციალიზაციისათვის ხელშეწყობა; 18) პატიმართა სპორტში ჩართვის უზრუნველყოფა და ამ გზით მათი რესოციალიზაციისათვის ხელშეწყობა; 19) რეკრეაციულ

ზონებში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ველოტურებისა და სხვა შესაბამისი სპორტული აქტივობების ორგანიზების ხელშეწყობა ეკოტურიზმის განვითარების მიზნით; სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა გარემოს დაცვის სფეროში; 20) სპორტის მეშვეობით მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობის საკითხი შეიძლება მოწესრიგებულიყო უწყებათაშორისი კომისი(ებ)ის ფორმატში, ვინაიდან კონკრეტული სამინისტროს ჩართულობა კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რაც განსაზღვრულია დოკუმენტით. აქედან გამომდინარე, უფრო გამართლებულია, თუკი მოცემული იქნებოდა კომპეტენციათა მხოლოდ ზოგადი ჩამონათვალი იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ქმედითი და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მსგავსი ტიპის დახმარება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014 – 2020. შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ.  
[http://msy.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=319&info\\_id=10631](http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=10631)
2. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სამართლის ზოგიერთი თეორიულ-იურიდიული ასპექტი // ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები / ახალციხე, 2010 წლის 24 დეკემბერი.
3. Чиладзе Г.Б. Некоторые аспекты университетского спортивного образования в Грузии // Научные труды Русенского университета / Болгария, г.Русс, 28-30 октября 2010, том 49, стр. 188 – 192
4. ჭილაძე გ.ბ. საუნივერსიტეტო სპორტი: განვითარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები // იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული / თელავი, # 1 (25), 2011, გვ. 172 – 175
5. ჭილაძე გ.ბ. უმაღლესი სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ ქელბაქიანის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი / ქუთაისი, 2013, გვ. 225 – 228
6. Чиладзе Г.Б. Закон Грузии «О спорте»: правовые аспекты // Научно-практическое и информационное издание «Спорт: экономика, право, управление» / Москва, №4, 2012, Стр. 29 – 31
7. Aptsiauri L.Sh., Chiladze G.B. Social-Cultural and Juridical Meaning of Sport in the Axiological Space of Modern Education // Latvian Academy of Sport Education ([www.lspa.lv](http://www.lspa.lv)) / 3rd Baltic Sport Science Conference // Physical Activity and Sport in Changing Society: Research, Theory, Practice and Management. ABSTRACTS / Riga, Latvia, April 29 – May 1, 2010, p. 58
8. ჭილაძე გ.ბ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული კომპეტენტურობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // ქესუ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია// რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი / თბილისი, 2013, # 1(22) [http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news\\_ge.php?b\\_sec=edu](http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news_ge.php?b_sec=edu)
9. Чиладзе Г.Б. Роль международных организаций в развитие системы спортивного образования в Грузии // ГЭНЖ: Образовательные науки и психология // Рецензируемый Электронный Научный Журнал / Тбилиси, 2013, № 1(22) [http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news\\_ge.php?b\\_sec=edu](http://gesj.internet-academy.org/ge/ge/news_ge.php?b_sec=edu)
10. [www.sportuni.edu.ge](http://www.sportuni.edu.ge)



### რეზიუმე

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014 – 2020 არ შეიცავს შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ჩამონათვალს, შესრულების ვადებსა და შემსრულებელ სუბიექტთა წრეს. არსებობს მხოლოდ მინიშნება იმაზე, რომ იგი მითითებული იქნება დოკუმენტის სამოქმედო გეგმის ნაწილში. თუმცა, იმავდროულად, განსაზღვრულია სუბიექტი (თემატური ჯგუფები) და ვადა (2014 წელი).

თუკი გავანალიზებთ სპორტის პოპულარიზაციის, სპორტული განათლებისა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სამინისტროთა ჩართულობის ასპექტებს, შეიძლება დავასკვნათ, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს საკითხთა დუბლირებას და კომპეტენციათა ურთიერთშეღწევას.

საქართველოს სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობის საკითხი შეიძლება მოწესრიგებულიყო უწყებათაშორისი კომისი(ებ)ის ფორმატში. კონკრეტული სამინისტროს ჩართულობა შესაბამის სიტუაციაში შეიძლება გაცდეს იმ ფარგლებს, რაც განსაზღვრულია დოკუმენტით. ამიტომ გამართლებულია, თუკი მოცემული იქნებოდა კომპეტენციათა მხოლოდ ზოგადი ჩამონათვალი იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ქმედითი და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მსგავსი ტიპის დახმარება.

**Георгий Чиладзе** – Самцхе-Джавახетский государственный университет доктор права, доктор бизнес администрирования, профессор

### **Некоторые аспекты государственной спортивной политики, управление спортом и спортивным образованием в Грузии**

#### Резюме

Государственный документ спорта 2014 – 2020 не содержит детального перечня выполняемых работ, сроков выполнения и список исполняющих субъектов. Дается только указание на то, что это будет указано в части плана действий документа. Хотя, вместе с тем, определены субъекты (тематические группы) и сроки (2014 год).

Если проанализируем аспекты участия и поддержки грузинских министерств с целью содействия в сфере популяризации спорта, спортивного образования и его развития, можно прийти к выводу, что часто имеет место дублирование вопросов и взаимопроникновение компетенций.

Вопросы участия различных министерств Грузии можно было урегулировать в формате межведомственной комиссии. Вопрос участия конкретного министерства в соответствующей ситуации может выйти за те пределы, которые установлены документом. Поэтому оправдано, если было бы приведена только общая перечень компетенций в тех пределах, в каких пределах может оказаться важным помощь подобного типа.

**George Chiladze** - Samtskhe-Javakheti State University, Doctor of Law, Doctor of Business Administration, Professor

### **Some Aspects of the State Sports Policy, Sports Management and Sports Education in Georgia**

#### summary

Sport's State Document 2014 - 2020 does not contain a detailed list of works, scheduling and executing a list of subjects. Gives only an indication of what it will be indicated in the plan of action document. Although, at the same time defined subjects (case group) and time (2014).

If you analyze the aspects of participation and support Georgian ministries to assist in the promotion of sports, sports education and its development can come to the conclusion that often there is an overlap of issues and interpenetration of competencies.

The participation of various ministries of Georgia could settle in the format of the Interdepartmental Commission. The participation of a particular ministry in a given situation can withdraw beyond what that document set. Therefore, the justification, if it was given only a general list of competencies to the extent to what extent it may be important to this type of assistance.